

მერაბ ლალანიძე

ლიტერატურა
კულტურა
რელიგია

2/2

2010-2019

თბილისი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

2021

Merab Ghaghanidze

Literature, Culture, Religion

2/2

2010-2019

Tbilisi

The National Parliamentary Library of Georgia

2021

ყდის გასაფორმებლად გამოყენებულია
ჟოან მიროს (1893-1983) "კონსტელაცია"

მერაბ ლალანიძე, ლიტერატურა, კულტურა, რელიგია, 2/2, 2010-2019,
თბ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2021.

ISBN 978-9941-9736-4-2

ISBN 987-9941-9736-9-7

UDC 82+008+2+821.353.1-4 ლ-32

© მერაბ ლალანიძე, 2021

ს ა რ ჩ ე ვ ი

მოსხენება

- თეოფილე ხუცეს-მონაზვნისეული "მეტაფრასის"
შესავალი და ანდერძი: ტექსტების სტრუქტურა
და თეოლოგიურ-სულიერი შინაარსი 9
- რუსთველის კვლევები "ვეფხისტყაოსნის" ავტორის
რელიგიური აღმსარებლობის შესახებ
მეოცე საუკუნის საჯარო-სამოქალაქო
და კულტურულ კონტექსტში 22
- პიროვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი
და "რუსთველის სამყარო" 30
- სერგეი მესხის პუბლიცისტიკა
და სეკულარიზაციის სათავეები
მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში 44
- პეტრე ხარისჭირაშვილის ცხოვრება და ღვაწლი 55
- კირიონ მეორის მიმართვა ბენედიქტე მეთხუთმეტეს:
წყაროები და უწყება 64
- სერგი ბულგაკოვი სამშობლოსა და ლტოლვილობის
ზღვარზე: მზერა რომისაკენ "ქერსონესის კედლებთან" 78
- "ადამიანისა და ხელოვანის უზარმაზარი ტაქტი":
ანდრეი პლატონოვი აკაკი წერეთლის
"ჩემი თავგადასავლის" გამო 101
- ტოტალიტარულობა, კარნავალი, კარნავალიზაცია 115
- ადამიანის ღირსება სქოლასტიკასა და ეკლესიის
თანამედროვე მოძღვრებაში და ადამიანის უფლებები 126

გამოხმაურება

“წინამძღუარი” – პირველი ქართული ლოგმატიკური კომპენდიუმი	153
ათონის ქართული მონასტრის ალაპების დაგვიანებული გამოცემა	162
აკაკის ოცტომეულის პირველი ტომი	173
რედაქტორისეული	
ქრისტიანობის ლექსიკონის გამო	185
კათოლიკური მემკვიდრეობის გამო საქართველოში	189
საუბარი	
ლიტერატურის შეფასებისა და ინტერპრეტაციის პარადოქსები	199
მეთხედი საუკუნე კათოლიკე ეკლესიის წიაღში	207
არქივიდან	
მფარველობითი დაპყრობა	233
ბიბლიოგრაფიული მითითებანი	474
პირთა სახელების საძიებელი	479
ადგილთა სახელების საძიებელი	490

მობსენება

თეოფილე ხუცეს-მონაზვნისეული “მეტაფრასის” შესავალი და ანდერძი: ტექსტების სტრუქტურა და თეოლოგიურ-სულიერი შინაარსი

მას შემდეგ, რაც 1981 წელს მოხერხდა ათონის ივირონის მონასტერში შენახულ ქართულ ხელნაწერთა ფოტოპირების გამზადება და საქართველოში მათი ჩამოტანა, გაჩნდა საშუალება, გამომზეურებულიყო და გამოკვლეულიყო მანამდე უცნობი თუ ხელმოუწვდომელი ტექსტები, ხოლო ამ ახალმა წყაროებმა საფუძველი შექმნა, კიდევ უფრო ღრმად და უფრო ფართოდ შესწავლილიყო ათონური ქართული სულიერი მემკვიდრეობა.

სიახლეთა შორის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მასალა, რომელიც უკავშირდება მეთერთმეტე საუკუნის ქართველი მწერლის, თეოფილე ხუცეს-მონაზვნის, სახელს. მოპოვებული იქნა ფასეული ცნობები მისი ვინაობისა და საქმიანობის შესახებ და, უწინარეს ყოვლისა, მისი ორიგინალური ტექსტები – ხელნაწერთა შესავლების, ანდერძებისა თუ მინაწერების სახით. ამ წყაროთა საფუძველზე დაიწერა რამდენიმე ახალი გამოკვლევა თეოფილეს შესახებ¹. ძიებათა შედეგად ახლებურად წარმოჩნდა და გამოიკვეთა ამ თითქმის უცნობი მწერლის ვინაობა, მისი საქმიანობა, მისი სულიერი თუ ლიტერატურულ-კულტურული ღვაწლი.

თეოფილე მღვდელ-მონაზვნის თარგმნილი და გადაწერილია ათონური ხელნაწერი Ath-20, – სექტემბრის თვის წმიდათა მეტაფრასულად გადამუშავებული ცხოვრებების კრებული, – რომელსაც თავად მთარგმნელი “მეტაფრასს” უწოდებს და რომელიც თარიღდება 1081 წლით. ტექსტების თარგმანი შესრულებულია კონსტანტინოპოლში (“ითარგმნა უკუქ წიგნი ესე „მე-

1 ივანე ლოლაშვილი, *ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი*, თბ.: მეცნიერება, 1982, გვ. 36-57; ლიანა ახობაძე, “ნოემბრის თვის მეტაფრასების ორი ათონური ნუსხა”, *მრავალთავი*, XV, თბ.: მეცნიერება, 1989, გვ. 32-37; ელენე მეტრეველი, *ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან*, თბ.: ნეკერი, 1996, გვ. 226-238; სოსო მახარაშვილი, *თეოფილე ხუცესმონაზონი (შემოქმედებითი პორტრეტი)*, თბ.: მეცნიერება, 2002.

ტათრასი“ ქალაქსა შინა სამეფუოსა კოსტანტინეპოლეს” – 79²), თუმცა ხელნაწერი ამჟამად ათონის ივირონის ქართულ ხელნაწერთა საცავში ინახება³.

კრებულს წინ უძღვის ვრცელი შესავალი, ხოლო ბოლოს ერთვის კიდევ უფრო ვრცელი ანდერძი, რომლებიც რამდენჯერმე გამოქვეყნდა⁴ და რომელთაც საშუალება მისცეს მკვლევრებს, სწორედ მათს საფუძველზე მეტ-ნაკლები სისრულით აღედგინათ მწერლის ბიოგრაფია.

ამჯერად, ათონის სულიერების კვლევის კონტექსტში, გაჩნდა საჭიროება, შესწავლილ იქნეს ხსენებული ტექსტების სტრუქტურა და მათი თეოლოგიურ-სულიერი შინაარსი. ანალიზის ამგვარად წარმართვის საშუალებას თავად ავტორი იძლევა, რადგან იგი მკაფიოდ მსჯელობს საკუთარი საქმიანობის სულიერ საწყისებზე, მიზნებსა და დანიშნულებაზე.

მაგრამ ახლავე უნდა ითქვას, რომ ამჯერად კვლევის მიმართულება განისაზღვრა იმგვარად, რათა ტექსტები გაანალიზებულ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ ჩაკეტილი ინტერპრეტაციის მეთოდით, რაც მათი შინაგანი ლოგიკის, შინაგანი კავშირების, ავტორისეული ინტენციებისა და არჩევანის, გამოხატვის ფორმების განხილვას გულისხმობს და, შესაბამისად, სრულებით გამორიცხავს ღია ინტერპრეტაციის მეთოდის გამოყენებას, ანუ ანალიზისათვის გარე ტექსტების შემოტანას, – როგორც პირველწყაროების, ისე პარალელების მიგნებისა თუ დადასტურების მიზნით.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ტექსტების აგების ხერხები, რომლითაც სარგებლობს ავტორი, რადგან შესავალიცა და ანდერძიც, ერთი მხრივ, დამოუკიდებელ, ცალ-ცალკე მნიშვნელობასაც ატარებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ერთმანეთსაც ავსებს. ამავე დროს, ორივე მათგანში ერთმანეთს ეჯაჭვება თეოლოგიური განსჯანი, სულიერი განჭვრეტანი, ლიტურგიკული მითითე-

2 ტექსტი მითითებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: ათონური კოლექცია, ნაკვეთი I, თბ.: მეცნიერება, 1986, გვ. 74-79; პუნქტუაცია ზოგან შესწორებულია; გვერდები მითითებულია ციტირებისთანავე.

3 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: ათონური კოლექცია, გვ. 63-79.

4 ტექსტის უკანასკნელი აკადემიური გამოცემა შესულია ათონის ხელნაწერთა ქართული კოლექციის აღწერილობაში: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: ათონური კოლექცია, გვ. 74-79.

ბანი, ისტორიული ცნობები და ლიტერატურულ-ტექსტობრივი მონაცემები. როგორც ითქვა, სწორედ აქ აღმოჩნდა მოწმობანი თავად მწერლის ან მის წინამორბედთა შესახებ. თუ თეოფილესეული შესავალი, უწინარეს ყოვლისა, მის მიერ თარგმნილი ტექსტების წარმოშობისა და ისტორიული განვითარების შესახებ მსჯელობს, ამ ტიპის ლიტერატურის ძირებს, წარმოშობასა თუ ჩამოყალიბებას უღრმავდება, ხელნაწერს დართული ანდერძი უფრო თეოლოგიურ-სულიერ განზომილებაში გადადის, უმეტესად სულიერ მიზნებს ისახავს და ასახავს, და, ამავე დროს, წინ წამოსწევს თავად მთარგმნელ-გადამწერის პიროვნებას. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ორივე ამ ტექსტთაგან როგორც ერთი, ისე – და კიდევ უფრო მეტად – მეორე ალბეჭდილია სათქმელის ავტორისეულობის მკაფიოდ გამოვლენილი განცდითა და გაცნობიერებით.

უწინარესად, აღსანიშნავია ქრისტიანული დოგმატიკის ის საფუძველმდებრივ დებულებები, რომლებიც თეოფილესეულ ტექსტებშია ასახული. მათში გაცხადებული მოძღვრება ტრინიტოლოგიის, ქრისტოლოგიის, პნევმატოლოგიის, მარიამოლოგიისა თუ სხვა საკითხებზე, ერთი შეხედვით, წყაროთა საგანგებო და სკრუპულოზურ კვლევას საჭიროებს, მაგრამ, ამავე დროს, ისიც დანამდვილებით უნდა ითქვას, რომ მცირე ნიშანიც კი, ამ გადმოცემაში რამე განსაკუთრებული და გამორჩეული გამომუდავნდეს, არც ჩანს და არც უნდა იყოს მოსალოდნელი. ამდენად, უნდა ითქვას, რომ ნაკლებად ნაყოფიერი იქნება თეოფილეს თეოლოგიური პოზიციების დადასტურება პატრისტიკული თუ ეკლესიის მოძღვრების სხვა ტექსტებით, რადგან ის, რაც წარმოდგენილია შესავალსა და ანდერძში, ჩვეულებრივი თეოლოგიური ტოპოსებია, ანუ ყოველი მათგანი აღმოსავლურქრისტიანული სამყაროსათვის საყოველთაო და საერთოა. უფრო მეტად საყურადღებოა, თუ როგორ ახდენს მწერალი, მთარგმნელი და გადამწერი ამ ცნობილი თემების განაწილებას, დალაგებას და საკუთარი სათქმელისათვის გამოყენებას.

წმიდათა ცხოვრებების შესახებ განსჯას ავტორი იწყებს მსჯელობით რომაული სამართლის წესებისა და პრაქტიკის შესახებ, რადგან მიიჩნევს, რომ ის ქრისტიანული ტრადიციის ერთ-ერთი წყაროა.

რომაული სამართლის რაობის, მნიშვნელობისა და სარგებლობის შესახებ თეოფილე საგანგებოდ და ვრცლად მსჯელობს. იგი მის დამკვიდრებასა და დაკანონებას, იესო ქრისტეს განხორციელებამდე, ჯერ კიდევ წარმართულ ხანაში, იულიუს კეისარს მიაწერს, თუმცა წარმოშობით მას უფრო ადრეულად მიიჩნევს: "ბრძენთა მათ მიერ ძუელთა შჯულად დადებული, ხოლო უმეტესად იულის ვისმე მიერ ჰრომაელთა კეისრისა მტკიცედ განწესებული და შეკრძალული" (74). საყურადღებოა, რომ ამ წესს არა მარტო სამართლიანობის განჩინება ევალებოდა მთელ სახელმწიფოში, არა მარტო მართლისა და მტყუნის გარჩევა, არამედ მოვლენათა დამოწმებაცა და დადასტურებაც, და ეს მოთხოვნა მთელ იმპერიაში უნდა შეესრულებინა ყველა იმას, ვინც მმართველებად იყვნენ დადგენილნი და უნდა შესრულებულიყო ყველგან, სადაც უნდა ყოფილიყვნენ ისინი: "რადთა ყოველნივე მთავარნი, ყოველსა შორის სოფელსა განფენილნი, წერდენ ყოველთავე საქმეთა და მშჯავრთა მათთა კაცისა მიერ სამეუფოვსა ბოროტთაცა და კეთილთა დაუკლებლად" (74). ყოველწლიურად ეს განჩინება რომში უნდა შეკრებილიყო, - ან თავად ჩაეცანათ, ან წერილობით საბუთად გაეგზავნათ ("რადთა რად წელიწად აღვიდოდინან ჰრომედ, ანათუ წარსცემდენ წერილთა მათ" - 74-75) და ხელახლა განსჯილიყო ("გამოეძიებოდის თვთოეულად ყოველივე საქმე მათი" - 75). თვალსაჩინოა, რომ მწერალი დადებითად აფასებს რომაულ სამართალს: იგი დაწვრილებით მსჯელობს, რომ უსამართლობა, ფაქტობრივ, გამორიცხული იყო, რადგან ყოველი საქმე "წულილად გამოიძიან" (75), ხოლო დამნაშავე დაუსჯელი არ რჩებოდა, - "ამას იქმოდეს წარმართნი იგი ფრიადცა კეთილად, რადთა ამის მიერ მშვდობით განეგებოდეს სოფელი" (75). უეჭველია, რომ თეოფილესეული მოწონება ამ სამართლის ფორმალურ მხარეს შეეხება, თორემ მან კარგად იცის, რომ სწორედ ეს სამართალი დაედო საფუძვლად პირველ ქრისტიანთა დევნას სარწმუნოებრივი აღმსარებლობის გამო (რასაც იგი ახსენებს კიდევ შემდგომ), და ეს გარემოება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია თეოფილეს მოწონებას იმსახურებდეს. მაგრამ, ამავე დროს, მისი ამგვარი კეთილგანწყობა განპირობებულია არა მარტო კანონიერების - კანონის აღსრულების - უზრუნველყოფის თვალსაზრისით,

არამედ იმითაც, რომ სწორედ რომის სამართლებრივმა და, აგრეთვე, დოკუმენტურმა კულტურამ განაპირობა, გაფორმებულიყო და შენახულიყო მოწამეთა გასამართლების ოქმები სამეფო ანუ სახელმწიფოებრივ არქივებში: "ამით უკუქ წესითა იწერებოდეს ღუაწლნიცა წმიდათა მოწამეთანი და პალატად სამეუფოდ შეკრებოდა ყოველივე იგი სრული და ჭეშმარიტებად საქმისად. ხოლო რომელ-ესე ძუელად იყვნეს წამებანი წმიდათანი, აღიწერნეს ესრე სახედ" (75).

მნიშვნელოვანია, რომ თავად წმიდათა ცხოვრება – როგორც ნაწილი წმიდა გადმოცემისა – სულიერ ნათელს მიანიჭებს მკითხველს: "ყოველნი ეკლესიანი მას იკითხვიან და მითა განათლდებიან" (76), ხოლო მათი სარწმუნოებრივი ღირებულება ეკლესიაში წმიდა წერილისას უტოლდება: "სწორად სახარებისა პატივ-სცემენ" (76). აქ თვალსაჩინოდაა გაცხადებული საღმრთო გადმოცემის ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ საღმრთო წერილის გვერდით, მის თანაბრად, რითაც დადასტურებულია მწერლის მართლმორწმუნეობა, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებას ორი წყარო და ორი საფუძველი აქვს: ბიბლიური წიგნები და საეკლესიო მოძღვრება. გამოცხადების თეოლოგიის მიხედვით, ორივე – და მხოლოდ ორივე ერთად – მოიცავს ღმრთის გამოცხადების მთლიანობას.

მწერალმა იცის, რომ ღმრთის მოწყალება, მისი განკაცებული ძის მიერ მოტანილი მადლი არის არა აბსტრაქტულად გაღებული მოწყალება კაცობრიობის მიმართ, არამედ ის მიემართება კონკრეტულად ყოველ ადამიანს, რომელთა შორისაა, კერძოდ, თავად თეოფილეც. მართალია, იგი ამ შემთხვევისას ფსალმუნურ-ჰიმნოგრაფიული კლიშეებით სარგებლობს ("ცოდვათა სიჭაბუკისა და უმეცრებისა ჩემისათა ნუ მოიჭსენებ. მიწყალე მე, უფალო, მიწყალე და ულხინე ჭირვეულსა სულსა ჩემსა" – 77; "მოიხილე, წმიდაო, მოიხილე უნდოებასა ზედა ჩემსა და განანათლენ დაბნელებულნი თუაღნი სულისა ჩემისანი" – 77; "ისმინე ჳმად უნდოე ვედრებისა ჩემისად და წმიდამყავ მე ყოვლისაგან ბოროტისა და ბრძკლისა ვნებათაგსა" – 77), მაგრამ ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს მადლს, მიანიჭებულს ღმრთისაგან, დაუმსახურებლად და უზრუნველად, მისი პიროვნების მიმართ. თეოფილეს ლოცვა ამგვარია: "ბრძანე, სახიერო, შეწყალებად ჩემდა აწყა აქა და მერმე სამთა მათ

შინა უამთა საშჯელისათა. და ნუმცა გარდამატებულებად მად-
ლთა შენთად მექმნების მე გარდამეტებულება სატანჯველთა,
არამედ განაგე ცხორებად ჩემი უაღრესად შეცვალებითა..."
(77). სასჯელის სამი უამი, საფიქრებელია, ჯერ ის განსასჯე-
ლია, რომელიც ადამიანს გარდაცვალების უმაღლეს, შემდ-
გომ – საიქიოში დამკვიდრებისას, ხოლო საბოლოო განსას-
ჯელი კი მოსალოდნელია საყოველთაო განსჯისას, ქვეყნად
ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ. აქვე აღსანიშნავია, რომ
თეოფილე აღიარებს ნაცვალგების წესს, თუმცა ითხოვს, რომ
ღმრთისაგან მონიჭებული მადლის მეტობა ნუ განაპირობებს
სასჯელის მეტობას, "გარდამეტებულობას".

საყურადღებოა დამოკიდებულება ეშმაკის მიმართ (ანდერ-
ძში იგი მოხსენიებულია როგორც "სამაელი" და როგორც
"ეშმაკი"): თეოფილესათვის ცხადია მისი წარმმართველი
მონაწილეობა, ერთი მხრივ, იმპერიის ხელისუფალთა მიერ
ქრისტიანთა დევნისას, ხოლო, მეორე მხრივ, მწვალებლობა-
თა წარმოშობისას. მწერლის თვალსაზრისით, სწორედ ეშმაკი,
"აღმოფთვებული ქრისტეს მიმართ და სამწყსოთა მისთა" (75),
აქეზებდა რომის სახელმწიფოს მეთაურებს ("მაშინ შეუჯდა მე-
ფეთა მათ უღმრთოთა და მთავართა უშჯულოთა" – 75), რათა
თავიანთ სამფლობელოში გაეჩაღებინათ ქრისტიანთა მძვინ-
ვარე დევნა ("დევნულებად ქრისტიანეთა... სასტიკი" – 75). ამა-
ვე დროს, ერეტიკოსთა მიერ ძველი ქრისტიანული ტექსტების
შეგნებულ გაყალბებას ეშმაკის სიხარული მოსდევს: "ძუელნი
იგი ცხორებანი წმიდათანი და უკანაჲსკნელ მწვალებელთა
მიერ განიხრწნეს, რომელსაცა ამას ზედა ფრიად იხარებდა
ეშმაკი" (75). ამდენად, მწვალებელთა საქმიანობა არა ოდენ
ჭეშმარიტებისაგან გადახრაა, – ნებისითი თუ უნებლიეთი, –
არამედ ნამდვილად ეშმაკისეული საქმის აღსრულება და მის-
თვის წარმატების განცდის მინიჭებაა.

თეოფილე მკაფიოდ აყალიბებს, თუ რა არის აუცილებე-
ლი სულიერი საქმისათვის (ამჯერად ამგვარ საქმეში ქრისტი-
ანული ტექსტების შექმნა იგულისხმება): ერთი მხრივ, მადლი
და, მეორე მხრივ, სულიერი სიბრძნე. სწორედ ამ თვისებათა
უქონლობას ასახელებს იგი მიზეზად, თუ რატომ ვერ იქნა
მწვალებელთა გაყალბებათაგან განწმედილი და ხელახლა
გადამუშავებული ძველი ჰაგიოგრაფიული ტექსტები: "არავინ

იპოვა ესევიტარი კაცი, რომელსაცა აქუნდა მადლი და სიბრძნე სულიერი..." (75). ამდენად, ამგვარ აუცილებელ იარაღს წარმოადგენს, ერთი მხრივ, ღმრთისაგან მონიჭებული მადლი და, მეორე მხრივ, სიბრძნე, ოღონდ, თუკი ის სულიერებითაა განმსჭვალული, ხოლო ამგვარი სიბრძნე მხოლოდ წვრთნის შედეგად მიიღწევა. როგორც ჩანს, ძველ სამყაროში გავრცელებულ "სიბრძნეს", რომელშიც ქრისტიანობამდელი თუ არაქრისტიანული სიბრძნე უნდა იგულისხმებოდეს, უპირისპირდება სიბრძნე, რომელიც თავისი არსით და წარმოშობით სულიერია. ნიშანდობლივია, რომ მეტაფრასის შემქმნელი სვიმეონ ლოლოთეტი, თეოფილეს თვალსაზრისით, აცარებს საკუთარ თავში არა მარტო ადამიანურ, საერო, ამსოფლიურ სიბრძნეს, არამედ ღმრთაებრივ სიბრძნესაც, რაც ორგვარი სიბრძნის ერთმანეთისაგან მკაფიო განსხვავებულობაზე, გამიჯნულობაზე მეტყველებს: "სუმეონ სანატრელი, რომელი შემკობილ იყო სიბრძნითა საღმრთოფთაჲსა და კაცობრივითა" (75).

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ერთი განსაკუთრებული ვითარებაც: მართალია, მთარგმნელი, როგორც თავად ამბობს, თავისი შემოქმედებითი საქმიანობის გამო უგულვებელყოფს სულიერ ზრდაზე უშუალო ზრუნვას ("მეცა უღირსმან ამან ვყავ მრავალი მოსწრაფებაჲ ამისთვის და სიყუარულისათჳს ამათ წიგნთა და ყოველთა ქართველთა ნათესავისა, დაუტევე ზრუნვაჲ სულისა ჩემისაჲ" – 74; მიუხედავად იმისა, რომ ამჟერად, ტექსტის ანალიზისას, უარყოფილია ღია ინტერპრეტაციის მეთოდი, უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო ერთადერთი შეხედულება თვით ქართველ ათონელთა შორის; შდრ. იოვანე ათონელის ანდერძი, სადაც მოვლენის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებაა გამჟღავნებული: "შრომაჲ დიდი ვაჩუენეთ ამას ზედა საწესენებელად სულისა ჩუენისა"⁵), მაინც, თეოფილე ხუცეს-მონაზვნის აზრით, წმიდათა ცხოვრების გაშუალება, ანუ ქრისტიანი მკითხველისათვის ამ ტექსტების მიწოდება ემსახურება წმიდათა მხრიდან მწერლისათვის სულიერი შემწეობის აღმოჩენას, რისი საწინდარიც სწორედ ეს საქმიანობა უნდა გახდეს: "რამეთუ მე არარადსათჳს სხვსა, არამედ ლოცვათათჳს თქუენტა წმიდათა თავს-მიც შრომაჲ

5 Ath-32: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: ათონური კოლექცია, გვ. 98.

ამისი” (78). ამ განწყობილებაში შესაძლებელია, ერთი მხრივ, დანახვა იმ მსხვერპლისა, რომელსაც მოყვასთა სულის სახსნელად გაიღებს მწერალი თუ მთარგმნელი (რამდენადაც იგი, საკუთარი სულის გადარჩენის მაგივრად, ზრუნავს სხვათა სულების გადასარჩენად!), მაგრამ, მეორე მხრივ, მას საკუთარი სულის გადარჩენის იმედიც აქვს სწორედ მოყვასისათვის სამსახურის აღმოჩენის გამო (თუმცა ეს ექსპლიციტურად ტექსტიდან არ გამომდინარეობს და, შესაძლოა, მწერლის თვალსაზრისით, არც უნდა იყოს საგანგებოდ გამოკვეთილი!). ამასთანავე, როგორც ჩანს, საკუთარი სულისათვის ზრუნვა თეოფილესათვის გამოიხატება უპირატესად ცოდვათა მშვინივერი მონანიებით: “ტირილი ცოდვათა ჩემთაჲ” (74), – ანუ არა განსჯით, არა საქმით, არა სულიერი წვრთნით.

და კიდევ, სულიერი შინაარსის წიგნების ღრმა ცოდნა საშუალებაყაა სულის სახსნელად და ცოდვათაგან გასათავისუფლებლად, – ამიტომაა ამგვარი დაკავშირება თეოფილესეულ ლოცვაში: “ყოველნი, რომელნი იკითხვიდენ და ისმენდენ გულსმოდგინედ და სურვილით, დაიცივენ და დაიფარენ და იწსნენ ივინი საუკუნოჲსაგან საშჯელისა” (78). ეს წიგნები, როგორც ჩანს, წაკითხულიც უნდა იქნეს და მოსმენილიც (მოსმენილი, უწინარეს ყოვლისა, ეკლესიის სივრცეში!), მაგრამ საგულდაგულოდაა აღნიშნული, რომ კითხვა და მოსმენა უნდა იყოს აუცილებლად განსაკუთრებული: “გულსმოდგინე” და “სურვილით”. გულმხურვალე სწრაფვა და წადილი წმიდათა ცხოვრებების გასაგებად ადამიანის სულს აძლიერებს, განამტკიცებს, აღორძინებს, ზრდის და, შესაბამისად, განწმედს ცოდვათაგან. სწორედ ამგვარ მკითხველთა და მსმენელთა სულების მარადიული ხსნისათვის ლოცულობს მწერალი, – იგი ღმერთს შესთხოვს, გადაარჩინოს ისინი ყველაზე დიდი განსაცდელისაგან: საუკუნო სასჯელისა და სამუდამო წარწყმედისაგან.

მაინც რამ განაპირობა, რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდა თეოფილემ, რა იყო მისთვის გადამწყვეტი ბიძგი? თეოფილეს სიტყვებით, საქმე გაკეთდა “სიყუარულისათვის ამათ წიგნთა და ყოველთა ქართველთა ნათესავისა” (74). ესე იგი, ერთი მხრივ, მას ამოძრავებდა წიგნების სიყუარული (ყურადღება მიემართება სწორედ წიგნებს და არა იმდენად იმ მოვლენებს, რომ-

ლებიც ამ წიგნებშია გადმოცემული!), ხოლო, მეორე მხრივ, მწერლის სიყვარულის საგანია საკუთარი თანამემამულენი. როგორც ჩანს, მისი გადაწყვეტილება არა მხოლოდ ემოციური დამოკიდებულებითაა განპირობებული, არამედ მოვალეობის განცდითაც იმათ მიმართ, რაც და ვინც მას უყვარს. ეს სიყვარული იმდენად ძლიერია, რომ მის გამო იგი სულისათვის ზრუნვასაც კი უგულებელყოფს (სწორედ ამ კონტექსტშია ნათქვამი: "სიყვარულისათვის ამათ წიგნთა და ყოველთა ქართველთა ნათესავისა, დაუტევე ზრუნვად სულისა ჩემისად და ტირილი ცოდვათა ჩემთად" – 74). ისევ ღირს გამეორებად, რომ თეოფილესათვის საკუთარი სულისათვის ზრუნვა, როგორც ჩანს, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ ცოდვათა გამო სინანულს გულისხმობს.

სულიერი განათლების ნიმუშად, რომელსაც არც ქართველები უნდა ჩამორჩებოდნენ, თეოფილეს, ბუნებრივია, მიაჩნია ბერძნები, – ისინი, ვისი ენიდანაც ითარგმნება ქართულად სულიერი შინაარსის წიგნები. იგი პირდაპირ მიმართავს ქართველ მკითხველს თუ თანამკითხველ-თანამსმენელს: "რამეთუ თვთლა თქუენ განბჭეთ და განიკითხეთ, თუ არა სირცხვლ არსა ესე ჩუენდა, უკუთუ ბერძენნი ესოდენსა მას სიბრძნესა ზედა და წურთილებასა და წერილთა მათთა სიკეთესა და აღნიშნვასა კუალად დაიწურთიდენ და წარინახვიდენ, რომელთა თვთ ენად მას ზედა ამოუდგამს. და ჩუენ ჩუენსა უსწავლელობასა ზედა არა ვიქმოდით ამას" (78). აქ, სადაც მსჯელობაა სასულიერო წიგნების დასწავლა-შესწავლაზე, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ განსჯის საგანია, ზოგადად, "სიბრძნე" (და არა იმდენად სულიერება, ან ღმრთაებრივთან ზიარება, რაც ამ წიგნების საშუალებით მოიპოვება!), და ამჯერად ეს "სიბრძნე" ყოველგვარი განსაზღვრების გარეშე იხსენიება (მდრ. "სიბრძნე სულიერი" – 75; "სიბრძნე საღმრთოდ" – 75). ხოლო როცა ნახსენებია "წერილთა მათთა სიკეთე", სავარაუდოა, რომ "წერილი" მაინცდამაინც საღმრთო წერილს არ უნდა აღნიშნავდეს, არამედ, ზოგადად, დაწერილ ტექსტებს, რომელთა უცოდინარობა თეოფილესათვის არის "უსწავლელობა". რით აღიზრდებოდნენ და აღიზრდებიან სულიერ-კულტურული წინსვლის ნიმუშად აღიარებული ბერძნები? თეოფილეს სიტყვებით, სიბრძნით, გარჯითა და წიგნიერებით, რაც მათ სიკეთეს ანიჭებს.

ცხადია ისიც, თუ ვის მიმართავს თავისი თარგმანებით თეოფილე: ესაა ყოველი ის ეკლესია, სადაც მისწვდება მისი თარგმანები ("ვევედრები და ვამცნებ ყოველთა ეკლესიათა, რომელსაცა მიიწიოს წიგნი ესე" – 78) და ესაა წინამძღვარნი და დეკანოზნი ("კუალად ვევედრები წინამძღუართა და დეკანოზთა" – 78), რომელთაც, თავის მხრივ, უნდა გაუცხადონ ეს თხზულებანი მორწმუნე ქრისტიანებს. ამდენად, ცოდნა საეკლესიო გარემოში უნდა გავრცელდეს, ხოლო მისი გამავრცელებელი ქრისტიანულ საკრებულოში უნდა იყოს მოძღვარი, – არა რიგითი ბერი ან მღვდელი, არამედ ის, ვინც მონასტრის თუ ტაძრის სულიერი ხელმძღვანელია. როგორც ნათლად ჩანს, მკითხველის, ანუ ჩვეულებრივი, რიგითი საერო მკითხველის მხრივ უშუალო, პირადი, თავისთავადი დამოკიდებულება ნათარგმნ-გადაწერილი ტექსტების მიმართ არ ივარაუდება.

თეოფილე იმასაც განსაზღვრავს, თუ როდის და როგორ უნდა იქნეს წაკითხული წმიდათა ცხოვრებანი, რისთვისაც საგანგებოდ უნდა შეირჩეს დრო. ყოველი დილა, ადრიდანვე, უნდა დაიწყოს ამ კითხვით, "რადთა პირველსა დღესა მიეცემოდეს წიგნი და დღე ყოველ დაიწუართოს მკითხველმან ცისკრად წარსაკითხავი იგი საკითხავი" (78).

რაც შეეხება წიგნის წამკითხველებს, და, შესაბამისად, მის მიმტანებს მსმენელთათვის (ალბათ, უნდა იგულისხმებოდეს განმმარტებელნიც), ისინი უნდა იქნენ შერჩეულნი ორად ორ საფუძველზე: რომელნიც არიან "მეცნიერნი" (ანუ მცოდნენი) და "ღმრთისმოშიშნი" (ანუ სულიერად ზრდასრულნი), და ამ შემთხვევისას ადამიანის ნებისმიერი სხვა მონაცემი უნდა უგულებელყოფილ იქნეს, – ამჯერად თეოფილე ოდნავ სარკასტულიც კი აღმოჩნდება: "რადთა არცა ტანსა ზედა, არცა წუერთა ზედა და არცა ყბათა ზედა განჰყოფდენ საეკლესიოდ კითხვასა" (78). ცხადია, რომ ყოველგვარი ფიზიკური ნიშანი უმნიშვნელოა და შეფასებისას თუ არჩევისას ერთადერთი საზომი პიროვნების სულიერი მომზადება უნდა იყოს.

თავისი საქმიანობისას თეოფილე მადლიერია, უწინარეს ყოვლისა, ღმრთის წყალობისა, ნეტარი მარიამის მეოხებისა და აღმზრდელის ზრუნვისა: "წყალობითა ღმერთმან, მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისადათა და მადლითა მოძღურისა და გამზრდელისა ჩემისა გეორგი მთაწმიდელისა-

და" (74). ერთი შეხედვით, თითქოსდა დასახელებულია სხვა-დასხვა განზომილებანი, თუმცა მორწმუნე ადამიანი ღმრთის წყალობას მარიამის შემწეობით აღწევს, სწორედ იმისი ქომაგობით, ვინც შუამავალი და მეოხია ადამიანსა და ღმერთს შორის, ხოლო სრულყოფილი ადამიანის მაგალითად თეოფილესათვის მისი მოძღვარი და აღმზრდელი, მასზე გულითადად მზრუნველი გიორგი მთაწმიდელი რჩება...

თვალსაჩინოა, რომ მწერლისათვის ეფთვიმე და გიორგი ათონელები იმგვარი ნიმუშებია, რომელთა კვალსაც იგი ერთგულად მიჰყვება, მაგრამ, ამავე დროს, მისთვის (და არა მარტო მისთვის, – როგორც ჩანს, ქართული სულიერი თუ წიგნიერი გარემოსათვის) ისინი სისრულის, სისავსის ნიმუშიცაა... ამიტომაც იგი ბუნებრივად სვამს კითხვას, რომ, თუკი ამდენად აუცილებელი იყო მეტაფრასული კრებულების თარგმნა ქართულად, რატომ არ გააკეთეს ეს იმავე ეფთვიმემ და გიორგიმ? "ხოლო უკუეთუ ვინმე იტყოდის, თუ ვინაგვან ესოდენ საწადელ არიან ათორმეტნი ესე წიგნნი მეტაფრასნი, რად არა თარგმნეს წმიდათა მამათა ჩუენთა ეფთვიმე და გიორგი?" (76). პასუხი მეტაფორულია, რომ როცა ადამიანი მშვიდია, იგი უწინარესად პურის მაძიებელია, და არა იმდენად ხილისა და ნუგბარისა: "კაცი რაჟამს სიყმილითა პურისაგთა მომყმარ იყოს, მას ძიებად ხილთა და სანოვაგეთა არა სცალს" (76), ხოლო შემდგომ ეს მეტაფორა განმარტებულია კიდევ: "რამეთუ უფრო საჭიროთაგან არა სცალდა და ამისთვის დაშთეს უთარგმანოდ" (76). ამგვარად, მოხმობილი მეტაფორით თეოფილე ცდილობს, ახსნას ღირებულ წიგნთა ის დახარისხება, რაც დიდ მთარგმნელებს შეუმუშავებიათ... როგორც ჩანს, უპირველეს "პურად" თეოფილეს საღმრთო წერილის წიგნები – ბიბლიური წიგნები და, აგრეთვე, წმიდა მამათა ნაწერები მიაჩნდა, რადგან ორივე ქართველი მთარგმნელი, უწინარესად, ამ წიგნთა მთარგმნელებად აღიქმებოდნენ. ამდენად, თეოფილეს თვალსაზრისით, წიგნებს შორის თვისებრივად გამოირჩევა უპირველესი საჭიროებისანი და შემდგომი საჭიროებისანი, როგორადაც მას, კერძოდ, მეტაფრასული ჰაგიოგრაფიული კრებულები მიაჩნია.

კიდევ, თეოფილეს მოეპოვება პასუხი, თუ რატომაა აუცილებელი წიგნების თარგმნა და მიწოდება მკითხველ-მსმე-

ნელისათვის იმ ენაზე, რომელზეც მორწმუნე ადამიანი მეტყველებს. ამ საკითხში, როგორც ცნობილია, ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ქრისტიანულ დასავლეთის პოზიცია განსხვავებული იყო. დასავლეთი გვიანი შუა საუკუნეების დასასრულის შემდეგაც კი, ახალ დროშიც ლათინურ ღმრთისმსახურებას სჯერდებოდა და ღმრთისმსახურების ენად არ მიიჩნევდა ეროვნულ ენებს (თუმცა განსხვავებული მდგომარეობა შეიქმნა მე-16 საუკუნიდან პროტესტანტულ გარემოში); სხვაგვარი ვითარება იყო აღმოსავლეთში, სადაც სარწმუნოების გავრცელების უმაღლეს გარემოებას, საღმრთო წერილი და, უწინარესად, საღმრთისმსახურო წიგნები ეროვნულ ენებზე გადათარგმნილიყო. ამავე მიზეზმა განაპირობა ამა თუ იმ ხალხის მოქცევისთანავე ეროვნული ანბანების შექმნაც, რაც, ზოგადად, აღმოსავლურქრისტიანული სამყაროს ეროვნულ-კულტურულ ნიშნად იქცა. თეოფილესათვის არსებითია, რომ ცოდნის გზას აადვილებს ცოდნის მისაწვდომობა მშობლიურ ენაზე, რაშიც უპირატესობა ბერძნებს აქვთ, რაკი ცოდნის წყარო მათ იმ ენაზე აქვთ, "რომელთა თვთ ენაჲ მას ზედა ამოუდგამს" (78), მაგრამ ისინი მაინც თავს არ ზოგავენ ბეჯითად სასწავლად ("კუალად დაიწურთნიდნენ" – 78), ხოლო ქართველები კი, ჩვენდა სამარცხვინოდ ("თუ არა სირცხვლ არსა ესე ჩუენდა?" – 78), მიუხედავად უცოდინრობისა, მაინც არაფერს ვაკეთებთ ამ განსაცდელის ამოსაფხვრელად: "ჩუენ ჩუენსა უსწავლელობასა ზედა არა ვიქმოდით ამას" (79).

თეოფილე მიმართავს იესოს: "იესუ ქრისტე, ძეო და სიტყუაო ღმრთისა ცხოველისაო, რომელი არა მართალთა მოხუედ მოწოდებად, არამედ ჩემებრთა ცოდვილთა სინანულად, რამეთუ ესე პირველთაგანვე წეს არს შენდა, რადთა ნივთთაგან კნინთა და უნდოთა შეჰმზადნე საქმენი დიდებულნი..." (77). რაკილა თეოფილე საკუთარ თავს ცოდვილთა შორის და ცოდვილთა ერთ მაგალითად ასახელებს, ხოლო უფალი თუნდაც "კნინთა და უნდოთა" ნივთთაგან დიდებულ საქმეებს ქმნის, სათუქრებელია, რომ, შესაბამისად, ყოველი ადამიანური არსება, თეოფილეს ჩათვლით, რაკი იგი ღმრთის ქმნილებათაა, ასევე, "საქმე დიდებული" იქნება.

ხოლო საკუთარი საქმის შედეგს – თავის მიმართვაში იესოს მიმართ – თეოფილე ამგვარი მდიდარი მეტაფორიკით ასა-

ხავს: "შეჰმზადა თარგმანებით უნდოებისაგან ჩემისა ყოვლად ძლიერმან წამისყოფამან შენმან, ვითარცა ეკლისაგან ვარდი, – სულნელებად იგი მთავართად, და მატლისაგან აბრეშუმში, – სამოსელი იგი მეფეთად, და ფუტკრისაგან უნდოდა სიტკბოებად და სინათლე, – სასურველი და საწადელი ყოველთაგან კაცთად" (77). მაგრამ მთარგმნელმა იცის, რომ შემოქმედი ამ საქმისა, – ისევე როგორც ყოველი სხვა საქმისა, – არა თავად თეოფილე ხუცეს-მონაზონია, არამედ მხოლოდ ღმრთის "წამისყოფა", წამიერი და მარადიული ღმრთაებრივი ნება.

2011

რუსთველის კვლევები “ვეფხისტყაოსნის” ავტორის რელიგიური აღმსარებლობის შესახებ მეოცე საუკუნის საჯარო-სამოქალაქო და კულტურულ კონტექსტში

რუსთველის კვლევები აღმოცენების უმაღლეს, – რაც “ვეფხისტყაოსნის” პირველ გამოცემას (1712) და ამ გამოცემაზე თანდართულ მეფე ვახტანგ მეექვსის კომენტარებს უკავშირდება, – საგანგებო ყურადღებას მიაპყრობდა რუსთველის რელიგიური აღმსარებლობის საკითხს. განვლილი სამასი წლის განმავლობაში საკითხის სიმწვავე არ შენელებულა, ხოლო ეს სიმწვავე იმასაც განაპირობებდა, რომ პრობლემატიკის განხილვა მნიშვნელოვანწილად პოლემიკურ ჭრილში წარიმართებოდა. პოლემიკური პათოსი თავად ვახტანგისაგან იღებს სათავეს, რაკი იგი რუსთველის გაურკვეველ-დაუმუსტებელ კრიტიკოსებს ეკამათება და დაუინებით (არცთუ ხშირად წარმატებით) ამტკიცებს, რომ პოემა მთლიანად განმსჭვალულია ქრისტიანული სულისკვეთებითა და აღუზიებით. ისიც უნდა ითქვას, რომ ვახტანგის პოზიცია უფრო მეტად დეკლარაციულია, ვიდრე საფუძვლიანად და ვრცლად არგუმენტირებული.

ზოგადად, რუსთველის კვლევების განვითარებაში განსაკუთრებით ნაყოფიერი და დინამიკური იყო მეოცე საუკუნე, როცა ამ კვლევათა გაფართოება და გაღრმავება რუსთველის რელიგიური ორიენტაციის გარკვევის სხვადასხვა მცდელობებშიც გამოვლინდა.

გამოითქვა განსხვავებული შეხედულებები, ერთი მხრივ, ამა თუ იმ მკვლევრის მიერ წარმოსახული რუსთველის პირადი, ბიოგრაფიული აღმსარებლობის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, “ვეფხისტყაოსნის” ტექსტში გამოვლენილი რელიგიური პოზიციის გამო (ხშირად ორივე ეს მხარე ერთმანეთს ფარავდა).

გასული საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდა რამდენიმე, მეტ-ნაკლებად დასაბუთებული და წყაროებით მეტ-ნაკლებად შემავრებული რუსთველის ცხოვრების ამბავი. გამომდინარე ამ წარმოსახული ბიოგრაფიიდან და არჩევანის კვალობაზე,

მკვლევარი რუსთველს მიაკუთვნებდა ხოლმე რომელიმე შესაბამის კონფესიას. მაგალითად, პავლე ინგოროყვას "რუსთველიანაში", რაკი ქრონიკული მასალებიდან ცნობილი შოთა კუპარი (ან: კუპრი) მიჩნეული იქნა "ვეფხისტყაოსნის" ავტორად, რომელიც იმავე მასალების ინტერპრეტაციის შედეგად გამოცხადდა მანიქველთა სექტის მიმდევრად თუ მეთაურად, შესაბამისად, მკვლევარმა დაიწყო მანიქველური რელიგიის გამოძახილის ძიება თავად პოემის ტექსტში. ასევე, როცა მოგვიანებით შალვა ნუცუბიძე პოემის შემოქმედს იერუსალემელ მომლოცველად ან პროკოფი რატიანი რუსთველ ეპისკოპოსად წარმოადგენდა, პოემის დაწერის გარემოებანიც საეკლესიო-სამონასტრო გარემოთი იხსნებოდა.

ცალკე საქმე იყო პოეტურ ტექსტში მიმოფანტულ იმგვარ მინიშნებათა ამოკრება, რომელიც ავტორის რელიგიური კუთვნილების შესახებ მეტყველებდა, და შემდგომ კი, – მათი ახსნა, კონტექსტური ანალიზი და პოემის ავტორის (სწორედ ავტორის!) რელიგიური შეხედულებების გამო დასკვნების გამოტანა. განზოგადებას ისიც ართულებდა, რომ არ არსებობდა საერთო და დადგენილი თვალსაზრისი, თუ რა ეკუთვნოდა პოემის მოღწეულ ხელნაწერებში ნაწარმოების ავთენტიკურ ავტორს (თანდათანობით ცხადდებოდა, რომ ტექსტის შემადგენლობის საბოლოო დადგენა შეუძლებელი ხდებოდა ჩანართებისა და დანართების უზარმაზარი რაოდენობის გამო).

მეოცე საუკუნეში ამა თუ იმ რელიგიური კონფესიისადმი პოეტის მიკუთვნების დიაპაზონი მეტად ფართო აღმოჩნდა: მანიქველთაგან (პავლე ინგოროყვა) პანთეიზმამდე (ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე), სეფასიანობიდან (იუსტინე აბულაძე) ისლამამდე (ნიკო მარი), ქრისტიანული ნეოპლატონიზმიდან (ნიკო მარი) ქრისტიანულ არისტოტელიზმამდე (მოსე გოგიბერიძე, ელგუჯა ხინთიბიძე), ბიბლიური ქრისტიანობიდან (კორნელი კეკელიძე) ეზოტერიულ ქრისტიანობამდე (მანანა გიგინეიშვილი, ზვიად გამსახურდია).

ეკლესიის მოძღვრებას დაფუძნებული მართლმორწმუნე (ორთოლოქსული) ქრისტიანული აღმსარებლობის მიჩნევა რუსთველის პირად თუ შემოქმედებით კონფესიად რუსთველის კვლევათა შორის მხოლოდ ორიოდ სეროზულ გამოვლინებას მოითვლის, რომლებიც ინსტიტუციურად (კალისტრატე ცინცაძე) თუ გეოგრა-

ფიურლად (ვიკტორ ნოზაძე) დაზღვეული იყო კომუნისტური გავლენის ან კომუნისტური იდეოლოგიური ცენზურისაგან: პირველი შემთხვევისას მკვლევარი სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა, თანაც მის უმაღლეს ფენას, ხოლო კათოლიკოს-პატრიარქს არც მარქსისტული პოზიციით "ვეფხისტყაოსნის" განსჯა მოეთხოვებოდა და არც ქრისტიანულ თემათა ძიებისათვის მიიღებდა კომუნისტური პარტიისაგან საყვედურს; პოემის რელიგიურობის მეორე შემსწავლელი კი ლათინურამერიკულ თუ პარიზულ ემიგრაციაში იმყოფებოდა და, ბუნებრივია, არავითარ ანგარიშს არ უწევდა საბჭოთა მეცნიერებაში დამკვიდრებულ სხვადასხვა კონვენციებს.

ამ პოზიციის შემდგომი, თუნდაც არასისტემური გამოძახილი გაჩნდა ივანე ლოლაშვილისა და აკაკი გაწერელიას გამოკვლევებში, სადაც "ვეფხისტყაოსნის" ავტორის რელიგიური აღმსარებლობის საკითხი განიხილებოდა მართლმორწმუნე ქრისტიანობის ფარგლებში და ეს დასტურდებოდა – კალისტრატე ცინცაძისა და ვიკტორ ნოზაძის კვალობაზე – აღმოსავლურქრისტიანული დოგმატური თუ ლიტურგიული (მათ შორის, პაგიოგრაფიული) ტექსტებით. ზემორე მოხსენიებულებთან ერთად, ამ ნაკადს უნდა მიეკუთვნოს მაია რაფაეაც, რომლის მცირე ნაშრომში "ვეფხისტყაოსნის" ზოგიერთ რელიგიურ-თეოლოგიურ ცნებათა წყაროდ მიჩნეულია იოანე დამასკელის მთავარი დოგმატური კომპენდიუმი. მაგრამ ეს უკვე ის ხანაა, 1960-1970-იანი წლები, როცა საბჭოთა ცენზურის სიფხიზლე მნიშვნელოვნად იყო შესუსტებული.

ამუამად საკითხი ამგვარია: რამ განაპირობა, რომ რუსთველის კვლევები – დაწყებული "ვეფხისტყაოსნის" ვახტანგისეული გამოცემიდან – პოემის ავტორის რელიგიურ აღმსარებლობად მართლმორწმუნე ქრისტიანობას მიიჩნევდა (რაც თავისთავად ძველ ქართულ კულტურულ სივრცეშივე არ იყო საყოველთაოდ გაზიარებული, რასაც ადასტურებს – სულ მცირე – პოემის ხელნაწერების თითქმის უგამონაკლისოდ პირველი ჩანართი სტროფი: "პირველთავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად" და ტიმოთე გაბაშვილის ინვექტივა პოემისა და მისი ავტორის წინააღმდეგ), მაგრამ ვახტანგ მეექვსის შემდგომ მაინც ხანგრძლივი დრო დასჭირდა იმ თვალსაზრისის მყარად დამკვიდრებას, რომ პოემის ავტორი არც ანტიქრისტიანი, არც არაქრისტიანი და არც ქრისტიანობის რომელიმე მარგინალური მიმდინარეობის მიმდევარი არ ყოფილა, და ეს დამკვიდრება თანდათანობით მხოლოდ მეოცე

საუკუნეში, და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, გახდა შესაძლებელი?

როგორც ჩანს, რუსთველის მკვლევართა მიერ რუსთველის რელიგიური აღმსარებლობის ძიება ეკლესიის დოგმატური მოძღვრების ფარგლებს გარეთ განპირობებული იყო მეოცე საუკუნის იდეოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული კონტექსტით:

ა) ეპოქისათვის – განსაკუთრებით საუკუნის პირველი ნახევრისათვის – ჩვეული და დამახასიათებელი ზოგადი ანტიქრისტიანული (თუნდაც ნიცშეელობით აღბეჭდილი) მისწრაფებებით (ამ მისწრაფებათა შეგრძნება კი ცხადი იყო იმ სააზროვნო-კულტურულ გარემოში, სადაც "ვეფხისტყაოსნის" მკვლევრები სულიერად საზრდოობდნენ და საქმიანობდნენ, – ეს ის გარემოა, რომლის ღირებულებებს ვასილ ბარნოვი, გრიგოლ რობაქიძე, ქართველი სიმბოლისტები, კონსტანტინე გამსახურდია წარმოადგენენ);

ბ) ლიბერალურ პოზიციამზე დაფუძნებული თვალსაზრისით, რომ პიროვნება და, შესაბამისად, შემოქმედი მით უფრო "პროგრესულია" (ანუ "შეუზღუდავია"), რაც უფრო მეტადაა მოშორებულია, საერთოდ, რელიგიას ან, მით უმეტეს, რაც უფრო მოწყვეტილი თუ დაპირისპირებულია ეკლესიასა და საეკლესიო მოძღვრებას (მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ნებისმიერი კვლევები, რომელიც არასაეკლესიო-არასასულიერო ტექსტებს შეისწავლიდა, ამ მიმართულებით მიედინებოდა);

გ) პრაგმატულ-პრაქტიკული მოსაზრებით, რომ კომუნისტურ ქვეყანაში რუსთველის სახელმწიფოებრივი კულტის დასამკვიდრებლად (განსაკუთრებით 1934 წლის შემდგომ, როცა საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის დასრულებისთანავე კლასიკური ლიტერატურა იდეოლოგიურად ნებადართულად და სახელმწიფოს მხრივ მხარდაჭერილად გამოცხადდა) მნიშვნელოვანწილად უფრო მისაღები იქნებოდა "ვეფხისტყაოსნის" ავტორის – თუ არა მთლად ანტირელიგიური, "ღმრთისმებრძოლური" – ყოველ შემთხვევისას, "თავისუფლადმოაზროვნე", არაეკლესიური, "ანტიკლერიკალური" პროფილი (მდრ. თუნდაც გვიანდელი პოლემიკა პროკოფი რატიანის იმ თეორიის ირგვლივ, რომელიც ამტკიცებდა, რომ "რუსთველი" ახალ დრომდე მხოლოდ და მხოლოდ ქალაქ რუსთავის ეპისკოპოსს ნიშნავდა და, შესაბამი-

სად, პოემის შემქმნელიც უეჭველად ეპისკოპოსი იქნებოდა, – ამ თეორიის წინააღმდეგ ხუთი ცნობილი პროფესორის კრიტიკულ სტატიას ასე ეწოდებოდა: “რუსთაველზე კლერიკალური თვალსაზრისის წინააღმდეგ”, რომელიც 1969 წელს გამოქვეყნდა, საბჭოთა რეჟიმის საკმაოდ “ვეგეტარიანულ” ხანაში!).

შედეგად, შესაძლებელია დარწმუნებით ითქვას, რომ სწორედ ეს სამი გადამწყვეტი მიზეზი განაპირობებდა რუსთაველის კონფესიური კუთვნილების ძიებას მართლმორწმუნე ქრისტიანობის მიღმა, – სავარაუდოდ, ეს სამი მიზეზი უმეტესწილად არც იკვეთებოდა ერთმანეთთან, – და არანაირი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია ისტორიულად არსებულ არცთუ სანდო და მცირედ მეტყველ საბუთებს: ქართულ ლიტერატურულ ტრადიციაში ძველთაგანვე მოარული ბუნდოვანი ცნობა რუსთაველისა და მისი პოემის კონფლიქტურობის შესახებ ეკლესიასთან თუ ეკლესიის მოძღვრებასთან სხვადასხვა ხსენებულ კონცეფციათა უფრო არგუმენტს წარმოადგენდა, ვიდრე წყაროს (ახალ დრომდე ქართულ კულტურაში რუსთაველის მიმართ “პოლემიკური” დამოკიდებულება საფუძვლიანად შეისწავლა მერი გუგუშვილმა, რომელმაც სწორედ ეს კონფესიურ-დოგმატური დაპირისპირების მოტივი უარყო; შემდგომ ამავე დასკვნებამდე მივიდა შერმადინ ონიანიც). სავარაუდოა, რომ უმეტესი შემთხვევისას წინასწარგანწყობა, განპირობებული ამ სამი მიზეზით, მაინც წინ უსწრებდა კონცეფციის ჩამოყალიბებას და ამდენად წყაროებს აღარ ენიჭებოდა პირველადი თუ გადამწყვეტი მნიშვნელობა.

საკითხი ამგვარად გაგრძელდება: რომელმა გარემოებებმა განაპირობა რუსთაველის კვლევების სვლა იქით, რომ პოეტის პირადი კონფესიის ან პოემაში გამოხატული რელიგიური აღმსარებლობის სახელდება მართლმორწმუნე ქრისტიანობის მიმართულებით წასულიყო? გარდა იდეოლოგიური და კულტურული კონტექსტისა, თუნდაც “კეთილშობილური” მისწრაფებებით რუსთაველის “ავტორიტეტის” შენარჩუნების სურვილისა, რა უშლიდა ხელს პოემის ტექსტში ტრადიციული და მყარი ქრისტიანული აღუზიების დანახვას?

საკვლევი მასალის შესწავლა და განსჯა იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ ამ გზის სირთულე, – ანუ სირთულე კონკრეტული და წყაროებით დასაბუთებული პასუხის პოვნისა, – განაპირობა, კონკრეტულად, ძველი ქართული თეოლოგიურ-თე-

ორიული ცოდნის უკმარობამ, ხოლო, ზოგადად, ქრისტიანული მოძღვრების წყაროთა მიუწვდომლობამ თუ გაუთავისებლობამ, რითაც აღბეჭდილი იყო მეოცე საუკუნის უმეტესი დრო, და კიდევ, მეცხრამეტე საუკუნიდან და, განსაკუთრებით, საუკუნის ბოლოდან გადმოსულმა გაბატონებულმა ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ ქრისტიანული მემკვიდრეობის მიმართ.

ამ მხრივ, გასულ საუკუნეში პირველი – და კარგა ხნის მანძილზე ერთადერთი – გამონაკლისი იყო კორნელი კეკელიძის კვლევა: რუსთველის შემოქმედების ქრისტიანობასთან დაკავშირების საგანგებო მცდელობა. თუმცა ამ კვლევებსაც "ვეფხისტყაოსნის" ავტორი მაინც გაჰყავდა ქრისტიანობის მაგისტრალური მართლმორწმუნეობის ფარგლებიდან და მიაკუთვნებდა მას "ბიბლიურ ქრისტიანობას", რომელიც, მკვლევრის აზრით, დაშორებული იყო ყოველგვარ დოგმატურ მოძღვრებას (რაც, სიმართლე რომ ითქვას, შესამჩნევ ანაქრონიზმად ჩანს, – ოდენ წმიდა წერილზე დაყრდნობილი ქრისტიანული მოძღვრება ქრისტიანობის ისტორიაში პრინციპულად მხოლოდ რეფორმაციის ხანიდან ჩნდება, ანუ შეთქმულსავე საუკუნიდან).

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, დროითი და გეოგრაფიული გამორჩეულობა ქართული ეგრეთ წოდებული საერო-საკარო ლიტერატურისა, რომელიც ტრადიციულად "ვეფხისტყაოსნის" შექმნის ეპოქას უკავშირდება. მეოცე საუკუნის განმავლობაში ამგვარი ლიტერატურის წარმოშობის თეორია სამი განსხვავებული კონცეფციის სახით ჩამოყალიბდა: სპარსული პოეზიის გავლენა (ნიკო მარი), ქართული წარმართული, ანუ "ანტიკური" მემკვიდრეობის აღორძინება (ჰავლე ინგოროყვა, შალვა ნუცუბიძე; შდრ. ნუცუბიძისეული კონცეფცია "აღმოსავლური რენესანსის" შესახებ, რომელსაც შემდგომ ინგოროყვაც მიემხრო), ქრისტიანული მწერლობის ორგანული განვითარება (კორნელი კეკელიძე). შესაბამისად, ამ სამი თეორიიდან იმთავითვე მხოლოდ იგი დაუკავშირებდა "ვეფხისტყაოსანს" ქრისტიანულ რელიგიას, ვისთვისაც საერო-საკარო ლიტერატურა ქრისტიანულ საწყისებზე აღმოცენდა.

შემდგომმა კვლევებმა საკმაოდ საფუძვლიანად დაადასტურა რუსთველის კუთვნილება მართლმორწმუნე ქრისტიანობის წიაღისათვის, რაც იმჟამად განაპირობა ქრისტიანობის უკეთესმა თეორიულმა ცოდნამ (კალისტრატე ცინცაძე, ვიკტორ ნოზაძე) და ქართული ქრისტიანული ტექსტების უკეთესმა ხელმისაწვდო-

მოხამ (ივანე ლოლაშვილი, აკაკი გაწერელია, მაია რათავა და სხვ.), რაც ამ ტექსტების სისტემურმა გამოქვეყნებამ მოიტანა.

ამავე დროს, შესუსტდა, ერთი მხრივ, კომუნისტური იდეოლოგიის წინეივ საქართველოში (განსაკუთრებით გასული საუკუნის ბოლო მესამედში) და, მეორე მხრივ, ლიბერალურ-ანტიკლერიკალური განწყობებიც ზოგადად.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში, ისევე როგორც სხვა მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებში, თანდათანობით არა მარტო ყურადღება ეპყრობა შუა საუკუნეთა კულტურას, არამედ ის დიდდაც ფასდება, ხოლო მისი შესწავლა თავისთავადი – ავტონომიური და საგანგებო – ხდება (ამ კულტურის ღირებულება აღარ განისაზღვრება, ვთქვათ, ისტორიულ ძიებათათვის დახმარების თუ ხელშეწყობის სარგებლიანობით).

ეგრეთ წოდებული საერო-საკარო ლიტერატურის წარმოშობის კვლევისას კი სულ უფრო ნაკლებად და ფერმკრთალად განიხილებოდა ის თეორიები, რომლებიც საყრდენ საფუძვლად არ განიხილავდა ქრისტიანულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. სტალინური რეჟიმის მიერ “ეროვნული კულტურის” დამკვიდრების ცდებმა 1930-იანი წლებიდან, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა 1940-იანი წლებიდან (ამ ათწლეულის ბოლოს წამოწყებული “ბრძოლით კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ” და თავისი სამომავლო ნაციონალისტური განჭვრეტებით), სრულიად შეუძლებელი გახადა კვლევების წარმართვა სპარსული გავლენებისა და აღუზიების საძიებლად, რასაც საჯარო-კულტურული განწყობებიც გამორიცხავდა (მაგალითად, თავისი ამგვარი ადრეული “შეცდომების” მონანიება მოუხდა ალექსანდრე ბარამიძეს; არასოდეს გამოქვეყნებულა ელენე მეტრეველის ნაშრომი რუსთველისა და ნიჟამის მონათესავეობის შესახებ). ასევე, მალე მინავლდა “აღმოსავლური რენესანსის” თეორიის მიმდევართა მგზნებარებაც, – თუნდაც ამ ცნების არსებრივი განუსაზღვრელობის გამო.

1960-1970-იან წლებში “ვეფხისტყაოსნის” ავტორის რელიგიური კუთვნილების კვლევა გადაეჭაჭვა რუსთველის ბიოგრაფიის საკითხების კვლევას, რაც განპირობებული იყო იმ ახალი აღმოჩენებით (განსაკუთრებით, იერუსალემური მასალების მონაცემებით), რომლებიც პოეტად მიჩნეული პიროვნების ბიოგრაფიას ქრისტიანობის ფარგლებში ათავსებდა. მკვლევართა მიერ წარმოსახული რუსთველი წმიდა მიწაზე ქრისტიანული მონასტ-

რის სენაკში აღმოჩნდა (თუნდაც, ზოგიერთი თვალსაზრისით, იგი ბოლომდე მაინც ერისკაცად დარჩა). ამ ნაკადის უკიდურესი გამოვლინება იყო პოემის ავტორის ეპისკოპოსად მიჩნევა (პროკოფი რატიანი). მაშინ, როცა უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა რუსთველის მართლმორწმუნე ქრისტიანად აღიარების მხარდამჭერთა უპირატესობა, შალვა ნუცუბიძე ცდილობს, ჩამოაყალიბოს ახალ კონცეფცია ორი "ვეფხისტყაოსნის" შესახებ: ამ თვალსაზრისით, რუსთველს, ეკლესიასთან შერიგებულს, უკვე მოხუც, მონანიე პოეტს, დაუმთავრებელი რჩება "მეორე" "ვეფხისტყაოსანი", – ამჯერად დოგმატური, საეკლესიო ქრისტიანობის სულისკვეთებით განმსჭვალული წიგნი, – რომლის შემორჩენილი ნაწყვეტები გაბნეულია "პირველი" "ვეფხისტყაოსნის" ტექსტში.

ამ დროსვე ჩნდება თვალსაზრისი, რომელიც ჯერჯერობით მაინც ფრაგმენტულ კვლევებად რჩება: რუსთველის რელიგიურ შეხედულებათა დაკავშირება ემოტიური-ოკულტურ მოძღვრებებთან (მანანა გიგინეიშვილი, ზვიად გამსახურდია). როგორც ჩანს, ჯერ ერთი, იმდროინდელი ეკლესიის მარგინალურობა ქართულ საჯარო გარემოში არ იძლეოდა საშუალებას – საკუთარი აღქმიდან გამომდინარე – ქართული კულტურის ცენტრალური ტექსტი მთლიანად და ოდენ ეკლესიურ გარემოში მოთავსებულიყო, ხოლო, მეორე მხრივ, რუსთველის კონფესიური ადგილის მიჩენა ამ ოკულტური მოძღვრებების წიაღში საჭირო აღმოჩნდა ეროვნულ ნიადაგზე საყრდენის მოსაპოვებლადაც და "ვეფხისტყაოსნის" ავტორის "ზიარებულთა" შორის ჩასარიცხადაც.

რენესანსისა და მისი ღირებულებების მიმართ საუკუნის მიწურულისათვის გაჩენილი უნდობლობა, ზოგადი დაქვეება რენესანსული ნახტომის შედეგების შეფასებისას უბიძგებს ელგუჯა ხინთიბიძეს რუსთველის პოემიის რელიგიურ საფუძვლად შუა საუკუნეების სულიერ-კულტურულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობილი ქრისტიანული ჰუმანიზმი მიიჩნოს.

არა მარტო მწერალნი, არამედ ამ მწერალთა შემსწავლელნიც კონკრეტულ, შეზღუდულ დროში ცხოვრობენ და ეს კონკრეტული, შეზღუდული დრო ისევე გარდაუვალად აირეკლება სწავლულთა კვლევებში, როგორც – მწერალთა შემოქმედებაში.

პიროვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი და "რუსთველის სამყარო"

1. ენციკლოპედიური ლექსიკონის რაობა. ლექსიკონი და ენციკლოპედია, შესაძლოა, სხვადასხვა ისტორიულ დროსა და სივრცეში, სხვადასხვა კულტურულ გარემოში ერთმანეთს ფარავდა ან ერთმანეთს ენაცვლებოდა, და ასეც მომხდარა, მაგრამ ისინი გამიჯნული ცნებებია და არაა სინონიმები, – ისინი თვისებრივად განსხვავებულ შინაარსს აღნიშნავს და გამოხატავს.

განსხვავება ენციკლოპედიასა და ლექსიკონს შორის, – რომელიც არაერთსაუკუნოვანი გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბდა, – უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდება იმით, რომ ლექსიკონის უპირატესი განსაზღვრება სიტყვათა ანბანურად დალაგება და მათი განმარტებაა, ენციკლოპედია კი ცოდნის მოკლედ, მაგრამ შესაბამისად ამომწურავ გადმოცემას ისახავს მიზნად. ლექსიკონი შეიძლება იყოს ვიწრო, შეზღუდული დანიშნულებისა ან ფარგლებისა, და ჰქონდეს მას კონკრეტული შინაარსი თუ კონკრეტული ამოცანა (თავდაპირველი ბერძნული ეტიმოლოგიით, ის სიტყვათა ერთიანობას, სიტყვათა ჩამონათვალს ნიშნავს), ხოლო ენციკლოპედია ყოველთვის სითვართოვეს გულისხმობს და მისი ამოცანაა საკითხის ან საკითხთა სრულად მომცველობა (რასაც მისი თავდაპირველი ბერძნული ეტიმოლოგიაც მეტყველებს: წრიული, ანუ ამომწურავი, საყოველთაო სწავლება). ლექსიკონი უმეტესად ანბანურ ნუსხას გულისხმობს, ენციკლოპედია კი სულაც არაა აუცილებელი, რომ ანბანური წყობისა იყოს და ის ხშირად სასურველი თემების შესახებ თხრობათა მეტ-ნაკლებად გაშლილ ნაკრებს წარმოადგენს.

ამდენად, ენციკლოპედიური ლექსიკონი, სახელდების თვალსაზრისით, არ შეიცავს ტავტოლოგიის საფრთხეს. ის ერთდროულად გულისხმობს როგორც ცნებათა თუ სახელთა ანბანურად დალაგებას, ისე საკითხთა ამომწურავ სისრულესაც (რა თქმა უნდა, შესაძლებლობის კვალობაზე). ბუნებრივად იგულისხმება, რომ ენციკლოპედიურ ლექსიკონში სახელებიც, ცნებებიც და საკითხებიც ყოველთვის განმარტებულია (ვრცლად ან მოკლედ,

– ენციკლოპედიური ლექსიკონის გადაწყვეტილ-შეთანხმებული მოცულობის მიხედვით).

მსგავსების თვალსაზრისით, ლექსიკონი სიტყვების, ანუ საგანთა თუ ქმედებათა სახელების ჩამონათვალისა და ამათ განსაზღვრებათა მთლიანობაა; ენციკლოპედიაც ცნებებს განსაზღვრავს და განმარტავს, ოღონდ მეტი სისრულითა თუ სიღრმით, ისტორიული რეტროსპექტივისა თუ განვითარების პერსპექტივის მეტი წარმოჩენით, საკითხის შესწავლის თანდართვით. მაგრამ, განსხვავების თვალსაზრისით, ლექსიკონი არ შეიცავს, გამოირიცხავს საკუთარ სახელებს (თუ ის არაა საკუთარ სახელთა საგანგებო ლინგვისტური ან პრაქტიკული გამოყენების ლექსიკონი), არ განმარტავს კონკრეტულ ისტორიულ პიროვნებათა, ისტორიულ მოვლენათა და გეოგრაფიულ სახელებს, რითაც ის არ ჰგავს ენციკლოპედიას, რომლის უმთავრესი სახე და საყრდენი სწორედ ამგვარი თემების გამო დაწერილ სტატიათა ერთობლიობაა, ხოლო ეს სტატიები მოიცავს ინფორმაციასა თუ მსჯელობას, ან ორივეს ერთად, რომელიც შეიძლება თემას შუაგულ ან, ასევე, ირგვლივაც შეეხებოდეს.

ენციკლოპედია სრულიადაც არ გულისხმობს საკითხის თუ საკითხების მთელი სისავსით განხილვა-გადმოცემას და მიზნად არ ისახავს ცოდნის სრულყოფილ მიწოდებას (როგორც ჩანს, ენციკლოპედიის დანიშნულების არასწორმა თუ არაზუსტმა გაგებამ წარმოშვა მცდარი შინაარსი იდიომისა "ენციკლოპედიური განათლება", რაც, არსობრივად, უნდა გულისხმობდეს მრავალმხრივ და შეუზღუდავ, მაგრამ მაინც ზედაპირულ, ზერეულე, არასიღრმისეულ ცოდნას, – უფრო მეტად ინფორმაციათა ფლობას, ვიდრე საფუძვლიან განათლებას). მაგრამ, ამავე დროს, საჭიროა, ენციკლოპედიამ მიაღწიოს თემათა ამოწურვას და ის შეძლებისდაგვარად უნდა მოიცავდეს ყველა შესაბამისად აუცილებელი თემის ჩამონათვალის სისრულეს. თუმცა შედეგად, თავის მხრივ, სწორედ ენციკლოპედია განსაზღვრავს ჩამონათვალ ცნებათა და მათს შინაარსთა დალაგებას: აქსიოლოგიასაც და იერარქიასაც. ის, რაც ენციკლოპედიაშია, ღირებულია თემასთან დაკავშირებით, ხოლო ის, რაც ენციკლოპედიის გარეთ დარჩა თუ აღმოჩნდა, თემასთან დაკავშირებით არაა ღირებული. კიდევ, თემის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი ადგილითა და მოცულობითაც ენციკლოპედიაში.

ლექსიკონი შესაძლოა იყოს როგორც ნორმატიული, ისე დესკრიფციული, ან ითავსებდეს ორივეს, ანუ იყოს კომპლექსური. ნორმატიული ლექსიკონი ადგენს, შემდგენელთა თვალსაზრისით, სწორს და გამართლებულს, და იძლევა ამ სწორის ერთადერთ შემთხვევას (როგორც ხდება, ვთქვათ, ორთოგრაფიულ ლექსიკონებში), ხოლო დესკრიფციული ლექსიკონი ჩაურევლად აღწერს არსებულს. რაც შეეხება კომპლექსურ ლექსიკონს, ის ახლოსაა დესკრიფციულთან, – წარმოაჩენს იმას, რაც უკვე არსებობდა და არსებობს, – მაგრამ უკვე არსებულს იერარქიულად განსაზღვრავს და ალაგებს საგანგებო გამოყოფით ან მითითებით, თუ რომელია სწორი, ხოლო მისგან მიჯნავს არასწორს. ენციკლოპედიაში ამგვარი შეფასებითი დამოკიდებულება გამოიხატება, ერთი მხრივ, სიტყვანის არჩევანსა და განაწილებაში და მეორე მხრივ, განმარტება-მითითებათა შინაარსში, სადაც კიდევ უფრო მეტი საშუალებაა დამოკიდებულების გამოსახატავად.

შესაბამისად, საუკუნეთა განმავლობაში მკაფიოდ იკვეთება ენციკლოპედიის ღრმა იდეოლოგიურ-ალმზრდელობითი დანიშნულება. ენციკლოპედიაში სიტყვანის არჩევანიც და განმარტებათა შინაარსიც ყოველთვის გამომცემლის პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური თუ კიდევ სხვა ორიენტაციითაა განპირობებული. ამიტომ ენიჭებოდა და ენიჭება ერისა თუ სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას განსაკუთრებული დანიშნულება და მნიშვნელობა ენციკლოპედიების მომზადებას, შედგენას, გამოცემას.

კიდევ, მუშაობა ენციკლოპედიის შესაქმნელად, როგორც აკადემიურ-კულტურული საქმიანობა, არა მარტო პროცესია, არამედ ამგვარი საქმიანობის შეჯამებაცაა, – უკვე მიღწეულის წარმოჩენაც და, ამავე დროს, იმის პერსპექტივის დასახვაც, თუ რა არის კიდევ გასაკეთებელი და მისაღწევი. ზოგადად, ენციკლოპედია წყაროცაა ცოდნის შესაძენად და ბიძგიც ცოდნის მოსაპოვებლად.

ამდენად, ენციკლოპედიური ლექსიკონი იმგვარი საცნობარო ლექსიკონია, რომელშიც ან საყოველთაო, ან რომელიმე ფართო საკითხის ცოდნა თემათა წყებით ამომწურავადაა წარმოდგენილი.

ენციკლოპედიური ლექსიკონების რაოდენობა საქართველოში უკიდურესად მცირეა.

2. სალექსიკონო-საენციკლოპედიო ტრადიცია საქართველოში. ლექსიკონების შედგენის ტრადიცია, ზოგადად, ქართულ კულტურულ გარემოში ხანმოკლე ნამდვილად არაა, მაგრამ ამ ტრადიციის ხანგრძლივობა, სამწუხაროდ, არანაირად არ ნიშნავს მის სიმდიდრეს ან მრავალფეროვნებას. ქართული ლექსიკონები, თუკი საზომად ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება იქნება აღებული, არც ისე ბევრია და ეს შეეხება, ფაქტობრივად, ყველა სახის ლექსიკონს. ხოლო იმ შემთხვევისას, როცა მათ შორის ენციკლოპედიებიც იქნება ნაგულისხმები, ქართულად შედგენილი და გამოცემული ენციკლოპედიური ლექსიკონები, საერთოდ, თითებზეა ჩამოსათვლელი.

საგანგებოდ უნდა ითქვას, შემთხვევითი არაა, რომ ქართული ლექსიკონგრაფია სათავეს იღებს მაშინ, – სულხან-საბა ორბელიანის “ქართული ლექსიკონის” სახით, – როცა მკათიოდ ყალიბდება ერის მთლიანობის იდეა: ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე გარემოში (რომელსაც პირობითად “მეფე ვახტანგ მეექვსის კულტურული წრე” შეიძლება ეწოდოს) იქმნება ქვეყნის ერთიანი ისტორია (როგორც “ახალი ქართლის ცხოვრება”, ისე ბატონიშვილ ვახუშტის “აღწერა სამეფოსა საქართველოსა”); ყალიბდება ქვეყნის ერთიანი სამართალი (“ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი”, “დასტურლამალი”); ქვეყნდება ქართული კულტურის მთავარი ტექსტის – “ვეფხისტყაოსნის” ერთიანი, კანონიკური და კომენტირებული გამოცემა; დასაბეჭდად მზადდება წმიდა წერილის ერთიანი, სრული და კანონიკური ქართული ტექსტი. სწორედ სახელმწიფოებრივ-ეროვნული განვითარების ამ ეტაპზევე, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, იქმნება საბასეული პირველი ქართული ლექსიკონი, – განმარტებითი ლექსიკონი, – რომელსაც სწავლული მეფე საკუთარ სახელდებასაც მიანიჭებს: “სიტყვის კონა”.

შემდგომში, სულხან-საბას ორბელიანის დროიდან დღემდე, შედგა და გამოიცა არაერთი ქართული ლექსიკონი: უმთავრესად განმარტებითი, ორენოვანი თარგმნითი, ენობრივი, ეტიმოლოგიური, დიალექტოლოგიური, სინონიმებისა, ისტორიული, დარგობრივი თუ პროფესიულ-ტექნიკური (მათ შორის, ტერმინოლოგიური) სახისა და შინაარსისა.

უნივერსალური ქართული ენციკლოპედია გამოიცა ერთადერთხელ, – “ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის” სახელწოდებით, რომელიც თორმეტი ტომისაგან შედგება.

რაკი ყველა ქართული ლექსიკონიცა და ენციკლოპედიაც, რომელიც მეოცე საუკუნის მიწურულამდე გამოქვეყნებულა, – სულხან-საბა ორბელიანის “ლექსიკონის” ფაქტობრივი გამოკლებით, – შექმნილია ან რუსეთის იმპერიაში, ან კომუნისტურ საბჭოთა კავშირში, შესაბამისად, ყოველი მათგანი, – მკაცრად შემოფარგლულ-შეზღუდული და დაწესებული ჩარჩოების პირობებში, რაც განპირობებული იყო გაბატონებული პოლიტიკურ-კულტურულ-რელიგიური პირობებით, – ცოდნის გადაცემა-გავრცელების გარდა, ემსახურებოდა და მიზნად ისახავდა იდეოლოგიური აღზრდის ამოცანასაც: ამკვიდრებდა პირველ შემთხვევისას იმპერიის, ხოლო მეორე შემთხვევისას კი კომუნიზმის მორჩილ ერთგულებას. მხოლოდ საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოში შეიქმნა შესაძლებლობა, ჩამოყალიბებულიყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დანიშნულების ლექსიკონი, ენციკლოპედია თუ ენციკლოპედიური ლექსიკონი. ეს გაჩენილი შესაძლებლობა განვლილი დროის განმავლობაში მეტ-ნაკლები ნაყოფიერებითა და შედეგიანობით იქნა გამოყენებული თუ ხორცმესხმული (ვთქვათ, შეყოვნებულია და აქამდე დაუმთავრებელია ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში წამოწყებული როგორც მრავალტომეული ენციკლოპედიის – “საქართველოს” გამოცემა, ისე “ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის” ახალი რედაქციის ტომების გამოქვეყნება, ხოლო ახალი, არასაბჭოთა უნივერსალური ქართული ენციკლოპედიის შექმნის მცდელობის თუნდაც სურვილიც კი ჯერჯერობით არსად გამოცხადებულა).

სათქმელის შესამოკლებლად, საკმარისია აღინიშნოს, რომ ავტორს უკვე საშუალება ჰქონდა, წლების წინ გამოეთქვა თავისი კონკრეტული თუ ზოგადი თვალსაზრისი საქართველოში სალექსიკონო-საენციკლოპედიო საქმიანობის შესახებ (იხ. ავტორისეული ადრეული სტატიები “ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისა”¹ და “ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის”² გამოცემათა შესახებ).

1 მერაბ ლალანიძე, “ძველი ლექსიკონის ახალი დასაწყისი”, *კადმოსი: ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი*, 1, 2009, გვ. 321-325. [შესულია, ასევე, წგ-ში: მერაბ ლალანიძე, *ლიტერატურა, კულტურა, რელიგია*, 1, თბ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2021, გვ. 324-331.]

2 [წარმოდგენილი მოხსენების გამზადების შემდეგ გამოქვეყნდა: მერაბ ლალანიძე, “ერთადერთი „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“”, წგ-ში: მერაბ ლალანიძე, *ლიტერატურა, კულტურა, რელიგია*, 1, თბ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2021, გვ. 498-502; ტექსტი დაწერილია 2000 წელს.]

3. პიროვნების ენციკლოპედიური ლექსიკონის სიტყვანის შედგენისა და სალექსიკონო სტატიის აგების მეთოდოლოგია. პიროვნების ენციკლოპედიურ ლექსიკონად იგულისხმება იმგვარი ლექსიკონი, სადაც გარკვეული, წინასწარ დადგენილი სისტემის საფუძველზე დალაგებულია განსაზღვრული სტრუქტურის სალექსიკონო სტატიები, რომლებიც ერთი პიროვნების ბიოგრაფიას, საქმეებს, გარემოსა და გამოძახილს წარმოაჩენს.

ამგვარი ლექსიკონის სიტყვანის შედგენისას სალექსიკონო სტატიათა ნუსხა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნით: სტატიათა მთლიანობა უნდა ასახავდეს არჩეული პიროვნების ცხოვრებისეულ ფაქტობრივ მონაცემებს, მისი საქმიანობის ყველა მნიშვნელოვან გამოვლინებას და, მათ შორის, მის შემოქმედებითს მემკვიდრეობას (თუკი იგი ამგვარადაც იყო ნაყოფიერი); ამავდროს, ნაჩვენები უნდა იყოს ამ პიროვნების სრული ბიოგრაფიული გარემო, მისი ცხოვრებისა და საქმიანობის ისტორიული, პოლიტიკური, იდეური, რელიგიური, ინტელექტუალური და კულტურული კონტექსტი, მისი კავშირები სხვა ადამიანებთან (ივარაუდება როგორც ცოცხალი, ასევე მემკვიდრეობითი კავშირები – წინაპრებთან თუ შთამომავლებთან); აგრეთვე, იმ სფეროსა თუ დარგის ვითარება, – უშუალოდ მის დროს, უშუალოდ მანამდე, უშუალოდ მის შემდეგ, – რომელშიც მას უჩვენდა საქმიანობა; დაბოლოს, ის შენაძენი, რაც ამ პიროვნების საქმიანობას მოჰყვა შედეგად.

რაკი ლექსიკონში სტატიების მნიშვნელოვანი წილი ეთმობა არა უშუალოდ ცენტრალურ საენციკლოპედიო პიროვნებას, არამედ იმ თემებსაც და იმ პიროვნებებსაც, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ან არიან მასთან, ამიტომ მკაფიოდ უნდა განისაზღვროს მათი შერჩევის პირობა: ამგვარ პირობად, როგორც ჩანს, უნდა დაიდოს წესი, რომ ცალკეული, საგანგებო სტატიებისათვის არჩეული იქნება მხოლოდ ის შემთხვევები, როცა საქმე გვაქვს უშუალო კავშირებთან, ან კიდევ, თუ ეს კავშირი, ერთი მხრივ, განმაპირობებელი იყო თავად ცენტრალური პიროვნებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, როცა განმაპირობებელი იყო ამ ცენტრალური პიროვნების გავლენა, – როგორც სხვა პიროვნებათათვის, ისე, ზოგადად, თემებისათვის.

სალექსიკონო სტატია აიგება საკითხის შესწავლის როგორც ისტორიული, ისე აქტუალური მდგომარეობის გათვალისწინე-

ბით, თუმცა, ლექსიკონის მოცულობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ასახული იყოს მხოლოდ აქტუალური მდგომარეობა, ანუ საკითხის კვლევის მხოლოდ იმუამინდელი მონაპოვარი. ამავდროს, შესაძლებელია, ენციკლოპედიურმა ლექსიკონმა წამოაყენოს სრულიად ახალი კონსეფციური მიდგომა, მაგრამ ყოველმხრივ სასურველია, რომ ეს სიახლე, – მით უმეტეს, თუკი ის კონკრეტულია, – მანამდე და სხვაგან იქნეს განხილული ვრცლად, ღრმად და საბუთიანად საკითხის საგანგებო კვლევისას, ხოლო ამ კვლევის შედეგები მხოლოდ გაზიარებული და დამოწმებული იყოს სალექსიკონო სტაგიაში.

სტაგიას ყოველთვის დაერთვის შესატყვისი ბიბლიოგრაფია, რომლის სიფართოვე დამოკიდებული იქნება ლექსიკონის მოცულობასა და მიზანდასახულობაზე. ხდება, როცა ბიბლიოგრაფიული სისრულე ამგვარი ლექსიკონის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად იქცევა.

პიროვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი შესაძლოა დალაგდეს როგორც ანბანური, ისე თემების არჩევანის საფუძველზე, მაგრამ რაკი მას სწორედ ლექსიკონი ეწოდება, მის გარეგნულობას განსაზღვრავს სტაგიათა ანბანური თანმიმდევრობა. რაკი, ამ მოსაზრებით, პიროვნების ენციკლოპედიურ ლექსიკონს ანბანური სახე აქვს, სხვა საძიებლებთან ერთად, მას უნდა ერთვოდეს თემათა საძიებელიც, რომელიც თემების შესაბამისად დაალაგებს და საფეხურებრივად გაშლის იმ ინფორმაციასა თუ ცოდნას, რაც წარმოდგენილია ლექსიკონში.

პიროვნების ენციკლოპედიური ლექსიკონის საბოლოო მიზანია, მიმოხილული იქნეს არა მარტო შესაძლებლად სრულად მონაცემები ამ კონკრეტული პიროვნების შესახებ, არამედ, ასევე, დაიხატოს მისი გარემომცველი ისტორიულ-კულტურული არე, წარმოდგენილი მრავალმხრივი სურათის სახით. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მკაფიოდ უნდა შენარჩუნდეს საჭირო წონასწორობა და თანაფარდობა ამ ორ მიზნობრივ მიმართულებას შორის.

ენციკლოპედიური ლექსიკონის სიტყვანის შედგენისა და სალექსიკონო სტაგიის აგების წარმოდგენილი მეთოდოლოგია საფუძველად დაედება იმ ჩანაფიქრს, რომელიც ამჟამად მუშავდება: "რუსთველის სამყარო: მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი".

4. გეგმა მოსამზადებლად და შესადგენად პიროვნების ენციკლოპედიური ლექსიკონისა: "რუსთველის სამყარო: მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი". არავითარ ეჭვს არ იწვევს, რამდენად საფუძველმდები როლი განეკუთვნება რუსთველსა და მის "ვეფხისტყაოსანს" არა მარტო ქართული კულტურის ისტორიაში, არამედ საქართველოს ყოველდღიურ თუ საჯარო ცხოვრებაში, ან ქართული ეროვნული მეობის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების საქმეში. მრავალი შემთხვევისას, – განსაკუთრებით, კლასიკური ტრადიციის განზომილებაში, – "ქართული კულტურა" „ვეფხისტყაოსნის“ კულტურის“ სინონიმურ მნიშვნელობას იძენს. "ვეფხისტყაოსნის" არსისა და მნიშვნელობის გაცნობიერება, მისი გადამწყვეტი ღირებულების დადგენა ქართულ საჯარო თუ კულტურულ სივრცეში, თავად ტექსტის დეტალური გაგება და ანალიზი, მისი სიღრმისეული, სისტემური ინტერპრეტაცია უკვე კარგა ხანია, რაც ქართული სააზროვნო გარემოს აუცილებელ და ხშირად განმსაზღვრელ-განმაპირობებელ ნაწილად იქცა.

რუსთველის კვლევები სათავეს იღებს 1712 წლიდან და განვლილი სამი საუკუნე ამ დარგში ღირსშესანიშნავი მიღწევებითაა აღბეჭდილი, მაგრამ, მით უმეტეს, თვალშისაცემია ამ სფეროში განმაზოგადებელ-შემაჯამებელ ნაშრომთა დიდი მომჭირნეობა. ამგვართა ჩამოთვლა ადვილი საქმეა და მათი ნუსხაც სულ რამდენიმე წიგნით ამოიწურება: მოსახსენებელია, ერთი მხრივ, გაიოზ იმედაშვილის 1941 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია "რუსთველოლოგია: ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა", რომელიც არა მარტო ბუნებრივადაა მოძველებული, არამედ, საერთოდ, მივიწყებულია მკვლევართა თუ მკითხველთა მიერ და, მეორე მხრივ, ალექსანდრე ბარამიძის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო "შოთა რუსთაველი", რომელიც პირველად 1958 წელს გამოიცა და რომელსაც შემდგომ, მომდევნო ათწლეულებში, ოდნავ განსხვავებული სათაურებით, ორი გადამუშავებული ვერსია მოჰყვა (1966 წელს: "შოთა რუსთველი და მისი პოემა", 1975 წელს: "შოთა რუსთველი"), – ეს წიგნიც, მეთოდოლოგიური დეოლოგიურ და კონცეფციურ მიზნებთან ერთად, თუნდაც ხანგრძლივი ისტორიული ინტერვალის გამო, ვერანაირად ვედარ ასახავს უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული კვლევების შედეგებს რუსთველის ცხოვრებისა და

შემოქმედების შესასწავლად. ქართულ ჰუმანიტარულ სივრცეში ათწლეულების მანძილზე არ გამოცემულა ფუნდამენტური, ერთიანად გააზრებული და სტრუქტურირებული გამოკვლევა რუსთველის შესახებ, რომელშიც მეტ-ნაკლები სისრულით იქნებოდა განხილული ყველა ის საკითხი, რაც “ვეფხისტყაოსანსა” და მის ავტორს შეეხება. ნახევარი საუკუნის თუ მეტი ხნის წინ დაწერილი სახელმძღვანელოები განახლებას, გადახედვას თუ შევსებას საჭიროებს არა მარტო მასალის სისრულის თვალსაზრისით, არამედ მეთოდოლოგიურადაც და კონცეფციურადაც.

1970-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტში შემუშავდა პროექტი “რუსთველის სემინარი”, რომელიც ჩაფიქრებული და განზრახული იყო როგორც რუსთველის კვლევათა თემობრად მრავლისმომცველი და – შესაძლებლობის ფარგლებში – ამომწურავი პანორამა; ეს განუხორციელებელი ჩანაფიქრი განსაკუთრებით მიმართული იყო ვრცელი ბიბლიოგრაფიული მიმოხილვების კუთხით და ითვალისწინებდა, პირველ ყოვლისა, “ვეფხისტყაოსნის” პროფესიულ შემსწავლელთა და სტუდენტთა ინტერესებს. ამდენად, ის არ გულისხმობდა არასპეციალისტ მკითხველებს და, მათ შორის, საშუალო სკოლის მოწაფეებს.

შემდგომ, 1980-იან წლებში, ქართული (საბჭოთა) ენციკლოპედიის ინსტიტუციურ საფუძველზე გადაწყდა, მომზადებულიყო რუსთველის ვრცელი პერსონალური ენციკლოპედია, რომლის საავტორო, საექსპერტო და სარედაქტორო სამუშაოებისათვის ივარაუდებოდა მკვლევართა შეძლებისდაგვარად ფართო წრის მოზიდვა. საყოველთაო ტიპის ენციკლოპედია, ბუნებრივია, გამიზნული იყო სრულიად სხვადასხვა ინტელექტუალური მომზადებისა თუ მოთხოვნების მკითხველთათვის. ქვეყნის იმდროინდელ ცხოვრებაში რადიკალური ცვლილებების შედეგად, როგორც საჯარო-პოლიტიკური, ისე ორგანიზაციულ-შემოქმედებითი მიზეზების გამო ეს მასშტაბური ჩანაფიქრიც მაშინ და შემდგომშიც შეუსრულებელი აღმოჩნდა.

ენციკლოპედიის მომზადების ერთ-ერთ საწყის ეტაპად ივარაუდებოდა 1992 წელს გამოქვეყნებული “ვეფხისტყაოსნის” გამოცემები: ბიბლიოგრაფიული საძიებელი”, რომელ-

შიც აღიწერა პოემის იმუამად არსებული ყველა გამოცემა და ყველა თარგმანი მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე (გამოცემის რედაქტორი: ლევან მენაბდე, სწავლული მდივანი: მერაბ ღალანიძე).

ავტორს თავის დროს მოუწია, შესაბამისი ქმედითი მონაწილეობა მიეღო ორსავე ამ განუხორციელებელ წამოწყებაში, რაც მისი აკადემიური გამოცდილების ერთ-ერთ საწყისად იქცა.

ქართული კულტურის ცენტრალური მოვლენის – "ვეფხისტყაოსნის" – წარმოდგენა დღევანდელი თვალსაწიერიდან, დღევანდელი ინტელექტუალური და კულტურული გამოცდილების გათვალისწინებით, ერთიანი ხედვით, ერთიანი თვალსაწიერით, ერთიანი კონცეფციური თუ მეთოდოლოგიური მიდგომით, ყველა არსებული წყაროსა და მასალის გამოყენებით აუცილებელ და გადაუდებელ ამოცანად წარმოჩნდება მთელი ქართული ჰუმანიტარული კვლევებისათვის.

ათწლეულების განმავლობაში იმ ამოცანის დაუძლეველობა, შექმნილიყო რუსთველის შესახებ შესაძლებლად ამომწურავი, მრავალგანზომილებიანი ფუნდამენტური ნაშრომი, განპირობებული იყო არაერთი ობიექტური თუ სუბიექტური ხელისშემშლელი მიზეზით, რომელთაგან შეიძლება დასახელდეს მხოლოდ რამდენიმე: კოლექტიური მუშაობის პირობებში ერთიანი კონცეფციისა და ერთიანი მეცნიერული ხედვის გარდაუვალი უქონლობა, მკვლევარ-შემსწავლელ ძალთა გაფანტულობა, კულტურულ თვალსაწიერთა მეტისმეტი განსხვავებულობა, მეთოდოლოგიური შეზღუდულობა, იდეოლოგიურ თუ საჯაროდ აღიარებულ-გაზიარებულ კონვენციათა შემოჭველი გავლენა, შესაბამისი მასალის სასურველად დაუმუშავებლობა (კერძოდ, თუნდაც "ვეფხისტყაოსნის" აკადემიური გამოცემის არარსებობა, პოემის აკადემიური კომენტარის მოუმზადებლობა, რუსთველის შემოქმედების ლექსიკური თუ მხატვრული წყაროების აღუწესახაობა, რუსთველის კვლევათა ერთიანი და გამჭოლი ისტორიის უქონლობა)...

დღეს, ჰუმანიტარულ კვლევათა თანამედროვე ეტაპზე, ისევ მწვავედ დგას აუცილებლობა, მომზადდეს და გამოიყენოს ინტეგრალური, მთლიანი ნაშრომი რუსთველის შესაძლო და სავარაუდო პიროვნული მონაცემების, მისი შემოქმედების,

მისი იდეურ-კულტურული წინაპრებისა და სოციალურ-კულტურული გამოცდილის შესახებ საუკუნეთა განმავლობაში.

ამ მოთხოვნის ამჟამინდელ შესაძლო პასუხად ჩანს არა იმდენად მონოგრაფიული ნაშრომის გამზადება რუსთველის შესახებ, რამდენადაც ენციკლოპედიური ლექსიკონის შედგენა, რაც არ მოითხოვს რუსთველის კვლევების ყველა საკითხის ხელახალ პროფესიულ შესწავლას, არამედ წარმოადგენს უკვე მიღწეულის შეჯამებას, ამჟამინდელი მდგომარეობის გააზრებასა და მომავალი შესაძლებლობების თუ მიმართულებების დასახვას.

ნაშრომის – “რუსთველის სამყარო: მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი” – მიზანია რუსთველის კვლევათა დარგში აქამდე ჩატარებულ აკადემიურ ძიებათა შედეგების ასახვა; მიღწეული მონაპოვრის გამოვლინება, გააზრება და შეფასება; დაგროვებული ან ახალმოპოვებული მასალის ინტერპრეტაცია; დამკვიდრებულ კონცეფციათა და, განსაკუთრებით, სტერეოტიპულ თვალსაზრისთა გადაფასება და რეინტერპრეტაცია. გამორჩეულად საყურადღებო იქნება “ვეფხისტყაოსნისეულ” კონცეპტთა საგანგებო ანალიზი იდეათა ისტორიის თვალსაწიერიდან, რისთვისაც ნაყოფიერი იქნება ტექსტის ინტეგრალური ანალიზის შედეგად შემუშავებული კვლევითი მეთოდები.

ჩაფიქრებულ ნაშრომს ექნება ენციკლოპედიური მომცველობა, რომელშიც აისახება როგორც რუსთველის კვლევათა განვლილი ისტორია, ისე ამ კვლევათა თანამედროვე მდგომარეობაც, მაგრამ, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ყველა საკვლევი საკითხი გამთლიანებული იქნება ერთიანი მეთოდოლოგიური და კონცეფციური ღერძით; აღსანიშნავია, რომ მასალის საანალიზოდ გამოყენებული იქნება ახალი თუ აქამდე გამოუყენებელი ლიტერატურის მცოდნეობითი ხერხები და საშუალებები; სამეცნიერო სივრცეში მოექცევა უკანასკნელ ხანებში გამოვლენილი ან საკვლევად ახლად შემოტანილი შესაწყვისი მასალა; ამას გარდა, წარმოჩნდება კვლევათა პერსპექტივები, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ დისციპლინათა შორის განზომილებებში. ნაშრომის ენციკლოპედიური ფორმატი საშუალებას იძლევა, განხილული საკითხები თემების მხრივ იყოს როგორც ამომწურავი, ისე ურთიერთგამჭოლი ერთმანეთის მიმართ. “რუსთველის სამყაროს” განსაკუთრებული

სიახლე ისიცაა, რომ საქმე გვაქვს მწერლის პერსონალური ენციკლოპედიის ხორცშესხმის პირველ მცდელობასთან ქართულ კულტურულ სივრცეში.

ნაშრომი შედგენილი იქნება ენციკლოპედიური ლექსიკონის სახით, რომელშიც წარმოჩნდება შემდეგი თემები: რუსთველის ვინაობა, პოემის თარიღი, ტექსტი, პერსონაჟები და ადგილები, კონცეპტები და სიმბოლოები, პოეტიკა და ტიპოლოგია, პოეტის იდეური, რელიგიური, ფილოსოფიური, სოციალური და ესთეტიკური ხედვები. ამასთანავე, საგანგებო პიროვნული ნარკვევ-სტატიები დაეთმობათ, ერთი მხრივ, მწერლებს, რომელთაც ლიტერატურული გადაძახილი ჰქონდათ რუსთველის სამყაროსთან, ხოლო, მეორე მხრივ, მკვლევარებს, რომელთაც მოუწიათ, აკადემიურად ეკვლიათ რუსთველის ცხოვრებისა თუ შემოქმედების ცალკეული საკითხები.

ენციკლოპედიური ლექსიკონის ნარკვევ-სტატიებს ზოგადი, მიმოხილვითი ხასიათი ექნება, მაგრამ თავად საკითხების წრე მათში ასახული იქნება შეძლებისდაგვარად ამომწურავად.

ლექსიკონის სტრუქტურაში ეს ნარკვევ-სტატიები, ბუნებრივია, ანბანურად დალაგდება, მაგრამ ისინი გამოიყოფა და ჯგუფდება თემების მიხედვით: პოემის პერსონაჟები ("ვეფხისტყაოსნის" ყველა მოქმედი პირი) და ადგილები (არაბეთი, ინდოეთი, ზღვათა სამეფო, გულანშარო...); მისი კონცეპტები და სიმბოლოები (ადამიანი, აღსაყდრება, ბრძოლა, გამოქვაბული, განგება, დრო, ზღვა, იმედი, ლოცვა, მეგობრობა, მეფობა, მიჯნურობა, ნადირობა, სივრცე, სიბრძნე, სოფელი, ფერი, ქორწილი, ღმერთი, ძალაუფლება...); მწერლები და მკვლევარნი, რომელთაც შემოქმედებითი ან სამეცნიერო შეხება ჰქონიათ რუსთველთან და "ვეფხისტყაოსანთან" (ვახტანგ მეექვსე, თეიმურაზ პირველი, არჩილი, თეიმურაზ მეორე, დავით გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ვასილ ბარნოვი, ვალაკტიონ ტაბიძე, ნიკო მარი, იუსტინე აბულაძე, სარგის კაკაბაძე, პავლე ინგოროყვა, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, ვუკოლ ბერიძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, შალვა ნუცუბიძე, ალექსანდრე ბარამიძე, ვიკტორ ნოზაძე, გიორგი წერეთელი, გაიოზ იმედაშვილი, სარგის ცაიშვილი, ზვიად გამსახურდია...; ივარაუდება, რომ პიროვნებათა შორის

არ იქნებიან შეყვანილი ცოცხალი ავტორები, რაკი მათი შემოქმედებითი გზა ჯერ არ დასრულებულა; მწერლების შემთხვევისას, განხილული იქნება მათი ტექსტების გადაძახილი ან დამოკიდებულება "ვეფხისტყაოსანთან", – მით უმეტეს, რომ, ამ მხრივ, აქამდე ჩატარებული კვლევები უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა); ამას გარდა, ცალკეული ნარკვევ-სტატიები მიეძღვნება რუსთველის ვინაობის, პოემის დათარიღების, ტექსტის (პროლოგი, ეპილოგი, ვარიანტები, გაგრძელებანი, ხელნაწერები, გამოცემები...), პოეტიკის (ლექსი, ფაბულა, ჟანრი, კომპოზიცია, პორტრეტი...), ენის, თარგმანის საკითხებს, ნაწარმოების კავშირს ფოლკლორულ-მითოსურ წყაროებთან და აღმოსავლურ თუ დასავლურ ლიტერატურასთან, გარდა ამისა, საგანგებოდ იქნება წარმოდგენილი "ვეფხისტყაოსანში" გამოვლენილი ავტორისეული ზოგადი შეხედულებები.

ენციკლოპედიური ლექსიკონი, – როგორც ცალკეული სტატიების ბოლოს, ისე მთლიანადაც, – აღჭურვილი იქნება შეძლებისდაგვარად სრული ბიბლიოგრაფიული მითითებებით, ხოლო ლექსიკონის ანბანური ნაწილის დასასრულ, ასევე, მოთავსებული იქნება სხვადასხვა დანართი.

ჩანაფიქრის განხორციელება დაიწყება ყველა იმ მასალის ათვისებით, დამუშავებით, კლასიფიცირებითა და სელექციით, რაც ქართული ლიტერატურისა და, ზოგადად, კულტურის კვლევის ამ უძველეს დარგშია მოპოვებული; შესწავლილი იქნება როგორც გამოცემული და გამოსაცემი, ასევე საარქივო მასალა; შემდგომ დაიწყება ინტენსიური მუშაობა სიტყვანზე, რათა დადგინდეს ის ერთეულები, რომელთაგან თითოეული უნდა იქცეს საენციკლოპედიო ნარკვევ-სტატიად. ამის შემდეგ დაიწყება თითოეული სტატიის შინაარსობრივი და კონცეფციური ჩამოყალიბება.

საბოლოოდ, ეს ნარკვევ-სტატიები დაიწერება და დალაგდება ერთიანად, რაც მკითხველს რუსთველის კვლევების მთელი სისრულით წარმოდგენის საშუალებას მისცემს.

თუკი ჩანაფიქრი წარმატებით განხორციელდება და ის შემდგომ გამოიცემა, ხელი შეეწყობა რუსთველის კვლევების და, საერთოდ, ქართული ფილოლოგიური კვლევების განვითარებას. ნაშრომი გამოადგება არა მარტო ქართული ლიტერატურისა და ქართული კულტურის პროფესიონალ შემსწავ-

ლელთ, არამედ საშუალო თუ უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეებს, სტუდენტებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს.

ამავე დროს, "რუსთველის სამყარო: მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი" ნიმუშად და საწყისად ივარგებს ქართველ მწერალთა თუ კულტურის მოღვაწეთა პერსონალური ენციკლოპედიური ლექსიკონების შესადგენად.

ნაშრომის დამთავრების შემდეგ და შედეგად კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება რუსთველისა და მისი პოემის თავისთავადი მნიშვნელობა, ამავე დროს, პოეტისა და მისი ქმნილების ადგილი, ზოგადად, ქართულ და მსოფლიო კულტურაში.

2010

სერგეი მესხის პუბლიცისტიკა და სეკულარიზაციის სათავეები მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში

ჯერ კიდევ ცარისტული იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების მიერთებამდე რუსული ეკლესია სულ უფრო ცხადად განაპირობებდა ქართული ეკლესიის კანონიკურ წყობას თუ წეს-ჩვეულებითს ყოველდღიურობას, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან კი საეკლესიო მმართველობა მთელ საქართველოში რუსეთის ეკლესიის სინოდმა მისააკუთრა. არასოდეს დამალულა, რომ რუსეთის სახელმწიფოში ბიზანტიური ტრადიციის ეკლესია მიჩნეული და გადაქცეული იყო იმპერიულ-თვითმპყრობელური პოლიტიკის განხორციელების მეტად მნიშვნელოვან იარაღად, რასაც მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოში შედეგად ისიც მოჰყვა, რომ ქართველთა შორის ნელ-ნელა თვალსაჩინო გახდა გაუცხოება ეკლესიასა და საჯარო ცხოვრებას, სამღვდელოებასა და მორწმუნე ერს შორის.

თუმცა ამ გაუცხოების მიზეზები სხვაც იყო: ამავე დროს, ამ ეპოქამ, ევროპიდან – რუსეთის გავლით – შემოჭრილმა რევოლუციურ-ლიბერალურ მოძრაობათა ტალღამ და მისმა თანმდევემა მკვეთრმა, დაუფარავმა ანტიკლერიკალიზმმა თანდათანობით მოიტანა ეკლესიის მნიშვნელობისა და ადგილის შემცირება საჯარო ცხოვრებაში, ეკლესიის ნამდვილი დანიშნულების დაფიჩყება თუ უგულებელყოფა საერო (და არამხოლოდ საერო) გარემოში.

სწორედ ამ ხანებში იწყება ქვეყნის მოსახლეობის სეკულარიზაციის პროცესი, რომელშიც – საერთო განწყობებთან ერთად – გარკვეული წვლილი შეიტანეს რუსეთიდან შინ დაბრუნებულმა ქართველმა სამოციანელებმაც. მათს იმჟამინდელ რადიკალურ პოზიციასა და პათოსს მოგვიანებით, 1898 წელს, უყოყმანოდ მოწმეობდა, აღწერდა და აფასებდა აკაკი წერეთელი: “მესამოცე წლებში რომ რუსეთიდან დავბრუნდით, ნიგილისტობის საფუარი ცოტაოდნათ ჩვენც მოდებული გვექონდა და მიტომაც ვერ დავიახ-

ლოვეთ ხალხი ისე მალე, როგორც ჩვენ გვეგონა, სარწმუნოებრივი ფანატიკოსობა დიდათ ემჩნეოდა ჩვენს ხალხს. ერთმა ჩვენგანმა სადღაც შორს, მიყრუებულ ადგილას, ონში, ურიის სახლში ქათამი მიირთვა დიდმარხვაში და ამ უჩვეულო მოვლენამ, მარხვის გატეხვამ, აალაპარაკა ქვეყანა. ყბათ აიღეს, საერთოდ, სტუდენტობა და ჰკიცხვიდნენ. [...] მას აქეთ ჯერ კიდევ არ გაუვლია ნახევარ საუკუნეს და რასა ვხედავთ დღეს ჩვენში? უკიდურეს გულგრილობას სარწმუნოებისადმი: მარხვას აღარავინ ინახავს, საყდარში აღარავინ დადის, სისხლობორცობა აღარავისა სწამს და ფიცის გატეხა ჩვეულებრივი შეიქმნა. სარწმუნოების დაკარგვა და რჯულის გატეხა ხალხის ხრწნილებისა, დაცემისა და ამოფხვრის ნიშანია საზოგადოთ და მიტომაჲც ბევრჯერ დაუფიქრებიათ ამ გარემოებას ჩვენი ქვეყნის შესახებ..."¹.

ერთ-ერთი იმათგანი, ვის ნაწერებშიც მკაფიოდ აისახა ქვეყნის ცხოვრებაში იმ ხანებში მოუბრუნებლად გაღვივებული სეკულარიზაციის პროცესი, სერგეი მესხია. ქართველ სამოციანელთა ეს თვალსაჩინო წარმომადგენელი თავისი პუბლიცისტური საქმიანობით ხელს უწყობდა საჯარო თუ პირადი ცხოვრების საკითხთა მიმართ საერო თვალსაზრისის დამკვიდრებას. რამდენადაც მისი გავლენა – არამარტო თანამოაზრეთა წრეში – საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, შეიძლება ითქვას, რომ იგი ნამდვილად მყარად დგას საქართველოში სეკულარიზაციის მომამზადებელთა და მესაფუძვლეთა შორის.

სერგეი მესხის პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მის სტატიებში განხილულ თემათა სამი წყება – ერთი: სხვადასხვა იდეური, პოლიტიკური თუ ყოფითი პრობლემები იმ ახლადშემოერთებული სამხრეთქართული მიწებისა, სადაც ქართველთა უმრავლესობისაგან განსხვავებული სარწმუნოების აღმსარებელი თანამემამულენი ცხოვრობდნენ; მეორე: ადგილობრივი სკოლების და, კერძოდ, სასულიერო სასწავლებლების საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც ყურადღების არეში აღმოჩნდა არა მარტო მომავალ სამღვდელთა პირთა აღზრდა, არამედ, ამასთანავე, ზოგა-

1 აკაკი წერეთელი, "საგულისხმო", წგ-ში: აკაკი წერეთელი, *თხზულებათა სრული კრებული*: თხუთმეტ ტომად, ტომი XIII, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1961, გვ. 384.

დად, ქართველი სამღვდელთა მდგომარეობა და საქმიანობა, მისი ადგილი და მოვალეობა ქვეყნის საჯარო ცხოვრებაში; მესამე: ათონის მთაზე არსებული ქართველთა მონასტრის საჭირობო-საეკლესიო საჭიროებები, ამ სახეობის აწმყო და მომავალი.

აღსანიშნავია, რომ ყველა ამ პრობლემის განხილვისას სერგეი მესხი მკაფიოდ ამჟღავნებს თავის საერო, სეკულარულ და მოკიდებულებასა და პოზიციას.

ნიშანდობლივია, რომ თავის ერთ-ერთ პირველ სტატიაში – “რამდენიმე სიტყვა მდაბიო ხალხის აღზრდაზე და განათლებაზე” – რომელიც 1869 წელს გაზეთ “დროებაში” გამოქვეყნდა, სერგეი მესხი შეეხება ქალის ადგილსა და მნიშვნელობას აღზრდის საქმეში და თავისი სათქმელის გასამყარებლად მოიყვანს ვინმე რუსი მწერლის სიტყვებს. ეს დაუსახელებელი მწერალი ნიმუშად ასახელებს ქალის სრულიად გამორჩეულ ღვაწლს პირვანდელი ქრისტიანობის საქვეყნოდ გასავრცელებლად (“ის დიდი ყურადღებით ისმენდა ქრისტეს სიტყვას სიყვარულზე, თანასწორობაზე, კეთილგულობაზე. [...] იმათ მიჰყავდათ ქრისტესთან თავიანთი შვილები და აქრისტიანებდნენ თითქმის ქმრებსაც”²). ქართველი პუბლიცისტი კი ამ საკითხზე მსჯელობისას სრულიად ჩამოაშორებს ქალის ღვაწლს სარწმუნოებრივ განზომილებას, მთლიანად მიწიერ-ყოფით სივრცეში გადაიყვანს და მის დანიშნულებას – მოყვანილი ციტატის შემდგომ უმაღლეს – ამგვარად დაინახავს: “თუ ქალებს რიგიანად გავზრდით და გავანათლებთ, მაშინ დარწმუნებული იყავით, რომ ხალხის ცხოვრების საქმე უკეთ წავა. ქალები ძლიერ კარგათ გაიგებენ, რომ განათლება და აღზრდა გააუმჯობესებს მათ ყოფა-ცხოვრებას და შეცვლის ეხლამდელ ცოლქმრობით დამოკიდებულებას და ამიტომ ისინი ეცდებიან, რომ კარგათ გაზარდონ და გაანათლონ თავიანთი შვილებიც [...] მომავალი შთამომავლობის სიკეთე ყოველთვის დედებზე არის დამოკიდებული”³. ის პრობლემა, რაც ქალებს გაუწევიათ ქრისტიანობის გასაღვივებლად, ამ თვალთახედვით, მხოლოდ ალღეგორიულ ნიმუშად რჩება...

2 სერგეი მესხი, *თხზულებანი*: სამ ტომად, ტომი I, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1962, გვ. 41.

3 იქვე.

მხოლოდ ეს მაგალითიც ცხადყოფს იმ გულგრილობას, – შესაძლოა, რელიგიურ სმენის განურჩევლობასაც, – რაც ქართველ სამოციანელთათვის იმხანად იყო ჩვეული და რასაც აკაკი წერეთელი გულისტკივილით იხსენებდა რამდენიმე ათწლეულის შემდეგ.

როცა სერგეი მესხი გაზეთ “დროების” ფურცლებზე გამოქვეყნებულ თავის სტატიებში განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს სამხრეთ საქართველოს მიწებზე მცხოვრებ ქართველთა სხვადასხვა საჭირბოროტო, მტკივნეულ საკითხებს, ყურადღების მიღმა არ რჩება მათი სარწმუნოებრივი განსხვავებულობაც. მას მტკიცედ მიაჩნია, რომ არაერთარი შემთხვევისას არაფრით უნდა შეიღახოს მათი კონფესიური კუთვნილება – მუსლიმობა: “აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ არ შევცხოთ ახლად-შეძენილ ქართველების სარწმუნოებას. ჩვენი ჰაზრი ეს არის, რომ არა თუ ძალდატანებით, ქადაგებითაც, ტკბილი სიტყვითაც კი არ უნდა ვეცადოთ ჩვენ, განსაკუთრებით ამ თავით, მაჰმადიანი ქართველების გაქრისტიანებას, გამართლმადიდებლობას”⁴, და კიდევ: “სარწმუნოება სინიდიისის საქმეა, ერთობ ფრთხილად უნდა შევხოს იმას კაცს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წინ მაჰმადიანის სარწმუნოების კაცი გიდგია. არც ქადაგობა, არც რჩევა არ არის საჭირო ამ შემთხვევაში. თვითონ, თავის თავად თუ გაიგებენ და დარწმუნდებიან ქრისტიანთა სარწმუნოების უმჯობესობაში და მიიღებენ ამ სარწმუნოებას, ხომ კარგი, თუ არა და იყვნენ, დარჩნენ ისე, როგორც არიან. სარწმუნოების განსხვავება არ დააბრკოლებს, არ დაუშლის ჩვენსა და მათ ძმობასა და ერთობას”⁵. აქედან აშკარად ჩანს, ერთი, რომ პუბლიცისტი აღიარებს სახელმწიფოებრივ და მოქალაქეობრივ რჯულთშემქნარებლობას, რაც ქვეყნისა და ხალხის სიმშვიდისთვის აუცილებელ პირობად მიაჩნია, მეორე, რომ მისთვის მაინც ხილულია ქრისტიანული სარწმუნოების უპირატესობა (თუმცა ძნელი სათქმელია, კერძოდ რას გულისხმობდა იგი ამ “უმჯობესობაში” და რამდენად გააზრებული იყო მისი ეს თვალსაზრისი), მესამე, რომ თუ აღამიანი, ამ უპირატესობის მიუხედავად, არ მიიღებს, არ ეზიარება ქრის-

4 სერგეი მესხი, *თხზულებანი*: სამ ტომად, ტომი III, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1964, გვ. 14.

5 იქვე, გვ. 14-15.

ციანობას, ამით ეროვნულ ერთიანობას არათუ დანაშაულებს. აღსანიშნავია, რომ ახალშემოერთებულ ქართულ მიწებზე მოსახლე მუსლიმ ქართველთა საკითხი დაახლოებით ამგვარსავე კალაპოტში განიხილებოდა სხვა ქართველ სამოციანელთა მიერაც (ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი), მაგრამ, როგორც ჩანს, საკუთარი კონცეფცია სარწმუნოებისაგან დამოუკიდებელი ეროვნული ერთიანობის საფუძვლების შესახებ სერგეი მესხს საგანგებოდ არსად ჩამოუყალიბებია⁶.

1870-80-იანი წლების მიჯნაზე სერგეი მესხის თვალსაჩინოს არეში აღმოჩნდა ქართული საჯარო ცხოვრებისათვის მეტად მტკივნეული საკითხი: სასულიერო სასწავლებელთა მდგომარეობა, სადაც, რუსეთის იმპერიაში დამკვიდრებული წესისამებრ, სამღვდლო პირთა შვილები სწავლობდნენ, რომლებიც შემდგომში, უმთავრესად, წინაპართა მსგავსად, იმავე – სამღვდლო – გზას მიჰყვებოდნენ (რუსეთში, განსხვავებით ევროპისაგან და განსხვავებით საქართველოსაგან, მღვდლობა თითქმის არ სცდებოდა თავისი ფენის ფარგლებს და სამღვდლოება, ფაქტობრივად, მემკვიდრეობით ვასტად იყო ქცეული; ეს წესი იმპერიამ მე-19 საუკუნეში თანდათანობით საქართველოშიც დაამკვიდრა). იმ სტატიებში, რომელიც “დროების” რედაქტორს ამ თემაზე დაუწერია და გამოუქვეყნებია, მის აღმფოთებას აღძრავს თბილისისა თუ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლებში დამკვიდრებული გონებრივი თუ ნივთიერი სიღატაკე, დამორგუნველი საცხოვრებელი პირობები, სრული უგულისყურობა ყმაწვილების ფიზიკურ თუ სულიერ საჭიროებათა მიმართ, რასაც ზოგჯერ გამანადგურებელი შედეგებიც კი მოჰყვება ხოლმე: “თელმა ქვეყანამ იცის, მაგალითად, რომ კუკიის სასულიერო სასწავლებელში სწავლაც ურიგოთ მიდის, არც უვლიან შაგირდებს, არც ხეირიან საჭმელსასმელს აძლევენ, ხშირად ავადაც ხდებიან და იხოცებიან ცუდათ შენახვის გამო”⁷.

ბუნებრივია, ამგვარი აღზრდის ან, უფრო სწორად, აღუზრდელობის შედეგად, ქალაქში სასწავლებლად ჩამოსულნი ან ფიზიკურად ილუპებიან (“ხშირად, ძალიან ხშირად ნორჩი აგებულება

6 მერაბ ლაღანიძე, “ილია ჭავჭავაძის „ოსმალთა საქართველო“: ეროვნული ერთიანობის კონცეფცია”, *ლიტერატურული ძიებანი*, XXVIII, 2007, გვ. 134-145.

7 სერგეი მესხი, *თხზულებანი*: სამ ტომად, ტომი III, გვ. 195.

იმერლის ყმაწვილისა ვერ უძლებს თფილისის ჰავას, განსხვავებულ ბუნებას, ურიგო ჭამა-სმას, ყველა ამის წყალობით ხდება ავათ და კვდება"⁸), ანდა ისინი – მომავალი მღვდლები – ზნობრივადაც, გონებრივადაც და სულიერადაც სრულიად მოუმზადებლები აღმოჩნდებიან სამოძღვრო მოვალეობის აღსასრულებლად (სასწავლებლებიდან, "კარგი კაცებისა და მწყემსების მაგიერ", გამოდიან "გამორეტიანებული, უზნეო და მეზვერეობას შეჩვეული მხეცები"⁹).

სხვათა შორის, მანამდეც, როცა სერგვი მესხი ერთ თავის პუბლიკაციაში მიესალმებოდა საქართველოს ახალ ექსარქოსს, მისგან სწორედ ამგვარი უღირსი სამღვდელოებისათვის სათანადო ადგილის მიჩენას ელოდა: იგი იმედს გამოთქვამს, რომ ახალმოვლენილი მღვდელმთავარი "ეცდება, რომ უღირსი წარმომადგენელნი სასულიერო წოდებისა და სასულიერო განათლებისა სწორს გზაზე დააყენოს ან სულ მოაშოროს იმ საქმეს, რომლისთვისაც იმათ მხოლოდ ვნება მოაქვთ"¹⁰. ეს იმასაც ნიშნავს, რომ იმდროინდელ საქართველოში მწვავედ მდგარა – რასაც სერგვი მესხიც ნათლად ხედავდა და აღნიშნავდა – შეუფერებელ, თავისი საქმისათვის უსარგებლო სამღვდელოთა პირთა საკითხი.

თუნდაც იმავე სასწავლებლების საკითხთან დაკავშირებით, პუბლიცისტი მკაცრია არა მარტო სასწავლებლის შედაგოვთა მიმართ, რომელთა დიდ ნაწილს სწორედ სამღვდელოება წარმოადგენდა, არამედ ყმაწვილების მშობლების – ისევ სამღვდელო პირების – მიმართაც, რომელთა გულგრილობა თავიანთი შვილების მიმართ მას დამღუპველად მიაჩნია: "სამღვდელოება ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, არ შედის გარემოებაში, არ ცდილობს გაიგოს თავის შვილების ბედი, არ ცდილობს შეიტყოს, როგორ მიჰყავთ იმის ფულებით სასწავლებელი, – ამგვარი გულგრილობა და დაუდევნელობა სწორეთ გასაკვირველია და გაუგებელია"¹¹. შესაბამისად, მესხისეული მოწოდებაც მწვავეა: "ამიტომ [ვ]ურჩევთ სამღვდელოებას, რომ კარგათ, პატიოსნად,

8 იქვე, გვ. 360.

9 იქვე, გვ. 236.

10 სერგვი მესხი, *თხზულებანი*: სამ ტომად, ტომი II, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1963, გვ. 371.

11 სერგვი მესხი, *თხზულებანი*: სამ ტომად, ტომი III, გვ. 189.

დალაგებით გამოიკვლიოს ამ სასწავლებლის მდგომარეობა¹². ბუნებრივია, ამგვარი შენიშვნებიდან მკითხველი იმ – თუნდაც გამოუთქმელ – დასკვნამდეც იოლად მივა, რომ საკუთარი შვილების ბედისადმი ამგვარი უგულო დამოკიდებულების გამომხატველი მღვდლები ვერც სამრევლოს წევრების მიმართ იქნებიან გულისხმიერნი...

მანც ვინ უნდა იყოს, პუბლიცისტის აზრით, ქრისტიანი მოძღვარი? ვინ სწავლობს სემინარიაში და რაგვარი სამსახურისთვის უნდა ემზადებოდეს იგი? “თფილისის სასულიერო სემინარიაში ყველაზე უფრო მომეტებული ქართველები სწავლობენ, რომელთაგან შემდეგ ქართველი მღვდლები უნდა გამოვიდნენ, ქართველი ხალხის დამრიგებელი, გზის მაჩვენებელი”¹³. როგორც ჩანს, მესხს არცთუ უმნიშვნელოდ მიაჩნია მღვდლის დანიშნულება და ადგილი საჯარო ცხოვრებაში, მაგრამ მღვდელი, ამგვარი ხედვით, ნაკლებად ივარაუდება როგორც შუამავალი ქრისტესა და მორწმუნეს, სახარების უწყებასა და ქრისტიან მრევლს შორის: იგი უფრო, ერთი მხრივ, ხალხისათვის ჭკუის მსწავლებელი და მიმათითებელია, ხოლო, მეორე მხრივ, ცხოვრების ნიმუშია. ამკარაა, რომ ამგვარი დანიშნულება მოსახლეობის სხვა ფენის წარმომადგენელსაც შეიძლება დაეკისროს, – თუნდაც მასწავლებელს, – რომელიც ადვილად შეძლებს სასულიერო პირის ჩანაცვლებას... ბუნებრივია, მღვდლის ეს სახე ნაკლებად მოიცავს და ნაკლებად გულისხმობს რამე განსაკუთრებულად ქრისტიანულს ან, ზოგადად, რელიგიურს...

ხოლო იმის შესახებ, თუ რა უნდა დაარიგოს ხალხს, ანდა რა გზა უნდა აჩვენოს ამ ხალხს ქართველმა მღვდელმა, სერგეი მესხი იმჯერად არაფერს ამბობს და, სავარაუდოა, რომ ამ მოძღვრების არა მარტო შინაარსზე, არამედ ფორმაზეც მას არცთუ მკაფიო წარმოდგენა აქვს. ყოველი შემთხვევისას, ავტორი რომ საეკლესიო საკითხებში საკმარისად გარკვეული არაა, იმითაც დასტურდება, თუ რამდენად უცნობია მისთვის, – როგორც ცხადად ჩანს, – ჰომილეტიკის ცნება (რომ აღარაფერი ითქვას მის არსზე!), რომელსაც იგი უდიერად მოიხსენიებს სემინარიისტიკისათვის სრულიად ზედმეტ “რალაც გუმილეტიკად” (“ყველაზე

12 იქვე, გვ. 195.

13 იქვე, გვ. 235.

უფრო საჭირო საქართველოს ხალხის ისტორიისა, სამღვთო და საერო მეტყველებისა, წმინდანების ცხოვრების გაცნობა და შესწავლა არის საჭირო და არა ბერძნული და ლათინური ენები, ფილოსოფია, რაღაც გუმბილეტიკა და სხვა ამგვარი საგნები¹⁴). პუბლიცისტი, როგორც ჩანს, ამ შემთხვევისას ნათლად ვერ აცნობიერებს, რომ მღვდლის, მოძღვრის უპირატესი დანიშნულება საიდუმლოთა აღსრულება და ქადაგება არის, რომელიც სწორედ “გუმბილეტიკის” ან, უფრო სწორად, ჰომილეტიკის საგნით – ქადაგების უნარის ათვისებითა და ცოდნით – ისწავლება. შემდგომში, 1882 წელს, მესხი ისევ მოიხსენიებს ამ საგანს, ოღონდ იმჯერად “გუმბილეტიკის” სახელით, რომლის სემინარიაში სწავლის აუცილებლობაში, როგორც ჩანს, იგი ისევ არ არის დარწმუნებული: “იგივე სლავიანური ენის სწავლა, იგივე ბერძნული, იგივე გუმბილეტიკა, იგივე ღვთისმეტყველება და სხვა¹⁵. საქმე ისაა, რომ სხვა ტექსტში იგი ქადაგებას მოძღვრის სწორედ აუცილებელ მოვალეობად მოიხსენიებს, რომელიც ასე გავრცელებული და მიღებულია უცხოეთის ქვეყნებში (როგორც ჩანს, აქ დასავლურქრისტიანული ქვეყნები უნდა იგულისხმებოდეს), მაგრამ არა საქართველოში ან რუსეთში: “უცხო ქვეყნებში ისე კვირა არ გაივლის, რომ მღვდელმა სიტყვა არ წარმოთქვას, არ უქადაგოს და არ გაუღვიძოს თავის მრევლს კეთილი, მაღალი გრძნობა¹⁶”.

მაინც როგორ ესახება სერგეი მესხს მღვდლის დანიშნულება? “დროების” რედაქტორის აზრით, “ეხლანდელ მდგომარეობაში მხოლოდ მღვდლებს შეუძლიანთ ხალხის წინამძღომელნი გახდნენ, დაუნერგონ უმეცარ საზოგადოებას ადამიანის ბუნების ამაღლებელნი გრძნობანი¹⁷, რის გამოც სწორედ მღვდელს ხელეწიფება “ხალხის წაყვანა სინათლისა და სიმართლის გზაზე¹⁸”. მაგრამ, სამწუხაროდ, რეალური სურათი სავალალოა: “ეხლანდელი ჩვენი მღვდლები, საზოგადოთ ვიცყვით, არ არიან ღირსნი თავიანთი მდგომარეობისა. წირვა-ლოცვას ძლივს ასრულებენ და იმასაც ისე, რომ უმეტესმა არც იცის, თუ რას ამბობს მღვდელი, სახარების რიგინად გაგებით და გარკვევით წაკითხვა არ შეუძ-

14 იქვე, გვ. 237.

15 იქვე, გვ. 381.

16 იქვე, გვ. 366.

17 იქვე.

18 იქვე, გვ. 367.

ლიათ უმეტეს ჩვენ მღვდლებს. მთელი წელიწადი ისე გაივლის, რომ მთელ იმერეთში ორი მღვდელიც არ უქადაგებს ხალხს, არ აუხსნის ქრისტიანობის წმიდა ჭეშმარიტებაებს, არ აუხსნის, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს კეთილი ზნეობა, სინდისიანობა, მოყვასის სიყვარული, მოვალეობა ცოლ-შვილის, საზოგადოების და მშობლების წინაშე"¹⁹.

როცა მოგვიანებით, 1881 წელს, ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნის საკითხი წამოიჭრა, რომლის წამომწყები ეპისკოპოსი გაბრიელი იყო, ამ სწრაფვას მხარდაჭერით შეეგება სერგეი მესხიცი, რადგან "ქუთაისში სემინარიის დაარსებას დიდი გავლენა და ზემოქმედება ექნება თვითონ იქაურ სამღვდელთაზე, იმათ კეთილდღეობაზე და შთამომავლობაზე; დიდი გავლენა ექნება ამ სამღვდელთაზე ზნეობით და ეკონომიურ წარმატებაზე და აქედან თვით ხალხის წარმატებაზედაც"²⁰. მღვდელს უნდა შეეძლოს, "ზნეობითი გავლენა იქონიონ თავიანთ მრევლში, გაუნათლებელ და უმეცარ სოფლის ხალხზედა"²¹. მღვდელი ამჟერადაც ისევ ზნეობრივ აღმზრდელადაა დანახული, რომელიც ხალხს წარმატებისაკენ სვლაში უნდა უწყობდეს ხელს, მაგრამ სასულიერო პირთა გავლენის სფერო მანაც ადამიანთა განუვითარებელ ფენებს გულისხმობს.

სერგეი მესხს მიაჩნდა, რომ სემინარიებს ეროვნული ნიშანი უნდა ჰქონოდათ, რადგანაც "ეს სასწავლებლები ქართველი ხალხისათვის არის დანიშნული და არა ცარევი-კოშკის მცხოვრებთათვის"²² და რომ "სასულიერო სასწავლებლებიდან გამოსულები, სწავლის შესრულების შემდეგ, ჩვენი ხალხის სულიერი მოძღვრები ხდებიან, ჩვენს ერს უნდა უწინამძღვრონ სასულიერო, ზნეობითი ცხოვრების გზაზე; რომ ქართველი მღვდელი შემდეგში მთელი თავისი სიცოცხლე ქართველ მრევლში იცხოვრებს, იმოქმედებს"²³. საჩინოა, რომ ამჟერად გამოკვეთილია ეკლესიის ეროვნული დანიშნულება, რომელიც სულ მეტად უფრო მკვიდრდება საჯარო გარემოში, ხოლო ის, რომ "სასულიერო" და "ზნეობითი" ერთმანეთის მიყოლებითაა დასა-

19 იქვე, გვ. 366.

20 იქვე, გვ. 362.

21 იქვე, გვ. 382.

22 იქვე, გვ. 381.

23 იქვე.

ხელებული, სტატიის ავტორისათვის მათს ფაქტობრივ სინონიმურობაზე მეტყველებს.

ამდენად, თვალსაზრისი ნათელია: მღვდელი ეროვნულ გარემოში ხალხის ზნეობრივი აღმზრდელია.

1882 წელს „დროებაში“, რომელიც იმუამად სერგეი მესხის რედაქტორობით გამოდიოდა, გამოქვეყნდა ხელმოუწერელი სარედაქციო წერილი „ქართველთა ქონება ათონის მთაზე“²⁴. სტატია ეხმაურება ქართველთა და ბერძენთა შორის გამწვავებულ ურთიერთობას საკუთრების გამო ათონზე.

პუბლიკაციის საბაბი გამხდარა მხარდაჭერის აღმოჩენა სამშობლოში დროებით ჩამოსული ათონელი ქართველი მონაზვნის, ბენედიქტე ბარკალაიასათვის, რომელიც დაჟინებით ითხოვდა დახმარებას, რათა ბერძენთა მფლობელობაში მყოფი ათონის ქართველთა მონასტერი ან თუნდაც მისი ქონების წილი ქართველებს დაჰბრუნებოდა.

საკუთრების საკითხის გამო ამ მეტად გამწვავებულ დავაში მესხისეული პოზიცია სრულიად რადიკალურია – სტატიის ავტორი მოითხოვს მონასტრისა და სამონასტრო ქონების ჩამორთმევას ბერძენთათვის: „სამართლიანობა თხოულობს, რომ ბერძენის ბერებს ჩამოერთვას ის, რაც იმათ არც ისტორიით, არც კანონით და არც სინიდისით არ ეკუთვნის და ჩაბარდეს ნამდვილ მეპატრონეებს“²⁵.

შესამჩნევია, რომ წერილის ავტორი თითქმის უყურადღებოდ ტოვებს ქართველთა მონასტრის სარწმუნოებრივ-სულიერ მნიშვნელობას, – ან, ყოველი შემთხვევისას, ამ მხარეს ნაკლებ ყურადღებას უთმობს, – ხოლო როცა ამ კერის შესახებ მსჯელობს, საჭიროდ მიიჩნევს მისი ეროვნულ-კულტურული დანიშნულების აღნიშვნას: მსჯელობის საგანია, უწინარეს ყოვლისა, სავანის ქონებაში ქართველთა მიერ შეტანილი წვლილი, იქ დაარსებული და არსებული ქართული ბიბლიოთეკა, „რომელიც, ვინ იცის, რამდენ ძვირფას მასალას შეიცავს ჩვენი ძველი ისტორიისა და ლიტერატურისათვის“²⁶ და აგრეთვე, ის ლეგენდური – ისტორი-

24 ავტორობის საკითხის შესახებ იხ.: მერაბ ლალანიძე, „ვის ეკუთვნის „დროების“ სარედაქციო წერილი ათონის გამო?“, *ლიტერატურული ძიებანი*, XXX, 2009, გვ. 74-80.

25 სერგეი მესხი, *თხზულებანი*: სამ ტომად, ტომი III, გვ. 378.

26 იქვე.

ულად დაუდასტურებელი, მაგრამ მესხისათვის, როგორც ჩანს, სარწმუნო – გადმოცემა, რომ "ათონის მთაზე ქართველ ბერებს უმაღლესი სასწავლებელი ჰქონიათ, სადაც სწავლის მოსურნე ქართველები მუდამ წელიწადს გზავნიდნენ თავიანთ შვილებსა და ზრდიდნენ"²⁷.

ავტორი, მართალია, მანაც არ გამოორიცხავს მონასტრის სულიერ მნიშვნელობას, მაგრამ მას მიაჩნია, რომ მისი დაბრუნებისათვის საბრძოლველად, "სულის საქმის გარდა, ეს ორი გარემოება უნდა გვაიძულებდეს"²⁸, რომელთაგან ერთი იქ არსებული ქართული ბიბლიოთეკაა, ხოლო მეორე – ოდინდელი, გადმოცემისეული უმაღლესი სასწავლებლის ხსოვნა. "ვიმეორებთ, იერუსალმეთისა და ათონის მთისაკენ მარტო სულის საქმე კი არ გვიზიდავს, არამედ საერო საქმეც"²⁹.

დაბოლოს, ავტორის თვალსაზრისით, საუკუნეების განმავლობაში შეძლებულ ქართველთაგან ნივთიერი მხარდაჭერის გაღებაც ემსახურებოდა მათი სულის მოხსენიებას ათონელ მონაზონთა ლოცვებში ან გამარჯვების მოპოვების სურვილს.

ჩანს, რომ "დროებისეულ" ამ ტექსტში გამოხატული კონცეფციური ხედვა ცხადად გადახრილია საერო პოზიციისაკენ და ქართველთა მონასტრის სტატიის ავტორისთვის მეტწილად ტრადიციულ-მემკვიდრეობითი და სამწიგნობრო-საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს.

კიდევ ერთხელ შეიძლება ითქვას, რომ სერგეი მესხის პუბლიცისტიკა ფასეულ წყაროს წარმოადგენს მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში სეკულარიზაციის სათავეების, სეკულარული ცნობიერების თანდათანობითი დამკვიდრების შესასწავლად და გასაგებად.

2010

27 იქვე.

28 იქვე.

29 იქვე. გვ. 377.

პეტრე ხარისჭირაშვილის ცხოვრება და ღვაწლი

საუკუნეების მანძილზე გაელვარებულა იმ არაერთი ქართველი მოღვაწის სახელი, რომლებმაც თავიანთი ღრმა რწმენა – საყოველთაო ეკლესიის მტკიცე და მხურვალე ერთგულება დაუბრკოლებლად შეუთავსეს მშობლიური გარემოს თავდადებულ ერთგულებას. ეკლესიური მსახურება მათ წარმოშობის ადგილის სამსახურს შეურწყეს და თავიანთი საქმიანობა ნოციერად გააღვივეს მშობლიური კულტურის ველზე.

ამგვარ ქართველ საეკლესიო პირთა შორის, რომელთაც არასოდეს ჩამოუშორებიათ სარწმუნოებისაგან ეროვნება და არასოდეს უგულვებელუყვიათ ეროვნული ენისა თუ ეროვნული კულტურის საზრუნავი, გამორჩეული ადგილი აქვს დამკვიდრებული მამა პეტრე ხარისჭირაშვილს, რომელმაც, როგორც მოძღვარმა და მწიგნობარმა, მნიშვნელოვნად შეცვალა მე-19 საუკუნის ქართული კათოლიკური საკრებულოს ცხოვრებაც და მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართული წიგნიერება-განათლების ისტორიაც.

ხარისჭირაშვილები ჯავახური ბარალეთიდან ახალციხეში გადმოსახლებულან და ბინა დაუდიათ ქალაქის ძველ უბანში, რაბათში, სადაც უმთავრესად კათოლიკეები ცხოვრობდნენ. იმჟამად ახალციხე, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნიდან ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში იმყოფებოდა, ერთ-ერთი ოსმალური პროვინციის მთავარი ქალაქი იყო, სადაც ქართველები სახლობდნენ.

1818 წლის 20 აპრილს რაბათში, ხელოსან იოსებ ხარისჭირაშვილის კათოლიკურ ოჯახში დაიბადა პირველი ვაჟი, – ლუკა. იოსები ადრე გარდაიცვალა, ლუკაც ადრიდანვე და ბეჭითად შეუდგა გარჯასაც, დაქვრივებული დედისა და უმცროსი ძმის დახმარებასაც, სწავლასაც. ახალციხის საეკლესიო სკოლაში, სადაც ყმაწვილის მოწაფეობის წლებმა განვლო, მისი მასწავლებელი იყო იქაურ გარემოში ცნობილი და გავლენიანი არქიმანდრიტი, მამა პავლე ჭილიმუზაშვილ-შაჰყულიანი, რომელთანაც მეგობრობისა თუ კამათის, რომლის მხრიდან მხარდაჭერისა თუ ხელისშემშლის რამდენიმე ათწლეული წინ ელოდა მას.

ამ დროისათვის ქალაქისა და მთელი კუთხის ცხოვრება მნიშვნელოვნად იცვლებოდა: 1828 წელს ახალციხე ოსმალეთის მფლობელობიდან რუსეთის მფლობელობაში გადავიდა.

მალე რუსეთის ხელისუფლება აცხადებს კანონს, რომლის ძალითაც უცხოელ, ევროპელ კათოლიკე სამღვდელოებას აეკრძალება მსახურება მთელი სახელმწიფოს თვარგლებში. ამის გამო ეს სამღვდელოება იძულებულია, დატოვოს თავიანთი საკრებულოები და, ზოგადად, რუსეთის იმპერია, რომლის საზღვრებშია იმ დროს მოქცეული ქართული კუთხეების უდიდესი ნაწილი. კათოლიკური საკრებულოებისათვის გადაუდებელი და აუცილებელი ხდება ადგილობრივ მღვდელმსახურთა სასწრაფოდ აღზრდა და ჩამოყალიბება. ასევე მწვავე აღმოჩნდება ლიტურგიული წესის საკითხი: თუ ევროპელი საეკლესიო პირები ლათინურ წესს მისდევდნენ და წარმოადგენდნენ, ამ დროს სამცხე-ჯავახეთში მხოლოდ სომხური წესის მიმდევარი კათოლიკე სამღვდელოება რჩება. მათ შორისაა მამა პავლე ჭილიმუზაშვილ-შაყულაშვილი, რომელიც უკვე მხოლოდ შაყულიანად მოიხსენიება და რომელიც სომხური წესის მიმდევარი და დამცველია.

სწორედ მამა პავლე სწორედ ამ დროს სამღვდელო ხელდასხმისათვის მოსამზადებლად შეარჩევს თავის მოწათეს, ლუკა ხარისჭირაშვილს. სულიერებითა და გონიერებით გამოირჩეულ ახალგაზრდა კაცს იგი სარწმუნოებრივი ცოდნის შესაძენად და გასამყარებლად კონსტანტინოპოლში გაგზავნის (ქალაქს ქრისტიანები ისევ ამგვარად უწოდებდნენ, თუმცა ოსმალებმა თავიანთ ახალშეძენილ დედაქალაქს დაპყრობის უმაღლესი სტამბოლი დაარქვეს). იქ ლუკას, სასულიერო განათლების დასრულების შემდეგ (როგორც ჩანს, მისი სულიერი ჩამოყალიბება იეზუიტურ გარემოში მიმდინარეობდა), კათოლიკე ეპისკოპოსი მღვდელ-მონაზვნად აკურთხებს და სახელად პეტრეს უწოდებს.

ახალციხეში დაბრუნებული მამა პეტრე ხარისჭირაშვილი მსახურებას იწყებს ქალაქსა და ახლომდებარე სოფლებში: ხიზაბაურაში, ვალეში, უდეში, მაგრამ მალე იგი – მამა პავლე შაყულიანთან განუწყვეტელი დაპირისპირების გამო – ქუთაისში გადადის, სადაც მას მრავალრიცხოვანი და ქალაქში გავლენიანი კათოლიკური თემი დახვდება. ამ დროს ახალგაზრდა მღვდლის მთავარი მიზანი ხდება, საეკლესიო და სახელმწიფო აღიარება

მოიპოვოს ქართველ კათოლიკეთა ქართულმა წესმა, ხოლო მის ამ ჩანაფიქრს მძაფრად ეწინააღმდეგება მისი ახალციხელი აღმზრდელი. საქმე ისაა, რომ, ერთი მხრივ, წმიდა საყდარი და, მეორე მხრივ, რუსეთის იმპერიის იმუამინდელი ოფიციალური რელიგიური პოლიტიკა სახელმწიფოში ცნობდა მხოლოდ ორ კათოლიკურ წესს: ლათინურსა და სომხურს. ყოფილ მასწავლებელსა და ყოფილ მოწაფეს შორის წინააღმდეგობა ღრმა და საფუძვლიანი იყო: თუ მამა პავლე უნივერსალურობის დაცვას ემხრობოდა ინდივიდუალურის ხარჯზე, მამა პეტრე უნივერსალურობას იცავდა ინდივიდუალურის შენარჩუნებით. პირველი თვალსაზრისით, რაკი კათოლიკე ეკლესიამ იმხანად კავკასიაში ადგილობრივ მცხოვრებთათვის სომხური ტრადიციის ლიტურგიული წესი ცნო (სომხური საეკლესიო ცხოვრებისა და სომხური ენის ფარგლებში), სხვა განსაკუთრებულობის გამოვლინება მხოლოდ დაშლიდა კათოლიკურ ერთიანობას, მეორე თვალსაზრისით კი, ეკლესიის კათოლიკეობა სწორედ ყოველი ცალკეული გამოვლინების, ყოველი ეროვნულისა თუ ადგილობრივის, და, საერთოდ, ყოველგვარი მრავალფეროვნების მოვლითა და შენახვით უნდა განხორციელებულიყო. უნდა ითქვას, რომ, როგორც ცხადი გახდა, კათოლიკე ეკლესიის გამკვალავი გზა სწორედ ეს მიმართულება აღმოჩნდა...

თუმცა იმუამად და იქ მამა პეტრე ხარისჭირაშვილის ბრძოლა ქართული წესის დასამკვიდრებლად ქართველ კათოლიკეთა შორის საქართველოში უშედეგოდ მთავრდება და 1856 წელს იგი საბოლოოდ ტოვებს სამშობლოს. მაგრამ უკან დახევა მას არც უფიქრია და საკითხის მოსაგვარებლად, საყოველთაო ეკლესიაში ქართული წესის დასადგენად, იგი ქართულ კათოლიკურ საკრებულოთა მდგომარეობას გაეცნობა – უკვე რუსეთის იმპერიის საზღვრებს გარეთ – და, ამავე დროს, რომის კურიაშიც ცდილობს მხარდაჭერის მოპოვებას. თავდაპირველად ქართველი კათოლიკე მღვდელი ოსმალეთში შეყოვნდება, ისევ კონსტანტინოპოლში, სადაც მას ქართველი კათოლიკეები უმასპინძლებენ, რომლებიც იქაურ არცთუ მცირე საკრებულოს შეადგენენ. მათგან მორალური და ნივთიერი მხარდაჭერის მიღების შემდეგ, საქმის გასაგრძელებლად, იგი ევროპისაკენ გაემართება, სადაც, ამავე დროს, თავის სასულიერო თუ საერო განათლებასაც იღრმავეებს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

ცოცხალი ხნით პეტრე ხარისჭირაშვილი ვენეციაში დაიდებს ბინას – სომეხ კათოლიკეთა საძმოში წმიდა ლაზარეს კუნძულზე, რომელიც აღმოსავლური კათოლიკური კულტურისა და წიგნიერების მნიშვნელოვანი კერა იყო ევროპაში. მალე, 1850-იანი წლების მიწურულს, სწორედ ვენეციაში (იმდროინდელი ქართულით: ვენეციკში) ბეჭდავს ხარისჭირაშვილი სამ მნიშვნელოვან და სქელტანიან წიგნს ქართულად: პირველი, ძველი და ახალი აღთქმის ამბავთა თანადროულ ქართულ ენაზე გადმოცემა და ახსნა-განმარტება (1858); მეორე, კათოლიკე ეკლესიის წმიდანთა ცხოვრება (1859); მესამე, ეზოპეს იგავების კრებული (1859). მნიშვნელოვანია, რომ სამივე ეს წიგნი სალაპარაკო, გასაგები, ადვილად მისაწვდომი ქართულითაა დაწერილი. გამოცემული წიგნების უდიდესი ნაწილი საქართველოში ჩამოვიდა და გავრცელდა. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი გამოცემის სატიტულო გვერდზე ამგვარი განმარტებაა აღბეჭდილი: "თარგმნილი და გამოცემული ქართულს ენასა ზედა სასარგებლოდ ივერიისა", – ნამდვილად მეტყველი განმარტება!

საყურადღებო და გასათვალისწინებელია იმდროინდელი მდგომარეობა ქართველ აღმოსავლელ ქრისტიანთა შორის: ბიზანტიური წესის ქართული ეკლესია, რომელიც არ იმყოფებოდა თანაზიარებაში რომის ეკლესიასთან, იურისდიქციულად გააუქმა და რუსეთის ეკლესიის ფარგლებში მოაქცია რუსულმა საეკლესიო მმართველობამ. ღმრთისმსახურების ოთციციალურ ენად დაწესდა საეკლესიო სლაგური, ხოლო სასულიერო განათლება წარიმართებოდა მხოლოდ რუსულად, თუმცა ზოგჯერ მაინც ნებადართული იყო მღვდელმსახურების აღსრულება ქართულად, – უძველეს, არქაულ ქართულ ენაზე, – უმეტესად ქრისტიანული წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ნათარგმნი ლიტურგიული წიგნების საფუძველზე. ამდენად, განსაკუთრებული და საეცაპოა პეტრე ხარისჭირაშვილის ღვაწლი, საეკლესიო ცხოვრებაში შემოეტანა და დაემკვიდრებინა სამეტყველო, ცოცხალი ენა. ამჯერადაც იგი კათოლიკე ეკლესიის იმ მიმართულებას მიჰყვება თუ წარმოადგენს, რომელიც დაახლოებით ასი წლის შემდეგ, ვატიკანის მეორე კრების შემდგომ, საბოლოოდ განმტკიცდება. მაგრამ, ამავე დროს, შესაძლებელია, იგი ჩარიცხული იქნეს ქართული ენის იმ გარდამქმნელთა, ახალი ქართული ენის იმ ფუძემდებელთა შორის, რომელთაც – როგორც ქართველ

სამოციანელთა წინამორბედებმა – პირველი ნაბიჯები გადადგეს თანამედროვე ენობრივი სივრცის ჩამოსაყალიბებლად.

ამ დროს კონსტანტინოპოლში დაბრუნებული პეტრე ხარისჭირაშვილი უკვე თხოვნით მიმართავს წმიდა საყდარს, – რამდენჯერმე ჩადის კიდევ ამ მიზნით რომში; – რათა, ერთი მხრივ, ნება დართონ მას, დააარსოს ქართული კონგრეგაცია, რომელშიც გაერთიანებული იქნებიან ქართველი მოწესე მამაკაცები და ქალები, ხოლო, მეორე მხრივ, ნება დართონ მათ, აღასრულონ ქართული წესის ღმრთისმსახურება (თუნდაც არა რუსეთის იმპერიის ფარგლებში, რაკი ამ სწრაფვას სასტიკად ეწინააღმდეგება რუსული საეკლესიო-სახელმწიფო მმართველობა).

მართლაც, საგანგებო დადგენილების მიღების შემდეგ, რომელიც წმიდა საყდარმა 1859 წელს გამოსცა, დამტკიცდა უფლება, კონსტანტინოპოლში, იმდროინდელი ოსმალეთის დედაქალაქში, დაარსებულიყო ქართული კათოლიკური საგანე და ცაძარი, სადაც ღმრთისმსახურება ქართულ ენაზე და ქართული წესის მიხედვით წარიმართებოდა. ნიშანდობლივი და სავალალოა, რომ ეს ნებართვა არ გავრცელდა იმ მიწაზე, სადაც ქართველ კათოლიკეთა უდიდესი უმრავლესობა ცხოვრობდა: საქართველოში.

პეტრე ხარისჭირაშვილი უმაღვე შეუდგება საწადელი მიზნის განხორციელებას და მართლაც საფუძველს ჩაუყრის ქართულ კონგრეგაციას – ქალწული მარიამის უბიწო ჩასახვის საკრებულოს, რომელიც თავდაპირველად ფერიქოის უბანში, ლათინური წესის სამოწესეო სახლში დაიდებს ბინას. ამასთანავე, დაიგეგმება, აშენდეს ცაძარი, სამკვიდრებელი სამღვდელოთა და მოწესეთათვის, საცხოვრებელი დამხმარეთათვის, სასტუმრო ჩამოსულთათვის, იქვე შეიქმნას სასულიერო სასწავლებელი და სტამბა. ყველა ამ საქმეში აუცილებელი ნივთიერი დახმარების აღმოსაჩენად ხარისჭირაშვილი მიმართავს კათოლიკე ქართველებს თუ უცხოელებს, კათოლიკურ დაწესებულებებსა თუ საკრებულოებს, მხარი დაუჭირონ ახალდაფუძნებულ სულიერ და კულტურულ კერას.

ორი წლის შემდეგ, 1861 წელს, კონსტანტინოპოლში, იმავე ფერიქოიში, საზვიამოდ ეკურთხა ქალწული მარიამის უბიწო ჩასახვის ქართული ცაძარი, რომლის კარიბჭეს ქვაზე ამოკვეთილი წარწერა ამკობდა: “წმიდაო მარიამ, დაიცავ ივერიელნი”. ამავე დროს, იქვე დაფუძნდა და გაიხსნა ქართველ მოწესე ძმათა და

დათა სავანეები. შემონახულია ცნობა, რომ, როცა კონგრეგაციის ფუძემდებელი, მამა პეტრე ხარისჭირაშვილი, საკურთხეველთან პირველად აღავლენდა წირვას ქართულად, ქართული წესის მიხედვით, ღმრთისმსახურების მონაწილეები ცრემლებს ვერ იკავებდნენ, ხოლო როცა წირვა დასრულდა, მათ ერთიანად დაიჩოქეს მოძღვრის წინაშე და მისი ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე მხურვალედ შეავედრეს იესოს.

ღირსმესანიშნავია, რომ კონგრეგაცია და ტაძარი მიეძღვნა წმიდა მარიამის უბიწო ჩასახვას, და ამ მიძღვნაში, როგორ ჩანს, ჩადებულია მეტყველი უწყება: მართალია, სახელდებისათვის არჩეულია ყველაზე სათაყვანო წმიდანი მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის, მაგრამ ღმრთის დედას მაინც გამორჩეული ადგილი მიეკუთვნება საქართველოს სულიერ ცხოვრებაში, რაკი იგია მიჩნეული ქვეყნის რჩეულ მფარველად და რაკი, გადმოცემით, სწორედ მისი წილხვედრია ქართველთა მიწა; ამავდროს, შერჩეულია იმგვარი დღესასწაული, რომელიც თავისებური და განსაკუთრებულია მხოლოდ კათოლიკური სამყაროსათვის, მხოლოდ რომაული მიმართულების ქრისტიანობისათვის – მარიამის უბიწო ჩასახვის დღესასწაული (თავად ეს დოგმა, რომელიც 1854 წელს გამოცხადდა, იმ დროს ჯერ სრულიად ახალი იყო კათოლიკე ეკლესიისათვის). ამ მიძღვნით ცხადად, ხილულად, გამოკვეთილად ჩანს პეტრე ხარისჭირაშვილის სულისკვეთებაც და, ზოგადად, ქართული კათოლიკური კულტურის საფუძვლებიც: მჭიდრო და ერთგული კავშირი საყოველთაო ეკლესიასთან, მჭიდრო და ერთგული კავშირი ეროვნულ ტრადიციასთან; საქართველოს სამსახური რომის სამსახურით, რომის სამსახური საქართველოს სამსახურით; საქართველოს ბუნებრივი ადგილის ხედვა დასავლურქრისტიანულ სამყაროში...

კონგრეგაციამ, ქართველ კათოლიკეთა მიმართ სულიერი მზრუნველობის გარდა, თავს იდგა განათლების გავრცელებაც საქართველოში. საძმო თავის ჩანაფიქრს, მისი დამფუძნებლის სიტყვებით, ამგვარად აცხადებდა: "რადგან ღიდად მიგვაჩნდა საქართველო და გვეჩონდა ნატვრა მისდამი სამსახურისა ჩვენისა, ყოველნაირი მძიმე შრომა თავზედ ავიღეთ, რათა მისცემოდა საქართველოს საზოგადოებას და მის მომავალ ახალ თაობასაც შემწეობა სწავლაში და მეცნიერებაში".

კონგრეგაციის დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ, 1860 წლიდან, მის თარგვლებში ჩამოყალიბდა ორწლიანი სასულიერო სასწავლებელი, რომელმაც 1864 წელს წმიდა საყდრის კურთხევა მიიღო. 1870-იანი წლებისათვის სასწავლებელი სამწლიანად გადაკეთდა, თუმცა პეტრე ხარისჭირაშვილის ჩანაფიქრი იყო, თანდათანობით ის ქართულ სემინარიად გადაქცეულიყო. მოწაფეთა შორის იყვნენ არა მარტო სამცხე-ჯავახეთიდან ან საქართველოს სხვა კუთხეებიდან სასწავლებლად ჩამოსული ყმაწვილები, არამედ საქართველოდან გატაცებული და სტამბოლის ბაზარზე ტყვედ გასაყიდად გამზადებული ქართველი ბიჭები, რომელთაც მამა პეტრე საკუთარი სასყიდლით დაიხსნიდა, სავანეში თავშესაფარს აძლევდა, სწავლა-განათლებას შესძენდა.

ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლების გარდა, სასწავლებელში ასწავლიდნენ ქართულ ენასა და მწერლობას, საქართველოს ისტორიას, საბუნებისმეტყველო საგნებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ლათინურისა და თანამედროვე ევროპული ენების შესწავლას (სხვათა შორის, თანამედროვენი ადასტურებენ, რომ თავად ხარისჭირაშვილი თავისუფლად ფლობდა რვა ენას). ბევრი მოსწავლე შემდგომში სწავლას აგრძელებდა ევროპულ სასწავლებლებში. იმდროინდელი ერთი ქართული გაზეთი წერდა (ალბათ, ცოტა გადაჭარბებით!), რომ პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ აღზრდილი ქართველი კათოლიკე მღვდლები მთელ ევროპაში იყვნენ მოთენილები. მაინც სკოლის გამორჩეულ აღზრდილთა შორის შორის უწინარესად უნდა დასახელდნენ მამა მიქელ თამარაშვილი, ხარისჭირაშვილის ერთგული მოწაფე, საქართველოში კათოლიკობის ყველაზე სანდო და საფუძვლიანი ისტორიკოსი და, ზოგადად, საქართველოს ისტორიის საუკეთესო მკვლევარი და, აგრეთვე, მამა მიქელ თარხნიშვილი, აღმოსავლურქრისტიანული ლიტურგიკისა და სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ცნობილი და ავტორიტეტული მკვლევარი (ფრაგმენტულად შემონახული ცნობების მიხედვით, 1940-იან წლებში იგი პაპ პიუს მეთორმეტეს ქართულ ენას ასწავლიდა). კონსტანტინოპოლის ამ სასწავლებლის მოწაფეები იყვნენ უკანასკნელი ქართველი კათოლიკე მღვდლები, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის დროს ემსახურებოდნენ კათოლიკურ საკრებულოს საქართველოში: ემანუელ ვარდიძე და კონსტანტინე საფარიშვილი.

წლების განმავლობაში, კონგრეგაციის მეურვეობით, კონსტანტინოპოლში კიდევ სამი ქართული კათოლიკური სკოლა გაიხსნა.

1870 წელს კონგრეგაციას შეემატა ის, რაც პეტრე ხარისჭირაშვილის ხანგრძლივი ოცნების საგანი იყო: სავანეში გაიხსნა ქართული სტამბა. მხოლოდ პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში ამ სტამბამ გამოსცა და საქართველოში გაავრცელა ოცზე მეტი დასახელების წიგნი, რომელთა შორის იყო როგორც სასულიერო, ისე საერო შინაარსის ლიტერატურა, – განსაკუთრებით, სახელმძღვანელოები. ამავე დროს, თავად მამა პეტრემ დაიწყო დაძაბული მუშაობა ვრცელი ქართული გრამატიკის შესადგენად და გამოსაცემად.

სტამბამ ბეჭდვითი საქმიანობა განაგრძო დამფუძნებლის გარდაცვალების შემდეგაც და მთლიანად ორასზე მეტი წიგნი გამოაქვეყნა: მაგალითად, 1918 წელს სწორედ აქ დაიბეჭდა პავლე ინგოროყვას წიგნაკი (“მოკლე სამახსოვრო ცნობა”) საქართველოს საზღვრების შესახებ – პოლიტიკურად მეტად მნიშვნელოვანი გამოცემა საქართველოს პირველი რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის განსასაზღვრავად; ასევე, 1920-იანი წლების დასაწყისში ამ სტამბამ გამოსცა მიხეილ წერეთლის მიერ შესრულებული გილგამეშის ეპოსის პირველი ქართული თარგმანი და მისივე წიგნი ხეთების ისტორიისა და კულტურის შესახებ.

კონგრეგაციის მრავალმხრივი საქმიანობის ნივთიერად უზრუნველსაყოფად კონსტანტინოპოლშივე, მამა პეტრეს მეთავეობით, დაარსდა სავაჭრო ამხანაგობა (თავისი საკუთარი ქონებით) – ქარვასლა.

და კიდევ: პეტრე ხარისჭირაშვილი თავის სავანეში წლების განმავლობაში იფარებდა არა მარტო ქრისტიან, არამედ მუსლიმ ქართველებსაც და მათ, ქართულ ენასთან და ქართულ კულტურასთან ზიარების გზით, სარწმუნოებრივ კარიბჭესაც უხსნიდა. ღვაწლმოსილი მოძღვრის მისიონერული საქმიანობა მუსლიმი ქართველების მოსაზიდავად ეროვნულობის მიმართულებით, ეროვნულობის კალაპოტში წარიმართებოდა. იმდროინდელი ერთი ბელგიური გაზეთი კონსტანტინოპოლის ქართული კონგრეგაციის შესახებ წერდა: “ძმობის მიზანია, ეროვნული გრძობების გაღვივების საშუალებით, კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება ოსმალეთის მუსლიმ ქართველთა შორის”...

აღსანიშნავია ისიც, რომ პეტრე ხარისჭირაშვილის მოწაფეებმა, მისი სულიერი ხელმძღვანელობით, 1874 წელს დააფუძნეს კონგრეგაციის კიდევ ერთი სახლი, – ამჟერად საფრანგეთში, პატარა ქალაქ მონტობანში, სადაც ასევე ჩამოყალიბდა ქართული სკოლა და ქართული გამომცემლობა.

და მინც, კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეს განსაკუთრებული მისია აღმოაჩნდა, – მისია სულიერი და მისია კულტურული, – რომელიც უკეთესად ჩანს გარდასულ საუკუნეთა წიაღ, მაგრამ არა მარტო წარსულიდან, არამედ მომავლიდანაც: პეტრე ხარისჭირაშვილმა და მისმა თანამოღვაწეებმა საქართველოს გარეთ სანიშნო საქართველოს ხატი შექმნეს, – ჩამოყალიბდა კერა, სადაც ერთმანეთს ბუნებრივად, მშვიდობიანად შეერწყა რომაული ტრადიციები და ბიზანტიური ტრადიციები, აღმოსავლეთი და დასავლეთი, საქართველოს ქართველები და დიასპორის ქართველები... ამგვარ სანუკვარ, საოცნებო საქართველოს, მამა პეტრეს ჩანაფიქრით, სამი საფუძველი უნდა ჰქონდეს: სულიერება, სწავლა, წიგნიერება. ამ სამი საფუძველის განსამტკიცებლად იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში დაუღწეოდ იღვწოდა.

პეტრე ხარისჭირაშვილი გარდაიცვალა 1890 წლის 28 სექტემბერს. იგი დაკრძალულია მის მიერ დაარსებული ქართველ კათოლიკეთა სავანის ეზოში, ქრისტიანთათვის – კონსტანტინოპოლში, მუსლიმთათვის – სტამბოლში.

მოშორებული ამქვეყნად ყველაზე ძვირფასს, – რომსა და საქართველოს, – იგი არასოდეს მოსწყვეტია არცერთს: მან ყოველთვის ნამდვილად იცოდა, რომ ეკლესია იქაა, სადაც ღმრთისმსახურება აღესრულება, ხოლო სამშობლო იქაა, სადაც მშობლიურ ენაზე მეტყველებენ.

ქართველ კათოლიკეთა შორის მამა პეტრე ხარისჭირაშვილის სახელი და მისი ცოცხალი ხსოვნა სამუდამოდ დადარჩენილი: როგორც თავდადებული და მზრუნველი მღვდლისა, აღმზრდელისა, კონგრეგაციის ფუძემდებლისა, გამომცემლისა, მქადაგებლისა, სასულიერო მწერლისა.

ყველა ქართველი კათოლიკისათვის დიდი სიხარული და დიდი პატივია, რომ მის სახელს, მისი გარდაცვალებიდან 125 წლისთავზე, დღეს რომში მივაგებთ საგანგებო პატივს.

კირიონ მეორის მიმართვა ბენედიქტე მეთხოუმეტეს: წყაროები და უწყება

1917 წლის 17 სექტემბერს ტფილისის სიონის საკათედრო ტაძარში დამთავრდა საქართველოს ეკლესიის პირველი ადგილობრივი კრება, რომელმაც დაამტკიცა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა (ანუ მისი გამოყოფა რუსული ეკლესიისაგან), ხოლო ეკლესიის მეთაურად – მცხეთის მთავარეპისკოპოსად და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად – აირჩია ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი (1855 – 1918, საყდარზე: 1917 – 1918)¹. საკათოლიკოსო აღსაყდრება ჩატარდა 1 ოქტომბერს მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში. ერთი თვის შემდეგ კათოლიკოსმა კირიონ მეორემ მისალმების ტექსტები დაუგზავნა ქრისტიანულ ეკლესიათა მეთაურებს: აღმოსავლეთის მართლმადიდებელ პატრიარქებს, ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსს და, ამავე დროს, კათოლიკე ეკლესიის მეთაურს, რომის პაპს, რომლის საყდარი იმუამად ეპყრო ბენედიქტე მეთხოუმეტეს (Benedictus XV, 1854 – 1922, საყდარზე: 1914 – 1922).

კირიონის მიერ რომს გაგზავნილი მიმართვის ტექსტი ამგვარია²:

- 1 კირიონის საეკლესიო საქმიანობის ეროვნული მიმართულებების შესახებ იხ. მერაბ ლალანიძე, "ერთგული (კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის გარდაცვალების 85 წლისთავის გამო)", *ომეგა*, №6 (44), 2003, გვ. 50-51; მერაბ ლალანიძე, "კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი", წგ-ში: მერაბ ლალანიძე, *რწმენისა და იმედის გზაზე*, თბ.: წმიდა ირინეოს ლიონელის სახელობის ბიბლიურ-თეოლოგიური ინსტიტუტი, 2003, გვ. 9-17.
- 2 ტექსტი თავდაპირველად გამოქვეყნდა ჟურნალში "სვეტიცხოველი" (4, 1917), შემდგომ გადაიბეჭდა ჟურნალში "ჯვარი ვაზისა" (1, 1987), ბოლო ხანს გამოქვეყნდა კიდევ ორჯერ: ნუგზარ პაპუაშვილი, "წმ. კირიონ II-ის წერილი პაპ ბენედიქტე XV-ს", *ღიალოგი*, 1, 2004, გვ. 39-40; სერგო ვარდოსანიძე, *საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატრიანე (1917-2017 წ.წ.)*, თბ.: ქართული უნივერსიტეტი, 2017, გვ. 47-48; წარმოდგენილი ტექსტი ჩამოყალიბებულია ორივე ბოლო გამოცემის შეჯერების შედეგად.

ეპისტოლე სრულიად საქართველოს კათოლიკომ-პატრიარქის კირიონ მეორისა შრომთა შპის მიმართ

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო!

უძუელესსა საყდარსა საქართველოდსა საკათალიკოზოდსა-სა, რომელსა 1811 წლითგან ვიდრე მოაქამომდე განაგებდეს ექსარხოსნი რუსეთის ეკლესიისანი, ათჰვდმეტსა სეკტემბერსა მიმდინარისა წლისასა, აღრჩევითა მორწმუნისა ერისა და სამღვდელოდსა დასისადთა, აღყვანილ იქნა უღირსებაჲ ჩემი. აღსრული საყდარსა ამას ზედა "მოვიხსენებ დღეთა პირველთა და ვიწურთი ყოველთა მიმართ საქმეთა" (ფსალ. 142, 5) უნეტარესთა მწყემსმთავართა შრომისათა.

განგებამ ღმრთისამან არ უცხო ქმნა ეკლესიაჲ ჩუენი შრომისათეს დიდისა. პეტრე და ანდრია, პირველწოდებულთა მათ მოწაფეთა ქრისტესთა, რომელთა თესლი უბიწოჲ განაბნიეს მართლისა სარწმუნოებისაჲ ორნატთა შრომ-ქართველთა გულისათა, ძმობითა თუსითა წინაღსწარ მოასწავეს სიყვარული და თუსობაჲ ორთა ამით ეკლესიათაჲ. ჟამთა მოციქულთა სწორის ნინოდსა და მეფის მირიანისათა წიგნმან წმიდისა სილიბისტრო შრომისამან, ვითარცა ვარდი, აღაყუავილა ნაყოფი მართლმორწმუნოებისაჲ ქუეყანისა ქართლისასა, ხოლო წვალებითა უშჯულოდსა ნესტორისადთა შეიწრებულმან ახალწერგმან ამან ქრისტესმან ლხინებაჲ შპოვა ეპისტოლეჲსა შინა გრიგოლ დიოლოლონისასა, რომელი მან შრომით წარმოუძღუნა უწმიდესსა და უნეტარესსა სეხნასა ჩემსა, კირიონ მცხეთისა კათოლიკოზსსა. შემდგომითი შემდგომად მოღვაწეობამან წმიდისა ილარიონ ქართველისამან, რომელი წელ ორ მსხემობდა ქალაქსა შინა შენისა უწმიდესობისასა, კულავ აუწყა მკვიდრთა შრომისათა დიდებაჲ საქართველოდს ეკლესიისაჲ და განამტკიცა ერთობაჲ შრომთა და ქართველთაჲ.

გარდახდეს წელნი მრავალნი და შურითა ეშმაკისადთა განიხეთქა ძოწეული შუენიერი ერთმორწმუნოებისაჲ, რომელი ემოსა უბიწოსა მას სძალსა ქრისტესსსა, ეკლესიასა აღმოსავლისა და დასავლისასა.

გარნა საქმითა ამით არა გულარძნილ იქმნა ეკლესიაჲ ჩუენი: მოციქულნი და ქადაგნი შრომის საყდრისანი, რომელნი მეათსამმეტე საუკუნითგან მოველინნეს ქუეყანასა ჩუენსა, შეუორგულეებლად ილწოდეს საფარველსა ქუეშე ქართველთა მეფეთასა, ვითარცა მწყემსნი კეთილნი, მკურნალნი ხორცთანი და მომფენელნი ჩუენდა სწავლა-განათლებიანნი. მათ აღაშენეს

ქუყყანასა ჩუენსა ეკლესიანი თუსნი და დაუმოწაფეს საყდარსა შენსა არა მცირედნი ქართველნი, წესისაებრ ჰრომთა ეკლესიისა და პატივსა სცემენ სახელსა შენის უწმიდესობისასა.

დღესა ამას აღდგენისა ქართველთა ეკლესიისა და სიხარულისა მათისასა, გულისხმისმყოფელი წარსულისა ჩუენისა, მოწილედ მოვიკითხავ უნეტარესობასა შენსა და აღთქმასა ვდებ, ვითარმედ მიმდგომნი შენისა საყდრისანი "არა შეიწროებულ იქმნებიან გულსა შინა" ჩემსა და ქართველთა ერისასა.

ვსასოებ, ვითარმედ უწმიდესობად შენი არა უგულებელს ჰყოფს ქართველთა კათოლიკეთა და მრავალფერთა მათთა სარწმუნოებრივ-ეროვნულ სახმართა.

"მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, სიყვარული ღმრთისა მამისად და ზიარებად სულისა წმიდისად იყავნ ჩუენ შორის".

უმდაბლესი და უღირსი
კირიონ მეორე,
მთავარეპისკოპოზი მცხეთისა და
სრულიად საქართველოვსა კათოლიკომ-პატრიარქი.
ქ. ტფილისი. 2 ნოემბრის 1917 წ.

უწინარესად აღსანიშნავია, რომ, როცა აღდგენილი, განახლებული ქართული ეკლესიის პირველი მეთაური წერილით მიმართავს რომის ეკლესიის მეთაურს³, იგი საჭიროდ მიიჩნევს, აცნობოს მას, ერთი მხრივ, საქართველოს საკათოლიკოსოს გათავისუფლება რუსეთის ეკლესიის მპყრობელობისაგან (რაც 1811 წლის შემდეგ სანკტპეტერბურგიდან მოვლენილ-დანიშნულ ექსარქოსთა მმართველობით გამოიხატებოდა) და, მეორე მხრივ, საკუთარი აღსაყდრება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად⁴; ამავე დროს, დაამოწმოს ყველა ის

3 მიმართვის ისტორიული კონტექსტი და ცალმხრივი მიმოწერის მონაწილე პირები განხილულია: ნუგზარ პაპუაშვილი, "წმ. კირიონ II-ის წერილი პაპ ბენედიქტე XV-ს", გვ. 29-38.

4 შდრ. მიმართვა აღმოსავლელ პატრიარქთა მიმართ: "ქალაქს ტფილისის შემოკრება ღვთივეაბრძნობილი კრებად მორწმუნისა ერისად და სამღვდელთა დასისად, რომელმან ათჴდმეტსა სეტეტემბერსა მიმდინარისა წლისასა აღირჩია უღირსოებად ჩემი და სახელმდვა მე მთავარეპისკოპოსად მცხეთისა და სრულიად საქართველოვსა კათოლიკომ-პატრიარქად, ვითარცა იყო წესი ჩუენისა ეკლესიისად" – სერგო ვარდოსანიძე, *საქართველოს მართლმადიდებელი სა-მოციულო ეკლესიის ასწლოვანი მატთანე (1917-2017 წ.წ.)*, გვ. 47.

ისტორიული ნიშანსვეტი, რომლებიც როგორც გამოხატავს მცხეთის საყდრის ოდინდელ დამოკიდებულებას რომის საყდრის მიმართ, ასევე ცხადყოფს ქართველების მრავალსაუკუნოვან კავშირს რომთან; დაბოლოს, დასახოს – თუნდაც მკრთალი მონახაზის სახით – მომავალი ურთიერთობების შესაძლებლობანი და მიმართულებანი.

თავის წერილში კირიონი საგანგებოდ ადასტურებს, – ამ აზრს იგი გამოხატავს ფსალმუნური ფრაზის მოხმობით⁵, – რომ მან უწყის რომაელ მწყემსმთავართა ყოველი საქმიანობის შესახებ, შეეხება ეს ისტორიულად ადრეულ (“დღეთა პირველთა”) თუ შემდგომ ხანას, და იგი ამ საქმეებს მუდამ ეცნობა, შეისწავლის (“ვიწურთი” – ვსწავლობ, ვეცნობი).

კათოლიკოს-პატრიარქი აუცილებლად მიიჩნევს, აღნიშნოს რომის კათოლიკე ეკლესიისა და ქართული ადგილობრივი ეკლესიის თავდაპირველი მოციქულებრივი საწყისები (ეკლესიის მოციქულებრივი წარმოშობა საუკუნეთა განმავლობაში მიიჩნეოდა ეკლესიის მკაფიო სიმყარის, კანონიკური ავტორიტეტულობისა და აღიარებული სუვერენულობის ნიშნად), რაკი, საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, რომის ეკლესიის მესაფუძვლეა წმიდა პეტრე, მოციქულთა მეთაური, ხოლო ქართული ეკლესია სათავეს იღებს წმიდა ანდრიასაგან, რომელმაც პირველმა იქადაგა ქრისტეს სჯული ქართულ მიწაზე, ხოლო ისინი კი, სახარების მიხედვით, ღვიძლი ძმები იყვნენ. სხვათა შორის, წმიდა ანდრია ტრადიციულად იგულისხმება კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო საყდრის მფარველადაც, რაკი ეს საყდარი ანდრეასეულად მიიჩნევა. ამიტომ, როცა კირიონის მიმართვიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ, 1960-იანი წლების მეორე ნახევარში მკვეთრად გაჯანსაღდა ურთიერთობანი რომისა და კონსტანტინოპოლის საყდრებს შორის, ამ კავშირის სიმბოლოდ მოციქულების პეტრესა და ანდრიას ძმობა იქცა⁶. სწორედ კონსტანტინოპოლში დამკვიდრდა წმიდა ანდრიას ზედწოდებად “პირველწოდებული” – რომის საყდრის, პეტრეს საყდრის, პირველი სამოციქულო საყდრის საპირწონედ და ეს ზედწოდება შემდგომ

5 ტექსტის გამოცემებში მცდარადაა მითითებული ფსალმუნი: დასახელებულია – 14, 25, უნდა იყოს – 142, 5.

6 ამ ურთიერთობათა მოკლე მიმოხილვა ქართულად იხ. მერაბ ლალანიძე, “შეხვედრა რომში”, წგ-ში: მერაბ ლალანიძე, *რწმენისა და იმედის გზაზე*, გვ. 38-45.

განსაკუთრებით გავრცელდა – როგორც ეკლესიურად, ისე სახელმწიფოებრივად – რუსეთის იმპერიაში, რომელიც თავს ბიზანტიის მემკვიდრედ მიიჩნევდა. მაგრამ თვალსაჩინო და გამორჩეული ისაა, რომ კირიონი ორივე მოციქულს – პეტრესაც და ანდრეასაც – “პირველწოდებულებს” უწოდებს, ხოლო მათი ძმობა კი როგორც რომისა და ქართული ეკლესიების, ისე რომაელთა და ქართველთა სიყვარულისა და ახლობლობის ნიშნად მიაჩნია. მაგრამ თავად ეს სიახლოვე, მისი აზრით, რომელიც მანამდეა გამოთქმული, არა იმდენად კაცთა ნებამ ისურვა, რამდენადაც “განგებამ ღმრთისამ”, ანუ იმთავითვე პროვიდენციულად იყო განსაზღვრული. ქართლის ეკლესია, სწორედ ღმრთის განგებით, არ აღმოჩნდა დაშორებული რომის დიდ ეკლესიას, ანუ ქრისტიანული სამყაროსა და მართლმორწმუნეობის შუაგულს, როგორც ის აღიქმებოდა არამხოლოდ ახალმოქცეული ახლობელი თუ შორეული მიწებიდან. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ კირიონი მსჯელობს ორი ეკლესიის შესახებ, რომელთაც – ორივეს – მოციქულებრივი წარმოშობა აქვს, და არანაირად არც შეეხება და არც გულისხმობს პირველადი ერთიანი ეკლესიიდან ან ერთის, ან მეორის გამოყოფას. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ შემდგომ იგი მსჯელობს “ერთმორწმუნეობით” შემოსილი მთლიანი ეკლესიის გახლეჩის შესახებ (“განიხეთქა”).

ქართული ეკლესიის მეთაურს ყურადღების მიღმა არ რჩება ისტორიული ამბები, რომლებიც უკავშირდება ქართლში ქრისტიანობის შემოსვლასა და მის აღიარება-გამოცხადებას სახელმწიფო სარწმუნოებად. ამასთან დაკავშირებით, იგი სამ ყველაზე მნიშვნელოვან სახელს გამოყოფს, რომლებიც ამ დიადი მოსაბრუნის მესაძირკვლეებად მიაჩნია: წმიდა ნინო, ქართველთა განმანათლებელი, ქრისტიანობის გამავრცელებელი; წმიდა მირიანი, ქართლის მეფე, ქრისტიანობის სახელმწიფოებრივად დამამკვიდრებელი; წმიდა სილიბისტრო, რომის პაპი, ქრისტიანობის უზენაესი მაკურთხეველი. ფაქტობრივად, ყველა უძველესი ქართული წყარო, რომელიც ქართლის მოქცევის გადაწყვეტ დღეთა მოვლენებს აღწერს, ამ მოვლენათა შორის აუცილებლად მოიხსენიებს რომის პაპის (ან ქართული წყაროებით: რომის პატრიარქის), სილიბისტროს (ლათინურად: Silvester I, საყდარზე: 314-335), ღვაწლს. სწორედ მას ეპყრა რომის ეპისკოპოსის, ანუ კათოლიკე ეკლესიის მეთაურის კვერთხი, როცა,

– სავარაუდოდ, 326 წელს, – ქართლი საჯაროდ გამოცხადდა და საბოლოოდ დადგინდა ქრისტიანულ ქვეყნად. ღირსშესანიშნავია, რომ თუ ქართლის გაქრისტიანების უამს ვადამწყვეტი მნიშვნელობა მოძღვრების გავრცელების საქმეში ენიჭება წმიდა ნინოს, ხოლო სახელმწიფოებრივად დამკვიდრება-განმტკიცების უზრუნველყოფაში – მეფე მირიანს, ქართლში საეკლესიო ცხოვრებისათვის კანონიკური საფუძვლის მინიჭება, ანუ ადგილობრივი ეკლესიის დაფუძნების კანონიკური დადასტურება უკავშირდება რომის პაპის, სილიბისტროს, სახელს.

ქართულ ნიადაგზე ქრისტიანობის შემოსვლასა და გავრცელებას კირიონი ორი შთამბეჭდავი მეტაფორით გამოხატავს: “ვარდითა” და “ნერგით”. მისი სიტყვებით, თუ პაპმა სილიბისტრომ ვარდით ააყვავა სარწმუნოების და, რაც განსაკუთრებით ღირებულია, მართლმორწმუნეობის ნაყოფი ქართლში (“ალაყუავილა ნაყოფი მართლმორწმუნეობისად ქუეყანასა ქართლისასა”), პაპმა გრიგოლ დიდმა, დიალოგოსმა, სარწმუნოების ახალნერგი გაახარა (“ახალნერგმან ამან ქრისტესმან ღებინებად ჰპოვა”) და მანაც მართლმორწმუნეობა დაიკვა, – ქართლის ეკლესია გაათავისუფლა გადაცდენისაგან, ცდომილებისაგან, იმუამად ქრისტიანულ აღმოსავლეთში ფართოდ მოდებული ნესტორიელობის წვალებისაგან. ამით საგანგებოდ აღნიშნული ის, რაც ქრისტიანული წელთაღრიცხვის პირველ ათასწლეულში ქრისტიანული აღმოსავლეთისათვისაც ურყევ ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა: რომ სახარებისეული ანდერძის მიხედვით, სწორედ რომის პეტრესეული საყდარი იყო მართალი სარწმუნოების, უცდომელი რწმენის საწინდარი და რომ სწორედ რომის საყდრისადმი ერთგულება განაპირობებდა მართლმორწმუნეობის სიმყარეს. კირიონს სიხარულსა და სიამაყეს ჰგვრის, რომ ქართული ეკლესიის ის მეთაური, რომელსაც ურთიერთობა, მიმოწერა ჰქონდა რომის პაპთან, გრიგოლ დიდთან (ლათინურად: Gregorius Magnus, 540-604, საყდარზე: 590-604), იყო მისი სენია, ქართლის კათალიკოსი კირიონ პირველი (საყდარზე: 559-614/616)⁷, რასაც კირიონ მეორე თავის წერილში საგანგებოდ აღნიშნავს (“სენასა ჩემსა”).

7 მის შესახებ დაწერილებით იხ. ზაზა ალექსიძე, “კირიონ ქართლის კათალიკოსი”, წგ-ში: *ეპისტოლეათა წიგნი*, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ.: მეცნიერება, 1968, გვ. 167-272.

თუ ცნობებს სილიბისტროსეული კურთხევისა და მის მიერ ქართლში საგანგებო მოციქულის გამოგზავნის შესახებ კათოლიკოსი კირიონი არაერთ ქართულ წყაროში მიაკვლევდა, – “ქართლის მოქცევის” უძველესი ვერსიებიდან ვახუშტის უზარმაზარ ნაშრომამდე “აღწერა სამეფოსა საქართველოსა” (რომელთა არაერთი სხვადასხვა გამოცემით შეეძლო ესარგებლა მას), – ცნობა კირიონ პირველისა და გრიგოლ პირველის მიმოწერის შესახებ⁸ კირიონ მეორეს უთუოდ უნდა მოეძიებინა მიქელ თამარაშვილის წიგნში “ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის”, რომელიც 1902 წელს გამოქვეყნდა, თხუთმეტი წლით ადრე ამ მიმართვის დაწერამდე, საგულისხმოა, რომ მართლმორწმუნეობის მტკიცე დამცველებად რომის ორი წმიდა პაპია წარმოდგენილი, – სილიბისტრო პირველი და გრიგოლ პირველი, – რომელთა წმიდანობას აღიარებს და საერთო წმიდანთა შორის რაცხავს აღმოსავლეთის ბიზანტიურ-მართლმადიდებელი ეკლესიაც.

შემდგომი ცნობაც წმიდა ილარიონ ქართველის მოღვაწეობის შესახებ, როგორც ჩანს, ისევ ძველი ქართული წყაროებიდანაა მოპოვებული, რაკი “ილარიონის ცხოვრებას” კირიონი ადვილად იპოვიდა ქართულ გამოცემებში⁹. ილარიონ ქართველი რამდენიმე წლის განმავლობაში იმყოფებოდა რომში, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ მიმართვის ავტორისათვის იგი არაა ოდენ უბრალო მომლოცველი, რომელიც იქაურ სიწმიდეებს ეზიარებოდა, არამედ იგი, უპირველეს ყოვლისა, ქართლში ქრისტიანობის სიმყარისა და ქართული საეკლესიო ცხოვრების სიდიადის ცოცხალი, მეტყველი უწყებაა, რომელიც, ამავე დროს, განამტკიცებს რომელთა და ქართველთა ერთიანობას (“განამტკიცა ერთობად ჰრომთა და ქართველთად”). ნაკლებად სავარაუდოა, რომ კირიონი აქ ერების კავშირებს გულისხმობდეს, მიუხედავად

8 უახლეს კვლევათაგან ამ მიმოწერის შესახებ იხ. მერაბ ლაღანიძე, “მიმოწერა რომსა და მცხეთას შორის ნათლისღების შესახებ”, *ღიალოგი*, 2 (3), 2005, გვ. 64-70. [მუსულია, ასევე, წგ-ში: მერაბ ლაღანიძე, *ლიტერატურა, კულტურა, რელიგია*, 1, თბ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2021, გვ. 165-168.]

9 სავარაუდოდ, ან საბინინისეულ “საქართველოს სამოთხეში” (*საქართველოს სამოთხე: სრული აღწერა ღუაწლთა და ვნებათა საქართუქლოს წმიდათა, მკურნებელი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურლის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ, პეტერბურლი, 1882, გვ. 371-92*), ან “ათონის კრებულში” (*ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით*, ტფ., 1901, გვ. 69-108).

იმისა, რომ ლაპარაკია მრავალი ადამიანის ურთიერთობის შესახებ. რაკი საქმე, ფაქტობრივ, შეეხება ერთ ადამიანს, ილარიონს, – მით უმეტეს, როცა ეს ადამიანი წმიდანია, – რა თქმა უნდა, იგულისხმება ეკლესიური მტკიცე კავშირი, მყარი საეკლესიო ერთიანობა რომაელთა და ქართველთა შორის, რაც საქართველოს კათოლიკოსს წარმოსაჩინად და საამაყოდ მიაჩნია.

ამის შემდეგ კირიონისეული მიმოხილვა უახლოვდება ეკლესიის გაყოფის მტკივნეულ ჟამს, მაგრამ შესამჩნევია, რომ საქართველოს საკათოლიკოსოს მეთაური აქ მსჯელობს არა ეკლესიის გახლეჩის, გაპობის შესახებ, არამედ ერთმორწმუნეობის განხეთქილებაზე, რაშიც ზოგადი ბრალი მეტაფიზიკურ ძალას ედება ("შურითა ეშმაკისაჲთა") და არა კონკრეტულ ისტორიულ პირებს ან თუნდაც ისტორიულ გარემოებებს. შესაბამისად, ქრისტიანული სამყაროს ორად გამიჯვნის კონკრეტული დანაშაული არ ჰბრალებს არცერთ მხარეს, – არც რომაულს და არც ბიზანტიურს. რა თქმა უნდა, ისიც საფიქრებელია, რომ მიმართვის მიზანდასახულობიდან თუ ადრესატიდან გამომდინარე, საკითხის ამგვარად ჩამოყალიბება დიპლომატიური დადუმების აუცილებლობითაც იყო განპირობებული. ყურადსაღებია, რომ – კონკრეტულ ისტორიულ ვითარებათა გათვალისწინებით, რაშიც ქრისტიანულ ტრადიციათა განსხვავება, სახესხვაობა იგულისხმება – აღიარებულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიის არსებობა, მაგრამ დასახელებულია ერთი ეკლესია ("ეკლესია აღმოსავლისა და დასავლისა") და არა ეკლესიები. ამ ერთიან ეკლესიას კი, სადაც გამოირჩეოდა ერთმანეთისაგან განმაცალკევებელი აღმოსავლური და დასავლური ტრადიციები, მაინც აკავშირებდა ერთმორწმუნეობა, რომელიც განხეთქილების შედეგად ორად გაიყო ("განიხეთქა ძოწეული შეუნიერი ერთმორწმუნეობისაჲ"). ამ გაყოფის კონკრეტული თარიღის დასახელებას კირიონი თვალმისაცემად არიდებს თავს (იგი მხოლოდ ასე აღნიშნავს: "გარდახდეს წელნი მრავალნი"), მაგრამ დიდად სავარაუდოა, რომ იგულისხმებოდეს ამ გაყოფის ყველაზე გავრცელებული თარიღი, 1054 წელი, რომლიდანაც, ჩვეულებრივ, ქრონოლოგიურად ითვლება ეგრეთ წოდებული აღმოსავლური სქიზმა. კირიონი არ ეხება საკითხს, რამდენად უმაღვე გაიზიარა ან გაიაზრა ქართულმა ადგილობრივმა ეკლესიამ სქიზმის შინაარსი, მაგრამ ფაქტები უეჭველად მეტყველებს, რომ ამ გან-

ხეთქილებში იმჟამად წილი არ დაუდია მცხეთის საკათოლიკოსოს (ამ მხრივ, ის გამონაკლისი სულაც არ ყოფილა, რადგან აღმოსავლეთის სხვა საყდრებიც საკმაოდ მოგვიანებით შეუერთდა განხეთქილებას რომის საყდართან). ამდენად, მიმართვის ტექსტი არ ცხადყოფს, რამდენად იღებს და ეთანხმება კათოლიკოსი კირიონ მეორე მიქელ თამარაშვილის თვალსაზრისს, რომ "საქართველოს ეკლესია არ გაყრია რომის ეკლესიას ერთსა და იმავე დროს, ესე იგი, 1054 წ., როდესაც გაეყარა საბერძნეთის ეკკლესია"¹⁰.

მაგრამ ის, რომ კირიონი კონკრეტულად და მკაფიოდ მეცამეტე საუკუნით ათარილებს პირველ კათოლიკე მისიონერთა შემოსვლას საქართველოში, უეჭველად გამოძახილია 1902 წელს ტფილისში გამოცემული თამარაშვილის წიგნის სათაურისა, სადაც მკვლევარი ნაშრომის სახელწოდებაშივე საგანგებოდ აღნიშნავს ამ თარიღს: "ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნითგან ვიდრე XX საუკუნემდე".

საყურადღებოა, რომ კათოლიკოს-პატრიარქის თვალსაზრისით, ქართული ეკლესია თავის დროს "გულარძნილად", ანუ განრისხებულად, გაბოროტებულად, გაღიზიანებულად სულაც არ შეხვედრია განხეთქილებას, ანუ გაყოფას რომისა და კონსტანტინოპოლის საყდრებს შორის, რის დასტურადაც იგი მიიჩნევს სწორედ მეცამეტე საუკუნიდან რომის საყდრის მიერ გამოგზავნილ პირთა გამოჩენას საქართველოში და მათს მშვიდობიან დამკვიდრებას ქვეყანაში, – მეფეთა მფარველობით. სხვათა შორის, კირიონი მკაფიოდ მიჯნავს იმ საქმეებს, რომლებსაც ქართულ მიწებზე აღასრულებდნენ რომიდან ჩამოსული "მოციქულნი და ქადაგნი", ანუ, ერთი მხრივ, წარმომადგენელნი, შუამავალნი კათოლიკე ეკლესიის მეთაურსა და ქართველ მეფეთა თუ მღვდელმთავართა შორის, – ვინც საელჩო-სადესპანო დავალებებს ასრულებდა, და, მეორე მხრივ, კათოლიკური სარწმუნოების მქადაგებელნი და გამავრცელებელნი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, – ვინც რომის საყდრის ერთგულებას თესავდა

¹⁰ მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნითგან ვიდრე XX საუკუნემდე*, ტფ., 1902, გვ. 22.

ან რომის საყდრის ერთგულ ქრისტიანებს სულიერ მზრუნველობას არ აკლებდა. განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია, რომ, კირიონის აზრით, ერთი მხრივ, მათი სამსახური ერთგული სამსახური იყო (“შეუორგულებელად იღუწოდეს”), – განსხვავებით არაერთი გვიანდელი ინტერპრეტაციისა, – და, მეორე მხრივ, რომ ისინი ქართველ მეფეთა ქომაგობითა და კეთილგანწყობით სარგებლობდნენ. მათი საქმიანობის სფერო კი სამმაგი იყო, რასაც საფუძვლად ედო ქართულ მიწებზე მცხოვრებ ადამიანთათვის სულიერი, ხორციელი და გონებრივი მზრუნველობის აღმოჩენა: კირიონი აღნიშნავს და მკათიოდ გამოყოფს, რომ ისინი იყვნენ, ჯერ ერთი, სულიერი მოძღვარნი (“მწყემსნი კეთილნი”), მეორე, ექიმი (“მკურნალნი ხორცთანი”) და, მესამე, სწავლა-განათლების გამავრცელებელნი, გამნათლებელნი (“შომფუნელნი ჩუენდა სწავლა-განათლებისანი”). საგულისხმოა ამ ბოლო შემთხვევისას კირიონის მიერ “ჩვენობითი” ფორმის გამოყენება: როგორც ჩანს, აქ იგულისხმება სწავლა-განათლების გავრცელება არა მხოლოდ კათოლიკე ქართველთა შორის, არამედ, ზოგადად, ქართულ გარემოში, – მათ შორის, არაკათოლიკეთათვის, – რადგან, როცა კათოლიკოსი კირიონ მეორე იყენებს ნაცვალსახელს “ჩვენ”, იგი არანაირად და ვერანაირად მიაკუთვნებს კათოლიკე ქართველებს, კერძოდ, საკუთარ თავს.

რომის საყდრიდან წარმოგზავნილ მისიონერთა ღვაწლი კი გამოიხატებოდა იმ საქმიანობაშიც, რომ მათ ქართულ ნიადაგზე მცხოვრებ კათოლიკეთა სულიერ საჭიროებათათვის ააშენეს ტაძრები (“მათ აღაშენეს ქუეყანასა ჩუენსა ეკლესიანი თჳსნი”) და აქ მყოფი ბევრი ადამიანი რომის ეკლესიის წესის მიმდევარნი გახადეს (“დაუმოწაფეს საყდარსა შენსა არა მცირედნი ქართველნი, წესისაებრ ჰრომთა ეკლესიისა”). გასათვალისწინებელია, რომ კირიონი ამჯერად ლაპარაკობს არა სარწმუნოებრივი განსხვავების, არამედ წესის განსხვავების შესახებ, რაც, შესაძლოა, იმას გულისხმობდეს, რომ ქართველი კათოლიკეები წესითაც იყვნენ გამიჯნულნი ქართული ეკლესიის წევრთაგან. ამდენად, აქ ლაპარაკია არა აღმოსავლური წესის კათოლიკეებზე, არამედ სწორედ ლათინური, ანუ რომაული წესის კათოლიკეებზე. ისტორიული საბუთებიც იმას მეტყველებს, რომ ქართველი კათოლიკეები საუკუნეების განმავლობაში უმთავრესად ლათინური წესის მიმდევრები იყვნენ. თუმცა გადამწყვეტი განსხვავება, ერთი

მხრივ, ბიზანტიურ-მართლმადიდებლური ტრადიციის ქრისტიანებსა და, მეორე მხრივ, კათოლიკური ტრადიციის ქრისტიანებს შორის, – იქნებიან ისინი რომაული თუ სხვა აღმოსავლური წესის მიმდევარნი, – ეკლესიის მიწიერ მეთაურად რომის ეპისკოპოსის აღიარებაა. ბუნებრივია, რომ ამ აღიარებასა და ამ აღმსარებლობას მიჰყვებოდნენ და მიჰყვებიან ქართველი კათოლიკეები ("პაცივსა სცემენ სახელსა შენის უწმიდესობისასა").

ცნობები, თუ რა ხდებოდა მეცამეტე საუკუნიდან მოყოლებული ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებაში, ან თუ როგორ მოღვაწეობდა ქართულ მიწებზე კათოლიკე ეკლესია, ბუნებრივია, კირიონს აღებული აქვს ისევ მიქელ თამარაშვილის ნაშრომიდან "ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", რადგან ამ მოვლენათა შესახებ სხვა არანაირი წყარო ქართულად იმჟამად არც არსებობდა, თუ არ ჩავთვლით, სავარაუდოდ, ზეპირ გადმოცემებს¹¹, რომლებიც კათოლიკე მისიონერთა საქართველოში საქმიანობას შეეხებოდა, – საქმიანობას მანამ, სანამ ეს მისიონერები, რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით, არ განიდევნენ მთელი იმპერიიდან და, მათ შორის, ქართული ნიადაგიდან 1845 წელს.

ასე, თანდათანობით უახლოვდება კირიონი მის თანამედროვე ხანას, "დღესა ამას აღდგენისა ქართველთა ეკლესიისა", – ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის გამოცხადებას. ამ მოვლენასთან დაკავშირებული სიხარულის მონაწილედ ("მოწილედ") მას რომის პაპიც ეგულება.

საქართველოს საკათოლიკოსოს მეთაურს მიაჩნია, რომ თუკი სათუძვლიანად იქნება გააზრებული სწორედ ისტორიული წარსული, – და ამ განმაზრებელთა შორის იგი უწინარესად საკუთარ თავს გულისხმობს ("გულისხმისმყოფელი წარსულისა ჩუენისა"), – გაჩნდება საშუალება, ცხადად იქნეს დანახული როგორც კათოლიკეებთან ურთიერთობის თვალსაწიერი საკათოლიკოსოს წევრთა მხრივ, ისე კათოლიკეთა მომავალი საქართველოში.

11 იხ. მაგალითად, კირიონის თვალწინ გამოქვეყნებული აკაკი წერეთლის "ჩემი თავდასავალი", რომელიც უშუალოდ მის მღვდელმთაურობამდე ან უკვე მღვდელმთაურობისას ქვეყნდებოდა, 1893-1909 წლებში: "იმ დროს, როგორც სხვა ყოველ ქართველ დიდოჯახებში, გურიელის სასახლეშიაც თითქმის შინაკაცებად ითვლებოდნენ ფრანგის პატრები და დიდი გავლენაცა ჰქონდათ ოჯახებზე" – აკაკი წერეთელი, *თხზულებათა სრული კრებული*: ოც ტომად, ტომი VII, თბ.: საქართველოს მაცნე, 2015, გვ. 25.

კირიონ მეორე, როგორც ქართული ეკლესიის მეთაური, ანუ როგორც მეთაური საქართველოს ქრისტიანთა უმრავლესობისა, ჰპირდება ("აღთქმასა ვდებ") რომის კათოლიკეთა უზენაეს მღვდელმთავარს, რომ პაპის ერთგული მორწმუნეები არასოდეს იქნებიან შევიწროებულნი ("არა შეიწროებულ იქმნებიან") კათოლიკოს-პატრიარქის მიერ, და მათ მის გულში არასოდეს მიენიჭება დამცირებული ადგილი, მაგრამ კირიონი ამ აღთქმას, ამ პირობას დებს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მთელი ქართველი ერის სახელითაც.

კათოლიკოსი კირიონი არა მარტო თავდები ხდება იმისა, რომ კათოლიკეები საქართველოში ხელშეუხებლები იქნებიან, არამედ თხოვნიდაც მიმართავს კათოლიკე ეკლესიის მეთაურს, გაითვალისწინოს ქართველ კათოლიკეთა საჭიროებანი და გულისყურით მოეკიდოს მათ. მისი სიტყვებიდან ჩანს, რომ მზრუნველობასა და გადაწყვეტას ელის ამ საჭიროებათა არა მხოლოდ სარწმუნოებრივი, არამედ ეროვნული განზომილებაც ("მრავალფეროვან მათთა სარწმუნოებრივ-ეროვნულ სახმართა"). როგორც ჩანს, იგულისხმება ქართველ კათოლიკეთა ეროვნული სატკივარი, როცა მათ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ შეძლეს ქართული წესის დამკვიდრება თავიანთ საეკლესიო ცხოვრებაში, რაკი რუსეთის იმპერიაში ქართულ ნიადაგზე მცხოვრებ კათოლიკეებს ჩამორთმეული ჰქონდათ ქართული წესის აღსრულების უფლება (იმპერია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აღიარებდა მხოლოდ ლათინურ ან სომხურ წესს)¹². სწორედ ამ იკვეთებოდა სარწმუნოებრივი და ეროვნული საწყისები ქართველ კათოლი-

12 ამ საკითხებზე დაწვრილებით და არაერთგზის მსჯელობს მიქელ თამარაშვილი თავის სამივე წიგნში: "ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოგანითა და განმარტებით XIII საუკუნითგან ვიდრე XX საუკუნემდე" (1902), "პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარპყოფენ ქართველ კათოლიკობას (ისტორიული გამოკვლევა)" (1904), "L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours" ["ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე"] (1910); უახლესი კვლევებიდან იხ. ნატო ყრუაშვილი, "ქართული ტიპიკონის საკითხი მესხ განმანათლებელთა მოღვაწეობაში", *კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში*, 1, 2018, 169-188; ქართული წესის მნიშვნელობის შესახებ, ზოგადად, რომლის შენარჩუნება, ფაქტობრივად, მხოლოდ კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) ქართველ კათოლიკეთა მონასტერში მოხერხდა პეტრე ხარისჭირაშვილის მცდელობით იხ. მერაბ ლაღანიძე, "პეტრე ხარისჭირაშვილის ცხოვრება და ღვაწლი", *ლიტერატურული ძიებანი*, 37, 2016, გვ. 238-243. [მესულია, ასევე, წინამდებარე წგ-ში: გვ. 55-63.]

კეთათვის, რაც მათთვის ქართული ენისა და ქართული ტრადიციის შენარჩუნებას ნიშნავდა¹³. როცა რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ აკრძალა კათოლიკური ღმრთისმსახურების აღსრულება ქართული წესით, რომის საყდარი მაშინ უძლური აღმოჩნდა, დახმარებოდა ქართველ კათოლიკეთა სარწმუნოებრივ-ეროვნულ სწრაფვებს. რაკი კირიონი იმ დროს მიმართავს რომის პაპს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა სულ უფრო ახლოვდება, ხოლო რუსეთის იმპერიული გავლენა სრულებით ჩამოშლილი და მორღვეულია, საქართველოს საკათოლიკოსოს მეთაურიც უერთდება ქართველ კათოლიკეთა თხოვნას, რომის საყდარმა ამჯერად მაინც დაუჭიროს მხარი ქართველ კათოლიკეთა შორის ქართული წესის აღიარებასა და დამკვიდრებას.

მიმართვის ტექსტიდან ცხადი ხდება, რომ რომის საყდართან ქართველების დამოკიდებულების წარმოჩენისას კირიონი ემყარება ქართულ და ევროპულ წყაროებს, და თან ისიც უეჭველია, რომ ამ ურთიერთობათა მოკლე აღწერისას ქართული ეკლესიის მამამთავარი მკაფიოდ გამოხატავს სრულ კეთილგანწყობას კათოლიკე ეკლესიისა და მისი მეთაურის მიმართ.

საბოლოოდ, შესაძლებელია, მიმართვის შინაარსი ამგვარად ჩამოყალიბდეს: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონ მეორის, წერილი რომის პაპის, ბენედიქტე მეთხუთმეტის, მიმართ არა მარტო აცნობს კათოლიკე ეკლესიის მეთაურს საქართველოში მომხდარ მნიშვნელოვან სიახლეს – ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებასა და კათოლიკოს-პატრიარქის არჩევა-აღსაყდრებას, არამედ ადასტურებს რომის საყდრის ღვაწლს, ერთი მხრივ, ადრეული ქართული ეკლესიის განმტკიცების საქმეში, ხოლო, მეორე მხრივ კი, საუკუნეთა განმავლობისას გაწეულ მზრუნველობას ქართველ კათოლიკეთა მიმართ; ამავე დროს, წარმოსახავს მომავალ ურთიერთობას რომის საყდარსა და საქართველოს საკათოლიკოსოს

13 ამ საკითხის ირველივ ქართული კათოლიკური თვალსაზრისის შესახებ, რომელიც გამოხატული იყო, სხვა ქართველ კათოლიკე მოღვაწეებთან ერთად, მიქელ თამარაშვილის ნაწერებში იხ. მერაბ ლალანიძე, "მიქელ თამარაშვილი – ქართველთა შორის კათოლიკობის ისტორიკოსი", *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XIX/XX, 2017/2018, გვ. 233-236. [შესულია, ასევე, წგ-ში: მერაბ ლალანიძე, *ლიტერატურა, კულტურა, რელიგია*, 2/1, თბ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2021, გვ. 97-129.]

შორის, თუმცა, რა თქმა უნდა, მსჯელობა არანაირად არ ეხება არც ეკლესიათა გაერთიანებას და არც ერთობლივ სულიერ მოღვაწეობას.

კირიონის სიცოცხლე სულ მალე, რამდენიმე თვეში, დასრულდა. საქართველოს ელოდა რუსული ბოლშევიკური ოკუპაცია, რასაც რომსა და საქართველოს შორის კავშირების სრული გაწყვეტა მოჰყვა¹⁴. ქართველი ქრისტიანები – როგორც რომის საყდრის, ისე საქართველოს საკათოლიკოსოს ერთგულნი – უმაგალითო დევნისა და შევიწროების წინაშე აღმოჩნდნენ, ხოლო ქრისტიანულ ეკლესიას კომუნისტურ სახელმწიფოში სრული განადგურების საფრთხე დაემუქრა.

მანამდე კი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებისას 1917 წელს, მწვავედ დადგა საქართველოს საკათოლიკოსოს აღიარების საკითხი. რუსეთის ეკლესია, რომელსაც ის იმუამად გამოეყო და რომლის საუკუნოვან ბატონობასაც დააღწია მან თავი, მის აღიარებას არ აპირებდა. ახალაღსაყდრებულმა კათოლიკოსმა მხარდაჭერის თხოვნით, რა თქმა უნდა, მიმართა უძველესი ბიზანტიურ-მართლმადიდებლური საპატრიარქოების მეთაურებს, რა თქმა უნდა, მიმართა მეზობელი სომხეთის უმაღლეს პატრიარქ-კათოლიკოსსაც, მაგრამ ვინც ეკლესიის ისტორია, დოგმატიკა თუ კანონიკა მკირედ მაინც იცის, შეუძლებელია არ ახსოვდეს, რომ აღრიდანვე ქრისტიანულ სამყაროში უზენაეს განმსჯელად რომის საყდარი მიიჩნეოდა, – ისე, როგორც ქრისტემ უანდერძა რომის პირველ ეპისკოპოსს, მოციქულ პეტრეს: “ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვის, რადგან არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი; და შენ ოდესმე მიიქეც და განამტკიცენ ძმანი შენნი” (ლუკა 22:32). კათოლიკოს-პატრიარქ კირიონსაც უეჭველად მყარად ემახსოვრებოდა სახარებისეული ეს სიტყვები.

2018

14 როგორც ჩანს, კირიონის შემდეგ კიდევ ყოფილა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა მხრივ რომის საყდართან ურთიერთობის მცდელობა, თუმცა ეს ამუამად დასტურდება არა საბუთებრივ, არამედ მხოლოდ ჩანაწერის სახით დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძის დღიურიდან: “პაპს კი გაუგზავნა ამბროსიმი, როგორც კირიონმა-ლეონიდიმაც, თვისი ივერიის კათედრაზე ასვლის ცნობა...” – ნიკიტა თალაქვაძე, *მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან*, თბ.: ლიტერატურის მუზეუმი, 2013, გვ. 284.

სერგი ბულგაკოვი სამშობლოსა და ლტოლვილობის ზღვარზე: მზერა რომისაკენ "ქერსონესის კედლებთან"

1922 წელს, – სანამ საბოლოოდ დატოვებდა თავის სამშობლოს, რუსეთს, და სამუდამოდ გაემართებოდა ლტოლვილობის ევროპულ გზაზე, – მანამ, ყირიმში, ძველი ბერძნული ნაქალაქარის ახლოს, სერგი ბულგაკოვი (1871-1944), ყოფილი მარქსისტი და იმჟამად მართლმადიდებელი მღვდელი, ფილოსოფოსი და თეოლოგი, წერს დიალოგების წიგნს "ქერსონესის კედლებთან" ("У стен Херсониса")¹, რომლითაც იგი არა მარტო აჯამებს განვლილ პირად სულიერ გამოცდილებას და მონიშნავს როგორც პირადად მისთვის, ისე მისი სამშობლოსათვის სრულიად ახალ, ჯერ კიდევ გამოუცდელ სარწმუნოებრივ მიმართულებებს, არამედ, ასევე, ცდილობს ჩასწვდეს რუსეთის ისტორიის საუკუნოვანი ტეხილების პროვიდენციულ დანიშნულებასაც და გაიგოს მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენათა განსაკუთრებული შინაარსი თუ საზრისი.

ბუნებრივია, რომ იმ დროის გათვალისწინებით, როცა იქმნებოდა წიგნი, დიალოგებში დიდი ადგილი ეთმობა ჩაფიქრების მცდელობას რუსეთის რევოლუციის ჭეშმარიტი მიზანსწრაფვისა და მისი ისტორიული დანიშნულების ირგვლივ. ბოლშევიკების მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალება და მას მოღვევებული სისხლისმღვრელი, სასტიკი სამოქალაქო ომი დანახულია არა მარტო როგორც განსაცდელი, არამედ როგორც მოულოდნელი გამოწვევაც და მომავლის ძახილიც.

რაკი, ბულგაკოვისეული ხედვით, განუყოფელია რუსეთი და ქრისტიანული სარწმუნოება, რუსეთი და რუსული ეკლესია, ამდენად, ბუნებრივია, დიალოგებად გადმოცემულ განაზ-

1 პირველი ცალკე გამოცემა: С. Н. Булгаков, *У стен Херсониса*, Подготовка текста и вступительная статья А. М. Мосина, СПб.: Дорваль, Лига, Гарт, 1993; შემდგომში ციტატები ტექსტიდან, თარგმნილი ქართულად მომხსენებლის მიერ, მოყვანილია ამ გამოცემიდან, გვერდების მითითებით ციტატის დამოწმებისთანავე.

რებათა გაშლაც ქრისტიანობის ყოფნა-შენარჩუნებისა და რუსული ეკლესიის მომავლის შესახებ ანტიქრისტიანული სულისკვეთებით გაუღენთილ ბოლშევიკურ სახელმწიფოში, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი (თუ მთავარი არა!) მისწრაფება ქრისტიანული სარწმუნოების სრული ამოძიკვა და განადგურება იყო. რევოლუციური კატაკლიზმის სამარადისო შინაარსს და აბოზოქრებულ ქარტეხილში იღუმალად ჩაწულ სულიერ მოწოდებას ფილოსოფოსი აღიქვამს როგორც ქვეყნისა და ერის წინაშე გადაშლილ სავსებით ახალ სულიერ-ისტორიულ შესაძლებლობას: ბიზანტიური ტრადიციის რუსულმა ეროვნული ეკლესიამ, ან, რასაც უფრო ფართოდ, იგი "ბერძნულ-რუსულ ქრისტიანობას" უწოდებს, ანუ მთელი მართლმადიდებელმა სამყარომ უნდა დაძლიოს თავისი ხანგრძლივი ჩაკეტილობა და სამუდამოდ შეუერთდეს საყოველთაო ეკლესიას, კათოლიკე ეკლესიას – რომის საყდარს. მამა სერგი ბულგაკოვს, მართლმადიდებელ მოძღვარს, ამ გზაზე შესადგომ აუცილებელ ნაბიჯად მიაჩნია ორი კათოლიკური დოგმის უპირობოდ აღიარება, რომელთაც იგი სავსებით ეთანხმება და ჭეშმარიტებად მიიჩნევს: მოძღვრება სული წმიდის გამომავლობის შესახებ როგორც მამა ღმრთისაგან, ასევე, ძე ღმრთისაგან (Filioque) და მოძღვრება რომის პაპის უზენაესობის შესახებ, რაკი ყოველი მემკვიდრე წმიდა პეტრესი, რომელიც არჩეული და დანიშნული იყო ეკლესიის მეთაურად იესო ქრისტეს მიერ, ნამდვილად ის ერთადერთი მღვდელმთავარია, ვისთან ერთიანობა განაპირობებს როგორც ეკლესიის ნამდვილ სისავსეს, ასევე, ეკლესიის სიცოცხლისუნარიანობას, მაგრამ, რაც მთავარია, უეჭველ და სრულყოფილ კავშირს ქრისტეს მემკვიდრეობასთან, სახარების უწყებასთან.

უნდა ითქვას, რომ თხზულების ასეთი სულისკვეთება მეტად მოულოდნელია იმ ქრისტიანი ფილოსოფოსისა და რელიგიური მოღვაწისაგან, თანაც, სასულიერო პირისაგან, რომელიც ამ უჩვეულო წიგნის შექმნამდეც და, განსაკუთრებით, მისი ჩამოყალიბების შემდგომ, – მთელი თავისი მომდევნო ცხოვრების, დარჩენილი ოცდაათი წლის განმავლობაში, – წერდა, ქადაგებდა და ქმედითად იღვწოდა ბიზანტიური ტრადიციის ქრისტიანობის დასაცავად და გასაფრცვლელად. მისი გვიანდელი წიგნი "მართლმადიდებლობა: მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრების

ნარკვევები”², – პირველად ავტორის გარდაცვალების შემდგომ გამოცემული, თუმცა მომდევნოდ არაერთგზის დაბეჭდილი, – ერთ-ერთი ის უმთავრესი წყაროა, რომელიც ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში უამრავ მაძიებელ მკითხველს მართლმადიდებლური მოძღვრებისა და საეკლესიო ცხოვრების შესახებ უშუალო, საფუძვლიან ცოდნას აწვდის.

ევროპაში ჩასული და პარიზში საბოლოოდ დასახლებული სერგი ბულგაკოვი საჯაროდ არასოდეს აქვეყნებს თავის ამ თხზულებას, – “ქერსონის კედლებთან”, – ხოლო შემდგომ იგი მკათიოდ ემიჯნება საკუთარ კონფესიურ-დენომინაციურ ძიებებს, რასაც დროის მიერ მოტანილ აჩქარებად და დროებით დაბნეულობად მიიჩნევს.

რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში წიგნი მხოლოდ შინაკეთი გადანაბეჭდების სახით ვრცელდებოდა ევროპაში თუ რუსეთში, ხოლო მისი სრული ტექსტი სტამბურად პირველად მხოლოდ 1991 წელს გამოიცა³.

* * *

სერგი ბულგაკოვი დაიბადა 1871 წლის 16 ივნისს, ორიოლის გუბერნიის პატარა რუსულ ქალაქ ლივნოში. მამამისი მართლმადიდებელი მღვდელი იყო, რომელიც, პირველ ყოვლისა, შვილის სულიერ-სარწმუნოებრივ აღზრდაზე ზრუნავდა. მან იგი ჯერ სასულიერო სასწავლებელში მიაბარა, შემდგომ კი – ორიოლის სასულიერო სემინარიაში. მაგრამ კარგადაა ცნობილი, თუ რა ხშირად გამხდარა რუსეთის იმპერიის სასულიერო სემინარიები რევოლუციონერებისა თუ ტერორისტების სამჭედლო: ჭაბუკ ბულგაკოვის პიროვნებაშიც, – სემინარიის კედლებში მოწეული რელიგიური კრიზისისა და იქ შეღწეული მარქსის ნაშრომების გაცნობის შემდეგ, – რუსული მარქსიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი და გამორჩეული იდეოლოგი მწიფდებოდა. მაგრამ ეს ჭაბუკური გატაცებანი ჯერ წინ იყო, მანამდე კი მას გიმნაზია და მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ელოდა.

2 პირველი გამოცემა: С. Н. Булгаков, *Православие: Очерки учения православной церкви*, Paris: YMCA-Press, 1965.

3 გამოქვეყნდა პარიზულ ჟურნალში: *Символ*, 25, 1991, с. 169-342.

თუმცა იმჟამად, სამართლის თეორიის მაგიერ, იგი პოლიტიკური ეკონომიკის საკითხებმა ჩაითრია, რაც კარლ მარქსის "კაპიტალის" მოთაყვანისათვის აზრის სრულიად ბუნებრივი, კანონზომიერი მიმართულება იყო.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბულგაკოვი საპროფესოროდ მოსამზადებლად გერმანიაში გააგზავნეს, სადაც მან მოზრდილი, ორტომიანი შრომა დაწერა – "კაპიტალიზმი და მიწათმოქმედება". გერმანიაშივე გაეცნო იგი პირადად მარქსის შემდგომი მარქსიზმის ყველა გამოჩენილ ბელადს: კაუცკის, პლехანოვს, ბებელს...

1901 წელს იგი კიევის უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიკის პროფესორი ხდება, ამავე დროს, ხშირად გამოდის საჯარო მოხსენებებით ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

როგორც ჩანს, ახალგაზრდა მასწავლებელს მფარველი ანგელოზი იცავდა რევოლუციონერთა სამეულებსა თუ ხუთეულებში ღრმად შესვლისაგან; როგორც ჩანს, მისი სულიერი გაქანების ადამიანისათვის მარქსისტული ჩარჩოები მეტად შეზღუდული და ვიწრო აღმოჩნდა; როგორც ჩანს, სამყაროსა და ადამიანის მრავალფეროვნების აღწერა "კლასობრივი ბრძოლის" უსიცივებლო სქემის მიხედვით მან სამყაროსა და ადამიანის სიღრმეთა მეტად ზედაპირულ გაუბრალოებად აღიქვა (მოგვიანებით, 1906 წელს, ბულგაკოვი წერს უჩვეულო და მეტად შთამბეჭდავ მომცრო ნაშრომს: "მარქსი როგორც რელიგიური ტიპი").

სულ მალე მას ღმრთაებრივ სამყაროსთან შეხებისა და გეციურ მაცნესთან იდუმალი საუბრების გაოცება, აღტაცება, ნეტარება ელოდა, ანუ "ქრისტესთან მისტიკური შეხვედრები", როგორც თავად უწოდებს თავის იმჟამინდელ სულიერ განცდებსა და გამოცდილებას. ამ დროს იგი გადაჭრით თავს ანებებს მარქსისა და პლехანოვის კითხვას და ტოლსტოის, დოსტოევსკის, სოლოვიოვის წიგნებს ჩაუღრმავდება, რაც მის სწრაფვას ღმრთის, სამყაროს, ადამიანის შესაცნობად კიდევ უფრო მეტ შთაგონებასა და სიფართოვეს მიაჩვენებს. შემდეგ კი ერთმანეთს მოსდევს პირადი შეხვედრები და ხანგრძლივი საუბრები ლევ ტოლსტოისთან, რელიგიური რწმენის ხელახალი მოპოვება, ეკლესიის წიაღში დაბრუნება, დაგვირგვინებული მისი გახმაურებული წიგნით – "მარქსიზმიდან იდეალიზმისაკენ" (1903), რომელიც, ბუნებრივია, დაწერილია მეოცე საუკუნის დასაწყისის თვალსაჩინოდან, მაგრამ

რომლის სათაურში გამოხატული სულისკვეთება, სამწუხაროდ, მაინც ვერც იქცა აზროვნების წამყვან მიმართულებად ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისშიც კი, მარქსისტული იდეოლოგიისა და კომუნისტური რეჟიმების ამდენად ცხადი გაკოტრების შემდეგაც.

1905-1907 წლების რევოლუციამ და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ("დუმის") დეპუტატობამ საბოლოოდ აუცრუა გული ბულგაკოვს ყოველგვარი პოლიტიკური საქმიანობის მიმართ. ამ დროს იგი სულ უფრო მეტი გატაცებით წამოჭრის რელიგიურ საკითხებს და ცდილობს, ქრისტიანული თვალთახედვით ახსნას ის მოვლენები, რაც საუკუნის დასაწყისში დაატყდა თავს რუსეთსა თუ ევროპას: პირველი მსოფლიო ომი, რევოლუციები, იმპერი-ათა და მყარი ღირებულებების მოულოდნელი თუ მოსალოდ-ნელი მსხვერვა.

1917-1918 წლებში იგი ქმედითად მონაწილეობს მოსკოვში გამართულ სრულიად რუსეთის ადგილობრივი საეკლესიო კრე-ბის საქმიანობაში, სადაც მიზნად იქნა დასახული, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეტანილიყო საეკლესიო ცხოვრებაში, მაგრამ ამ კრების ყველა მიღებული დადგენილება (ბულგაკოვი ზოგიერ-თი მათგანის ერთპიროვნული ავტორიც იყო) ბოლშევიკურმა ტერორმა და რუსული ეკლესიის ფაქტობრივმა განადგურებამ ფარაჩინა ქალაქიდან აქცია.

1918 წელს, ეკლესიისა და სამღვდლოების სასტიკი რბევა-გაჩანაგების დასაწყისში, მოსკოვის წმიდა დანიილას მონასტერში სერგეი ბულგაკოვი მღვდლად ეკურთხა, მის უახლოეს მეგობართა – ნიკოლაი ბერდიაევის, პაველ ფლორენსკის, ვიჩესლავ ივანოვის – თანდასწრებით. მოგვიანებით იგი კომუნისტური დიქ-ტატურის წინააღმდეგ მებრძოლ თეთრგვარდიელებს უერთდებოდა ყირიმში, თუმცა მალევე, 1922 წელს, სიმფეროპოლის უნი-ვერსიტეტის ანათორიანი პროფესორი – უკვე მამა სერგი – მათ კვალობაზე ტოვებს არაბოლშევიკური რუსეთის ამ უკანასკნელ ბასტიონს.

რუსეთიდან მოწყვეტის შემდეგ ბულგაკოვი რუსი ემიგრან-ტების თითქმის უცვლელ მარშრუტს იმეორებს: იგი ერთ ხანს კონსტანტინოპოლში (სტამბოლში) ცხოვრობს, შემდგომ პრაჰა-ში გადადის, სადაც კარლოსის უნივერსიტეტის სამართლის ფა-კულტეტზე პროფესორად იწყებს სამსახურს, ხოლო 1925 წელს პარიზს გადასახლდება. იქ იგი საფუძველს უყრის წმიდა სერგის

მართლმადიდებლურ საღმრთისმეტყველო ინსტიტუტს, სადაც სიცოცხლის ბოლომდე დოგმატიკის პროფესორისა და დეკანის მოვალეობას ასრულებს. მეოცე საუკუნის ნებისმიერი იმ ისტორიკოსისათვის, ნებისმიერი იმ მცოდნისათვის, ვინც ბიზანტიური შტოს ქრისტიანობას შეჰხეხია, აშკარაა ამ ინსტიტუტის წაუშლელი მნიშვნელობა აღმოსავლურქრისტიანულ ტრადიციათა, სწავლებათა, ფასეულობათა დასავლეთში გატანის, დასავლეთისათვის გაცნობის საქმეში; რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ინსტიტუტი ის ერთ-ერთი კერა იყო, სადაც არასოდეს შეწყვეტილა შიდასაეკლესიო საუბარი, დიალოგი ეკლესიის აღმოსავლურ და დასავლურ ნაწილებს შორის. სწორედ ამ გარემოში, პარიზში დაიწერა ბულგაკოვის უმთავრესი და ყველაზე ცნობილი ნაშრომები ქრისტიანობის შესახებ.

* * *

რაც შეეხება სერგი ბულგაკოვის მიერ რუსეთში დაწერილ ბოლო წიგნს – “ქერსონისის კედლებთან” – მისი სტრუქტურა დიალოგურია არა მარტო გარეგნული ფორმითა და მხატვრული ჩანაფიქრით, არამედ შინაგანი მიზანსწრაფვითაც. ნაწარმოების ოთხი მოქმედი პირი გამოხატავს ოთხ განსხვავებულ პოზიციას, ოთხ განსხვავებულ ხმას, რომლებიც ტექსტის დასასრულ არც ერწყმის და არც ჩაახშობს ერთმანეთს, არამედ თავ-თავიანთი სათქმელით რჩება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ საბოლოოდ სხვა ხმები (თავიანთი შეხედულებებით) თანდათანობით იწრიტება და მანაც რჩება განმსაზღვრელი ერთი ხმა, რომელიც ავტორის უწყევ, მტკიცე დამოკიდებულებას გამოხატავს რუსეთის – როგორც ქვეყნის, ისე მისი ეკლესიური განზომილების – და “რუსულ-ბერძნული ქრისტიანობის” მომავლის გამო.

კამათში უმთავრესად ჩართული არიან, ერთი მხრივ, ლტოლვილი და, მეორე მხრივ, საერო ღმრთისმეტყველი, რომელთა შორის დაპირისპირება ურთიერთდაუთმობელი, შეუპოვარია, მაგრამ საუბრებში, ასევე, მონაწილეობენ სამრევლო მღვდელი და მღვდელ-მონაზონი. თუ ლტოლვილი უკიდურესად მკაფიოდ გამოთქვამს ავტორისეულ სანუკვარ აზრებს და დაუფარავად აცხადებს თავის პროკათოლიკურ ორიენტაციას, საერო ღმრთისმეტყველიც უკანდაუხეველია (ხშირად, ლტოლვილისაგან განსხ-

ვავეებით, იგი მეტად უხეში, უკმეხი და მოურიდებელიცაა!) და წარმოუდგენლად მიიჩნევს, საერთოდ, რამე დათმობას კათოლიკე ეკლესიის მიმართ, რომელიც მას მწვალებელთა თავყრილობად ან, კიდევ მეტი, ქრისტიანობისაგან გამდგარ საკრებულოდაც კი მიაჩნია (ივარაუდება, რომ ამ პერსონაჟის პროტოტიპია ცნობილი რუსი საეკლესიო პუბლიცისტი სერგეი ნილუსი, 1862-1929⁴). ამ ორი მთავარი პროტაგონისტის გარდა, დიალოგებში ფრაგმენტულად მონაწილე მღვდელი და მღვდელ-მონაზონი მხოლოდ მხარს უჭერენ ამ ორ მათგანს: პირველი ლტოლვილის სრული თანამოაზრეა და იმდენად სწამს და ეიმედება რუსეთის კათოლიკური მომავალი, რომ, საკუთარი ეპისკოპოსისგან უჩუმრად, რომის პაპსაც კი მოიხსენიებს ღმრთისმსახურების აღსრულებისას (ამ პერსონაჟში, როგორც ჩანს, იგულისხმება მღვდელი სერგი სოლოვიოვი, ფილოსოფოს ვლადიმირ სოლოვიოვის ძმისშვილი, რომელიც შემდგომ კათოლიკე ეკლესიას შეუერთდა, კათოლიკე მღვდელი გახდა და მოწამებრივად დაამთავრა სიცოცხლე საბჭოთა გულაგში⁵); უფრო ფერმკრთალია სწავლული მღვდელ-მონაზვნის სახე (მასში, როგორც ვარაუდობენ, ნაგულისხმებია მთავარეპისკოპოსი ნიკონ როჟდესტვენსკი, 1851-1919), რომლის დანიშნულება კამათისას უმეტესად ამოიწურება საერო ღმრთისმეტყველის თვალსაზრისის დადასტურებით, მიუხედავად იმისა, რომ თავად ეს ღმრთისმეტყველიც შეუდარებლად უფრო ნაკლებად მეტყველებს დიალოგის განმავლობაში, ვიდრე ავტორის პოზიციის ცხადად გამომხატველი ლტოლვილი.

აქვე უნდა ითქვას, რომ შემთხვევითი არაა დიალოგების იმ პერსონაჟის სახელდება – “ლტოლვილი”, რომელიც მკაფიოდ ასახავს ავტორისეულ თვალსაზრისს: ამჯერად, ლტოლვილობა გულისხმობს არა მარტო, – მილიონობით გონიერი და პატიოსანი რუსი ადამიანის მსგავსად, – გაქცევას ან თავის გარიდებას ბოლშევიკური სისხლიანი ხელისუფლებისაგან, საკუთარი სამ-

4 მასალა მისი ცხოვრების შესახებ, – თუმცა უმეტესად პანეგირიკული შინაარსისა, – გამოქვეყნებულია კრებულში: *С. А. Нилус: Жизнеописание, Составитель Сергей Половинкин, Издание Валаамского монастыря, 1995.*

5 წარმოდგენილი მოხსენების გამზადების შემდეგ გამოქვეყნდა წიგნი: *Марк Смирнов, Последний Соловьев, Москва: Прогресс-Традиция, 2014, სადაც შესულია გამოკვლევა მისი ცხოვრების, საქმიანობისა და შემოქმედების შესახებ და, ასევე, თავად მისი, სერგეი სოლოვიოვის, საკუთარი ტექსტები: ვლადიმირ სოლოვიოვის ბიოგრაფია (с. 141-188) და რჩეული ლექსები (с. 191-260).]*

ყოფლისა და მდგომარეობის უნებურ შეცვლას, მკვიდრი თუ დამკვიდრებული ცხოვრების მოშლას, არამედ უფრო ფართო რელიგიურ-სულიერ შინაარსსაც, რაც გამოიხატება პიროვნულ სწრაფვაში, მოშორდეს ჩვეულ კონფესიურ ადგილს, მიატოვოს ტრადიციული “ბერძნულ-რუსული ქრისტიანობა” ანუ ქრისტიანობის ბიზანტიური გზა და მიმართოს თავისი სარწმუნოებრივი მზერა რომის საყდრისაკენ⁶.

ტიქსტში ცხადადაა მინიშნებული, რომ ლტოლვილს, თავშეფარებულს ყირიმში, ზურგი შეუქცევია იმ მოსკოვისათვის, სადაც ბოლშევიკური რეჟიმი ბოგინობს, მაგრამ, ასევე, იმ მოსკოვისათვისაც, რომელმაც, ბევრად უფრო ადრე, თავი “მესამე რომად”, ბიზანტიის მემკვიდრედ, გამოაცხადა. მას მტკიცედ მიაჩნია, რომ ლტოლვა მოსკოვიდან, ანუ “მესამე რომიდან” (როგორადაც ის გამოცხადებული იყო რუსული რელიგიურ-პოლიტიკური იდეოლოგიის მიერ) და გეზის დასახვა პირველი რომის მიმართულებით კი არ აუქმებს “მესამე რომს”, არამედ – ამ მოქცევით ქრისტიანული და ეკლესიური პირველსაწყისისაკენ – ის უერთდება, უბრუნდება, ერწყმის პირველ, ერთადერთ და მარადიულ რომს. სწორედ იქ უნდა მოიპოვოს მან თავისი ნამდვილი დანიშნულება და შინაარსი.

რუსეთის სახელმწიფოსა და რუსული ეკლესიის მომავალი ასე წარმოუდგენია ლტოლვილს: “მესამე რომი, თუკი ის მართლაც განხორციელდება ისტორიაში, იქნება არა ანტითეზა და უარყოფა პირველი, მარადიული ქალაქისა, არამედ წარმოჩნდება მსოფლიოს წინამე ოდენ კავშირით პირველთან და ამ კავშირის ძალმოსილებით აღჭურვილი, – იმ კავშირისა, რომლის უარყოფის გამოისობით ისტორიულად დაიღუპა მიმზიდველი და ამპარტავანი მეორე რომი, სქიზმის დანაშაულის ჩამდენი: ბიზანტია. მესამე რომი მიატოვებს უძლურ სიჯიუტეს, ნამდვილად გახდება მონაწილე იმ გულისგულისა უფლის მეუფებისა ამ ქვეყნად, რასაც წარმოადგენს პირველი მარადიული რომი, თუკი განადგურებს ბოროტ და დამღუპველ თვითმკვლევლობითს გარ-

6 რუს ლტოლვილ ემიგრანტთა შორის კათოლიკობის იმდროინდელი და შემდგომი გავრცელების შესახებ (თუმცა ამ მოქცევათაგან მალე უკვე განმდგარი აღმოჩნდა თავად მამა სერგი ბულგაკოვი) იხ.: Сергей Голованов, *История распространения католичества среди русской эмиграции в 1917-1991 гг.*, Омск, 2006.

ჯას მეორე რომისას, დაძლევეს სქიზმას, და მაშინ განადიდებს უფალი რუსულ ეკლესიას ურიცხვი ძალით" (151).

ლტოლვილი მკაფიოდ უპირისპირდება და მიუღებლად მიიჩნევს "მესამე რომის" იდეას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იდეოლოგიურ საფუძვლად ედო რუსეთის იმპერიას, მაგრამ რომელიც თითქოს პროვიდენციულად დაამსხვრია ბოლშევიკურმა რევოლუციამ (უთუოდ ამგვარი იყო მოვლენათა ბულგაკოვისეული იმუამინდელი აღქმა): "რაკი მესამე რომი ფერფელში აგდია, როგორც ჩანს, თავად მისი პრინციპი იყო მცდარი, ცალმხრივი და ყალბი" (151). მაგრამ შემდგომ (რაც ბულგაკოვს, ალბათ, მეტად გააკვირვებდა!), ეს "ფერფელში ჩაგდებული" იდეა, – თავისი შინაარსით სრულიად იმპერიალისტური, – აიტაცა ჯერ ლენინურმა "სოვედშიამ" (კომუნისტური "მესამე ინტერნაციონალის" სახით), ხოლო შემდგომ – სტალინურმა საბჭოთა იმპერიამ, რომელსაც "კომუნისტური ბანაკი" ეწოდა (ბევრად უფრო გაფართოებული საზღვრებით, ცარისტულ რუსულ იმპერიასთან შედარებით). თუ თავდაპირველად, 1920-იანი წლების ლენინტროცკის იდეოლოგიურ ჩანაფიქრში, ამ იდეას გამოცლილი ჰქონდა როგორც რელიგიური, ისე ნაციონალისტური განზომილება, 1940-იანი წლების სტალინური პროექტით, მართლმადიდებლობა მიჩნეული იქნა კომუნისტური იმპერიის გაფართოების ერთ-ერთ საშუალებად და იმ დროსვე მიზნად იქნა დასახული მოსკოვი გამოცხადებულიყო მსოფლიო მართლმადიდებლობის – ბიზანტიური ქრისტიანობის – ცენტრად.

თუმცა მანამდე, 1910-იანი წლების მიწურულსა და 1920-იანი წლების დასაწყისში, – მსოფლიო ომის შეტაკებათა, იმპერიათა მსხვერველების, რევოლუციათა გიგანტის უამს, – ამ არეულ-ამოცირავებულ გარემოში მოხვედრილ ლტოლვილს, გამოქცეულს თავისი ჩვეულებრივი, ბუნებრივი, დაბადებითი მდგომარეობიდან, თავმესაფრის მოპოვება რომის კათოლიკე ეკლესიაში ეიმედება, ხოლო საყრდენად მას წმიდა პეტრეს საყდარი ეგულება, და იგი დარწმუნებულია, რომ მისი ვითარებაც და მისი მისწრაფებაც არის არა კერძო, არამედ საზოგადო და საყოველთაო: "მართალია, საყოველთაო ლტოლვილობა არ დამთავრებულა, სამყარო იცვლება, მაგრამ იმისთვის, რათა ის არ გადაიქცეს ქაოსად, მას სჭირდება სულიერი ცენტრი – წმიდა პეტრეს კლდე" (151).

სამშობლოსაგან მოშორებამ, სამშობლოს მიტოვებამ მოიცანა ახალი განცდა, ახალი ცოდნა და ახალი სულიერი გამოცდილება.

ღირსშესანიშნავია, რომ საკუთარ შინაგან გარდაქმნას, იღუმალე ჭეშმარიტების მოულოდნელ მოპოვებას ლტოლვილი არქაული, ამალღებული გამონათქვამით აუწყებს: მისი სიტყვებით, ეს სარწმუნოებრივი მისწრაფება და მოქცევა თავდაპირველ ბიძგს იღებს იმ გამოცხადებიდან, რომელიც მან შეიწხო "ღმრთის ხელის დადებისას" მასზე, 1922 წლის 4 ოქტომბრის ღამეს, როცა, თავად მთხრობლის განცხადებით, ამ ხილვამ, – "ამგვარი ხარისხით მოულოდნელმა თავად მისთვის", "ამგვარი მოწყვეტილობით ყოველივე ჩვეულისაგან", – რომელიც მოუწოდებდა მას, ექადაგა და გაეგრცვლებინა უფლის ნება, ისე იმოქმედა მასზე, რომ "თითქოს ახალი შუქი დაეცა ძველ ასოებს, და მაშინ იგი ახლებურად ჩასწვდა მათს შინაარსს, და იკითხებოდა ღმრთის სასწაულთა წიგნი", ხოლო თავად იგი, ვისაც ეწვია ეს ხილვა, – "წარმოშობილი უძილო ღამეებში, როგორც ახალი დაბადება, როგორც ახალი სასწაული", – ამ დროს "თრთოდა და იკლაკნებოდა ვითარცა მატლი ღმრთის სახის წინაშე" (14).

მან, ეგზომი სულიერი შეძვრის შედეგად, მიიჩნია, რომ გადამწყვეტი მობრუნება შეეხება არა მხოლოდ მას, არამედ მთელ იმ ქვეყანას, სადაც იგი ცხოვრობდა და ცხოვრობს, რომ მისი სამშობლო – რუსეთი სწორედ ამ ტანჯულ ჟამს, დათრგუნული ბოლშევიკური სასტიკი ძალადობით, დგას თავისი წარსულისა და მომავლის გასაყარზე: "ღმრთის სამართლის სასწორზე ახლა იწონება სიმართლე და უსამართლობა რუსეთის არა ცალკეული ისტორიული ეპოქებისა, არამედ მთელი მისი ისტორიული გზისა, – ქერსონესის ძღვნისა" (11), და, ამდენად, სწორედ ახლა უნდა შეაქციოს ზურგი რუსეთმა თავის ბიზანტიურ წარსულს, რადგან უეჭველად ცხადი გახდა, რომ მაშინ, როცა "დასავლეთის ხალხები [...] თანდათანობით ავითარებდნენ თავიანთ ქრისტიანულ პოტენციას და ნაბიჯ-ნაბიჯ ემნიდნენ უმძლავრეს ცივილიზაციას, რისთვისაც ხარჯავდნენ მთელ თავიანთ სულიერ ძალებს, მთელი თავიანთი შერკინებებით, რუსეთი, როგორც ბიზანტიის მემკვიდრე და მოწაფე, დარჩა ამ ღვწისა და ამ საერთო შერკინების მიღმა" (12). შედეგად, ბიზანტიური ტრადიციის მემკვიდრეობისაგან რუსეთს შერჩა მხოლოდ და მხოლოდ "ადათმორწმუნეობა"

(13), რადგან აღმოსავლური ქრისტიანობა, რომელიც "სახიფათოდ აიგივებს საყოველთაოსა და ადგილობრივს, საეკლესიოსა და სახალხოს", თავის წიაღში აყალიბებს იმგვარ გარემოს, სადაც "რელიგიური ენერგია შესაძლებელია გამოვლინდეს ოდენ ადათმორწმუნეობის სფეროში" (14).

საუბრებისას ლტოლვილი არაერთგზის მსჯელობს, ზოგადად, მართლმადიდებლობის ან მართლმადიდებელი ეკლესიის კრიზისის შესახებ, რასაც იგი ხშირად უწოდებს მართლმადიდებლობის "დამბლას": "ამდენად, ჩემი თეზისია: რუსული და, მასთან ერთად და მისი სახით, ფაქტობრივად, მთელ ბერძნულ-რუსული მართლმადიდებელი ეკლესია დადამბლავებულია" (55). ამგვარ დამბლას კი უეჭველ შედეგად მოჰყვა ყოველგვარ სულიერ (და არამხლოდ სულიერ) ძალთა ამოწურვა: "მართლმადიდებლობის დამბლითაა გამოწვეული მისი სისუსტე, მოშვებულობა, სამოქმედო უძლურება, პასიურობა" (55). ლტოლვილი დარწმუნებულია, რომ, რაკი მდგომარეობა ამდენად მძიმეა, აუცილებელია ჩიხიდან გამოსავლის მოძებნა და განკურნების გზათა აღმოჩენა: "დამბლა, ჩემი აზრით, შეურყვევლი ფაქტია, ხოლო თუ როგორ გავიგოთ ის და სად ვეძებოთ განკურნება, ამის გამო უნდა ვიფიქროთ და ვიკამათოთ" (55). სწორედ ამ მსჯელობათა და განსჯათა განსაჯაროებაა დიალოგთა წიგნი "ქესონესის კედლებთან". ავტორი ნამდვილად არ გამორიცხავს ფიქრისა და კამათის საჭიროებას და სწორედ ამიტომაც ამ ხანგრძლივ საუბრებში იგი უყურადღებოდ არ ტოვებს არცერთ იმ მოთხოვნასა თუ საყვედურს, მიუღებლობასა თუ გაუგებრობას, – და ისინი გამოითქმება საერო ღმრთისმეტყველის პირით, – რაც ბიზანტიურ ქრისტიანობას ჰქონია საუკუნეთა განმავლობაში რომაული ქრისტიანობის მიმართ.

სანამ, 1922 წელს, ყირიმში, დაიწერებოდა "ქესონესის კედლებთან", მანამდე, 1918 წელს, ჯერ კიდევ მოსკოვში, სერგეი ბულგაკოვი წერს ჟანრობრივად და თემატურად მონათესავე დიალოგების ნაკრებს "ღმერთების ნადიმზე". ეს დიალოგური თხზულება, განსხვავებით შემდგომისაგან, უფრო მომცროსაა და მაშინვე გამოქვეყნდა კიდევ: ის შესულია იმდროინდელი რუსული კულტურისა თუ საჯარო ცხოვრებისათვის ნიშნულ კრებულში "სიღრმითგან" (1921), – განაზრებათა წიგნში, რომელიც შედგენილია ცნობილი რუსი ანტიბოლშევიკი ინტელექ-

ტუალების ნაწერთაგან და რომელიც მიზნად ისახავს თავსდამცე დარი რევოლუციის გაგებასა და ჩაწვდომას. სხვათა შორის, ბულგაკოვის ამ აღრეულ დიალოგებშიც, სხვა პერსონაჟებთან ერთად, წამყვან მოკამათებდად ჩნდებიან ისევ საერო ღმრთისმეტყველი და ლტოლვილი, რომელსაც იმჯერადაც ავტორის სათქმელის გამოხატვა ეკისრება. სწორედ მისი სიტყვებია (ჯერ კიდევ ღამეულ ხილვამდე და ჯერ კიდევ მოსკოვიდან გაქცევამდე): “მე მართლაც ვფიქრობ, რომ მართლმადიდებლობას, ზუსტი საეკლესიო-ისტორიული მნიშვნელობით, არა აქვს არც მომავალი, არც აწმყო, არამედ – მხოლოდ წარსული. ჩვენ უკვე ვიმყოფებით მის ფარგლებს გარეთ. მართლმადიდებლური სამეფოს დაცემასთან ერთად მან მიიღო განუკურნებელი ჭრილობა, – ეს უნდა ვაღიაროთ”⁷ (ნიშანდობლივია, რომ “მართლმადიდებლურ სამეფოდ” იგულისხმება მხოლოდ რუსული მონარქი, რითაც სრულიად უგულვებლყოფილია ბალკანეთის არაერთი მაშინდელი სამეფო, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მართლმადიდებლური აღმსარებლობის ქვეშევრდომები წარმოადგენდნენ და სადაც რევოლუციები სულაც არ მომხდარა).

ლტოლვილს მიაჩნია, რომ რუსეთის იმპერიის დაცემისა და ბოლშევიკების თარემის ხანა სწორედ შესაფერისი დროა სიახლეთა მიმართ მზადყოფნისა თუ ძირეულ გარდაქმნათათვის, სწორედაც ცვლილებათა ჟამი ჩამომდგარა, რადგან სამყარო შეიცვალა, მართლმადიდებლობის შუაგული და ბურჯი შეირყა, ღირებულებები გადათასდა: “მთელი სამყარო გადაბრუნდა, რუსეთს [...] ატლანტიდის ბედი ერგო, ის ჩაინთქა ოკეანეში, და მის ადგილას გამოჩნდა სრულიად ახალი კონტინენტი [...] და თქვენ გინდათ, რომ სულში ყველაფერი დარჩეს თავის ადგილას და რომ შენარჩუნებული იქნეს კეთილმსახურებით მორთული და გულისათვის სანუკვარი ისევ იგივე კანკელი?” (126).

შესაძლო შეკითხვაზე, თუ რატომაა მიჩნეული ან რატომ აღმოჩნდა მთელი მართლმადიდებლობის მომავლისათვის ამდენად გადამწყვეტ ნიშნულად რუსეთის რევოლუცია და მას მოღვენებული სამოქალაქო ომი, რომელიც იმუამად მაინც ყოფილი

7 С. Н. Булгаков, “На пиру богов: Pro et contra”, წგ-ში: *Вехи, Из глубины*, Москва: Правда, 1991, с. 347.

იმპერიის ფარგლებში ღვიოდა, პასუხი ადვილად მოიპოვება დი-
ალოგებში: რუსულ ეკლესიასა და მართლმადიდებლურ ტრა-
დიციას სერგი ბულგაკოვი (ან, უფრო ზუსტად, ლტოლვილი)
თითქმის ყოველთვის აიგივებს და შეგნებულად არც მიჯნავს ერ-
თმანეთისაგან. მისი სიტყვებით, მართლმადიდებლობა და რუ-
სობა თითქმის სინონიმებია: "მართლმადიდებლობა ყოველთვის
იყო ბერძენ-რუსობა, ჯერ ბიზანტიისა, შემდგომ კი მოსკოვისა და
პეტერბურგისა" (22). რაკი გამოთქმული აზრით, ფაქტობრივად,
უკამათოა, რომ "რუსული ეკლესია იყო ყველაზე მრავალრიც-
ხოვანი, განათლებული, მდიდარი, კულტურული და, მისი მდგო-
მარეობის თვით ყველა ცვლილების მიუხედავად მოსკოვურ და
პეტერბურგულ პერიოდში, ის ინარჩუნებდა თავის ამ ცენტრა-
ლურ მდგომარეობას მართლმადიდებლობაში" (26). ამიტომაც,
"მართლმადიდებლობა და რუსული ეკლესია, ისტორიულად
ახლა მნიშვნელოვანწილად სინონიმებია" (31)⁸. ნამდვილად შე-
სამჩნევია, რომ საუბრებში შეუთარავად უყურადღებოდაა დატო-
ვებული ბიზანტიური ტრადიციის სხვა ეკლესიები და, ზოგადად,
მართლმადიდებელი ხალხებიც. ლტოლვილის სიტყვებით, "მე
მართლაც მცირე ანგარიშს ვუწევ ბერძენებს და კიდევ უფრო მცი-
რეს – არაბებსა და სლავებს. რა თქმა უნდა, ახლა, როგორც
ისტორიულ ძალას, მართლმადიდებლობას აქვს მნიშვნელობა
მხოლოდ რუსეთში, ხოლო ბერძნული ეკლესიაც დიდხანს ვერ
გაძლებს მარტო, ან, უკიდურესი შემთხვევისას, ჩამოდნება, რაკი
თავის ყველაზე ცოცხალ და შემოქმედებითს ძალებს კათოლი-
კობას დაუთმობს. მე ამგვარადვე ვფიქრობ სხვა ხალხების გა-
მოც" (136).

აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის გამოკვეთილად ცხადი
გახდა მართლმადიდებლობის კიდევ უფრო ძლიერი დეცენტ-
რალიზაცია, რასაც გამოხატავდა სხვადასხვა ქვეყნის ეკლესიათა
მხრივ სულ უფრო მზარდი სწრაფვა ავტოკეფალიისაკენ (ამგ-
ვარი სწრაფვა, საერთოდ, ისტორიულად ჩვეულია ბიზანტიური
ტრადიციის იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლობის

8 შდრ. კონსტანტინ ლეონტიევი: "მართალია, მართლმადიდებლობა თავისი არ-
სით საქვეყნო ანუ მსოფლიო რელიგიაა, მაგრამ ღმრთის არჩევანით ან (თუ
გნებავთ) ისტორიულ გარემოებათა გამო ჯერჯერობით რუსეთს ხვდა წილად,
იყოს მართლმადიდებლობის მთავარი საყრდენი მთელი დედამიწის ზურგზე" –
К. Н. Леонтьев, *Восток, Россия и Славянство*, Москва, 1996, с. 342.

მოპოვების გზას ადგანან ან უკვე მოუპოვებიათ ის), რის გამო მსჯელობისას, სხვათა შორის, ნახსენებია საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის იმჟამინდელი გამოცხადებაც: "ცენტრიდანული ენერგია სულ უფრო ძლიერდება, ხოლო შინაგანი რღვევა, რომელსაც ჩვენ ავტოკეფალიზმს ვუწოდებთ, სულ უფრო იზრდება. ჩამოგვმორდა საქართველო, მნიშვნელოვანწილად ჩამოგვმორდა უკრაინა; რიგი, შესაძლოა, მიადგეს ციმბირსაც და უცნობია, თუ სად შეჩერდება ის" (27). თუმცა თავისთავად ავტოკეფალიისაკენ მიდრეკილება წარმოჩენილია უკიდურესად უარყოფითად, – კერძოდ, დანახულია როგორც ქრისტიანული ისტორიული დანიშნულების უგულვებელყოფა, როგორც გადახვევა ქრისტიანული მთავარი გზიდან გვერდითა, საცალფეხო გზაზე: "ავტოკეფალიაში წასვლა ნიშნავდა ისტორიაში ყოველგვარი ქრისტიანული საქმისაგან განდგომას, თართო გზიდან ბილიკზე გადახვევას" (27). ბუნებრივია, იგულისხმება, რომ ეკლესიის მიმართულემა ყოველთვის უნდა იყოს მისწრაფება არა გამოყოფისაკენ, რასაც გულისხმობს ავტოკეფალია, არამედ – ერთიანობისაკენ, რის საწინდარსაც, ავტორისეული პოზიციით, რომის საყოველთაო ეკლესიასთან გაერთიანება იძლევა.

ლტოლვილს მიაჩნია, რომ მართლმადიდებლობა "არასოდეს უტევს, არამედ ყოველთვის თავს იცავს", რადგანაც ის საკუთარ რაობას აღიქვამს "ეროვნულ სარწმუნოებად" (58), რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მის შინაგან ჩაკეტილობას: "ბიზანტიელობა, როგორი სახითაც მივიღეთ ჩვენ ქრისტიანობა, გამორჩეულია თავისი უგულისყურობით მსოფლიოს სულიერ საზრუნავთა მიმართ" (60). სადაც სარწმუნოება გადაჯაჭვულია ეროვნებასთან, ან ერწყმის მას, ან, კიდევ, ნაციონალური საწყისი მთლიანად შთანთქავს რელიგიურს, იქ გარდაუვალია საზოგადო, საყოველთაო საკითხების მიმართ ყურადღების მოდუნება და ხშირად სრული ჩაქრობაც კი. ხოლო ქრისტეს უწყება, რა თქმა უნდა, იმთავითვე სწორედაც საყოველთაოა, და ამგვარია იმდენად, რამდენადაც კერძო ადამიანს მიმართავს, – ყოველ მათგანს და ცალ-ცალკე, – მიუხედავად მისი კუთვნილებისა რომელიმე ერის მიმართ. ისტორიული ბიზანტია (უფრო ზუსტად, აღმოსავლეთ რომის იმპერია) მრავალეროვნული სახელმწიფო იყო, მაგრამ მონარქიაში ჯერ სახელმწიფო და ეკლესია განუყოფლად დაუკავშირდა ერთმანეთს "სიმფონიის" სახით, შემდგომ კი, თანდა-

თანობით, — დასავლურ ქრისტიანობასთან სულ უფრო მზარდი დაპირისპირების საფუძველზე, — ბიზანტიური ქრისტიანობა ჩამოყალიბდა არა მარტო სახელმწიფოებრივ, არამედ ეროვნულ მოვლენად, რომლის დასაცავადაც საჭიროდ იქნა მიჩნეული მთელი საეკლესიო-ინტელექტუალური ძალების მიზანსწრაფული წარმართვა. ამიტომ არა მარტო თავად ბიზანტიაში, არამედ, საერთოდ, ქრისტიანობის ბიზანტიური შტოში თვალსაჩინო სულ უფრო მეტად ჩაიკეტა იმ მიზნებით, რაც უწინარესად, დამკვიდრებული შეხედულებით, ეროვნული ინტერესების დასაცავად იყო საჭირო. შედეგად, ბიზანტიური სამყაროს დაისის ხანაში (როცა რუსეთმა ბიზანტიელთაგან იმემკვიდრევა ქრისტიანობის აღმოსავლური შტო) და, მით უმეტეს, კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ გარდაუვალი გახდა სულიერ თუ თეოლოგიურ-ეკლესიოლოგიურ საკითხთა საზოგადო უგულებელყოფა, რამაც ეკლესიური ცნობიერების საყრდენად აქცია შიშველი ნაციონალიზმი და, შესაბამისად, წარმოშვა დასავლური ქრისტიანობის მწვავე მიუღებლობა ან, უფრო მეტი, მძათური აგრესია, ერთი მხრივ, თეოლოგიის იმ სახით, იმ მიმართულებით განვითარების მიმართ, რაც რომის ეკლესიაში ღვივის და, მეორე მხრივ, მთლიანად კათოლიკობის მიმართ: “შემდგომ დაიწყო საღმრთისმეტყველო ცნობიერების სრული გავლურება კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, როცა ბერძნებს, საეკლესიო აზრის ჩაქრობასთან ერთად, რჩებათ მხოლოდ ჩლუნგი სიძულვილი ყოველივე კათოლიკურის მიმართ, რის გამოყენებასაც ახერხებდნენ თურქი სულთნები, ვინც, ამ თვალსაზრისით, მოულოდნელი, მაგრამ სანდო მოკავშირეები აღმოჩნდნენ ბერძნული საეკლესიო ნაციონალიზმისათვის” (82). ეს დამოკიდებულება, ანუ “ჩლუნგი სიძულვილი” კათოლიკობის მიმართ, დაფუძნებული არა თეოლოგიურ მსჯელობებზე, არამედ ნაციონალისტურ გრძობებზე, მალევე გადაედო რუსებს და ეს განწყობები მათ არა მარტო გააგრძელეს, არამედ გაამძაფრეს კიდევ: “შემდგომ ეს აკვიაცება შეეწყა ჩვენი საეკლესიო ნაციონალიზმის საერთო კალაპოტს, რომლითაც, ვითარცა კედლით, გავემიჯნეთ ქრისტიანულ სამყაროს” (82).

როგორც აზრის მსვლელობა ადასტურებს, “მართლმადიდებლობის დამბლიდან” გამოსასვლელად, საუკუნოვანი სენიდან განკურნების ერთადერთ საშუალებად ლტოლვილი ხედავს რო-

მის ეკლესიასთან შეერთებას, ხოლო თავად რომის კათოლიკე ეკლესია, – თუკი სათქმელი დაცლილი იქნება აღმოსავლური მიკერძობებული პოლემიკური მგზნებარებისაგან, – მას ამგვარად ესახება: “გავითვალისწინოთ ის ობიექტური საფუძვლები, რომელთაც ეყრდნობა კათოლიკე ეკლესია და ის უკამათო სიკეთენი, რომელიც მას აქვს: წმიდა წერილი, წმიდა გადმოცემა მთელი სისრულით [...], წმიდა საიდუმლონი და მოციქულთა მემკვიდრეობა, რასაც ემატება დოგმატური სიახლეები, რომელთა ერეტიკულობა საკამათოა. ამდენად, მაშინ, როცა მას აქვს ხსნის ყველა ის საშუალება, რომლებიც აქვს მართლმადიდებელ აღმოსავლურ ეკლესიას, ნუთუ კათოლიკე ეკლესია მოკლებულია სიწმიდეს? ანდა იქნებ ის განიცდის თავისი წევრების სიცივესა და უღირსობას, სარწმუნოებისა და მგზნებარების უქონლობას? მაგრამ ამის მტკიცებას ვერ ბედავენ მისი თვით ყველაზე ფარისეველი, თვითკმაყოფილი და თვითგანმადიდებელი კრიტიკოსები მართლმადიდებელთაგან. ამიტომ, ვინ გაბედავს, განაცხადოს, რომ ის ახლაც არაა წმიდამყოფელი და წმიდათა ეკლესია?” (122).

რაც შეეხება კათოლიკურ მოძღვრებას და მის განსხვავებებს აღმოსავლურ-ბიზანტიური დოგმატიკისაგან (სერგი ბულგაკოვი საყოველთაოდაა აღიარებული აღმოსავლურ-ბიზანტიური საეკლესიო მოძღვრების უმნიშვნელოვანეს მცოდნედ და განმმარტებლად მეოცე საუკუნეში), ლტოლვილი შეეხება ორივე უმთავრეს დოგმას, – სული წმიდის გამომავლობისა და რომის ეპისკოპოსის უზენაესობის გამო, – რომლებიც მიჯნავს ბიზანტიურ ქრისტიანობას რომის კათოლიკე ეკლესიისაგან: “შესაძლოა, გაიზიარო ან არ გაიზიარო კათოლიკური დოგმატები, მათ შორის, ისინი, რომელთაც უარყოფს ბერძნულ-რუსული მართლმადიდებლობა. მე უარვეყოფლი მათ მთელს ჩემს ეკლესიასთან ერთად. ახლა, სულიერი და გონებრივი მუშაობის შედეგად, დავრწმუნდი, რომ კათოლიკობის დოგმატები ჭეშმარიტია და, კერძოდ, სული წმიდა, უძველესი საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, გამოდის მამისაგან და ძისაგან, ხოლო რომის პაპი პეტრეს მოსაყდრეა, იმ პეტრესი, რომელიც თავად ქრისტემ დაადგინა ეკლესიის მეთაურად, რის გამოც, დავემორჩილო მას და ვეძიო მასთან კავშირი, ჩემი რელიგიური სინდისის მოვალეობაა” (129).

ამდენად, ამ დარწმუნებით, შესაძლოა, გაუქმდეს არა მარტო ისტორიული (ან უფრო ნაციონალისტური) დაპირისპირება-

ნი ქრისტიანობის აღმოსავლურ და დასავლურ შტოებს შორის, არამედ თვით დოგმატური გამიჯვნა და დაბრკოლებაც ბიზანტი-ასა და რომს შორის ადვილად გადასალახავი ჩანს.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული თვალსაწიერით რუსუ-ლი ეკლესიის შესაძლო, წარმოსახვითი შეერთება რომის კათო-ლიკე ეკლესიასთან მძიმე, მტკივნეულ, დაძაბულ ვითარებად წარმოჩნდება, ლტოლვილი ამ შეერთების დოგმატურ-ეკლე-სიოლოგიურ გადაწყვეტას უკვე მოგვარებულ საკითხად მიიჩ-ნევს და ამ იმედის საფუძველს მას ის ბოლო მსოფლიო კრება აღუძრავს, რომელზეც დასავლეთ საქრისტიანოს წარმომადგენ-ლებთან, – რომის კათოლიკე ეკლესიის მღვდელმთავრებთან, – ერთად, აღმოსავლეთ საქრისტიანოს წარმომადგენლებიც მო-ნაწილეობდნენ: იგულისხმება ფლორენციის კრება, რომელიც კონსტანტინოპოლის დაცემამდე სულ რამდენიმე წლით ადრე ჩატარდა და სადაც ორივე მხრივ დამტკიცდა ქრისტიანული სამ-ყაროს ეკლესიური მთლიანობის აღდგენა რომის ეპისკოპოსის უზენაესობის აღიარებით.

ამდენად, გასაგებია, რომ დიალოგებში გამორჩეულად ბევრი ადგილი ეთმობა ფლორენციის კრების ადგილისა და მნიშვნე-ლობის მიმოხილვას (უფრო ზუსტი სახელწოდებით, მას ეწოდებ-ბა ფერარა-ფლორენციის კრება, ან ბაზელ-ფერარა-ფლორენ-ციის კრება, რომლის მსვლელობისას, 1439 წელს, მიღებული და გამოცხადებული იქნა ეგრეთ წოდებული ფლორენციის უნია, ანუ შეერთების დადასტურება; კრების მუშაობა დასრულდა ათი წლის შემდეგ, 1449 წელს). ლტოლვილი ხანგრძლივად, გამოჩე-ლილვით, საგანგებოდ საუბრობს მის შესახებ, რომელიც მას ნამ-დვილ, უცდომელ კრებად მიაჩნია და, ძველი წყაროების საფუძ-ველზე, მას მერვე მსოფლიო კრების სახელითაც კი მოიხსენიებს (თუმცა დასავლური, რომაული ნუმერაციით, მას მეჩვიდმეტე მსოფლიო კრება ეწოდება). საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ამ კრების მონაწილენი იყვნენ აღმოსავლეთის პატრიარქები და მღვდელმსახურნი (სხვათა შორის, ქართული ეკლესიის წარმო-მადგენლებიც). ჩვეულებრივ, დადგენილება, რომლის ძალითაც კრება და მისი გადაწყვეტილებები უფლებამოსილად უნდა იქ-ნეს მიჩნეული, მიიღება რომის პაპის მიერ, რაც ფლორენციის კრების შემთხვევისას, რა თქმა უნდა, აღსრულდა კიდევ; მეორე მხრივ, არავის, არცერთ კრებას არასოდეს გაუუქმებია ამ კრების

შედევები, რაც შეუძლებელია დოგმატურად და რაც არც მომხდარა ისტორიულად (კათოლიკურ მხარეს, ბუნებრივია, არასოდეს უარუყვია ამ კრების გადაწყვეტილებანი, ხოლო მართლმადიდებლურ მხარეს კი “თავისი” მსოფლიო კრება მას შემდეგ აღარ მოუწვევია). ლტოლვილის ღრმა რწმენითა და მტკიცებით, სწორედ ფლორენციის კრების საფუძველზე უნდა შეუერთდეს (ან ხელახლა შეუერთდეს) მართლმადიდებელი ეკლესია რომის საყდარს, რადგან იმას, რაც აღმოსავლელ და დასავლელ მამათა ერთობლივი თანხმობით დადგინდა, არც არასოდეს დაუკარგავს ძალა. ლტოლვილისათვის ფლორენციის კრება არა მარტო მნიშვნელოვანი დოგმატური თუ ისტორიული საყრდენია, არამედ მომავლის საიმედო წყაროცაა: “ფლორენცია ჩვენთვის შეიცავს დიად დამშვიდებასა და გამხნეებას, რამეთუ ადასტურებს, რომ საეკლესიო ერთობა უკვე გაუქმებული და შეუსვლელი ფაქტია, მაგრამ, ამავე დროს, ისაა ნიშანი და მოწოდება, და განხორციელება ამ მისტიკური ერთობისა ისტორიაში” (108)⁹, – ამგვარი აღტაცებული სიტყვებითა გამოხატული მკაფიო დამოკიდებულება ფლორენციის მსოფლიო კრების მიმართ.

საკითხის გამო მსჯელობის დასასრულ, ლტოლვილი აცხადებს: “პირდაპირ და გადაჭრით ვიცყვი: მართლმადიდებლობა და კათოლიკობა ეკლესიაა, განუყოფელი და შეუძლებელი გასაყოფად თავისი არსებით, რამეთუ შეიცავს საიდუმლოთა და საიდუმლო ცხოვრების ერთიანობას, და შეერთებული ფლორენციის კრების მიერ, თუნდაც ეს ერთიანობა კიდევ წინაა განსახორციელებლად, რაშიც მე ვხედავ ჩვენი ისტორიული ეპოქის, ან, შესაძლოა, სწორედ ჩვენი თაობის, პირველხარისხოვან ამოცანას” (110).

ამ ეპოქისეული გარდატეხისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა დრო, – რუსული რევოლუციის ხანა, – რომელიც ლტოლვილის ხედვით ამგვარადაა დანახული: “ახლა მიმდინარეობს მთელი რუსული ცხოვრების, საკუთრივ მისი სულიერი საფუძვლების,

9 მთხრობელი არ იჭერებს გავრცელებულ გვიანბიზანტიურ ლეგენდას მარკოზ ეფესელის ირგვლივ, რომელიც – ფლორენციის კრების მონაწილე ბიზანტიელ მღვდელმთავართაგან ერთადერთი – უარყოფდა კრების გადაწყვეტილებას: “ტენდენციური და ამკარად გვიანდელი ლეგენდა, რომელიც პაპს მიაწერს გამომხაურებას, რომ თუკი [დადგენილებას] ხელი არ მოაწერა მარკოზ ეფესელმა, ეს იმას ნიშნავს, რომ არავის მოუწერია ხელი” (93).

ყველაზე ღრმა და მრავალმხრივი კრიზისი, და მასთან მიმართებით დამოკიდებულ და წარმომოხილ ადგილს იკავებს ყველა კერძო კრიზისი, ყველა ჩვენი ყოფილი რევოლუცია, მოდიოდა ის ზემოდან თუ ქვემოდან. უნდა შევისმინოთ ღმრთის ხმა, ყური დავუგდოთ მოვლენათა სიბრძნეს და ამოვიკითხოთ მათში ღმრთის განჩინებანი" (11).

უაღრესად მნიშვნელოვანი და ნიშნეულია მომავლის ამგვარ ხედვათა ადგილიც, – ის, რომ ხანგრძლივი საუბრები რუსეთის ქრისტიანული წარსულისა და მისი მომავალი სულიერი თუ საეკლესიო განვითარების გამო მიმდინარეობს ქერსონესის¹⁰ კედლებთან, იმ გარემოში, საიდანაც დასაბამს იღებს ქრისტიანული რუსეთი, ან, როგორც თავად მოსაუბრენი ამბობენ, ადგილი, რომელიც მიჩნეულია ქრისტიანულ-ბიზანტიური რუსეთის თავდაპირველ ემბაზად. მაგრამ "რუსეთი აქ, ქერსონესში, შუშის სარქველის ქვეშ აღმოჩნდა და აქ მიესაჯა მას მარტოობისა და განცალკევების განსაცდელნი" (12). ავტორისეული დასკვნა, რომელსაც ლტოლვილი თავისი ლტოლვილობის თვალსაწიერიდან გამოთქვამს, ისაა, რომ მისი სამშობლო უნდა დაუბრუნდეს საკუთრივი ქრისტიანული ცხოვრების იმ თავდაპირველ, საწყის წაშს და ამიერიდან, – ამჯერად სწორი არჩევანის გაკეთების შემდეგ, – მან სწორი მიმართულებით უნდა იაროს, რადგან სვლა იმ გეზით, რომელსაც რუსეთი ადგა ქერსონესის ბიზანტიური ნათლისღებიდან პეტროგრადის ბოლშევიკურ გადატრიალებამდე, მცდარი და აცდენილი გზით სიარული იყო. წიგნში გამოთქმული თვალსაზრისით, ერთადერთი სანდო და საიმედო მიმართულება, გადარჩენისა და ხნის გზა არის რომის საყდრის უზენაესობის აღიარება, საყოველთაო ეკლესიასთან შეერთება, კათოლიკური ქრისტიანობისაკენ მიბრუნება და მასთან ზიარება.

აქვე უნდა ითქვას, მიუხედავად იმისა, რომ სერგი ბულგაკოვი, ლტოლვილის სიტყვებით, მკვეთრად ემიჯნება რუსულ ინტელექტუალურ ფენებს და ქვეყნის "ინტელიგენტობას" (ამ სიტყვის, ერთი მხრივ, რუსული შინაარსით და, მეორე მხრივ, ირონიულ-გამიჯვინითი გაგებით, რომელიც სხვა ენებზე ძნელად

10 მიუხედავად იმისა, რომ ავტორი იყენებს ფორმას "Херсонис" (გვიანდელი ბერძნული წაკითხვის მიხედვით), მაინც გამოყენებულია ქალაქის ქართული სახელწოდება, რომელიც ემყარება პირველადს ბერძნულ წაკითხვას: ქერსონესი.

ითარგმნება: “интеллигентщина”), ხოლო მის წარმომადგენლებს მოიხსენიებს “ბრიყვ, სულელ, თვითკმაყოფილ ადამიანებად, რომელთაც არაფრის სწავლის უნარი არ გააჩნიათ” (16), მაინც დიალოგების წიგნში – “ქერსონესის კედლებთან” – გაღვივებული აზრები ენათესავენ რუსულ კულტურაში ხანგრძლივად მთარულ თვალსაზრისს, რომელიც გულისხმობს რუსული ეკლესიის შეერთებას რომის ეკლესიასთან და რუსეთის კათოლიკური მომავლის დასახვას. ამგვარი დამოკიდებულება სხვადასხვა დროს გამოვლინდა და აისახა ტრედიაკოვსკის, ჩაადაევის, გაგარინის, პეჩორინის, ვლადიმირ სოლოვიოვის ნაწერებსა თუ კონფესიურ არჩევანში, ამავე დროს, ბულგაკოვის თანამედროვეთა – ფლორენსკის, ნიკოლაი ლოსკის, სერგეი სოლოვიოვის, ფრანკის – სწორედ იმდროინდელ ან მოგვიანო შეხედულებებში. მათი გადაძახილი ბულგაკოვის თვალსაზრისთან საგანგებო მიმოხილვას საჭიროებს, მაგრამ, სანიშნოდ, შესაძლოა, დამოწმებული იქნეს, თუნდაც განაცხადი სემიონ ფრანკისა, გამოჩენილი მართლმადიდებელი ფილოსოფოსისა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს, ისევ ნგრევისა და ისევ ტრაგიკულ ცვლილება-მონაცვლეობათა ჟამს, 1941 წელს, ასე წერდა: “მიუკერძოებელმა მსჯელობამ უნდა აღიაროს, რომ კათოლიკე ეკლესიამ, – მასში სწორედ სიმკაცრისა და შეუპოვარი ქმედების ძალით, მისი ზეეროვნულ ერთიანობით, მისი მსახურებით რელიგიური მიზნების, სამართლისა და ძალაუფლების საწყისთა მიმართ, – გააკეთა უფრო მეტი კაცობრიობის ქრისტიანულად აღსაზრდელად, ცხოვრების ქრისტიანულ საწყისთა დასამკვიდრებლად და დასაცავად, ვიდრე ნებისმიერმა რომელიმე ქრისტიანულმა აღმსარებლობამ. ჩვენს ბუნდოვან და მძიმე დღეებშიც, როცა ქვეყნიერება ისევ იბრძვის ქრისტიანობის წინააღმდეგ, ერთადერთ მიწიერ ინსტანციად, რომელზეც შეიძლება იმედის დამყარება საქმეში ქრისტიანული კულტურის გადასარჩენად, რჩება რომის კათოლიკე ეკლესია, – მასში შეუვალი სიმტკიცით მოქმედი საეკლესიო წესრიგისა და ძალაუფლების მეშვეობით”¹¹.

მაგრამ, საბოლოოდ, მკათუოდ უნდა ითქვას, რომ თვალსაზრისი, გამოთქმული და დასაბუთებული სერგი ბულგაკოვის წიგნში – “ქერსონესის კედლებთან” – დიდხანს არ დარჩენილა

ცნობილი მართლმადიდებელი მოაზროვნის მტკიცე საყრდენად. სულ მალე, რუსეთის დატოვების შემდეგ, მან უარყო დიალოგებში გამოთქმული შეხედულებები, ხოლო ის პროკათოლიკური დამოკიდებულება, რომელიც წიგნში ასე გამოკვეთილად იყო გამოხატული, თავადვე მიიჩნია მცდარად. ნიშანდობლივია, რომ ამ წიგნის რამენაირად საჯაროდ გავრცელება (არათუ დაბეჭდვა!) ავტორს არასოდეს უცდია.

რამდენიმე წლის შემდეგ, 1929 წელს, რუსულ რელიგიურ ჟურნალში "პუტ" ("Путь"), ორ მიყოლებითს გამოშვებაში (15-16), ბულგაკოვი აქვეყნებს საგანგებო, ვრცელ ნაშრომს პაპის უცდომლობის დოგმის გამო, რომელიც ვატიკანის პირველ კრებაზე, ანუ მეოცე მსოფლიო კრებაზე იქნა მიღებული 1870 წელს. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი მღვდელი და ფილოსოფოსი მკაცრად აკრიტიკებს დოგმის სრულ შინაარსს, – დოგმატურადაც, ლოგიკურადაც, ისტორიულადაც, პრაქტიკულადაც, – მაინც ერთგან ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, თქვას, რომ "მართლმადიდებლობას შეუძლია და უნდა აღიაროს რომის კათედრის უპირატესობა"¹². ამდენად, ამ ნაშრომში ბულგაკოვი ერთმანეთისაგან მიჯნავს ორ კათოლიკურ დოგმას: ერთი მხრივ, პაპის უმენაესობას და, მეორე მხრივ, პაპის უცდომლობას. თუ პირველს იგი, ფაქტობრივად, მთელი სიცოცხლის განმავლობაში აღიარებდა, მეორე – მუდამ მიუღებლად დარჩა მისთვის. შემთხვევითი არაა, რომ ნარკვევი დაწერილია ლატერანის ხელშეკრულების დადების წელს, ანუ მაშინ, როცა წმიდა საყდარმა ისევ აღიღვინა და დაიდასტურა სუვერენიტეტი, ანუ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მდგომარეობა, რითაც მისი თუნდაც პოლიტიკური ძლიერება, მაგრამ, ასევე, სულიერ-საეკლესიო შეუვალობა ხილულად გამყარდა. სამშობლოსაგან მოშორებულ-მოწყვეტილი ფილოსოფოსი იმჟამად უკვე აღარ ჭვრეტს მომავლის იმგვარ ხატს, როცა მთელი მართლმადიდებელი სამყარო უნდა შეუერთდეს რომის კათოლიკე ეკლესიას, – ამჯერად იგი მგზნებარედ მოუწოდებს კათოლიკეებსა და პროტესტანტებს, გაერთიანდნენ მართლმადიდებელ ეკლესიაში¹³. ისიც სათქმელია, რომ თხზუ-

12 С. Н. Булгаков, "Очерки учения о Церкви, IV. О ватиканском догмате", *Путь*, 16, 1929, с. 48.

13 იქვე, с. 43.

ლების შესავალშივე გაცხადებულია ავტორისეული დამოკიდებულება: მას მტკიცედ სჯერა, რომ საკითხის განხილვა განპირობებულია არა მტრობით კათოლიკე ეკლესიისა და კათოლიკეთა მიმართ, არამედ მათთან ურთიერთგაგებისა და დაახლოების სურვილით¹⁴.

ფრანგი ფილოსოფოსის, ბერნარ მარშადიეს, სიტყვებით, ბულგაკოვმა "რომი შეიყვარა შორიდან, რუსეთში ყოფნისას, მაგრამ რომის ფორმები რეალურად, მათი უშუალო გამოხატულებით, უმეტესი შემთხვევისას მისთვის გაუგებრად და უცხოდ დარჩა"¹⁵.

როგორც ითქვა, შემდგომში მამა სერგი ბულგაკოვს, პარიზელ რუს მართლმადიდებელ მღვდელს, აღარასოდეს გამოუქვეყნებია "ქერსონის კედლებთან" (თუმცა არც გაუნადგურებია წიგნის ტექსტი, რომელსაც თავის არქივში ინახავდა), ხოლო საკუთარ აღზრდილ შეხედულებას მართლმადიდებელი ეკლესიის რომის ეკლესიასთან აუცილებელი შეერთების გამო იგი თავის დროებით და შემთხვევისმიერ რომაულ "ცდუნებად" აფასებდა¹⁶.

ლტოლვილობის გამოცდილება ისევ სამშობლოსეულ, რუსულ-მოსკოვურ ქრისტიანულ სამყაროსთან მიბრუნებით დამთავრდა.

* * *

მსოფლიო აზროვნების ისტორია მოითვლის არაერთ შემთხვევას, როცა ფილოსოფოსი, აწმყოზე დაკვირვებისა და მისი გონითი განსჯისა თუ ჭვრეტითი წარმოსახვის შედეგად, დასახავს (ან აღწერს კიდევ) მომავალს, რომლის ხორცშესხმის შესაძლებლობა მას უეჭველად მიაჩნია. ხშირად მომხდარა, რომ ამგვარ ვითარებაში, იგი ნაკლებად ზრუნავს, გაითვალისწინოს, რამდენადაა განპირობებული მის მიერ წარმოსახული სურათი კერძო ადამიანების სურვილებითა თუ უნარით, ან, კიდევ,

14 С. Н. Булгаков, "Очерки учения о Церкви, IV. О ватиканском догмате", *Путь*, 15, 1929, с. 39.

15 Б. Маршадье, "Сергей Булгаков и „Римское искушение“", წგ-ში: С. Н. Булгаков: *Религиозно-философский путь* (Международная научная конференция, посвященная 130-летию со дня рождения), М.: Русский путь, 2003, с. 284.

16 იხ. ვრცლად: იქვე, с. 273-284.

გარემო პირობებითა და ირგვლივ მყოფთა მისწრაფებებით ან ჩანაფიქრებით.

ბულგაკოვისეული ხედვა, წარმოშობილი რევოლუციის ქარაშოტში, იმპერიისა და იმპერიულ-ბიზანტიური ქრისტიანობის ნგრევის პირობებში, – ხედვა მომავლისა, თუ როგორი განვითარება ელოდა რუსეთსა და რუსულ ეკლესიას, ან როგორ შეიცვლებოდა ის სარწმუნოებრივი მიმართულება, რომელსაც რუსი მართლმადიდებელი მოაზროვნე “ბერძნულ-რუსულ ქრისტიანობას” უწოდებს, ან ურთიერთობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, ან ქრისტიანობის რომაულ და ბიზანტიურ შტოებს შორის, – არანაირად არ შეესაბამებოდა იმ სინამდვილეს, რაც სულ მალე ჩამოყალიბდა.

მაინც, სურათი, აღწერილი სერგი ბულგაკოვის წიგნში, – “ქერსონესის კედლებთან”, – დარჩა ხედვად, ხილვად, უწყებად, რომელიც შესაძლოა, ოდენ წარსულს ეკუთვნის, მაგრამ შესაძლოა, გამოძახილის მოლოდინის თვალსაწიერით, მიჩნეულ იქნეს მომავლისაკენ მიმართულ მზერადაც, რომელიც აწმყომი თუნდაც თავად მჭვრეტელმა, მხილველმა, ვიზიონერმა მალევე უარყო.

**“ადამიანისა და ხელოვანის უზარმაზარი ტაქტი”:
ანდრეი პლატონოვი
აკაკი წერეთლის “ჩემი თავგადასავლის” გამო**

1940 წელს აკაკი წერეთლის დაბადების ასი წლისთავის საიუბილეო თარიღი ფართოდ აღინიშნა საბჭოთა საქართველოშიც და, – თუნდაც უფრო ნაკლები გაქანებით, – მთელ საბჭოთა კავშირშიც. სწორედ ამ ხანებში სტალინურ-კომუნისტური რეჟიმი ქვეყნის შემადგენელ ყოველ ცალკეულ რესპუბლიკაში საბოლოოდ აყალიბებდა ნაციონალური კულტურის კანონს, – ყველგან თავისი საგანგებო კანონიკური პერსონალიებით. ამ კანონის ქართულ გამოხატულებაში, პირველ ყოვლისა, გამოიკვეთა სახეები შოთა რუსთველისა და ილია ჭავჭავაძისა, რომელთა მასშტაბური სახელმწიფო იუბილეები 1937 წელს აღინიშნა, რასაც მათი ოფიციალური კანონიზაცია ერწყმოდა, ხოლო სულ მალე, რამდენიმე წლის შემდგომ, ნაციონალურ კანონში ადგილი მიეჩინა აკაკი წერეთელსაც, რისთვისაც საუკეთესო საბაბი აღმოჩნდა პოეტის ასწლოვანი თარიღი. იმუამად საიუბილეო საქმიანობათა შორის მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცეოდა საგამომცემლობეჭდურ საქმესაც. სწორედ ამ დროს დაიწყო აკაკის თხზულებათა კორპუსის შვიდტომიანი გამოცემა. სხვა წიგნებთან ერთად, დაიბეჭდა პოეტის ნაწარმოებთა თარგმანებიც. საიუბილეო 1940 წელს მოსკოვში რუსულად გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის “ჩემი თავგადასავალი”, თარგმნილი ელენე ლოლობერიძის მიერ¹.

მომდევნო წელს ამ გამოცემას² – თავად წიგნის შინაარსს, მის რუსულ თარგმანს და თანდართულ კომენტარებს – მოსკოვურ ჟურნალ “ლიტერატურნოე ობოზრენიეს” (“Литературное

1 Акакий Церетели, *Пережитое*, Перевод с грузинского Е. Гогоберидзе, Москва: Гослитиздат, 1940.

2 აღსანიშნავია, რომ მანამდე რუსულად მოსკოვში გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის პოეზიის (ლექსებისა და პოემების) კრებულიც: Акакий Церетели, *Стихи и поэмы*, Перевод с грузинского, Москва: Гослитиздат, 1936; სხვათა შორის, ამ კრებულის წინასიტყვაობებს მალევე მეტად კრიტიკული გამოხმაურება ერგო რუსულ პრესაში: *Новый мир*, 1937, № 8, с. 285-286 (რეცენზიის ავტორი იყო ე. სილინი).

обозрение”)³ მერვე ნომერში, 1941 წლის 25 აპრილს, გამოეხმაურა ვინმე ა. კლიმენტოვი (А. Климентов)⁴. ამ რეცენზენტის სახელი იმ წლის განმავლობაში ყურნალის ფურცლებზე კიდევ სამჯერ და, შესაბამისად, საერთოდ, მხოლოდ ოთხჯერ გამოჩნდა (აპრილის გარდა, ყურნალის მარტის, მაისისა და ივნისის ნომერებში)⁵.

ანდრეი კლიმენტოვი ანდრეი პლატონოვის (Андрей Платонов, 1899-1951) ნამდვილი სახელი და გვარია, რომლითაც იგი უიშვიათესად სარგებლობდა მას შემდეგ, რაც მან 1920-იანი წლების დასაწყისში ლიტერატურულ ფსევდონიმად – ან ახალ საკუთარ სახელად და გვარად – “ანდრეი პლატონოვი” შეარჩია⁶.

ა. კლიმენტოვის ეს რეცენზია (“„Пережитое“ А. Церетели”) ამჟამად აღიარებულია პლატონოვისეულ ტექსტად და შეტანილია მწერლის ნაწერების რეაბტომეულში⁷.

აკაკის “ჩემი თავგადასავლის” რუსული გამოცემის რეცენზენტი, ანდრეი პლატონოვი, რომელიც დღეს საყოველთაოდაა მიჩნეული მეოცე საუკუნის რუსული ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ წარმომადგენლად, იმ დროისათვის ლიტერატურულად დევნილი, ჩაგრული და შევიწროებული იყო (მიუხედავად იმისა, რომ იგი თავად არასოდეს ყოფილა დაპატიმრებული; თუმცა 1938 წელს გულაგში გაამჩქეს მისი 15 წლის ვაჟი, რომელიც იქიდან მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ

3 “ლიტერატურნოე ობოზრენიე” იყო კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ორკვირეული, რომელიც გამოდიოდა 1936-1941 წლებში და რომელშიც იბეჭდებოდა მიმოხილვები რუსული თუ უცხოური ლიტერატურის სიახლეთა, აგრეთვე, კლასიკური ტექსტების ახალი გამოცემების ირგვლივ.

4 *Литературное обозрение*, 1941, № 8, с. 80-82.

5 ა. კლიმენტოვის სახელი კიდევ ერთხელ გაჩნდება ყურნალ “ოგონეკის” (“Огонек”) 1947 წლის ოქტომბრის ნომერში, სადაც იგი ისევ რეცენზიის ავტორია.

6 მონაცემები პლატონოვის პუბლიკაციათა ქრონოლოგიისა და ავტორობის შესახებ: В. Зарайская (составитель-редактор), *Андрей Платонович Платонов: Жизнь и творчество: Библиографический указатель произведений писателя на русском языке, опубликованные в 1918–2000 г.*; *Литература о жизни и творчестве*, Москва: Пашков дом, 2001.

7 А. Платонов, *Собрание*, [Том 8], *Фабрика литературы: Литературная критика. Публицистика*, Москва: Время, 2011, с. 523-528; მანამდე, პირველნაბეჭდის მიხედვით, ტექსტი შეტანილი იყო პლატონოვის შემოქმედებისადმი მიძღვნილ პერიოდულ კრებულში: “*Страна философов*” *Андрея Платонова: Проблемы творчества*, Вып. 5, Москва: ИМЛИ РАН, 2003, с. 936-939; ტექსტის ავტოგრაფული ხელნაწერი არ შემონახულა.

– მომაკვდავი – დაბრუნდა; მისი მოვლისას პლატონოვს ჭლე-
ქი გადაედო, რის შედეგადაც გარდაიცვალა მწერალი⁸: მისი
გამოქვეყნებული ნაწარმოებები – ხშირად სტალინის უშუალო
დავალებით – უსასტიკესი, იდეოლოგიზებული კრიტიკის საგანი
ხდებოდა, ხოლო ნაწარმოებთა უზარმაზარი რაოდენობა, მტან-
ჯველ მსდებლობათა მიუხედავად, გამოუქვეყნებელი რჩებოდა,
მათ შორის, პროზაიკოსის შედეგები: “ჩევენგური” (“Чевенгур”,
1929), “ქვაბული” (“Котлован”, 1930), “ჯანი” (“Джан”, 1934)⁹,
რომლებშიც, ქვეყნისა და საკუთარი გამოცდილების შეუპოვარი
გააზრებით, ნაჩვენებია სოციალისტურ-კომუნისტური უტოპიის
ტრაგიკული ჩიხი: კომუნიზმის ზნეობრივი უფსკრულის ფუტუ-
რო წყვილია და შემადრწუნებელი დახშულობა. თუმცა ცხადია,
რომ პლატონოვის პროზის სიდიადე და უკვდავება მხოლოდ
ამ განზომილებით არ შემოიფარგლება და მასში ადამიანური
ყოფნის მიუწვდომელი, უკიდურესი სიღრმეები ისეთი ცოდნით,
ისეთი სიზუსტით, ისეთი ოსტატობითაა გამოხატული, როგო-
რისთვისაც ცოტა ვინმეს თუ მიუღწევია, საერთოდ, ლიტერატუ-
რის სფეროში...

ანდრეი პლატონოვი მთელი ცხოვრების განმავლობაში შე-
უნელებლად წერდა კრიტიკულ სტატიებს ლიტერატურის შესა-
ხებ. მწერლის შემოქმედების შემსწავლელთა თვალსაზრისით,
“პლატონოვის კრიტიკულ პროზას მის მხატვრულ პროზასთან
ანათესავენ ფილოსოფიური მიზანსწრაფვა, ასევე, ცხადყოფის
სურვილი, მოთხოვნილება და აუცილებლობა, და ისიც, რომ უბ-
რალო სიტყვებით (და არა ფილოსოფიური ტერმინებით) გამო-
ხატოს ადამიანის, საზოგადოების, ბუნების საკუთარი გაგება”¹⁰;
“პლატონოვის კრიტიკული პროზა, ისევე როგორც მთელი მისი
მხატვრული შემოქმედება, აღბეჭდილია განსხვავებული გლო-
ბალური იდეების, ჩანაფიქრების, თემების უწყვეტი და რთული

8 ანდრეი პლატონოვის ბიოგრაფიის გასაცნობად იხ. მწერლის ცხოვრების ვად-
მოცემის ბოლო ცდა: А. Варламов, *Андрей Платонов*, Москва: Молодая
гвардия, 2011.

9 ამჟამად ანდრეი პლატონოვის თითქმის მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობა
გამოქვეყნებულია; დაწყებულია, ასევე, მისი საარქივო მასალების დამუშავება
და გამოცემა: Н. Корниенко (редактор), *Архив А. П. Платонова*, 1, Москва:
ИМЛИ РАН, 2009.

10 Л. Шубин, *Поиски смысла отдельного и общего существования: Об Андрее
Платонове: Работы разных лет*, Москва: Советский писатель, 1987, с. 231.

მოძრაობით, სადაც შერწყმულია კრიტიციზმი და რწმენა, რეალიზმი და უტოპიურობა, რადიკალური რევოლუციურობა და ასევე რადიკალური კონსერვატიზმი¹¹.

მაგრამ არც ამ დარგში ასცდენია ანდრეი პლატონოვს დევნა: წლების განმავლობაში მას დაუნდობლად უტევდნენ არა მხოლოდ როგორც პროზაიკოსს, არამედ როგორც კრიტიკოსსაც. მისი ლიტერატურული სტატიების უკვე დაბეჭდილი კრებული – “მკითხველის ფიქრები” (“Размышления читателя”, 1939) აკრძალა და არასოდეს გაყიდულა.

სწორედ ამ აკრძალვიდან ცოტა ხნის შემდეგ აქვეყნებს მწერალი – არა თავისი სამწერლო გვარით, არამედ ადრევე უარყოფილი სამოქალაქო გვარით – რეცენზიას აკაკი წერეთლის “ჩემი თავგადასავლის” რუსული გამოცემის გამო.

რეცენზენტი მსჯელობს არა მარტო თავად ნაწარმოების მნიშვნელობისა და ღირებულების შესახებ, არამედ განსაკუთრებული შემართებით უტევს წიგნის რედაქტორსა და კომენტარების ავტორს, ვიკტორ გოლცევეს (1901-1955), რომელიც, საზოგადოდ, კრიტიკულ ნარკვევებსა თუ პოპულარულ მიმოხილვებს წერდა რუსი თუ არარუსი მწერლების შესახებ. იგი გამორჩეულ ყურადღებას მიაპყრობდა ხოლმე ქართულ მწერლობას და მისი ნაწერების ნუსხა მოითვლის მონოგრაფიებს რუსთველისა და გიორგი ლეონიძის შესახებ. მაგრამ გოლცევის კომენტარები, დართული “ჩემი თავგადასავლის” რუსული თარგმანისათვის, პლატონოვს “უტაქტოდ” და ხანდახან “ღიმილისმომგვრელად” მიაჩნია (524)¹². სხვათა შორის, აქვეა აღსანიშნავი, რომ რეცენზენტი მეტად დადებითად იხსენიებს და იმოწმებს ლევან ასათიანის (1900-1955) წინასიტყვაობას, წამძღვარებულს თხზულების ტექსტისათვის.

რეცენზიაში შესაძლოა გამოიყოს რამდენიმე საკითხი, რომელიც ცხადად ავლენს პლატონოვის დამოკიდებულებას თარგმნილი ნაწარმოებისა და მისი ავტორის მიმართ, მაგრამ, ამასთა-

11 Н. Корниенко, “Комментарии”, წგ-ში: Андрей Платонов, *Собрание*, [Том 8], Фабрика литературы: Литературная критика. Публицистика, Москва: Время, 2011, с. 660.

12 ტექსტი დამოწმებულია და მითითებულია ციტატის მოყვანისთანავე ანდრეი პლატონოვის ზემოთ დასახელებული რვატომეულის დაურიგოთებელი მერვე ტომის მიხედვით.

ნავე, ზოგადად, კლასიკური ტექსტის მიმართ, როგორადაც იგი გამოხატულად მიიჩნევს “ჩემს თავგადასავალს”. (სხვათა შორის, გამოთქმულია დასაბუთებული აზრი, რომ პლატონოვი შემოქმედებითს უნდობლობას უცხადებდა კლასიკურ ლიტერატურას და, კერძოდ, მე-19 საუკუნის ეგრეთ წოდებულ “რეალისტურ” თუ “კრიტიკულ-რეალისტურ” მწერლობას, რომელიც ფილოსოფიურად, იდეურად მისთვის სავსებით მიუღებელ პოზიტივიზმს ან პოზიტივისტურ ჰუმანიზმს ეფუძნებოდა¹³.)

რეცენზიის კვალობაზე საკითხები თანმიმდევრობით ამგვარად დალაგდება:

პირველი: აკაკის ტექსტი სახალხოა, რადგან ის “საყვარელი საკითხავია თითქმის ყველა ასაკის მკითხველისათვის” (523). ამგვარია “ქართველი ხალხის” (523) დამოკიდებულება ნაწარმოების მიმართ და, სავარაუდოდ, ასევე მიიღებს მას “რუსი მკითხველი” (523). ფაქტია, რომ ტექსტის ეს პირველივე დახასიათება არანაირად არ ეხება ნაწარმოების არსობრივ მხარეს და აღწერს მის არა ლიტერატურულ თვისებას ან თვისებებს, არამედ მხოლოდ სოციალურ კონტექსტს: თხზულების საჯარო გამოძახილს და შესაბამის მნიშვნელობასა და ღირებულებას.

მეორე: აკაკი წერეთლის, “ქართველი კლასიკოსის” (523), საქმიანობას ჰქონდა “დიდი ზოგადკულტურული მნიშვნელობა ქართველი ხალხისათვის” (523), თუმცა ეს მნიშვნელობა სცილდება “ოდენ ქართველი ხალხის” (523) ფარგლებს. რეცენზენტის შეხედულებით, კლასიკოსის ღვაწლი არ რჩება არც მხოლოდ სამწერლო და არც მხოლოდ ეროვნულ კალაპოტში, რითაც მისი მნიშვნელობა ფართოვდება, მაგრამ მსჯელობა ისევ არ შეეხება ტექსტის ლიტერატურულ მახასიათებლებს.

მესამე: ამგვარი ტექსტის უცხო ენაზე თარგმნა უნდა განხორციელდეს “ცოდნითა და ტაქტით” (523). იგულისხმება, რომ კლასიკური ტექსტის გაგებას – რაც უწინარესადაა აუცილებელი ნაწარმოების სათარგმნელად – ესაჭიროება ინტელექტუალური და პიროვნული მზადყოფნა. რეცენზენტი ამჯერად უკვე უახლოვდება ტექსტს, თუნდაც მხოლოდ ზოგადად, და მასთან ნამდვილი

13 Ю. Левин, “От синтаксиса к смыслу и далее („Котлован“ А. Платонова)”, წგ-ში: Ю. Левин, *Избранные труды: Поэтика. Семиотика*, Москва: Языки русской культуры, 1998, с. 404.

მისვლის გზებსაც სახავს, მაგრამ იგი ისევ არაფერს ამბობს თავად ნაწარმოების ლიტერატურული რაობის შესახებ.

მეოთხე: ტექსტის იდეოლოგიური ანალიზი, საერთოდ, შესაბამოდ უნდა იქნეს მიჩნეული (რის გამოც სრულიად დაწუნებულია ვიკტორ გოლცევისეული კომენტარები): "კლასობრივი ბრძოლა ყველგან იყო ქვეყნად (და ისევ არის დედამიწის უდიდეს ნაწილში), ის ძლიერია, მწვავეა და მტანჯველია. თუმცა ყველა ქვეყანაში ამ ბრძოლას თავისი განსაკუთრებული ნიშნები აქვს" (524). რაკი მანამდე რეცენზენტმა ტექსტის სწორი აღქმის საშუალებანი დასახა ("ცოდნა და ტაქტი" – 523), აქვე, უპირველეს ყოვლისა, ის დაბრკოლება ახსენა, რაც მისი დროისათვის, მისი გარემოსათვის (თუმცა არა ოდენ მისი დროსა და გარემოსათვის!) ყველაზე სახიფათო იყო: მხატვრული ტექსტის, – განსაკუთრებით, კლასიკური ტექსტის, – იდეოლოგიზე, რისგანაც, სამწუხაროდ, დაუცველი აღმოჩნდა "ჩემი თავგადასავლის" რუსული გამოცემა, კერძოდ კი, მისი კომენტარები.

მეხუთე: ღირებულია თავისთავად მწერლისეული დამოკიდებულება, გაგება, შეფასება და სრულიად უმნიშვნელოა, ეთანხმება თუ არა მას მკითხველი ან მკვლევარი. დანიელ ჭონქაძის აკაკისეული შეფასების მაგალითით რეცენზენტი აცხადებს: "ჩვენ გვსურს მოვისმინოთ სწორედ წერეთლისეული შეფასებანი თუ დაუფასებლობანი" (526). რეცენზენტს აუცილებლად მიაჩნია, ტექსტთან უშუალოდ, დაუბრკოლებლად მისვლა და მისი უწყების მოსმენა. სრულიად ზედმეტადაა მიჩნეული ინტერპრეტაციის ჩარევა ან ჩადგომა ნაწარმოებსა და მკითხველს შორის (პლატონოვი ირონიულია გოლცევისეულ ინტერპრეტაციათა მიმართ: "იმ შემთხვევისას, თუ ჩვენ დაგვჭირდება გავიგოთ ვ. გოლცევის შეხედულებანი, მაშინ ჩვენ მივმართავთ უშუალოდ მის ნაშრომებს" – 526).

მეექვსე: წიგნი დაწერილია "მეცხრამეტე საუკუნის სანიმუშო ქართული მხატვრული პროზის ენით" ("Языком образцовой грузинской художественной прозы XIX века" – 526). საგულისხმოა ამგვარი განსაკუთრებული ყურადღება "ჩემი თავგადასავლის" ენის მიმართ იმ მწერლის მხრივ, რომლის ენობრივი ვირტუოზობა გამორჩეულია ლიტერატურაში და ყოველთვის გაოცებას ან აღტაცებას იწვევს. პლატონოვის აზრით, ყველა კონკრეტული ეპოქის მწერლობას აქვს თავისი ენა, კიდევ

მეტი, სანიმუშო ენა. აკაკის ტექსტი, მისი გაგებით, სწორედ ამ სანიმუშო ენას წარმოადგენს.

მეშვიდე: “წიგნში – ავტობიოგრაფიულ ქრონიკაში – ადამიანისა და ხელოვანის უზარმაზარი ტაქტით ასახულია თავად ავტორის პიროვნება, მისი კავშირები, მისი საქმიანობა და მისი ღრო” (526). რეცენზენტი აქ პირველად შეეხება ნაწარმოების შინაარსსა და თემას, მაგრამ უწინარესად შენიშნავს აკაკის, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის, “უზარმაზარ ტაქტს”, ანუ უნარს, რომ გაწონასწორებულად, გადაჭარბებისა და მიკერძობების გარეშე მოგვეთხროს საკუთარი თავისა და ეპოქის შესახებ. აკაკის ზოგიერთ გამორჩეულ ადამიანურ თვისებას, დანახულს წიგნში, პლატონოვი მოკლედ მიმოიხილავს შემდგომ.

მერვე: ნაწარმოების ტექსტი ამჟღავნებს “ავტორის პიროვნების კეთილშობილებასა და დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას” (226). თავად თხზულების განვითარება საშუალებას აძლევს მკითხველს (და ამჯერად რეცენზენტს), დაინახოს აკაკის, ერთი მხრივ, პიროვნული ღირსება და, მეორე მხრივ, მისი ღვაწლის ღირებულება. აღსანიშნავია, რომ გამოყენებულია ორაზროვანი სიტყვა “კეთილშობილება”, რაც აღნიშნავს როგორც მწერლის სოციალურ წარმოშობას, მის დაბადებისმიერ კუთვნილებას არისტოკრატიული ფენისადმი, ისე მის საკუთრივ ადამიანურ თვისებას, რომელთაგან ორივე ცხადად ახასიათებდა აკაკი წერეთელს. თვალსაჩინოა, რომ ამჯერადაც ყურადღება უმთავრესად ისევ მიემართება “ჩემი თავგადასავლის” ავტორს და არა ტექსტს, მაგრამ, ამავე დროს, ამ დასკვნების წყარო სწორედ ტექსტია, – ან, უფრო ზუსტად, ხერხი, რომლის საშუალებითაცაა ის შექმნილი: “ნაწარმოები იმგვარადაა (ТАКИМ ОБРАЗОМ) დაწერილი, რომ მკითხველი გრძნობს ავტორის პიროვნების კეთილშობილებასა და დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას” (526). რეცენზენტის თვალსაზრისით, სტილი ავტორის პიროვნების გამოსახატავად გამოდგა, მის პიროვნებას აცხადებს...

მეცხრე: “ავტორი თითქოს (СЛОВНО) ვერ აცნობიერებს (ან მართლაც ვერ აცნობიერებს) თავის ღირებულებას” (526), – ამგვარად მსჯელობს პლატონოვი მწერლის ერთ თვისებაზე: მოკრძალებულობაზე, რაც მით უმეტეს გამოიკვეთება, რაკი მანამდე

ლაპარაკი იყო მისი საქმიანობის უდიდეს მნიშვნელობაზე საზოგადოებისა და კულტურისათვის. მაგრამ ამჯერადაც ბუნდოვანია აკაკის, როგორც ავტორის, გულახდილობის ხარისხი: თუ ადრე ნათქვამის მიხედვით, გადმოცემის რაგვარობა განაპირობებდა მწერლის კეთილშობილების მიზანმიმართულ წარმოჩენას, ახლა მკრთალი ეჭვია გამოთქმული ავტორის თავმდაბლობის სიწრფელის მიმართ¹⁴.

მეთაე: "წიგნის მთელი სულისკვეთება" (527) გადმოცემულია იმ სიტყვებში, რომელსაც საგანგებოდ იმოწმებს რეცენზენტი და რომლებშიც მუღავენდება "აკაკი წერეთლის პიროვნებისა და მისი ცხოვრებისეული თავდადების არსი" (527). აკაკის ეს ვრცელი ციტატა, რომელიც მოყვანილია რეცენზიაში, შემდეგია:

ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა მაშინ: "სწორედ რომ ახირებული კაცი ხარ შენ: შენიან-სხვისიანობა არ იცი. შენიანს არ არჩევ შენის მწარის ენით და სხვისიანს უდგები?... რომ ვისმეს უნდოდეს შენთან დაახლოვება და დამოყვრება, ვერ ახერხებსო". ეს მართალი მითხრა, მაგრამ არც მე მიჰასუხნია ტყუილი: "ეგ ყველა მართალია, მაგრამ საზოგადო საქმეში მე არ მესმის მტერ-მოყვარეობა!.. მე ჩემი გზით მივდივარ; ვინც გვერდით ამომიდგება, გინდ მტერი იყოს, გინდ მოყვარე, ჩემიანად მიმაჩნია და, ვინც წინ მეღობება, მტრად მეთქი"... აი, ასეთი იყო მაშინ ახალგაზრდობის ჩემი რწმენა და დღესაც შეძლებისდაგვარად ვერ ვყოფ უარს.

იმ გაკერპებულ წინსვლაში დიდი ტანჯვაც გამოვიარე, მაგრამ რადგან ღმერთმა იმდენ ხანს მაცოცხლა, რომ, რასაც მაშინ ვფიქ-

14 სხვათა შორის, "ჩემი თავგადასავლის" მონათხრობის გულწრფელობის საკითხი სხვაგანაც წამოჭრილა: "აკაკი 1902 წელსაც კი დაჟინებით ცდილობს, დაარწმუნოს მკითხველი, რომლის დახმარებითაც სურს "ჩემი თავგადასავლის" პროზაული ვერსიის გამოცემა, თავის გულწრფელობაში – მიხეილ ქურდიანი, "ცნობიერი და არაცნობიერი აკაკი წერეთლის პროზასა და პოეზიაში (აკაკი წერეთლის "ჩემი თავგადასავლის" პროზაული და პოეტური ვერსიების მაგალითზე)", წგ-ში: აკაკის კრებული, II, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005, გვ. 101; მიხეილ ქურდიანის თავად ამ სტატიაში გამოთქმულია ეჭვი, რომ აკაკის პროზაული "ჩემი თავგადასავალი" (განსხვავებით პოეტური "ჩემი თავგადასავლისაგან") რეალურად ასახავდეს თუნდაც ცალკეულ მოვლენებს, და წამოყენებულია მტკიცებულება, რომ ფაქტობრივი სიმართლე ამ მოვლენათა აღწერისას დაფარულია (იქვე, გვ. 97-101).

რობდი, ასრულდა და მტრები მოყვრებად გადამექცნენ, აღარას ვიტყვი აღარც ჩემს თავზე და აღარც მათზე.¹⁵

ანდრეი პლატონოვი საგანგებოდ აღნიშნავს მწერლის პიროვნულ თვისებას, მის უშიშარ პირდაპირობას, და აკაკის ცხოვრებისეული არჩევანი მას თავდადებად მიაჩნია. მისი აზრით, სწორედ ეს დამოკიდებულება, ეს განწყობილება მსჭვალავს მთელ წიგნსაც, მაგრამ, ამ განცხადების მიუხედავად, რეცენზიაში ისევ და ისევ არაფერია ნათქვამი ტექსტის თავისთავადი მხატვრული ღირებულების ან მისი ლიტერატურული განზომილებისა თუ სივრცის შესახებ.

მეთერთმეტე: ნიკოლაი ჩერნიშევსკის და, ზოგადად, მე-19 საუკუნის ნიჰილისტურ-რევოლუციური ნაკადის მიმართ აკაკის დამოკიდებულება, რომელიც არ ემთხვევა ოფიციალურ საბჭოთა თვალსაზრისს, რეცენზენტის აზრით, გამოხატავს იმას, რომ აკაკი წერეთელს “თავისი დროის ყველა მოვლენაზე ჰქონდა თავისი პირადი, განსაკუთრებული თვალსაზრისი, რომელიც უმეტესად ემთხვეოდა რუსეთში მოსახლე ხალხების პროგრესული მოძრაობის მიზნებს, მაგრამ განსხვავდებოდა საერთო მოძრაობის წარმავალი, საჭირობოროტო უხამსობისა (зпонибдневной пошлости) და ცალკეული შეცდომებისაგან” (528). სხვა მხრივ სტილურად თითქოს სრულიად ნეიტრალური ტექსტიდან ეს ფრაზა ის გამოკრთომა, – შესაძლოა, ერთადერთიც, – რომელშიც მოულოდნელად, თუნდაც მქრქალად, გამოაშუქებს პლატონოვის ენისა თუ ნაზრევის შეუდარებლობაც და იდუმალებაც. ამავე დროს, ეს სიტყვები იმასაც გაამჟღავნებს, რომ მწერალი ცხად უპირატესობას ანიჭებს ცალკეულ ადამიანურ თვალსაზრისს და არ მალავს თავის გამოხატულ გაღიზიანებას, მიუღებლობას, ზიზღს საერთო, კოლექტიური ცხოვრების დროებითობის, ხილული სისაძაგლისა თუ სიმცდარის მიმართ. ხოლო თავად აკაკის ამგვარი ინდივიდუალური დამოკიდებულება კი, პლატონოვის თვალსაზრისით, მისი “პიროვნების თვასეულობასა და თავისებურებას გამოხატავს” (528). ამავე დროს, რეცენზენტი ბრალს სდებს რუსული გამოცემის რედაქტორს, რომ მან “უცნაურობად” მიიჩნია ის, რაც ნამდ-

15 აკაკი წერეთელი, “ჩემი თავგადასავალი”, წგ-ში: აკაკი წერეთელი, *თხზულებათა სრული კრებული*: თხუთმეტ ტომად, ტომი VII, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1958, გვ. 102-103.

ვილად "ქართველი კლასიკოსის პიროვნების ღირსებაა" (528). უნდა ითქვას, რომ, როგორც ჩანს, რეცენზენტს შეუნიშნავი არ დარჩენია გვიანდელი აკაკის მძაფრი გაღიზიანება ოდინდელი საკუთარი (და იმდროინდელ გარშემომყოფთა) ნიჰილისტური გატაცებების გამო¹⁶. საყურადღებოა, რომ მთელი ეს მსჯელობაც ისევ აკაკის პიროვნების, მისი პირადი დამოკიდებულების ირგვლივ ტრიალებს.

მეთორმეტე: დასკვნით ფრაზაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ "ჩემი თავგადასავალი" მაინც დაუსრულებელია, რადგან მწერალი "იმდენად არახელსაყრელ ვითარებაში ცხოვრობდა, რომ მან ვერ შეძლო თავისი ნაშრომის იმ სისრულით განხორციელება, როგორითაც ის მან ჩაიფიქრა თავდაპირველად" (528). ნაწარმოების დაუსრულებლობა, ანუ მისი სისრულის ნაკლებობა, რომელსაც ახსენებს პლატონოვი, ორაზროვანია და, შესაძლოა, გულისხმობდეს წიგნის ჩანათფიქრის არა მარტო ბოლომდე განუხორციელებლობას, – იმას, რომ ავტორს ამოუწურავი დარჩა, რასაც გასახსენებლად თუ სათქმელად ვარაუდობდა, – არამედ ტექსტის საბოლოო მხატვრულ დახვეწასაც, მხატვრულ სრულყოფილებასაც. ამავე დროს, ბუნდოვანია, რას გულისხმობს პლატონოვი იმ "არახელსაყრელ ვითარებაში", რამაც მწერალს მწერლური მოვალეობის აღსრულების საშუალება არ მისცა: აკაკი თავისთავად ნაყოფიერი მწერალი იყო და მას, არცთუ სასურველი ყოფითი პირობებისა თუ პოლიტიკურ-იდეოლოგიური გარემოცვის მიუხედავად, არ გასჭირვებია, თავისი მრავალრიცხოვანი ნაწარმოებები უწყვეტ ნაკადად ებეჭდა და გამოეცა (განსხვავებით იმავე პლატონოვისაგან). არაა გამორიცხული, რუსი მწერალი ქართველი პოეტის ინტელექტუალურ სივრცეს და ინტელექტუალურ მზადყოფნას მიანიშნებდეს. რაც შეეხება დაუმთავრებლობას, თავად აკაკიც არ იძლეოდა გამოკვეთილ და ცხად პასუხს, რამდენადაა დამთავრებული "ჩემი თავგადა-

16 "რუსულ გარემოში ჩამოყალიბებული ნიჰილიზმის კრიტიკას დიდ პოეტთან თანმიმდევრული, სისტემური ხასიათი აქვს, [...] უმაღლეს ფორმას კი აღწევს "ჩემი თავგადასავლის" მეორე ნაწილში, რომელიც 1896-1909 წლებშია შექმნილი" – იუზა ევგენიძე, "აკაკი წერეთელი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ", წგ-ში: აკაკი წერეთელი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამ-ბა, 2004, გვ. 25.

სავალი”. ნაწარმოების პირველი ნაწილი, რომელიც ისედაც დამოუკიდებელ ტექსტად აღიქმება, ამგვარი ავტორისეული განცხადებით სრულდება: “აი, ამით თავდება ჩემი „თავგადასავალი“ და იწყება „ჩემგან ნანახი და გაგონილი“”¹⁷. ამ პირველ ნაწილს კი განსხვავებული ტიპის, – განსხვავებული სტრუქტურისა და შინაარსის, – გაგრძელება, მეორე ნაწილი, მოჰყვება, თუმცა სწორედ ეს გაგრძელება, რომელიც, ავტორის ჩანათყფრით, “მრავალტომიანი”¹⁸ უნდა ყოფილიყო, არასოდეს დამთავრებულა. ქართული ტექსტის გამომცემელ-კომენტატორის განმარტებით, “სამწუხაროდ, აკაკიმ მთელი სისრულით ვერ განახორციელა თავისი პირვანდელი გეგმა, მაგრამ ის, რისი დაწერაც მოასწრო პოეტმა, წარმოადგენს ქართული მხატვრული პროზის უბრწყინვალეს ძეგლს და უდიდესი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი წარსული ცხოვრებისა და კულტურის შესასწავლად”¹⁹. მართლაც, თუკი ავტორისეულ გვიანდელ გეგმას, – ისიც მხოლოდ პირველი ნაწილის დამთავრებისა და გამოქვეყნების (1894-1899) შემდეგ ჩამოყალიბებულს (1902-1909), – დასრულება აკლია, ანუ, ყველაფერს ამ გეგმიდან ხორცი არ შესხმია, ნაწარმოებს მაინც არანაირად არ ემჩნევა, რომ სტრუქტურულად ის ბოლომდე არაა მიყვანილი. სხვა საკითხია მისი მხატვრული სრულყოფილება: თუკი სისრულის ნაკლებობაში პლატონოვი მართლაც ტექსტის ამ განზომილებას გულისხმობდა, მაშინ მას თავად აკაკიც ეთანხმება, რომელიც, როცა 1897 წელს ხელახლა შეუდგება “ჩემი თავგადასავლის” გამოცემას “აკაკის კრებულის” ცალკეულ გამოშვებებში, ტექსტს ამგვარ შენიშვნას დაურთავს:

დღივადან შევუდგებით ჩვენი “კრებულის” მეორე განყოფილებაში “ჩემი თავგადასავალის” ბეჭდვას. [...] ადრევეაც მოვიხსენიე და ახლაც ვიმეორებ, საზოგადოდ მე ხელოვნებას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი და ისე მიმაჩნდა მწერლობა როგორც ერთი უბრალო იარაღთაგანი დღიურ აკვარგიანობის საბრძოლველ-სასამსახუროდ.

17 აკაკი წერეთელი, “ჩემი თავგადასავალი”, გვ. 103.

18 გიორგი აბზიანიძე, “შენიშვნები”, წგ-ში: აკაკი წერეთელი, *თხზულებათა სრული კრებული: თხუთმეტ ტომად*, ტომი VII, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1958, გვ. 359.

19 იქვე.

თუ რამე ხელოვნური გამომსვლია ხელიდან, ეს ძალაუნებურად და შემთხვევით მომხდარა, თვარა ის ჩემ დღეში არ მქონია ფიქრად, რომ მომავლისათვის ვწერო მეთქი. ამიტომაც უმეტეს ჩემს ნაწერს დღეს იმდენად დაკარგული აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც დრო და უამი იცვალა და მხოლოდ მაშინ იგულისხმება, როცა მოვისხენიებთ იმ გარემოებას, რასაც გამოუწვევია ჩემის მხრით რომელიმე გვარი მწერლობა. თვითონ ჩემთვის და ჩემი მწერლობისათვის არაფერი სასარგებლო იქნება ესეები ყველა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამითი უფრო დახასიათდება ის დრო და მოვლენა, რომელიც მე მსურს მკითხველებს გაუთვალისწინო²⁰.

მოყვანილი სიტყვები არა მარტო ადასტურებს პლატონოვის მიერ შემჩნეულ აკაკის პიროვნულ თუ ლიტერატურულ თავმდაბლობას, არამედ ეხმაურება კიდევ იმ ზოგად დასკვნას, რომელიც პლატონოვის რეცენზიიდან გამოჭვივის აკაკის “ჩემი თავგადასავლის” საზოგადო მნიშვნელობისა თუ ლიტერატურული ხასიათის შესახებ.

თავად ეს ზოგადი დასკვნა, შეჯამება ნაწარმოების გამო ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს: ანდრეი პლატონოვისათვის აკაკი წერეთლის “ჩემი თავგადასავალი” ფასეულია, რამდენადაც წიგნი წარმოაჩენს, უწინარეს ყოვლისა, ავტორს, მის პიროვნულ ვინაობას, და, ამავე დროს, რამდენადმე იმ დროს, რომელშიც პოეტს უწევდა ცხოვრება. რეცენზენტი საგანგებოდ აღნიშნავს და პატივს მიაგებს აკაკის ზნეობრივ სახეს და მის კულტურულ საქმიანობას. მაგრამ მას არ ავიწყდება აღნიშნოს, რომ ნებისმიერი მონაცემი ავტორის პიროვნების შესახებ მხოლოდ და მხოლოდ მის-სავე ავტობიოგრაფიულ ტექსტს ეფუძნება. კიდევ: შენიშნულია ტექსტის ენობრივი მნიშვნელობა და ის შეფასებულია როგორც ეპოქისა და უანრის ენობრივი დასტური.

არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვით, რომ პლატონოვი, – ისევე, როგორც ყოველთვის საკუთარ მხატვრულ თუ კრიტიკულ ტექსტებში, – ამჯერადაც გულწრფელია, ამჯერადაც არ ღალატობს სიმართლეს, როცა თავის რეცენზიაში არანაირად არ გამოხატავს ემოციურ დამოკიდებულებას აკაკის ტექსტის, როგორც მხატვრული მოვლენის, მიმართ: ვინც ოდნავ მაინც იცნობს რუსი პროზაიკოსის შემოქმედებას, საკამათო არ იქნება, რომ “ჩემი

თავგადასავლის” ტიპის პროზა “ჩვევგურისა” და “ქვაბულის” ავტორისათვის არც ახლობელი, არც მიმზიდველი, არც შთამაგონებელი უნდა ყოფილიყო...

და მაინც, რა ამორებდა არსებითად ერთმანეთისაგან აკაკის პროზასა და ანდრეი პლატონოვის პროზას, გარდა ეპოქისა, გარდა ნიადაგისა, გარდა კულტურული გარემოცვისა, ანდა არსებობდა კი რამე საერთო, რამე გადამკვეთი წერტილები მათ შორის? სწორედ ამ მონათესავეობის უპოვნელობამ ხომ არ განაპირობა, რომ რეცენზენტმა ყურადღება მიაპყრო არა იმდენად ნაწარმოების ტექსტს, რამდენადაც მწერალ აკაკი წერეთლის ზნეობრივ და ადამიანურ სახეს, მისი საქმის საზოგადო და კულტურულ მნიშვნელობას?

საჩინოა, რომ აკაკის ტექსტების კლასიკური კულტურული სივრცე არაფრით ჰგავს პლატონოვის ტექსტების კულტურისმილმა სივრცეს, ან, უფრო ზუსტად, შესაძლებლობათა იმ გარემოს, სადაც ტექნიკური განვითარების პირობებში წინარეკულტურულობის ნიშნები გამოვლინდება და აღორძინდება.

აკაკი დამკვიდრებულ ღირებულებათა სიმყარეს ეყრდნობა, პლატონოვს ადამიანურ სწრაფვათა პირველსაწყისების შემჩნევა და ჩვენება სურს.

“ჩემ თავგადასავალში” აკაკი აღწერს ადამიანის შერწყმას კულტურულ, იერარქიულ, ჩამოყალიბებულ წყობასთან, პლატონოვს შემოქმედებითად იზიდავს ადამიანის ყოფნა ამ მდგომარეობამდე მისვლის წინ და ამ მდგომარეობიდან გასვლის შემდგომ.

აკაკის წიგნში კულტურული ადამიანი ბუნებასთან თანახმიერობაში იმყოფება, პლატონოვი ხატავს ადამიანს, რომელიც გამოეყოფა ბუნებას, უპირისპირდება მას და მის დაძლევას ცდილობს.

აკაკი ტრადიციის ერთგულ მემკვიდრედ მიიჩნევს თავს, პლატონოვი სავსებით შეგნებულად ემიჯნება წინამორბედ კულტურას.

აკაკისათვის გამოთქმული აზრი სინამდვილეს ასახავს, პლატონოვისათვის აზრი მტკივნეულად იბადება სინამდვილიდან, ხოლო დაბადებული აზრი ასევე მტკივნეულად ეჯახება სინამდვილეს.

აკაკისეული ხატები ცხადი, გამჭვირვალე და მშვიდია, პლატონოვისეული – დანისლული, მკვრივი, სულისშემძვრელი და შემაშოთებელი.

აკაკის ენა კულტურაში შესვლისა და კულტურის დამკვიდრების ენაა, პლატონოვის ენა თითქოს პირველად იდგამს ფეხს, თითქოს პირველად ამოთქვამს მანამდე არასოდეს ნათქვამ სათქმელს.

აკაკის პროზა კლასიკური წესრიგის შუქითაა განათებული, პლატონოვის პროზა დასაბამისმიერი დაუნაწევრებელი ბურუსიდან ცხოვრებისა და ცნობიერების თავდაპირველ გამონათებებს შენიშნავს.

ის, რაც აახლოებს ორ მწერალს, სამყაროს სურათის მითოსური ხედვა და გადმოცემაა, მაგრამ ამგვარი თვალსაწიერი უპირატესად აკაკის პოეზიაში ვლინდება, რომელსაც პლატონოვი, ალბათ, არც იცნობდა. 1941 წელს ანდრეი პლატონოვი აკაკი წერეთლის პროზის შესახებ წერდა, როცა ქართველი პოეტის ავტობიოგრაფიული წიგნის "ჩემი თავგადასავლის" რუსულ თარგმანს შეათვასებდა.

2015

ტოტალიტარულობა, კარნავალი, კარნავალიზაცია

ბახტინი ანტისტალინური კი არა,
სწორედ სტალინური მოვლენაა...

სერგეი ავერინცევი – მიხაილ გასპაროვს
(მიხაილ გასპაროვი, ჩანაწერები და ამონაწერები, 2000)

მიხაილ ბახტინის (1895-1975) გარდაცვალების შემდეგ, რაც დრო გადის, სულ უფრო ცხოველდება კამათი მისი სულიერი მემკვიდრეობის გამო. ბახტინის შემოქმედება თავისი ინტერესებითა და თემატიკით, რა თქმა უნდა, არ თავსდება ოდენ ლიტერატურის ან თუნდაც კულტურულ-ანთროპოლოგიურ კვლევათა ფარგლებში, მაგრამ დღემდე საკამათოა მისი თეორიული ნააზრევის კუთვნილების საკითხი: ეკუთვნის ის კერძო ჰუმანიტარულ მეცნიერებებს თუ განზოგადებულ ფილოსოფიურ განჭვრეტებს, მემარცხენე თუ მემარჯვენე სოციალურ-კულტურულ მიმდინარეობას, ლიბერალურ თუ კონსერვატიულ მსოფლმხედველობრივ ფრთას, აღმოსავლურქრისტიანულ თუ იუდეველურ რელიგიურ ტრადიციას, მარტინ ბუბერის ფილოსოფიურ მიმდევართა წყებას თუ რუსული რელიგიურ-ფილოსოფიური "აღორძინების" ფართო წრეს, გნოსტიკურ-ოკულტურ ძიებებს თუ, საერთოდ, ანტიქრისტიანულ, ღმრთისმებრძოლურ აზროვნებითს ნაკადს...

ბახტინის მემკვიდრეობის შესახებ ამ კამათებსა თუ დაპირისპირებებში, მსჯელობათა და განსჯა-განაზრებათა შორის უყურადღებოდ არაა დატოვებული არც ბახტინისეული განხმარებული კონცეფცია კარნავალისა და კარნავალიზაციის შესახებ, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით გახდა საჯაროდ გავრცელებული და ცნობილი, ფაქტობრივად, ქრონოლოგიურად სტალინურ-საბჭოური ტოტალიტარიზმის ხანაში ჩამოყალიბდა.

ბახტინის მოძღვრება შუა საუკუნეთა და რენესანსული კარნავალისა და მისი ადგილის, მნიშვნელობის, წარმოშობისა და განვითარების შესახებ იმდროინდელ, ადრეულ თუ მომდევნო ხანის კულტურასა და ლიტერატურაში ყველაზე ფართოდ (თუმცა არა ამომწურავად) გადმოცემულია მკვლევრის ვრცელ ნაშრომში ფრანსუა

რაბლეს შესახებ, რომელიც ძირითადად იწერებოდა XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულში, – არამარტო სტალინური რეჟიმის, არამედ, ზოგადად, მსოფლიოში ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემების აღზევების დროს. ნაშრომზე მუშაობა ავტორმა 1940 წლისათვის დაასრულა, ხოლო შემდგომში ის დისერტაციის სახით იქნა დაცული 1946 წელს, ცალკე წიგნად კი – სახელწოდებით “ფრანსუა რაბლეს შემოქმედება და შუა საუკუნეებისა და რენესანსის ხალხური კულტურა” – პირველად 1965 წელს გამოქვეყნდა, ისიც ხანგრძლივ და მძიმე იდეოლოგიურ-საგამომცემლო დაბრკოლებათა გადალახვის შედეგად. სწორედ ამ წიგნში მიეცა საბოლოო სახე კონცეფციას კარნავალისა და მის გამოვლინებათა შესახებ, უწინარეს ყოვლისა, ლიტერატურაში და, აგრეთვე, ზოგადად, კულტურაში, რასაც მკვლევარი “კარნავალიზაციას” უწოდებს (მანამდე, უფრო მოკლე სახით, ოდნავ სხვაგვარი და განსხვავებულად ეს თვალსაზრისი გადმოცემულია დოსტოევსკის შესახებ მონოგრაფიის მეორე, გადამუშავებულ გამოცემაში – “დოსტოევსკის პოეტიკის პრობლემები” (1963). ბახტინის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართა აზრით, იგი არ იყო დარწმუნებული, რომ შეძლებდა გამოექვეყნებინა წიგნი რაბლეს შესახებ და ეს ახალჩართული საგანგებო მონაკვეთი, სადაც ჩამოჭრილია კარნავალისა და კარნავალიზაციის თემა, ამიტომ აღმოჩნდა წიგნში დოსტოევსკის შესახებ).

“კარნავალიზაცია”, როგორც ცნება, თავად ბახტინის შექმნილია და მის მიერაა შემოტანილი ლიტერატურისა და კულტურის კვლევებში. მკვლევრის სიტყვებით, “თავად კარნავალი [...], რა თქმა უნდა, არაა ლიტერატურული მოვლენა. [...] მისი ენა შეუძლებელია გადავიტანოთ რამდენადმე სრულად და ადეკვატურად სიტყვიერ ენაზე, მით უმეტეს, განზოგადებულ ცნებათა ენაზე, მაგრამ ის, კონკრეტულ-გრძობადი ხასიათის გამო, ექვემდებარება გარკვეულ ტრანსპონირებას მისთვის მონათესავე მხატვრული სახეების ენაზე, ესე იგი, ლიტერატურის ენაზე. კარნავალის ამ ტრანსპონირებას ლიტერატურის ენაზე ჩვენ სწორედ კარნავალიზაციას ვუწოდებთ”. ამ თვალთახედვით, “კარნავალიზაცია” მსჭვალავს და განსაზღვრავს მრავალი სხვადასხვა ლიტერატურული ტექსტის შინაარსსაც და სტრუქტურასაც. აღსანიშნავია, რომ შემდგომში ბახტინის შეხედულებებმა შესამჩნევი გავლენა მოახდინა თავად ლიტერატურულ თუ კულტურულ შემოქმედებასა და შემოქმედებზე.

ღირსშესანიშნავი და გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიუხედავად წიგნის თემატიკის, ერთი შეხედვით, შეზღუდული ჩარჩოსი – ფრანსუა რაბლეს შემოქმედება და მისი წყაროები, გარემო თუ გავლენები – ავერინცევის სიტყვებით, “ბახტინი რაბლეს სულაც არ იღებს როგორც ამა და ამ ათწლეულთა ინდივიდუალურ ავტორს, არამედ როგორც უნივერსალურ ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიურ პარადიგმას”.

ნაშრომის გამოქვეყნებისთანავე (და შემდგომ სხვადასხვა ენებზე თარგმნის წყალობით) ბახტინის იდეებს ფართო, – უმეტესად არა მარტო დადებითი, არამედ აღფრთოვანებული, – გამომხაურება ხვდა წილად იმდროინდელ საბჭოთა კავშირშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ბახტინისეული კარნავალი ხშირად – იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად – შეფასებული იყო შეფარულ პროტესტად კომუნისტურ-საბჭოური ტოტალიტარიზმის მიმართ. საყურადღებოა, რომ კომუნისტური რეჟიმის ქვეყნებში თუ მის საზღვრებს მიღმა ბახტინის კონცეფცია არცთუ იშვიათად აღიქმებოდა როგორც ოპოზიციური ალტერნატივა, რომელიც უპირისპირდებოდა არა მარტო საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობის დადგენილ და მიღებულ საზღვრებს, არამედ მთლიანად, ოფიციალურ კომუნისტურ-პარტიულ იდეოლოგიას.

ამასთან ერთად და მიუხედავად ამისა, კრიტიკა ბახტინის ლიტერატურულ-ფილოსოფიურ შეხედულებათა და, კერძოდ, კარნავალისა და “კარნავალიზაციის” კონცეფციის მიმართ აღრევე გამოითქმოდა და ახლაც გამოითქმის როგორც პროფესიული დამოკიდებულების, ისე მსოფლმხედველობრივი პოზიციიდან: ვიკტორ შკლოვსკის მიაჩნდა, რომ რაბლეს შემოქმედების თუ კარნავალის ბახტინისეული ანალიზი არაადეკვატურად შორსაა თავად ტექსტისა და კონტექსტისაგან და, ამდენად, სრულიად აისტორიულია; მიხაილ გასპაროვი, სხვა აკადემიურ (უფრო სწორად, არააკადემიურ თუ ანტიაკადემიურ, ანტიფილოლოგიურ) ცდომილებათა გარდა, ბრალს სდებდა ბახტინს მემარცხენე დესტრუქტივიზმსა და “ღირებულებათა ნიჰილისტურ გადარჩევაში”; სერგეი ავერინცევის აზრით, ბახტინი პასუხისმგებელი იყო კარნავალის მეცნიერულ მითოლოგიზებაში, რაც, სხვა თუ არაფერი, შუა საუკუნეების რელიგიურ-კულტურული კონტექსტის გაუთვალისწინებლობასა და რელიგიურ უგრძობლობას ემყარებოდა; შუა საუკუნეთა კულტურისა და, კერძოდ,

კარნავალის მკოდნეთა თვალსაზრისით, ერთი მხრივ, რეალური კარნავალი, – რელიგიური დღესასწაული, რომელიც ევროპაში დიდი მარხვის წინა კვირაში, ყველიერისას, აღინიშნება, – და, მეორე მხრივ, ბახტინის მიერ უშურველი მხატვრული ოსტატობით აღწერილი კარნავალი იმდენად შორია ერთმანეთისაგან, რომ შესაძლოა ლაპარაკი ორი სრულიად განსხვავებული კულტურული მოვლენის შესახებ. მაგრამ პროფესიულ საყვედურთა გარდა, ბახტინის ნააზრევის წინააღმდეგ მიმართული იყო კრიტიკა, აგრეთვე, რელიგიურ-სულიერ განზომილებებში: თუ არონ გურევიჩი მხოლოდ გაკვირვებითა და მსუბუქი დამუნათება-ირონიით აღნიშნავდა, რომ ბახტინის 600 გვერდიან წიგნში შუასაუკუნეობრივი და რენესანსული კულტურის შესახებ ერთხელაც არაა ნახსენები ღმერთი, ალექსეი ლოსევი, ჯერ ისევ კომუნისტური რეჟიმის ხანაში, ბახტინის თეორიის მოკლე და ირიბ, მაგრამ მძაფრ საკუთარ კრიტიკას (შერწყმულს რაბლეს ბახტინისმიერი განდიდების სრულ მიუღებლობასთან) აგვირგვინებდა რაბლეს ბრალდებით "სატანიზმში" (რაბლეს სიცილი, მისი თვალსაზრისით, სატანური სიცილია, ხოლო რაბლეს რეალიზმი – სატანიზმი!); თანამედროვე თეოლოგი და კულტურის მკვლევარი ნატალია ბონეცკაია კი პირდაპირ და აშკარად ბრალს სდებს ბახტინს, რომ მისი წიგნი რაბლეს შესახებ განმსჭვალულია "სატანიზმის პარკაპით"!

მაგრამ ამ ბოლო ხანს, ამასთანავე, გამძაფრდა კარნავალისა და "კარნავალიზაციის" ბახტინისეული კონცეფციის სამოქალაქო-სოციალური კრიტიკა. თუ აღრე უმთავრესად ეს მოძღვრება, თუნდაც ფილოსოფიური, თუნდაც ლიტერატურული თვალსაზრისით, აღიქმებოდა როგორც კომუნისტური თუ საბჭოური პოლიტიკური სისტემის უარყოფის კულტურული მცდელობა, ახლა უკვე სხვადასხვა მხრიდან რამდენიმეგზის გამოითქვა შეხედულება, რომ ბახტინისეული კარნავალი ასახავს სახელმწიფოსა და საჯარო ცხოვრების სტალინურ მოდელს და, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ემსახურება მის იდეოლოგიას. ბახტინის თეორიის კრიტიკოსებს (რომელთა შორის ყველაზე მძაფრნი ბორის გროისი და მიხაილ რიკლინი აღმოჩნდნენ), მიაჩნიათ, რომ ეს თეორია თავისი არჩევანითა და ღირებულებებით სწორედაც რომ კულტურულად ამართლებს და თეორიულ-მხატვრულად ამკვიდრებს იმ სტალინურ ტოტალიტარიზმს, რომელიც საბჭოთა

კავშირში თუ სხვა კომუნისტურ ქვეყნებში ათწლეულების განმავლობაში ბატონობდა.

და შინც, როგორია ბახტინის მიერ აღწერილი ან, უფრო სწორად, ბახტინის მიერ წარმოსახული კარნავალის იდეოლოგიური ან სამოქალაქო-კულტურული ორიენტაცია?

იმგვარი კარნავალი, როგორსაც დაუფარავი აღფრთოვანებითა და გატაცებით აღწერს ბახტინი, თავისი არსით, მისწრაფებით, მიზანდანიშნულებით მკაფიოდ უპირისპირდება რელიგიას (პირველ ყოვლისა, შესაბამის გარემოში დამკვიდრებულ ქრისტიანობას) და, კერძოდ, ყველაზე მეტად, ხაზგასმით, გამოხატულად – ეკლესიას, მის მოძღვრებასა და სულიერ ცხოვრებას, მის ღმრთისმეტყველებასა და ღმრთისმსახურებას. ბახტინის თვალსაზრისით, ეკლესია განუწყვეტლივ, ყოველდღიურად თრგუნავს შუა საუკუნეთა და რენესანსის ადამიანის ბუნებრივ (უპირატესად, ვიტალურ-ფიზიოლოგიურ) მიდრეკილებებს, ხოლო სწორედ კარნავალის ხანმოკლე დროში, საყოველთაო თავაშვებულობის დღეებში ხერხდება ყოველგვარი რელიგიურ-საეკლესიო მორჩილებისაგან თავის დახსნა და შეუზღუდავი გამოვლენა იმ ხორციელ სწრაფვათა, რომლებიც სხვა დროს – კარნავალიდან კარნავალამდე – ჩახშობილი და დაჩაგრულია; ადამიანი კარნავალის გარემოში აღწევს გათავისუფლებას, რადგან იგი მხოლოდ იმ დროს და იქ თავისუფლდება რელიგიურ ან, ამდენად, ეკლესიის დაწესებულება-დადგენილებათა შემბოჭველი ხუნდებისაგან.

კარნავალი, ბახტინისეული კონცეფციით, უპირისპირდება, უარყოფს და აუქმებს მიღებულ, ტრადიციულ კულტურას (რაც იმ ეპოქისათვის უთუოდ ქრისტიანული კულტურაა) და თავად აყალიბებს “კარნავალურ” ანუ ხალხურ კულტურას. ეს კულტურა კი, რომელიც, ბახტინის წარმოსახვით, მეტწილად სხეულებრივი, მატერიალურ-ფიზიოლოგიური “ქვედას” გამოვლინებას ემსახურება, ტრადიციულ კულტურასთან და მის ღირებულებებთან, მის დადგენილ წესრიგთან მიმართებით ანტიკულტურაა. ამ “ხალხური კულტურის” ანუ ანტიკულტურის მგზნებარე განდიდებას ეძღვნება ბახტინის წიგნის არაერთი მონაკვეთი. შემთხვევითი არაა, რომ თავად ეს ეგრეთ წოდებული “კარნავალური კულტურა”, რომელსაც ხალხის არაინდივიდუალიზებული მასა წარმოშობს და ქმნის, ამ კონცეფციაში უმაღლეს შეფასებას იღებს.

ბახტინის თვალსაზრისით, სწორედ ეს კოლექტიური, უპიროვნო შემოქმედება წარმოადგენს თუნდაც რაბლეს, თუნდაც სერვანტესის, თუნდაც შექსპირის, თუნდაც დოსტოევსკის ამა თუ იმ ნაწარმოებთა წყაროსა და საფუძველს.

ბახტინის მოძღვრებით, კარნავალის გარემოში, მის დროსა და სივრცეში იმლება ზღვარი ზედასა და ქვედას, მაღალსა და დაბალს, ცენტრალურსა და მარგინალურს, ამალლებულსა და დაცემულს შორის და, შესაბამისად, ძალას კარგავს, უფასურდება და ბათილდება ყოველგვარი იერარქიული წყობა. შედეგად, უქმდება სოციალური ფენები და ისპობა ყოველგვარი მიჯნები ამ ფენებს შორის, რითაც კარნავალი ამკვიდრებს ადამიანთა მთლიანად გათანაბრებულ, სრულიად ეგალიტარულ ერთიანობას, – თუმცა, ფაქტობრივად, გათანაბრებულს კარნავალური იძულების წინაშე. ამ შემთხვევისას ადამიანის მდგომარეობა არამყარია და იცვლება განუწყვეტლივ, უცაბედად, ნებისმიერად: ყოველთვისაა მოსალოდნელი აღზევებულითა დამხობა და დაბეჩავებულითა აღზევება. მაგრამ არა მხოლოდ ეს: კარნავალის დროსა და სივრცეში ადამიანი კარგავს არა მარტო თავის კუთვნილ სოციალურ-იერარქიულ ადგილს, არამედ თავის ინდივიდუალურ ყოფნასაც, ყოველივე კერძოსა თუ საკუთარს და უერთდება კოლექტიურ მთლიანობას, ეგრეთ წოდებულ "კარნავალურ სხეულს", სადაც ადამიანის მდგომარეობასა და ქმედებას შეუზღუდავად განაპირობებს კარნავალში ჩართული ადამიანების ბრბო. ვინც არ მონაწილეობს ამ საკარნავალო დღესასწაულში, განუდგება და განერიდება მას, იგი ამ ბრბოს მიერ სასტიკად ისჯება...

ბორის გროსის სიტყვებით, "ბახტინი მიესალმება ყოველივე ინდივიდუალურის „საბოლოო სიკვდილის“ სწორედ კარნავალურ ჰათოსს, სუფთა მატერიალურის, სხეულებრივი პრინციპის გამარჯვებას ტრანსცენდენტურზე, იდეალურზე, ინდივიდუალურად უკვდავზე. მოკლედ, ბახტინისეული კარნავალი სამინელია – ღმერთმა ნუ ქნას, მასში აღმოჩნდე". და კიდევ, ბახტინისეული კარნავალი თავისი მოზეიმე-გროტესკული განწყობით ამყარებს არა საკრებულოს, სადაც ადამიანს პიროვნული თვითგამოხატვისა და თვითგამოვლენის საშუალება ეძლევა, არა ერთობას, რომელიც პიროვნების თავისუფალ არჩევანს ცნობს და აღიარებს, არამედ იმგვარ

ტოტალიტარულ წყობას, სადაც მხოლოდ უნივერსალური კარნავალის ყოვლისწარმმართველი და ყოვლისმეთვალყურე ნება განსაზღვრავს ადამიანის მოქმედების შესაძლებლობასაც და მის ბედისწერასაც.

მოჭრით რომ ვთქვათ, ბახტინის თვალსაზრისით, კარნავალი უპირისპირდება ტრადიციულ რელიგიას (კერძოდ, ეკლესიას), ტრადიციულ კულტურას, ინდივიდუალურ პიროვნებას. მისი ხედვით, კარნავალს მსჭვალავს და წარმართავს ანტირელიგიური და ანტიეკლესიური სულისკვეთება, კარნავალური ქმედება ანტიკულტურულია ანუ უარყოფს დამკვიდრებულ, ნორმატიულ, კანონიკურ კულტურას, კარნავალის გარემო ანტიჰუმანური და ანტიპერსონალურია, რადგან მასში მთლიანად დათრგუნულია ადამიანის თავისუფლება და ნება.

ამდენად, ფაქტობრივად, რა იდეური თუ თემატური გადაძახილი შეიძლება მოიძებნოს ბახტინისეულ ტოტალიტარისტულ კარნავალსა და კომუნისტურ ტოტალიტარისტულ სისტემას შორის? ხოლო თუკი კარნავალისა და "კარნავალიზაციის" ბახტინისეული კონცეფცია მართლაც შეესატყვისებოდა სტალინისტურ იდეოლოგიას, რატომ შეეჯახა მას ამდენად ძლიერი დაბრკოლება სტალინისტური სახელმწიფოს მხრიდან? რატომ არ იქნა გაზიარებული და აცაცებული ეს მოძღვრება სტალინიზმის ოფიციალურ წარმომადგენელთა ან მის შემკვიდრეთა მიერ?

კარგადაა ცნობილი, რომ კომუნისტური იდეოლოგია და ბოლშევიკური სახელმწიფო თავისი ჩამოყალიბების დღიდან უპირისპირდებოდა რელიგიას და თავის ერთ უმთავრეს მიზნად მიიჩნევდა მის განადგურებას, ხოლო საკუთარ კონკრეტულ გეგმად ეკლესიის საბოლოო მოშობას სახავდა; სხვადასხვა საშუალებით ებრძოდა ტრადიციულ კლასიკურ კულტურას, მით უმეტეს, თუ მასში სულიერ ან კეთილშობილ ზნეობრივ წადილთა კვალი მაინც იყო აღბეჭდილი; მთელი მძვინვარებით ახშობდა ადამიანის პიროვნულ თავისუფლებას და მკათიო უყოყმანობით აცხადებდა როგორც საკუთარი მოძღვრების ერთ უმთავრეს პრინციპად, ისე საზოგადოების მშენებლობის საფუძველმდებ საძირკველად კოლექტიურ ცნობიერებას, კოლექტიურ საკუთრებას, კოლექტიურ ცხოვრებას.

მარქსისტული ათეიზმის ღმრთისმებრძოლურ მისწრაფებებს დაფუძნებული ბოლშევიზმი ფიზიკურად გაუსწორდა ეკლესიას და ამ სამკვდრო-სასიცოცხლო, სასტიკი, დაუნდობელი ბრძოლის შედეგად, 1930-იანი წლების დასასრული-სათვის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ეკლესიამ, ფაქტობრივად, შეწყვიტა არსებობა; აღსანიშნავი და ნიშანდობლივია, რომ ბოლშევიკური ღმრთისმებრძოლობის საქმიანობის გაშლისას იქმნება საგანგებო ანტირელიგიური რიტუალები და დღესასწაულები, საზეიმო (ანტისაზეიმო) მსვლელობები და ქმედებანი, რომელთაც რელიგიური წესებისა თუ ადათების ჩანაცვლება და გაუქმება ეკისრება.

ფუტურისტული ორიენტაციის ანტიკულტურულ (ანუ, გვიანდელი ტერმინოლოგიით, "კონტრკულტურულ") მოძრაობათა ტალღაზე კომუნისტური სახელმწიფოს შექმნისთანავე იწყება ტრადიციული, კლასიკური კულტურის არა მარტო უარყოფა, არამედ დევნა, აკრძალვა, განადგურება; იქმნება "პროლეტკულტის" ტიპის ორგანიზაციები იმგვარი ახალი სახეობის კულტურის საქადაგებლად და გასავრცელებლად, რომლის მამოძრავებელი მუხტია დაპირისპირება და, საბოლოოდ, ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა კლასიკურ კულტურულ მემკვიდრეობასთან.

კომუნისტურ იდეოლოგიას დამყარებული საბჭოთა სახელმწიფო დაფუძნებისთანავე უარყოფს სოციალურ განსხვავებებს, მდგომარეობებს, ფენებს, ხარისხებსა და წოდებებს (თუმცა, პარადოქსულად, დეკლარაციულად ამყარებს მხოლოდ ერთი ფენის უზენაესობას – "პროლეტარიატის დიქტატურას", რაშიც ევფემისტურად უნიადაგო და უქონელი მასების ბატონობა იგულისხმება). რევოლუციურ-ბოლშევიკური მმართველობა მიისწრაფვის შექმნას საზოგადოება, სადაც ზედა და ქვედა, მაღალი და დაბალი, წარმმართველი და დაქვემდებარებული აღარ იქნება გამიჯნული ერთმანეთისაგან: ამგვარ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის იერარქიული ადგილი სოციალურ წყობაში, ბუნებრივია, უგულვებლყოფილია; რაც მთავარია, სრულიად გაუფასურებულია ცალკეული, ინდივიდუალური ადამიანის ღირებულება; მთლიანად დათრგუნულია პიროვნების ნება და მისი არჩევანის თავისუფლება; ბოლშევიკები ადამიანს აღიქვამენ და აფასებენ არა როგორც

ცალკეულ ინდივიდუალობას, არამედ ოდენ როგორც კოლექტიური მთლიანობის შემადგენელ ნაწილს; ამდენად, ესა თუ ის ადამიანი, ამ თვალსაზრისის მიხედვით, ეკუთვნის, წარმოადგენს და გამოხატავს მხოლოდ ამ მთლიანობას. ამავე დროს, კომუნისტური ტოტალიტარიზმი მიზნად ისახავს ცალკეული კონკრეტული ფენების დამხობას, დამცირებას, შემცირებას და, საბოლოოდ, გაქრობას... ამ ჩანათუქრის კვალობაზე, რომელიც, ზოგადად, ადამიანის ამგვარად ხედვას ემყარება, არ წყდება ადამიანების უზარმაზარი რაოდენობით განადგურება კოლექტიური – ნათამაშები თუ გულწრფელი – მხარდაჭერისა და აღტაცების გარემოში. რეალური პიროვნული ტრაგიზმი კომუნისტური რეჟიმის პირობებში თამაშდება მასობრივი საჩვენებელი მხიარულების თანხლებით.

ყოველი ეს მახასიათებელი მიზანი თუ მახასიათებელი ქმედება, რომლებიც პრაქტიკულად განხორციელდა, ბოლშევიკური მოძღვრების მიხედვით, კომუნისტური დიქტატურის დამყარების მომდევნო ორ ათწლეულში, 1930-ანი წლების მიწურულამდე, ამკარა გამოძახილს პოულობს იმ თეორიულ მოდელში, რასაც მიხაილ ბახტინი კარნავალურ სამყაროდ მიიჩნევს. ბახტინისეული ტოტალური და ტოტალიტარისტული კარნავალი – რამდენადმე გაცნობიერებულად, რამდენადმე გაუცნობიერებლად – ირეკლავს ტოტალიტარისტულ კომუნისტურ სისტემას, პირველი ოცწლეულის საბჭოურ ლენინურ-სტალინურ ტოტალიტარიზმს. ამდენად, ამ თვალსაწიერიდან, ბახტინისეული კარნავალის თეორია, ერთი შეხედვით, ადვილი მისაღები უნდა ყოფილიყო და მყარად დასამკვიდრებელი უნდა გამხდარიყო ბოლშევიკური რეჟიმისათვის...

მაგრამ საქმე ისაა, რომ საბჭოური კომუნისტ-ბოლშევიზმი რამდენიმე ეტაპისაგან შედგებოდა (სქემატურად შესაძლოა გამოიყოს პერიოდები: ლენინ-ტროცკისა, სტალინისა, ხრუშჩოვისა, ბრეჟნევისა...), ხოლო ეს ეტაპები არა მარტო არ შეესაბამებოდა ერთმანეთს, არა მარტო არ წარმოადგენდა ერთმანეთის განვითარებას, არამედ, – კიდევ მეტი, – ყოველი მომდევნო უპირისპირდებოდა წინამორბედს!

ქრონოლოგიური დაკვირვება ადასტურებს, რომ ბახტინის თეორია კარნავალის შესახებ მუშავდებოდა კლასიკური

ბოლშევიზმის ხანაში, მძაფრი ანტირელიგიური, ანტიკულტურული, ანტიჰუმანური ტერორის პერიოდში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი საბოლოო ჩამოყალიბება და საჯარო წარდგენა ემთხვევა უკვე "კლასიციზტური" სტალინიზმის ხანას, რომელიც იდეოლოგიურადაც და პრაქტიკულადაც თვალმისაცემად განსხვავდება რევოლუციურ-დესტრუქციული პათოსით განმსჭვალული რუსეთ-საბჭოთა სახელმწიფოს პირველი ბოლშევიკური ოცნებისაგან.

1930-იანი წლების დასაწყისიდან, განსაკუთრებით, ერთი მხრივ, "პროლეტკულტ"-რეპრესიის მოძრაობა-დაჯგუფებათა განადგურებისა და, მეორე მხრივ, მწერალთა პირველი ყრილობის (1934) შემდეგ, ნებადართული ხდება კლასიკური კულტურა; იწყება კლასიკური მემკვიდრეობის, წარსული ისტორიისა და კულტურის "ეროვნულ-ჰეროიკულ" წინაპართა განდიდება. ნელ-ნელა თითქმის სრულ დავიწყებას მიეცემა 20-იანი წლების სტილის ანტიკულტურული იდეოლოგიური ჩანაფიქრები.

1930-იანი წლების მიწურულიდან მთელ საბჭოთა კავშირში შესუსტდება მასობრივი რეპრესიების მასშტაბები; მძვინვარე ტერორის 1937 წლის ტრაგიკული მწვერვალის შემდეგ სახელმწიფო დამსჯელ ორგანიზაციათა მიერ ადამიანების შეუზღუდავი და განურჩეველი ხოცვა-ჟლეტა იკლებს; აღდგება სოციალური განსხვავებანი და პრივილეგიები, წოდებები და ჯილდოები; აკრძალვისაგან თავს დააღწევს და ნელ-ნელა მკვიდრდება მანამდე უფლებაწართმეული პირადი ცხოვრება (ინდივიდუალური ყოფა). მკაცრი შერჩევით, მაგრამ მაინც იწყება გარდასულ თუ ცოცხალ პიროვნებათა აღიარება და დაფასება.

1940-იანი წლების დასაწყისიდან ჩაცხრება გამანადგურებელი ბრძოლა რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ. სტალინი, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ქმნის ახალ თუ განახლებულ საეკლესიო დაწესებულებებს და, ამავე დროს, უქმდება ოფიციალური ღმრთისმებრძოლური ორგანიზაციები ("მებრძოლ უღმერთოთა კავშირი" და სხვ.), ხოლო ათეისტური და ანტიეკლესიური პროპაგანდა 50-იანი წლების შუახანამდე, ფაქტობრივ, დავიწყებას მიეცემა.

ამდენად, იმ პერიოდში, როცა ბახტინი გადაწყვეტს, საჯაროდ გამოაქვეყნოს კარნავალისა და "კარნავალიზაციის" სა-

კუთარი კონცეფცია, ის უკვე სრულებით აღარ შეესაბამება "პოლიტიკურ კონიუნქტურას", სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას, რის გამოც ბახტინისეული ეს მოძღვრება, ისევე როგორც სხვა რადიკალური ანტიკულტურული, ანტიეკლესიური თუ ანტიპერსონალური იდეები, ვეღარ მოიპოვებს სტალინისტური თუ პოსტსტალინისტური სახელმწიფოს იდეოლოგიურ მხარდაჭერას. ძნელია, დაბეჭითებით ითქვას, რამდენად ითვალისწინებდა "დროის მოთხოვნას" კარნავალის თეორიის ავტორი, მაგრამ თავად ეს თეორია, მისი საბოლოო ჩამოყალიბებისას, აშკარად ჩამორჩა დროს, – იმუამინდელ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ-კულტურულ გარემოს: ტოტალიტარული კარნავალი უკვე აღარანაირად არ სჭირდებოდა ტოტალიტარულ სახელმწიფოს.

2009-2010

ადამიანის ღირსება სქოლასტიკასა და ეკლესიის თანამედროვე მოძღვრებაში და ადამიანის უფლებები

მშვიდობის მსოფლიო დღეს, 2007 წლის 1 იანვარს, რომის
პაპმა, ბენედიქტე მეთექვსმეტემ, განაცხადა:

ყოველ ცალკეულ ადამიანურ არსებას აქვს პიროვნული ღირსება, რადგან იგი არაა ოდენ რამე, არამედ იგი არის ვინმე, რომელსაც აქვს უნარი თვითშემეცნებისა, თვითფლობისა, თავისუფალი თავდადებისა და საკუთარი დაკავშირებისა სხვა ადამიანებთან¹.

ადამიანი აღჭურვილია ღირსებით, რაც მისი განუყოფელი თვისებაა (რომელსაც იგი გამოიყენებს ან არ გამოიყენებს თავისი ცხოვრების განმავლობაში), მაგრამ ადამიანის ღირსება არაა არც ბიოლოგიური ძღვენი, რასაც იგი შეიძლება განუშორებლად ატარებდეს როგორც ცოცხალი არსება და ის არაა არც სოციალური საჩუქარი, მინიჭებული მისთვის, ნებისეული გადაწყვეტილებით, სხვა ადამიანთა საკრებულოს ან სახელმწიფო ძალაუფლების მიერ. ღირსება არც ფსიქოლოგიური მდგომარეობაა, რომელსაც ადამიანი შესაძლოა, განიცდიდეს განსაზღვრულ გარემოებათა ვითარებაში. ადამიანის ღირსება აბსოლუტურია და მისი ბუნება ტრანსცენდენტურია, რამდენადაც ის არსებობს ისტორიული ვითარების მიღმა და თავისუფალია ისტორიის მსვლელობისაგან; ისტორიული გარემოებანი არანაირად არ განაპირობებს, ატარებს ადამიანს ღირსებას თუ იგი უგულებელყოფს მას და არ ისარგებლებს მისით.

ქრისტიანული თვალსაზრისით, ადამიანის ღირსება წარმოადგენს შედეგს იმისა, რომ ადამიანი შექმნილია ღმრთის ხატად.

1 დამოწმებულია ნარკვევიდან: Eilidh Campbell St John, Stuart Blacker, "Religion and Dignity: Assent and Dissent", წგ-ში: Jeff Malpas, Norelle Lickiss (eds.), *Perspectives on Human Dignity: A Conversation*, Dordrecht: Springer, 2007, p. 127.

ძველი აღთქმისეული გაცხადებით, რომელიც ბიბლიის პირველსავე თავშია დადასტურებული, “ღმერთმა შექმნა ადამიანი თავისი ხატის მიხედვით, ღმრთის ხატად შექმნა იგი” (დაბადება 1:26-27), ან კიდევ, შემდგომ: “ღმერთმა შეგვქმნა უხრწნელებისათვის; თავისი ბუნების ხატად შეგვქმნა ჩვენ” (სიბრძნე სოლომონისი 2:23).

ქრისტიანული ანთროპოლოგია, დაფუძნებული, ერთი მხრივ, ბიბლიურ წყაროებზე და, მეორე მხრივ, ეკლესიის მოძღვრებაზე, წარმოაჩენს ადამიანს როგორც მოაზროვნე და თავისუფალ ცოცხალ არსებას, რომელსაც აქვს უნარი, საკუთარი გადაწყვეტილებით, ურთიერთობა დაამყაროს ღმერთთან და სხვა ადამიანებთან; განსაკუთრებული, საკუთარივე შინაარსი მინიჭოს ამ ურთიერთობებს; ასევე, დაგვეგმოს საკუთარი ქმედება და მისი განხორციელების შემდეგ (ან მანამდე) შეაფასოს ის ზნეობის თვალსაზრისით; გააკეთოს მკათიო არჩევანი ბოროტებასა და სიკეთეს შორის. სწორედ ეს განსაკუთრებული თვისებები განსაზღვრავს ადამიანის, როგორც განუმეორებელი პიროვნების, არსებობის პირობებს, და მხოლოდ მათი მეშვეობით გახდა ადამიანი ღმერთთან დაუბრკოლებელი კავშირის მონაწილე, – ამ თვისებათა გამო ადამიანი აღჭურვილია უნარით, ჰქონდეს მას ღმერთთან მუდმივი ურთიერთმიმართების საშუალება.

ადამიანი, როგორც ინდივიდუალური არსება, ყოველთვის პიროვნებაა, რაც მას მკვეთრად ასხვავებს, მიჯნავს ცხოველისაგან და ცხადად ამსგავსებს ღმერთს, რომელმაც იგი შექმნა, შეიყვარა და მოუწოდა მას მასთან ერთად ყოფნისაკენ. ღმერთთან ამგვარი განუყოფლობა კი უეჭველ ბედნიერებას ანიჭებს ადამიანს და აძლევს მას შესაძლებლობას, სრულად და დაუბრკოლებლივ განახორციელოს საკუთარი მოწოდება იესო ქრისტეს გამომსყიდველი მსხვერპლის შემწეობით. სწორედ ეს საფუძველი განაპირობებს, რომ ადამიანს მოეპოვება სიდიადე და ღირსება და მას მინიჭებული აქვს განსაკუთრებული ადგილი სამყაროში. ვატიკანის მეორე კრების სიტყვებით, “მორწმუნეთა თუ ურწმუნოთა თითქმის ერთიანი შეხედულებით, ყველაფერი ის, რაც დედამიწაზეა, განკუთვნილია ადამიანისათვის, რომელიც წარმოადგენს მიწიერი სამყაროს შუაგულსა და მწვერვალს”². ადამიანის პიროვნების უპირატესობა

2 ვატიკანის მეორე კრების სამოძღვრო კონსტიტუცია “Gaudium et Spes”, 12.

და გადამწყვეტი მნიშვნელობა, გამომდინარე მისი განსაკუთრებული, გამორჩეული მდგომარეობიდან სამყაროში და მასში დაბადებითვე არსებული ღირსებიდან, უპირობოდ მოითხოვს, რომ ყოველი ცალკეული ადამიანი აუცილებლად "არის და უნდა იყოს ყველა საზოგადოებრივი დადგენილება-დაწესებულების საწყისი, საგანი და მიზანი"³.

მიწიერად დაბადებული ყოველი ადამიანი ღმრთის შვილი და ღმრთის ხატია, მაგრამ უეჭველად მწვავედ წამოიჭრება საკითხი, რამდენად განაპირობებს ყოველი ადამიანის ამგვარი, ანუ ერთგვარი და თანაბარი წარმოშობა ყოველი ადამიანის მიწიერ თანასწორობას. ქრისტიანული გაგებით, ადამიანების თანასწორობა ორ იმგვარ გარემოებას ემყარება, რომლებიც უეჭველად სცილდება ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების ფარგლებს, მაგრამ უთუოდ განაპირობებს მის არსებობას: ერთი, ყოველი ადამიანი – ყოველგვარი და ნებისმიერი განსხვავების მიუხედავად – თავისი დაბადებით თანაბრად ღმრთაებრივია, ანუ ყოველი მათგანი ღმრთის შემოქმედების ნაყოფი და, შესაბამისად, მისი შვილია თავისი მიწიერი ცხოვრების დაწყებისთანავე; მეორე, ყოველი ადამიანი – ყოველგვარი და ნებისმიერი განსხვავების მიუხედავად – თანაბრად წარდგება ღმრთის წინაშე მიწიერი სიციოცხლის დასრულებისთანავე და თანაბრადვე განიკითხება, როცა ყოველი გარდაცვლილი ადამიანის განვლილი ცხოვრება საბოლოოდ შეფასდება ღმრთაებრივი საზომითა და განსჯით. ამასთანავე, მიწიერი ცხოვრების განმავლობაში ადამიანები თავისთავადი არსებანი არიან, სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და, ამდენად, ვერ იქნებიან თანასწორნი მათი განსაზღვრული ბუნებრივი მდგომარეობის გამო. ადამიანები თანასწორნი არიან არა დღეს, რაც შეუძლებელია, – ღმრთის მხრივ, ადამიანის პიროვნების, მის პიროვნულ (განსხვავებულ) თვისებათა, მის არჩევანთა თუ გადაწყვეტილებათა (და, შესაბამისად, მათ მოდევნებულ შედეგთა) უპირობო პატივისცემის გამო, – არამედ ისინი თანასწორნი იყვნენ მხოლოდ გუშინ (დაბადებით) და თანასწორნი იქნებიან მხოლოდ ხვალ (გარდაცვალების შემდგომ).

მაგრამ, ამავე დროს, ადამიანების თანაბრობას, რაც უეჭველია მათი ღმრთაებრივი წარმოშობისა და ღმრთაებრივი მომავ-

3 იქვე, 25.

ლის გამო, მათს ამქვეყნიურ ცხოვრებაში გამოხატავს ადამიანის ღირსება, რასაც უკლებლივ ყოველი ადამიანი საკუთარი ბუნებითვე ფლობს.

საკითხს იმის გამო, თუ რაგვარი გამოვლინება შეიძლება ჰქონდეს ადამიანის ღირსებას მის პირად თუ საჯარო ცხოვრებაში, სხვადასხვაგვარი პასუხი გაეცემოდა საუკუნეების განმავლობაში⁴.

კათოლიკური მოძღვრება პიროვნებისა და ადამიანის ღირსების ირგვლივ განსაკუთრებულად გამოვლინდება შუა საუკუნეების განმავლობაში, კერძოდ, თომა აკვინელის ნაშრომებში. ამ მხრივ, რომაული ტრადიციის ქრისტიანული სამყაროსათვის გადამწყვეტი და განმაპირობებელი მნიშვნელობა ენიჭება თვალსაზრისს, რომელიც სქოლასტიკურ სწავლებაში ჩამოყალიბდა.

ბერნარდე კლერვოელის (1090-1153) ხედვით, თავისუფლებაა ის თვისება, რაც ადამიანს, როგორც ღმრთის ხატს, ღირსებას ანიჭებს (De gratia et libero arbitrio, IX, 28) და, ამდენად, ადამიანის ღირსება არსებობს მხოლოდ თავისუფლების სახით: "ადამიანური არსებისათვის მე მივიჩნევ ღირსებად თავისუფალ ნებას, რომლის მეშვეობითაც მას ეძლევა არა მარტო აღმატება სხვა არსებებზე, არამედ უნარიც მათი მართვისა" (De diligendo Deo, II, 2).

თომა აკვინელისათვის⁵ (1225-1274) გონიერება შეესაბამება (და განაპირობებს) ადამიანს ღირსებას (De veritate, q. 25, Art. 6 ad 2). თომას მიაჩნია, რომ გონიერ არსებად ყოფნა, რაც

4 ადამიანის ღირსების თემა და საკითხები საფუძვლიანადაა განხილული წიგნებში: Dan Egonsson, *Dimension of Dignity: The Moral Importance of Being Human*, Dordrecht: Springer, 1998; Jeff Malpas, Norelle Lickiss (eds.), *Perspectives on Human Dignity: A Conversation*, Dordrecht: Springer, 2007 [წარმოდგენილი მოხსენების გამზადების შემდეგ თემასთან დაკავშირებით, ასევე, გამოქვეყნდა წიგნები: Michael Rosen, *Dignity: Its History and Meaning*, Cambridge/London: Harvard University Press, 2012; Marcus Düwell, Jens Braarvig, Roger Brownsword, Dietmar Mieth, *The Cambridge Handbook of Human Dignity: Interdisciplinary Perspectives*, Cambridge: Cambridge University Press, 2014, განსაკუთრებით, p. 64-84, 250-268; Remy Debes (ed.), *Dignity: A History*, Oxford: Oxford University Press, 2017, განსაკუთრებით, p. 73-98; Paolo Becchi, Klaus Mathis (eds.), *Handbook of Human Dignity*, Dordrecht: Springer, 2019].

5 საგანგებოდ, თომა აკვინელის გამო ღირსების საკითხთან დაკავშირებით იხ.: Servais Pinckaers, "Aquinas on the Dignity of the Human Person" (1987), წგ-ში: Servais Pinckaers, *The Pinckaers Reader: Renewing Thomistic Moral Theology*, Washington, D.C.: The Catholic University of America Press, 2005, p. 144-163.

ყველაზე ღირსეული ან უღირსეულესია (dignissimus), გულისხმობს თვითმართვას, ანუ საკუთარი თავის მართვას (dominium sui), რაც სრულებით შეესაბამება თავისუფლებას და რაც გამოიხატება ქმედებათა დამოუკიდებლობაში (Summa theologiae, I, q. 29, Art. 1).

თომისტური კონცეფცია ადამიანის ღირსების გამო შემდგომ კიდევ განვითარდა ესპანელი სქოლასტიკოსების, ფრანცისკე დე ვიგორიასა (1492-1546) და ფრანცისკე სუარესის (1548-1617), ნაწერებში, სადაც ამ თემამ უფრო მეტი სიღრმე და გამოხატულება შეიძინა.

ზოგადად და საბოლოოდ, სქოლასტიკა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადამიანის ღირსება, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის, როგორც ღმრთის ხატის, უპირატესობაზე ყველა მიწიერ არსებათა შორის, უკავშირდება ადამიანის პიროვნებად ყოფნის ღირსებას.

* * *

თომა აკვინელი მიუთითებს (Sentences, 16, 2), თუ როგორ ცნაურდება ღმრთის ხატი გონიერ არსებებში, ანუ ადამიანში. ადამიანური არსება ფლობს ადამიანის ღირსებას, რადგან მას აქვს ინტელექტუალური ან რაციონალური ბუნება, ხოლო ადამიანის ღირსება, თავის მხრივ, ადასტურებს ადამიანის უქველ უპირატესობას, რაკი იგი წარმოადგენს ღმრთის ხატს. სამყაროს ქმნილებათა შორის ერთადერთი არსება ადამიანია, რომელიც საკუთრივ ატარებს ღმრთის ხატს, მაგრამ ამ ხატად ყოფნის უმაღლესი და ყველაზე შთაბეჭდავი გამოვლინება მას მოეპოვება ინტელექტუალურ ღირსებაში, რადგანაც სწორედ ის განაპირობებს ღმრთის ხატად ყოფნის სხვადასხვაგვარ გამოვლინებებს. უეჭველია, რომ ადამიანისეული ინტელექტუალური ჭვრეტა შეესაბამება ინტელექტუალური ბუნების უმაღლესი ნეტარების იმგვარსავე შინაარსს, როგორიცაა ღმრთის ნეტარება.

ხატი, ზოგადად, მკაფიოდ გამოხატავს მსგავსებას ვინმეს (ან რამის) მიმართ (თუმცა ის თავისი შინაარსით მაინც აღემატება მსგავსებას), მაგრამ, ამავე დროს, ხატი შეიძლება იყოს არასრულიც, დაუმთავრებელიც, არასრულყოფილიც. ასეთი შემთხვევაა,

როცა ღმრთის ხატს ატარებს ადამიანის პიროვნება, მაგრამ იგი არაა ღმერთი და არც ღმრთის თანაბარი. სწორედ ამ არასრულყოფილების გამო ბიბლიური დაბადების წიგნი ცხადად ამბობს, რომ ადამიანი შეიქმნა "ღმრთის ხატად". რაც შეეხება ყველა სხვა ცოცხალ ქმნილებას, ისინი იზიარებენ შემოქმედის ყოფნასა და სიცოცხლეს, მაგრამ ადამიანი, როგორც პიროვნება, როგორც თავისუფალი არსება, როგორც გონიერი არსება, ყოფნისა და სიცოცხლის გარდა, იზიარებს ღმრთის სიბრძნესა და ცოდნას, და სწორედ ამიტომ არის იგი სახელდებული ღმრთის ხატად, რაც საგანგებოდ განაპირობებს ადამიანის ღირსებას.

თომა აკვინელი განმარტავს, რომ ადამიანის ბუნებაში შესაძლოა მატულობდეს, იზრდებოდეს ღმრთის ხატობა. ამდენად, ადამიანის სულიერ ზრდას, – ცოდნისა და სიყვარულის მეშვეობით, – შედეგად მოჰყვება, რომ იზრდება მისი ღმრთის ხატად ყოფნა, რის შესაძლებლობასაც, ადამიანი, ერთი მხრივ, იმთავითვე ატარებს თავისი ღმრთაებრივი წარმოშობის გამო და რაც, მეორე მხრივ, განპირობებულია სამების სამ პიროვნებად ყოფნით (რაკი ადამიანი ღმრთის – სამების – ხატია, ხოლო სამება სამი პიროვნების ურთიერთობაა სრულ ურთიერთშეცნობასა და სრულ ურთიერთსიყვარულში).

შესაბამისად, შესაძლოა, გამოიყოს ღმრთის ხატად ყოფნის სამი საფეხური:

პირველი საფეხური ადამიანს ენიჭება გონიერ არსებად ყოფნის გამო და ემყარება ადამიანის მისწრაფებას, შეიცნოს მოსიყვარულე ღმერთი. ამგვარი ჩამოყალიბებულობა განეკუთვნება ყველა ადამიანურ პიროვნებას. პიროვნების ეს მხარე შეიძლება განვითარდეს ადამიანის ბუნებრივი სწრაფვით ჭეშმარიტებისა და სიკეთის მიმართ და, ასევე, მიდრეკილებით ან მოთხოვნილებით საერთო-საკრებულო ცხოვრებაში მსახურების, ანუ სხვა ადამიანთათვის სამსახურის გაწევის მიმართ. ჩვეულებრივ, ამგვარი სწრაფვა და მიდრეკილება ბუნებრივია გონიერი არსებისათვის და წარმოადგენს ღმრთის საფუძვლიან, შეუღახავ, გაუნადგურებელ ხატს ადამიანში. ამასთანავე, ეს თვისებები ანიჭებს ადამიანს უმაღლეს ღირსებას, რომელიც მას შეუძლია, დაკარგოს კიდევ დროთა განმავლობაში. ადამიანის გონიერი ბუნება და მისი ბუნებრივი მისწრაფებანი საგანგებოდ მიანიშნებს ადამიანის პიროვნებად ყოფნის (აღმატებულ) ხარისხს;

მეორე საფეხური მოიპოვება შესაბამისობისას ღმერთთან, – ღმრთის ხატად მყოფობის შესაძლებლობის კიდევ უფრო მაღალი ხარისხით, – რასაც პიროვნება შეიძენს მაშინ, როცა იგი ცხოვრობს მადლის მოქმედებითა და წყალობით, ოღონდ ყოველთვის საკუთარ ქმედებათა და სათნოებათა მეშვეობით. ღმრთის მიმართ სწრაფვის ზრდადი დადასტურება – მადლის გზით – წყაროსა და საყრდენს მოიპოვებს სულის არსებაში (სულის არსებითს თვისებაში) და გამოვლინდება სარწმუნოების, სასოებისა და სიყვარულის ქმედებებში. სწორედ აქ, ამ ასპარეზზე ხორციელდება ქრისტიანული ზნეობრივი ცხოვრების მთელი სამუშაო;

მესამე საფეხური მოიცავს ღმრთის ცოდნისა და სიყვარულის სრულ გამოვლინებას, – იმ ნეტარების წვდომას, რომლის მისაღწევადაც მიისწრაფვიან ადამიანები. ამ სწრაფვის გამოისობით, შედეგად უკვე მოპოვებული იქნება ღმრთის სრულყოფილი ხატი, – დიადი მიმსგავსება ღმერთთან.

მართალთა და წმიდათა ღირსება შეესაბამება ღმრთის ხატად ყოფნის მეორე და მესამე საფეხურებს.

უმაღლესი ადამიანური ღირსება გამოვლინდება პირდაპირი მონაწილეობით, – მადლის მეშვეობით, – ღმრთის ღირსებაში.

თომა აკვინელის აზროვნებას შეუძლია დაგვეხმაროს იმით, – მეტად დროული საკითხების განსახილველად, – რომ ის ჩვენ გვაძლევს ახლებურ გაგებებს, რაც გვიბიძგებს, რათა გავიზზროთ, თუ რა არის ის უძვირფასესი ძღვენი, რომელიც შესაძლოა, უგულვებელყოფილი დაგვრჩეს უყურადღებობის გამო. მაგრამ, ამავე დროს, ის გვაზიარებს ქრისტიანული ტრადიციის ამ უზარმაზარ საფუძველმდებ მონაპოვარს: გრძნობას ადამიანური პიროვნების შეუზღუდავი და არსებითი ღირსებისა, რომელიც აღზევდა ქრისტეში და რომელიც მოგვიწოდებს, ურთიერთობა დავამყაროთ როგორც ღმრთაებრივ პიროვნებებთან, ისე ყველა ადამიანურ პიროვნებასთან, თეოლოგიურ და მორალურ სათნოებათა მეშვეობით და მადლის ბიძგის წყალობით⁶.

6 Servais Pinckaers, "Aquinas on the Dignity of the Human Person", p. 163.

* * *

მას შემდეგ, რაც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, საერთაშორისო ურთიერთობათა სივრცეში თვალსაჩინო თემა გახდა ადამიანის უფლებათა საკითხი⁷, ამ უფლებათა დაცვას მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-სამოქალაქო დანიშნულება მიენიჭა: ის, ერთი მხრივ, ჩადგამს ხანად საჯარო ცხოვრებაში გაბატონებული იდეოლოგიური მიზნების სამსახურში⁸, ხოლო, მეორე მხრივ, იქცა პროპაგანდისტულ-ექსპანსიონისტურ იარაღად მსოფლიოში გაჩაღებული "ცივი ომის" ვითარებაში, – ერთი მხრივ, დასავლურ-დემოკრატიულ სახელმწიფოთა ბლოკსა და, მეორე მხრივ, აღმოსავლურ-კომუნისტური სახელმწიფოების ბლოკს შორის. ისიც უნდა ითქვას, რომ "ცივი ომის" მსვლელობასთან და მის გამძაფრებასთან ერთად, ამ უფლებათა დაცვის ნიშნადობა სულ უფრო მეტად მატულობდა მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მეოცე საუკუნის დასასრულისაკენ, ხოლო მისმა ფასეულობამ სიმწვავე დაკარგა და მის გამოძახილს შესამჩნევი კლება დაეცყო ოცდამეერთე საუკუნის დადგომის შემდგომ.

საერთოდ, ადამიანის უფლებათა იდეის ძალა ვლინდება იმით, რომ დღეს ვერცერთი საჯარო-სამოქალაქო დაწესებულება კანონიერად და გაცხადებულად ვერ შეძლებს, უარყოს ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებლობა და უარი იქვას მის პატივისცემაზე. ამდენად, მისი მნიშვნელობა და გამოძახილი თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც საკმაოდ შესამჩნევია.

ადამიანის უფლებები ის უფლებებია, რაც ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს ბირთვს, მისი გულისგულს

7 რისი ნიშნული გამოხატულება იყო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე 1948 წლის 10 დეკემბერს.

8 კანადელი მკვლევრისა და მემარცხენე პოლიტიკოსის, მაიკლ იგნატიეფის, სიტყვებით, – რომლებიც გამოთქმულია მის წიგნში "ადამიანის უფლებები როგორც პოლიტიკა და კერძოთაყვანისმცემლობა", – "ადამიანის უფლებები იქცა სეკულარული კულტურის სარწმუნოების მთავარ მუხლად" – Michael Ignatieff, *Human Rights as Politics and Idolatry*, Princeton, N.J.: Princeton University Press, 2001, p. 53.

წარმოადგენს, – მაგალითად, სიციყვის თავისუფლება, შეკრების თავისუფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება. ამ უფლებათა გავრცელებული სახელია “უარყოფითი უფლებები”, რაკი ისინი წარმოადგენს დაცვის საშუალებას პირად თავისუფლებაზე თავდასხმისაგან. ხოლო ეკონომიკური უფლებები ხშირად სახელდება “დადებით უფლებებად”, რაკი ისინი მოითხოვს ქმედით გარჯას, რაც გულისხმობს არა მარტო დაცვას, არამედ ხელშეწყობასაც სახელმწიფოს მხრივ. ეს უფლებები მოიცავს შრომის უფლებას, სამართლიანი ანაზღაურების უფლებას, საცხოვრებლის უფლებას და, ასევე, ძირითად ნივთიერ მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის უფლებას.

* * *

ჰანა არენდტმა (1906-1975) თავის სახელგანთქმულ წიგნში “ტოტალიტარიზმის წარმოშობა” (1951) საგანგებო თავი მიუძღვნა ადამიანის უფლებებს (“ადამიანის უფლებათა პერიპეტეიები”), სადაც ფილოსოფოსი ისტორიულად ხედავდა ადამიანის უფლებათა საწყისებს საფრანგეთის რევოლუციის ხანაში, მაგრამ ხედავდა იმასაც, რომ მრავალი შთამბეჭდავი განაცხადი ამ უფლებათა დასაცავად მეტად შორეულად გულისხმობდა ადამიანის პიროვნებას, დამოუკიდებლად მისი ეროვნებისა და საჯარო მდგომარეობისაგან. მაშინვე მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ადამიანის უფლება, პიროვნების დაჩრდილვისა თუ უგულვებელყოფის ხარჯზე, უწინარესად გულისხმობდა ხალხის, ერის უფლებას, მისი წარმომადგენლების სახით, რაკილა “საფრანგეთის რევოლუციის დროიდან [...] თანდათანობით თავისთავად ცხადი გახდა, რომ ხალხი და არა ინდივიდუალობა განასახიერებდა ადამიანის ხატს”⁹. ყველაზე ცხადად და ხელშესახებად ეს სინამდვილე მულავნდებოდა ომების დროს, როცა ქვეყნის მოქალაქეთა, როგორც ერთიანი მთლიანობის, დაცვას მსხვერპლად ეწირებოდა ცალკეულ მოქალაქეთა კეთილდღეობაცა და სიცოცხლეც, ხოლო

9 Hannah Arendt, *The Origins of Totalitarianism*, New York/London [a.o.]: Harvest Book, 1994, p. 291.

ამ ცალკეულ მოქალაქეთა რაოდენობა კი, შესაძლოა, უსასრულოც ყოფილიყო.

დაახლოებით იმ ხანიდანვე აუცილებელი გახდა, გააზრებულიყო და აღიარებულიყო ადამიანების თანასწორობა სახელმწიფო მმართველობის წინაშე, რადგან ადამიანთა სხვა არანაირი გამაერთიანებელი საზომი საერო (სეკულარულ) სახელმწიფოებში უკვე აღარ არსებობდა. ყველა სახელმწიფო აცხადებდა, რომ საკუთრივ იღებდა ვალდებულებას, თავად და თანაბრად დაეცვა თავისი მოქალაქეები (რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად, ცვალებადად, პოლიტიკური რეჟიმის გემოვნების კვალობაზე და ხშირად ოდენ განცხადების ფარგლებში), – ყოველი შემთხვევისას, დაეცვა სხვა სახელმწიფოთა და ამ სახელმწიფოთა მოქალაქეების შემოტევებისაგან. ამდენად, საკუთარი მოქალაქეები, როგორც სახელმწიფოებრივი დაცვის საგანი, ამ ხედვით, აღიქმებოდნენ თანაბრად და თანასწორად (თუმცა უეჭველი ფაქტია, რომ ავტორიტარული თუ დიქტატორული რეჟიმები ხშირად სწორედ საკუთარი ერის საჭიროებათა წინააღმდეგ იყო და არის მიმართული, რომ აღარაფერი ითქვას იმგვარ იდეოლოგიებზე დაფუძნებულ სახელმწიფოებზე, რომელთა მიდევნებითაც მოქალაქეები იყოფოდნენ გარკვეულ ჯგუფებად, ხოლო ამ ჯგუფთაგან ზოგიერთი ცხადდებოდა მტრულ ძალად, რომელიც ისევ საკუთარი სახელმწიფოს მხრივ განწირული აღმოჩნდებოდა გასანადგურებლად).

სწორედ საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ, საერო საფუძვლებზე აგებულ სახელმწიფოებში აუცილებლად უნდა გამოცხადებულიყო ადამიანთა უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფდა ადამიანების თანასწორობას, რადგან "ადამიანის უფლებათა გამოცხადება ნიშნავდა, რომ ის უნდა ქვეყლიყო აუცილებელ მთარველობად ახალ დროში, როცა ინდივიდუალობები უკვე აღარ იყვნენ [...] დარწმუნებული თავიანთ თანასწორობაში ღმრთის წინაშე როგორც ქრისტიანები"¹⁰.

მაშინ ადამიანების თანასწორობა გაგებულ იქნა როგორც უარყოფა განსხვავებისა ადამიანებს შორის და, კიდევ უფრო მეტად, როგორც უარყოფა მათი ღმრთაებრივი წარმოშობისა.

10 იქვე.

ამგვარი ხედვით, რომელიც საფრანგეთის რევოლუციიდან იღებს სათავეს, ადამიანები თანაბარნი იყვნენ არა ღმრთის შვილობით (როგორც ქრისტიანები ხედავდნენ ერთმანეთს), არამედ მხოლოდ თავიანთი თანასწორობით სახელმწიფოსა და კანონის წინაშე, მაგრამ თუ კანონი საჭიროდ მიიჩნევიდა, მაშინ ადამიანი კარგავდა იმ უფლებებს, რომლებიც მანამდე მისგან განუშორებლად და უეჭველად იყო მიჩნეული (მაგალითად, ჯარისკაცს ჩამორთმეული ჰქონდა სიცოცხლის უფლება, პატიმარს – თავისუფლების უფლება და ასე შემდეგ).

ეროვნული სახელმწიფოები, რომლებიც სწორედ იმ დროიდან იღებს სათავეს, იცავს თავის მოქალაქეებს, თუმცა ხშირად უარს ამბობს ამ უფლებების დაცვაზე, როცა საქმე შეეხება სხვა ქვეყნის მოქალაქეებს. ამდენად, სახელმწიფო, თუნდაც თავისებურად, თავის ფარგლებში (და ხანდახან თავისი ფარგლების გარეთაც) იცავს თავის მოქალაქეთა უფლებებს, მაგრამ ვერაფერს დაიცავს ყველა მოქალაქის უფლებებს ყველა სახელმწიფოში. უბრალოდ, არ არსებობს იმგვარი საჯარო აღნაგობა, რომელიც ჯერ ჩამოაყალიბებდა ამგვარი დაცვის წესებს, ხოლო შემდეგ შეძლებდა მათს აღსრულებას სახელმწიფოთაშორის საზღვრების გადალახვით. ბუნებრივია, ჰანა არენდტი არსად ამბობს, მაგრამ, ეროვნულ სახელმწიფოთა გვერდით და მიღმა, არსებობს ზეეროვნული და ზესახელმწიფოებრივი დაწესებულება, რომელიც ყველა მის წევრს თანაბარი საწყისის საფუძველზე აერთიანებს – ერთიანი და საყოველთაო ეკლესია. სწორედ ეკლესიის წიაღშია შესაძლებელი ადამიანის უფლებების აღიარება და დაცვა, თანაც, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, რადგან, ეკლესიის მოძღვრების მიხედვით, ყოველი ადამიანი თანაბარია წარმოშობით, ხოლო ყოველ ადამიანს, როგორც ღმრთის ხატს, მოეპოვება მისგან მოუცილებელი და მისთვის ჩამოურთმეველი ღირსება.

დაბოლოს, ჰანა არენდტი, რომელიც თავისი მრწამსით შორს იდგა ქრისტიანობისაგან, აცხადებს:

ფაქტობრივი სინამდვილის პრობლემათა შორის ჩვენ პირისპირ აღმოვჩნდებით პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთ უძველეს დაბრკოლებასთან, რომელიც შესაძლოა, შეუმჩნეველი

დარჩენილიყო მანამ, სანამ ჩამოყალიბებულმა ქრისტიანულმა თეოლოგიამ არ მოაჩარჩოვა ყველა პოლიტიკური და ფილოსოფიური პრობლემა, მაგრამ რომელმაც დიდი ხნის წინ აიძულა პლატონი, ეთქვა: "არა ადამიანი, არამედ ღმერთი უნდა იყოს ყველა საგნის საზომი"¹¹.

თავის მხრივ, კათოლიკური თვალსაწიერიდან, თუკი საზომი არ იქნება ის, რომ ყოველი ადამიანი ღმრთის ხატია და ამდენად, სწორედ ღმრთის ხატობა განაპირობებს ადამიანების წარმოშობისმიერ თანაბრობას, და, შესაბამისად, ღირსებას, რაც უპირობო კრძალვასა და მოწიწებას იმსახურებს, მაშინ, სხვაგვარად, ადამიანები ნამდვილ ცხოვრებაში ვერასოდეს გაუთანაბრდებიან ერთმანეთს, რადგან ისინი ერთმანეთისაგან არსობრივად განსხვავდებიან. ადამიანების თანასწორობასაც ერთმანეთის მიმართ და განსხვავებულობასაც ერთმანეთისაგან, ანუ მათს პიროვნულობას (და ამ პიროვნულობის აღიარებასა და მისთვის პატივის მიცემას), საფუძვლად უდევს ის, რომ ადამიანი ღმრთის ხატია, ხოლო ღმრთის სამპიროვანი არსება სამი განსხვავებული და თანაბარი პიროვნების ურთიერთობაა.

მაგრამ იმ შემთხვევისას, თუ საზომად მიჩნეული იქნა ადამიანი (თუკი ადამიანის უფლებათა არა მარტო საგანი, არამედ წყაროც კი ადამიანია) და არა ღმერთი, მაშინ ყოველთვის შეიძლება – სრულიად და სავსებით დემოკრატიულად – ადამიანის უფლებების არათუ დარღვევა, არამედ მილიონობით ცალკეული ადამიანის გაუღეცაც (ადამიანთა მოდემის უდიდეს ნაწილამდეც კი), როცა და თუკი ეს ქმედება რომელიმე გამოცხადებული მთლიანობის, ანუ რომელიმე მსხვილი ჯგუფის საჭიროებას ემსახურება... ადამიანის მხოლოდ ბიბლიურ-ქრისტიანული გაცემა და, უპირველესად, ადამიანის ღირსების აღიარება განაპირობებს ადამიანის დაცვას, მისი ბუნებისა და ყოველგვარი მდგომარეობის გათვალისწინებით. თვალსაჩინოა, რომ ადამიანის ღირსების პატივისცემის გარეშე შეუძლებელი ხდება ადამიანის უფლებათა დაცვა, ხოლო ადამიანის ღმრთის ხატად გააზრება, რაც ადამიანის ღირსების საფუძვლად წარმოადგენს, შეუძლებელი ხდება ადამიანის ქრისტიანული თვალსაწიერიდან განჭვრეტის გარეშე.

11 იქვე, p. 299.

ნიშანდობლივია, რომ ქრისტიანული დამოკიდებულების, ქრისტიანული ტრადიციის და ქრისტიანული თეოლოგიის გადამწყვეტ მნიშვნელობას სწორედ ადამიანის უფლებათა დასაცავად ხელავს ჰანა არენდტიც¹², თუნდაც იგი უფრო მეტი გულითაღობით იმოწმებდეს პლატონისეულ ციტატას.

* * *

ღირსშესანიშნავია, რომ ქრისტიანულ მოძღვრებაში ადამიანის უფლებების აღიარება უწინარესად გულისხმობს ადამიანის ღირსების აღიარებას და ზოგად თანხმობას სწორედ ღირსების უპირატესობის გამო. ადამიანის ღირსების იდეა, როგორც ითქვა, დაფუძნებულია თეოლოგიურ მოძღვრებაზე, რომელიც მიიზნევს, რომ ადამიანი ღმრთის ხატია: ყოველი პიროვნება დაბადებულია ღმრთის ხატად. ამ კონცეფციის აღიარება და მიღება ის თეოლოგიური საყრდენია, რომელიც საშუალებას იძლევა, დადასტურდეს, რომ ადამიანის პიროვნებას აქვს ტრანსცენდენტური ღირებულება, ისტორიულ თუ საჯარო-სამოქალაქო ვითარებათა მიუხედავად. რაკი, ქრისტიანული თვალსაზრისით, ყოველ პიროვნებას წარმოშობით და დაბადებისთანავე მინიჭებული აქვს ღირსება, მისი ეს ბუნებითი საწყისი წინ უსწრებს და აღემატება ყოველგვარ პოლიტიკურ დადგენილება-დაწესებულებას ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის მხრივ.

კათოლიკური ხედვით, ადამიანის ღირსების იდეა, – რომელიც წარმოშობილია ბიბლიური სწავლებიდან, ხოლო მისი ფილოსოფიური დასაბუთება სქოლასტიკიდან იღებს სათავეს, – წარმოადგენს არა მარტო პირველად ბიძგს როგორც ადამიანის უფლებების, ისე ეკონომიკური უფლებების განსახორციელებლად, არამედ ეს უფლებები უნდა ეფუძნებოდეს და ეფუძნება კიდევ (სადაც ისინი ნამდვილად ხორციელდება!) სწორედ ამ იდეას.

12 ჰანა არენდტს სხვა დროსაც გამოუყენებია ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები, როგორც, მაგალითად, ამ შემთხვევისას: “როგორც ჩანს, არენდტი იყენებს ადამიანური არსების ავგუსტინესეულ გაგებას, როგორც საწყისს, როგორც საფუძველს: საჯაროს გასამიჯნავად პირადისაგან, თავისუფლებისა – აუცილებლობისაგან, ქმედებისა შრომისაგან” – Hannah Birmingham, *Hannah Arendt and Human Rights: The Predicament of Common Responsibility*, Bloomington/Indianapolis: Indiana University Press, 2006, p. 70.

კათოლიკური მოძღვრების მიხედვით, ადამიანის ღირსება მოითხოვს დაცვას როგორც ზღვარგადასული სახელმწიფო კონტროლისაგან, ისე მხარდაჭერას სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მხრივ. სუბსიდიარობის პრინციპი, – რომ არაფერი უნდა გაკეთდეს უფრო მაღალი წარმომადგენლობის მიერ, როცა საკითხი ამგვარადვე შეიძლება მოგვარდეს უფრო დაბალი წარმომადგენლობის მიერ, – აწესრიგებს ვითარებას მაშინ, როცა სახელმწიფო ცდილობს, ზედმეტად შეიჭრას ადამიანების პირად ცხოვრებაში და მაშინაც, როცა სახელმწიფო იტვირთავს ცალკეული ადამიანების ან მათი ჯგუფების საჭირო მხარდაჭერას.

ისევ, კათოლიკური მოძღვრება პირდაპირ აკავშირებს ადამიანურ ღირსებას ადამიანის უფლებებთან თუ მოვალეობებთან. ადამიანის უფლებები სიკეთის მორალური მოთხოვნაა როგორც სულიერ, ისე ნივთიერ სამყაროში, რაც აუცილებელია ადამიანის ღირსების დასაცავად და ხელშესაწყობად. ადამიანის მოვალეობანი გამომდინარეობს მისი მდგომარეობიდან, რაკი იგი არის, ერთი მხრივ, ღმრთაებრივი ქმნილება (რის გამოც მას ეკისრება მოვალეობა ღმრთის წინაშე) და, მეორე მხრივ, იგი ყოველთვის ჩართულია საკრებულო-საერთო ცხოვრებაში (რაც მას აკისრებს მოვალეობას სხვა ადამიანების მიმართ).

* * *

საუკუნეების განმავლობაში კათოლიკე ეკლესიას რთული და დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ადამიანის უფლებათა სხვადასხვა გამოვლინებასთან. ბუნებითი სამართლის (*ius naturale*, *lex naturalis*) ტრადიციაზე დაყრდნობით (ხოლო ეს ტრადიცია განაახლა და გააღრმავა თომა აკვინელმა), მყარად იყო დამკვიდრებული თვალსაზრისი ადამიანის საზოგადოებრივი ბუნების გამო (რასაც, შესაბამისად, მოჰყვებოდა მოთხოვნა მის საზოგადოებრივ მოვალეობათა მიმართ) და, ამასთანავე, ყოველთვის უწინარესი ყურადღება მიეპყრობოდა ყოველი ადამიანის არა იმდენად უფლებებს, რამდენადაც მოვალეობას, რომელიც მას, როგორც ღმრთის შვილს, დაკისრებული აქვს, შეასრულოს ღმრთისა და სხვა ადამიანების წინაშე.

თავის მხრივ, თვალსაზრისი ადამიანის ბუნებრივი უფლებების გამო, რომელიც ჩადებულია მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნე-

ების თითქმის ყველა გამოჩენილი საერო სოციალური ფილო-სოფოსის სწავლებაში, სადაც სრულადაა გათვალისწინებული და ათვისებული ეგრეთ წოდებული "განმანათლებლობის" ძირე-ბიდან ამოზრდილ შეხედულებათა წყება, ეფუძნება ადამიანის, როგორც თვითკმარი პიროვნების, ინდივიდუალისტურ კონ-ცეფციას, ხოლო ადამიანის უფლებების აღიარებას, ეს თვალ-საზრისი, უპირველეს ყოვლისა, აღიქვამს როგორც საწინდარს, ერთი მხრივ, პიროვნების პირადი და შეუბოჭავი თავისუფლე-ბის უზრუნველსაყოფად და, მეორე მხრივ, პიროვნების სრული დამოუკიდებლობისა თუ სრული შეუვალობა-ხელშეუხებლობის დასაცავად. ამდენად, ამ კონცეფციით, ადამიანს უნდა ჰქონდეს შეუზღუდავი საშუალება, თავისუფლად გამოხატოს თავისი ნება-სურვილი, მაგრამ, ამავე დროს, მას არ უნდა ეშუქებოდეს რამე საფრთხე ამ გამოხატულების გამო.

მსჯელობა, რომელიც გამოხატავდა დამოკიდებულებას ადა-მიანის უფლებათა და მათი დაცვის გამო, კათოლიკურ სოცი-ალურ მოძღვრებაში თანდათანობით იცვლებოდა და სულ უფრო გამოხატული ხდებოდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, დაწყებული პიუს მეთორმეტის პაპობის დროიდან (1939-1958), თუმცა, უნდა ითქვას, რომ ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იოანე პავლე მეორის პაპობის დროს (1978-2005).

პაპის იოანე ოცდამესამის (1958-1963) ენციკლიკა "Pacem in Terris" (1963) წარმოადგენს ადამიანის უფლებათა იმგვარ ხედ-ვას, რომლის ჩანაფიქრი არაა, გადაწყვიტოს დაპირისპირება ორ არსებულ ტრადიციას შორის ან კიდევ, შეათანხმოს მათი საფუძ-ველმდები ფილოსოფიური განსხვავებანი, – ენციკლიკა ასახავს ფართო თვალსაწიერს, რათა მოპოვებული იქნეს ის საერთო ნი-ადავი, სადაც ადამიანის უფლებები დაცული იქნება იმგვარად, რომ უგულვებელყოფილი არ იყოს ადამიანის ღირსება.

შემდგომ, პაპი იოანე პავლე მეორე, თავისი საჯარო მიმარ-თვისას გაერთიანებული ერების ორგანიზაციას 1979 წელს, დაეყრდნო ენციკლიკას "Pacem in Terris" და უფრო გააღრმავა მისი უწყება. პაპის აზრით, ეს ენციკლიკა პოულობს იმ მჭიდ-რო ბმას (და სთავაზობს მას ადამიანებს), რომელიც აკავშირებს ადამიანის უფლებებს და, მათ შორის რელიგიის თავისუფლე-ბის უფლებას, ადამიანის სულიერ ბუნებასთან, მის სულიერ ცხოვრებასთან.

კათოლიკური სოციალური მოძღვრების საფუძველში ძვეს კონცეფცია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა უნდა ემსახურებოდეს ყოველი ცალკეული ადამიანის ღირსების დაცვას და ეს დაცვა უნდა ხდებოდეს, რა თქმა უნდა, მის საჯარო-სამოქალაქო ცხოვრებაშიც. ეკლესიის უცხადესი პოზიციაა, რომელშიც ის გამოხატავს თავის განწონასწორებულ დამოკიდებულებას უფლებათა და მოვალეობათა გამო, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის კონცეფცია აუცილებლად მოითხოვს მორალური მოთხოვნის შემოტანასაც ადამიანის მხრიდან და ადამიანის მიმართ, რაც ყოველთვის უნდა ემსახურებოდეს ნივთიერი თუ სულიერი წესრიგის დამყარებას, ხოლო ამგვარი წესრიგის ვითარება აუცილებელი პირობაა ადამიანის პიროვნების განსავითარებლადაც და მისი ღირსების დასაცავადაც.

ეკლესიის თვალსაზრისით, ადამიანის უფლებათა აღიარება და მათი პატივისცემა, მათზე დაყრდნობა და მათი აღსრულება (რასაც აუცილებლად თან სდევს შესაბამის მოვალეობათა აღიარება და აღსრულება), ვალად ეკისრება როგორც ცალკეულ ადამიანებს თავიანთ პირად ქმედებებში, ასევე სახელმწიფოსაც, რომელიც თავის ამ დამოკიდებულებას უნდა გამოხატავდეს სამთავრობო ქმედებათა გზით; ასევე, ადამიანის მიმართ სამართლიანობის განხორციელების საქმეში ჩართული უნდა იყოს სახელმწიფოც.

კათოლიკე ეკლესია სრულიად მიუღებლად მიიჩნევს მის მიმართ არაერთგზის გამოთქმულ კრიტიკას, რომ თითქოს ადამიანური ღირსების კონცეფცია, რომელიც ეფუძნება ღმრთის ხატის იდეას, ჩაგრავს პიროვნულ ინდივიდუალობას, ადამიანის თავისთავადობას, მის გამოხატულებათა თავისუფლებას და, კიდევ, თითქოს ეს ჩაგვრა, ამავე დროს, ხდება საკრებულოს საერთო ინტერესების ხარჯზე. ამის გამო ეკლესიამ რამდენჯერმე საგანგებოდ განაცხადა, რომ ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფა არის მინიმალური მდგომარეობა ადამიანის საცხოვრებლად საკრებულოში, საერთო გარემოში¹³.

ღირსშესანიშნავია, რომ ადამიანური ღირსება ის საყრდენია, რომლის აღიარება დაუბრკოლებლად შეუძლია ყოველ ადა-

13 მაგალითად, დოკუმენტში: *Economic Justice for All: Pastoral Letter on Catholic Social Teaching and the U.S. Economy*, Washington, D.C.: United States Conference of Catholic Bishops, 2009, p. VIII: "Human rights are the minimum conditions for life in community".

მიანს, ხოლო მისი პატივისცემის აუცილებლობა არის თვალსაზრისი, რომელიც აერთიანებს ქრისტიანებსა და არაქრისტიანებს, მორწმუნეებსა და არამორწმუნეებს. ამდენად, ადამიანის ღირსების იდეა ადვილად ქმნის ურთიერთგაგების შესაძლო და ხელსაყრელ ველს ადამიანთა შორის, მათი რელიგიური, ფილოსოფიური თუ საჯარო-სამოქალაქო შეხედულებების მიუხედავად.

* * *

ვატიკანის მეორე კრების სამოძღვრო კონსტიტუციის "Gaudium et Spes" საგანგებო მონაკვეთში, რომელსაც ეწოდება "ადამიანური პიროვნების ღირსება" (12-22), გაცხადებულია:

ნამდვილად არ ცდება ადამიანი, როცა აცნობიერებს, რომ იგი სხეულებრივზე აღმატებული არსებაა და საკუთარ თავს არ აღიქვამს მხოლოდ ბუნების ნაწილად ან ადამიანთა საზოგადოების ანონიმურ წევრად. თავისი შინაგანი ბუნებით იგი საგანთა ერთობლიობას აღემატება: ადამიანი უბრუნდება ამ ღრმა შინაარსს, როცა მიმართავს საკუთარ გულს, სადაც მას ღმერთი ელოდება, რომელიც გულებს იკვლევს და სადაც, ღმრთის თვალწინ, ადამიანი თავის ბედს წყვეტს. ამგვარად, ადამიანმა იცის, რომ მასში არის სულისმიერი და უკვდავი სამშენველი. იგი არ ტყუვდება ცრუ შეხედულებებით, რომლებიც მხოლოდ ფიზიკურ და სოციალურ გარემოებებს ემყარება, – პირიქით, ადამიანი სწვდება სინამდვილის ღრმა ჭეშმარიტებას¹⁴.

ადამიანის ღირსება, ჩვეულებრივ, სამი სახით გამოვლინდება: ერთი, ადამიანის ღირსება გამოიხატება იმით, რომ ცოცხალ არსებათა შორის მხოლოდ ადამიანის გონებას შეუძლია განჭვრიტოს ტრანსცენდენტური; მხოლოდ ადამიანს ძალუძს, თავისი ინტელექტის საშუალებით, ტრანსცენდენტურად დაძლიოს ნივთიერი სამყარო, გარემომცველი მატერიალური გარემო, ხილული საგნებისა და მოვლენების მიწიერი სივრცე; გონების უნარი ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, გაიზიაროს და ეზიაროს ღმრთაებრივ სიბრძნეს, რითაც ნამდვილად გამოხატავს საკუთარი ხატობა და მსგავსება ღმრთის მიმართ;

14 ვატიკანის მეორე კრების სამოძღვრო კონსტიტუციაში "Gaudium et Spes", 14.

მეორე, ადამიანის ღირსება გამოიხატება ადამიანის ცნობიერების უნართ, გამიჯნოს ერთმანეთისაგან სიკეთე და ბოროტება, რის შედეგადაც იგი დაეუფლება უნარს, ჯერ აღმოაჩინოს და მისწვდეს მორალურ ჭეშმარიტებას, ხოლო მისი გაცნობიერების შემდეგ მოიპოვოს, მიიღოს და გაითავისოს ის; თვით იმ შემთხვევისასაც კი, თუკი ადამიანი – დროებით ან ხანგრძლივად – კარგავს ზნეობრივ ცნობიერებას, იგი მაინც ინარჩუნებს ღირსებას;

მესამე, ადამიანის ღირსება გამოიხატება ადამიანის თავისუფლებით; თავისუფლება სწორედაც გამორჩეული, განსაკუთრებული ნიშანია ღმრთის ხატისა ადამიანის პიროვნებაში; თავისუფლება განაპირობებს ადამიანის ღირსებას, რადგან პიროვნების თავისუფლება თავისთავად განაპირობებს, რათა ადამიანმა იმოქმედოს საკუთარი თავისუფალი არჩევანის კვალობაზე, საკუთარი თავისუფალი გადაწყვეტილების მიხედვით; ადამიანი ღმრთის ხატია თავისი იმ სწრაფვის გამოისობით, როცა იგი მიმართავს საკუთარ თავისუფლებას საკუთარი ცოდნის გამოყენებით ნამდვილი სიკეთის აღსასრულებლად.

ადამიანის ღირსების ეს სამი გამოხატულება, სამი განზომილება, – აზროვნების ტრანსცენდენტურობის უნარი, ცნობიერების მორალური სისუფთავე და თავისუფლების აღმატებული თვისება, – წარმოაჩენს ადამიანის, როგორც გონიერი არსების, ძალმოსილების ყველა მხარეს, რაც უწინარესი გამოვლინებაა, რომ ადამიანი ღმრთის ხატია¹⁵.

ღმრთის ხატი ადამიანში გამოიხატება იმითაც, რომ ადამიანი არაა მარტოხელა არსება ამქვეყნად, რამდენადაც არც ქრისტიანული ღმერთია, სხვა მონოთეისტური რელიგიებისაგან განსხვავებით, მარტოხელა, საკუთარ თავში ჩაკეტილი ღმრთაებრივი არსება, რომელიც – ერთადერთი – აღემატება მთელ სამყაროს. ქრისტიანული სარწმუნოების მონოთეიზმი, ამავე დროს, გულისხმობს ტრინიტარიზმს, ანუ სამი ღმრთაებრივი პიროვნების ერთიანობას. ქრისტიანული ღმერთი სამებაა, რომელიც სამი პიროვნების კავშირია, ხოლო სამი ღმრთაებრივი პიროვნება – მამა, ძე, სული წმიდა – ერთმანეთის მიმართ დაუსაბამო და უსასრულო ურთიერთსიყვარულით არიან განმსჭვალული. როგორც

15 ადამიანის ღირსების ეს სამი გამოხატულება ვრცელადაა განხილული ვატიკანის მეორე კრების სამოძღვრო კონსტიტუციაში "Gaudium et Spes", 15-17.

ღმერთთა თვისებრივად ურთიერთობითი არსება, ასევე, ადამიანიც ურთიერთობითი არსებაა, რაც, საერთოდ, განაპირობებს ადამიანის ყოფნას როგორც ურთიერთობას სხვა ადამიანებთან. ბიბლიის მიხედვით, ღმერთს ადამიანი არ შეუქმნია მარტოხელა არსებად და ვერცერთი ადამიანი, სხვა ადამიანთან ურთიერთობის გარეშე, ვერც იცხოვრებს და ვერც განავითარებს ღმრთისაგან მონიჭებულ თავის შესაძლებლობებს.

ადამიანის ღირსების როგორც თეოლოგიური, ისე საერო გაგება ადასტურებს, რომ ადამიანი ინარჩუნებს და იმტკიცებს თავის ღირსებას მხოლოდ მაშინ, როცა იგი ურთიერთობას ამყარებს სხვა ადამიანთან ან სხვა ადამიანებთან.

მარტომყოფობაში შეუძლებელია ადამიანის ღირსების განხორციელება, რაკი ის გამოვლინდება დამოუკიდებელი ადამიანის თანაცხოვრებაში თუ თანამშრომლობაში სხვა ადამიანებთან. ადამიანის ღირსების დაცვა და საერთო სარგებლის განხორციელება ვერ მოხერხდება ადამიანების ერთმანეთისაგან დაცილება-დაშორებით. ვერც, ერთი მხრივ, პიროვნების ზრდა-განვითარება და ვერც, მეორე მხრივ, საკრებულოს ქმედითუნარიანობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი ერთმანეთის გათვალისწინებისა და ხელშეწყობის გარეშე.

კათოლიკური მოძღვრების მიხედვით, ამ ურთიერთკავშირისა და წონასწორობის შენარჩუნება მეტად მნიშვნელოვანი და გადაამწყვეტი ფასეულობაა როგორც თეოლოგიური, ისე საეკლესიო თვალსაწიერიდან, და, შესაბამისად, ეს გაწონასწორებული დამოკიდებულება თავის პრაქტიკულ გამოვლინებას პოულობდა საუკუნეთა განმავლობაში.

ამგვარი ხედვა მნიშვნელოვანი და ფასეული იყო თუნდაც არც ისე დიდი ხნის წინათ, "ცივი ომის" დროს. მაშინ დასავლეთი იყავდა ადამიანის უფლებებს ინდივიდუალისტური მიდგომით და უპირატესობას ანიჭებდა ცალკეული ადამიანის სამოქალაქო თუ პოლიტიკურ უფლებებს: სიტყვის, შეკრებისა და სარწმუნოების თავისუფლებას, ასევე, კანონის უზენაესობასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ხოლო ის პოზიცია, რომ ნეგატიური უფლებები ხელშეუხებელი უნდა ყოფილიყო, ქმედით იარაღს წარმოადგენდა დასავლეთისათვის მის იმდროინდელ იდეოლოგიურ დაპირისპირებასა თუ ბრძოლაში საბჭოთა-კომუნისტურ ბლოკთან; მეორე მხრივ, აღმოსავლურ-კომუნისტური ბლოკისა

და, ასევე, სამხრეთ ნახევარსფეროს ავტორიტარულ-დიქტატორული ქვეყნების იდეოლოგია საგანგებო ყურადღებას მიაპყრობდა სოციალურ საკითხებს: კოლექტიური მოთხოვნების უზრუნველყოფას და მათს უპირატესობას ინდივიდუალურ, პირად თავისუფლებებთან შედარებით, ხოლო ამგვარი დამოკიდებულება განაპირობებდა, რომ წინ იყო წამოჩენული სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა, რასაც გამოხატავდა მოსახლეობის უზრუნველყოფა კვებით და, ასევე, სამუშაოს, საცხოვრებლისა და სწავლის უფლებებით (თუმცა ცალკე სამსჯელო საკითხია, რომ, უმეტესი შემთხვევისას, ამგვარი განაცხადი მხოლოდ განაცხადადღა რჩებოდა ნამდვილ ცხოვრებაში და ადამიანები ამ ქვეყნებში ხშირად მარტივი ყოფითი კეთილდღეობითაც ვერ სარგებლობდნენ).

ის, რომ ეკლესიის პოზიცია ადასტურებს ერთდროულად ადამიანის ღირსების სუბსტანციურ და რელატიურ გაგებას, ანუ არსებითსა და მიმართებითს დამოკიდებულებას, აუფასურებს ან, ფაქტობრივად, გამორიცხავს ამ იდეოლოგიური პოლემიკის ორივე პოლუსს. კათოლიკე ეკლესიისათვის მიუღებელია, როგორც, ერთი მხრივ, ინდივიდუალისტური მიდგომა, რომელიც ადამიანის უფლებებს უწინარესად აღიქვამს როგორც უფლებას, იყოს ადამიანი მარტო, სხვათა სრულიად ჩაურევლად მის პირად თუ საჯარო ცხოვრებაში, ისე, მეორე მხრივ, კოლექტივისტური მიდგომა, რომელიც მოითხოვს, რომ პიროვნება უნდა დაემორჩილოს საერთო-საკრებულო მოთხოვნებს ცოცხალიტარული საშუალებებით. ეკლესიას მიაჩნია, რომ დაპირისპირება ინდივიდუალურ თავისუფლებასა და საჯარო ცხოვრების ურთიერთსოლიდარობას შორის ყალბი, არასწორი, უსაფუძვლო დიქტომიაა. ადამიანი მხოლოდ მაშინ ცხოვრობს ღირსებით, ღირსეულად, როცა იგი ცხოვრობს თავისუფალ საკრებულოში – იმგვარ საკრებულოში, სადაც უზრუნველყოფილია პიროვნული ინიციატივაც და სოციალური სოლიდარულობაც, და რომელშიც ორივე ეს მხარე მიჩნეულია ადამიანის ღირსების არსებით ნიშნებად. ინტელექტუალურ განზომილებაში ეს ორმხრივობა გამოიხატება ცოდნის მიღებითა და გაღებით, როცა ადამიანი შეუზღუდავია, შეიძინოს ცოდნა ნებისმიერი წყაროდან, მაგრამ მას, ამავე დროს, ეკისრება მოვალეობა, მიაწოდოს ეს ცოდნა მსურველს თუ მსურველთა კრებულს და საჯარო გახადოს ის. ამ განწინასწორებულ

კავშირს აქვს ინსტიტუციური განზომილებაც, რომელიც განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა პიროვნებას მოეპოვება როგორც საჯარო-პოლიტიკური სივრცე საკუთარი აქტივობისათვის (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სახით), ისე ნივთიერი და ყოფითი წინაპირობები (სოციალური და ეკონომიკური უფლებების სახით), რაც საშუალებას იძლევა ნებისმიერი ქმედებებისათვის, საკუთარი გადაწყვეტილების მიხედვით, პირად თუ საერთო-საკრებულო ცხოვრებაში. ამდენად, ეკლესიას მიაჩნია, რომ ორივე, – როგორც სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებები, ისე სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, – აუცილებლად უნდა იქნეს მოთხოვნილი და უზრუნველყოფილი, როცა და რითაც პატივი უნდა ეცეს ადამიანის ღირსებას მის მრავალწახნაგოვან განზომილებაში.

მაგრამ მნიშვნელოვანია საკითხის კიდევ ერთი, მესამე კუთხე, რაკი ღმრთის ხატს ადამიანის პიროვნებაში მოეპოვება ფუნქციური დატვირთვაც, ანუ გასათვალისწინებელია, თუ რაგვარი დანიშნულება ენიჭება ადამიანს, როგორც ღმრთის ხატს, სამყაროში. ზუსტად ისევე, როგორც ღმერთმა შექმნა ნივთიერი, ბუნებითი სამყარო, მიანიჭა მას არსებობა და ღმერთი წარმართავს ამ სამყაროს ცხოვრებას, ადამიანიც, როგორც ღმრთის ხატი, ასევე, ახორციელებს თავის შემოქმედებითს, დამცველ და მმართველ როლს სამყაროში. ბიბლიური დაბადების წიგნი ლაპარაკობს ადამიანური არსების შესახებ, რომელსაც შექმნილ სამყაროში მიენიჭა წარმმართველი დანიშნულება, ღმრთის წარმმართველი მნიშვნელობის მსგავსად. ახლანდელი ბუნებისდამცველი მოძრაობების პირისპირ აუცილებელია ითქვას, რომ კათოლიკური მოძღვრება ამ წარმმართველობას ხედავს როგორც პასუხისმგებლობას, რათა ადამიანმა იზრუნოს და დაიცვას სამყაროს ღმრთისმიერი, ღმრთის მიერ დადგენილი წესრიგი, და არა როგორც საშუალებას, რათა იბატონოს ბუნებაზე ან, მით უმეტეს, დააზიანოს ან გაანადგუროს ის. ადამიანი ღმრთის ხატია იმ მხრივაც და იგი წარმოადგენს ღმერთს, როცა ავლენს ზრუნვას სამყაროს წესრიგის მიმართ, იმგვარი ნიმუშის კვალობაზე, როგორსაც მას ძლევს ღმრთის სიყვარული მთელი მისი ქმნილების ან ცალკეულ მის ქმნილებათა მიმართ.

იმისათვის, რათა ცხადი იყოს, თუ როგორ გამომდინარეობს ადამიანის ღირსება ადამიანის ღმრთის ხატობისაგან, აუცილებ-

ბელია საგანგებოდ აღინიშნოს ურთიერთკავშირის ძლიერი გრძნობაც ადამიანსა და ბუნებას შორის და ადამიანის პასუხისმგებლობაც, რათა შენარჩუნებული იქნეს სამყაროსეული მთელი ბიოსფერო თავისი განუმეორებლობითა და მრავალფეროვნებით.

ადამიანის უფლებათა ეგრეთ წოდებული “მესამე თაობის” მოთხოვნები¹⁶, რომელთა შორისაა ხარისხიანი გარემოს უფლება, გამოძახილს პოვებს კათოლიკურ მოძღვრებაში, რადგან უფლება ხარისხიანი გარემოსი, – იმგვარისა, რომელიც შეეფერება და შეესაბამება ადამიანის ღირსებას, მის ღირსეულ ცხოვრებას დედამიწაზე, – მოითხოვს პასუხისმგებლობას გარემოს დასაცავად და განსავითარებლად დღევანდელი თუ მომავალი თაობებისათვის. გარჯა და მხარდაჭერა გარემოს ინტეგრალურობისათვის, მისი მთლიანობის შესანარჩუნებლად, როგორც ადამიანის ღირსების აუცილებელი მოთხოვნა, ემყარება მკაფიო გაცნობიერებას, რომ ღირსების მატარებელი ადამიანი ისევეა სხეულებრივი, ბიოლოგიური არსება, როგორც იგი, ამავე დროს, არის სულიერი არსება.

კათოლიკური მიდგომა ადამიანის ღირსების მიმართ ეფუძნება ადამიანის პიროვნების ბიბლიურ გაგებას, ასევე, ეკლესიის მოძღვრებას, და დაჟინებით უარყოფს ადამიანის გონებისა და სხეულის დუალისტურ გამიჯვნას. ადამიანის პიროვნების ღირსება არაა მხოლოდ ადამიანის სულის ღირსება, რადგან ადამიანი შედგება როგორც ტრანსცენდენტური, ისე ემპირიული, ანუ სულიერი და სხეულებრივი განზომილებებისაგან. ამიტომაც, როცა კათოლიკე ეკლესია პატივის მიცემს ადამიანის ღირსებას, ის ყურადღებას მიმართავს პიროვნების ისეთ ბიოლოგიურ საჭიროებათა მიმართ, როგორებიცაა კვება, თავშესაფარი და ჯანმრთელობის დაცვა. ამავე დროს, ეკლესია მოითხოვს, ერთი მხრივ, პატივისცემას იმ განსხვავებათა მიმართ, რაც არსებობს ქალსა და კაცს შორის, მაგრამ, მეორე მხრივ, ქალისა და კაცის სრული თანასწორობის აღიარებას კანონის წინაშე. ეკლესიას მტკიცედ

16 დღევანდელი კლასიფიკაციით, ადამიანის უფლებათა “პირველ თაობად” მიჩნეულია სამოქალაქო-პოლიტიკური უფლებები, “მეორე თაობად” – სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, “მესამე თაობად” – ჯანსაღ და მშვიდობიან გარემოში ცხოვრების უფლება; ზოგჯერ, ასევე, გამოითქმება თვალსაზრისი, რომ არსებობს “მეოთხე თაობის” ადამიანის უფლებები, რაც გულისხმობს გენური ინჟინერიის ქმედებათაგან ადამიანის დაცვის უფლებას.

მიაჩნია, რომ სწორედ ამგვარი დამოკიდებულება იძლევა მყარ საწინდარს, რათა დაცული იქნეს ადამიანის ღირსება.

* * *

2004 წელს გამოქვეყნდა კათოლიკე ეკლესიის ნორმატიული დოკუმენტი "ეკლესიის სოციალური მოძღვრების კომპენდიუმი", რომელშიც გადმოცემულია ოფიციალური თვალსაზრისი, დაფუძნებული ეკლესიის მოძღვრებაზე, ქრისტიანი ადამიანის ცხოვრების გამო საჯარო თუ სამოქალაქო გარემოში, ასევე, იმის გამო, თუ როგორ ხედავს და აფასებს თავად ამ გარემოს ეკლესია.

კომპენდიუმის დამოკიდებულება ადამიანის უფლებათა მიმართ განხილულია მის რამდენიმე ცალკეულ თავში. მაინც, უმთავრესი თვალსაზრისი არის ისევე ის, რომ ადამიანის უფლებათა კონცეფცია უწინარესად უნდა ეყრდნობოდეს პიროვნების ღირსების აღიარებას.

მისწრაფება ადამიანის უფლებათა განსასაზღვრავად და გამოსაცხადებლად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძალისხმევაა, რომელიც საქმიანად უპასუხებს ადამიანის ღირსების გარდაუვალ მოთხოვნებს. ეკლესია ამ უფლებებში ხედავს განსაკუთრებულ შესაძლებლობას, მონიჭებულს ჩვენი დროის მიერ, რათა ამ უფლებათა დადასტურებით, უფრო ქმედითად იქნეს აღიარებული და საყოველთაოდ განმტკიცდეს ადამიანის ღირსება, როგორც თვისება, რომელიც შემოქმედმა ღმერთმა მიანიჭა თავის ქმნილებას,

ნათქვამია კომპენდიუმში (152). ასევე, ეკლესიის ხედვით,

ადამიანის უფლებათა ჭეშმარიტ წყაროს არ წარმოადგენს არც ადამიანთა სურვილი, არც სახელმწიფო ძალაუფლება, არამედ თავად ადამიანი და შემოქმედი ღმერთი (153).

ამდენად, ადამიანის უფლებათა შეცვლა ან ჩანაცვლება არა მარტო მიუღებელია, არამედ შეუძლებელიცაა. რაკი ეს უფლებები ეფუძნება ადამიანის ღირსებას, მათ ვერც ვერავინ მიანიჭებს და ვერც ვერავინ ჩამოართმევს:

ადამიანის ღირსება სქოლასტიკასა და ეკლესიის თანამედროვე ...

ნამდვილად, ადამიანის უფლებათა საფუძველი უნდა მოიძებნოს ღირსებაში, რომელიც ეკუთვნის ყოველ ადამიანურ არსებას (153).

ადამიანის უფლებები საყოველთაო, დაურღვეველი და ჩამოურთმეველია: საყოველთაოა ისინი იმდენად, რამდენადაც განეკუთვნება ყოველ ცოცხალ არსებას, – დროის, ადგილისა და ვინაობის გამონაკლისის გარეშე; დაურღვეველია იმიტომ, რაკი ისინი განუყოფელია ადამიანის პიროვნებისა და ღირსებისაგან; ჩამოურთმეველია, “რადგან არავის ძალუქს კანონიერად ჩამოართვას ისინი ადამიანს, ვინც უნდა იყოს იგი, რადგან ეს იქნებოდა ძალადობა ადამიანის ბუნებაზე” (153). ადამიანის უფლებების დაცვა გამორიცხავს მათს ნებისმიერ დარღვევას ან შერჩევითობას, მათგან ნებისმიერი გამონაკლისის მიღებას, “რადგანაც, უსარგებლო იქნება უფლებების გამოცხადება, თუ ამავდროულად არათუ ვაკეთდა, რომ მათ პატივი მიეგოს ყველას მიერ, ყველგან და ყოველისათვის” (153).

ამავე დროს, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ კომპენდიუმის განსაკუთრებულობა ადამიანის უფლებათა საკითხის განხილვისას განპირობებულია რამდენიმე თავისებურებით. ღირსშესანიშნავია, რომ კომპენდიუმი აცხადებს ადამიანის უფლებათა საკუთარი კონცეფციის საფუძვლებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, ემყარება ადამიანის ღირსების აღიარებას:

ერთი, რომ ადამიანის უფლებები უნდა იქნეს განხილული ინტეგრალურად, მთლიანად, ხოლო რომელიმე ერთი ან რამდენიმე უფლების ცალკე გამოყოფა, ამოგლეჯა მთლიანობიდან აზრს უკარგავს უფლებათა მთელ შინაარსს (154) (მაგალითად, საბჭოთა კომუნისტურ-დიქტატორული რეჟიმის ვითარებაში, სადაც უხეშად ილახებოდა ადამიანის უმთავრესი უფლებები, ამავე დროს, უზრუნველყოფილი იყო შრომის უფლება);

მეორე, მტკიცედ უნდა იქნეს დაცული სიცოცხლის უფლება მის ნებისმიერ გამოვლინებაში და მის ნებისმიერ ეტაპზე, რაც გამოიხატება აბორტისა თუ ევთანაზიის სრულ მიუღებლობაში (155);

მესამე, გათვალისწინება, რომ ადამიანს აქვს და უნდა ჰქონდეს არამარტო უფლებები, არამედ, აგრეთვე, მოვალეობებიც (156);

მეოთხე, დაცული უნდა იქნეს არა მარტო პიროვნების, არამედ ერის უფლებები¹⁷ (157).

ამავე დროს, კათოლიკური მოძღვრება განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს, რომ ინდივიდუალური, პირადი უფლებები უნდა გავრცელდეს, ასევე, ადამიანთა საკრებულოს უფლებებზე.

* * *

ამდენად, კათოლიკურ მოძღვრებაში ადამიანის პიროვნული ღირსების კონცეფცია წარმოადგენს საფუძველს ადამიანის უფლებათა დასაცავად. თავად ადამიანის ღირსების იდეა საზრდოობს იმ აღიარებიდან, რომ ადამიანი წარმოადგენს ღმრთის ხატს.

ეკლესიის მტკიცე თვალსაზრისით, ყოველ პიროვნებას აქვს ღირსება, რომელიც დაცული უნდა იქნეს საჯარო-სამოქალაქო სივრცეში. ადამიანის უფლებები, მინიჭებული მოქალაქეთათვის სახელმწიფოს ან ადამიანთა რომელიმე ჯგუფის მიერ, მხოლოდ მეორეულია, მხოლოდ დამოკიდებულია და შინაარსობრივ მოსდევეს ადამიანის განუმორებელ თვისებას – ადამიანის ღირსებას.

2011

17 კათოლიკე ფილოსოფოსებს რამდენჯერმე გამოუთქვამთ თვალსაზრისი, რომ ერების ურთიერთობასაც უნდა განსაზღვრავდეს ღირსების ცნება, რადგან ერებიც უნდა ურთიერთობდნენ ერთმანეთის ღირსების გააზრებით, შეგნებითა და აღიარებით.

გამოხმაურება

“წინამძღუარი” – პირველი ქართული დოგმატიკური კომპენდიუმი

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი, *წინამძღუარი* (სარწმუნოებისათვის), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თორნიკე ჭყონიამ და ნანა ჩიკვატიამ; გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნანა ჩიკვატიამ; რედაქტორი მაია რაფაეა, თბ.: არტანუჯი, 2007, 362 გვ.

ეფრემ მცირე იოანე დამასკელის “გარდამოცემის” საკუთარი თარგმანის შესავალში (“შესავალი წიგნისა ამის, რომელსა ეწოდების გარდამოცემად, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკელისა”) მკითხველს წარუდგენს თავის ნაშრომს, მსჯელობს მისი სისრულის შესახებ და ტექსტის მომავალ შესაძლო გადამნუსხველებს ამგვარად მიმართავს:

რომელსა ძალი მისცეს ღმერთმან ამათდა გადაწერად, ესე დაიმარხენ, რადთა უკუეთუ მოკლე “წინამძღუარი” უნდეს, წმიდისა მამისა ეფთუმეს მიერ თარგმანებულთი, იგი შეიტკბოს, რამეთუ მას მადლითა სულისა წმიდისადათა ჴელ-წიფებოდა შემატებაჲცა და დაკლებაჲცა¹.

და შემდგომ:

¹ იოანე დამასკელი, *დიალოგები*, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფაევამ, თბ.: მეცნიერება, 1976, გვ. 67 (მდრ. წმ. იოანე დამასკელი, *მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა*, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა) გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მაია რაფაევამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფაევამ; ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბ.: თბილ. სასულ. აკად. გამ-ბა, 2000, გვ. 23; პირველი გამოცემა: *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*, შუკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტფ.: სტამბა მ. შარაძისა, 1892, გვ. 216 (ამ გამოცემაში ეს მონაკვეთი ამგვარად სრულდება: “ჴელწიფებოდა შემატებაჲცა და კლებაჲცა”).

“გარდამოცემა” უწოდეთ წიგნსა ამას, რომელი-იგი ბერძულსა შინა ესრეთვე წარწერილ არს და “წინამძღუარ” მასვე წმიდისა მამისა ეფთვიმეს თარგმნილსა სახელ-ედებოდენ, რამეთუ თვით იგი ამისგანვე გამოკრებილ არს. ხოლო ესე არა უწყი, თუ თვით მამასა ეფთვიმის გამოკრებიან, ანუ ბერძულად ესრეთ უპოვიან².

ამდენად, ეფრემი ერთმანეთისაგან მიჯნავს, ერთი მხრივ, იოანე დამასკელის “გარდამოცემას”, რომელიც მას თავად უთარგმნია და, მეორე მხრივ, “წინამძღუარს”, რომლის თარგმანიც მანამდე წმიდა ეფთვიმე მთაწმიდელს შეუსრულებია, მაგრამ ეფრემს გაურკვეველი დარჩენია, ტექსტის ამგვარი გამოკრებილი ვერსია ეფთვიმესეული ყოფილა თუ იმთავითვე ბერძნულად არსებულა.

კარგა ხნის წინათ დაწყებული კვლევის შედეგად, პირველ ყოვლისა, დადგინდა, თუ ქართულ ხელნაწერ მემკვიდრეობაში დაკულ რომელ ტექსტს გულისხმობდა ეფრე მცირე “წინამძღუარის” სახელდებით (რომელსაც ზოგჯერ მეორე სახელწოდებაც აქვს: “სარწმუნოებისათჳს”), მაგრამ, ამას გარდა, მოგვიანებით ისიც გამოჟღავნდა, რომ ეს ტექსტი მოიყავს არა ოდენ დამასკელისეული “გარდამოცემის” გამოკრებილ მონაკვეთებს, როგორც ეფრემიდან დაწყებული ბოლო ხანებამდე იყო მიჩნეული³, არამედ სხვა წყაროებითაც სარგებლობს; ამასთანავე, ეფთვიმეს მთლიანი შემოქმედების შესწავლამ უფრო იმ პასუხისაკენ წაიყვანა ძიება, – რაც თავის დროს გადაუჭრელ კითხვად რჩებოდა ეფრემისათვის, – რომ ტექსტის ზუსტი ორიგინალური ვერსია ბერძნულად არ უნდა მოიპოვებოდეს და ამგვარი სახით ის თავად ეფთვიმეს შედგენილი უნდა იყოს. კვლევათა თავისდროინდელი შედეგები მოპოვებული იყო, უწინარესად, თორნიკე ჭყონიას მიერ⁴, რომელიც იმავდროულად გამოსაცემადაც ამზადებდა “წინამძღუარს”, მაგრამ არც მისი გამოკვლევა და არც

2 იოანე დამასკელი, დიალექტიკა, გვ. 68-69.

3 “წინამძღუარს” დამასკელისეული ტექსტების ნაკრებად მიიჩნევდა კორნელი კეკელიძეც, რომლის შესახებაც იგი აცხადებდა, რომ ის “წარმოადგენს ნამდვილ Compendium-ს დამასკელის თხზულებებისას” – კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, თბ.: მეცნიერება, 1980, გვ. 202.

4 მისი ცხოვრებისა და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ იხ.: ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, “თორნიკე ჭყონიას არქივის სიახლენი”, წახნაგი: ფილოლოგიურ კვლევათა წელიწადი, 2. 2010, გვ. 330-333.

გამოსაცემად გამზადებული ტექსტი, რომელთა შესახებაც უკვე რამდენიმე ათეული წლის წინათ იყო ცნობილი⁵, არასოდეს დაბეჭდილა. ამუშავდა სწორედ ეს მასალა დაედო საფუძვლად “წინამძღურის” პირველ ნაბეჭდ გამოცემას, რომელიც 2007 წელს განხორციელდა⁶.

“წინამძღუარს” თავისთავად გამორჩეული ადგილი მიეჩინება ეფთვიმე მთაწმიდლის ვრცელ შემოქმედებით მემკვიდრეობაში, ვისი მთარგმნელობითი საქმიანობა თავიდანვე განსაზღვრული და გააზრებული გეგმის მიხედვით ყალიბდებოდა, უწინარეს ყოვლისა, მამამისის, იოანეს, ქმედითი ხელმძღვანელობით⁷. საქმე ისაა, რომ ეფთვიმე თარგმნიდა იმას, – ბიბლიური ტექსტების გარდა, – რაც მკაცრად რჩებოდა პატრისტიკის ფარგლებში, მაგრამ წმიდა მამათა ეს ცალკეული ტრატატები ცალკეულ საღმრთისმეტყველო, სასულიერო თუ საეკლესიო საკითხებს შეეხებოდა, ხოლო “წინამძღუარი” იმით აღმოჩნდა გამორჩეული, რომ ის – ისევ პატრისტიკის ფარგლებში – მიზნად ისახავს არა იმდენად მსჯელობის გაშლას რომელიმე კონკრეტული დოგმატური საკითხის შესახებ და ირგვლივ, რამდენადაც დოგმატური მოძღვრების სისტემური და კომპაქტური სახით ჩამოყალიბებას, – თან

- 5 იხ.: იოანე დამასკელი, *დიალექტიკა*, გვ. 14-15 (მაია რაფაეას შესავალი წერილი); ელენე მეტრეველი, “კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავზე”, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე: ენისა და ლიტერატურის სერია*, 1977, 4, გვ. 33.
- 6 წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი, *წინამძღუარი (სარწმუნოებისათვის)*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თორნიკე ჭყონიამ და ნანა ჩიკვატიაშ; გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნანა ჩიკვატიაშ; რედაქტორი მაია რაფაეა, თბ.: არტანუჯი, 2007 (შემდგომში: *წინამძღუარი*).
- 7 საყურადღებოა, რომ როცა იოანე ქართულ ენაზე წიგნების ნაკლებობას განიცდიდა (“ქართლისა ქუეყანად დიდად ნაკულეევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან” – *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი II, ილია აბულაძის რედაქციითა და ხელმძღვანელობით, თბ.: მეცნიერება, 1967, გვ. 61), შესაძარებლად მას როგორც აღმოსავლეთის (ბერძნული), ისე დასავლეთის (ლათინური) ქრისტიანული მწერლობა ევლემებოდა: “ენასა ამას ჩუენსა ქართულსა არავინ სადა პოვნილ იყო აქამომდე, რათამცა გამოეხუნეს წმიდანი ესე წიგნნი – თარგმანებანი წმიდისა სახარებისანი, არამედ საბერძნეთისა ესე ეკლესიანი და პრომისანი საესე იყვნეს ამათგან” (ივანე ლოლაშვილი, *ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლეები*, თბ.: მეცნიერება, 1982, გვ. 64). თუნდაც ამ კონკრეტულ შემთხვევისას იოანე მთაწმიდელი ეგზეგეტიკურ ლიტერატურას ასახელებდეს, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ იგი, ზოგადად, საღმრთისმეტყველო-სასულიერო წიგნიერების მასშტაბებს გულისხმობს.

მთლიანობაში და თანაც არა კერძობითად, არამედ განზოგადებულად. ამდენად, “წინამძღუარი”, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს დოგმატიკურ კომპენდიუმს, სახელმძღვანელოს, ცნობარს, სადაც – იმუამინდელი თვალსაწიერიდან – დაწყობილი, გადმოცემული და განმარტებულია ქრისტიანული მოძღვრება ანუ, სხვაგვარად, ეკლესიის მოძღვრება. რაც მთავარია, ამგვარი ტიპის ფართო მომსვენლობის ინტეგრალური ტექსტი, როგორც ჩანს, პირველია ქართულ გარემოში, თორემ ტრაქტატები დოგმატურ საკითხთა გამო ქართულად მანამდეც თარგმნილა⁸ და, ამგვარი ნაშრომების მთარგმნელთა შორის ერთ-ერთი თავად ეფთვიმეც ყოფილა⁹.

რაც შეეხება დოგმატიკის, როგორც ღმრთისმეტყველების ცალკე დარგის, გააზრებას ქართველ ათონელთა შორის, საგულისხმოა იოანე მთაწმიდლის დამოწმება: როცა იგი თავის ანდერძში მსჯელობს საკუთარი შვილის, ეფთვიმეს, ნაშრომთა მთლიანობის შესახებ, როგორც ჩანს, ერთმანეთისაგან ასხვავებს და აცალკევებს დოგმატურ მოძღვრებასა და სულიერ მოძღვრებას: “ყოვლითა მოძღურებითა საღმრთოფთა და ყოვლითა სწავლითა სულიერთა”¹⁰ (სავარაუდოა, რომ შემთხვევითი არც ეს ტერმინოლოგიური დიფერენციაცია იყოს: მოძღურება – სწავლ(ე)ბა; ცნებათა სიახლოვის მიუხედავად, ამ წყვილში “მოძღურება” იერარქიულადაც უფრო მაღლა უნდა იდგეს “სწავლასთან” შედარებით).

ეკლესიის მოძღვრის, იოანე დამასკელის, “გარდამოცემად უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისად”, რა თქმა უნდა, ეკლესიის მოძღვრებას გადმოსცემს, – ქრისტიანული სარწმუნოების დადგენილ და აღიარებულ ჭეშმარიტებებს, მაგრამ, როგორც გამოიჩვენა, ეფთვიმე მთაწმიდელი “წინამძღურის” შედგენისას არ სჯერდება ოდენ ამ სახელგანთქმულ და სანდო სახელმძღვანელოს და სარგებლობს სხვა წყაროებითაც: ესენია, პირველ ყოვლისა, მსოფლიო კრებათა დადგენილებები¹¹, –

8 ქართულ ენაზე ეფთვიმემდელი დოგმატიკური ლიტერატურის მიმოხილვა იხ.: კორნელი კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, გვ. 467-471.

9 იქვე, გვ. 201-203.

10 ივანე ლოლაშვილი, *ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლოენი*, გვ. 66.

11 გაუგებარია, რატომ არის “წინამძღურისათვის” თანდართულ გამოკვლევაში ერთმანეთის მიყოლებით ცალ-ცალკე გამოყოფილი I-IV მსოფლიო კრებების

რომელიც ეკლესიის მოძღვრების ერთ-ერთ უმთავრეს დასაყრდენს წარმოადგენს, – მაგრამ, ამავე დროს, გამოყენებულია იმავე იოანე დამასკელის ორი ტრაქტატი: “სამწმიდაობის საგალობელი” და “შეზავებულისა ბუნებისათვის”, ასევე, ანასტასი სინელის “წინამძღუარი” და მიქაელ სვენკელოსის “მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქუმაჲ”¹². ამდენად, “წინამძღუარი” ერთი წმიდა მამის თეოლოგიურ სწავლებას კი არ გადმოგვცემს, – თუნდაც მისი განსაკუთრებულად ღირსშესანიშნავი წიგნის სახით, – რომელიც, მოძღვრების მიხედვითვე, არ შეიძლება იყოს არც სრული და არც სრულიად უცდომელი, არამედ ეკლესიის ერთიან მოძღვრებას, ანდა ეკლესიის სამოძღვრო სწავლებას, რომელსაც “გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში” “სწავლად საეკლესიოდ, სამოძღვროდ”¹³ ეწოდება.

აქტები” და “შოთღლიო კრებების აქტები” (*წინამძღუარი*, გვ. 38, 133-134); ასევე, სრულიად გაუგებარია, რატომ არის დამოწმებული და მოყვანილი VI კრების დადგენილებები რუსულად, – რუსული სინოდური თარგმანების მიხედვით (იქვე, გვ. 49-52).

- 12 “წინამძღურის” შედგენილობა თავის დროს ძირითადად დაადგინა თორნიკე ჭყონიამ და ამ შედეგებს დაეყარნო ტექსტის ამჟამინდელი მკვლევარ-გამომცემელიც, რომელიც თავად აცხადებს: “შედგენილობის კვლევისას ძირითადად ვეყრდნობოდით იმ მოსაზრებებს, რომელიც თორნიკე ჭყონიას გამოკვლევამა გამოთქმული” (*წინამძღუარი*, გვ. 134).
- 13 *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი I, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ.: მეცნიერება, 1963, გვ. 249-250; შესაძლოა, შემთხვევითი არ იყოს ამგვარი დაზუსტება თუ განმარტებითი დეფინიცია, – ტექსტი სრულად ასე უღერს: “მსწრაფლ ხოლო დაისწავლა „დავითი“ და წმითა სასწავლეელი სწავლად საეკლესიოდ, სამოძღვროდ”. როგორც ჩანს, აქ უნდა იგულისხმებოდეს ეკლესიის ის სწავლება, რომელიც თავის არსით სამოძღვროა, – ესე იგი დოგმატიკა (და არა, ვთქვათ, კანონიკა ან ლიტურგიკა, რომლებიც, ასევე, ეკლესიის სწავლებას წარმოადგენს), თუმცა არაა გამორიცხული, რომ “ძეგლებში” გამოქვეყნებული ტექსტი პუნქტუაციურ შესწორებას საჭიროებდეს და ასე უნდა გასწორდეს: “მსწრაფლ ხოლო დაისწავლა „დავითი“ და წმითა სასწავლეელი; სწავლად საეკლესიოდ, სამოძღვროდ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობადჲცა ისწავა მრავალთა ენათად და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა”. ერთისგანაც და მეორისგანაც განსხვავებული პუნქტუაციაა, ერთი მხრივ, ზურაბ სარჯველაძის, კორნელი დანელიასა და ელგუჯა გიუნაშვილის (იაკობ ხუცესი, *შუშანიკის წამება*; გიორგი მერჩულე, *გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება*: სასკოლო გამოცემა, თბ.: განათლება, 1986, გვ. 65), ხოლო, მეორე მხრივ, ედიშერ ჭელიძის გამოცემებში (*ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა*, I, თბ.: ახალი ივირონი, 2005, გვ. 484; იხ. ამ მონაკვეთის განსხვავებული ინტერპრეტაცია – იქვე, გვ. 693).

მას შემდეგ, რაც “წინამძღურის” გამოწველილავითი შესწავლისას მეტ-ნაკლები უეჭველობით დადგინდა, რომ ზუსტად ამგვარი კომპოზიციის ტექსტი არ უნდა მოიპოვებოდეს ბერძნულენოვან თხზულებათა შორის, ბუნებრივად წამოიჭრება კითხვა, რამდენად შეიძლება მიეკუთვნოს ამ ტექსტის ავტორობა ეფთვიმე მთაწმიდელს. რა თქმა უნდა, შუა საუკუნეთა მწერლობის კონტექსტში თავისთავად მსჯელობა ავტორობისა და ავტორობის შესახებ მეტად საჭოჭმანო საქმეა, რის გამოც ამ საკითხზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა თითქმის არასოდეს ხერხდება, მაგრამ მაინც, რაკილა, როგორც ჩანს, “წინამძღურის” შემადგენელი მონაკვეთების შერჩევა და მათი კომპოზიციური დალაგება თავად ეფთვიმეს ეკუთვნის, – ამას გარდა, მისთვის ჩვეული წესით მათი ქართულად გადმოთარგმნა (“შემატებადცა და დაკლებადცა”), – ამიტომ გამართლებულად უნდა იქნეს მიჩნეული გამომცემელთა გადაწყვეტილება, ტექსტი ეფთვიმე მთაწმიდლის ავტორობით გამოქვეყნებულიყო.

ამუამად უკვე ყოველი მოწადინისათვის ხელმისაწვდომი, ათი საუკუნის წინანდელი დოგმატიკური კომპენდიუმი ოცდახუთი თავისაგან შედგება, რომელთაგან სამი უკანასკნელი პოლემიკური შინაარსისაა და მიზნად ისახავს ერეტიკულ – “მწვალებლურ” – შეხედულებებთან პაექრობას. თხზულების მთლიანი ტექსტი კი იწყება შესავლით, რომელსაც მოსდევს თავები, სადაც გადმოცემული და განმარტებულია, – უმთავრესად, – ტრინიტოლოგიური, ქრისტოლოგიური, მარიამოლოგიური, ანთროპოლოგიური, სოტეროლოგიური და ესქატოლოგიური დოგმები. ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ მათგან განსაკუთრებული და მომეტებული გულისყური მიპყრობილია ქრისტოლოგიური საკითხების მიმართ. ყურადსაღებია, რომ სახელმძღვანელოს ბოლოსკენ, 24-ე თავში, ჩართულია ერთგვარი მრწამსი, – სარწმუნოების მოკლე ჩამოყალიბება¹⁴, – რომელიც საგანგებო ქრისტოლოგიური სულისკვეთებითაა განმსჭვალული. ამ მრწამსის წყაროდ ამაჰამინდელი გამომცემლის მიერ დადგენილია მიქაელ სუნველოსის “მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქუმად”¹⁵. თავად მრწამსის ამ სახით შეტანა დოგმატიკურ სახელმძღვანელო-

14 წინამძღური, გვ. 265-269.

15 იქვე, გვ. 43-44.

ში, – ეფთვიმე მთაწმიდელს იგივე ტექსტი შეუტანია “წმიდა მამე სიმე აღმსარებლის ცხოვრების” მისეულ თარგმანში¹⁶, – მოწმობს, რომ ქართულ, ისევე, როგორც, ზოგადად, ქრისტიანულ გარემოში ჩვეულებრივ მიმოიქცეოდა მრწამსთა სხვადასხვა და სხვადასხვაგვარი გადმოცემა (და არა მხოლოდ ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლო!). “წინამძღურის” ბოლოსწინა, 24-ე თავი, რომელიც ანტიერეტიკულ-პოლემიკურ კომპილაციურ ნაკრებს წარმოადგენს, მთავრდება ანათემათა თოთხმეტმუხლოვანი ჩამონათვალით¹⁷, რომლის შედგენასა და დალაგებას ტექსტის ისევე ამუამინდელი გამომცემელი საკუთრივ ეფთვიმესეულად მიიჩნევს¹⁸.

სწორედ ანათემებთან დაკავშირებით, შესაძლოა, გამოითქვას ერთი მცირე, მარგინალური შენიშვნა, რომელიც, ვინაშად საყურადღებო აღმოჩნდეს ქართული კულტურის, სახელმწიფოებრივი იდეოლოგიისა თუ პოლიტიკური თეოლოგიის მკვლევართათვის: როგორც ცნობილია, “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი”, მე-12 საუკუნის საისტორიო-საკარო ტექსტი, მოიხსენიებს მეფეთამეფეს თამარს როგორც “სამგზის სანატრელს და სამებისაგან ოთხად თანააღზავებულს”¹⁹. “წინამძღურისეულ” ანათემათა შორის კი ერთ-ერთი შეჩვენება – თუნდაც განსხვავებულ განზომილებასა და გარემოში – ასეა გამოთქმული: “ხოლო რომელნი [...] სამებასა თანა ოთხებასა შემოიღებენ, შეჩვენებულ იყავნ!”²⁰. ნუთუ ან ამგვარი შეჩვენებანი, ან სამების მიუწვდომლობისა და ხელშეუხებლობის მთელი თეოლოგიური კონტექსტი ასე უცნობი და უცხო იყო თამარის ისტორიკოსისათვის, – სავარაუდოა, კარის მემატრიანისათვის, – რომელიც, ალბათ, მართლმორწმუნე ქრისტიანად მიიჩნევდა თავს?!

16 კიშინი, I (ქართული შავიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი I), კორნელი კეკელიძის რედაქციით, ტფ.: რუსეთის სამეცნ. აკად. გამ-ბა, 1918, გვ. 87-90; ეს ტექსტი – მიქაელ სუნიკელის ტრაქტატი – ეფთვიმეს თარგმანთა შორის აღნიშნა და მიუთითა კორნელი კეკელიძემ და, ამავე დროს, მანვე შენიშნა ის ჩანართის სახით “წმიდა მამის ცხოვრების” ქართულ ვერსიაში, რომელიც ეფთვიმესევე მიეკუთვნება – კორნელი კეკელიძე, *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტომი I, გვ. 202.

17 იქვე, გვ. 269-272.

18 იქვე, გვ. 55.

19 *ქართლის ცხოვრება*, თბ.: მერიდიანი; არტანუჯი, 2008, გვ. 378.

20 *წინამძღუარი*, გვ. 271-272.

ამ და კიდევ უფრო რთულ თუ საფუძველმდებ საკითხთა განსაჭვრეტად, გასაგებად, გასააზრებლად, აუცილებელი ჩანს ქართული საღმრთისმეტყველო აზრისა და კულტურის კონტექსტში "წინამძღურის" გავრცელებისა და გავლენის შესწავლა, თუმცა, როგორც ირკვევა, მისი მნიშვნელობა ნათლად ესმოდათ ქართულ საეკლესიო მწიგნობრულ წრეებში, რისი გამოხატულებაცაა რამდენიმე ნუსხაში მოთავსებული ამგვარი მინაწერი, სადაც ამ თხზულების შესახებ ასეა განცხადებული: "რომელსა ეწოდების „წინამძღურ“ და არს ჭეშმარიტებით წინამძღუარი მართლმადიდებელთაჲ სასუფეველად და განმბზნეველი მწუალებელთა ჯოჯობხეთად"²¹.

თავისთავად "წინამძღურის" გამოცემა, – თუნდაც ამდენად დაგვიანებული, – უთუოდ ღირებული შენამატია ყველა იმისათვის, ვისაც, ერთი მხრივ, სწადია, საღმრთისმეტყველო-დოგმატური პირველწყაროების სამოძღვრო სულს დაეწაფოს, ხოლო, მეორე მხრივ, ვისთვისაც ტექსტი ფილოლოგიური ინტერესების საგანს წარმოადგენს: ძველი ქართული ლიტერატურისა თუ ძველი ქართული ენის შემსწავლელთათვის.

გამოქვეყნებულ ტექსტს წინ უძღვის ვრცელი გამოკვლევა, რომელიც ფილოლოგიურ, კოდიკოლოგიურ, ტექსტოლოგიურ, მეთოდოლოგიურ, ტერმინოლოგიურ საკითხებს წამოჭრის, ამასთანავე, თან ერთვის ლექსიკონი (ფაქტობრივ, ქართულბერძნული) და ტექსტის ანალიტიკური საძიებელი (რომელსაც სახელად "პირთა საძიებელი" ჰქვია, თუმცა მასში ცალკე სტატიები დაა შესული, აგრეთვე, საეკლესიო კრებები და ქრისტიანული მიმდინარეობანი, – უმათავრესად ერესები). მართალია, ნაშრომშიც და საძიებელშიც მრავალი უზუსტობაა გაპარული²² და, ამავე

21 იქვე, გვ. 166-167.

22 თვალშისაცემია თუნდაც ტერმინების მეტად არასწორი გამოყენება (მაგალითად, "კულტუროლოგია", "იდეოლოგია", "ჰუმანიზმი", "პროგრესი", "მისტიკა", "დეფინიცია" და სხვ. სანიმუშოდ: "სააზროვნო დეფინიციები შეერწყა კულტის (რელიგიის) მისტიკას" – წინამძღუარი, გვ. 97); ანდა განა შესაძლებელია სერიოზული მსჯელობა შუა საუკუნეების რიტორიკულ კულტურაში პიროვნულობისა და პირადი ემოციების შესახებ ამგვარ განზომილებაში: "ეფთვიმე მწვალელებთან პოლემიკისას მხოლოდ შეურაცხმყოფელი ეპითეტებით არ იფარგლებს. მწვავე ტონი მისი პიროვნულ-ემოციური განწყობის გამოვლენაა" (იქვე, გვ. 115)? საძიებელში კი, მაგალითად, მოცემულია სრულიად წარმოდგენელი ცნობა, რომ IV საუკუნის კონსტანტინოპოლურ

დროს, ზედმეტი ნამდვილად არ იქნებოდა ამ ნაწილების როგორც თეოლოგიური, ისე სტილისტური საფუძვლიანი “გაშალა-შინება”, წიგნი – უწინარეს ყოვლისა, თავად გამოცემული ძველი ქართული ტექსტი – მაინც გზის გამკვლევად გამოადგება ყველა იმას, ვისაც ამიერიდან მოუწევს სულიერ, ინტელექტუალურ თუ პროფესიულ საჭიროებათათვის ეფთვიმე მთაწმიდლის “წინამძღუარს” მიმართოს.

2010

ლი ეპისკოპოსი მაკედონიოსი (რომელსაც სამღვდელმთავრო საყდარი ეპყრა 342-346 და 351-360 წლებში), მაკედონიელთა ერესის ფუძემდებელი, თურმე ყოფილა მე-18 საუკუნეში აღმოცენებული რუსული სექტის, დუხო-ბორების, მეთაური (“ითვლება დუხობორების მეთაურად” – იქვე, გვ. 349)!

ათონის ქართული მონასტრის აღაპების დაგვიანებული გამოცემა

ნიკო ბერძენიშვილი, ათონის ივერთა მონასტრის
აღაპები, თბ.: ახალი ივირონი, 2007, 356 გვ.

საქართველოში ჰუმანიტარულ კვლევათა ისტორია სულ რამდენიმე შემთხვევას მოითვლის, როცა შეცნიერის ნაშრომთა უმეტესი და უმთავრესი ნაწილი, ან, ფაქტობრივად, თითქმის მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობა მკვლევრის გარდაცვალების შემდგომ შეკრებილა და გამოცემულა. ერთი ამგვარი, მეხსიერების მიერ უმაღლესი ავტორიტეტის წარსულიდან, ნიკო ბერძენიშვილის (1894-1965) გამოკვლევათა ერთობლიობაა, რომელიც "საქართველოს ისტორიის საკითხების" სახით ცხრა (ან ათ) ტომად შეიკრა (1964-1979, 1990). რაკილა მთელი ხსენებული კრებულიდან მხოლოდ პირველი ტომი გამოქვეყნდა ავტორის ცხოვრების მიწურულს, ხოლო სიცოცხლის განმავლობაში მას არც ფართო სახის რამე მონოგრაფია გამოუცია და არც რჩეული ნარკვევების ღირსშესანიშნავი კრებული, შეიძლება ითქვას, რომ ამ გამორჩეული ნიჭიერებისა და მკაფიო მეთოდური ხედვის ისტორიკოსის სამეცნიერო ძიებათა შედეგები მხოლოდ მისი სიკვდილის შემდგომ გამოვლინდა. ისიც ღირებულია, რომ სწორედ აქ, ნაკრების სხვადასხვა ტომში გაერთიანდა მეცნიერის მრავალი წვრილ-წვრილი ტექსტი, – გამოხმაურება, რეცენზია, შეფასება, გამოსვლა, ჩანაწერი, – რომლებიც დღესაც კი უთუოდ მეტად ნაყოფიერ, შთამაგონებელ წყაროდ ჩანს მომავალი საისტორიო კვლევებისათვის.

მას შემდეგ, რაც "საკითხების" ცხრა ტომი დალაგდა, მას შემდეგ, რაც ხელახლა, თავდაპირველი სახით, ავტორისეული ვერსიით გამოქვეყნდა კომუნისტური ცენზურის მიერ დახეიბრებული მერვე ტომი (უკვე დანომრვის გარეშე, – უბრალოდ, იმავე სათაურით), მას შემდეგ, რაც თანდათანობით გამომხეურდა ისტორიკოსის საარქივო მასალები, თითქოსდა ივარაუდებოდა, რომ ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა უკვე ქართვე-

ლი მკითხველის წიგნის თაროზე იყო დავანებული. მაგრამ ცოცხლის წინათ გამოიყა კიდევ ერთი, დაუბეჭდავი მასალა მეცნიერის არქივიდან, – მთელი წიგნი, – რომელიც, სხვათა შორის, მანამდეც იყო ცნობილი მცოდნეთათვის და ისინი წლების განმავლობაში სარგებლობდნენ კიდევ ამ ნაშრომის გამოუქვეყნებელი ხელნაწერით. საქმე შეეხება ათონის ქართული მონასტრის, – ივირონის, – აღაპების მეცნიერულ და კომენტირებულ გამოცემას, ამავე დროს, ამ ტექსტის აღმწერელ და შემსწავლელ ვრცელ გამოკვლევას, რომელიც, ფაქტობრივ, ქრონოლოგიურად მკვლევრის სამეცნიერო საქმიანობის დასაწყისში შესრულდა.

ნიკო ბერძენიშვილის საარქივო მასალა გამოსაცემად დაამზადეს და წიგნად აქციეს მამისა ბერძენიშვილმა და დარეჯან მეგრელაძემ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ათონის ქართული მონასტრის ისტორიის შესწავლა უკანასკნელ ხანს შესამჩნევად გაფართოვდა და შეივსო ახალი წყაროებითა თუ გამოკვლევებით. სულ ბოლო, უმნიშვნელოვანესი შენაძენი ამ თვალსაზრისით ივირონის აქტების სრული ფრანგული გამოცემის (1985-1995) ქართული თარგმანია, რომელიც 2008 წელს უზარმაზარ ოთხ ტომად გამოქვეყნდა¹. ცოცხლის წინ ხელახლა გამოიყა პეტრე კონჭოშვილის იერუსალიმში და ათონზე მოგზაურობათა აღწერის წიგნი (1901) თანამედროვე წინასიტყვაობით². მანამდე კი, 1990-იან წლებში, ელენე მეტრეველმა ორი წიგნი მიუძღვნა ქართველ ათონელთა საქმიანობასა და ღვაწლს: ერთი, 1996 წელს გამოცემული, ნარკვევების კრებულია ათონის ისტორიის შესახებ³,

1 ივირონის აქტები, I, დაარსებიდან XI საუკუნის შუა წლებამდე, დიპლომატიკური გამოცემა, თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 2008, 426 გვ.; ივირონის აქტები, II, XI საუკუნის შუა წლებიდან 1204 წლამდე, დიპლომატიკური გამოცემა, თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 2008, 494 გვ.; ივირონის აქტები, III, 1204-1328, დაარსებიდან XI საუკუნის შუა წლებამდე, დიპლომატიკური გამოცემა, თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 2008, 504 გვ.; ივირონის აქტები, IV, 1328 წლიდან XVI საუკუნის დამდეგამდე, დიპლომატიკური გამოცემა, თბ.: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 2008, 344 გვ.

2 პეტრე კონჭოშვილი, მოგზაურობის იერუსალიმსა და ათონის მთაზე, გამოსაცემად მოამზადა ზაზა ვაშაყმაძემ, თბ.: ნეკერი, 2010.

3 ელენე მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ.: ნეკერი, 1996; მისი სხვა, უფრო ადრინდელი ნარკვევები ათონის შესახებ შესულია კრებულში: ელენე მეტრეველი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, ნაკვეთი I, თბ.: არტანუჯი, 2007, გვ. 7-126.

ხოლო მეორე, 1998 წელს გამოქვეყნებული, – ათონური საალაპე ჩანაწერების წიგნი⁴. სწორედ ეს უკანასკნელი იკვლევს იმავე საკითხებს, რომელთაც ნიკო ბერძენიშვილი იკვლევდა და გამოსცემს იმავე ტექსტს, რომელიც მასვე ჰქონდა გამოსაცემად მომზადებული. სხვათა შორის, წინამორბედის ღვაწლი, – გარდაცვლილი ისტორიკოსის სწორედ გამოუქვეყნებელ მასალაზე დაყრდნობით, – სრულადაა გათვალისწინებული აღაპების მეტრეველისეულ გამოცემაში.

რაც შეეხება ახლახან გამოცემულ ნიკო ბერძენიშვილის “ათონის ივერთა მონასტრის აღაპებს”, მისი კვლევითი ნაწილის ერთი მონაკვეთი, – “ათონის კრებულის” რედაქციის” სახელწოდებით, – ადრეც იყო გამოქვეყნებული ცალკე სტატიის სახით⁵.

ამუამად წიგნის სახით, – რომელსაც, როგორც ჩანს, სათაური გამომცემლებმა მიაკუთვნეს, – გაერთიანებულია მეცნიერის ორი ნაშრომი მისი არქივიდან: ერთია ვრცელი გამოკვლევა ათონის წინამძღვართა ქრონოლოგიისა და აღაპების შესახებ (16-189)⁶, ხოლო მეორე – თავად აღაპების ტექსტი (223-282), რომელსაც წინ უძღვის შედარებით მოკლე შესავალი (194-222), თუმცა არ ერთვის ნაფარაუდები კომენტარები, რაკი ისინი ავტორს დაუწერელი დარჩა. ისიც სათქმელია, რომ ეს დანაკლისი ანაზღაურებულია იმ მოზრდილი გამოკვლევით, რომელიც წიგნის პირველ ნაწილშია გამოქვეყნებული.

აღსანიშნავია, რომ გამოკვლევაში, სადაც უწინარესად შესწავლილია აღაპთა მონაცემები და შედარებულია ისინი სხვა წყაროებთან, განხილულია ათონის ისტორიის საკითხებიც და, ასევე, არაერთი გვერდითი საკითხიც: მაგალითად, ივირონის მონასტრის წინამძღვრის დადგინების წესი (101-103) თუ ილარიონ ქართველის ცხოვრებისა და საგალობელთა დათარიღება (34-35); სვიმეონ და ნიკოლოზ გულაბერისძეთა ვინაობა და ქრონოლოგია (168-177, 181) თუ თამარის მეფობამდელი დედოფლობა (168); ინდიქტიონის, ანუ წელთაღრიცხვის ათვლის წესი ბერძ-

4 ელენე მეტრეველი, *ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი*, თბ.: სკოლა, 1998.

5 ნიკო ბერძენიშვილი, “ათონის კრებულის” რედაქცია, ა) *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XI-B, 1941, გვ. 25-40; ბ) ნიკო ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, IV, თბ.: მეცნიერება, 1967, გვ. 196-216.

6 ფრჩხილებში მითითებულია წიგნის გვერდები.

ნულ-ქართულ წყაროებში (177-181) თუ ანდრონიკე და ალექსი კომნენოსების ურთიერთობანი საქართველოსთან (154-157).

სიმართლე რომ ითქვას, აღაპებში დაცული ისტორიული მონაცემები დღეს ბევრწილად, შესაძლოა, სხვაგვარად განიხილება, რაც განაპირობა ახალი მასალებისა თუ ახალი წყაროების გამოვლინებამაც, ახალ ინტერპრეტაციათა გამოჩენამაც. ყოველი შემთხვევისას, ნიკო ბერძენიშვილის ნაშრომი მნიშვნელოვანი შენამატია ათონის ქართულ კვლევათა ისტორიისათვის და ამიტომაც ნამდვილად საჭირო იყო მისი – თუნდაც ესოდენი დაგვიანებით – გამოქვეყნება.

თავად აღაპთა ტექსტები საყურადღებოა უწინარესად მათში დაცული სხვადასხვა ისტორიული ცნობის მოპოვების თვალსაზრისით, და არა იმდენად მათი ლიტერატურული თუ საღმრთისმეტყველო-სულიერი ღირებულებების გამო, რაც მათ ნაკლებად ახასიათებს. თაქტობრივად, აღაპები ხშირად ერთადერთ საფუძველს იძლევა ქართული თუ არაქართული ათონის ისტორიის ზოგიერთი ფურცლის გასარკვევად, გასაგებად, დასადგენად, და ნიკო ბერძენიშვილიც საგულდაგულოდ სარგებლობს ამ ხელმოსაჭიდი თაქტებით ივირონის მონასტრის ისტორიის აღსადგენად.

ყოველი ცალკეული აღაპი აღწერს ან აღნიშნავს იმ ღვაწლს, რაც მიუძღვის ამა თუ იმ აღამიანს მონასტრის წინაშე და, შესაბამისად, ადგენს მოსაგონარს მისი ხსოვნის აღსანიშნავად საღმრთისმსახურო წესის სახით. თვალშისაცემია, რომ აღაპთა უდიდეს უმრავლესობას ერთვის მტკიცე მოწოდება თუ გაფრთხილება, რათა ეს წესები გულმოდგინედ და სათანადოდ შესრულდეს, – ეს ფორმულა საკმაოდ ერთფეროვანია: “აღესრულებოდენ ყოველითა გულსმოდგინებითა წესისაებრ” (232)⁷; “ყოველითა გულმოდგინებითა აღესრულებოდენ აღაპი მისი” (251); “გარდაიჭდებოდის აღაპი მისი ძალისაებრ მოსწრაფებითა” (253); “აღესრულებოდის საუკუნოდ აღაპი მათი ყოველითა გულსმოდგინებითა წესისაებრ” (255); “ყოველივე დაუკლებლად აღესრულებოდენ” (258) და ა.შ. ამავე დროს, თითქმის ყოველ ჯერზე, ამ მოთხოვნას, მისი შეუსრულებლობის ან აღაპის წაშლის შემთხვევისას, სასტიკი სასჯელის მუქარა მოჰყვება ხოლმე, – რა თქმა უნდა, იგუ-

7 ციტატებში გახსნილია ქარაგმები და რამდენადმე გასწორებულია ორთოგრაფია.

ლისხმება სულიერი სასჯელი: "ვინ არა გარდაიჭდიდეს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი" (250); "ვინ არა აღასრულებდეს, ღმერთსა მან გასცეს სიტყუად" (260); "იყვენ წყეულ და შეჩუენებულ" (261); "ვინ უგულებელსყოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი" (262); "ვინცა უდებყოს ესე განწესებული ჩუენი, თანამდებ არს სასჯელსა და გეჰენიასა, და აღმასრულებელთა ზედა კურთხევაჲ იყოს საუკუნოდ" (263); "ვინცა ესე წერილი ამოჴოცოს, ა-მცა-ჴოცილ არს საჴსენებელი მისი წიგნისა მისგან ცხოველთაჲსა და შეჩუენებულ იყოს ნისტორს და ორიგენეს თანა და ყოველთა მწვალებელთა" (271) და ა. შ. ამ უკანასკნელ ჩანაწერში აღაპის ამომღლა მართლმორწმუნეობის დალატს უტოლდება. ზოგან აღაპის განწესების შეუსრულებლობას ან შეცვლას, საერთოდ, ქრისტიანობისაგან განკვეთის ქადილიც კი მოსდევს: "ვინ შეცვალოს, იგიცამცა შეიცვალების ქრისტიანობისაგან" (270). თუმცა მუქარის აღსრულება, როგორც გამოჩნდება, განკითხვის დღისთვისაა დადებული: "ღმერთმან საჴელი მიჴვადენ დღესა მას დიდისა განკითხვისასა" (274). როგორც ჩანს, – რაც ამ და ამგვარი ტექსტებიდან უეჭველად ცხადდება, – მეტად ღონიერი ყოფილა საფრთხე, დარღვეულიყო, არ აღსრულებულიყო აღაპის განჩინება.

რაც შეეხება საღმრთისმეტყველო შინაარსით გამორჩეულ ტექსტს, ამ მხრივ, – თაქტობრივად, ერთადერთი, – ყურადღებას იმსახურებს მწიგნობართუხუცეს იოანეს სახელზე ჩაწერილი აღაპი (272-274), რომელსაც, ნიკო ბერძენიშვილის სიტყვით, აქვს "სრული აღაპის სახე" (186)⁸ და რომლის შექმნა დაუეჭვებლად მიეკუთვნება გადამდგარ კათოლიკოს-პატრიარქს ნიკოლოზ გულაბერისძეს⁹.

აღაპის შესავალში, საღმრთო ისტორიისა და სამყაროს ხსნის ისტორიის სხარტად გადმოცემის შემდგომ, მსჯელობა ეხება ქრისტეს გამომსყიდველი მსხვერპლის, მისი დათხეული სისხლის მნიშვნე-

8 შღრ. ელენე მეტრეველი: "განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აღაპი განგების მრავალსახეობით და კომპოზიციის სისრულით. ამ თვალსაზრისით მის ანალოგს ვერ ვპოულობთ ვერც ათონისა და ვერც იერუსალიმის სააღაპე წიგნებში" – ელენე მეტრეველი, *ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი*, გვ. 261; იხ. აგრეთვე: ნიკოლოზ გულაბერისძე, *თხზულებანი, გამოსაცემად მოაშზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნესტან სულავამ, მცხეთა, 2007, გვ. 97-98.*

9 ამავე თვალსაზრისს მტკიცედ გამოთქვამს ელენე მეტრეველიც: ელენე მეტრეველი, *ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი*, გვ. 260-261.

ლობას: “აღნიშნულ ვიქმენით წმიდითა სისხლითა მისითა” (272). ასევე, გაცხადებულია, თუ როგორი პირადი ნიშუში, მაგალითი, “სახე” დაუდო იესომ ადამიანებს ჭეშმარიტების გზაზე საველეად: “ყოვლისა კეთილმოქმედებისა სახისა ჩუქნებით მარუქველობაჲ გზასა ჭეშმარიტებისასა, ესე იგი არს: სიმდაბლე, სიმშვედე, სიტკბოებაჲ და სიყუარული, გლახაკთა წყალობაჲ უსასყიდლოდ, ლოცვაჲ და მარხვაჲ და ღუწაჲ ყოველთავე სახიერებით, მოთმინებაჲ, ვნებაჲ და სიკუდილი” (272). ამ ჩამონათვალით, ფაქტობრივად, დასახულია ქრისტიანული სამონაზვნო იდეალი, რომელსაც უნდა მისდევდეს ყოველი მათგანი, ვინც სამოწესეო ცხოვრებას შეუდგა, მაგრამ არა მხოლოდ: საქმე ისაა, რომ აღაპი ამჟღერად ეძღვნება ერთი მოღვაწე ადამიანს, საერო მოხელეს, თუნდაც იგი სასულიერო პირი იყოს (როგორც ცნობილია, მწიგნობართუხუცესნი სასულიერო ფენას ეკუთვნოდნენ, – ისინი მღვდელმთავრები იყვნენ¹⁰). სწორედ იესოს ამ შთამავგონებელი პირადი მაგალითის მიმბაძველადაა წარმოჩენილი მწიგნობართუხუცესი იოანე, რომელმაც – “ყოვლისა სიბრძნით და გონიერებით გამომკულეველმან და მარადის მეძიებელმან სასუფეველსა და სიმართლესა მისსა ნათესავსა შორის ჩუენსა, თავისა თვისსა ბრწყინვალედ საცნაურმყოფელმან იოანე მწიგნობართუხუცესმან” (272-273) – გამორჩეული წვლილი შესძინა ათონის ქართულ მონასტერს, შემწეობა გაუწია მონასტრის საძმოს. რაკი საგანგებოდაა აღნიშნული, რომ იესოს საქმე იყო არა ოდენ ქადაგება და სწავლება – “არათუ ოდენ ხოლო სიტყვთ და არცა წინაწარმეტყუელთა და მოციქულთა მიერ გუაუწყა და განგვწესა სახე და კეთილმოქმედებისა მიმართ მარადის მოძრავობაჲ ცხოვრებისა მისთვის საუკუნოჲსა” (272) – და რომ მან, “არაარსობისაგან არსად მომყვანებელმან” (272), ქველი საქმეების ნიშუშიც მოგვეცა, ამგვარადვე, ამ მოწოდების მიბაძვად უნდა იქნეს მიჩნეული მწიგნობართუხუცეს იოანეს ცხოვრებაც, მისი ორმხრივი მიმართულება, ორმაგი განზომილება: ვერტიკალური და ჰორიზონტალური, რაც სწორედ ნამდვილი ქრისტიანული ცხოვრების მოდელადაა წარმოჩენილი, – ერთი მხრივ, ძიება სასუფეველისა (“მარადის მეძიებელმან სასუფეველსა”), ანუ ორიენტიაცია ზეცისკენ და, მეორე მხრივ,

10 ამ საკითხის საფუძველმდებრივ კვლევა ისევ ნიკო ბერძენიშვილს ეკუთვნის: ნიკო ბერძენიშვილი, “სავაზირო ფეოდალურ საქართველოში. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი” (1940), წგ-ში: ნიკო ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, III, თბ.: მეცნიერება, 1966, გვ. 5-56.

ზრუნვა "ნათესავის" მიმართ, ახლოს თუ შორს მყოფ თანატომე-
ლებზე, თანამცხოვრებლებზე, საკუთარ მოდგმაზე, ანუ ორიენტა-
ცია მიწისაკენ¹¹. ამიტომ, მოულოდნელი არაა, რომ ის ლექსებში,
რომელიც იესოს მიემართება – "კეთილმოქმედება" (272) ორჯერ
მეორდება იოანეს მიმართაც: "ყოველთა უკუქ კეთილმოქმედებათა
მისთა" (273), "საცნაურყო კეთილმოქმედებად თვისი" (273). გარჯა
ადამიანების მიმართ იესოს ცხოვრების მიბაძვა აღმოჩნდა, ხოლო
თავად ზრუნვის სწრაფვად და შედეგად კი მწიგნობართუხუცესი-
სათვის შორეულიც მახლობელი გამხდარა: "ჩუენ, შორიელთა
უმახლობელეს გუქქმნა" (273). შესაბამისად, თავისი ქმედებებით
იგი მახლობელი აღმოჩნდა ღმრთისათვისაც (ქვემოთ: "საკუთარი")
და ადამიანისათვისაც ("უმახლობელეს").

მაგრამ რა განსაზღვრავს იოანეს ქველ ქმედებას? იქნებ მისი
პიროვნული, ინდივიდუალური მორალური არჩევანი და გადაწ-
ყვეტილება? არამც და არამც! მისი ქმედების საწყისია ღმრთაებ-
რივი მოხმობა, მოწოდება, გამოწვევა ("მაწუეველობა"), რომლის
მიღევნებითაც მოქმედებს იგი მოყვასთა მიმართ გარჯისას, – "სი-
ყუარულითა საღმრთოდთა, რომელი-იგი დაუყენებელი არს და
განმკუქთელი ზღვსა და ჳმელისაჲ და ეთერისაჲ" (273). ამდენად,
ღმრთაებრივ სიყვარულს კონმოსური განზომილება და დაუძ-
ლეველი ძალმოსილება აქვს და სწორედ ეს ძალა ამოქმედებს,
წარმართავს იოანეს საქმიანობასაც, როცა იგი ზრუნავს მოძმე-
თათვის. და თუ იგი გზის სიშორეს ("სიშორესა გზისასა" – 273) და
ზღვათა უკიდევანობას ("სივრცესა ზღვსასა" – 273) არ უშინდება,
არა იმის გამო, რომ თავადაა უშიშარი, არამედ იმიტომ, რომ მას
ძალა მიანიჭა ("აღვრახსნა" – 273) "გულისმოდგინებამ შიშისა და
სიყუარულისა ღმრთისამან" (273). მოყვასის სამსახურში გამო-
იხატა ღმრთის მორჩილება და სიყვარული.

ხოლო კეთილმოქმედების უწყვეტობა, გაყოველწამიერება სა-
წინდარი ხდება ხსნისა ესქატოლოგიურ პერსპექტივაში: "კეთილ-

11 არა გამორიცხული, რომ აქ "სასუფეველის" სხვა, იშვიათი მნიშვნელობა იგუ-
ლისხმებოდეს: სოფელი, სამკვიდრებელი (მდრ. ილია აბულაძე, *ქველი ქარ-
თული ენის ლექსიკონი*, თბ.: მეცნიერება, 1973, გვ. 371). მაშინ ფრაზის – "მა-
რადის მეძიებელმან სასუფეველსა და სიშორელესა მისსა ნათესავსა შორის
ჩუენსა" – შინაარსი იქნება, რომ მწიგნობართუხუცესი იოანე ზრუნავდა, ქართ-
ველი მოწესებები სამყოფლითა (ანუ სამკვიდროთი) და სამართლიანობით უზ-
რუნველყო.

მოქმედებისა მიმართ მარადის მოძრავობად ცხორებისა მისთვის საუკუნოდსა, რადთა შვილ ნათლისა ვიპოვნეთ დღესა მას აღდგომისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა" (272).

საბოლოოდ, როგორ შეფასდა იოანე, თავის ქმედებებში თავისი სარწმუნოების გამომხატველი, რომელმაც თავისი თავი ბრწყინვალედ გამოავლინა, რომელმაც, შეიძლება ითქვას, ნამდვილი პიროვნული რეალიზაცია განახორციელა: "თავისა თვისისა ბრწყინვალედ საცნაურ მყოფელმან იოანე მწიგნობართაუხუცესმან" (273)? პასუხი უეჭველადაა გაცემული ("უჭეშმარიტესი ითქუმოდენ" – 273) და მისი დახასიათება იწყება იმით, რაც მან ქართველთა საძმოს გაუკეთა, ანუ რაც ცნობილია აღაპის შემქმნელთათვის მათი ახლო, სუბიექტური გამოცდილებიდან: "გამოგვჩნდა შემწე კეთილი მიჭირვებულობისა ჩუენისად", ხოლო შემდგომ გრძელდება მისი ობიექტური დახასიათება: "ქველისმოქმედი, სახიერი", ანუ, ზოგადად, მოყვასის შემწე და კიდევ, "ერთგული, საკუთარი და საყუარელი მონად ქრისტესი და ყოვლად წმიდისა დედისა მისისად – იოანე მწიგნობართაუხუცესი" (273). მოყვასის მიმართ სიახლოვემ უფლისა და მისი დედის მიმართ სიახლოვე განაპირობა.

გაწეული ღვაწლის სანაცვლოდ, ათონის ქართული მონასტერი მწიგნობართუხუცეს იოანეს სამუდამო მოხსენიებას უწესებს: "ესრეთ უკუქ განვაწესეთ ყოველთა ერთობით სიმტკიცისა და უქცევლობისათვის, რადთა მისმან ჩუენდა მომართმან საღმრთომან გულსმოდგინებამან მიიღოს ჩუენმიერიცა ნაცვლისგებად" (274). ივირონელთა მადლიერება კი წირვათა, ლოცვათა და პარაკლისთა იმ ვრცელ ჩამონათვალშია გამჟღავნებული, რომელთა აღსრულებასაც სავანის საძმო სამუდამოდ აწესებს (და რისი მოწადინეც იყო თავად მწიგნობართუხუცესიც). ამქვეყნად ამგვარი მადლის მიგება იმ აღამიანისათვის, რომელსაც მის "კეთილმოქმედებათა" გამო "მართალს" უწოდებენ და რომელიც ქებით ხსენებას იმსახურებს, ამავე დროს, "მომაცყუებელი", ანუ მომასწავებელია მარადიული ნაცვალგების ("საუკუნოდ გებისა") მოპოვებისა, – მიწიერი მადლიერება ზეციურ მადლში აირეკლება: "ამისთვის უკუქ და ჯერ-იყო ჩუენდაცა, რადთამცა ძალისაებრი ნაცვლისგებად ჩუენგანცა მიელო აქა განჩინებითა საუკუნოდ

გებისა მომატყუქბელი, რადთა წსენებად მართლისად ქებით აღესრულებოდის მარადის, რომელსა უკუქ და იგიცა წაღიერ იყო” (273).

ნიკოლოზ გულაბერისძისეული იოანეს დახასიათება იმაზეც მეტყველებს, რომ სულიერი ცხოვრებით მცხოვრები ადამიანები გვერდითაც, ახლოსაც მყოფობენ, და რომ მათი სახეები არაა საძებარი ოდენ გარდასულ წმიდათა შორის, რომელთა ნიმუშად – ივირონის გარემოში სრულიად ბუნებრივად – წმიდა მამები ეფთვიმე და გიორგი არიან სახელდებულნი (272).

მაინც რა დამსახურებათა გამო მისწვდომიან წმიდათა შორის ყოფნას ეფთვიმე და გიორგი, ხოლო მართალთა შორის – იოანე? ეს დამსახურებანი, რა თქმა უნდა, უწინარესად, სულიერ სფეროს განეკუთვნება და არა იმდენად ლიტერატურულსა თუ კულტურულს.

თუკი აქამდე, თუნდაც მე-19, თუნდაც მე-20 საუკუნეში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ქართველი ათონელების ღვაწლი წარმოჩნდებოდა ოდენ როგორც ლიტერატურულ-კულტურული საქმიანობა, ამჟამად დადგა დრო, კვლევა წარიმართოს ათონის ქართული მონასტრის მოწესეთა სულიერი მემკვიდრეობის ასათვისებლად: დადგინდეს მათი სულიერი ღვაწლის რაობა, შესწავლილ იქნეს მათი წვლილი სულიერების განვითარებაში, გაირკვეს მათი სულიერების სახე, აღიწეროს სარწმუნოებრივ-სულიერი სრულყოფის მათეული მიზანსწრაფვანი, გზანი თუ საშუალებანი, – ყოველივე ის, რა დანიშნულებითაც შეიქმნა და არსებობდა საუკუნეების განმავლობაში ათონის ქართული მონასტერი.

ამდენად და ამ თვალსაზრისით, დღეს გაუგებრობას უნდა მივაწეროთ, რომ წიგნის რედაქტორისეულ წინასიტყვაობაში სრულიად მცდარადაა წარმოდგენილი, ზოგადად, საქართველოს გარეთ მყოფ ქრისტიანულ მონასტერთა და, კერძოდ, ივირონის მიზანდასახულება: რომ მათი “ძირითადი დანიშნულება მსოფლიო ქრისტიანულ კულტურასთან ქართული კულტურის თანაზიარობა იყო” (5). ნამდვილად, ათონის ქართველ მოწესეთა სავანის ძირითადი დანიშნულება, – ისევე როგორც ყველა ქრისტიანული მონასტრისა, – სოფლიდან განდგომა და ღმრთისა და მოყვასის სამსახურში სულიერი სრულყოფის მიღწევა იყო.

ამ სინამდვილის დასტურად გამოდგება თუნდაც ის ტექსტი, რომელსაც ყურადღებას მიაპყრობს ნიკო ბერძენიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ ის ხელნაწერში აღაპებიდან მოშორებულ ადგილასაა მოთავსებული და ანდერძ-მინაწერად ერთვის წმიდა მოციქულის იოანე ღმრთისმეტყველის ცხოვრებას. ეს მეტად საგულისხმო ტექსტი ეკუთვნის მიქელ დაღალისონელს, ათონის კრებულის ერთ-ერთ შემდგენელსა და გადამწერს (ნიკო ბერძენიშვილის მიხედვით, იგი ამ კრებულის პირველი რედაქტორი ყოფილა), ხოლო მისი თხოვნა-ვედრება ამ მოზრდილი ანდერძიდან ამგვარია: "აწ წმიდანო ღმრთისანო, რომელნიცა აღმოიკითხვიდეთ, ნუმცა დავიწყებულ ვართ წმიდათა შინა ლოცვათა თქვენთა" (27) და შემდგომ: "აწ თუ ესეცა გარდავლო და მიწად მივიქცე და ყოვლითურთ უჭმარ ვიქმნა, ხოლო თქუენ ნამუშაკევი რაჲ იხილოთ, მუშაკი [...] გეჯსენედ, რაჲთა თქუენცა მოგიჯსენნეს ქრისტემან სასუფეველსა მისსა, ამინ!" (27)¹². ცხადია, ამ სიტყვებით მონაზონი მიქელი იმედს გამოთქვამს, რომ ის წმიდანი, რომლის ცხოვრებასაც იგი წერს ან გადაწერს, მისთვის ილოცებს ღმრთის წინაშე, ხოლო მაშინ, როცა დამწერ-გადამწერი მიწად იქცევა, მისი "ნამუშაკევი", ანუ ნაშრომი საწინდარი გახდება ხსენებისა და ხსნისა. ამრიგად, წიგნის წერა თუ გადაწერა სულის მსახურებაა. მაგრამ შესაძლებელია თუ არა ვარაუდი, რომ ამჯერად ხსენება, ზოგადად, გახსენებას გულისხმობდეს? მონაკვეთის კონტექსტი მხოლოდ ერთადერთი განმარტების საშუალებას იძლევა: ხსენება ნიშნავს ლოცვაში მოხსენიებას და მიზნად ისახავს ხსნის მიღწევას. მწერალი შესთხოვს მკითხველს, ახსენოს იგი, ანუ ილოცოს მისთვის და, შესაბამისად, მომხსენიებელიც მოხსენიებული იქნება ქრისტეს მიერ თავის სასუფეველში.

ეს ერთი ნიმუშიც ნათლად მეტყველებს, რომ მონასტერში ყოველგვარი კულტურული საქმიანობის მიზეზი და საფუძველი სულიერი ხსნაა და არა უშუალო, უპირობო, უანგარო სამსახური კულტურისა, რაც არც შეიძლება მე-10, მე-11, მე-12 საუკუნის სასულიერო მოღვაწის ქმედებათა ბიძგი ყოფილიყო.

12 შტრ. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, თბ.: საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, 1901, გვ. 175.

მომავალი კვლევებისათვის – ამჯერად ქართველ ათონელთა სულიერების შესასწავლად – საფუძველი ყოველმხრივ მომზადებულია: ღირებულია ის წვლილი და სასარგებლოა ის მონაპოვარი, რაც სხვადასხვა თაობის მკვლევართა ნაშრომებში დაგროვებულია. მათ შორის თავისი ადგილი დაიკავა ნიკო ბერძენიშვილის ამ ნაშრომმაც, რომელიც “ათონის ივერთა მონასტრის აღაპების” სახელწოდებით მხოლოდ ახლახან, დაწერიდან რამდენიმე ათწლეულის გასვლის შემდგომ გამოქვეყნდა.

კვლევა ქართველ ათონელთა შესახებ გრძელდება...

2011

აკაკის ოცტომეულის პირველი ტომი

აკაკი წერეთელი, *თხზულებათა სრული კრებული*:
ოც ტომად, ტომი I: ლექსები, 1856-1880; თბ.: ლი-
ტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010,
466 გვ.

უჩვეულო აღმოჩნდა აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულების ხვედარი: მიუხედავად იმისა, რომ შვიდტომეულს (1940-1959) "სრული კრებული" ერქვა, ნათელი იყო, რომ რედაქციას – განსაკუთრებით ბოლო ტომებში – არც უცდია, გამოცემა ამომწურავი ყოფილიყო¹, რისი მიზეზი თუნდაც ის იყო, რომ ამ ბოლო ტომების გამოსვლას მომდევნო, უფრო სრული კრებულის გამოცემა წამოესწრო; სწორედ ეს, შვიდტომეულის დაწყებიდან ათი წლის შემდეგ წამოწყებული თხუთმეტტომეული (1950-1963) თავისთავად გულისხმობდა, რომ ის თუნდაც ქრონოლოგიური დისტანციისა და ტომთა რაოდენობის გამო არსებულ გამოცემათა შორის – პირველ ყოვლისა, წინამორბედთან შედარებით – უფრო სრული და სრულყოფილი იქნებოდა, მაგრამ, ფაქტობრივ, ტექსტების რაოდენობით თხუთმეტტომეული შესამჩნევად ჩამორჩებოდა შვიდტომეულს (მაგალითად, თხუთმეტტომეულში გაუჩინარებულა შვიდტომეულში გამოქვეყნებული ოთხ ათეულზე მეტი ლექსი და ხუთი პოემა), რასაც კურიოზული შედეგებიც მოჰყვა, როცა აკაკის შემოქმედების მკვლევარს მშვიდად შეეძლო განეცხადებინა, რომ პოეტის ესა თუ ის ტექსტი შესული არაა თხზულებათა გამოცემებში (რაკი ეს მკვლევარი უკანასკნელ და, მისი თვალსაზრისით, ყველაზე სრულ გამოცემას ეყრდნობოდა) და ამ დროს ეს ტექსტი დაბეჭდილი იყო, ერთი შეხედვით, უფრო ნაკლებად შვიდტომეულში; შემდგომ,

1 იხ. თუნდაც მე-7 ტომის "წინასიტყვაობა": "აკაკი წერეთლის თხზულებათა ამ კრებულში არ შევიდა გეგმით განზრახული პოეტის მიწერ-მოწერა, კერძო წერილები, რაც ერთი ტომის მასალას შეიცავს" – აკაკი წერეთელი, *თხზულებანი: სრული კრებული შვიდ ტომად, ტომი VII*, სოლომონ ხუციშვილის რედაქტორობით, თბ.: სახელგამი, 1959, გვ. 7.

1991 წელს დაიწყო აკაკის თხზულებათა ახალი სრული კრებულის – თერამეტრომეულის – გამოცემა, რომლის პირველ ტომს, ეულად დარჩენილს, გაგრძელება აღარ მოჰყოლია².

ახლახან, 2010 წლის მიწურულს, აკაკის დაბადების 170 წლის-თავის თარიღის აღსანიშნავად, გამოქვეყნდა პირველი ტომი პოეტის თხზულებათა სრული კრებულის ოცტომეულისა, რომლის გამოცემასაც შეუდგა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი (გამოცემის მთავარი რედაქტორი – ირმა რატიანი, პასუხისმგებელი მდივანი – ჯულიეტა გაბოძე)³.

ამ ახალი კრებულის რედაქტორ-გამომცემელთა წინაშე რამდენიმე ამოცანა იდგა, რომელთა აღსრულება თავდაპირველად ჯერ კიდევ თერამეტრომეულის მომზადებისას, გასული საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების მიჯნაზე, იქნა დასახული მიზნად:

პირველ ყოვლისა, საჭირო და აუცილებელი იყო, თხუთმეტტომეულის შობისეული დამლის აღმოფხვრა: იმ ტექსტების დაბრუნება თხზულებათა შორის, რომლებიც მანამდე იყო ცნობილი და გამოქვეყნებული (ხშირად – ავტორის სიცოცხლეშიც კი!), მაგრამ კომუნისტური საგამომცემლო კონიუნქტურის გამო პოეტის ტომებში ვერ მოხვდა. უცნაური იყო საბჭოთა ცენზურის თავად ეს ერთი გრიმასა: ის, რაც ნებადართული იყო 40-იან წლებში (თუნდაც ზემორეხსენებული რამდენიმე ათეული ლექსი და რამდენიმე პოემა), აკრძალული აღმოჩნდა 50-იან წლებში; თუკი 40-იან წლებში მიიჩნეოდა, რომ, რაკილა კლასიკოსის ტექსტი წარსულს მიეკუთვნებოდა, ის ხელუხლებელი რჩებოდა, 50-იან წლებში იმავე ტექსტების შინაარსსა თუ კონტექსტში სახიფათო მიმართებანი და ალუზიები შენიშნეს. შესაბამისად, გამოცემიდან დაუნდობლად ამოყარეს, ერთი მხრივ, რელიგიური მისწრაფების და, მეორე მხრივ, ანტირუსულ ან ანტისომხურ გამოვლინებათა მატარებელი პოეზია. ამდენად, იმდროინდელი ცენზურა, პარადოქსულად, თავისი ამ საქციელით უნებურად აღიარებდა,

2 დაწვრილებით საგანგებო ნაშრომი აკაკის თხზულებათა გამოცემების შესახებ იხ.: ჯულიეტა გაბოძე, *აკაკის თხზულებათა გამოცემები*, თბ.: ლიტ-ის ინ-ტის გამ-ბა, 2009.

3 აკაკი წერეთელი, *თხზულებათა სრული კრებული*: ოც ტომად, ტომი I: ლექსები, ტომი გამოსაცემად მოამზადეს, ვარიანტები, შენიშვნები და კომენტარები დაურთეს ელისაბედ ზარდიაშვილმა და ზურაბ ჭუმბურიძემ; ტომის რედაქტორი იუზა ევგენიძე; თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

რომ დროთა განმავლობაში ნელ-ნელა უფრო ცხადი ხდებოდა კლასიკური ტექსტების აქტუალობა.

ზოგადად, ერთი რამ უნდა ითქვას: გულსატკენია, რომ მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი წარმომადგენლის თხზულებათა სრული, აკადემიური გამოცემები (რომელთა რიცხვი არცთუ მცირეა!) განხორციელდა საბჭოთა პერიოდში, და ამდენად, არც მკითხველმა და არც მკვლევარმა არასოდეს იცის, – იმდროინდელი ცენზურული პირობების გამო, – რამდენად სანდო და რამდენად სრულია ესა თუ ის გამოცემა, ან კიდევ, რამდენად ასახავს ის პირველწყაროს, – თუნდაც ხელნაწერს, თუნდაც პირვანდელ გამოცემას.

მეორე ამოცანა იყო, კრებულში შეტანილიყო ყველა ის ტექსტი, რომლებიც თხუთმეტომეულის გამოცემის შემდგომ აღმოჩნდა და წლების განმავლობაში ქვეყნდებოდა სხვადასხვაგან (აკაკის ცალკეული ნაწარმოებები ან მათი ახლადმიგნებული ვარიანტები, პუბლიცისტიკა, გამომხმაურებანი, პირადი წერილები, ანდა ტექსტები, ბოლო ხანს შეგროვებული და გამოცემული კრებულებში: "უცნობი აკაკი"⁴ და "აკაკის უცნობი ნაწერები"⁵). ყოველი მათგანისათვის ადგილის მიჩენა პოეტის თხზულებათა შორის, – ნაწერების ერთ მთლიან და ამ ეტაპზე ამომწურავ კრებულში, – უთუოდ იმგვარი საშური საქმეა, რომელიც ახალ პერსპექტივებს დაუსახავს აკაკის შემოქმედებისა და, საერთოდ, ქართული ლიტერატურისა თუ კულტურის მკვლევართ.

მესამე, კიდევ ერთხელ, გულდაგულ და ყურადღებით, უნდა შემოწმებულიყო ყველა შესაძლო გამოცემა და ყველა შესაძლო არქივი აკაკის აქამდე უცნობი ტექსტების ან ნაცნობი ტექსტების უცნობი ვარიანტების, ან კიდევ, პოეტის შემოქმედებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ახალი საბუთის მოსაპოვებლად. გამოირკვა, რომ თხუთმეტომეულში არათუ გამოუქვეყნებელი ტექსტები, არამედ ზოგჯერ ზოგიერთი ავტორისეული ბეჭდური გამოცემაც კი გაუთვალისწინებელი აღმოჩნდა (მაგალითად, პოეტისეული კრებული "სალამური"⁶). ამგვარი ფართო

4 უცნობი აკაკი: ახლად გამოვლენილი ნაწარმოებები, გამოსაცემად მოამზადეს იუზა ევგენიძემ და ნანა ფრუიძემ, თბ.: თსუ-ს გამ-ბა, 2001.

5 ელისაბედ ზარდიაშვილი, აკაკის უცნობი ნაწერები, თბ.: ავტოგრაფი, 2005.

6 იხ. ჯულიეცა გაბოძე, აკაკის თხზულებათა გამოცემები, გვ. 108-117.

ძიებისას აპრიორულადაც მოსალოდნელი იყო ძველი წიგნების, პრესისა თუ ხელნაწერების სხვადასხვა საცავებში იმგვარი გაუთვალისწინებელი თუ გამორჩენილი მასალის აღმოჩენა, რომელიც არაერთი ახალი შენამატით შეავსებდა აკაკის თხზულებათა სრულ კრებულს.

მეოთხე, პოეტის თხზულებათა მთელი გამოცემა უნდა დაყრდნობოდა ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველსა და წესებს. საქმე ისაა, რომ ჯერ შვიდტომეულის სხვადასხვა ტომს გამოსაცემად ამზადებდნენ გამოკვეთილი და განსხვავებული შემოქმედებით-კვლევითი ინდივიდუალობის მქონე რედაქტორ-გამომცემლები⁷, რამაც განაპირობა ცალკეული ტომების ტექსტოლოგიური სტრატეგიისა და თანდართული კვლევით-საკომენტარო აპარატის სრულიად ნაირსახოვანი, თვალშისაცემად არაერთგვაროვანი სტილი; ასევე, შემდგომ, თხუთმეტომეულის გამოცემა, მართალია, უმთავრესად გიორგი აბზიანიძის რედაქციით განხორციელდა, მაგრამ მისი ცალკეული ტომების გამზადება მაინც სხვა რედაქტორებსაც ჰქონდათ მინდობილი, რის გამოც, ვთქვათ, იოსებ გრიშაშვილის რედაქციით გამოცემული ტომები მკვეთრად განსხვავდებოდა სხვა ტომებისაგან, ერთი მხრივ, ტექსტის გამოცემის პრინციპებითაც და, მეორე მხრივ, ტექსტოლოგიური აპარატითაც (მაგალითად, ამ ტომებს არ ერთვის, რაც სხვა ტომებისათვისაა ჩვეული: ვარიანტების ერთიანი და ამომწურავი ნუსხა)⁸. მოკლედ, ახალ გამოცემაში აუცილებელი იყო საფუძველმდებ ტექსტოლოგიურ პირობათა ინტეგრალური გააზრება, მათი გამოყენება და გან-

7 თხზულებათა კრებულის ამ გამოცემას ოცტომეულის წინასიტყვაობაში არაზუსტად ეწოდება პავლე ინგოროყვას რედაქციით შესრულებული გამოცემა (და თანაც მისი გასრულების თარიღიც არასწორადაა მითითებული – აკაკი წერეთელი, *თხზულებათა სრული კრებული*: ოც ტომად, ტომი I, გვ. VI), თუმცა შვიდტომეულის I და II ტომის რედაქტორებია აღექვსანდრე აბაშელი და პავლე ინგოროყვა, პავლე ინგოროყვაცვე რედაქტორობდა IV ტომს, იოსებ გრიშაშვილი – III და V ტომებს, ლევან ასათიანი – VI ტომს, სოლომონ ხუციშვილი – VII ტომს, თუმცა მისივე მომზადებულია გამოსაცემად VI ტომიც.

8 მდრ. თხუთმეტომეულის ერთ-ერთი შემფასებლის დაკვირვება: "პირველი ოთხი ტომის სამეცნიერო აპარატი ისე განსხვავდება მე-5-6 ტომებისაგან, თითქოს ისინი ორ სხვადასხვა გამოცემას ეკუთვნოდნენ" – ცირა კალაძე, "ქართველ კლასიკოსთა პუბლიკაციის ზოგიერთი საკითხი", *ლიტერატურული ძიებანი*, XII, 1961, გვ. 378. სხვათა შორის, იგივე შეიძლება ითქვას, მე-9 და მე-10 ტომებზეც მთელი კრებულის ტექსტოლოგიურ კონტექსტში.

ფენა მთელს კრებულში და, ზოგადად, გამოცემის წესებისა და თანდართული აპარატის სრული უნიფიცირება.

მეხუთე, აუცილებელი იყო ქართველი კლასიკოსების აკადემიურ გამოცემებში მეოცე საუკუნის განმავლობაში დამკვიდრებული ერთი მანკიერი პრაქტიკის უარყოფა: როცა ტექსტები ორთოგრაფიულად სწორდებოდა ან თანაბრდებოდა სალიტერატურო ენის თანამედროვე ნორმების მიხედვით, რითაც სრულიად ბუნდოვანდებოდა ავტორის ენობრივი პორტრეტი და, ამავე დროს, გამოცემული ტექსტები კარგავდნენ თავისთავად ლინგვისტურ-ისტორიულ ფასეულობას – მათი გამოყენების შესაძლებლობას – ეპოქისეულ ენობრივ მონაცემთა მოსაპოვებლად, დასადასტურებლად თუ აღსაწერად.

მეექვსე, საჭირო გახდა ტექსტოლოგიურ ტრადიციათა მრავალფეროვნებაში არჩევანის გაკეთება: ჩამოყალიბებულიყო კომენტართა გარკვეული მოდელი და ფარგლები (მაგალითად, უაღრესად საგულისხმო კომენტარები თუნდაც ინგოროყვასეულ, თუნდაც გრიშაშვილისეულ – არა მხოლოდ აკაკის თხზულებათა – გამოცემებში ხშირად გადაზრდილი იყო ფართო თვალსაწიერის კვლევით სტატიაში). ამავე დროს, ზოგადად, დასაძლევ იყო კიდევ ერთი მანკიერი დაუწერელი წესი: ბოლომდე და გულწრფელად არ თქმულიყო პიროვნულ თუ იდეოლოგიურ უხერხულობათა შესახებ, მიჩქმალული დარჩენილიყო წინააღმდეგობანი, შერბილებულიყო ყოველგვარი მკვეთრი კუთხეები მწერლის ბიოგრაფიასა თუ შემოქმედებაში (ვთქვათ, მიჩუმათებულიყო მწვავე პირადი ურთიერთობანი მწერალთა შორის), და კიდევ, იმავე კომუნისტური კონიუნქტურის გამოისობით, არცთუ იშვიათად ვერ ხერხდებოდა მნიშვნელოვანი ფაქტებისა თუ პიროვნებათა, საერთოდ, მოხსენიება კომენტარებში.

მეშვიდე, აუცილებელი იყო, თხზულებათა აკადემიურ გამოცემებს დართოდა სხვადასხვა სახის საძიებლები, რათა მკვლევართათვის (რადგან, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მათ განეკუთვნება აკადემიური გამოცემები!) გაადვილებულიყო მათში მოთავსებული მასალით სარგებლობა და შემდგომი კვლევითი საქმიანობის წარმართვა.

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის ოცტომეულის უკვე გამოქვეყნებული პირველი ტომი გვაიმედებს, რომ ჩამოთვლილი ამოცანები დაძლეული იქნება მთელი გამოცე-

მის მანძილზე, რადგან – წინათქმაც ამას მეტყველებს – გამოცემის კონცეფცია მკაფიოდ გააზრებული და გონივრულად დაგეგმილი ჩანს. სხვა თუ არაფერი, სავარაუდოა, რომ გამოცემის გასრულების შემდეგ სულს მოითქვამს აკაკის შემოქმედების ნებისმიერი შემსწავლელი, ნებისმიერი ის მკვლევარი, რომელსაც აკაკისეული კორპუსის მთელი სისრულით აღქმა დასჭირდება და რომელიც აქამდე იძულებული იყო, "თხზულებათა სრული კრებული" თხუთმეტტომეულს არ დასჯერებოდა და მუდმივად ეძებნა ან ემოწმებინა აკაკის უკვე ცნობილი ტექსტები ბევრ სხვა გამოცემაშიც, თუნდაც შვიდტომეულში (გულდასაწყვეტია, რომ გასული საუკუნის 50-იან წლებში აკრძალული – თუმცა ცნობილი – ამ ტექსტების ლექსიკა არ აისახა, ვთქვათ, აკაკის პოეზიის სიმფონიაში⁹, რის გამოც – სხვა მიზეზთა გარდა – დაქვეითებულია ამ სიმფონიით სარგებლობის ნაყოფიერება).

რა შეიძლება ითქვას ზემორე ჩამოთვლილი ამოცანების განხორციელების შესახებ ამჟამინდელ ეტაპზე, – თხზულებათა ოცტომეულის პირველი ტომის თვალსაწიერიდან?

პირველი: პოეტის შემოქმედების იმ პერიოდიდან, რომელიც წარმოდგენილია გამოქვეყნებულ ტომში (1856-1880) 1950 წლისათვის აკრძალულ ტექსტთაგან ამჯერად მხოლოდ ერთი მოხვდა, – კერძოდ, აკაკის ადრეული შემოქმედებისათვის საგულისხმო ლექსი "შამილის სიზმარი"¹⁰, რომელიც გამქრალი იყო თხუთმეტტომეულში (ეს სწორედ ის დროა, როცა სტალინური პროპაგანდის მიერ იმამი შამილი "ბრიტანული იმპერიალიზმის აგენტად" არის გამოცხადებული!) და რომელიც ამჯერად ისევ დაუბრუნდა პოეტის თხზულებათა კრებულს (თუმცა ეს ტექსტი შესულია თხუთმეტტომეულის წინამორბედ შვიდტომეულშიც და მის მომდევნო თვრამეტტომეულშიც). იმედია, ამგვარ ახალ შემატებათა რიცხვი კიდევ უფრო უხვი გახდება შემდგომ (განსაკუთრებით იმ ტომებში, რომელთაც აკაკის გვიანდელი ლირიკა და პოემები უნდა მოიცვას).

9 თენგიზ სანიკიძე, აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონი, წიგნი I, თბ.: თსუ-ს გამბა, 1982; თენგიზ სანიკიძე, აკაკი წერეთლის პოეზიის ლექსიკონი, წიგნი II, თბ.: თსუ-ს გამბა, 1983.

10 აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული: ოც ტომად, ტომი I, გვ. 16-17, 340-344.

მეორე: ამჟამინდელი ოცტომეულის პირველ ტომში, განსხვავებით წინამორბედი თვრამეტომეულის პირველი ტომისაგან, მოთავსებულია თერთმეტი ახალი ტექსტი (და ამას გარდა, ერთი წლითაა – 1880 წლამდე – გადაწეული ტომის ქრონოლოგიური ბოლო ზღვარი, რის გამოც კრებულს ამ წელს დაწერილი კიდევ თერთმეტი ლექსი დაემატა, რომლებიც, – ყოველი მათგანი, – შესული იყო თხუთმეტტომეულის მეორე ტომში)¹¹. ამ სიახლეთაგან შვიდი ტექსტი გამოქვეყნებული იყო ხსენებულ კრებულში “უცნობი აკაკი”, ხოლო ამჟერად თითოეულ მათგანს შესაბამისი უანრობრივი და ქრონოლოგიური ადგილი მიეჩინა.

მესამე: სხვადასხვა არქივების ხელახლა შესწავლამ აღმოაჩინა ოთხი სრულიად ახალი ლექსი, რომლებიც არასოდეს გამოქვეყნებულა, – მით უმეტეს, პოეტის თხზულებათა კრებულებში: “სურვილი”¹², “ქურდ გოგოს”¹³, “ყადის ჯარები”¹⁴, “სომხებს”¹⁵. ამას გარდა, კვლევითმა ძიებებმა შესაძლებელი გახადა, გამოეყენებულიყო აქამდე ცნობილი ტექსტების უცნობი ვარიანტები, ხოლო ვარიანტების სიმრავლე და, რაც მთავარია, მათი სწორი ქრონოლოგიური დალაგება საშუალებას იძლევა, დადგენილი ტექსტი უფრო მიუახლოვდეს ნაწარმოების საბოლოო სახეს, ანუ ეგრეთ წოდებული “ავტორისეული ნების” გამოვლენას. კიდევ, ახალმა საარქივო მასალებმა საფუძველი გაუჩინა გამომცემლებს, შეეცვალათ თუ გაესწორებინათ ადრე მიღებული თარიღები (სახელგანთქმულ ტექსტთაგან გადათარიღებულია, მაგალითად, “ღამურა”¹⁶).

მეოთხე: ამჟერად, პირველი ტომის კვლობაზე, ძნელია ითქვას, რამდენად იქნება უნიფიცირებული ოცივე ტომის გამოსაცე-

11 წინამორბედ გამოცემასთან შედარებით ერთადერთი მოსალოდნელი დანაკლისია “მეუდაბნოე”, რომელიც, როგორც ჩანს, შეეცდომით იყო მოხვედრილი თვრამეტტომეულის პირველ ტომში. იქ დაბეჭდილი ტექსტი (აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული: თვრამეტ ტომად, ტომი I, თბ.: საქართველო, 1991, გვ. 20-21) აკაკის ადრეული პოემის “მეუდაბნოეს” (1859) საწყისი და ბოლო სტროფების შენაერთს წარმოადგენს და, საეარაუდოა, რომ ამჟამად მას ადგილი დაეთმობა იმ ტომში, სადაც პოეტის პოემები იქნება მოთავსებული (შვიდტომეულისა და თხუთმეტტომეულის დარად).

12 აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული: ოც ტომად, ტომი I, გვ. 40.

13 იქვე, გვ. 41.

14 იქვე, გვ. 43-44.

15 იქვე, გვ. 102.

16 იქვე, გვ. 430.

მად მომზადებული ტექსტი და ამ ტექსტებისათვის თანდართული აპარატი, თუმცა სარედაქციო კოლეგიის განაცხადი ამის საწინდარს ნამდვილად იძლევა (გულდასაწყვეტია, რომ ტექსტობრივადაც და პოლიგრაფიულად კარგად მოწესრიგებულ გამოცემაში რამდენიმე ადგილას გაპარულა ტექნიკური ნაირგვაროვნება: ორიოდ შემთხვევისას – განსხვავებით ყველა სხვა შემთხვევისაგან, – ახალი ტექსტი იქვე მიჰყვება წინამორბედს და არ იწყება ახალი გვერდიდან¹⁷; და კიდევ, მთელი ტომის მანძილზე განუსაზღვრელი და ცვალებადია სათაურების ადგილი). რაც ამთავითვე ცხადად ჩანს, მცდელობა არ იქნა დაკლებული, ტექსტები დადგენილიყო ერთიანი პრინციპით, ხოლო ვარიანტები – ერთგვაროვნად – აღნუსხულიყო იმ ფორმით (თუნდაც გარკვეულწილად განახლებული სახით, – მაგალითად, თანდართულ აპარატში ყოველი ცალკეული ტექსტისათვის თარიღისა და ხელმოწერის სავალდებულო მითითებით), რომელიც ქართველ მწერალთა ტექსტების აკადემიურ გამოცემებში სოლომონ ყუბანეიშვილის ხელმძღვანელობით დამკვიდრდა: ჯერ, ნაწილობრივ, ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა სრულ კრებულში 1945 წელს, საბოლოოდ კი, 1950 წელს, როცა ტექსტოლოგიურ მონაცემთა ამგვარი აღნუსხვა და გაფორმება – თავიანთი ტექნიკური მახასიათებლებითურთ – წესად დაიდო ალექსანდრე ყაზბეგის ხუთტომეულის მეხუთე ტომსა (სადაც მწერლის წინა ტომებში გამოქვეყნებულ თხზულებათა ვარიანტებია მოთავსებული) და სწორედ აკაკი წერეთლის თხუთმეტტომეულის პირველ ტომში.

მეხუთე: უკვე სარედაქციო წინათქმაში განაცხადებულია, რომ გამოცემაში ყოველთვის დაცულია ტექსტის ავტორისეული, თავდაპირველი დაწერილობა და გამომცემლებს სრულებით არ უცდიათ, მიღებული ნორმების მიხედვით ჩაესწორებინათ პოეტის მიერ გამოყენებული გრამატიკული თუ ორთოგრაფიული ფორმები (თუნდაც ისინი, იმუამინდელი ან ამუამინდელი თვალსაზრისით, უმართებულოდ და მცდარად ჩანდეს), რაც უთუოდ ახალი და სწორი სტრატეგიაა ქართულ ტექსტოლოგიურ პრაქტიკაში.

მეექვსე: გაჭირდება გადაჭრით თქმა, თუ რამდენად უპრიანი ან აუცილებელი იყო, აკადემიური გამოცემის თითოეულ ტექსტს დართოდა ლიტერატურული კომენტარი, რომელშიც აისახე-

17 იქვე, გვ. 49, 260.

ბოდა ამა თუ იმ ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორია, მისი შექმნის ლიტერატურული თუ იდეური წანამძღვრები, ან კიდევ, გამოძახილი თანამედროვეთა შორის. ჩანს, რედაქციამ გარდაუვალ აუცილებლობად არ მიიჩნია გამოცემისთვის ამ ტომის კომენტარის მომზადება და შეგნებულად აარიდა თავი აპარატის ნაწილის თვალშისაცემ გაზრდასაც და კომენტარებში ინტერპრეტაციული სულისკვეთების შემოჭრის საფრთხესაც. მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც ერთვის ყოველ გამოქვეყნებულ ტექსტს – ერთი მხრივ, ტექსტოლოგიური და, მეორე მხრივ, აუცილებელი ისტორიული კომენტარი, ანუ ცნობები ისტორიულ პირთა ვინაობის შესახებ – შესრულებულია საქმისა და მასალის კარგი ცოდნით. ამავე დროს, გამოცემული ტომი გვაიმედებს, რომ არავითარი სიმკვეთრეები და უხერხულობანი გამოცემიდან – საბჭოური “პურიტანული” პრაქტიკისაგან განსხვავებით – გაძევებული არ იქნება, რისი ერთი დასტურია პოეტის თხზულებათა სრულ კრებულში პირველად მოთავსებული ტექსტი: აქამდე მხოლოდ ერთხელ გამოქვეყნებული ლექსი “აკაკისგან თ-დ ილია ჭავჭავაძეს”¹⁸.

მეშვიდე: ტომი აღჭურვილია სამი საძიებლით: ერთში ასახულია ლექსებში ნახსენები პირნი, მეორეში – გეოგრაფიული სახელები, მესამე კი პირველ ტომში შესული ლექსების ანბანურ ნუსხას მოიცავს. უეჭველია, რომ სამივე მათგანი უთუოდ დაეხმარება ტექსტებში საორიენტაციოდ როგორც ჩვეულებრივ, რიგით მკითხველს, ისე, განსაკუთრებით, პოეტის შემოქმედების შემსწავლელს, რომელსაც ამგვარი დამხმარე საშუალებანი კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო ძიებას გაუადვილებს. უკვე გამოქვეყნებული საძიებლების გარდა, დანარჩენი საცნობარო მასალის მოსათავსებლად, სარედაქციო კოლეგიის დაპირებით, საგანგებოდ ივარაუდება ოცტომეულის უკანასკნელი ტომი.

ამდენად, აკაკის თხზულებათა ახლახან წამოწყებული სრული კრებულის პირველივე ტომი არა მარტო მნიშვნელოვანი სამომავლო განაცხადია ფუნდამენტური გამოცემის ხორცშესახემლად, არამედ ამჟამადაც სანდო წყაროს წარმოადგენს იმათთვის, ვინც აკაკის პოეზიის ადრეული პერიოდის შესწავლას შესდგომია ან შესწავლას აპირებს.

18 იქვე, გვ. 278-279.

გამოხმაურება

მეტიც, არ იქნება ხმამაღალი განცხადება იმის თქმა, რომ 21-ე საუკუნეში ჯერჯერობით არ განხორციელებულა ქართული კლასიკური ლიტერატურის უფრო სერიოზული, უფრო აკადემიური, უფრო სრულყოფილი გამოცემა, – თუნდაც ამჟერად იმ ორასამდე ტექსტის თარგმელებში, რომლებიც ოცტომეულის ამ ერთ წიგნშია მოთავსებული.

უეჭველად შეიძლება დადასტურდეს, რომ ქართული ლიტერატურის ბევრი მკითხველი და ნებისმიერი მკვლევარი დაძაბული ყურადღებით ელის აკაკის თხზულებათა სრული კრებულის დარჩენილი ცხრამეტი ტომის გამოსვლას და მთელი გამოცემის წარმატებულ გასრულებას.

2010

რედაქტორისეული

ქრისტიანობის ლექსიკონის გამო

ქართულად გამოცემული ენციკლოპედიების, ლექსიკონებისა თუ ცნობარების უკიდურესმა სიმწირემ, – მით უმეტეს, როცა საქმე შეეხება რელიგიურ თემატიკას, – გადაგვაწყვეტინა, მკითხველისათვის მიგვეწოდებინა ქრისტიანობის ლექსიკონი, რომლის წყაროდაც შეირჩა პიერო პეტროზილოს თვითოდ აღიარებული და სანდოდ მიჩნეული ნაშრომი: *“ქრისტიანობა ანიდან ჰოემდე: ქრისტიანული სარწმუნოების ლექსიკონი”* (Piero Petrosillo, *Il Cristianesimo dalla A alla Z: Lessico delle fede cristiana*, Milano, Edizioni San Paolo, 1995).

წიგნში ანბანურადაა დალაგებული ცნებები და ცნობები, რომლებიც მოკლედ, – თუმცა საფუძვლიანად და მთლიანობაში, – წარმოაჩინეს ქრისტიანულ სამყაროს: საღმრთო წერილსა და საღმრთო გადმოცემას, ეკლესიის მოძღვრებას სარწმუნოებისა და ზნეობის შესახებ, აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის სულიერ და ლიტურგიულ ცხოვრებას, ეკლესიის ისტორიის განმაპირობებელ მოვლენათა განვითარებასა და თანამედროვე მდგომარეობას, კანონიკური სამართლის დებულებებსა და ღმრთისმოსაობის პრაქტიკებს; ცალცალკეა დახასიათებული ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობათა, სწავლებათა, დაჯგუფებათა წარმოშობა და რაობა; ამავე დროს, გულდასმითაა შერჩეული და მოწოდებული უმთავრესი მონაცემები მსოფლიოს ყველა გავრცელებული რელიგიისა თუ რელიგიურ მოძრაობათა შესახებ.

ამდენად, როგორც კი მკითხველს დასჭირდება რომელიმე აუცილებელი ცნების მნიშვნელობის გაგება ან დადგენა წარსული თუ ამჟამინდელი რელიგიური ცხოვრებიდან, იგი ლექსიკონში უმაღლესი ამ ცნების – თუნდაც ესკიზურ, მაგრამ მიმართულების გამკვალავ – განმარტებას. წიგნის თანდათანობითი გაცნობისას ცხადი ხდება, რომ მის ფურცლებზე პანორამულადაა გადაშლილი რელიგიური ცხოვრების ის დიდძალი მემკვიდრეობა, რაც ადამიანს სულიერ ძიებათა გზაზე თუ გზებზე დაუგროვებია.

მაგრამ ლექსიკონის დამახასიათებელი თვისებაა მისი მყარად გამოკვეთილი მიმართება: ის არა მარტო უმთავრეს ყურადღებას მიაპყრობს ქრისტიანობას და განსაკუთრებულ ადგილს უთმობს

საყოველთაო ეკლესიას, არამედ მიზნად ისახავს, რომ ქრისტიანული თუ არაქრისტიანული სამყარო დანახული იქნეს ქრისტიანული თვალთახედვით, საყოველთაო ეკლესიის სამზერიდან, ეკლესიის მოძღვრების მტკიცე მიდევნებითა და ერთგულებით. შეიძლება ითქვას, რომ ლექსიკონში გადმოცემულია, რას შეტყველებს ეკლესია შემოქმედის, სამყაროსა და ადამიანის შესახებ.

ამის მიუხედავად, – ან, შესაძლოა, სწორედ ამიტომ, – წიგნი განკუთვნილია როგორც ქრისტიან მორწმუნეთა, ისე სხვადასხვა რელიგიის მიმდევართა თუ ურწმუნოთათვის; როგორც კათოლიკე ეკლესიის, ისე ქრისტიანობის სხვა მიმდინარეობათა წევრთათვის; როგორც ეკლესიურ, ისე ეკლესიიდან სრულიად შორს მდგომ ადამიანთათვის. მიგვაჩნია, რომ ამ უკანასკნელთ – ურწმუნოებთან ერთად – ის გზას გაუკვალავს, თუ არა იმდენად თავად სარწმუნოებისაკენ, ყოველი შემთხვევისას, მისი უკეთ გაგებისა და ცოდნისაკენ (თან, საგულისხმოა, რომ ცოდნის წყარო ამჯერად შინაგანი ცოდნის სივრცეში იმყოფება), ხოლო მორწმუნე თუ ეკლესიურ ქრისტიანთ კი ლექსიკონი სურვილს გაუჩინს და საშუალებას მისცემს, უფრო ღრმად და საფუძვლიანად ჩასწვდნენ თავიანთ სარწმუნოებას, შეუდარონ და შეუპირისპირონ ის იმას, რაც სხვას სწამს ან არ სწამს.

ის, რომ წიგნი საქმის პროფესიული ცოდნითაა დაწერილი, ხელს არ უშლის მისი ცალკეული სტატიების მისაწვდომობას. მათი აღქმა არ გაუჭირდება არც იმას, ვინც აქამდე ჩაუხედავი იყო ამგვარ საკითხებში და ამაჟამად გადაწყვეტს, იმ თემათა შესახებ პირველადი ცოდნა მოიპოვოს, რომელთა განმარტებასაც კპირდება მას წარმოდგენილი ლექსიკონი. რა თქმა უნდა, სალექსიკონო სტატიებს ვერც ექნება და არც მოეთხოვება იმგვარი ამომწურაობა, რაგვარიც საკითხს ძირისძირამდე ჩაჰყვებოდა, მაგრამ ისინი უთუოდ ბიძგსაც და სწორ ორიენტაციასაც მისცემს ყურადღებიან მკითხველს, თუ საით წარმართოს თავისი კითხვები და სად მოიპოვოს შესაბამისი საკითხავი.

ლექსიკონის გამოსაცემად მომზადებისას დიდ დაბრკოლებას ქმნიდა ტერმინოლოგიის ქართულად გადმოტანის პრობლემა, რაც განპირობებულია, ჯერ ერთი, დასავლურქრისტიანული თეოლოგიური ტერმსტების ქართულად თითქმის სრული უთარგმნელობით და, შესაბამისად, საჭირო ტერმინოლოგიის უქონლობით; მეორე, – რაც უფრო გადამწყვეტია, – იმ გარემოებით, რომ ქართული საეკლესიო ცხოვრება ბოლო ათასწლეულის განმავლობაში სრულიად განსხვავებულ ინტელექტუალურ კალაპოტში მიედინებოდა,

ვიდრე ევროპული თეოლოგიური, ფილოსოფიური, სულიერი თუ კანონიკური მდინარეებანი. სხვა თუ არაფერი, ტერმინოლოგიური არადიფერენცირებულობის გამო ქართულად ხშირად ძნელი მოსაპოვებელი ხდება განმასხვავებელი სიტყვები იმ შინაარსობრივ განსხვავებათა გადმოსაცემად, რასაც ევროპულ ენებში რამდენიმე ცნება ემსახურება, ან პირიქით: ის, რაც ევროპულ ენებში (მაგალითად, ლათინურად) ერთი ჩამოყალიბებული ცნებაა, ქართულად მას რამდენიმე სიტყვა შეესაბამება. სამაგალითოდ თუნდაც “სარწმუნოებისა” და “რწმენის” გამიჯვნის სირთულეც კმარა...

მკითხველის ყურადღებას იმასაც მივაპყრობთ, რომ ლექსიკონის ქართული ვერსიის მომზადებისას ერთმანეთს ერწყმოდა სურვილი მივიწყებული ლექსიკის გაცოცხლებისა და მცდელობა ახალი ლექსიკის შექმნისა, შემოტანისა, დამკვიდრებისა. ამავე დროს, უპრიანად მივიჩნიეთ, გვესარგებლა ხელსაყრელი საშუალებით ძველ წყაროებში შენახულ სიტყვათა, გამოთქმათა თუ ფორმათა აღსადგენად ან მათთვის სწორი, თავდაპირველი მნიშვნელობის დასაბრუნებლად (მაგალითად, ლექსიკონის სხვადასხვა თავისებურებათა შორის მკითხველი უთუოდ შენიშნავს, რომ ცნება “მონაზონი” გამოყენებულია როგორც ქალ, ისე მამაკაც მოწესეთა მიმართ, – ძველი ქართული ტრადიციისა და ტერმინის პირველადი ბერძნული წარმოშობის კვალობაზე).

ყოველ ცნებას ლექსიკონში თან მოჰყვება – ფრჩხილებში – იტალიური შესატყვისი ცნება, რომელიც არა მარტო აადვილებს შესაბამისობის გარკვევას წიგნის ორიგინალთან (და თარგმანის ტერმინოლოგიური სისწორის შემოწმებასა თუ დაზუსტებას), არამედ, ამასთანავე, ჩანასახოვანი სახით, საშუალებას იძლევა, ხელთ გვექონდეს ქართულ-იტალიური რელიგიურ ტერმინთა ლექსიკონი. და კიდევ: ცნების შემდეგ კვადრატულ ფრჩხილებში მოცემული ეტიმოლოგიური განმარტება ხშირად სწორედ იტალიური (ან ლათინური) სიტყვის წარმოშობას განმარტავს, თუმცა ამგვარ განმარტებათა დატოვება მაინც ზედმეტად არ მივიჩნიეთ, თუნდაც ამა თუ იმ ცნების ლინგვისტური კონტექსტის გასათვალისწინებლად...

ლექსიკონის ერთი, – შესაძლოა, არცთუ სანაქებო, – თვისება ისიცაა, რომ, თუკი ამა თუ იმ ცნებისათვის ქართულად აქამდე არ მოგვეპოვებოდა საგანგებო ტერმინი, მას არცთუ იშვიათად ვტოვებდით იმგვარად, უთარგმნელად, როგორც ის ევროპულ ენებში (განსაკუთრებულად – ლათინურად) იხმარება. ამჯერად ასეთი გადაწყ-

ვეტილება ვამჯობინეთ, რაკი დარწმუნებული ვართ, რომ ქართული შესატყვისის მოძებნას მომავალში დრო, გარემო და თარგმანის მონაწილეთა სიმრავლე გააიოლებს.

ბუნებრივია, რომ ლექსიკონში, რომელსაც საფუძვლად დაედო იტალიური ორიგინალი, სრულიად არაა ასახული ქართული სინამდვილის მონაცემები. მაგრამ ამ გულდასაწყვეტი ვითარების მიუხედავად, შეუძლებლად მივიჩნით ავტორისეულ – მწყობრ და ინტეგრალურ – ტექსტში უნებართვო და უდიერი ჩარევა. ამავე დროს, ნაკლულობის ეს გრძობა იმედს გვიჩენს, რომ არც ისე შორეულ მომავალში შეიქმნება როგორც ცალკე ქართული ქრისტიანული ტრადიციისა და კულტურის ლექსიკონი, ისე უკვე ქართულად დაწერილი და შედგენილი ქრისტიანული ლექსიკონი, რომელშიც ქართული მასალაც თავის შესაბამის და უეჭველად კუთვნილ ადგილს დაიჭერს. ამ იმედის ერთი საყრდენი თავად ამ წიგნის მშობლიურ ენაზე თარგმნა და გამოქვეყნებაა, და ეს იმიტომაც, რომ ეს წიგნი ნამდვილად გამოადგება და გზის სიძნელეს გაუადვილებს ყველა იმას, ვინც შემდგომში ქართულ ქრისტიანულ ლექსიკოგრაფიაში რამე სიახლის შეტანას გადაწყვეტს.

გაცვეთილი იქნება იმის თქმა, რომ ლექსიკონის შემდგომი გამოცემისათვის მისი გაუმჯობესება, დაზუსტება, შესაძლო შეცდომათა გასწორება ივარაუდება, მაგრამ წიგნის ხელახალი, გადახედული და შეცვლილი გამოცემის აუცილებლობა მაშინ დადგება, როცა ჩვენი სიტყვათხმარება ბევრად უფრო გამდიდრდება ქრისტიანული ცნებებით: ძველიც გაცხოველდება და ახალიც დაიმკვიდრებს თავის ადგილს. ეს კი მაშინ მოხდება, როცა თუნდაც ჩვენი ცოდნა ქრისტიანობის შესახებ, თუნდაც ჩვენი გონებრივი თუ სულიერი განვითარება ქრისტიანობის წიაღში უფრო ცოცხალი, უფრო ზრდადი, უფრო ქმედითი გახდება, რაგვარ საღმრთო საქმესაც თავისი კნინი წვლილი – სულ მცირე ბიძგის სახით – ვინძლო წინამდებარე ლექსიკონმაც შეჰმატოს.

2011, იანვრის 28
წმიდა თომა აკვინელის დღე

კათოლიკური მემკვიდრეობის გამო საქართველოში

იმ გეოგრაფიულ, ეროვნულ და კულტურულ ნიადაგზე, რომელსაც დღეს საქართველო ეწოდება, კათოლიკე ეკლესია იმ დროიდან მყოფობს, როცა ქრისტიანობა დამკვიდრდა ამ ქვეყანაში, რადგან ეკლესიის სხვაგვარ განმარტებას ქრისტიანული მოძღვრება საერთოდ არ იცნობს: ეკლესია არის მხოლოდ "ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო". ის, რომ ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე წმიდა მირიანი და პირველი ქრისტიანი დედოფალი წმიდა ნანა როგორც საკუთარ, ისე ქვეყნის სარწმუნოებად ქრისტიანობის აღსარების უმაღლესი რომიდან ეკლესიის მეთაურის მაკურთხეველ და გამამხნეველ წერილს იღებენ, ჩამოტანილს მცხეთაში პაპის დესპანის მიერ, იმ ეკლესიის კათოლიკურობის კიდევ ერთი დასტურია, რომელსაც, ქრისტეს მოწოდების კვალად, წმიდა პეტრეს მემკვიდრე, ანუ რომის ეპისკოპოსი უდგას სათავეში. ამასთანავე, ხელმწიფისათვის გადმოცემული ეს წერილობითი უწყება იმის დამოწმებასაც წარმოადგენს, რომ ქართული სამეფო ხელისუფლება მაშინვე, როგორც კი ის ქრისტიანული ხდება, თავისი მმართველობის კანონიერების აღიარებას ეკლესიის მეთაურისაგან იღებს. საყურადღებო ისიცაა, რომ ქრისტიანობას, – იმ სარწმუნოებას, რომელსაც წმიდა ნინო ქადაგებს და ავრცელებს ქართლის სამეფოში, – თანამედროვენი "პრომთა სჯულად", ანუ რომაულ რელიგიად მოიხსენიებენ.

თავისი ქრისტიანული ისტორიის პირველ ათასწლეულში ადგილობრივი ქართული ეკლესიის წარმომადგენელი რომის სარწმუნოებრივ მნიშვნელობასა და უპირატესობას აღიარებენ და ადასტურებენ კანონიკურად, სულიერად, დოგმატურ-თეოლოგიურად. ამ მოწმეთა სახელებიც თავისთავად უაღრესად მეტყველია: პირველი მათგანი ქართული ეკლესიის მეთაურია, კათოლიკოსი კირიონ პირველი; მეორე – ქართული ქრისტიანული სულიერების წარჩინებული წარმომადგენელი, წმიდა მამა ილარიონ ქართველი; მესამე – ქართული დოგმატურ-თეოლოგიური აზროვნების უმაღლესი ავტორიტეტი, წმიდა მამა გიორგი მთაწმიდელი. კირიონ პირველი მეშვიდე საუკუნის დასაწყისში

რომის პაპს შეკითხვით მიმართავს, რათა მონათვლის კანონი-ერების დადგენის საკითხში ეკლესიის მეთაურის განმსაზღვრელი პასუხი მიიღოს; ილარიონი რომის სულიერებასა და მის ტრადიციებთან უშუალოდ საზიარებლად მეცხრე საუკუნეში მარადიულ ქალაქში დასახლდება რამდენიმე წლით; გიორგი ათონელი მეთერთმეტე საუკუნის შუახანებში ბიზანტიის იმპერატორს განუცხადებს, პაპის დესპანების თანდასწრებით, რომ ბიზანტიელები ხშირად შედიოდნენ ერეტიკულ ჩიხში, ხოლო რომის ეკლესიას არასოდეს ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევია ქრისტეს ჭეშმარიტების გზიდან, – თანაც ეს ითქმება მამინ, როცა რომსა და კონსტანტინოპოლს შორის ისტორიულად გადამწყვეტი განხეთქილების ჩამოვარდნიდან უკვე ათწლეულზე მეტი ჩაღეულა.

მეორე ათასწლეულში ვითარება იცვლება, მაგრამ ის უფრო მკაფიოც ხდება: ერთი მხრივ, სივრცობრივი დამორება რომისაგან და სიახლოვე კონსტანტინოპოლთან, რაც ტრადიციულ-კულტურულ სიახლოვეს წარმოშობს, ამავე დროს, ბიზანტიელთა სახელმწიფოებრივი რელიგიის მხრივ იმპერიის ფარგლებს გარეთაც გადმოჩვედომილი გაფაციცებული ყურადღება თანამორწმუნეთა სარწმუნოებრივი ცხოვრების მიმართ საუკუნეების განმავლობაში განაპირობებს ქართული ეკლესიის ბიზანტიურ კალაპოტში დარჩენას, მაგრამ, მეორე მხრივ, მალევე იწყება თითქმის უწყვეტი სწრაფვა რომის საყდრისაკენ, რასაც გამოხატავს მრავალრიცხოვანი ურთიერთობანი რომის ეპისკოპოსსა და საქართველოს საერო თუ სასულიერო მმართველთა შორის. თითქმის ყოველი ფურცელი, რომელიც სამეფო თუ საკათოლიკოსო კარიდან ეგზავნება რომს, წარმოაჩენს ცხადად ასახულ წადილს, რათა ქართველი ქრისტიანებიც დღეს თუ ხვალ კათოლიკე ეკლესიის განუყოფელ წიაღში აღმოჩნდნენ. რა თქმა უნდა, ამ მისწრაფებებს ყოველ ჯერზე ისევ ჯიუტად ეღობებიან წინ ჯერ ბიზანტიელები, შემდგომ კი – უფრო მეტად მიზანდასახულად – მათი პოლიტიკური და რელიგიური მემკვიდრენი: რუსები, რომელთათვისაც „ერთმორწმუნება“ ზედამხედველობისა და დამორჩილების მრავალსაუკუნოვან სანდო იარაღად იქცა.

ამ ორმხრივობის გამოხატულება ხდება ლათინური წესის კათოლიკური კათედრის აღმოცენებაც ტფილისში, მეთოთხმეტე საუკუნეში, რაც მტყვევლებს როგორც ბიზანტიური და ლათინური წესების გამოხატულ, თვალსაჩინო გამიჯვნაზე (რაკი ქალაქში

იმავედროულად არსებობდა ცთვილელი მიტროპოლიტის კათედრა, რომელიც ბიზანტიურ წესს მისდევდა), ასევე რომის ეკლესიის მყარ ინსტიტუციურ დამკვიდრებაზე ქართულ ნიადაგზე.

მონგოლთა გამანადგურებელი, ქვეყნის წელში გადამტეხი ბატონობის დასრულების შემდეგ, როცა საქართველო სულის მოთქმას იწყებს და ნელ-ნელა თავს აღწევს ცივილიზაციურ გაუდაბურებასა თუ კულტურულ იზოლაციას, სხვადასხვა ქართულ სამეფო-სამთავროებში ჩნდებიან ევროპელი კათოლიკე მისიონერები, რომლებიც მეტ-ნაკლები სიმყარის ხიდეებს აგებენ დასავლური ქრისტიანობის სამყაროსთან. კათოლიკე მოძღვრები ხილული ხდებიან საერო ხელისუფალთა კარზე, ისინი უცხონი არ არიან არც უმაღლესი მღვდელმთავრების გარემოცვაში. სხვადასხვა კათოლიკური ორდენისა და კონგრეგაციის წარმომადგენლები იქ არიან, სადაც ყველაზე მეტად უჭირს ევროპულ ცივილიზაციას მოწყვეტილ საქართველოს: მისიონერები ჩანან სამკურნალო, საგანმანათლებლო, სამეურნეო ასპარეზზე. შესამჩნევი და აშკარაა, რომ მათი საქმიანობა უწინარესად მიმართულია ადამიანურ საჭიროებათა მიმართ, მაგრამ ამ ზრუნვას მოჰყვება, – როგორც ჩანს, როგორც ბუნებრივი შედეგი, – საქართველოში მცხოვრებ ადამიანთა გარკვეული ნაწილის შეერთება რომის კათოლიკე ეკლესიასთან. საგანგებო შესწავლას იმსახურებს, რამდენად ძლიერი აღმოჩნდა ფარული თუ ცხადი კათოლიკური გავლენა ქართული კულტურის აღორძინების პროცესზე, რომელიც სწორედ იმ დროიდან იწყება, როცა საქართველოში აქტიური კათოლიკე მისიონერები ჩნდებიან. მიძინებული ქართული კულტურა მალე ახალ სუნთქვას შეიძენს და ამ კულტურულ განახლებას მეთაურობენ სულხან-საბა ორბელიანი (აღზრდილი გაკათოლიკებული მეფის გიორგი მეთერთმეტის მიერ), მეფე ვახტანგ მეექვსე (აღზრდილი საბას მიერ), ბატონიშვილი ვახუშტი, ვახტანგის ძე. ყოველი მათგანის სულიერ თუ ინტელექტუალურ თვალსაწიერზე კათოლიკური გავლენა უკამათოა.

საბოლოოდ, მისიონერთა საქმიანობა მწვერვალს აღწევს: ქართული ეკლესიის მეთაური, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონი პირველი მეთვრამეტე საუკუნის შუახანებში მალულად შეუერთდება კათოლიკე ეკლესიას და აღიარებს რომის ეპისკოპოსის უზენაესობას. მაგრამ სწორედ ამავე დროს აღწევს უკიდურეს წერტილს კათოლიკეთა დევნა საქართველოში. შემთხვევითი

არაა, რომ რუსეთის იმპერიისა და იმპერიული ეკლესიის ემისრები ამ დროს უკვე მძლავრად ფეხმოკიდებულნი არიან იმ ადგილებში, სადაც ქვეყნის პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი საკითხები – და მომავალი – წყდება.

შემდგომი ეტაპი მოიცავს იმ ხანას, როცა მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში საქართველოს სამეფო-სამთავროები თანდათანობით სახელმწიფოებრივად რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ამ დროს რუსული მმართველობა მიზნად დაისახავს, საქართველო-იმერეთის სინოდურ კანტორად ქცეული ქართული საპატრიარქოების სამღვდელოება მთლიანად ჩააყენოს იმპერიის სამსახურში და სასულიერო პირთა ამოცანად მორწმუნე აღამიანების რუსეთის ერთგულებით აღზრდა-ჩამოყალიბება აქციოს. ხოლო რაც შეეხება კათოლიკე ეკლესიის მღვდელმსახურებს, იმპერია მათთან ბრძოლას იმ სასტიკი კანონით შეეცდება, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში იქნა ამოქმედებული და რომლის ძალითაც უცხოელი კათოლიკე მისიონერები დაუყოვნებლივ გააძევეს იმპერიის ფარგლებიდან. თუმცა რუსეთის ხელისუფლების ამ მტკიცე მცდელობას, – თანაც წარმატებულ მცდელობას, – გზა გადაეღობა ევროპელი კათოლიკე სამღვდელოებისათვის საქართველოში, შედეგად მოჰყვა, რომ გაჩნდა და მომრავლდა ქართველი კათოლიკე სამღვდელოება, თავისი საგანგებო ეროვნულ-საგანათლებლო მიზანმიმართულებით. იმ დროს, როცა ქრისტიანთა უმრავლესობას საქართველოში – საექსარქოსოს ჩარჩოებში – უკარგავენ საკუთარ ენასა და საკუთარ საეკლესიო მემკვიდრეობას, კათოლიკეები – როგორც ადგილობრივი სამღვდელოება, ისე საერო მორწმუნენი – ეროვნული სულისკვეთების გადარჩენისა და შენარჩუნებისათვის იღვწიან. სწორედ და განსაკუთრებით ამ ხანაში ქართველი კათოლიკეები ნათელ ნიშუს წარმოადგენენ, რომ რელიგიური უმცირესობისადმი მიკუთვნება არა მარტო ხელს არ უშლის ეროვნული კუთვნილების ცხადად აღიარებასა და გააზრებას, არამედ მისი თავდადებული დაცვისკენაც კი უბიძგებს.

ამ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბრძოლა ქართული წესის დამკვიდრებისათვის ქართველ კათოლიკეთა შორის, რაც თავის მიზანს აღწევს ოსმალეთის იმპერიაში (კონსტანტინოპოლში – იმავე სტამბოლში – არსდება ქართული წესის სამონაზვნო კონგრეგაცია და მისი მთავარი საფანი), მაგრამ ეს

ბრძოლა სრულიად უშედეგოდ მთავრდება რუსეთის იმპერიაში. უეჭველ ფაქტად რჩება, რომ ბიზანტიის მემკვიდრედ თვითადი-არებული რუსეთის სახელმწიფო და მისი სინოდური ეკლესია დაუფარავ მტრად ევლინება ქართულ ენასა და ეროვნულ საეკლესიო წყობილებას როგორც თავად ბიზანტიური ტრადიციის, ისე რომაული ტრადიციის ქრისტიანთა შორის.

აღსანიშნავია, ამ ხანებში ქართულ ნიადაგზე იქმნება საგანგებო კათოლიკური სივრცეები, უწინარესად, კათოლიკური რეგიონები სამხრეთ საქართველოში, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია – როგორც კულტურულად, ასევე სოციალურად – საქართველოს ქალაქებში ცალკეული კათოლიკური უბნების გაჩენა: ტფილისში, ქუთაისში, გორში, ბათუმში.

მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის მიჯნაზე ქართულ საჯარო სივრცეში და, განსაკუთრებით, კულტურულ ველზე მკაფიოდ იკვეთება ქართველ კათოლიკეთა ფიგურები და მათი საქმიანობა საყოველთაოდ შენიშნული, აღიარებული, პატივდებული ხდება.

კონსტანტინოპოლის ქართული კათოლიკური სავანე ნელ-ნელა დასავლურქრისტიანული და დასავლურევეროპული საქართველოს წინარესახედ, წინამორბედად იქცევა.

ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობისას კათოლიკეებს იმედი ესახებათ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში ბოლოს და ბოლოს მონიხება გამოსავალი მათი ხანგრძლივი და მოუგვარებელი პრობლემების დასაძლევად. სხვადასხვა ქართულ კუთხესა თუ ქალაქში სწორედ ამ დროს შესამჩნევად გამოცოცხლდება კათოლიკური საეკლესიო-საკრებულო და სამოქალაქო ცხოვრება.

საბჭოთა კომუნისტურ-ათეისტური რეჟიმის სამოცდაათწლიანი ბატონობისას საქართველოში მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული იქნა კათოლიკე ეკლესიის ლიტურგიკული ცხოვრება და რამდენადმე – კათოლიკური ცხოვრების წესი, უწინარესად, ოჯახებში თუ კერძო პირთა მიერ, მაგრამ საყოველთაო სახელმწიფოებრივი ტერორისა და სასტიკი მეთვალყურეობის პირობებში შეწყდა საეკლესიო-სარწმუნოებრივი გარემოს ყოველგვარი განვითარება და განახლება, ხოლო ქართველი კათოლიკე სამღვდელთა თანდათანობით საერთოდ გაქრა.

კომუნიზმისაგან თავის დახსნისა და დამოუკიდებლობის ხელახალი მოპოვების შემდეგ ქვეყანაში აღდგა ან ახლად ჩამოყალიბდა კათოლიკური საეკლესიო დაწესებულებანი; დამყარდა – როგორც ეკლესიურად, ისე სახელმწიფოებრივად – მჭიდრო კავშირი წმიდა საყდართან. ამის მიუხედავად, თანამედროვე საქართველოს რელიგიურ თუ კულტურულ ცხოვრებაში მკვეთრად იკლებს კათოლიკური მყოფობა. არაერთმა კათოლიკემ, მათმა შთამომავლებმა, ხშირად პოლიტიკურ-სოციალური გარემოს გათვალისწინებით, ადვილად გაწყვიტეს კავშირი წინაპართა სარწმუნოებრივ-სულიერ მემკვიდრეობასთან და მოსახლეობის უმრავლესობის რელიგიურ ორგანიზაციას დაექვემდებარნენ. ამავე დროს, ქვეყნიდან მასობრივი ემიგრაციის ტალღებს თან გაჰყვა საქართველოს კათოლიკეთა მნიშვნელოვანი ნაწილი. დღევანდელი თვალსაწიერიდან, საქართველოში კათოლიკური საკრებულოს მომავალი არცთუ ცხადია.

მდგომარეობის გათვალისწინებით, ამჟამად ლამის პირველი რიგის ამოცანად რჩება იმ მემკვიდრეობისათვის ზრუნვა, მისი გადარჩენა და შენარჩუნება, რაც ქართულ ნიადაგზე კათოლიკურ ტრადიციას მიეკუთვნება.

* * *

წინამდებარე კრებული – "კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში, 1" – (რომელსაც, იმედია, გაგრძელება, ანუ შემდგომი ნაკვეთები უნდა უნდა მოჰყვეს) მიზნად ისახავს საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის შესწავლასა და გააზრებას, შესაბამისი ახალი წყაროების მიგნებას, კათოლიკე ეკლესიისა და კონკრეტულ კათოლიკეთა კონკრეტული წვლილის წარმოჩენას ქვეყნის ისტორიულ, კულტურულ თუ საჯარო ცხოვრებაში ფართო დროითი განფენილობით: კათოლიკე ეკლესიის საქართველოში მყოფობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში.

თავად კრებული წარმოადგენს ავტორთა ნაკრების მუშაობის შედეგს, და ამ საქმეში უმეტესად ჩართული იყვნენ ჰუმანიტარულ ან სოციალურ მეცნიერებათა ქართველი თუ უცხოელი წარმომადგენლები, დამოუკიდებლად მათი კონფესიური კუთვნილები-სა. წიგნში გამოქვეყნებული სტატიები ეფუძნება 2017 წლის 6, 7

და 8 ივნისს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში გამართული პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმის – “კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში” – მონაწილეთა მოხსენებებს. ავტორების ჩანაფიქრი ამგვარი იყო: ან ახალი ტექსტებისა თუ ფაქტების გამომზეურება, ან ცნობილი ტექსტებისა თუ ფაქტების ახლებურად ინტერპრეტირება.

სტატიებად ქცეულ მოხსენებათა არც სტრუქტურაში, არც შინაარსისა და არც სტილის განზომილებებში, არც მითითების წესში რედაქტორი არ ჩარეულა. კრებულითა ყოველი ავტორის არჩევანის თავისუფლება ყოველთვის იყო დაცული. კათოლიკობა მრავალფეროვნების გაცნობიერებულ პატივისცემას გულისხმობს. ამიტომაც არავის შეშლია ხელი, თავისი მოხსენება კეთილგანწყობილი თავყრილობისათვის წარედგინა, ხოლო მოწოდებული მასალა ისე ყოფილიყო გამოქვეყნებული, როგორც თავად მის დამწერს მიაჩნდა საჭიროდ.

ჩვენი წიგნიც თვალსაზრისთა თავისუფლებისა და ახსნათა მრავალფეროვნების დასტურია.

როგორც საერთაშორისო სიმპოზიუმის ორგანიზატორთა, ისე კრებულითა გამომცემელთა დიდი სურვილია, დაწყებული საქმიანობა – საქართველოში კათოლიკური მემკვიდრეობის სისტემური და მეთოდური შესწავლა – ნაყოფიერად გაგრძელდეს.

საუბარი

ლიტერატურის შეფასებისა და ინტერპრეტაციის პარადოქსები

საუბარი ლექსო დორეულთან

ბატონო მერაბ, კონკურსები და პრემიები თანამედროვე მხატვრული ლიტერატურული პროცესის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. თქვენც გიმუშავიათ ამა თუ იმ კონკურსის უიურის წევრად. როგორ ფიქრობთ, არსებობს თუ არა ტექსტის შეფასების კრიტერიუმები და შეიძლება თუ არა მათზე შეთანხმება? და თუ არსებობს, იცვლებოდა თუ არა ისინი სხვადასხვა დროს? ასევე, თუ არსებობს მკაფიო ნიშნები, რომლებიც მხატვრულ ლიტერატურას არამხატვრულისგან განასხვავებს?

მართალი ბრძანდებით და სიმართლეს ვერ დავემალებით, რომ ლიტერატურული კონკურსების უიურის წევრი ორ-სამჯერ ნამდვილად ვყოფილვარ (თუმცა არ ვიცი, რამდენად ერქვა მაგ საქმეს "მუშაობა", რაკი ჩვენი გარჯა უაღრესად სასიამოვნო ჩარჩოებში რჩებოდა: ეს იყო წიგნების კითხვა და მათ შესახებ მსჯელობა, რასაც ამ ქვეყნად, – დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით, – ცოტა რამე თუ სჯობს!), მაგრამ იმის დიდი იმედი კი მაქვს, რომ მომავალში ეს აღარასოდეს განმეორდება. ამგვარი განწყობა და ამგვარი საქმიანობისაგან ამჟამად თავის შორს დაჭერა სწორედ იმ მიზეზითაა განპირობებული, რაც თქვენ სავსებით მიზანმიმართულ (და, როგორც ჩანს, ორაზროვან) კითხვად წამოჭერთ: არსებობს კი ლიტერატურული ნაწარმოების შეფასების იმგვარი მყარი, მტკიცე კრიტერიუმები, რომლებიც რამდენიმე ადამიანის შეთანხმების საფუძველი გახდებოდა? ყველაზე დიდი ლიტერატურული პრემია რომ ავიღოთ, – ვგულისხმობ ნობელის პრემიას ლიტერატურის დარგში, – მისი არჩევანიც კი უმეტესწილად საჭოჭმანო და გაუგებარია (რბილად რომ ვთქვათ), ან სამარცხვინო და სასაცილოა (უფრო გულახდილად რომ ითქვას), რაკი მისი მინიჭების მოთხოვნები უმეტესად სრულიად მოშორებულია ლიტერატურული შეფასების სივრცეს: ეს პრემია ხომ ენიჭება

ქვეყნებისა და ჟანრების რიგითობის, პოლიტიკური აქტუალურობის ან პოლიტიკური ლობირების საფუძველზე (და ენიჭებათ თითქმის ყოველთვის მემარცხენეებს!). შედეგად კი, რომ არაფერი ვთქვათ კომიტეტის მიერ ტოლსტოისა და ბროხის შორეული უარყოფის შესახებ, რამდენიმე ათწლეულის წინათ შეუმჩნეველი დარჩა ბორხესი, შემდგომ – ახლახან გარდაცვლილი ტურნიე, ხოლო ამჟამად – დღესაც მხნედ მყოფი კურეიმი. მაგრამ ისევ მოვედით, რითაც დავიწყეთ: რაც უნდა ზემორე ჩამოთვლილი მწერლები, ჩემი ლიტერატურული გემოვნების კვალობაზე, საუკეთესოთა შორის საუკეთესოებად მიმაჩნდეს, ან ვინ, ან როდის, ან როგორ დაამტკიცა, რომ სწორედ ისინი წარმოადგენენ ლიტერატურის იმ უმაღლეს მწვერვალებს, რომლებიც თითქოს უნდა აღინიშნოს თუ მონიშნოს ნობელის პრემიამ? ჩემი უღრმესი რწმენით, ლიტერატურული ნაწარმოების შეფასების ორად ორი კრიტერიუმი არსებობს: ერთი, რა მომწონს მე, როგორც მკითხველს, და, მეორე, რა გავლენა მოახდინა მან ლიტერატურულ-საჯარო გარემოზე, ან რა გამოძახილი ჰქონდა მას საზოგადოდ. თუკი მეორე ნამდვილად შეიძლება შეფასდეს ობიექტურად (ანუ რაოდენობრივად დაითვალოს), პირველიც, – რაც უნდა სუბიექტურად მოგვეჩვენოს თავდაპირველად, – სწორედაც ობიექტურია, რაკი თავად ჩემი მოწონება ობიექტურად არსებობს და მას ვერაფერი გადაწონის. ლიტერატურული გემოვნება და, შესაბამისად, ცალკეული ადამიანის მიერ შეფასებაც არაერთი პირობის საფუძველზე ყალიბდება: იქნება ეს აღზრდა, გარემო, განათლების თვალსაწიერი, პირადი თუ კულტურული გამოცდილებანი, პოლიტიკური თუ რელიგიური დამოკიდებულებანი. კვლავ ჟიურის წევრობას რომ დავუბრუნდეთ: ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაც უკვე ვთქვით, განა ვინმე წარმოიდგენს, რომ შეიძლება, ცხრა თუ თხუთმეტი ადამიანის მოწონება – როგორც მკითხველისა – ერთმანეთს დაემთხვევა? ასე რომ, ძნელად დავიჯერებ, ჟიური სადმე ან ოდესმე რომელიმე მეტაფიზიკური კრიტერიუმებით აფასებდეს ნაწარმოებს: ყოველთვის არსებობს პირობითი ურთიერთმეთანხმება, – როგორც ყველაზე დადებითი, ისე ყველაზე უარყოფითი განზომილებით. რაც შეეხება მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გამიჯვნას, თუ ზოგიერთ დღევანდელ ან თუნდაც გუშინდელ გავრცელებულ თვალსაზრისებს დავუჯერებთ, თვით სამეცნიერო გამოკვლევები ფიზიკაში და ბიოლოგია-

ამიჯ კი მხატვრული ტექსტებია, რადგან ისინი არა მარტო აღწერას, არამედ ავტორისეულ თხრობასაც წარმოადგენს, სადაც ამ ავტორთა, მეცნიერ-მკვლევართა მიერ ჯერ დანახული და შემდგომ აღწერილი სამყარო სტრუქტურულ ტექსტადაა ქცეული, და ეს რომ ასეა, ცხადად მიდასტურებს ჩემი ძვირფასი მეგობრების ზაზა ოსმანოვისა თუ დავით ფრანგიშვილის მსოფლიოში აღიარებული კვლევები, – უფრო ზუსტად, მათ მიერ გადმოცემული საკუთარ კვლევათა შედეგები, – ან ერთ დარგში, ან მეორეში. ასე შორსაც რომ არ წავიდეთ, განა ქართული ესეისტიკის და პუბლიცისტიკის, ისტორიოგრაფიული, თელოსოფიური თუ სოციოლოგიური დარგის საუკეთესო ნიმუშები რამით ჩამორჩება ეგრეთ წოდებულ მხატვრულ ლიტერატურას, თუკი ლიტერატურის განმსაზღვრელ კრიტერიუმად სამყაროს ავტორისეულ წარმოსახვასა და მის ემოციურად შთამბეჭდავ გადმოცემას მივიჩნევთ, რისგანაც მკითხველი (ანდა მსმენელი – ზეპირი ტექსტების თხრობისას), – შეძენილი ცოდნის მიღმა, – არაუტილიტარულ, პრაქტიკულად გამოუყენებელ სიამოვნებას ან, კიდევ მეტი, ბედნიერების განცდას იღებს? მგონია, სასიხარულოა, რომ ქართული კულტურული თუ ინტელექტუალური ისტორია ამგვარი ნიმუშების გახსენებისა და დამოწმების არცთუ მცირე საშუალებას იძლევა.

მინდა ინტერპრეტაციის თეორიის შესახებ გკითხოთ. შესაძლებელია თუ არა ტექსტის ნებისმიერი წაკითხვა? თუ ტექსტს აქვს თავისი თუნდაც უანრული კანონიკა, რომელიც ინტერპრეტაციისას არ უნდა დავარღვიოთ? უმბერტო ეკო ამბობდა, რომ კარგი წიგნი ავტორზე ჭკვიანი უნდა იყოს: ინტერპრეტაცია თქვენთვის ნაწარმოების საზრისის ამოცნობის პროცესია, თუ მასში მინაარსის შეტანისა?

თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ინტერპრეტაცია შეუზღულდავია და მკითხველმაც, კრიტიკოსმაც, ლიტერატურისმკოდნემაც, იდეათა ისტორიკოსმაც შესაძლოა, ტექსტში ის ამოიკითხოს, რასაც იგი იქ დაინახავს ან საჭიროდ მიიჩნევს, დაინახოს, ხოლო ამას მას პროფესიულად ვერაფერ აუკრძალავს. მგონია, საკითხი მხოლოდ ზნეობრივ განასერში უნდა განვიხილოთ, რაკილა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ტექსტის ავტორის მი-

მართ პატიოსანი დამოკიდებულება: ერთი მხრივ, არ ივარგებს, ვიფიქროთ, რომ ტექსტი თავად წერს საკუთარ თავს და თითქოს ავტორს ტექსტთან არაფერი ესაქმება (რაც, ასე მგონია, ყოველთვის ტოტალიტარული ცნობიერების გამოვლინებაა, თუნდაც მარჯვნიდან და თუნდაც მარცხნიდან), ხოლო, მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, არავის აუკრძალავს, აღმოვაჩინოთ დაოიზმის ან სიქსიზმის გამოვლინება, ვთქვათ, "ოთარაანთ ქვრივში" ან "ბახტრიონში", მაგრამ სწორედ პატივისცემა ავტორის ბიოგრაფიისა და გარემოს, თვალსაჩიერისა თუ მისწრაფებათა მიმართ ამგვარ გადაძახილთა ძიების უფლებას არ უნდა გვაძლევდეს. როცა თომას მანი წერს, რომ მას "ჯადოსნური მთის" წერისას ჰანს კასტორპის პროტოტიპად არ უგულისხმია პარაციფალი, მაგრამ როცა ერთი ახალგაზრდა მკვლევრის ნაშრომი წაიკითხა თავისი რომანის შესახებ, დარწმუნდა, რომ შუასაუკუნეობრივი პერსონაჟი ნამდვილად მისი გმირის პროტოტიპია, ეს, რა თქმა უნდა, იმას ნიშნავს, რომ, – გაიაზრა თუ არა მწერალმა, შეგნებულად აირჩია თუ არა, განფინა თუ არა გრაალის მაძიებელი გმირის მქრქალი სახე თავის რომანში, ყოველივე ამის სრულიადაც მიუხედავად, – შეუძლებელია, გერმანელ მწერალს არ სცოდნოდა, არ ხსომებოდა, ჩანაფიქრის თანამდევად არ გაჰყოლოდა პარაციფალის არსებობა, თუნდაც შეგნებულად არ ეგულისხმა ეს არქეტიპი მისი პერსონაჟის განსახიერებისას, თუნდაც ეპიკურ-რომანტიკული რაინდის თარგზე განზრახულად არ გამოეჭრა მეოცე საუკუნის რიგითი ინჟინრის ხატება. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ მკითხველი – ავტორისაგან დამოუკიდებლად – აფართოებს ნაწარმოების შინაარსს, იგი თავის სულიერ და ინტელექტუალურ გამოცდილებას ჰმატებს ტექსტს, რითაც ტექსტიც ისევე იზრდება და ვითარდება, როგორც თავად მკითხველი – ბუნებრივად – წიგნთან ურთიერთობის შედეგად. მაგრამ განა მწერალიც პიროვნულად არ იზრდება ნაწარმოების შექმნისას? განა ავტორი წერით არ აღწევს თავის აღმატებულ "მეს", თავის აღმატებულ გამოვლინებას? მგონია, არავის აეჭვებს, რომ მარსელ პრუსტი სხვა ადამიანი იყო, სანამ საკუთარი რომანის წერას შეუდგებოდა და სხვა ადამიანად იქცა, როცა მისი წერა თითქმის დაასრულა. ქართული ლიტერატურიდან უდავო უეჭველობით შემოიძლია იგივე ვთქვა დავით გურამიშვილზე.

მინდა ერთ საკითხს შევხებო, რომელიც, ცხადია, წინა კითხვასთან გარკვეულ კავშირშია. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ავტორის ბიოგრაფია, მისი პიროვნული ფაქტორების გავლისწინება ტექსტის კითხვისას? რას იტყვით "ავტორის სიკვდილის" მეტად პოპულარული პარადიგმის შესახებ, შეიძლება ტექსტმა მართლაც დაკარგოს სუბიექტურობის ყოველგვარი კვალი და ავტორი უბრალოდ ტექსტიდან გაქრეს? რას იტყვით იმ შემარცხენე იდეაზე, რომ მკითხველის დაბადების საზღაური ავტორის სიკვდილია?

უთუოდ გამიჭირდება მოკლედ და თან საფუძვლიანი პასუხის გაცემა, რაზეც ასეულობით გვერდი დაწერილა. მაგრამ რაკი მიმაჩნია, რომ პიროვნებაზე უფრო ღირებული და მნიშვნელოვანი არაფერია ამქვეყნად, ნაწარმოებთან ურთიერთობაც ჩემთვის, უპირველესად, მის ავტორთან პიროვნული ურთიერთობის განცხრომაა. ასე მგონია, რომ ყოველი ნაწარმოები კონკრეტული ბიოგრაფიის ავტორის ქმნილებაა, საკუთრივი განვლილი ცხოვრების ნაყოფი და შედეგი (თუმცა ამ ნათქვამით უთუოდ გავანაწყინებდი არა მარტო ნაკლებად ძვირფას ბარცს, ან სრულიად არაძვირფას ფუკოს, არამედ ნამდვილად ძვირფას ელიოტსაც). სასვებით სწორი ბრძანდებით, "ავტორის სიკვდილის" იდეა მემარცხენე წრეებში დაიბადა (და აქ ხომ უფრო მნიშვნელოვანი "ავტორი" იგულისხმება!), – უფრო ზუსტად, იმ ჰუმანიტართა თავებში, რომლებიც მარქსისტული მოძღვრებით იყო გადაჭედილი. თავისუფალი პიროვნების (როგორც ადამიანური, ისე ღმრთაებრივი პიროვნების) უარყოფა ისევე ილანდება ამ თეორიაში, როგორც, სხვათა შორის, ამ ბოლო ხანს გაერცვლეულ სრულიად ანტიქრისტიანულ თვალსაზრისში, რომ ადამიანის მიზანი არაა და არ უნდა იყოს ბედნიერება. მარქსიზმი, მოგეხსენებათ, საერთოდ, უგულებელყოფს პიროვნებას, – ასე, ცოტა უხეშად, მაგრამ ზუსტად და მკაფიოდ რომ ვთქვათ, – რაკი ადამიანს განიხილავს როგორც ოდენ კოლექტივის (ანუ თავისი სოციალური კლასის) წარმომადგენელს. მე საბჭოთა ეპოქაში დავიბადე და ჩამოვყალიბდი, ხოლო საბჭოთა-კომუნისტური თეორია სწორედ ამას გვასწავლიდა, რომ ავტორი ყოველთვის გადმოგვცემს არა თავის პირად სათქმელს, არამედ უწინარესად გამოხატავს თავისი კლასის ინტერესებსა და უწყებას. ეს მე არც მაშინ მჯეროდა და

არ ახლა ვიჭერებ, მაგრამ ნამდვილად მჭერა, რომ წიგნის კითხვა დამოუკიდებლად თვითმყოფი ორი ადამიანის პიროვნული შეხვედრის აქტია: ბუნებრივია, იგულისხმება მწერალი და მკითხველი, – თავ-თავიანთი ბიოგრაფიითა და გამოცდილებით. ინტერპრეტაცია ორი პიროვნების შეყრისა და გაზიარების შედეგია, სადაც და როცა ორივე სწორედაც მთელი შესაძლო სისავსით წარმოდგენს საკუთარ თავისთავადობას. რაკი ტექსტი ყოველი ახალი წაკითხვისას ახალ უწყებას გახსნის, – დროისა და გარემოს გათვალისწინებით, – ხოლო რაკი მკითხველიც მუდმივად იცვლება, ფერს იცვლის, შესაბამისად, ტექსტის ინტერპრეტაცია მუდამ ამოუწურავია.

ბატონო მერაბ, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ყველა ლიტერატურული შედეგერი აუცილებლად უზუსტესი სიმძაფრით ასახავს ეპოქას? ამასთან, რას იტყვით ე. წ. "სოციალურ მწერლობაზე", რამდენად არის დღეს მწერლის გამოწვევა, რომ პირველი გამოცემაურის საინფორმაციო დაიჯესტში მოხვედრილ მოვლენებს და შეგვიძლია თუ არა ხელოვნებისგან გარკვეული სოციალური პრობლემების გადაჭრა მოვითხოვოთ მისი არსებობის ლეგიტიმურობისთვის?

ყველაზე მარტივად რომ ვთქვა, ეპოქა იმდენად ცხადად აისახება ტექსტში, რომ რამდენიმე ათწლეულითაც კი ვერ ხერხდება მისი გადაწევ-გადმოწევა, რაც ტექსტის საკუთარი კონტექსტის დაკარგვის მტკივნეულ ფასად არ დაგვიჯდეს. მაგრამ საქმე შეეხება არა მხოლოდ და არა იმდენად მოსათხრობად თუ გადმო-საცემად არჩეულ მასალას, რამდენადაც სწორედ მონათხრობის გადმოცემის სახეს, რომელიც, თუკი მოსწყდა თავის დროს, არა მარტო უხერხული, არამედ სასაცულოც კი ხდება ("ვეფხისტყაოსნის" ან ბარათაშვილის ლექსით წერა ნებისმიერი შინაარსის ტექსტისათვის დღეს მხოლოდ კომიკური ეფექტის წარმოქმნისათვის შეიძლება გამოდგეს!). სრულიად გულწრფელი მცდელობანიც კი, დარჩეს მწერალი მეტ-ნაკლებად კლასიკური ფორმების ჩარჩოებში, თუნდაც ისეთ ჟანრში, როგორცაა ნოველისტიკა ან რომანისტიკა, უკეთესი შემთხვევისას, გულდაწყვეტის გრძნობას იწვევს. ბუნებრივია, მწერალი ვერ მიატოვებს თავის გარემოს, რადგან იგი არც მთვარეზე ცხოვრობს და არც თებაიდის უდაბ-

ნოში, თუმცა საკითხი, უნდა გამოეხმაუროს თუ არა იგი ეპოქის "სოციალურ გამოწვევებს", ჩემთვის მთლად ნათელი არაა, დაწყებული იმით, რომ მწერალი, ალბათ, პროფესიულადაც კი ერთ-ერთი ყველაზე მარტოხელა არსებაა ამქვეყნად (შესაძლოა, კომპოზიტორთან და მხატვართან ერთად), და დამთავრებული იმით, რომ გარკვევით არ მესმის, რას ნიშნავს "საზოგადოება", – მით უმეტეს, "საზოგადოებრივი პრობლემები". მტკიცედ მჯერა, მწერალი ყოველთვის მხოლოდ იმიტომ და იმის გამო წერს, რაც მას პირადად აღელვებს ან შეაჭირვებს. კიდევ: ჩემი მოგონილი არაა თვალსაზრისი, რომ მწირ ხანაში გვერგო ცხოვრება და ეს თვალსაზრისი არ მგონია აუტანელი დროითი პროვინციალიზმის გამოხატულება იყოს (ანუ წარმოადგენდეს გოდებას იმის შესახებ, რომ, რაც ახლა ხდება, არასოდეს მომხდარა, თუმცა მცირე ისტორიული ცოდნაც კი იმას მეტყველებს, რომ ასეთი, უარესი ან ნაკლებ უარესი მოვლენები ისტორიის განმავლობაში მრავალგზის დადასტურებულა). უბრალოდ, ცხადად მახსოვს, რომ ჩემი სიყმაწვილისა თუ სიჭაბუკისას ყველა დარგის გამორჩეული გენიოსები ჩემს გვერდით, ჩვენსავე პლანეტაზე ცხოვრობდნენ (ელიოტიდან და ცელანიდან ფოლკნერამდე და კორტასარამდე, პიკასოდან და შაგალიდან მოსტაკოვიჩამდე და ბრიტენამდე, ბერგმანიდან და ანტონიონიდან ჰაიდეგერამდე და მარიტენამდე). თუკი მაშინდელი მსოფლიოს იმგვარ პერიფერიაშიც კი, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე, მათი სახელები არათუ კარგად აღწევდა, არამედ ლამის საყოველთაოდ იყო ცნობილი, დღეს, ინფორმაციის შეუზღუდაობისა და პერიფერიათა მოშლის ჟამს, ამ მასშტაბის ერთი ოსტატის დასახელებაც კი შეუძლებელი გამხდარა. შექმნილი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ბუნებრივად წარმოშვა 1960-1970-იანი წლებიდან აქოჩრილმა მემარცხენე ტალღამ, რასაც თანასწორობის სოციალისტური იდეის აღმშენებელი მოჰყვა (ანუ: ყველა თანასწორია და არავინაა გამორჩეული!), ხოლო რაკი ადამიანთა საჯარო ცხოვრების მიზნად დაისახა ნაცრისფერობა, გამოურჩევლობა, განუსაკუთრებულობა, მაშინ გაბატონდა კიდევ ყველგან და ყველაფერში (ზოგან – ძალითაც!) ეს სასურველი ნაცრისფერობა, თუმცა არაფერ იცის, – არც იმან, ვისაც სამყაროს ტრანსცენდენტური განმგებლობისა სწამს ან არც იმან, ვისაც ამისი არ სწამს, – თუ რას მოგვიტანს ხვალისდელი დღე... ამიტომ, რაკი ბერჩ ხანაში ახალი დიადი ტექსტები აღარ

იბადება, დიადი ტექსტები ინტერპრეტაციაში ინარჩუნებს სიცოცხლეს, მხოლოდ ინტერპრეტაციაში ცხოვრობს; ჩვენ კი, მკითხველები, წამკითხველები, გზატკეცილზე გამოვსულვართ, ანთებული ფარნებით ხელში, რათა ერთმანეთს მივანიშნოთ, რომ კულტურა და მათ შორის, ლიტერატურა, ამჯერად, ამჟამად ამგვარი სახით აგრძელებს არსებობას.

2019

მეოთხედი საუკუნე კათოლიკე ეკლესიის წიაღში

საუბარი ციციხოველი ხითარიშვილთან

ბატონო მერაბ, როგორც ვაგივეთ, რაკი ახლახან თქვით, ამ დღეებში ოცდახუთი წელი შესრულდა, რაც კათოლიკე ეკლესიას შეუერთდით. ეს თარიღი კარგი საბაბია იმის გასახსენებლადაც, რამ განაპირობა თქვენი მაშინდელი გადაწყვეტილება და იმის გამოსახატვადაც, თუ როგორ ხედავთ და გაიაზრებთ თქვენს განვლილ მეოთხედსაუკუნოვან ყოფნას რომის კათოლიკე ეკლესიის წიაღში.

ჩემი ცხოვრების პირველი სამი ათწლეული საბჭოთა კავშირში ვაუტარე, – ამ ქვეყანაში გაბატონებული მებრძოლი ათეიზმისა და მებრძოლი ანტიეკლესიურობის გარემოში. ჩემი დაბადებისას, 1960-იანი წლების დასაწყისში, ანტიეკლესიურმა განწყობებმა და ქმედებებმა კომუნისტურ სახელმწიფოში თავის მწვერვალს მიაღწია და, სამწუხაროდ, ეს შერკინება, – თუნდაც არა ისეთი სისხლიანი, როგორიც 1920-1930-იან წლებში იყო, – საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა: რელიგიურ-საეკლესიო ცხოვრება სსრკ-ში და, განსაკუთრებით, საბჭოთა საქართველოში თანდათანობით სულს დათავდა... ჩემს ირგვლივაც, თბილისში, თითებზე ჩამოსათვლელ, ერთ ათეულზე ოდნავ მეტ შემორჩენილ მოქმედ ტაძარში, რამდენიმე ათეული მოხუცის გარდა, არავინ დადიოდა, ხოლო სარწმუნოების შესახებ მწირი მსჯელობაც კი არც საჯაროდ და არც კერძოდ არსად ისმოდა. ნებისმიერი რელიგიის შესახებ ცოდნის მოპოვების ერთადერთი ოფიციალური წყარო პროპაგანდისტული ათეისტური წიგნები იყო, სადაც ლამის ყველა ცნობა დამახინჯებული, ხოლო ყველა შეფასება გაუკუღმართებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ არც ოჯახში და არც სანათესაო-სამეგობრო თვალსაწიერში არავინ მეგულებოდა არათუ ეკლესიური პიროვნება, არამედ, ზოგადად, რელიგიის საკითხებში ოდნავ მაინც ჩახედული ახლობელი, ღრმა სიყმაწვილიდან – ფაქტობრივად, მეხსიერე-

ბის გაჩენიდან – დაუჯერებელი ძალით მიზიდავდა არა მარტო ქრისტიანობის გაცნობისა თუ გაგების სურვილი და არ მარტო გაცნობიერებული სწრაფვა ეკლესიისაკენ, არამედ უმტკიცესი, თუნდაც ფორმალურად ჩამოუყალიბებელი რწმენა იმისა, რომ ნივთიერი სამყაროს გვერდით არსებობს თვალთ უხილავი და შეგრძნებით მოუხელთებელი სულიერი სამყარო, რომელთანაც შესაძლოა დაკავშირება, და ისიც მკაფიოდ მჯეროდა, რომ ქვეყნიერებას წარმართავს ჩვენზე აღმატებული, ადამიანზე მაღლა მყოფი უზენაესი არსება, რომელიც ჩემთვის მაინც უკიდურესად მისაწვდომი და მშობლიურად ახლობელი იყო. მაგრამ ისიც კარგად მახსოვს, ეს რწმენა იმ უეჭველობასაც მოიცავდა, რომ ამ უზენაეს არსებასთან ურთიერთობა ეკლესიაში და ეკლესიის საშუალებით მყარდება. ცამეტ-თოთხმეტი წლის ასაკში, 1970-იანი წლების შუახანებში, როცა უკვე ვკითხულობდი იმ დროს ძნელად მოსაპოვებელ ბიბლიურ წიგნებს, – უპირველეს ყოვლისა, სახარებას, ჩემთვის უმაღლვე მეტად შთამბეჭდავ და შთამაგონებელ საკითხავს, – უჭოჭმანოდ გადავწყვიტე, ჩემდათავად შევდგომოდი ეკლესიაში სიარულს და ქმედითად ჩავრთულიყავი საეკლესიო ცხოვრებაში, თუმცა ჯერ ისევ მოუნათლავი ვიყავი (კომუნისტური ტერორისაგან დამფრთხალ-დამინებულ ოჯახებში ბავშვის მონათვლა სახიფათო საქციელად მიიჩნეოდა). სხვათა შორის, გადაწყვეტილების მიღებისას ისიც ცხადად მქონდა გააზრებული, რომ საერო პიროვნების ეკლესიურ ცხოვრებასთან რამენაირი კავშირის გამომპარავებას იმხანად მეტ-ნაკლები სასჯელი მოსდევდა.

როდის მოინათლეთ? როგორც ვიცით, ნათლობა კათოლიკე ეკლესიაში არ მივიღიათ.

ეკლესია, რომელსაც სიყმაწვილეში ბუნებრივად მივამურე, ტრადიციულ-კულტურული გარემოდან გამომდინარე, საქართველოს საპატრიარქოს ეკუთვნოდა, და მისი შუაგული იყო: თბილისის სიონის საკათედრო ტაძარი. თუმცა იქაც კი, თვით საკვირაო წირვებზე, მაშინ ძლივს ათიოდე ან ცოტა მეტი ადამიანი თუ იკრიბებოდა. რაკი მძიმედ განვიცდიდი, რომ, იქ მყოფთაგან განსხვავებით, არ მქონდა ზიარების უფლება, თავადვე დავგვემე საკუთარი მონათვლა: შევუთანხმდი მოძღვარს, ხოლო ორ

მორწმუნე ქალბატონს ვთხოვე, ჩემი საიდუმლო ნათლიები ყოფილიყვნენ. ნათლისღება, ფაქტობრივად, უჩუმრად მივიღე, – თბილისის მამა დავითის მთაწმიდის ტაძარში, როცა უკვე 16 წლისა ვიყავი.

როდის და რატომ გადაწყვიტეთ, შეერთებოდით კათოლიკე ეკლესიას?

მერჩივნა, ჩესტერტონის სიტყვებს დავსჯერდებოდი და მეც განმეცხადებინა, კათოლიკობა იმიტომ მივიღე, რადგან ის ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოებაა მეთქი. მაგრამ მაინც გავიხსენებ, რომ, ჰინდუიზმ-განდჰიზმითა თუ ტოლსტოველობით გატაცებათა გამო რამდენიმე წლით ეკლესიური ცხოვრებისაგან ჩამოშორების მიუხედავად, მალე ისევ მელოდა საეკლესიო ძიებები, ოღონდ საქართველოს საპატრიარქოს გარეთ, რომელიც, რამდენიმე მიზეზის გამო, ჩემთვის იმხანად მეტად უცხო გახდა. სწორედ ამ დროს, 1979 წელს, ჩემმა მეზობელმა და მეგობარმა, თბილისელმა პოლონელმა ყმაწვილმა (მას შემდეგ, რაც რომის პონტიფიქსად იოანე პავლე მეორის აღსაყდრების შედეგად თავად პოლონელობას და კათოლიკობას დაუბრუნდა) წირვაზე წამიყვანა თბილისის წმიდა პეტრესა და წმიდა პავლეს ტაძარში (რომელიც მთელს ამიერკავკასიაში ერთადერთი მოქმედი კათოლიკური ტაძარი იყო), წარმადგინა მის წინამძღვართან, მამა იან სნეუინსკისთან (1940-2011), და შემომთავაზა, გავმხდარიყავი კათოლიკე ეკლესიის წევრი, კიდევ მეტი, ფარულად ერთად შევსულიყავით იეზუიტთა იატაკქვეშა საზოგადოებაში, რომელიც, მისი მტკიცებით, საბჭოთა კავშირში საიდუმლოდ არსებობდა. თუმცა ორმოცი წლის წინანდელი ის რამდენიმე პირველადი შეხება კათოლიკე ეკლესიასთან არანაირად აღარ გავრძელებულა. მომდევნო ჩემი მცდელობა, – ათი წლის შემდეგ, – მეღიარებინა კათოლიკური ჭეშმარიტება, როგორც მახსოვს, უკავშირდება 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების მომდევნო დღეებს, როცა პიროვნული თუ პოლიტიკური მძიმე რყევებისას მყარ საყრდენად კათოლიკე ეკლესია დავინახე და მივიჩნიე, თუმცა მისკენ იმუამინდელი სწრაფვა უფრო წიგნიერი, ინტელექტუალური იყო. ამ ადამიანურ-რაციონალურ მიდრეკილებათა შემდგომ, 1993

წლის გვიან შემოდგომაზე, ჩაზამთრებისას, მახსოვს ის ადგილი, წერეთლის პროსპექტზე, დიდუბის ტაძრისაგან მცირე დაშორებით, სადაც ქრისტესა და მის მიმდევართა შესახებ დაუინებელი თეორიისას, უეცრად გონება გამინათდა (ნამდვილად გამინათდა, – ყველაფერი დალაგდა!) და უმაღლ მივხვდი, რომ იგი, ვისთანაც ქრისტეს უშუალო კავშირი აქვს ამქვეყნად და რომლის მეშვეობითაც მოქმედებს, რომლის ხელითაც წარმართავს მისი ეკლესიის ცხოვრებას, რომის ეპისკოპოსი, პაპია. ასე რომ, ქრისტიანულ სამყაროში პაპის სულიერი ადგილის, მისი სულიერი მნიშვნელობის გაცნობიერება ჩემთვის იმ წუთებში გადაამწყვეტი მინაგანი ბიძგი და შეძერა აღმოჩნდა.

მინც სად და როდის მოხდა საბოლოო გადაწყვეტილების, ერთი მხრივ, მიღება და, მეორე მხრივ, აღსრულება? როგორ შეუერთდით წესისამებრ კათოლიკე ეკლესიას?

რაც უნდა უცნაური თუ უჩვეულო იყოს, საბოლოო და მკაფიო განზრახვა, შევერთდებოდი რომის კათოლიკე ეკლესიას, ჩამომიყალიბდა ეგრეთ წოდებულ "მესამე რომში" – მოსკოვში. როგორც ჩანს, ბიზანტიურ-რუსული ქრისტიანობის ყველაზე ავთენტიკური სახით ხილვამ და მასთან ცოცხალმა შეხებამ, ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ბიზანტიური "ხიბლის" საფრთხის ჩაწვდომამ, "მეორე" და "მესამე" რომის – კონსტანტინოპოლისა და მოსკოვის – ჩიხური გზის ცხადად გაცნობიერებამ, "პირველი", ანუ ერთადერთი და მარადიული რომის გზიდან გადახვევის თუ აცდენის უნაყოფობამ მკაფიო სიციხად შეიტანა ჩემს არჩევანში. 1994 წლის იანვარ-თებერვალ-მარტში, როცა ხანგრძლივად მომიხდა მოსკოვში ყოფნა, – ალბათ, მოსკოვური სულისკვეთებისაგან გასამიჯნავდაც, – ყოველდღიურად შევუდექი წირვებზე სიარულს წმიდა ლუდოვიკეს კათოლიკურ ტაძარში. სულ მალე კი ჯერ უნგრეთში, ხოლო შემდგომ ჩეხეთში აღმოვჩნდი, სადაც თანდათანობით ჩემი ცხოვრების აუცილებელ ნაწილად იქცა კათოლიკურ ღმრთისმსახურებაზე დასწრება (თუმცა იმჟერად, ბუნებრივია, მონაწილეობის გარეშე). ხანგრძლივ და ჩაღრმავებულ განაზრებათა შედეგად, სულიერ ძალთა მოხმობითა და დახმარებით, 1994 წლის 31 ივლისს, წმიდა ეგნატე ლოიოლას მოხსენიების სადღესასწაულო დღეს, საჯაროდ გამოვთ-

ქვი ჩემი სწრაფვა, შევერთებოდი კათოლიკე ეკლესიას და გავმხდარიყავი რომის კათოლიკე. თავად ამ განცხადების გაკეთება მომიხდა ოდინდელი იეზუიტური კოლეგიუმის წმიდა მარიამის ბაზილიკაში, ბოჰოსუდოვში (რაც ჩეხურად ღმრთის განგების, ხოლო გერმანულად – მარიამიანი – წმიდა მარიამის გაბრწყინების ადგილს აღნიშნავს). ადრევე ვიციოდი, რომ ეს გასაოცარი, უზარმაზარი ბაროკოული ტაძარი, რომელიც წრიული დერეფნული ამბიციტაა გარემოცული, შუა ევროპაში გამორჩეულ სამომლოცველო-საპილიგრიმო სიწმიდედაა აღიარებული, მაგრამ მხოლოდ მოგვიანებით გავიგე, რომ ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ის განსაკუთრებით სახელგანთქმული ყოფილა როგორც ხშირი სასწაულთმოქმედებით, ისე მოქცევათა სიმრავლით, რაც გამოიხატებოდა არაერთი არაკათოლიკის მხრივ კათოლიკე ეკლესიასთან შეერთებითა და ეკლესიის მეთაურად რომის ეპისკოპოსის აღიარებით. სულ მალე, ორი კვირის შემდეგ, წმიდა მარიამის ზეცად აღყვანების დიდი დღესასწაულის დღეს, 1994 წლის 15 აგვისტოს, წმიდა პეტრესა და წმიდა პავლეს ტაძარში, ბილინაში, პირველად მაზიარა კათოლიკურად – წინმსწრები სულიერი მომზადების, ჩემგან კათოლიკური სარწმუნოების აღიარებისა და პირველი კათოლიკური აღსარების მიღების შემდეგ – მამა მთავარდეკანოზმა ედუარდ ჰრბატიმ (1923-2013), საღვთელმა მოწესემ, გამორჩეულად მზრუნველმა მოძღვარმა, სარწმუნოების ერთგულმა მოწმემ და თავდადებულმა მოწამემ (რომელმაც სამღვდელო-სამოწესეო მოღვაწეობის გამო კომუნისტურ საკონცენტრაციო ბანაკში თითქმის ათწლიანი პატიმრობა განვლო), პირადად ჩემმა დიდმა მოამაგემ ჩეხეთში ცხოვრებისას.

რას გვეტყოდით კათოლიკე ეკლესიისა და კათოლიკეთა მდგომარეობის შესახებ ჩეხეთში, სადაც წლების განმავლობაში მოვიხდათ ცხოვრება და პროფესიული საქმიანობა?

მადლიერებით უნდა ვთქვა, კათოლიკე ეკლესიისა და კათოლიკეთა ცხოვრებამ ჩეხეთში ბევრი რამ მასწავლა და შემძინა. სტატისტიკურად ცნობილია, რომ ჩეხეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ლამის სამი მეოთხედი, ათეისტური განწყობებითაა განმსჭვალული, და დღეს ხშირად სწორედ ჩეხეთია

ხოლმე მიჩნეული – თითქმის უდავოდ – მსოფლიოში ყველაზე ათეისტურ, ყველაზე აგნოსტიკურ, ყველაზე სეკულარულ ქვეყნად. ამავე დროს, მეოცე საუკუნის განმავლობაში სულ რამდენიმე სახელმწიფოში თუ ამოქმედებულა იმგვარი ანტი-რელიგიური გამანადგურებელი მანქანა, როგორიც დაიქოქა ჩეხეთში, სადაც ქრისტიანობა, კათოლიკე ეკლესია, მორწმუნე კათოლიკეები ათწლეულობით განიცდიდნენ წარმოუდგენლად სასტიკ და დაუნდობელ ღევნას, რისი ერთადერთი მკათოლიკე მიზანი ქვეყანაში ეკლესიის სრული გაქრობა იყო. მეოცე საუკუნის მიწურულს ძნელი საპოვნია იყო ჩეხი კათოლიკე სამღვდელთა პირი, – მღვდელი თუ მღვდელმთავარი, – რომელსაც თავისი სულიერი მოღვაწეობის გამო არ ჰქონოდა გამოვლილი ხანგრძლივი თუ ხანმოკლე პატიმრობა, არ ჰქონოდა გადატანილი ყოველმხრივი ჩაგვრა და შევიწროება. მოზრდილი დროის განმავლობაში ეკლესიის ცხოვრებამ, ფაქტობრივად, იატაკქვეშეთში გადაინაცვლა, მაგრამ ამ პირობებშიც მორწმუნეებს არ დაუკარგავთ არც აღმსარებლობითი სიმტკიცე, არც სულიერი სიღრმე, არც ინტელექტუალური სიმძლავრე, არც გულმონწყალების მგზნებარება. კომუნისტური მმართველობის შემდეგ, მართალია, ვითარება მკვეთრად შეიცვალა და დღევანდელი ჩეხეთი ცივილიზებული ევროპული სახელმწიფოა, ხოლო მისი მცხოვრებნი ევროპული ყოფა-ცხოვრების წესებით ცხოვრობენ, მაგრამ მორწმუნე ქრისტიანი იქაურ გარემოში მაინც “ჩამორჩენილ”, “განაპირებულ”, “განუვითარებელ” ადამიანად მიიჩნევა და მისთვის საკმაოდ ძნელია საკუთარი ადგილის დამკვიდრება თუნდაც იქ, სადაც შე მიწევდა საქმიანობა – აკადემიურ-საუნივერსიტეტო სივრცეში. ამდენად, ჩემმა მეგობარმა ჩეხმა კათოლიკეებმა – კარდინალებიდან კაპელანებამდე, პროფესორებიდან ტაძრის დარაჯებამდე – დამანახეს, რომ კათოლიკე ქრისტიანის ცხოვრება თითქმის აუცილებლად გულისხმობს ღევნასა თუ შეურაცხყოფას, დამცირებასა თუ დაცინვას, მუდმივად უმცირესობაში ყოფნას, და მაინც, კათოლიკური სარწმუნოებისა და რწმენის შეუპოვარ ერთგულებას, კათოლიკური სულიერ-კულტურული ტრადიციის შენარჩუნებასა და დაცვას, საკუთარი კუთვნილების საჯაროდ გაცხადების გაბედულებას, უმრავლესობის წინაშე შიშისა თუ სიფრთხილის განცდის დავიწყებას, კომპრომისუ-

ლი არჩევანის უარყოფას თუნდაც სასტიკ მჩაგვრელთა და შემაჭირებელთა პირისპირ.

სწორედ ამ წლებში, 1994 წლიდან, დაიწყო საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ცხოვრების აღორძინება, რომელიც, ფაქტობრივად, შეწყვეტილი იყო კომუნისტური მმართველობის ხანაში. იმხანად საქართველოში დაფუძნდა წმიდა საყდრის სამოციქულო სადესპანო და ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაცია. რაც მთავარია, გაიხსნა გაუქმებული კათოლიკური ტაძრები ან იკურთხა ახალი სამლოცველოები. რა შეიცვალა ქართველ კათოლიკეთა საეკლესიო ცხოვრებაში განვლილი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში და რამდენად მონაწილეობდით თქვენ ქართული კათოლიკური თემის საქმიანობაში?

გულდასაწყვეტია, რომ ამგვარი შესაძლებლობა – ქართული კათოლიკური საკრებულოს ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართვა – მხოლოდ მოგვიანებით მომეცა, რადგან საქართველოში მხოლოდ 2001 წლის მიწურულს დავბრუნდი და პირველად კათოლიკურ წირვას ქართულ ენაზე ამ წლის შობას დავესწარი. მანამდე პრაპის კარლოსის უნივერსიტეტში ვასწავლიდი ფილოსოფიას, რელიგიის კვლევებს, ლიტერატურის კვლევებს, თეოლოგიას, ხოლო ამერიკულ რადიო "თავისუფლებაზე" ვუძღვებოდი ყოველკვირეულ რელიგიურ გადაცემას "ლამპარი". ეს გარემოებანიც, ინტენსიური საეკლესიო ცხოვრების გარდა, საშუალებას მაძლევდა, თავადაც თანდათანობით უკეთ გავრკვეულიყავი კათოლიკური სარწმუნოების რაობაში. რაც შეეხება საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ცხოვრებას, განვლილი ოცდახუთი წლის განმავლობაში ის პარადოქსულად განვითარდა: ერთი მხრივ, კათოლიკური თემის ცხოვრება საქართველოში არასოდეს ყოფილა სტრუქტურულად თუ ორგანიზაციულად ისეთი ძლიერი და მრავალმხრივი, როგორიც ახლაა და, მეორე მხრივ, კათოლიკურ საკრებულოებს საქართველოში არასოდეს ჰქონია ასეთი მკაფიო მიმართულება მორწმუნეთა მუდმივი კვებისაკენ, რაც ყოველწლიურად სულ უფრო თვალშისაცემი ხდება. ჩვენ არასოდეს ვუწყით ღმრთის იდუმალი გეგმები, და გვახსოვს

ქრისტეს დანაბარებიც, რომ ეკლესიას ვერასოდეს მოერევა ჯოჯოხეთის კარიბჭეები, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ეკლესია მარადიულია დროში და არა სივრცეში, რომ ის ამქვეყნად ყოველთვის იქნება, მაგრამ ის ზოგან ჩნდება და ზოგან ქრება... ეს კი ღრმად ჩასათვქვრებელია! ჯერჯერობით არ ჩანს, არ გამოჩნდა ის ახალი თაობა, რომელიც მომავალში ჩაანაცვლებს ამაჟამინდელ ქართველ კათოლიკეებს. ერთი მხრივ, თითქმის გაუჩინარდა კათოლიკური ტრადიციული ოჯახები, რომელთა დიდი ნაწილი საქართველოს საპატრიარქოს მრევლს შეუერთდა, ხოლო, მეორე მხრივ, კონვერტიციები, მოქცეულები, რომლებიც, ჩემს მსგავსად, არ მონათლულან კათოლიკე ეკლესიის წიაღში, მაგრამ მოგვიანებით შეუერთდნენ მას და რომელთა ხვედრითი წილი დღევანდელ საკრებულოებში მნიშვნელოვანია, ჩაკეტილები აღმოვჩნდით საკუთარ თვარგლებში: ცოტა ვინმემ თუ შევძელით ჩვენი შემდგომი თაობისათვისაც – პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, შვილებისათვის – გადაგვეცა ჩვენდათავად პიროვნულად მოპოვებული კათოლიკური ჭეშმარიტება. თაქტობრივად, ჩვენთან არ დამყარდა კათოლიკური ოჯახების უწყვეტი ტრადიცია ან, თუკი სადმე შემორჩენილი იყო, იქაც გაწყდა, – ზოგჯერ კონფორმიზმის, ზოგჯერ გულგრილობის, ზოგჯერ გაუცნობიერებლობის გამო. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რამ განაპირობა ახალგაზრდათა ასეთი გაუცხოება ეკლესიის მიმართ: ბოლო წლებში ცხადად გამოვლენილმა ზოგადმა გაგულგრილებამ საეკლესიო ცხოვრებასთან დაკავშირებით თუ, კერძოდ, დაუინტერესებლობამ, რას წარმოადგენს კათოლიკე ეკლესია – მეტად მოკრძალებული უმცირესობის ეკლესია – საქართველოში. ამავე დროს, როგორც უმაღლესი სკოლის მასწავლებელს, საშუალება მაქვს, ვხედავდე სტუდენტების მძაფრ სულიერ ძიებებს, და, ამ ძიებათა სივრცის გაფართოებას, უჩინარესად, ბიზანტიური ტიპის ქრისტიანობის ჩარჩოებს მიღმა. ასევე, ღირსშესანიშნავია ახალგაზრდათა გაცნობიერებული სწრაფვა დასავლური ღირებულებებისაკენ, დასავლური წესრიგის საფუძვლებისა და ძირებისაკენ. ამდენად, მოსალოდნელი იყო მათი ყურადღების მიპყრობა კათოლიკე ეკლესიისაკენ, რომელიც საქართველოში, იმავედროულად, ღრმად შთამბეჭდავ ეროვნულ განზომილებასაც გულისხმობდა საუკუნეთა

განმავლობაში. წინა ხანის ქართველ კათოლიკეთა ცხოვრება ევროპელობისა და ქართველობის ერთმანეთთან შეთავსების, შეერთების, შერწყმის საგულისხმო ნიმუშად რჩება. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენ, ახლანდელმა ქართველმა კათოლიკეებმა, ვერ შევძელით ვერც აგვეხსნა და ვერც გვეჩვენებინა თუნდაც არა იმდენად კათოლიკური, რამდენადაც, ზოგადად, დასავლური ტიპის ქრისტიანობის თავისებურება: მისი მოწესრიგებულობა და სიმყარე, გონიერულობა და მკაფიოობა, განახლებისა და გაფართოების შესაძლებლობანი, სულიერი თუ ლიტურგიკული ცხოვრების მრავალფეროვნება, თანადროულ საჯარო ცხოვრებასა თუ კულტურასთან ღრმა და უწყვეტი კავშირი... იგივე შეიძლებოდა თქმულიყო, – დასავლეთისაკენ, ევროპისაკენ გეზის აღების თვალსაზრისით, – იმ ქართველ ინტელექტუალთა მიდრეკილებების გამო, რომელთა მცდელობებს, თუნდაც მეტად ფერმკრთალს, ეპოვათ სულიერ-ინტელექტუალური საყრდენი კათოლიკურ სამყაროში, ვერ შევაგებეთ შესაბამისი გამოძახილი თუ შესაბამისი მზადყოფნა ჩვენი მხრიდან. თუმცა აუცილებლად სათქმელია, რომ ყოველივე ის, რაც ზემორე ჩამოვთვალეთ, ეკლესიისათვის მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც გარეგნული მხარეა და არასოდეს გვავიწყდება, რომ ეკლესიის არათუ უპირატესი, არამედ, ფაქტობრივად, ერთადერთი მიზანია ქრისტესთან მუდმივი, განუწყვეტელი კავშირის შენარჩუნებით ადამიანის სულისა და ხორცის ხსნა. ამ თვალსაზრისით კი, არ გამოვრიცხავ, ეკუმენისტური მისწრაფებანი (რომლებიც, მართალია, საყოველთაო აღიარებით, ბოლო წლებში სულს ვეღარ იბრუნებს!) კიდევ უფრო უხშობს გზას მოწადინე მსურველებს, მიმართონ სულიერი საზრდოსათვის, სულიერად დასაპურებლად კათოლიკე ეკლესიას. თუკი ჩვენ, კათოლიკეები, ცხადად ვეუბნებით ქრისტიან მორწმუნეებს, რომ ბიზანტიური ტრადიციის ქრისტიანობა და იმ ეკლესიათა ოჯახი, რომლებიც მართლმადიდებელი ეკლესიების სახელითაა აღიარებული, ისეთივე მადლმოსილია, როგორც კათოლიკე ეკლესია და მათი საიდუმლონიც ისევე ქმედითია, როგორც კათოლიკე ეკლესიის საიდუმლონი, მაშინ გაუგებარი ხდება, რატომღა უნდა გაუჩნდეს სურვილი ხსნის მაძიებელ ქრისტიანს, მიატოვოს მისთვის უკვე კარგად ჩვეული წესები, ადათები, ტრადიციები, ჩვეული

გარემო და მოაშუროს კათოლიკე ეკლესიას? თანაც, თუკი გავითვალისწინებთ კათოლიკეთა მცდელობას, რაც შეიძლება მეტი სიახლოვე შენარჩუნდეს ეროვნულ ტრადიციასთან და არიდებული იქნეს ყოველგვარი გამიჯვნა თუ დაპირისპირება ქრისტიანობის იმ ფორმასთან, რომელიც ადგილობრივ იყო და არის დამკვიდრებული, მაშინ ბუნებრივად დაიბადება უპასუხებელი კითხვა, რატომ უნდა გადმოიხაროს კათოლიკე ეკლესიისაკენ არაკათოლიკე ქრისტიანი, თუკი იგი სულ უფრო ბუნდოვნად ხედავს ჩვენთან, კათოლიკეთა შორის, დასავლური ტიპის ქრისტიანობის განსაკუთრებულობას? განა ყოველთვის ცხადს ვხდით, ვაცხადებთ, ანკი არ უნდა ვაცხადებდეთ ხსნის კათოლიკური გზის, – როგორც ჩვენი სულიერი შესაძლებლობების, ისე სულიერი მემკვიდრეობის, – გამორჩეულ ღირებულებასა და ჩაუნაცვლებლობას?

თქვენი ნათქვამიდან ხომ არ გამომდინარეობს, რომ დაუფარავად უარყოფთ ინკულტურაციას, რაც კათოლიკე ეკლესიას აუცილებელ განზომილებად მიაჩნია ადგილობრივი ეკლესიისათვის, მისი მყარად დამკვიდრებისათვის ადგილობრივად? მაგრამ ერთიანში შერწყმული მრავალმხრივობა ხომ კათოლიკე ეკლესიის არსშია ჩადებული, რაც მის კათოლიკობაში, მის საყოველთაოობაში გამოიხატება და გამოვლინდება? კათოლიკობა ხომ არასოდეს იკეტება საკუთარ თავში: არც არსობრივად და არც ფორმით?

ინკულტურაცია საუკუნეთა განმავლობაში გამოცდილი მეთოდია კათოლიკური სარწმუნოების შესატანად და გასავრცელებლად იმ ქვეყნებში, იმ კულტურებში, სადაც კათოლიკობას განსხვავებული მყარი ტრადიცია დახვდა, – შეგვიძლია ვთქვათ, არაეფროპული ტრადიცია, – თუმცა ის ხშირად ორლესულ მახვილს წარმოადგენს. ინკულტურაცია, ანუ ნაცნობი, ჩვეული, შეჩვეული გარემოს შენარჩუნება, ერთი მხრივ, უადვილებს ახალმოქცეულს, – იმას, ვინც ან, ზოგადად, ქრისტიანობაზე, ან, კერძოდ, კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოექცა, – მიიღოს ეკლესიის მოძღვრების ნამდვილი არსი ისე, რომ მას არ მოუხდეს თავისი კულტურული კერის მტკივნეული დაძლევა და გადალახვა, რათა ძველი ჯებირები არ აღმოჩ-

ნდეს ხელისშემშლელი დაბრკოლება ქრისტეს ეკლესიასთან მისასვლელად და დასაახლოებლად, მაგრამ, მეორე მხრივ, ქრისტეს ჭეშმარიტების, ნამდვილი კათოლიკური ჭეშმარიტების მიღება მოითხოვს კულტურულ წყვეტასაც, – ცოტა უხეშადაც და ცოტა საძნელოსაც, – რადგან ახალი ღვინო ძველ ტიკებში არ უნდა ჩაისხას (მათე 9:17) და ქრისტეს გზაზე შემდგარებმა მორწმუნეებმა მიცვალებულების დამარხვა ისევ თავიანთ მიცვალებულებს უნდა მიანდონ (მათე 8:22), როგორც ამას მკაცრად მოგვიწოდებს და გვასწავლის იესო. კითხვას რომ ოდნავ მეტათეორული სახე მივცეთ, ჩვენი სათქმელი შეიძლება ასე გამოიხატოს: კათოლიკურ ტაძარში შემოსული ბიზანტიური ორიენტაციის ქრისტიანისათვის რა უფრო მიმზიდველი იქნება, დახედეს მას იქ ისევ აღმოსავლურქრისტიანული კულტურის ტრადიციული ხატები (როგორც, ვთქვათ, ჩვენს საკათედრო ტაძარშია თბილისში) თუ დასავლურქრისტიანული კულტურის ტრადიციული ქანდაკებები, რომლებიც იესოს, მარიამს, წმიდანებს გამოხატავს (ამის ნახვაც შესაძლებელია ჩვენს ტაძარში)? რომელია უმჯობესი კათოლიკური ვინაობის დასამკვიდრებლად და შესანარჩუნებლად: აღინიშნებოდეს შობა 25 დეკემბერს თუ 7 იანვარს (როგორც, ვთქვათ, ბერძნული წესის კათოლიკეები აღნიშნავენ უკრაინაში)? ან კიდევ, მარიამობის დიდი დღესასწაული იზემიებოდეს ბიზანტიურად – “ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინებად” 28 აგვისტოს თუ რომაულად – “ნეტარი მარიამის ზეცად აღყვანებად” 15 აგვისტოს? რა უფრო აღანთებს მაძიებელი ქრისტიანის გულსა და სამშვინველს: სიახლე თუ უცვლელობა, უჩვეულობა თუ შეჩვეულობა, მოულოდნელი თუ უკვე ცნობილი? ხოლო თუკი სულიერი სწრაფვითა და წადილით მოცული ეს ადამიანი ვერავითარ სიახლეს ან ცვლილებას, ვერავითარ თვალმისაცემ განსხვავებას ვერ შენიშნავს თავის შესაძლო თუ უკვე ახალდაწყებულ კათოლიკურ ცხოვრებაში, მაშინ რატომ უნდა გაუჩნდეს მას მგზნებარება, გახდეს ან იყოს კათოლიკე, რითაც არცთუ მსუბუქად უნდა გამოიყოს მკვიდრ გარემოს და განწყვიტოს ჩამოყალიბებული კავშირები (თუნდაც სულაც ყოფით-სადღესასწაულო კავშირები) ახლობლებთან თუ შორეულებთან, ან მაშინ – თუკი არაფერია შესაცვლელი – რატომ უნდა გაემიჯნოს იგი უკვე ხანგრძლივად შეგუებულ ეკლესიურ

ტრადიციას? კათოლიკურ სარწმუნოებას არასოდეს დაუმკვიდრებია არც გულგრილობა და არც განურჩევლობა, რომ უმნიშვნელოა ქრისტიანი მორწმუნის სულიერი ცხოვრებისა და საბოლოო ხსნისათვის, იქნება თუ არა იგი ქრისტეს მიერ დაფუძნებული და თავად მისგან წმიდა პეტრესათვის ამქვეყნად მინდობილი ეკლესიის ერთგული წევრი.

ბოდიშს ვიხდით, შესაძლოა, უდიერი შემოჭრისთვის თქვენი პირადი განცდების სივრცეში, მაგრამ მინდა გკითხოთ, ხომ არ გიჩნდებათ ხოლმე გულდაწყვეტილი განცდა, რომ კათოლიკე ეკლესიაში თქვენი სულიერი თუ ინტელექტუალური განვითარებისათვის უმჯობესი იქნებოდა უფრო ძლიერი, უფრო მტკიცე, უფრო მრავალრიცხოვანი, უფრო მრავალფეროვანი კათოლიკური საკრებულოს წევრი ყოფილიყავით, ვიდრე ახლა მიეკუთვნებით?

არამც და არამც. ჯერ ერთი, კათოლიკე ქრისტიანი ყოველთვის ეკუთვნის უზარმაზარ საკრებულოს, რომელიც დედამიწის ზურგზე ყოველთვის იყო და ამჟამადაც არის ყველაზე მრავალრიცხოვანი ქრისტიანული საკრებულო (თუმცა არაა გამორიცხული, რომ ეს მდგომარეობა როდისმე შეიცვალოს, რაც არანაირად არასოდეს შეარყევს კათოლიკური სარწმუნოების ჭეშმარიტებას!), ხოლო ყოველი კათოლიკის ღრმა შინაგანი მზერა ყოველთვის მიმართულია ეკლესიის სულიერი შუაგულისაკენ, რომისაკენ. აქედან გამომდინარე, რომის კათოლიკე ეკლესია, ბუნებრივია, ვერასოდეს იქნება პროვინციული, იზოლირებული, კონკრეტულ სივრცესა თუ დროში შეზღუდული, განვითარებას ჩამორჩენილი ან მოშორებული. სხვათა შორის, ეს შეეხება არა მარტო ლათინური წესის კათოლიკურ საკრებულოებს, არამედ იგივე ითქმის, განსხვავებით, ბიზანტიური ტრადიციის ქრისტიანთა სამყაროსაგან, აღმოსავლური წესის კათოლიკეთა საკრებულოების გამოც, რაც მკაფიოდ მიჰნავს ერთმანეთისაგან ლიტურგიულად სხვაგვარად მეტად ახლობელ და მონათესავე ამ ეკლესიებს. მაგრამ, ამავე დროს, მეორე მხრივ, გავიხსენებ წმიდა ეგნატე ლოიოლას სულიერ გამოცდილებას, ცნობილს მისი ცხოვრების ადრეული ხანიდან, იმ დროიდან, სანამ იგი იესოს საზოგადოებას ჩამოაყალიბებდა,

როცა მას უნდოდა, მიეღო რომელიმე ყველაზე დაკნინებული, ყველაზე დაქვეითებული ორდენის წევრობა, რათა საფუძვლიანად ჩასწვდომოდა ქრისტეს ნებაყოფლობითი განკაცების მიუწვდომელ სიბრძნეს, სავსებით შერწყმოდა მის მიწიერ საცკივარს, ცხადად ეგრძნო მისი დამცირების სიმძიმე, გაეზიარებინა მისი მიუსაფრობის ტვირთი, განეცადა მისი გარიყულობის იარა. რაკი იესო სულაც არ მოსულა მდიდართა, შეძლებულთა, გალალეებულთა, წარმატებულთა შორის: განხორციელებულმა ღმერთმა თავის ხვედრად ყველაზე ღარიბი, ყველაზე ჩაგრული, უსახლკარო და დევნილი ადამიანის ცხოვრება აირჩია. ქრისტიანობამ არა მარტო მანამდე სრულიად უჩვეულო უწყება მოუტანა ქვეყნიერებას, რომ ყოველი ადამიანის პიროვნული არსებობაა ღირებული, რომ თავისთავად ყოველი ადამიანია ღირებული და პატივსაცემი, არამედ ისიც, რომ განკაცებული, განხორციელებული ძე ღმრთისა – იესო ქრისტე ამქვეყნად სწორედ ცოდვილთა და დაცემულთა სახსნელად მოვიდა, და არა მართალთა და უმწიკვლოთა გასამხნეველად ან მათ შორის ჩასადგომად. ამიტომაც, ყველა ქრისტიანმა ყველაზე კარგად ის ვიცით, რომ ქრისტე სწორედ იქაა, სადაც განსაცდელი და შეჭირვებაა. როგორც კარგად გვახსოვს, იესოს არასოდეს უანდერძია ჩვენთვის ადვილი, უდაბრკოლებო, უზრუნველი ცხოვრება, და არც გამარჯვება უწინასწარმეტყველებია ჩვენთვის...

ბატონო მერაბ, თქვენ აღნიშნეთ, როგორი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თქვენი თანდათანობითი შეერთებისას კათოლიკე ეკლესიასთან რომის პაპის ადგილისა და ღირებულების გაცნობიერებას კათოლიკე ეკლესიის ცხოვრებაში. როგორც ჩანს, არც მთლად შემთხვევითი და არც მთლად უსაფუძვლოა, რომ არაკათოლიკეები კათოლიკეებს ხშირად დამცინავად "პაპისტებს" უწოდებენ. თქვენი სიტყვებითა და დამოკიდებულებით, – მით უმეტეს, როცა თქვენი პირველადი ბიძგის გამო ლაპარაკობდით, გეღიარებინათ პაპის უზენაესობა და, შესაბამისად, კათოლიკობის ჭეშმარიტება, – კიდევ უფრო ხომ არ ამყარებთ მათს ამ დამცინავ დამოკიდებულებას კათოლიკეთა მიმართ?

კარგად ვიცით, სახარებაში საგანგებოდ და მკათიოდ აღმოსავლელი იესოს სიტყვები, რომ ქრისტე თავის მეორედ მოსვლამდე ამქვეყნად ეკლესიის – დაუძლეველი ეკლესიის – მუდმივ მეთაურად წმიდა პეტრეს და მის მემკვიდრეებს ტოვებს (მათე 16:18), რომ მხოლოდ პეტრე და მისი მემკვიდრეები უნდა გაუძღვნენ ქრისტეს ერთგულთ (იოანე 21:17), რომ მხოლოდ მათ ეძლევათ მიწიერ ცოდვათა მიტევებისა და ზეცისაკენ ქრისტიანისათვის გზის გახსნის უფლება (მათე 16:19), და კიდევ, რომ, როცა ვინმე ქრისტიანთაგან სწორ გზას ასცდება, მხოლოდ წმიდა პეტრესა და მის მოსაყდრეთ ენიჭებათ ჭეშმარიტების გზაზე სხვათა დაყენების უფლება, რაკი მათი სარწმუნოება არასოდეს დაეცემა, ქრისტეს დაპირების კვალად (ლუკა 22:32). წარმოუდგენელია, რამე ამაზე უფრო თვალსაჩინოდ და გამოკვეთილად ითქვას! ისიც უეჭველია, რომ იესო, ერთი მხრივ, არ მიმართავს, ზოგადად, მოციქულებს, არამედ კონკრეტულად, გამორჩეულად, პეტრეს, მაგრამ, მეორე მხრივ, არ მიმართავს კონკრეტულად მხოლოდ პეტრეს, რადგან მას სულ რამდენიმე ათწლეულის ცხოვრებალა ჰქონდა დარჩენილი, ხოლო პეტრეს სახით, რა თქმა უნდა, იგულისხმება ყველა იგი, ვინც მის საყდარს იმემკვიდრეებდა საუკუნეთა განმავლობაში. კიდევ, არაკათოლიკეთაგან ცოტა ვისმე თუ მოსწონს, მაგრამ, ასევე, ცოტა ვისმე თუ ესმის ცხადად მოძღვრება რომის ეპისკოპოსთა, ანუ პაპის უცდომლობის შესახებ სარწმუნოებისა და ზნეობის საკითხებში, რომელიც დოგმის სახით ვატიკანის პირველმა კრებამ 1870 წელს მიიღო. მისი ჭეშმარიტების დასადასტურებლად ეს, შესაძლოა, სულაც არაა მყარი, უცხოთათვის დამარწმუნებელი საბუთი, მაგრამ განა არაა ღირსშესანიშნავი, შესამჩნევი, თვალშისაცემი, რომ სწორედ მას შემდეგ, რაც ეს დოგმა გამოცხადდა, ყველა პაპი, შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად თუ კანონიკურად წმიდანია (პიუს მეცხრიდან დაწყებული, რომლის სიცოცხლეშიც გამოცხადდა ეს დოგმა, ვიდრე ბოლო გარდაცვლილ პაპამდე, იოანე პავლე მეორემდე, თითქმის ყოველი მათგანი ან წმიდანად თუ ნეტარადაა უკვე შერაცხილი, ან მათი კანონიზაციის პროცესი მიმდინარეობს და ელოდება ნეტარად შერაცხვას)? ამავე დროს, ადვილად შესატყობია, რომ ყოველი მომდევნო პაპი, შეიძლება

ითქვას, რადიკალურად განსხვავებულია ხოლმე ცხოვრების წესით თავისი წინამორბედისაგან. მაგრამ რაკი კათოლიკობა სწორედაც საყოველთაოობას, ყოველისმომცველობას ნიშნავს, ხომ არ წარმოგვიჩენს სული წმიდა – ეკლესიის მეთაურის მაგალითით – სიწმიდის გზათა მრავალფეროვნებას, გამოხატულს პაპების განსხვავებულობისა თუ სხვადასხვაგვარობის სახით? ხომ არ გვაჯილდოებს ღმერთი – დროის, ეპოქის შესატყვისად – სიწმიდის მრავალმხრივი, მრავალნაირი მისაბაძი ნიმუშებით? თუკი ეს ნამდვილად ასეა, ყოველი კათოლიკისათვის, ჩვენი ყოველდღიური კათოლიკური ცხოვრებისათვისაც მნიშვნელოვანი ხდება პაპის ხატება არა როგორც გაუცნობიერებელი თაყვანისცემის საგანი, არამედ სწორედაც როგორც მიმართულების წარმართვის მისაბაძი ნიშანი, გეზის მიმცემი ნიშანსვეტი სიწმიდის რთული და საძნელო გზის თვალსაჩიერში. კიდევ, ნამდვილად სარწმუნოა, რომ რომის პაპის უცდომლობა სარწმუნოებისა და ზნეობის საკითხებში, რომელიც დოგმის სახით მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისათვის დადასტურდა, მანამდეც (და მუდამ!) ვლინდებოდა იმითაც, რომ არცერთი პაპი, – განსხვავებით სხვა მღვდელმთავართა თუ პატრიარქთაგან, – არასოდეს ჩავარდნილა სარწმუნოებრივ ერესში, არცერთს არასოდეს უქადაგებია და გაუვრცელებია რამე ერეტიკული სწავლება, რაც უნდა პირადად, პიროვნულად, ადამიანურად არცთუ ყოველთვის ზნეობრივად უმწიკვლო ან სანაქებო ყოფილიყო მათი ზოგიერთი საქციელი (როგორი შემთხვევებიც მომხდარა, ვთქვათ, შუა საუკუნეთა თუ მოგვიანო ხანის განმავლობაში). სხვათა შორის, მახსოვს, უკითხავთ, თუკი კონკლავის დროს რომის ეპისკოპოსებს სული წმიდა ირჩევს და იგი მოუხმობს თავის რჩეულს ეკლესიის მიწიერ მეთაურად, როგორ შეიძლებოდა, რომ პაპის საყდარი უღირს ადამიანს დაეკავებინა, როგორც რამდენჯერმე გამოვლინდა პაპობის ორიათასწლოვან ისტორიაში. მაგრამ პასუხი სრულიად მარტივია: პაპიც, რა თქმა უნდა, პიროვნულად ცოდვილია (რაკი არავინაა უცოდველი ამქვეყნად!), მაგრამ მოძღვრების ქადაგებისას იგი უცდომელია, ისევე, როგორც ეკლესია, რომელიც მიწიერი გზის გავლისას, მიწიერი მსხემობისას, რა თქმა უნდა, ცოდვილ ადამიანთა შესაკრებელია (რაკი არავინაა უცოდვე-

ლი ამქვეყნად!), მაგრამ თავად ეკლესია, როგორც ღმრთაებრივი, ღმრთის მიერ დადგენილი დაწესებულება, ყოველთვის უცდომელი და უმწიკველია. სხვათა შორის, ეკლესიის არსის გასაგებად ეს, ალბათ, უმნიშვნელო გარემოებაა, მაგრამ, თუ დაუუკვირდებით, კათოლიკე ეკლესია დედამიწის ზურგზე არა მარტო ყველაზე მრავალრიცხოვანი, არამედ, ასევე, ყველაზე ხანგრძლივი და უწყვეტი ისტორიის მქონე დაწესებულებაა, – ამ თვალსაზრისითაც, ის, როგორც ჩანს, ერთადერთია.

რამდენად სულიერად ნაყოფიერი აღმოჩნდა თქვენთვის რომში ყოფნა, სადაც თქვენ, თეოლოგიური ცოდნის გაღრმავების გარდა, უბრალოდაც, წლების განმავლობაში კათოლიკე ეკლესიის შუაგულში მოვიჩინათ ცხოვრებამ?

დარწმუნებული ვარ, რომში არათუ ცხოვრება, არამედ ხანმოკლე ყოფნაც კი ადამიანს უსაზღვროდ ამდიდრებს, და როგორც წარსულს, ისე აწმყოს ახალი, ახლებური ხედვით წარმოუჩენს. გერტრუდ ფონ ლე ფორტი, დიდი კათოლიკე მწერალი (სხვათა შორის, ასევე, თეოლოგიის პირველი დოქტორი ქალი ეკლესიის ისტორიაში), თავისი დიდებული რომანის, "ვერონიკეს მანდილის" (1928), ბოლო სტრიქონებში ამბობს, რომ რომი სამყაროს წმიდათაწმიდა გულია, ესაა ადგილი, სადაც ზეცა და დედამიწა ეხება ერთმანეთს, – იესო ქრისტეს რომი, უძლეველი და მართლაც მარადიული! მინდა გავიხსენო ერთი უძველესი ქრისტიანული გადმოცემა (სხვათა შორის, ამ ტექსტის ძველი ქართული თარგმანის ასაკი ბევრად აჭარბებს ერთ ათასწლეულს), რომლის მიხედვით, წმიდა პეტრეს, როცა ქრისტიანთა სასტიკი დევნის გამო იგი რომიდან ილტვოდა და ქალაქს მცირედ იყო მოშორებული, გზად ჯვრით დატვირთული იესო ქრისტე გამოეცხადა; მას შემდეგ, რაც სულით შეძრულმა მოციქულმა ჰკითხა მასწავლებელს, თუ სად მიდიოდა ("Quo vadis?"), პეტრემ იესოსაგან პასუხად მიიღო, რომ იგი რომს მიემართებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან ქრისტე ამქვეყნად რომში დაივანებდა! ღმრთაებრივი მოძღვრისაგან გამხნეებული პეტრე დაუბრუნდა რომს, ეწამა ქრისტესთვის, დაამოწმა მისი ერთგულება, ხოლო თავისი საყდარი საუკუნოვან მემკვიდრეებს, რომის ეპისკოპოსებს, პაპებს

გადასცა. დღეს რომში პეტრეს 265-ე მემკვიდრე იმყოფება, ქრისტეს მიწიერი ნაცვალი და, როგორც კათოლიკეებს გვჯერა, იგი იქ იქნება მანამ, სანამ განკაცებული ქრისტე ხელახლა არ მოვევლინება ამ ქვეყანას. გავბედავ, გაგიზიაროთ მძაფრი პირადი განცდა: არასოდეს გამიფერმკრთალდება ის ხსოვნა, როცა ღამით, რომში, წმიდა პეტრეს მოედანზე, მაღალ სართულზე, პაპის კაბინეტის გვიანობამდე განათებულ ფანჯარას ვხედავდი ხოლმე, – ყოველ ჯერზე არ მტოვებდა აღელვება, რომ იმ ფანჯრის მიღმა იმყოფება ქრისტეს ნაცვალი, რომელიც სამყაროს შემოქმედთან ქრისტეიანთა ყოველდღიურ, ყოველწამიერ კავშირს უზრუნველყოფს. ვიცი, რომ ეს განცდა თითოეულ კათოლიკეს ღიძი და განუმეორებელი საგანძურის ფლობის ბედნიერებას ანიჭებს.

ფილოლოგიური და ფილოსოფიური განათლების გარდა, თქვენ შეძენილი გაქვთ თეოლოგიური განათლებაც, სულიერი თეოლოგიის განხრით. როგორ დაგეხმარათ ეს ცოდნა თქვენს ცხოვრებაში როგორც კათოლიკეს?

მოგეხსენებათ, კათოლიკობა უეჭველად მეტად რაციონალური სარწმუნოებაა, რომელიც ყოველივე არსებულის – ღმრთაებრივის თუ მის მიერ შექმნილის – გონებრივ წვდომას, ანუ ცოდნას, გააზრებას, დასაბუთებას მოითხოვს. კათოლიკური თეოლოგია სარწმუნოების სისტემური, მეთოდური, მოწესრიგებული გადმოცემაცაა და დამხმარე საშუალებაც ჭეშმარიტი სარწმუნოების მორწმუნეთათვის მისაწოდებლად. თეოლოგია ღრმა და ამომწურავი ცოდნაა ღმრთის, სამყაროსა და ადამიანის შესახებ, ოღონდ იმგვარი ცოდნა, რომელიც ნათელფენილია, გაცისკროვნებულია რწმენის შუქით. მაგრამ თეოლოგია, ამავე დროს, სულიერ ხსნას ემსახურება, როცა ყოველ კათოლიკეს ამარაგებს სარწმუნოებისა თუ საეკლესიო ან სულიერი ცხოვრების შესახებ უმკაცრესი და უზუსტესი განსაზღვრებებით, რომლებიც მსჯელობისა და განსჯის შედეგადაა მოპოვებული. კათოლიკური მოძღვრების გადმოსაცემად აუცილებელი მკაფიო ფარგლები და მკაცრი მოწესრიგებულობა არ იძლევა საშუალებას, თეოლოგიური აზროვნება გადაიჭრას (ან გადაიჩეხოს!) არც ბიზანტიური და არც პროტესტანტული მიმართუ-

ლების ემოციურობასა თუ ბუნდოვანებაში, ცივ გათვლებსა თუ გონების ვარჯიშობაში. სხვათა შორის, კათოლიკური ლიტურგიაც, კათოლიკური სულიერებაც, კათოლიკური კანონიკაც განმსჭვალულია ყოვლისმომცველი წესრიგით. თეოლოგია არაა სიბრძნე, აღმოცენებული თუნდაც მეტად დიადი ადამიანის გონებასა და განცდაში (თუნდაც იგი პლატონი ან არისტოტელე, დეკარტე ან ჰეგელი იყოს), – თეოლოგია იმგვარი ცოდნაა, რომელიც ღმრთის რჩეულ ადამიანებს გამოცხადების შედეგად ეძლევათ და რომელსაც შემდგომ ეკლესია ადასტურებს, მაგრამ ამ ცოდნის გადაცემას მორწმუნე კათოლიკეთათვის ისევ ეკლესია ივალდებულებს. ჩემთვისაც, როგორც რიგითი კათოლიკისათვის, თეოლოგია არა მარტო გონების საზრდოა, არამედ ქმედების ბიძგიცაა, რადგან ის არსობრივად შეუძლებელია დარჩეს ოდენ თეორიული, მჭვრეტელობითი ცოდნის ჩარჩოებში, – მაშინ ის სარწმუნოებრივად უსარგებლო და გამოუყენებელია. ეკლესიის მოძღვრება, რომელიც თეოლოგიურ საფუძვლებს ეყრდნობა, საშუალებას აძლევს მორწმუნე კათოლიკეს, ცხოვრებისა თუ ყოფის გადამწყვეტი თუ არაგადამწყვეტი საკითხების – ფაქტობრივად, ყველა საკითხის – გამო ეკლესიის უცდომელი პასუხი მიიღოს. თანაც, რაკი, კათოლიკური მოძღვრების მიხედვით, თავად ეკლესიის მოძღვრება (თვით ღოგმაც კი!), მართალია, არ იცვლება, მაგრამ თანდათანობით ვითარდება, ეკლესიას უმაღლ მოეპოვება ხოლმე პასუხი შესაბამისი ღროსათვის მეტ-ნაკლებად საჭირობოროტო საფიქრალის ირგვლივ. ნამდვილად დიდი იმედია, დიდი საყრდენია, რომ საყოველთაო აბობოქრებულ ღელვაში, ღირებულებათა აღრეულობაში, შეხედულებათა უწონასწორობაში შენს სამზერისში მუდმივად გეგულება შეუქრა, რომელიც სწორი გზის მიმართულებას მიგანიშნებს.

როგორ შეაფასებდით წმიდა თომა აკვინელის მოძღვრების მნიშვნელობას კათოლიკე ეკლესიის სულიერ თუ ინტელექტუალურ ცხოვრებაში? რამდენად გამორჩეულია იგი სხვა თეოლოგთა და ფილოსოფოსთა შორის? პირადად თქვენთვის რა როლი ითამაშა მან სამყაროს თქვენეული აღქმის გააზრებისას?

წმიდა თომა აკვინელის მნიშვნელობის შესახებ კათოლიკე ეკლესიის ცხოვრებაში, კათოლიკურ მოძღვრებაში ჩემზე მრავალწილად უკეთ მეტყველებს პაპის, ლეონ მეცამეტის, ენციკლიკა "Aeterni Patris" (1879), სადაც მისი ფილოსოფია კათოლიკე ეკლესიის ოფიციალურ და ერთადერთ ფილოსოფიადაა გამოცხადებული, ხოლო ვატიკანის მეორე კრებამ (1962-1965) მის მემკვიდრეობას "მარადიული ფილოსოფია" უწოდა. მიხარია, რომ პირველად მის შესახებ იმ ქართული წიგნიდან გავიგე, – თუმცა მაშინ უკიდურესად მცირე რამ გავიგე, – რომელიც ნოდარ ნათაძეს ეკუთვნოდა ("თომა აკვინელის ფილოსოფია", 1973) და რომლის კითხვასაც თორმეტ-ცამეტი წლის ასაკში შევუდექი. მხოლოდ თანდათანობით ჩაეწვდი, რომ არავის შეუქმნია მასზე უფრო მთლიანი, ყოვლისმომცველი, სრულიად გაწონასწორებული, ჭეშმარიტებისა და სილამაზის, სიხარულისა და ბედნიერების, სიკეთისა და იმედის დამამკვიდრებელი, ღრმად დასაბუთებული ფილოსოფიური სისტემა. წმიდა თომა აკვინელი ჩემთვის ის მოელვარე, მოკაშკაშე სხივია, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში წინ გიძღვის და გზას გინათებს, – ფაქტობრივად, ყველა ბუნდოვან თუ არცთუ ბუნდოვან საკითხს მოულოდნელად ცხადყოფს და ნათელს მოჰფენს, და კიდევ, ამომწურავად და საოცარი სისადავით აღწერს, გაიაზრებს, დააღაგებს ყველაფერს, რაც კი ჩვენს ირგვლივ არსებობს თუ ხდება. ბედნიერებაა, წმიდა თომა გყავდეს მასწავლებლად, მით უმეტეს, როცა კათოლიკე ხარ, მაგრამ კიდევ უფრო ბევრს გასწავლის იგი ცხოვრებისეულადაც, ყოველდღიურადაც, თუკი, საბედნიეროდ, მისი პროფესიული კოლეგაც აღმოჩნდება, – მეცნიერი და მასწავლებელი: თუკი წერ, თუკი იკვლევ, თუკი ახალგაზრდებს ასწავლი. მისი სრულიად სანიშუშო და გასაოცარი ცხოვრების წამიერი წარმოდგენაც, მისი ნებისმიერი გამონათქვამის უეცარი გახსენებაც კი ნეტარების წარმტაც განცდას განიჭებს. კიდევ, მაგონდება, – და არც არასოდეს დამავიწყდება, – ერთხელ რომში, წმიდა თომა აკვინელის პაპისეული უნივერსიტეტის ("ანჯელიკუმის") წმიდა თომა აკვინელის კვლევითს ინსტიტუტში ერთი მოხსენებისას პროფესორმა მაგიდაზე დააღაგა წიგნების უზარმაზარი წყება, რომელიც წმიდა თომას მხოლოდ ერთი წლის მუშაობის ნაყოფს წარმოადგენდა, მერმე დააღაგა მეორე წყება, რომელიც მომდევნო, კიდევ ერთი წლის ნაყოფი იყო, ხოლო როცა აუდიტორიას გა-

ოცებამ გადაუარა, თქვა ის, რაც ყველასათვის ისეც ცხადი იყო: რომ ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს აღემატება, – მით უმეტეს, მეცამეტე საუკუნის წერთი საშუალებების პირობებში, – ნაშრომთა ამგვარი რაოდენობით შექმნის მოსწრება. მაშინ პროტესტორმა ახსნა ამ სასწაულის რაობა: ღმერთი თავის რჩეულებს დროს უფართოებს.

როგორ ჩამოყალიბდა თქვენი სულიერება? რომელ საფუძვლებზე დაშენდა ის? ისიც ვიცით, რომ გარკვეული დროით სამონასტრო ცხოვრების გამოცდილებაც მოგეპოვებათ.

მართალი ბრძანდებით. კათოლიკური სამონასტრო-სამონასტრო ცხოვრება ნამდვილად ახლოდან გამიცნია სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში და სხვადასხვა დროს, მაგრამ მხოლოდ გამიცნია, რადგან სამონასტრო სახლებში და მონასტრებში ხანგრძლივად თუ ხანმოკლედ ცხოვრებისას იქ ყოველთვის მაინც ერისკაცის მდგომარეობით ვიმყოფებოდი. რაც შეეხება ჩემს სულიერ ჩამოყალიბებას, – თავიდანვე, ჩემი პირველივე ნაბიჯებიდან კათოლიკე ეკლესიაში, – ის განპირობებული აღმოჩნდა ორი მეტად განსხვავებული სულიერი ტრადიციის გადაკვეთით, ან მათი შერწყმით, რისი საშუალება ორივე ტრადიციის გარემოში გარკვეული დროით ბინადრობამაც მომცა. ერთი მხრივ, ეს იყო დომინიკური სულიერება, ხოლო, მეორე მხრივ, – იეზუიტური სულიერება. ამდენად, ბუნებრივია, რომ მათი ფუძემდებელი – წმიდა დომინიკე დე გუსმანი და წმიდა ეგნაცი ლოიოლა, უსაზღვრო მოკრძალებითა და სიყვარულით, ჩემს დიდ მასწავლებლებად მიმაჩნია. თუ დომინიკელთა სულიერება თეოლოგიური აზრის არა მარტო სიღრმესა და ამომწურავობას, არამედ მის სრულ დაწმენდილობასა და სისხარტე-სისადავეს შოთხობს, ასევე, მის დამკვიდრებასა და გაერყელებას, იეზუიტური სულიერება მორწმუნე ადამიანს ასწავლის დროისა თუ ვითარების სწორად აღქმისა და შეფასების უნარს, რაც სულიერ-ინტელექტუალური მეთოდური წვრთნის შედეგად მიიღწევა. თუ ერთი ფიქრისა და აზრის წესრიგისაკენ მოუხმობს, ინტელექტუალურ სიმკაცრესა და დასაზღვრულობას აწესებს, – თანაც იმგვარად, როგორც, ფაქტობრივად, სხვა არავინ მსოფლიო აზროვნების ტრადიციაში (წმიდა თომა აკვინელი ხომ დომინიკელი მოწესე იყო!), – მაგრამ ამავე დროს, დიდ დროს უთმობს მედიტაციურ-რეფლექსიურ, ანუ

მჭვრეტელობით-განაზრებითს ცხოვრებას, მეორე პრაქტიკული ყოფის ყველაზე უკეთეს, ყველაზე სასარგებლო გაკვეთილებს იძლევა, რომლებიც ყოველთვის, ყველგან, ყველასათვის უაღრესად გამოსადეგია, მაგრამ რომელიც არასოდეს დალატობს ქრისტიანს და ეკლესიის ერთგულებას და, ამავე დროს, ნებისმიერ ქრისტიანს (აღბათ, არაქრისტიანსაც) მიწიერი ცხოვრების ქვა-ღორღიან გზაზე მრავალი დაბრკოლების საფრთხეს ააცილებს. მათი განსხვავების წარმოსადგენ ცხად და მარტივ მაგალითად ისიც გამოდგება, რომ დომინიკური სულიერი ტრადიცია ლოცვას დღეში ხუთჯერ მოითხოვს, დადგენილ და განსაზღვრულ დროს, ხოლო იეზუიტური სულიერი ტრადიცია ლოცვას შესაძლებლად მიიჩნევს მაშინ, როცა კათოლიკე ქრისტიანი ამის დროსა და საშუალებას გამოიხატავს. ისიც აღსანიშნავია, რომ დომინიკელებსაც და იეზუიტებსაც მრავალი სახელმძღვანელო შეუქმნიათ ინტელექტუალური თუ არამხოლოდ ინტელექტუალური ცხოვრების ყოველდღიური წესების შესახებ, რაც უაღრესად სასარგებლოა ყველა იმისათვის, ვინც მის გამოყენებას გადაწყვეტს. თუმცა აუცილებლად – და ამგვარივე სიხარულით – უნდა ვთქვა, რომ ჩემს სულიერ ჩამოყალიბებას ასევე ვუმადლი დიად სულიერ მოძღვართ, რომლებმაც კათოლიკე ქრისტიანებს არაერთი გადამწყვეტი რამ გვასწავლეს: წმიდა ბენედიქტე ნურსიელმა – შრომითა და სწავლით ცივილიზაციის გადარჩენა, წმიდა ისიდორე სევილიელმა – სრულიად უწიგნურ, ბარბაროსულ გარემოშიც კი განათლებისა და კულტურის თავდადებული დაცვა, წმიდა ფრანცისკე ასიზელმა – ყოველი ცოცხალი არსებისათვის უანგარო სიყვარულის გაცემა და ყოველი მათგანის მსახურების სწრაფვა, წმიდა ტერეზა ლიზიელმა – ყველაზე მცირესა და თითქოს უმნიშვნელოშიც კი დიადი, უზომო, ღმრთაებრივი საწყისის აღმოჩენა. ზოგადადაც, კათოლიკე ეკლესიის წმიდათა გუნდი – თითოეული წმიდანის ქრისტიანული ცხოვრებითა და ქრისტეს მიმართ ერთგულებით – ყოველი კათოლიკისათვის, ყოველი ჩვენგანისათვის უზარმაზარი, ამოუწურავი და მრავალმხრივი წყალობა თავიანთი მისაბაძი მაგალითითაც და თავიანთი დაუღლეელი შემწეობითაც.

დაბოლოს, როგორ შევიძლიათ პასუხი ვასცეთ კითხვას: განა ის, რომ ეკუთვნით კათოლიკე ეკლესიას, რომელიც თავის მოძღვრებაშიც, კანონიკურ სამართალშიც, ზნეობრივ მოთხოვნებშიც

მეტად მკაცრი და კონკრეტულია, არ გიშლით ხელს პიროვნული თავისუფლების განხორციელებაში? განა თქვენი თავისუფლება, თქვენი საკუთარი, პირადი არჩევანი არ იზღუდება, რაკი კათოლიკეს არ ეძლევა უფლება, თავად გადაწყვიტოს თუნდაც ღოგმის დამარწმუნებლობა, თუნდაც კანონიკური გადაწყვეტილება, თუნდაც კერძო ცხოვრების წესი, როცა ეკლესიის მოძღვრება სარწმუნოებისა და მორალის საკითხების გამო სრულიად შეუვალია და ყოველგვარ კამათს გამორიცხავს?

ასე მგონია, უსაზღვრო ბედნიერებაა, რომ კათოლიკე ეკლესიის წევრად ყოფნის განმავლობაში არასოდეს მიქონია განცდა, ჩემი რომელიმე თვალსაზრისი არ ეთანხმებოდეს ან, მით უმეტეს, ეწინააღმდეგებოდეს ეკლესიის მოძღვრებას. ყოველი შემთხვევისას, გამოვიტყდებით, ამგვარი რამ არ მახსენდება. ბუნებრივია, მხოლოდ საკუთარ გამოცდილებას გიზიარებთ და გამიჭირდება განზოგადება: არ ვიცი, რამდენად გრძნობს ყველა კათოლიკე სრულ თანხედრას იმასთან, რასაც ეკლესია ამბობს და მოითხოვს, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კათოლიკე ეკლესია სრული სისაყესით მიჰყვება იმ მოძღვრებას, რაც მან იესოსგან იმემკვიდრევა. ასე მგონია, იმიტომ კი არ ვუფიქრობ და ვმსჯელობ ასე, რაკი ასე ამბობს ეკლესია, არამედ იმიტომ, რომ ვიცი, ის, რასაც უფიქრობს და ამბობს ეკლესია, ნამდვილად და უცდომლად ჭეშმარიტია. ხოლო ჭეშმარიტების ნათელი, შეუძლებელია, – რაც უნდა ხელს გიშლიდეს გარემო თუ გარემოებები, – საბოლოოდ მაინც ვერ დაინახო, ვერ გაარჩიო. კიდევ, ისიც მგონია, რომ კათოლიკე ეკლესია – თავისი უკიდევანო სიფართოვის გამოც – ადამიანს ნამდვილ და სრულ თავისუფლებას ანიჭებს, მაგრამ, ამავე დროს, არასოდეს ათავისუფლებს მას პირადი, პიროვნული პასუხისმგებლობისაგან, რაც თავისუფლების გამოვლენის სრულ საშუალებას იძლევა. ისიც ვიცი, რომ მორალური მოთხოვნები, რომელსაც ეკლესია – ქრისტეს კვალდაკვალ – გვისახავს მიზნად, უდავოდ უზარმაზარ მუშაობასა და გარჯას მოითხოვს; მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ქრისტიანული მორალური ჰორიზონტი არასოდეს ყოფილა და არასოდეს იქნება ხელმისაწვდომად ახლოს, რადგან ჰორიზონტი, საერთოდ, მით უფრო მიუწვდომელი, მით უფრო მოუხელთებელი, მით უფრო შორი ხდება, რაც უფრო ცდილობ, მიუახლოვდეს და შეეხო მას. რაც მთავარია, იესო ქრისტეს მიერ მინიჭებული ძა-

ლაუფლებით, მხოლოდ კათოლიკე ეკლესიას და მის მეთაურს, – არც საკუთარ თავს და არც ვინმე სხვას, – აქვს უფლება, შეგინდოს ცოდვა და მოგანიჭოს მხნეობა, და, თუკი დაცემული ხარ, კიდევ ერთხელ, – უსასრულოდ მრავალჯერ, – ფეხზე წამოგაყენოს. სწორედ წმიდა პეტრეს, პირველ პაპსა და ეკლესიის მეთაურს, იესო მოუწოდებს და ანიჭებს უფლებას, მიუტევოს შეცოდება ცოდვილს “შვიდგზის სამოცდაათჯერ” (მათე 18:21-22), ანუ, ფაქტობრივად, ყოველთვის.

გმადლობთ, ბატონო მერაბ, რომ დრო გამონახეთ ვრცელი საუბრისათვის! ასევე, გმადლობთ გამორჩეული გულახდილობისათვის!

მადლობელი მე უნდა ვიყო, რომ თავდადებით გაუძელით ასეთ გაგრძელებულ პასუხებს და, შესაძლოა, მოსაწყენ მსჯელობებსა თუ აღწერებს. გმადლობთ, რომ მაინც ყურადღება გამოიჩინეთ ჩემი პასუხების მიმართ და ნდობით მოეკიდეთ მათს სრულ გულწრფელობას.

2019

არქივიდან

მფარველობითი დაპყრობა

საქართველო რუსეთის პირისპირ
პირველი შეხვედრიდან მეორე შემოჭრამდე

საკითხავი წიგნი

შედგენილი მერაბ ლალანიძის მიერ

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა	239
თავი 1	
ქართულ-რუსულ ურთიერთობათა საწყისებთან	241
თავი 2.	
საქართველო მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში	251
თავი 3	
საქართველო მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში	261
თავი 4	
ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება	271
თავი 5	
რუსული მმართველობის დამყარების პირველი წლები	281
თავი 6	
საეკლესიო დამოუკიდებლობის გაუქმება	290
თავი 7	
ოცწლეული: 1812-1832	300
თავი 8	
1832 წლის შეთქმულება	309
თავი 9	
სამეურნეო ცხოვრება საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ	318
თავი 10	
მეცხრამეტე საუკუნის შუალედი	326

თავი 11	
ქართული მიწების სრული ოკუპაცია	336
თავი 12	
რუსეთ-კავკასიის ომი და საქართველო	345
თავი 13	
რუსული რეფორმები საქართველოში	354
თავი 14	
საეკლესიო რუსიფიკაცია	363
თავი 15	
თერგდალეულები	372
თავი 16	
აჭარის შემოერთება. იმპერიული პოლიტიკის გამკაცრება	380
თავი 17	
ოცწლეული: 1885-1905	389
თავი 18	
1905-1907 წლების რევოლუცია	398
თავი 19	
ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის	407
თავი 20	
პირველი მსოფლიო ომი. თებერვლის რევოლუცია	417
თავი 21	
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა	427
თავი 22	
საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება	437

თავი 23	
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: საშინაო პოლიტიკა	447
თავი 24	
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: საგარეო პოლიტიკა	456
თავი 25	
1921 წლის ოკუპაცია	465

ვინ რუსი და ვინ ქართველი?
შუა ძეგს დიდი ზღვარიო!
ვინ გაასწორა ნეტავი,
და ან სად – მთა და ბარიო?

ისინი მოვლენ მოყვრულად,
გადიქცევიან მტრებადა;
ჩამოგვართმევენ, ძველთაგან
თუ რამე დაგვრჩა... გვებადა!

თუ გაგვარუსეს, ხომ კარგი,
თვარა გაგვწირვენ ყველასო,
“ბოჟე მოიზე” შესცვლიან
ჩვენებურ “დელა-დელასო”!

ხელში იგდებენ მიწა-წყალს,
ამ ჩვენ ბუნებას კარგასო,
აქ რუსებს დაასახლებენ
და ჩვენ აგვიკვრენ ბარგასო...

“ძალა აღმართს ხნავს”, მაშინ ჩვენ
ველარას მოვუხერხებთო
და უნაყოფო ფართხალით
ტყულა თავს შევიწუხებთო.

ეკალი რომ ითვისება,
ის ღროა სამწუხაროო!
და რომ ამოვა, რაღას იქმ,
გინდა ცრემლებიც ღვაროო?

რასაც დღეს სთესენ რუსები,
შენ ხედავ, ჩემო ჭაბუა,
ჩვენ სამშობლოში ოდესმე
ჭინჭრად და ეკლად ამოვა.

აკაკი წერეთელი
“ასის წლის ამბავი”

წინათქმა

საკითხავი წიგნი მიზნად ისახავს, მკითხველთა ფართო წრეს, ახალგაზრდებს და, უწინარეს ყოვლისა, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეებსა თუ სტუდენტებს მოკლედ გააცნოს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ისტორია, მისი საწყისები, მიზეზები, გამოვლინებები და შედეგები. წიგნმა უნდა აჩვენოს, თუ რამ განაპირობა და რამ მოიტანა ჩვენი ქვეყნის ეს ტრაგიკული ხანა, რა დავკარგეთ და რა შევიძინეთ ამ დროის განმავლობაში, რა შეიცვალა (გაუმჯობესდა ან გადაგვარდა) საქართველოში მცხოვრები ადამიანების სულიერ, ინტელექტუალურ, პოლიტიკურ თუ სამეურნეო ცხოვრებაში; წიგნის ცალკეულმა თავებმა შეძლებისდაგვარად ცოცხლად უნდა წარმოსახოს ის ადამიანები, – ქართველები თუ რუსები, ანდა სხვა ეროვნების წარმომადგენლები, – რომელთაც ხელი შეუწყვეს ან ხელი შეუშალეს ოკუპაციის მომზადებას, განხორციელებას, მისი მიზნებისა და ჩანაფიქრების ასრულებას. ოკუპაციის ისტორიის სწორი ზნეობრივი შეფასებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ღიად და შეულამაზებლად ითქვას, რამდენად და როგორ ემსახურებოდნენ ჩვენი თანამემამულენი ოკუპანტების საქმეს, რა განაპირობებდა მათი მხრიდან ამგვარ არჩევანსა და ქმედებას.

წარსული აწმყოსა და მომავალს უნდა ემსახურებოდეს და, ამ მხრივ, ამ საკითხების დასმა და მათი გადაწყვეტის მცდელობა იმ კითხვებზე პასუხის პოვნასა და მოგვარებაში უნდა დაგვეხმაროს, რაც დღესაც გვაწუხებს...

წიგნის ჩანაფიქრია, ოკუპაციის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები ამგვარად წარმოაჩინოს: ერთი – მთლიანობაში, მეორე – დღევანდელობის თვალსაწიერიდან, მესამე – ახალაღმოჩენილი ან ახლად აღმოჩენილი მასალის გათვალისწინებითა და გამოყენებით. თუკი ადრე ამ ისტორიის რომელიმე ფურცელი მივიწყებული ან მიმალული იყო, ამჟამად მათი დაფარვის აღარც დროა და აღარც საჭიროება. ისიც უნდა ითქვას, რომ წიგნის შემდგენლის მცდელობა არ ყოფილა (და ვერც

იქნებოდა) ან საკითხების განხილვა ამომწურავი ყოფილიყო, ან სრულიად ახალი თვალსაზრისები შემუშავებულიყო.

ამავე დროს, მეტად მნიშვნელოვნად გვეჩვენება დანართების სიმრავლე, – სხვადასხვა ისტორიული წყაროებიდან ამოკრებილი მასალა, რომელიც უკომენტაროდაა მოწოდებული. სწორედ მათი გაცნობა მისცემს შკითხველს საშუალებას, თავისი დამოკიდებულება ჩამოაყალიბოს ცალკეული, კონკრეტული მოვლენის მიმართ.

საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ წიგნი ეფუძნება არაერთი თაობის ქართველი თუ არაქართველი სწავლულების კვლევათა გამოცდილებებსა და შედეგებს. ასევე, უხვადაა გამოყენებული მათი ტექსტები. ბუნებრივია, მათ დღეს აუცილებელი მადლობა უნდა მივაგოთ.

შემდგენელი

თავი 1

ქართულ-რუსულ ურთიერთობათა საწყისებთან

ისტორიულ წყაროთა შორის ქართველებისა და რუსების შეხვედრის შესახებ პირველი ცნობა დაუცავს სომეხ ისტორიკოსს სტეფანე ტარონელს (ასოლიკს). ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ისინი მანამდე არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს, ან სრულიად უცნობები იყვნენ ერთმანეთისათვის. უბრალოდ, საქმე ეხება პირველ დამოწმებულ და ჩვენამდე მოღწეულ ცნობას, თანაც, ეს უწყება უფრო მეტად ადამიანურ – თუნდაც მეტად დრამატულ – ურთიერთობას აღწერს და არა, ვთქვათ, სახელმწიფოებრივ, საჯარო-სამოქალაქო ან კულტურულ კონტაქტებს.

თუკი საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობათა რამდენიმესაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთი უმთავრესი მოსაბრუნო აღმოჩნდა 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და ქვეყნის რუსეთისათვის მიერთება, ეს პირველი დადასტურებული ქართულ-რუსული შეხვედრა რვა საუკუნით წინ უსწრებს ამ მოვლენას.

ასოლიკისეულ მატიანეში ამბავი ამგვარადაა აღწერილი: დაახლოებით 1001-1002 წლებში ქართველებს მშვიდობიანად დაუმთავრებიათ მოლაპარაკებანი თავიანთ იმდროინდელ მეზობლებთან – ბიზანტიელებთან, რასაც მათ შორის დაძაბულობაც განუმუხცავს და საბრძოლო განწყობაც. მაგრამ ამ დროს ბიზანტიელთა მიერ დაქირავებული რუსთა რაზმების ერთი ჯარისკაცისათვის ქართველ ჯარისკაცებს თივა წაურთმევიათ. ამ შემთხვევას ქართველთა და რუსთა სისხლიანი შეტაკებანი მოჰყოლია, ხოლო მისი შედეგი კი ის ყოფილა, რომ მთელი სამხრეთქართული ოლქის, ტაოს, თავს უბედურება დატრიალებულა: რუსთა სასტიკი თარეშის შედეგად ქვეყანაც მოოხრებულა, ხალხიც გაჟლეტილა და ქართველ მთავარ-დიდებულთაგან აღარავინ დარჩენილა ცოცხალი.

რაც შეეხება ქართულ საისტორიო წყაროებს, "ქართლის ცხოვრებაში" რუსები პირველად მოიხსენიებიან იმ შეტაკებასთან

დაკავშირებით, რაც 1021-1023 წლებში მომხდარა ქართველთა და ბიზანტიელთა შორის. მაშინ ბიზანტიელთა სამსახურში მყოფ რუსულ რაზმებს თითქმის მთლიანად გაუვლიათ მუსრი ქართველი მეფის, გიორგი პირველის, ლაშქრისათვის.

კიდევ, დადასტურებულია, რომ კიევის რუსეთის მმართველს, დიდ მთავარს იზიასლავს, 1154 წელს ცოლად მოუყვანია საქართველოს მეფის, დემეტრე პირველის, ასული; ამავე ხანებში ცხადდება ქართულ-რუსული კულტურული კონტაქტებიც: როგორც ჩანს, ნერედიცას მაცხოვრის ტაძარი ქართველი მხატვრის მონატულია.

ამასთანავე, საისტორიო წყაროებიდან ცნობილია პირველი რუსი, რომელიც ქართულ მიწა-წყალზე გამოჩენილა, – საქართველოს მეფის თამარის პირველი ქმარი: რუსი მთავრის, ანდრია ბოგოლიუბსკის ძე, იური (გიორგი), რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ „სვეუბედურს“ უწოდებს. იგი, ვლადიმირის მშობლიური სამთავროდან გაძევებული, საქართველოში 1185 წელს ხანგრძლივი თათბირის შედეგად ჩამოიყვანეს (მისი ჩამოყვანის უმთავრესი დასაბუთება მისი „ერთმორწმუნეობა“ ყოფილა), მაგრამ მისი პირადი თვისებების გამო მეუღლეთა ცოლქმრობის გაგრძელება შეუძლებელი აღმოჩნდა. თუმცა მას, უკვე სამეფო კარიდან განშორებულს, ქართველ დიდებულთა წყება მიემხრო, რომელთაც მისი გამეფებაც კი გამოაცხადეს ქუთაისში. იმხანად ქვეყანა შფოთმა, ამბოხებამ და შინაომმა მოიცვა, რასაც საქართველოს – თუნდაც დროებითი – გახლეჩა მოჰყვა...

მონგოლების ხანგრძლივ ბატონობას როგორც საქართველოში, ისე რუსეთში ამ ქვეყნების დაახლოება არ მოუტანია.

შემდგომ, მეთხოუმეცე საუკუნეში, როცა მოსკოვის სახელმწიფო ყალიბდება და, ამავე დროს, მეზობელი ქვეყნების (ყაზანისა და ასტრახანის სახანოების) მიტაცების ხარჯზე იზრდება და ძლიერდება, კახეთის მეფე ალექსანდრე პირველი 1491 წელს ელჩობას აგზავნის მოსკოვს. როგორც ჩანს, ელჩობის მიზანია, შეაფასოს მოსკოვის მეფის შესაძლებლობანი და უშუალოდ ადგილზე გაიგოს, რა მისწრაფებები და ინტერესები შეიძლება ჰქონდეთ რუსებს აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ. „კახთა მეფემ მეთხოუმეცე საუკუნის მიწურულს შეიტყო მოსკოვის დიდი მთავრის წარმატებათა შესახებ (თათართა გატეხა, ყაზანის დამორჩილება), მოსკოვის სახელმწიფოს სიმდიდრისა და გაძლი-

ერების შესახებ და ალექსანდრე მეფე ზვერაეს მას, ბუნებრივია, სიამოვნებს დიდი საქრისტიანო სამეფოს წარმოქმნა და გზავნის მოსკოვის დიდ მთავართან ელჩებს მოკითხვის წიგნით" (ნიკო ბერძენიშვილი).

მნიშვნელოვანია, რომ მანამდე, 1453 წელს, კონსტანტინოპოლი თურქებმა აიღეს, რითაც, ფაქტობრივად, არსებობა შეწყვიტა ბიზანტიის იმპერიამ. საქართველომ სამეზობლოში დაკარგა ქრისტიანული სახელმწიფო, რომელთანაც თუნდაც მცერ-მოყვრული დამოკიდებულება ჰქონდა. ამ დროს ბიზანტიის იმპერიულ მემკვიდრეობაზე პრეტენზიას აცხადებს რუსეთის სამეფო, რომელიც თანდათანობით მოსკოვს "მესამე რომად" აცხადებს (ამ თვალსაზრისით, პირველი იყო რომის იმპერიის დედაქალაქი, მეორე კი – ბიზანტიის დედაქალაქი, რომელსაც "ახალი რომი" ეწოდებოდა).

მთეექვსმეტე საუკუნის მიწურულისათვის რუსეთის მეფეებმა თავიანთ სახელდებას კიდევ ერთი ტიტული შეჰმატეს: "ქართველ მეფეთა ივერიის ქვეყნის ხელმწიფე"... ძნელი სათქმელია, რამდენად ჰქონდათ მათ იმუამად ამის ან მორალური, ან იურიდიული, ან ისტორიული უფლება... მაინც, როგორც ჩანს, რუსთა ხელმწიფეს ამის საფუძველი ქართველ მონარქებთან დიპლომატიურმა კონტაქტებმა მისცა.

1585 წელს კახეთში ჩამოდის რუსეთის ელჩობა, რომელიც მეფე ალექსანდრე მეორეს გადასცემს რუსთა მეფის თევდორე იოანეს ძის მიმართვას: ჩრდილოელი ხელმწიფე კახეთს თავის მფარველობას სთავაზობს. შემოთავაზებას ერთი წლის შემდეგ უკვე ქართული ელჩობა მოჰყვება რუსეთში, რამაც ის შედეგი გამოიღო, რომ 1587 წელს ალექსანდრემ რუსეთის ერთგულება აღიარა. ამის შემდეგ ხშირი მისვლა-მოსვლა ორ ქვეყანას შორის და მათ შორის ურთიერთობა სულ უფრო ძლიერდება.

1635 წელს ქართლის მეფე თეიმურაზ I მოსკოვში თავის დესპანს აგზავნის, რათა მან რუსეთის მეფეს, მიხეილ თევდორეს ძეს, ქართული სამეფო კარის სათხოვარი წარუდგინოს. თავის წერილში მეფე მოახსენებს ჩრდილოელ მეზობელს, თუ რა განსაცდელში ჩავარდნილა ქვეყანა სამმხრივ მომდგარი მტრების გამო (სპარსელები, თურქები, ლეკები) და დახმარებას სთხოვს ჩრდილოელ ხელისუფალს, რათა ქრისტიანი ხალხი და ქრისტიანული ქვეყანა სრულად არ დაიღუპოს. თეიმურა-

ზის შემდგომი მიმართვა რბილ საყვედურს შეიცავს, რადგან მეზობელი ქრისტიანული სახელმწიფოდან არათუ დახმარება არ ჩანდა, არამედ პასუხმაც ვერ მოაღწია. ის, რასაც იმხანად არ იშურებდა რუსეთი განსაცდელში ჩავარდნილი სამხრეთელი ქრისტიანი მეზობლისათვის, საქართველოში სასულიერო პირების მოვლინება იყო, რომელთაც უნდა გაერკვიათ, შეემოწმებინათ და რუსეთის საეკლესიო თუ საერო მმართველობისათვის ეცნობებინათ, რამდენად იცავდნენ ქართველები მართლმადიდებლურ სარწმუნოებას თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

უკვე იმ დროს, რაკი მოსკოვი თავს მართლმადიდებლური სამყაროს შუაგულად წარმოიდგენდა, ის ძალასა და ღონეს არ იშურებდა, რათა, მართლმადიდებლობის დროშით, მას მეტი გავლენა მოეხდინა სამეზობლოზე და, საბოლოოდ, მთლიანად დაემორჩილებინა მეზობელი თუ არამეზობელი ქრისტიანული ქვეყნები.

ამ მიზნებისათვის განსხვავებული ხერხები გამოიყენებოდა, რომელთა შორის არც მოქრთამვა გამოირიცხებოდა: "სიფრთხილით მოიწევდა რუსეთის დიპლომატია ამიერკავკასიაში და არა ახვეული თვალებით. ქართველი მეფის კარისკაცების მოსასყიდად გათვალისწინებული თანხები თუ ნივთები წინასწარ იგეგმებოდა და ელჩებს თან მოჰქონდათ" (იასე ცინცაძე).

ამ დროს რუსეთის სხვადასხვა უწყებანი იწყებენ ცნობების შეგროვებას საქართველოს შესახებ. მეჩვიდმეტე საუკუნიდან ჩნდება ჩანაწერები, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებისათვის გაუმზადებით საქართველოში მოვლენილ რუსებს.

დანართები

სტეფანე ტარონელი (ასოლიკი), "მსოფლიო ისტორია"

დავით კურაპალატის მთავრები და ვასლები, იქ მოსულნი, ბერძნების ბანაკის ახლოს იდგნენ. რუსების ქვეითი რაზმიდან ვიღაც მეომარს თივა მიჰქონდა თავისი ცხენისათვის. მივიდა მასთან ერთი ივერიელი და წაართვა მას თივა. მაშინ რუსთან დასახმარებლად მეორე რუსმა მიიღბინა. ივერიელმა თავისიანებს მოუწოდა, რომლებმაც მოიღბინეს და მოკლეს პირველი რუსი. მაშინ ყველა იქ

მყოფი რუსი საომრად მოემზადა, ისინი ექვსი ათასი კაცი იყვნენ, ქვეითნი, შეიარაღებული შუბებითა და ფარებით... ტაოს მთავრები და ვასალები ერთად გამოვიდნენ მათ წინააღმდეგ და დამარცხდნენ. აქ დაიღუპა დიდი მთავართამთავარი, რომელსაც პატრიკი ეწოდებოდა, ოჩოპინტრეს ორი ვაჟიშვილი გაბრიელ და იოანე, ჩორღვანელი აბუხარაბას შვილიშვილი და სხვა მრავალნი...

“ქართლის ცხოვრება” გიორგი რუსის შესახებ

გამო-ვინმე-ჩნდა მეტყუელი მკვიდრთა ტფილისისათა შინა, თავადი და მეფეთმეფისაგან წყალობახელდასხმული და ამირა ქართლისა და ტფილისისა, სახელით აბულასან და მეტყუელმან თქუა: “მე ვიცი შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა, რომელსა მონებენ სამასნი მთავარნი რუსთანი. და იგი, მცირე დარჩომილი მამისაგან, ექსორიაქმნით დევნილი გარდამოიხვეწა ბიძისა, სავალათად სახელწოდებულისა. და არს იგი ყივჩაყთა მეფისა სევენჯისა ქალაქსა”. მაშინ მომსმენართა მისთა უხმეს ერთი მკვიდრთაგანი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელ. მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰუნეთა წარმოიყვანა და მოიყვანა უწინარე პაემნითა მოყმე სახეკველუცი, სრული ანაგებითა და მჭრუეტთაგან საჩენი გვარისშვილად. ამისთა მნახველთა და გამცდელთა – პატრიაქმან, დიდებულმან, ვაზირთა და სპათა – მოახსენეს თამარს, და მათგან ნებადაურთავი განამზადეს ქორწილი...

ამას ესევეთარსა მშვიდობასა, მარჯუებასა და ზეობასა შემოვიდა უცხო რამე და უმსგავსი საქმე, შეუმსგავსებელი და დაუჯერებელი კაცთა გონებისაგან; შევიდა სატანა გულსა სვეუბედურისა რუსისასა, სკვით რამე სახელდებულისა, და სიტყვით აღიძრა წყენად თამარისა, ხელმწიფეთა მზისა და მეფეთა ელვაკისკროვნებისა, და იუდამყოფელმან თავისა მისისამან აღარ იყოდა რამცა ექმნა. ძლეული და ტაძარქმნილი შვიდთა სულთა უბოროტესთა პირველისათა სოდომურიცა მოიპოვა ქცევა დაქცევითა დაქცეულმან და წარწყმედითა წარწყმედულმან. ამას ესევეთარსა უცხოთა და ურიგოსა საქმისა შემოსვლასა შინა ითმენდა თამარ წყნარი და ნარნარი, ცნობიერი და გონიერი, და ორ წლამდის გინა უმეტეს იყო განსაცდელისა უცხოთა თმენასა შინა...

და წარიყვანეს ექსორიაქმნად, გარნა აურაცხელითა ლართა, სიმდიდრითა და საჭურჭლითა...

ამას უამსა მცირედ რამე აღიძრნეს იმერელ-სუანნი მსგავსად ჩუე-
ულობისა ურჯუკობისა და რუსი მოიყვანეს, რეცა კუალად განსა-
მეფებლად. ეუბნებოდეს მესხთაჲსა შირთვასა, რომელი ვერა უძ-
ლეს, არამედ უფროსდა შეიმტერნეს. გააქცივეს და წარვიდეს სირ-
ცხვილეულნი, რამეთუ ღმერთი თამარისათვის მოურნეობდა...

ვინაჲსა გარდამოვიდეს სუანნი ღიდებულნი და მეხევენი და გარდა-
მოიტანეს რუსი, მეფეყოფილი, და მისცა დედოფალმან სიმტკიცე
პირველად რუსის უვნებლად გაშუებისათვის, და მერმე მის უამისა
შეცოდებისათვის არას შენანებისა.

კახეთის მეფის ალექსანდრე მეორის სათყვის წიგნიდან, 1587

ალექსანდრე, კახთა მეფე, შვილებითა და უახლოესი დარბაის-
ლებით ფიციით აცხადებს, რომ:

მან რუსთა ხელმწიფე თევდორე იოანეს ძესთან თავისი ელჩები...
გაგზავნა აჯით, რათა ხელმწიფეს შეეწყალებინა იგი, კახეთი თავის
ხელქვეშ დაეჭირა, მისთვის თავისი ხელი დაედვა და ალექსანდ-
რე მეფისა და მისი ქვეყნის ყველა მტრისაგან დაცვა ებრძანებინა;
რომ ხელმწიფემ შეიწყალა იგი, მფარველობის ხელი დასდო მას
და მის ქვეყანას და მტრებისაგან დაცვა თავის სარდლებს უბრ-
ძანა; რომ ამიერიდან იგი თავისი შვილებითა და მთელი ქვეყნით
მკვიდრად და წარუვალად იქნება თევდორე მეფისა და მისი შვი-
ლების ხელქვეით.

ივანე ჯავახიშვილი, "ქართველი ერის ისტორია, ტომი 5"

სამხედრო და ფინანსური დახმარების მაგიერ რუსთა მეფე თე-
იმურაზ მეფეს თავისი დესპანებითა და სამღვდელო პირების
გზავნით ართობდა. მათ ქრისტიანობის და სარწმუნოების მდგო-
მარეობის გამორკვევა და განმართვა ჰქონდათ დავალებული.
მოკავშირე მეშველი ჯარისა, მეომრებისა, საომარი იარაღისა და
ფულის მაგიერ ამ შემთხვევაშიაც მთელი თავიანთი წვრილმა-
ნობითა და მძულვარებით აღჭურვილი მართლმადიდებლობის
რუსი მქადაგებლები მოევიდნენ. მტრისაგან განადგურებულ და
ამოწყვეტილ ქვეყანაში, მაჰმადიანთა გააფთრებული ბრძოლის
დროს რუსთა მეფის მიერ წარმოვლენილნი ქართველებს სამ-
ღვდელმსახურო საკითხებზე ედავებოდნენ, რატომ თქვენც ყვე-

ლაფერი ჩვენსავით მოწყობილი არა გაქვთ და განსხვავებული წესები მოგეპოვებათო. თეიმურაზ მეფესა და ქართველობას თავი მოხეზრებული ჰქონდათ რუს დესპან-სამღვდელო პირთა მედიდურობით, მაგრამ პოლიტიკური გაჭირვება და ზრდილობა მათ მოთმინებას უკარნახებდა. თეიმურაზი ცდილობდა რუსთა მეფისათვის გაეგებინებინა, რომ ამ საკითხებისათვის მაშინ საქართველოს არ სცალოდა და ამავე საუბარ-კამათისათვის მშვიდობიანი დრო და პოლიტიკური მყუდროება იყო საჭირო. ჩვენც კარგად ვიცით, რომ ზოგი რამე უწესო შემოერია ჩვენ მღვდელმსახურებს, მაგრამ რა ვუყოთ, ამისათვის ჩვენ ეხლა არ გვცალია: ოცდაათი წელიწადია მას აქვთ, რაც ჩვენს სამეფოში საქმეები აიწეწა: ომი, შუღლი და უწესრიგობა სუფევს დღე და დამ. იმისიყ მადლობელი ვართ, რომ აქამდის გავუძღვეთ. ყოველგვარი უწესრიგობის წინააღმდეგ ვიბრძვი და მხოლოდ იმასა ვცდილობ, რომ ქრისტიანობას ზიანი არ მოუვიდეს და მართლმადიდებლობა არ შემციოდეს. თუ მაინც ცოტა რამე უწესოება შეგვეპარა, რა ვუყოთ. უწმინდურ აგარიანთა აოხრებისა, დიდი ომებისა და შუღლისაგან მოხდა: ქვეყანაც დაზარალდა და ხალხიც შემციოდა. ამ დროს, მართალია, საეკლესიო წესებს ბევრი ნაკლი შემოეპარა, მაგრამ ჩვენს სარწმუნოებას არავითარი ცთომილება და მწვალებლობა არ შემორევია და წინანდებურად მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართო.

იმერეთში რუსეთის ელჩ ალექსი იევლიევის ანგარიშიდან რუსეთის ხელისუფლებისადმი, 1652

ალექსანდრე მეფე რუსთ ხელმწიფეს ფიცს არ აძლევდა, საქმეს აჭიანურებდა, კვირიდან კვირამდე გვირდებოდა და ასე გვიქცევდა. ამის გამო ვიხმეთ მეფის სულიერი მოძღვარი ზაქარია მიტროპოლიტი, დარბაზისკაცი ფეშანგ მდივანი, ბიძინა თარჯიმანი და ამათ საიდუმლოდ მოველაპარაკეთ, რომ მეფეს ურჩიონ, ის საქმე დააბოლოოს, ჯვარზე მთხვევით დაიფიცოს... ამის გამო იმათ მიეცათ: მიტროპოლიტს ოცი სიასამური, ოთხი არშინი საუკეთესო ხარისხის მაუდი და აბრეშუმის ქსოვილის ნაჭერი. სულ მას მიეცა ოც მანეთად, ოცდაექვს ალტინად და ოთხ დენგად ღირებული საქონელი; ფეშანგ დარბაზის მდივანს ხუთი ცალი სიასამური, ოთხი არშინი იგივე მაუდი, აბრეშუმის ქსოვილი – ერთი ნაჭერი, სულ ათ მანეთად, ოცდაექვს ალტინად და

ერთ დენგად საქონელი; თარჯიმანს თარჯიმნობისათვის ორი ცალი სიასამური, სულ სამ მანეთად ღირებული.

იასე ცინცაძე, "ვასილ გაგარასა და არსენ სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ"

[რუსეთის ეკლესიის მეთაური] ნიკონ პატრიარქი, საერთოდ, ყურადღებით ეპყრობოდა რუსეთში ჩასულ ქართველ სასულიერო პირებს, ასევე, ყურადღებით იყო იგი ათონის ქართველთა მონასტრის ხელმძღვანელობისადმი, მაგრამ ეს ყურადღება ქველმოქმედება კი არ იყო, არამედ სრულიად გარკვეული პოლიტიკური შინაარსის მქონე აქტი. მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ოცდაათიანი წლებიდან მოლაპარაკება მიმდინარეობდა და ბოლოს გაფორმდა კიდევ, თეიმურაზ პირველის თაოსნობით, საქართველოს სამეფო-სამთავროთა რუსეთის ხელქვეით პოლიტიკურად დაქვემდებარება. რუსეთის პატრიარქი კი ცდილობდა უძველესი ქართული ქრისტიანული ეკლესიის რუსეთის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებას. მართალია, ასეთი წინადადებით რუსეთის ეკლესიას არ მიუშართავს ოფიციალურად, მაგრამ საკმაოდ მოხერხებულად და შემპარავი გზით საფუძველს ჰქმნიდა რუსეთის ეკლესიის ხელმძღვანელობა. რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლების გამოგზავნა საქართველოს ეკლესიის შესამოწმებლად და პატრიარქ ნიკონის წერილი ქართველ სამღვდლოებისადმი, ეს უბრალო და უმნიშვნელო არავის ეგონოს. კახეთის ეკლესიის მეთაურებმა რომ კრება არ მოიწვიეს და ნიკონის წერილის საჯაროდ მოსმენა არ მოინდომეს, საქმე გააჭიანურეს და რუსეთიდან მოვლენილ კომისიის შენიშვნები არ მიიღეს, ესეც უმნიშვნელო აქტი არ ყოფილა. ქართველი მღვდელმთავრები რუსეთიდან მოვლენილ იოსებ არქიმანდრიტს მიუთითებდნენ, რომ ჩვენ იერუსალიმის პატრიარქმა თეოფანემ შეგვამოწმა და მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიიდან არავითარ გადახრას ადგილი არ ჰქონია ჩვენშიო. თეიმურაზ მეფეც მიხეილ რომანოვს წერდა: "მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოებიდან ჩვენ არავითარი გადახრა არა გვაქვს, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ ჩვენ. მართლმადიდებელი პატრიარქები: კონსტანტინოპოლის თეოპოლიტე, ანტიოქიის ნეოფიტე, იერუსალიმის თეოფანე და ამ პატრიარქების მიტროპოლიტები და არქიმანდრიტები ჩამოდიან ჩვენთან მარადუამს,

შეწირულების მისაღებად, და არცერთ მათგანს ჩვენს მართლ-მადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნოებაში რაიმე შეცდომილება არ უპოვიათო”.

აღმოსავლეთის პატრიარქების ხსენება რუსეთის ეკლესიის ხელმძღვანელობასთან იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს ეკლესია რუსეთის ეკლესიის პრიორიტეტს არ სცნობდა. მაგრამ თურქეთის გაბატონების შემდეგ, გაჭირვებაში ჩავარდნილ აღმოსავლეთის პატრიარქებს რუსეთის ეკლესია სიმდიდრითაც სჯობნიდა და, რაც მთავარია, მის ზურგს უკან მდგომ რუსეთის დიდი სახელმწიფოთიც.

მერაბ ღაღანიძე, “ძველი და ახალი საქართველოს მიჯნაზე”

ქართველი საზოგადოება ჩრდილოეთის ხიბლმა ადრევე მოიცვა, ქართველი საზოგადოების ცნობიერებაში რუსეთი პოლიტიკურად, კულტურულად და რელიგიურად ბევრად ადრე გაბატონდა, ვიდრე ქვეყნის სამხედრო ოკუპაცია მოხდებოდა... რაც დრო გადიოდა, – დაპყრობამდეც და, მით უმეტეს, დაპყრობის შემდეგ, – ამ საზოგადოების უმრავლესობისათვის (ზოგისათვის – ნებაყოფლობითა და სიხარულით, ზოგისათვის – გარდაუვალობის შეგნებით, ზოგისათვის – იძულების წესით) რუსეთი ჩვენს ხვედრად იქნა აღქმული...

საქმე ისაა, რომ ქართველთა იმ მნიშვნელოვან ნაწილს, რომლისთვისაც ბიზანტიური ორიენტაცია ბუნებრივი იყო, მშენა “მესამე რომისაკენ” – “მეორე რომის” ანუ კონსტანტინოპოლის თვითგამოცხადებული მემკვიდრისაკენ – ჰქონდა მიპყრობილი და ამ შემთხვევაში ისტორიული მესხიერება თვალს ხუჭავდა (და ხუჭავს!) იმაზე, თუ რა მძიმე ტრაგიკულობით იყო განმსჭვალული ქართულ-რუსული ურთიერთობის ლამის ყოველი ფურცელი...

გერონტი ქიქოძე, “ეროვნული ენერგია”

ჩვენი კულტურა არასოდეს ყოფილა ვიწროდ ცენტრალისტური; არასოდეს არ გვექონია ქართული პარიზი ან მოსკოვი. ჩვენი კულტურა ყოველთვის გაფანტული იყო. ყოველს პროვინციას თავისი განსაკუთრებული სახე ჰქონდა და ყოველს ხევსა თუ მაღლობს ტაძარი ან ციხე-კოშკი ამშვენებდა. ხალხი არ იყო დამორებული გონებისა და განათლების ცენტრს და კულტურაც უფრო ფართო,

უფრო ხალხოსნური იყო. ამიტომ არის, რომ დღეს ასე ძნელია ჩვენი მოთავსება ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულს კალაპოტში.

რუსობისათვის უცნობია ჩვენი მძაფრი სუბიექტივიზმი. ისტორიკოსები ამბობენ, რომ ძველი სლავიანები თავს სჭრიდნენ თავიანთ გამარჯვებულ სარდლებს; ვერ ურიგდებოდნენ ინდივიდუალობას, რომელიც სამუშალო ზომას სცილდებოდა. ეს მისწრაფება ერთსახეობისა და ერთფეროვნებისადმი შემდეგშიც შერჩათ რუსებს. ივანე მრისხანემ ძირიანად მოსრნა საბრალო ნოველოდი, რომელსაც ის ერთადერთი დანაშაული მიუძღოდა, რომ მოსკოვს არ ჰგავდა. ბიუროკრატიული წესწყობილება, საზოგადოების მილიტარიზაცია, გამარუსებელი პოლიტიკა გარეგნული გამოხატულებაა ამ უნივერსალურ, გამათანასწორებელ მისწრაფებისა.

ვერასოდეს ვერ შევეგუებით ამ თავისებურ ეგალიტარიზმსა და ცენტრალიზმს. ვერც ჩვენი მეზობლები შეურიგდებიან ჩვენს სუბიექტივიზმს. ამიტომ სულიერად ყოველთვის უცხო დავრჩებით ერთიმეორესთვის. ეს ჩვენი ბედი თუ უბედობაა. ჩვენი წინაპრები იმაში ჰხედავდნენ ნუგეშს, რომ ჩვენც მართლმადიდებელნი ვართ მათსავით. მაგრამ რარიგ განსხვავდება თვით ჩვენი შემეცნება სარწმუნოებისა! ჩვენთვის უმთავრესი მნიშვნელობა ყოველთვის პირადს განცდას ჰქონდა, იმათთვის ზოგად დოკუმებს. ჩვენში არასოდეს ყოფილა მწვალებლობა ან რასკოლი: არასოდეს არ გვიბრძოლია იმისთვის, თუ როგორ უნდა დაიწეროს იესოს სახელი, რამდენი თითით უნდა გამოვისახოთ პირჯვარი ან ეკლესიას გარს როგორ უნდა შემოვუაროთ. ამათში არასოდეს არ ყოფილა სინდისის თავისუფლება: არასოდეს არ შერიგებიან იმ აზრს, რომ სარწმუნოება პირადს აღმაფრენაში მდგომარეობს და არა საეკლესიო ცერემონიალში. ჩვენ გვყავდა გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და ანტონ ჭყონდიდელი. იმათ ჰყავდათ პატრიარქი ნიკონი.

თავი 2

საქართველო მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში

მას შემდეგ, რაც ერთიანი საქართველოს სამეფომ არსებობა შეწყვიტა, ცალკე სახელმწიფოებად ჩამოყალიბდა ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოები.

მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან ქართლი და კახეთი მთლიანად ემორჩილებოდა სპარსეთს (ირანს), რომლის მმართველები – შაჰები – საკუთარ პროვინციებად მიიჩნევდნენ ერთსაც და მეორესაც. ორივე სამეფოს მეთაურობდნენ გამუსლიმებული ბაგრატიონები. მათ, სპარსეთის განაპირა ოლქების მეთაურთა მსგავსად, ვალი ეწოდებოდათ, თუმცა ქართულ გარემოში ისინი ძველებურად “მეფეებად” მოიხსენიებოდნენ. სპარსეთის შაჰი, ფაქტობრივად, არ ერეოდა ვალის შინაურ საქმეებში, ოღონდ მისგან – მორჩილების ნიშნად – მოითხოვდა საჩუქრების მირთმევას: სპარსეთის სამეფო კარზე იგზავნებოდნენ გოგონები და ბიჭები, სურსათი და ღვინო, ხოლო ომიანობისას კი ვალი შაჰის ჯარის გასაძლიერებლად ქართველ მებრძოლებს მიავლენდა.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულიდან ქართველი ვალები უმთავრესად იმყოფებოდნენ სპარსეთში, სადაც შაჰს საკუთარი ჯარით აჯანყებული ავღანელების წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდნენ. ამ დროს მათ ქვეყნებს მათი მოადგილეები – “ჯანიშინები” მართავდნენ. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართლის ვალი გიორგი XI ავღანეთის მმართველი იყო და, როგორც სპარსული ჯარების მთავარსარდალი, თავისი რაზმებით ავღანელებს ეომებოდა. ამ დროს ქართლს მისი ძმისწული – ვახტანგ VI – მართავდა.

ვახტანგ VI-ის ჯანიშინობის დროს ბევრი სიახლე დამკვიდრდა. იმისათვის, რათა ეკლესია სამეფო ძალაუფლების საყრდენად ექცია, ვახტანგმა საგანგებო საეკლესიო კრებაც მოიწვია, რომელზეც ქართლის კათოლიკოს-პატრიარქად საკუთარი ძმა, დომენტი, აარჩევინა. ვახტანგმა ჩამოაყალიბა “მცველთა ჯარი”,

რომელიც, ფაქტობრივ, სამეფო გვარდია გახდა. საკანონმდებლო წესრიგის დასამყარებლად და ადგილობრივ დაწესებულებათა საქმიანობის წარსამართლავად შედგა სამართლის ორი წიგნი: „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ და „დასტურლამალი“. ვახტანგ VI-ის თაოსნობით, 1709 წელს თბილისში დაფუძნდა პირველი ქართული სტამბა, სადაც დაიბეჭდა სახარება, „ვეფხისტყაოსანი“, სასულიერო და სასწავლო შინაარსის წიგნები. ასევე, ვახტანგ VI-ის ინიციატივით შეიქმნა „სწავლულ კაცთა“ კომისია, რომელსაც ძველ მატიანეთა კრებულის – „ქართლის ცხოვრების“ – რედაქტირება, გამართვა და გაგრძელება დაევალა.

1712 წელს ქართლის ჯანიშინი ვახტანგი ვალის თანამდებობაზე დასამტკიცებლად ისპაჰანში, სპარსეთის მეფის კარზე გაემგზავრა, სადაც მას ისლამის მიღება მოსთხოვეს. მან არ მოინდომა სარწმუნოების შეცვლა, რის გამოც იგი, შაჰის ბრძანებით, დაატყვევეს. ქართველებმა დასახმარებლად, ვახტანგის გამოსახსნელად მიმართეს ევროპის სახელმწიფოებს, სადაც 1713-1715 წლებში საგანგებოდ გაემგზავრა სულხან-საბა ორბელიანი, თუმცა ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ბოლოს და ბოლოს ვახტანგი იძულებული გახდა, ისლამი მიეღო, რის შედეგადაც ირანის შაჰმა იგი ქართლის ტახტზე დაამტკიცა. რამდენიმე წლის შემდეგ ვახტანგს ნება მისცეს, ქართლში დაბრუნებულიყო. მან მიზნად დაისახა მარბიელი ჩრდილოეთკავკასიელი ლეკების შევიწროება, რომლებიც განუწყვეტლად აწიოკებდნენ ქართულ მიწებს, რაც მან წარმატებით მოახერხა.

ვახტანგ VI, თავისი დამორჩილებული მდგომარეობისა და სარწმუნოების შეცვლის მიუხედავად, მაინც ცდილობდა, მოკავშირენი ქრისტიანულ ქვეყანათა შორის მოედია. გარემომცველ სამყაროში ამგვარ მახლობელ სახელმწიფოდ რუსეთი ჩანდა. ამიტომაც ქართლის მეფემ გადაწყვიტა, ურთიერთობა გაეღვივებინა რუსებთან. ამ დროს რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მაც, შუამავლის მეშვეობით, მოლაპარაკება დაიწყო ვახტანგთან. რუსეთთან კავშირის დამყარების საკითხი ქართლის სამეფო დარბაზის თათბირზე განიხილეს. ქართველმა დიდებულებმა, დაპირისპირების მიუხედავად, გადაწყვიტეს, საიდუმლოდ ემოქმედათ და მცირერიცხოვანი ჯარით ფარულად მიმხრობოდნენ პეტრეს.

როცა პეტრემ კასპიისპირეთში სამხედრო მოქმედებები დაიწყო, კავკასიაში ოსმალეთიც (თურქეთიც) გააქტიურდა, რომლის

მმართველმა, სულთანმა, ვახტანგს ირანის დალაშქვრაში მოკავშირეობა შესთავაზა, სანაცვლოდ კი, მას მთელი საქართველოს მმართველობას შეჰპირდა. ვახტანგმა სულთნის წინადადება უარყო. ამ დროს რუსეთის ლაშქარმა დარუბანდს მიაღწია, მაგრამ შემდგომ გზა აღარ გაუგრძელებია. რუსთა ხელმწიფე მოულოდნელად ასტრახანში გაბრუნდა.

1723 წელს ქართლში მდგომარეობა მეტად გართულდა. ირანის შაჰის ბრძანებით, კახეთის მეფე კონსტანტინე და განჯისა და ერევნის ხანები თბილისს მოადგნენ. სამთვიანი ბრძოლის შემდეგ კონსტანტინემ დედაქალაქი აიღო. ვახტანგი იძულებული გახდა, გახიზნულიყო. ოსმალებმა ისევ მოსთხოვეს ვახტანგს, მათი ძალაუფლება ეცნო, რის სანაცვლოდაც მას ტახტის შენარჩუნებას შეჰპირდნენ. რუსთაგან დახმარების იმედით, ვახტანგმა თურქებთან გაჭიანურებული მოლაპარაკება წამოიწყო, მაგრამ ოსმალთა ნდობა ვეღარ მოიპოვა. სულ მალე ისინი ქართლში შემოიჭრნენ.

1724 წელს აღმოსავლეთი საქართველოში ოსმალური მმართველობა დამყარდა. ვახტანგი ათასორასკაციანი ამალით რუსეთში გადავიდა. მეფეს იმედი ჰქონდა, რომ პეტრე I მას რუსეთის ჯარს დაახმარებდა და იგი ისევ დაბრუნდებოდა სამშობლოში, მაგრამ 1725 წელს პეტრე I გარდაიცვალა. ვახტანგი იძულებული გახდა, რუსეთში ჯერ შეყოვნებულიყო, შემდგომ კი საბოლოოდ დარჩენილიყო. 1737 წელს მან ასტრახანში დაასრულა სიცოცხლე. იგი იქვე დაკრძალეს.

ამ დროს თეიმურაზ II-მ მორჩილება აღუთქვა ოსმალებს და მათგან კახეთის ტახტი ჩაიბარა. თუმცა მალე ქართლსა და კახეთში ოსმალები სპარსელებმა შეეცვალეს. ქართველების დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის გამო სპარსეთის შაჰმა შეარბილა თავისი პოლიტიკა: მან ნება დართო თეიმურაზ II-სა და მის ვაჟს, ერეკლეს, – თუკი ისინი ირანის მოკავშირეებად დარჩებოდნენ, – ტახტზე ქრისტიანული წესით ასულიყვნენ. შესაბამისად, ქართველ მეფეებს აღარ მოეთხოვებოდათ ისლამის აღიარება. 1745 წლის 1 ოქტომბერს თეიმურაზ II და ერეკლე II სვეტიცხოველში ქართლისა და კახეთის მეფეებად ეკურთხნენ.

ამ დროს სპარსეთში გაღვივებული არეულობით ისარგებლეს ქართველმა მეფეებმა და შაჰის ხარკის გადახდა შეუწყვიტეს. ფორმალურად ქართლიცა და კახეთიც კვლავ აღიარებდნენ

სპარსეთის მორჩილებას, თუმცა, ფაქტობრივად, ისინი თავიანთ საკუთარ პოლიტიკას წარმართავდნენ. საგარეო ურთიერთობებში მამა-შვილი მაინც ფრთხილად მოქმედებდა. ისინი ცდილობდნენ, არ გაეღიზიანებინათ შაჰი. ამ ხანებში ქართლ-კახეთის მეფეთა ვასალები გახდნენ ერეკვის, განჯისა და ნახიჩევანის ხანები. ამგვარ წარმატებათა მიუხედავად, ქართველი მეფეები კვლავ უცხოეთში ეძებდნენ მოკავშირეებს. 1760 წელს თეიმურაზ II რუსეთში გაემგზავრა, სადაც მალევე გარდაიცვალა. მამის სიკვდილის შემდეგ ერეკლე II ქართლ-კახეთის ერთპიროვნული მმართველი გახდა.

იმავე დროს, მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოში დიდი შფოთი სუფევდა. იმერეთის მეფე, სამეგრელოს მთავარი დადიანი და გურიის მთავარი გურიელი ერთმანეთთან განუწყვეტელ ბრძოლაში იყვნენ ჩართულნი. საყოველთაო უწყისრიგობისა და გასაჭირის გამო თერთოდ იყო გავრცელებული "ტყვეთა სყიდვა". შავი ზღვის სანაპიროს გემებით ადგებოდნენ თურქი ვაჭრები, ყიდულობდნენ ქართველ ტყვეებს და მათ სტამბოლის ბაზარზე ყიდდნენ. ტყვეებით ვაჭრობდნენ ყველანი: გლეხები და თავად-აზნაურები, სამღვდელოება და მთავრები.

1752 წელს იმერეთის ტახტზე ავიდა სოლომონ I. გამეფებისთანავე მას აუშხედრდნენ საკუთარი ბიძები, შაჰა და დედაც კი. 1757 წელს სოლომონი ხრესილთან ოსმალების ორმოცდაოთხიათასკაციან ჯარს შეებრძოლა. მას მოკავშირეებად ახლდნენ სამეგრელოს მთავარი კაცია დადიანი და გურიის მთავარი მამია გურიელი. თუმცა ქართველები ოსმალების მხარესაც იბრძოდნენ. შეტაკებისას სოლომონმა თავად გამოასალმა სიცოცხლეს ოსმალთა სარდალი, რომლის სიკვდილის შემდეგ მოწინააღმდეგის ჯარს სათავეში ჩაუდგა რაჭის ერისთავი, მეფის შაჰა, ლევან აბაშიძე. მალე ოსმალთა მხარეს მებრძოლი ქართველების დიდი ნაწილი მიემხრო იმერეთის მეფეს, რომელმაც ამ სასტიკ ომში გამარჯვება იხიმა.

1758 წელს სოლომონ I-მა ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დაუდო თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს. მომდევნო წელს სოლომონმა მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზეც აიკრძალა "ტყვეთა სყიდვა". კრებამ დაადგინა, რომ ამიერიდან ეკლესია ტყვეთა გამყიდველებს შეაჩვენებდა, ხოლო სახელმწიფო კი მათ

სიკვდილით დასჯიდა. კრებას ესწრებოდნენ გურიისა და სამეგრელოს მთავრებიც, რომელთაც გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულება იკისრეს. სოლომონის გაძლიერებით შემფოთებულმა ოსმალებმა ორჯერ გამოილაშქრეს იმერეთში, მაგრამ ორივეჯერ დამარცხდნენ.

დანართები

სულხან-საბა ორბელიანის სამახსოვრო ბარათიდან
საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრ
გრაფ დე პონშატრენისადმი, 1714

თუ ვახტანგი, საქართველოს მეფე, ისპაჰანში დარჩება, საქართველო მთლიანად გამაჰმადიანების აშკარა საფრთხეში იქნება. თუ ის დაბრუნდება თავის სამფლობელოებში, ქართველები არა მარტო შეინარჩუნებენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, არამედ შეუერთდებიან კათოლიკურს თავიანთი მეფის მაგალითისამებრ, რომელიც განწყობილია, ეს გააკეთოს და რომელიც მიაწერს რა თავის უბედურებას ამ საქმეში დაყოვნებას, სურვილს გამოთქვამს, მეტი აღარ დააყოვნოს, როგორც კი ის დაბრუნდება თავის სამეფოში.

მარსელის ვიცე-მერის, პიერ დ'არნუს მემორანდუმში,
შედგენილი ლუი XIV-ისათვის, 1714

ჩვენ მაინც გვგონია, რომ მის [სულხან-საბას] წინადადებებსა და ზრახვებს და ყველაფერ იმას, რაც შეიძლება ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდეს, ადგილი უნდა დაეთმოს ერთ-ერთ უდიდეს პროექტში, რომელიც შეიძლებოდა შედგენილიყო თანამედროვე ვითარებაში, იმისათვის, რომ გავრცელებულიყო რომის კათოლიკური სარწმუნოება... სულხან-საბას, როგორც ჩანს, გავლენა აქვს საქართველოში: ხალხზე და სამეფო ოჯახზე; ისიც ჩანს, რომ იგი მეტად კეთილგანწყობილია რომის კათოლიკური სარწმუნოებისადმი იმ იმედით, რომ მასში გააერთიანოს თავისი ქვეყნის ყველა ხალხი... ახლა რაც შეეხება სხვა გეგმებს, რომლებიც შეიძლება გვექონდეს საქართველოს მიმართ. მე მგონია, რომ სულხან-საბას მიზნად აქვს ვაჭრობის შესახებ სხვა წინადადების შემოთავაზება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოზე

გატარდეს აბრეშუმში, რომელსაც გილანისა და შემახის პროვინციებში აწარმოებენ. ისინი აბრეშუმის ერთადერთი მწარმოებელი არიან სპარსეთში.

ესაია ჰასან ჯალალიანცი, სომეხი ისტორიკოსი,
1721-1723

სპარსელთა სახელმწიფო ძალზე დასუსტდა და დაქვეითდა... სამაგიეროდ, უფრო გაძლიერდნენ მისი მტრები, განსაკუთრებით კი დიდი თვითმპყრობელი კეისრები რუსებისა, ე.ი. მოსკოვის ხელმწიფე პეტრე, და ურუმებისა, კონსტანტინოპოლის მფლობელი ოსმალთა (სულთანი). მათ დაიწყეს თავიანთი ჯარების გაგზავნა სპარსელთა ქვეყანაში. რუსებს უნდოდათ, დახმარებოდნენ სპარსეთის ხელმწიფეს, ხოლო ურუმელები ისწრაფოდნენ, ხელთ ეგდოთ სპარსეთი. ამ მიზეზებით დაიწყო ორივე მხარემ შიკრიკების გზავნა ქართველთა მეფე ვახტანგთან. ერთი მოითხოვდა, მე დამიჭირე მხარი და დამემორჩილეო, მეორე არჩემუნებდა, ერთი რჯულისა ვართ და ამიტომ ვალად გადავეს ჩემი დაჯერება და ჩემთან მოსვლაო. რადგანაც ხელმწიფე პეტრეს ვახტანგთან დადებული პქონდა პირობა და ლაშქრობის დროც დანიშნული იყო, ამიტომ ამ შემოდგომაზე ოქტომბრის თვის დასაწყისში თვითონ ქალაქ შემახას მივიდა, ხოლო მას დაავალა, თადარიგი დაეჭირა. მაშინ სპარსელთა ხელმწიფემ, რომელიც ტახტისა და თავისი სიმაღლიდან ჩამოვარდნის საშიშროების წინ იდგა, სასწრაფოდ გაუგზავნა ვახტანგს ფირმანი: შენ გაძლევე განჯის ოლქისა და მთელი ატროპატაკანის მმართველობას და გნიშნავ იმ მხარეთა ყველა მფლობელის უფროსად და მთავარსარდლად, ამიტომ დაუყოვნებლივ შეყარე ლაშქარი, წამოდი განჯაში და მოუარე და დაიცავი ხსენებული ქვეყნები ჩვენი მტრებისაგანო. როდესაც ვახტანგმა შაჰის ბრძანება მიიღო, იგი ღრმა საგონებელს მიეცა: ორი თვითმპყრობელი მაიძულებს, რომ მათ მივემხრო, მე კი მევალებე მესამის ბრძანების შესრულება, აქეთა მხარე, ე.ი. სპარსების ხელმწიფე, ჩვენი ძველი პატრონია, ხოლო მესამე, ჩვენი თანამორჩმუნე და ქრისტიანი ხელმწიფეა და ძალზე ძლიერია, ავდგები და წავეალ მათი მოთხოვნის კვალობაზე და ვინც გაიმარჯვებს, იმის ბრძანებას შევასრულებო...

პეტრეს წამოსვლის ცნობის ცდასა და ლოდინში რომ ვიყავით, ჩვენმა ცოდვებმა უსწრო მის გამოჩენას. შევიტყვევთ, რომ იგი

მიადგა “რკინის კარს” ე.ი. დარუბანდს, რომლის მოსახლეობამ თავისი სურვილით ჩააბარა მას ციხე-სიმაგრე. მაგრამ არ ვიცი, შემდეგ რა მოხდა: ზოგმა თქვა, რომ ავადმყოფობისა და სხვა უბედურებისგან დიდი ზარალი მოუვიდა რუსთა ხელმწიფის ჯარს... ნაწილი დატოვა დარუბანდში და დაჰპირდა, რომ მომავალ წელს კვლავ მოვიდოდა და თავისი ქვეყნისკენ გაემართა.

მერაბ ღაღანიძე, “ძველი და ახალი საქართველოს მიჯნაზე”

1737 წელს ქართლის ლტოლვილი მეფე ვახტანგ მეექვსე ცივ, გულგრილ და შორეულ რუსეთში, ასტრახანში გარდაიცვალა, – თავისი უბედულებების, აკვიატების, თვითდაჯერებულობის, თავისი შეცდომების ტყვე. როცა იგი კვდებოდა, ალბათ, კარგად ხვდებოდა, რომ საქართველოში დაბრუნება მას აღარ ელოდა, მაგრამ ისიც სჯეროდა, რომ პირველ ყოვლისა, სწორედ სიკვდილი იყო ამის მიზეზი. სხვამხრივ, მისთვის ისევე არსებობდა მისი სამშობლო, მისი სახლი, დროებით – ისტორიისა თუ ბედისწერის წყალობით – წართმეული სამეფო ტახტი, – დაეთიან-იესიან-ბაგრატიონთა ის ტახტი, რომელიც სრულიად შესაძლო იყო, ისევე დაებრუნებინა, თუ თავად კიდევ ერთ მოსაბრუნს გააკეთებდა, თუ სპარსეთის ან რუსეთის სამეფო კარზე მოვლენები სასურველად დატრიალდებოდა, თუ ამჯერად სწორ არჩევანს გააკეთებდა (ან მასზე გააკეთებდნენ არჩევანს), და, რაც მთავარია, – თუ არა სიკვდილი, რომელიც ასე უდროოდ და მოულოდნელად ეწვია რუსეთში ბედისწერის მუხანათობით აღმოჩენილ 62 წლის მარტოხელა და განდევნილ მეფეს.

... ქართლის მეფედ სახელდებაც შინაგანი მოხმარების ემბლემა იყო, თორემ ქართლის ხანად დამტკიცება-არდამტკიცება სპარსეთის შაჰის კარზე წყდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგმა ფეხზე წამოაყენა მისი წინამორბედებისას თითქმის მთლიანად დაქვევული ქვეყანა, შემოიღო სამართალი, ეკლესიას წართმეული მამულები დაუბრუნა, ქართლელ ბატონებს – კახეთს გახიზნული ყმები, ნაზარალიხანის მიერ დასჯილ თავადებს – ჩამორთმეული ყმა-მამული, მიუხედავად იმისა, რომ ტფილისის ხელოსნობის, საქმოსნობისა და ვაჭრობის ასპარეზად აქცია, მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქში პირველი სტამბა გახსნა, სადაც სახარება და “ვეფხისტყაოსანი” დაბეჭდა... ეს, რა თქმა უნდა, სრულებით

არ იყო საკმარისი შაჰის გულის მოსანადირებლად – პირიქით, ყველაფერი ეს ირანის გამგებელს შეეძლო თვალყურის მიღმა დაეტოვებინა, თუ ქართლის ბატონი შაჰის ერთგულებას დაადასტურებდა. ეს დადასტურება კი მართლმორჩმუნე მუსლიმის თვალსაწიერიდან, პირველ ყოვლისა, ისლამის აღიარება იყო. ბუნებრივია, ვახტანგსაც, ქვეყნის მეფობის კანდიდატს მუჰამადის სჯულის მიღება შესთავაზა. ხოლო რაკილა იგი უარზე დადგა, ქართლის განმგებლობის მსურველი ძნელი საპოვნია არ აღმოჩნდა და უმაღლ ვახტანგის მუსლიმ ძმას, იესეს გადააბარეს სამეფო და სახანო ტახტი.

რაკი ვახტანგი ირანში სანახევროდ ტყვის ყოფაში აღმოჩნდა, სხვა აღარაფერი დარჩენოდა, ჯერ "ქილილასა და დამანას" თარგმანისათვის მოეკიდა ხელი, ხოლო მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა, რომ, ისლამის აღიარების გარეშე, მას ქართლში დაბრუნება არ ეწერა და ევროპიდანაც, აღმზრდელი და ჭირისუფალი სულებანსაბა ორბელიანის მცდელობის მიუხედავად, მხარდაჭერის სიოც არ ქროდა, ვახტანგმა გადაწყვიტა, ისლამის მიღებას დათანხმებულიყო. მაგრამ ამის შემდეგაც იგი მაინც დიდხანს დააყოვნეს შაჰის კარზე, – როგორც ჩანს, ეს მისი ხანგრძლივი მერყეობის შედეგიც იყო.

საბოლოოდ, შვიდწლიანი განშორების შემდეგ, ვახტანგი ქართლს დაბრუნდა, რასაც გაუბედობისა თუ გადაუწყვეტლობის, უბედობისა თუ სასოწარკვეთის. ღღეები და წლები მოჰყვა, – დამამცირებელი, გამანადგურებელი, გამომშიგნავი დასასრულით: განჯის მისადგომებთან, მცირერიცხოვანი ქართული ჯარით, სადაც ვახტანგი სამი თვის განმავლობაში დაპირებულ ერთმორჩმუნე რუსის მხედრობას ელოდება, იმპერატორ პეტრე დიდის, ყოველგვარ პირობათა მეტისმეტად მაღე დამვიწყებელი ხელმწიფის, მეთაურობით. ქართველები საუკუნეების განმავლობაში აღმოსავლურ თვალთმაქცობას იყვნენ ნაჩვევნი, ხოლო ჩრდილოური ორპირობისა და და სიმუხთლის გემოს გასაგებად (თუ ვერგასაგებად!) წინ დიდძალი გამოცდილება გველოდა – აგერ, დღევანდლამდე!

ვახტანგი მრავალრიცხოვანი ამალით, მთელი ქართული არისტოკრატიულ-ინტელექტუალური ელიტის თანხლებით, რაჭის გავლით, რუსეთს შეათარებს თავს, – შორეულ და ცივ ქვეყანას, რომელთანაც ქართველებს, შესაძლოა, მხოლოდ ის აკავშირებდა, რომ პირჯვარს ერთგანაც და მეორეგანაც ერთნაირად იწერდნენ... სასომიხიდილი და თავის ცოდვა-ბრალთან გაწონასწორების მსურველი მეფე თითქმის სრულ მარტობას არჩევს და მასთან

ერთად კავკასიონს მიღმა გადახვეწილ ქართველობას ბედის ანაბარა მიატოვებს. თუ ახალგაზრდა და ჯანით მრთელი ქართველების უმრავლესობა ჰუსართა პოლკს და მხედრულ საზღაურს მიაშურებს, მცირე წილი – მათ შორის ბატონიშვილები – წიგნებთან და სასტამბო დაზგასთან განმარტოვდება...

... ქართლის მეფე ვახტანგი ასტრახანშია დასაფლავებული...

ვახტანგ მეექვსე

რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი, და, გათავდა ყოვლი წერილი, ანი, ბანი და, განი და...
ვიარე ყოვლი ქვეყანა, სივრძე და სივრცე, განი და, ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და დანი, და...
ხორცსა მრავალი დავაკლე, სულს მივეც იქი რჯანი, და, ვაი, ვა, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი, და...

მერაბ ღაღანიძე, "ძველი და ახალი საქართველოს მიჯნაზე"

თეიმურაზი, ქართლის მეფის ერეკლე პირველის (ანუ ნაზარალიხანისა) და ანა ჩოლოყაშვილის ვაჟი, 1700 წელს დაბადებულა. თავდაპირველად ჭაბუკ ბატონიშვილს ბაინდურ ერისთავის ასულზე დაქორწინება გადაუწყვიტეს, მაგრამ ვახტანგ მეექვსესთან დამოყვრების მიზნით, მას, 12 წლისას, ვახტანგ მეფის ასულ თამართან დაქორწინება მოუხდა. ხანდახან კონსტანტინესა და ვახტანგის შინაომების დროს, იგი კახეთის ტახტსაც განაგებდა ხოლმე, მაგრამ მისი ეს მმართველობა მეტად ხანმოკლე იყო. 1737 წელს 37 წლის თეიმურაზ ბატონიშვილი ვერაგულად შეიპყრეს და ირანის შაჰის კარს გაუყენეს, სადაც საბოლოოდ საქმე მშვიდობიანად და წარმატებით დასრულდა – ნადირ-შაჰმა იგი ერთი წლის შემდეგ კახეთში გამოამწყესა მეფედ. რამდენიმე წლის შემდეგ კი მას ქართლის ტახტი ჩაჰბარდა, ხოლო მის ვაჟს – ერეკლეს – კახეთის მეფობა მიენდო. როგორც წყაროები ამბობენ, როცა თეიმურაზი ტფილისს შემოსულა, მოსახლეობას დიდი სიხარული დაუფლვებია, რადგან 20 წლის მანძილზე, სატახტო ქალაქს ქრისტიანი მეფე აღარ უნახავს. მამა-შვილის მეფობამ – ქართლისა და კახეთის სამეფოების ფაქტობრივმა შეერთებამ – დიდი ხნის ინტერვალის შემდეგ ისევ აღადგინა ერთიანი აღმოსავლეთი საქართველო.

რომელსაც სულიერ მწყემსად კათოლიკოს-პატრიარქი ბატონიშვილი ანტონი ჩაუდგა.

... დატვირთული პოლიტიკური თუ საოჯახო ცხოვრების მიუხედავად, თეიმურაზ მეორეს, ბევრი ქართველი მეფის მსგავსად, ლექსების წერისთვისაც ჰქონია დრო. ერთგან იგი ამბობდა: ვწერდი ცხენსა მჯდომი, ვლაშქრობდიო... მაგრამ საქართველოს იმხანადაც, – ისევე, როგორც თითქმის ყოველთვის ქვეყნის ისტორიის მანძილზე, – პირველ ყოვლისა, პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი უნდა გარკვეია. თეიმურაზი დასაზვერად და დახმარების სათხოვნელად 1760 წელს რუსეთს გაემართა. ორი წლის შემდეგ იგი ისე გარდაიცვალა, რომ თავისი ქვეყანა აღარ უნახავს...

... პოეტს სამშობლოში ჩამოსვლა აღარ მოსწრებია, მისი ნემტი საქართველოსაკენ გამოუყენეს, მაგრამ გზის სიგრძისა და სირთულის გამო, იგი ასტრახანში დამარხეს, – მისი სიმამრის, ვახტანგ მეექვსის გვერდით.

თავი 3

საქართველო მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში

1768 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. ამ ომში რუსეთის მოკავშირეები იყვნენ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II და იმერეთის მეფე სოლომონ I.

ორივე მეფე ამ ომიდან საკუთარ სარგებელს ელოდა. ერეკლეს ახალციხის სათაშოს განადგურება სურდა, რომელსაც ოსმალები აკონტროლებდნენ. ამით მას ერთდროულად ორი მიზნის მიღწევა სურდა: ერთი მხრივ, ქვეყანას დაუბრუნებდა ქართველებით დასახლებულ ძირძველ ქართულ მიწებს, ხოლო, მეორე მხრივ, სამხრეთ საზღვრებთან ჩრდილოკავკასიელი ლეკების დასაყრდენს მოსპობდა. საქმე ის იყო, რომ ქართული მიწების დასარბევად გადმოსული ლეკები ხშირად თავს სწორედ ახალციხის სათაშოს აფარებდნენ. სოლომონის მიზანი კი ოსმალთა ბატონობისაგან საბოლოო გათავისუფლება იყო. ერეკლე და სოლომონი თბილისში შეხვდნენ ერთმანეთს და ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ.

1770 წელს რუსების ჯარი, გენერალ ტოტლებენის მეთაურობით, ქართველთა ლაშქართან ერთად ახალციხისკენ დაიძრა, მაგრამ ტოტლებენმა აწყურის ციხე ვერ აიღო და ერეკლე ბრძოლაში მიატოვა. მარტოდ დარჩენილმა ერეკლემ კი უკან არ დაიხია და 1770 წლის 20 აპრილს ასპინძასთან ოსმალებისა და დაღესტნელების ლაშქარი სასტიკად დაამარცხა.

მაგრამ ეს გამარჯვება ერეკლემ ვერანაირად ვერ გამოიყენა, რადგან მას ცნობა მოუვიდა, რომ ტოტლებენი თბილისში ჩასვლას და ბაგრატიონთა მეფობის გაუქმებას გეგმავდა. ამას ისიც დაემატა, რომ, როცა ხალხმა უკან მარტო დაბრუნებული ტოტლებენი დაინახა, ხმა გავარდა, თითქოს მეფე და ქართული ჯარი ახალციხესთან გაენადგურებინოს მცერას. მართლაც, ქართლში მყოფმა ტოტლებენმა ანანურის ციხე დაიკავა და ქართველებს რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცებას აიძულებდა.

ბრძოლაში გამარჯვებული ქართველი მეფე სასწრაფოდ დაბრუნდა ქართლში.

გენერალი ტოტლებენი იმერეთში გადავიდა. აქ მან, სოლომონთან ერთად, ბაღდათის ციხე აიღო და ორივე ქუთაისისაკენ დაიძრა. მაგრამ მალე ურთიერთობა მეფესა და გენერალს შორისაც დაიძაბა. ტოტლებენმა, სოლომონის დაუკითხავად, მონღომა ფოთის ციხის აღება, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. რაკი ტოტლებენი ვერანაირად ვერ ახერხებდა ქართველ მეფეებთან ვერც ნორმალური ურთიერთობის დამყარებას და ვერც მათი ნდობის მოპოვებას, გენერალი ისევ რუსეთში გაიწვიეს. 1772 წელს რუსთა ჯარმა დასავლეთი საქართველო დატოვა, რის შემდეგაც ოსმალებმა გურიელს ქობულეთის მხარე წაართვეს.

1774 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი ზავით დასრულდა. ზავის მიხედვით, ოსმალეთი უარს ამბობდა იმერეთიდან გოგო-ბიჭების მოთხოვნასა და, საერთოდ, ხარკის მიღებაზე, ასევე, პირობას დებდა, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებას არ შეავიწროებდა და აღარ ჩააყენებდა ქართულ ციხეებში თავის ჯარს.

1782 წელს ერეკლე II-მ ოფიციალურად მიმართა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-ს, მიეღო ქართლ-კახეთი რუსეთის მთარველობაში. ერეკლე ითხოვდა, რომ "შაჰების სამკვიდრო და... ამდენი გარჯითა და დეაწლის დადებით ამენებული ქვეყანა" არ დაჰკარგვოდათ, სულთანსა და შაჰს საქართველოს მტრობა აღარ შეძლებოდათ, ხოლო, თუ რუსეთს თურქეთთან ან ირანთან ომი მოუხდებოდა, ერეკლე პირობას იძლეოდა, რომ რუსების მხარეს დადგებოდა.

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიაში, ციხესიმაგრე გეორგიევსკში რუსეთის იმპერიისა და ქართლ-კახეთის სამეფოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას – გეორგიევსკის ტრაქტატს. ქართული მხრიდან ხელმოწერა დაადასტურეს იოანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ, ხოლო, რუსეთის მხრიდან, გენერალმა პავლე პოტიომკინმა. ტრაქტატის საფუძველზე ქართლ-კახეთი რუსეთის მთარველობას აღიარებდა.

გეორგიევსკის ტრაქტატმა გააღიზიანა როგორც ოსმალეთი, ასევე სპარსეთი. ოსმალების წაქეზებით, 1785 წელს დაღესტნელთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ქართლ-კახეთში შემოიჭრა. ერეკლე მოუშვადებელი დახვდა ამ ლაშქრობას, რუსებმა კი მას სათანადო დახმარება არ აღმოუჩინეს. ოსმალებმა დაარბიეს

კახეთი და ქვემო ქართლი. ქვეყნისათვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო ახტალის სპილენძისა და ვერცხლის საბადოების განადგურება.

70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში მდგომარეობა დაიძაბა დასავლეთ საქართველოშიც. 1778 წელს სოლომონს აუჯანყდა საკუთარი შვილი ალექსანდრე, რომელიც მამამ სასტიკად დასაჯა. მან ტახტის მემკვიდრედ თავის ძმისწული, მკირეწლოვანი დავით არჩილის ძე გამოაცხადა, რომლის დედა ერეკლეს ქალიშვილი ელენე იყო. ამის შემდეგ იგი დაეხმარა სამეგრელოს მთავარს კაცია დადიანს და მათ ერთად დაამარცხეს აფხაზეთის მთავრისა და ოსმალთა გაერთიანებული ლაშქარი რუხის ციხესთან. შემდეგ სოლომონმა ბათუმისაკენ გაილაშქრა, მაგრამ ციხისძირთან მას ოსმალები ჩაუსაფრდნენ, რომელთაც იგი სასტიკად დაამარცხეს. მეფემ ეს დამარცხება ვერ გადაიტანა. მის მძიმე განცდებს ავადმყოფობაც დაერთო. 1784 წელს სოლომონ I მოულოდნელად გარდაიცვალა.

1789 წელს იმერეთის სამეფოს წარმომადგენლები თბილისში ჩამოვიდნენ და ერეკლეს იმერეთის შეერთება შესთავაზეს. საკითხის განხილვის შემდეგ ერეკლემ ამ იდეაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ საკუთარ შვილიშვილს, სოლომონ II-ს (დავით არჩილის ძემ, ბიძის, სოლომონ I-ის სახელი დაირქვა) ტახტს ვერ წაართმევდა. მომდევნო წელს ქართველმა მეფე-მთავრებმა — ერეკლემ, სოლომონ II-მ, სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა და გურიის მთავარმა სვიმონ გურიელმა დადეს "ტრაქტატი ივერიელ მეფეთა და მთავართა". ამ ტრაქტატის საფუძველზე, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ქართლ-კახეთის სამეფოსთან სამხედრო კავშირს ამყარებდნენ და ერეკლე II-ს უპირატესობას და მის მთარველობას აღიარებდნენ.

გეორგიევსკის ტრაქტატმა, რომელიც ქართლ-კახეთის მეფემ რუსეთის იმპერატორთან გაათორმა, უკიდურესად გაამწვავა ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა. 90-იანი წლების დასაწყისში ერეკლე II-ს ურთიერთობა დაეძაბა ირანთან. ირანში ამ დროს შაჰის ტახტისთვის ბრძოლა აღა-შაჰმად-ხანის გამარჯვებით დასრულდა. ახალმა შაჰმა წერილი გაუგზავნა ერეკლეს, რომელშიც რუსეთთან ურთიერთობის გაწყვეტას და ირანის ქვეშევრდომობის აღიარებას მოითხოვდა, ხოლო თუ ასე არ მოხდებოდა, მის სამეფოს

დალაშქვრით ემუქრებოდა. ალა-მაჰმად-ხანს ოსმალეთის სულთანის აქეზებდა. სულთანი მას ჰპირდებოდა, რომ მას შაჰად მაშინ აღიარებდა, თუ ქართლ-კახეთში გაილაშქრებდა და იქ რუსეთის გავლენას მოსპობდა. ერეკლეს რუსეთის ჯარის დახმარების იმედი ჰქონდა და ირანელთა შემოტევის წინააღმდეგ შესაბამისად არ მოემზადა. 1795 წელს ირანის შაჰი ოცდათხუთმეტათასკაციანი ჯარით ქართლ-კახეთში შემოიჭრა. ერეკლემ ხუთი ათას მოლაშქრეზე მეტის შეგროვება ვერ მოასწრო, რუსებმა კი ჯარი დროულად არ გამოგზავნეს. კრწანისთან ორდღიანი ბრძოლის შემდეგ, 11 სექტემბერს ირანელებმა თბილისი აიღეს. ერეკლემ ამ ბრძოლიდან ცოცხალმა ძლივს გამოაღწია. ალა-მაჰმად-ხანმა დაარბია და ააოხრა თბილისი და ქალაქის ოცდაორი ათასი მცხოვრები ირანში ტყვედ წაასხა. დამარცხების მიუხედავად, ერეკლე II ირანელებს არ დამორჩილდა და მთაში გაიხიზნა. ერეკლეს შესაპყრობად ალა-მაჰმად ხანმა 4000 კაციანი ლაშქარი გაგზავნა. სპარსელებს უინვალოთან თბილისისაკენ ერეკლეს დასახმარებლად წამოსული 300 ხევსური და ფშაველი დაუხვდა. მათ მიეშველნენ შამშადილელი აზერბაიჯანელები, ერეკლეს ერთგული ალი სულთანის მეთაურობით და შეძლეს სპარსელების დამარცხება. ამ დროს თავად სპარსეთში საშინაო მდგომარეობა გართულდა და ალა-მაჰმად-ხანმა თბილისი დატოვა.

1798 წელს ერეკლე II გარდაიცვალა.

დანართები

გეორგიევსკის ტრაქტატი, 1783 (ცალკეული მუხლების შინაარსი)

1. ქართლ-კახეთის მეფე აცხადებს, რომ იგი უარს ამბობს, დაემორჩილოს ირანს და რომელიმე სხვა სახელმწიფოს და არ ცნობს არავის უმაღლეს უფლებას, გარდა რუსეთის იმპერატორისა, შედის მის მფარველობაში და აღუთქვამს მას სამუდამო ერთგულებას.
2. რუსეთის იმპერატორი აღუთქვამს ქართლ-კახეთის მეფეს სამუდამო მფარველობას, მისი სამფლობელოს მთლიანობას, რო-

გორც არსებული, ისე მომავალში შექნილის გათვალისწინებით.

3. ქართლ-კახეთის ტახტზე ასული მეფეები სამეფო ნიშნებს მიიღებენ რუსეთის იმპერატორისაგან და დადებენ ერთგულების ფიცს ტრაქტატზე თანდართული ტექსტის მიხედვით.

4. ქართლ-კახეთის მეფე ამიერიდან დიპლომატიურ ურთიერთობებს სხვა სახელმწიფოებთან წინასწარ შეუთანხმებს რუსეთს.

6. რუსეთის იმპერატორი აღუთქვამს ქართლ-კახეთის ტახტზე მეფობის სამუდამო უფლებას ერეკლეს და მის შთამომავლობას; ქართლ-კახეთის მცრებს ჩათვლის საკუთარ მცრებად; ირანთან და თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულებების დადების დროს გაითვალისწინებს ქართლ-კახეთის ინტერესებს, ხოლო ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში იგი არ ჩაერევა.

7. ქართლ-კახეთის მეფე მზადაა ემსახუროს რუსეთს თავისი სამხედრო ძალებით, არ შეავიწროოს რუსეთის ქვეშევრდომები თავის სამეფოში, რომელიმე პირის თანამდებობაზე დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღოს ამ პირის დამსახურება რუსეთის წინაშე.

8. ქართული ეკლესიის მმართველობა რჩება უცვლელი, მისი პატრიარქის ღირსება უცოლდება რუსეთის საეკლესიო იერარქიის მერვე ხარისხს. საქართველოს პატრიარქს ენიჭება რუსეთის წმინდა სინოდის წევრის ტიტული. საქართველოს ეკლესიისა და რუსეთის სინოდის ურთიერთობები განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იქნება მომავალში.

12. ტრაქტატი იდება სამუდამოდ.

I საიდუმლო მუხლი. ერეკლემ და სოლომონ I-მა უნდა დაამყარონ მეგობრული ურთიერთობა. შეუთანხმებლობისას შუამავალ მხარედ რუსეთი გამოდის.

II საიდუმლო მუხლი. ქართლ-კახეთის დასაცავად რუსეთი თავისი ხარჯით გზავნის ორ ბატალიონს ოთხი ზარბაზნით. ომიანობისას იგი შეივსება საჭირო რაოდენობის ძალებით.

III საიდუმლო მუხლი. თუ რუსეთის იმპერატორს დასჭირდება ქართლ-კახეთის სამხედრო ძალების დახმარება სამეფოს ფარგლებს გარეთ, ამ შემთხვევისას ხარჯებს ანაზღაურებს რუსეთი.

IV საიდუმლო მუხლი. რუსეთის იმპერატორი პირობას დებს, რომ მცრების მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების განთავისუფლების შემდეგ მას ქართლ-კახეთის სამეფოს გადასცემს.

ვასილ პოტო, “კავკასიური ომი”

კავკასიის კორპუსის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო გრაფი პავლე პოტიომკინი, რომელიც 1782 წლის 8 ოქტომბერს ჩავიდა კავკასიაში. მას შემდეგ, რაც ჩეჩნებს გაუსწორდა, გრაფმა თავის მთავარ საქმედ ივერიასთან დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარება აქცია. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო მეფე ერეკლეს თანხმობა, მიეღო რუსეთის ქვეშევრდომობა.

ამ მოვლენის ამსახველი საზეიმო აქტის ხელმოწერა ჩატარდა 1783 წლის 24 ივლისს.

ამ აქტით პირველად დამყარდა საქართველოს ვასალური ურთიერთობა რუსეთთან. ივანე მრისხანის დროინდელი ხელშეკრულებების შემდეგ არცერთ ხელშეკრულებას არ ჰქონია მსგავსი მყარი პოლიტიკური მნიშვნელობა და ხასიათი, რადგანაც ის მხოლოდ ორი მეზობლის სულიერ კავშირებზე იყო კონცენტრირებული.

რუსეთ-საქართველოს მჭიდრო ურთიერთობები საქართველოს საუკეთესო ნაწილს იმით აღაფრთოვანებდა, რომ მოსკოვსა და პეტერბურგში სამუდამო საცხოვრებლად გადასვლის შესაძლებლობას აძლევდა. მაგრამ რუსეთის ქვეშევრდომობა საქართველოს სამეფოსათვის ნომინალური იყო და სრულიადაც არ ეხმარებოდა საკუთარი ავტონომიის გადარჩენაში.

ერთადერთი, რაც მას ასე აახლოებდა რუსეთთან, ქრისტიანობა იყო. მაგრამ თურქებისა თუ ირანელების შემოსევებმა მეჩვიდმეტე საუკუნეში იმდენად დააუნინა საქართველო, რომ იგი სპარსეთის შაჰის სხვა პროვინციებისაგან ძნელად გასარჩევი გახდა. ქართველი დიდებულები ყიზილბაშებისაგან მხოლოდ მოდურ ჩოხებსა და მოდურ ენას კი არ ითვისებდნენ, არამედ სპარსულ ზნე-ჩვეულებებსა და საკუთარ სახელებსაც კი. თეირანი იქცა იმდროინდელი ქართველი არისტოკრატიის თავშესაფარად ადგილად. მაგრამ მეფე ერეკლესა და ეკატერინეს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც პოტიომკინის გავლენის ქვეშ მყოფ გეორგიევსკში მომზადდა, ქართველებს უპირველეს პირობად უყენებდა სპარსეთის ქვეშევრდომობიდან ერთხელ და სამუდამოდ გამოსვლას. საპასუხოდ რუსეთი ვალდებულებას იღებდა, არა მხოლოდ დაეცვა ივერიის სამეფო, არამედ სამეფო ტახტზე შეენარჩუნებინა ერეკლეს შთამომავალნი.

ამ მიზნის შესასრულებლად რუსეთმა საქართველოში შეიყვანა რუსული გარნიზონები, რითაც ძალა დაუკარგა სპარსეთის გავ-

ლენას. ასე გადაინაცვლა ქართული პოლიტიკური ცხოვრების ცენტრმა თეირანიდან ისევ თბილისისაკენ. ვასალურმა ურთიერთობებმა რუსეთი საქართველოსთან უფრო მართებულ გეოგრაფიულ კავშირებზე დააფიქრა. ყაზარდოზე გამავალი ერთადერთი გზა უსაფრთხო არ იყო მთიელთა თავდასხმების გამო, რის გამოც რუსი შიკრიკები გაძლიერებული დაცვის გარეშე ვერ გადაადგილდებოდნენ. უსაფრთხოების მიზნით მოზდოკიდან ვლადიკავკაზამდე რამდენიმე ციხესიმაგრე აშენდა. 1783 წელს კი კავკასიონის თოვლიან ქედზე ახალი გზა გაიღო, სწორედ ამ გზით პოტიომკინი დაუბრკოლებლად ჩადიოდა თბილისში.

იმისათვის, რათა ადგილობრივ გლეხებს თავი უსაფრთხოდ ეგრძნოთ, პოტიომკინმა დაცვის მიზნით ქართულ სოფლებში რუსი ჯარისკაცები ჩაასახლა.

ლუი ლე ფური, "საქართველო და საერთაშორისო უფლება"

[გეორგიევსკის ტრაქტატის მონაწილე] ორივე მხარე აღიარებს ურთიერთის განსაზღვრულ უფლებებს და იღებს ვალდებულებებს ერთმანეთის მიმართ. ბოლოს, მეთორმეტე მუხლი გადაჭრით აცხადებს, რომ ხელშეკრულების ყოველგვარი შეცვლა "შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთშეთანხმებით". აქედან უდავოა, რომ ჩვენ წინაშეა საერთაშორისო ხელშეკრულება, დადებული ორ სრულუფლებიან სახელმწიფოს შორის...

1783 წლის ხელშეკრულებამ სავსებით არ გააუქმა საქართველო, როგორც საერთაშორისო სუბიექტი, – ამას ამტკიცებს ლეგაციის აქტიური და პასიური უფლება, რომელსაც აღიარებს საქართველოსთვის ხელშეკრულების მეხუთე მუხლი. მართალია ეს უფლება ფორმალურად მას რუსეთის მიმართ აქვს, მაგრამ, რადგან საწინააღმდეგო მუხლი არ არსებობს, უნდა ვიხელმძღვანელოთ საზოგადო პრინციპით, რომ პროტექტორატის ხელშეკრულებათა დებულებანი შეზღუდვით უნდა იქნეს განმარტებული და ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ ხსენებული უფლება საქართველოს რჩება სხვა სახელმწიფოთა მიმართაც. მაშასადამე, 1783 წლის ხელშეკრულების შემდეგაც საქართველო განაგრძობს უშუალოდ საერთაშორისო უფლებით სარგებლობას, მას დარჩა სახელმწიფოს ხასიათი საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით...

წინააღმდეგ ხელშეკრულებაში ამკარად გამოთქმული პირობებისა, რუსეთი არ მიეშველა საქართველოს. უკანასკნელი მარტო დარჩა და ვერ გაუწია წინააღმდეგობა მტრის ჯარს, რომელიც შეესია ქვეყანას, გაანადგურა და სატახტო ქალაქი ცეცხლით გადაწვა (1795 წ.). ეს იყო პირველი მძიმე დარღვევა რუსეთის მიერ 1783 წლის ხელშეკრულებისა, რომელიც მას საქართველოს დაცვას ავალდებდა. საერთაშორისო უფლებებაში, ისე როგორც საშინაოში, ერთხმად არის მიღებული, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა ერთი მხარის მიერ ათავისუფლებს მეორეს საკუთარ ვალდებულებათაგან.

ქართველ მეფე-მთავართა ტრაქტატი, 1790

ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან, დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თბილისს, 1790 წელსა.

ვინაიდგან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, ოდიშისა და გურიისათათ აქვსთ ერთმორწმუნეობა, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხელობითიცა სიყვარული ვითარცა სისხლისა ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთშორის.

ამისათვის ჩვენ, ზემოღსხენებულად ქვეყანათა ივერიისათა და მეფენი და მთავარნი დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა სახელით ყოვლად ძლიერისა ღვთისათა აღვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა...

უფლისა იესო ქრისტეს მონა მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა, ირაკლი მეორე ქრისტიანობრივი თანამდებობითა გარწმუნებთ ყოვლისა საიმერეთოსა მეფესა შვილიშვილსა ჩემსა სოლომონს და მთავარსა ოდიშისა და სხვათა სამთავროთა დადიანს გრიგოლს, და მთავარსა გურიისას სვიმეონს და ერთობით თავადთა, აზნაურთა და ერთა ქვემოისა ივერიისა...

ალა-მაჰმად-ხანის წერილი ერეკლე II-ისადმი, 1795

თქვენმა უმაღლესობამაც კარგად იცის, რომ ამ ასი თაობის განმავლობაში თქვენ ირანის ქვეშევრდომები იყავით. ახლა კი გაოცებით შევნიშნავთ, რომ თქვენ მიემხრეთ რუსებს, რომელთაც სხვა

ამოცანა არ აქვთ, იმის გარდა, რომ როგორმე ირანში ივაჭრონ... შენ ოთხმოცდაათი წლის კაცი ხარ და ასეთ შეცდომას როგორ უშვებ: მოიყვანე ურჯულოები, შეუერთდი მათ და უფლებებსაც ანიჭებ! მიუხედავად იმისა, რომ თქვენი რწმენა ჩვენისგან განსხვავებულია, თქვენ ყოველთვის ირანთან გქონდათ კავშირი. ირანში ბევრია თათარი, ქართველი, სომეხი, ურჯულო და სხვა სარწმუნოების მიმდევარიც. გასულ წელს შენ იძულებული გამხადე, რამდენიმე ქართველი მომესპო, თუმცა კი ჩვენ სულაც არ გვსურდა, რომ ჩვენი ქვეშევრდომები ჩვენივე ხელით დაღუპულიყვნენ. ახლა კი... გაუწყებთ, რომ ერთგულება ასე გვესმის: ამჟამად ჩვენი უმაღლესი ნებაა, რომ თქვენ, როგორც ჯკვიანმა, მიატოვოთ ამგვარი სახის საქმე და განწყვიტოთ კავშირი რუსებთან. თუ ამ ბრძანებას არ შეასრულებ, მაშინ მალე მოვანწყობთ ლაშქრობას საქართველოში, ერთად დავღვრიოთ რუსულ და ქართულ სისხლს და მტკვარივით ვადენთ. საჭიროდ ჩავთვალეთ შენთვის ამის შეტყობინება და ამიტომ მოგწერეთ ეს წერილი, რომ შენ ყურად იღო ჩვენი ბრძანება და შეიგნო შენი მდგომარეობა.

ილია ჭავჭავაძე, "ასის წლის წინათ"

ეს ორმხრიული მტრობა საქართველოსათვის ახალი ამბავი არ იყო. თუმცა დიდი ხანია, ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი... ეტანებოდნენ ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ საქართველო, ასე თუ ისე, როგორც იყო, ივერიებდა ერთსაც და მეორესაც და არც ერთს არ ჰნებდებოდა. წინათ ბევრჯერ ააოხრეს საქართველო, ბევრჯერ მიანგრ-მოანგრიეს, ჩამოათალეს სანაპირო ქვეყნები, ხოლო გული კი ვერ შეუნგრიეს. საქართველო იბრძოდა, ჯვარს ეცმოდა და გულს კი არ იტეხდა. ამ ტანჯვა-წამებით მოაწია ამ პატარა ქვეყანამ, ამ ერთმა მუჭა ერმა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე, – შეიჩინა რჯული, ენა, თავისი ეროვნული ვინაობა და თავისი ქვეყანა. როცა გაძლიერებულმა რუსეთმა თეხი მოაბჯინა ჩრდილო კავკასიის მთებს და წამებულმა საქართველომ რუსეთისაკენ მიიხედა და გული მიიბრუნა, მაშინ უფრო გაუმძინვარდნენ მტრები და ნამეტნავად სპარსეთი. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა და თავდასხმა 1795 წელს რუსეთთან საუბრის გამართვამ გამოიწვია და ოსმალეთს ამ მიზეზმავე თავს წამოგვაყენა, და ერთი და მეორეც, თუმცა ცალ-ცალკე კი, უფრო მეტის მძვინვარებით მოგვისია.

ივანე ჯავახიშვილი, “დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში”

რუსეთის მთავრობისათვის, საზოგადოდ, საქართველოს გაძლიერება სრულებითაც საჭირო არ იყო. საქართველო ისეთ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო, რომ რუსეთის დაუხმარებელივ მას თავისი თავის დაცვა არ შესძლებოდა და მუდამ რუსეთის შემავედრებელი და ხელში შემყურე ყოფილიყო. მაშასადამე, ყოველთვის ისე იყო ხოლმე, რომ რუსეთის “დახმარებას” დასაწყისში გარეგნულად საქვეყნოდ დიდი სახელი და რიხი ჰქონდა, შედეგი კი მუდამ საშინელი და დამღუპველი იყო ჩვენი პატარა, მტრებით შემორტყმული ქვეყნისა და ერისათვის...

ერეკლე მეფე, ღრმად მოხუცებული მოუსვენარი ცხოვრებისა და თავსდატეხილი უბედურებისაგან დაავადებული, გულისტკივილით შეჰყურებდა, როგორ ინგრეოდა ის პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერე, ქონებრივი კეთილდღეობაც, რომელიც მისი მამის თეიმურაზ მეორისა და მისი პირადი დაულაღავი შრომითა და გამჭრიახობით იყო მოპოვებული. მისი სიბერის დღენი ეგების იმ მწარე გრძნობით იყო მოწამლული, რომ ამის ბრალი მის პირადს პოლიტიკურს გულუბრყვილობას და რუსეთის მთავრობისადმი განუსაზღვრელ ნდობასაც ედებოდა.

თავი 4

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება

ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდგომ ქართლ-კახეთის ტახტი დაიკავა მისმა უფროსმა ვაჟმა გიორგიმ, რომელსაც გიორგი XII (ზოგიერთ წყაროებში – გიორგი XIII) ეწოდა.

მისი გამეფებას ეწინააღმდეგებოდნენ მისი დედინაცვალი, ერეკლეს ქვრივი, დარეჯან დედოფალი და, აგრეთვე, მისი ნახევარძმები. გიორგი ტახტზე მყარად ვერ გრძნობდა თავს, რის გამოც გადაწყვიტა, მოკავშირე საქართველოს გარეთ მოეძებნა. ასეთ მოკავშირედ შეფეს ერთმორწმუნე რუსეთი მიაჩნდა. გიორგის ნახევარძმები კი ირანთან ურთიერთობის გაუმჯობესების მომხრენი იყვნენ და არ ეთანხმებოდნენ გარდაცვლილი მამის საგარეო პოლიტიკას, რომელსაც ქვეყანა რუსეთის ქვეშევრდომობისკენ მიჰყავდა.

გიორგი XII-მ სცადა, გაერკვია რუსეთთან ურთიერთობები და რუსეთის იმპერატორ პავლე I-ს ქართლ-კახეთისა და რუსეთის ხელშეკრულების ახალი პროექტი გაუგზავნა. 1799 წლის ნოემბერში აღმოსავლეთ საქართველოში რუსთა პოლკი შემოვიდა, რომელსაც გენერალი ივან ლაზარევი მეთაურობდა. ლოგინად ჩავარდნილი გიორგი XII თავის მთავარ საზრუნავს იმაში ხედავდა, თავიდან აეცილებინა დარეჯან დედოფლისა და ძმების მხრიდან მომდინარე საფრთხე. ყველასათვის ცხადი იყო, რომ ისინი აქტიურად და დაუფარავად მოქმედებდნენ გიორგი XII-ის წინააღმდეგ. ისინი ქართლ-კახეთის სხვადასხვა კუთხეში ჩადიოდნენ და თავადებს იბირებდნენ. მალულად ისინი კავშირს კრავდნენ მეზობელ ხანებთან და ახალციხის ფაშასთან. სწორედ მათი დახმარებით აპირებდნენ ისინი სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებას. 1800 წლის 19 ნოემბერს ქართლ-კახეთის სამეფოს "სათხოვარი პუნქტების" ყველა პირობა პავლე I-მა დადებითად მიიღო და ქართველ ელჩებს თანხმობით უპასუხა.

პავლე I გენერალ კნორინგს საიდუმლო წერილში მიუთითებდა, რომ გიორგი მეფის მძიმე ავადმყოფობა მალე მის გარდაც-

ვალეზას მოასწავებდა, მაგრამ ქართველებს არასგზით არ უნდა მისცემოდათ სამუალეზა, ტახტის მემკვიდრე, ანუ ბატონიშვილი დავითი მეფედ ეკურთხებინათ. რუსეთის იმპერატორს მიზნად ჰქონდა დასახული, გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმებინა და ქვეყანა რუსეთთან შეერთებინა.

იმპერატორი პავლე არც კი დალოდებია გიორგის გარდაცვალებას და 1800 წლის 18 დეკემბერს ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შესახებ. ეს აქტი არა მარტო ქართლ-კახეთის სამეფოს, არამედ მთელი საქართველოს რუსულ გუბერნიად გადაქცევას ნიშნავდა. პავლე I-ის მიერ ხელმოწერილი მანიფესტი საიდუმლოდ გაუგზავნეს გენერალ კნორინგს სათანადო მითითებით: გიორგი XII-ის გარდაცვალებამდე მანიფესტი არ უნდა გამოეცხადებინათ.

გიორგი XII 1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა. მისმა ვაჟმა, დავითმა, ქართლ-კახეთის სამეფო კარის საზღიშო შეკრებაზე თავი ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებლად გამოაცხადა. იგი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მალე იმპერატორისაგან მეფედ დამტკიცების სიგელსაც მიიღებდა.

1801 წლის 11 მარტს პავლე I შეთქმულებმა მოკლეს. რუსეთის იმპერატორის ტახტი დაიკავა მისმა შვილმა ალექსანდრე I-მა. დავით ბატონიშვილმა ახალ იმპერატორს წერილობითი მოხსენება გაუგზავნა ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველობის მოწყობის გამო. ალექსანდრე I-მა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების საკითხი განსახილველად სახელმწიფო საბჭოს გადასცა. სახელმწიფო საბჭომ ხმის უმრავლესობით ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების აუცილებლობა დაამტკიცა. შედგა ახალი მანიფესტი, რომელსაც 1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მოაწერა ხელი.

ამრიგად, რუსეთის საიმპერატორო კარმა ქართლ-კახეთის სამეფოს შეზღუდულ ავტონომიაზეც უარი განუცხადა და იგი თავის გუბერნიად აქცია. გაპარტახებულმა და დაუძღურებულმა ქვეყანამ თავისი სახელმწიფოებრიობის დაცვა ვერ შეძლო. ასე დასრულდა ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ისტორია.

რუსეთი აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონდა და ამით დაიწყო რუსეთის იმპერიის ტერიტორიული გაფართოება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში.

დანართები

პლატონ იოსელიანი, "ცხოვრება გიორგი მეცამეტისა"¹

1799 წელსა მოვიდა ელჩი ყაენისა და წერილი მისი მეგობრული. სთხოვდა მეფესა – არა დაარღვიოს კავშირი საქართველოსა მეფეთა ერანის ყაენთანა, რათა არა დაივიწყოს წყალობები, რომლითაცა სავსე იყო საქართველო, რათა რუსთა არა მიანდონ სვე და ბედი თვისი. ყაენი აღუთქმიდა მთარველობასა თვისსა საქართველოსა ვალისტანზედა, სარწმუნოებისა მათისა არა დევნასა, უფლებასა სახანოებთა ზედა ერევნისა, განჯისა და ყარაბაღისა, ვითარცა იყო მეფისა ირაკლისა დროსა, და უკეთუ ისაჭიროებს მეფე ჯარისაცა გამოგზავნასა ექვსი ათასისა კაცისა ყაენისა ხარჯითა დასაცველად გზათა, რომელნიცა აქედნენ სავლელად ლეკთა, ქვეყანისა ამაოხრებულთა – მეფემან მიიღო ელჩი პატივითა და მაშინვე მისწერა წერილი, რომლითაცა დაუმალველად და გამოცხადებულად აღიარა საჭიროებაა ქვეყანისა დასაცველად მინდობით და მიმართვით რუსთა ხელმწიფისადმი. მისწერა მეფემან: "ირანი შეგვექმნა მდევნელად და მტერად ჩვენდა: დაივიწყა სისხლი მეფეთა ქართველთა ჯარისა დაღვრილისა ავგანისტანსა. ირანმან აღწყვიტა ერი და გააოხრა სამეფო ჩვენი. ირანმა აღძრა ლეკი ასაკლებად ჩვენდა. ერთი და იგივე სარწმუნოება რუსთა ხელმწიფეთა თანა მაიმედებს ქვეყანისა დამშვიდებასა. დარღვევა მათთან კავშირისა, არ შემოძლიან და ვერცა შევირცხვენ პირსა და ვერც გავტეხავ სიტყვასა მიცემულსა. ყოველნივე სულიერნი და საერონი გვამნი თხოულობენ რუსეთის ხელმწიფისა მთარველობასა".

ალექსანდრე მანველიშვილი, "რუსეთი და საქართველო"

16 აპრილს 1799 წლის, იმპერატორის ბრძანებით საქართველოში მინისტრად ინიშნება კოვალენსკი, რომლის ინსტრუქციაში ნათქვამია: "თქვენ არასოდეს მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ მანდაური მფლობელებისა და თვით მეფის მოლალაგობა და ორგული მოქმედება, რომ მანდ არაფერი იყოს მათ მიერ ჩადენილი

1 მეფე გიორგი მეთორმეტე სიცოცხლეში და შემდგომ ხშირად მოიხსენიებოდა გიორგი მეცამეტედ.

ისეთი, რაც ეწინააღმდეგება [რუსეთის] უმაღლესი კარის ინტერესებს."

ეს ინსტრუქცია გაცემულია საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ, სადაც მრავალი დარიგებებია თავმოყრილი. ხოლო იმავე თარიღით, თვით იმპერატორი უგზავნის კოვალენსკის უმაღლეს რესკრიპტს. იმპერატორი აფრთხილებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ საზღვრებს და ახლომახლო სახანოებს, რომელნიც სპარსეთის ვასალებია არიან, მაგრამ საქართველოსთან ერთნაირად ახლო ურთიერთობაში იმყოფებიან. საჭიროა მათში ჩვენი გავლენის გავრცელება, რათა ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში შემოუერთდნენ ჩვენს საბრძანებელს. ამგვარად, ყოველთვის ჩვენი საზღვრების გაზრდისა და გაფართოების ფიქრში უნდა იყოთ.

1799 წლის ტრაქტატი

1799 წელსა, 23 ნოემბერსა, შედგა ახალი ტრაქტატი შორის პავლე იმპერატორისა და გიორგი მეფისა შემდეგი:

1. მისი დიდებულება იმპერატორი ყოვლისა რუსეთისა მიიღებს ტიტულსა "მეფე საქართველოსა" და შემდეგნი მისნი მემკვიდრენი.
2. ძე მეფისა გიორგისა დავით ტიტულსა "განმგე საქართველოსა" და გარდავალს ესე შთამომავლობითა პირმშოდან პირმშომდე.
3. საქართველოსა ერი და მუნ მსახლობელნი თორმეტი წლისა განგრძობასა არ გაიღებენ არას ხარჯსა, რათა დაეწყვიენ თვისსა მდგომარეობასა შემდგომად ესოდენთა ბრძოლათა. განმგე საქართველოსა მიიღებს რუსეთიდან თორმეტსა წელსა მისთვის და სამეფოსა სახლისა წევრთათვის 20 000 თუმანს.
4. მადანი ოქროსა და ვერცხლისა ახტალას და მისხანასა შევა რუსთა განმგებაში და იმითი აივსება ზემოთქმული ჯამი ფულისა
5. 6 000 რუსისა ქვეითი ჯარი სრულისა კომპლექტითა იდგება საქართველოში. ქართველნი გამოვლენ ცხენოსნად ამა ქვეითისა ჯარისათვის.
6. ქართველნივე მოაგროვებენ ჯარსა ესოდენსა, რაოდენიცა საჭირო იქმნების დასაცველად სამზღვრებისა.
7. რუსნი წარგზავნიან ინჟენერთა თვისთა აღსაშენებელად და განსაახლებლად ციხეთა მათ ადგილთა ზედა, სადაცა დაინახება საჭიროდ.

8. ფულსა, მოჭრილსა თბილისში, ექნება ერთსა მხარეს ღერბი რუსეთისა და მეორეს – საქართველოსა.

9. საზრდო რუსეთის ჯარისათვის მოიყიდება იმავე ფასითა, რომელიცა იქმნება დანიშნული ადგილობრივთა მცხოვრებთათვის.

10. როდესაც მოხდება აღწერა ხალხისა, უნდა იქმნას კომლენურად და არა თვითო სულად.

იმპერატორ პავლე პირველის რესკრიპტიდან, 1800, 15 ნოემბერი

საქართველოს მეფე გიორგი ირაკლის ძემ, ხედავს რა საქართველოს განსაცდელში, როგორც გარეშე მტრების, და უფრო მეტად შინაურ, ოჯახურ უთანხმოებათ, განსაკუთრებით ტახტის მემკვიდრეთა მეოხებით შექმნილს, მიანდო აქ მყოფ თავის ელჩს, განეცხადებია საქართველოს მიწა-წყლის უშუალოდ ჩვენს ქვეშევრდომობაში შემოყვანის სურვილი.

ეს არის საინტერესო საქმე როგორც თვით მაგ ქვეყნისთვის, აგრეთვე, ჩვენი საზღვრების სიწყნარისათვის. წინადადება გეძლევათ, დაუყოვნებლივ წარმოგვიდგინოთ, თქვენდამი რწმუნებული ლაშქრიდან რამდენის გამოყოფა შეგიძლიათ საქართველოს დასაკავებლად, რომელსაც შეუერთდება იქ მყოფი ჯარიც.

მეთვის ჯანმრთელობის შესუსტება გვაფიქრებინებს მის სიკვდილს. ამიტომ, ამის შემდეგ დაუყოვნებლივ ჩვენის სახელით გაუგზავნეთ განცხადება, რომ ჩვენგან ნებართვის მიღებამდე, არავინ არ იქმნეს დანიშნული მემკვიდრედ საქართველოს სამეფოსი. ეს საქმე ირჩევა აქ და მოკლე ხანში გამოგზავნილი იქნება მანდ, აქ მყოფი საქართველოს რწმუნებულები, მანდიდან მეთვისა და ქართველი ხალხის სიგელების ჩამოსატანად ჩვენს სრულ ქვეშევრდომობაში შემოსვლის შესახებ...

გენერალ კნორინგის წერილი პავლე პირველს, 1801, 5 იანვარი

ვერ გავებდავთ მანიფესტის გამოქვეყნებას ამჟამად, რადგან ქართველი ხალხი არ არის მზად თქვენი უდიდებულესობის ბრძანებით რუსეთის იმპერიის კანონმორჩილებაში შესვლისათვის. გარდაცვლილი მეთვის განზრახვაზე არავინ, ძმებმა და თვით უფლისწულმა დავითმაც არაფერი იცოლნენ. ამასთან, ზამთარში შეუძლებელია

დარიალის გზით ჯარების გადაყვანა საქართველოს დასაკავებლად, ამიტომ გაზაფხულს უნდა დაველოდოთ.

ბატონიშვილ დავით გიორგის ძის მიმართვა ხალხისადმი, 1801, 15 იანვარი

ხელმწიფე იმპერატორმა ინება სჯულიერითა წესითა შედგომა და მოხედა უკანასკნელსა წერილსა სანატრელისა ჰაჰის ჩემისა მეფისა მეორისა ირაკლისასა..., რომელიც უბოძა სანატრელსა მამასა ჩემსა, ძე თვისსა მეფე გიორგისა, რომელიც იყო ნამდვილი დამრღვეველი თავისისა პირველი ანდერძისა, რომელსაც სასინანულოდ აღსჩენოდა უკანონო პოლექტიკა დასამყუდროებლად აღბორგებულთა პირისპირ მეფისა და სამეფოისა და წარუდგინა რა დიდსა იმპერატორსა და მით სთხოვა საუკუნოდ დამამყუდრებელი მშვიდობა ქვეყნის თვისისა და მისცა წერილი ესე სანატრელმან მამამან ჩემმან მეფემ გიორგიმ, სრულის ძალისა მქონებლისა ელჩისა თვისისა გარსევან ჭავჭავაძისა მიერ და შერთოცა სამეფო თვისი იმპერიასა როსიისასა, ამა ორისა მიზეზის ძალით მებრძანა უმაღლესითა ბრძანებითა მიახლოვება მემკვიდრებით ტახტისადმი საქართველოისა, სადღესასწაულოთა, დღესასწაულობითა, მართებლად და ვინათგან საჭირო იყო გამოცხადება ამისი ერთადმი ჩვენთა, ამისთავის გამოუცხადებთ დღესასწაულობითსა მიღებასა, მართებლობით მემკვიდრეობითსა ტახტისა ჩვენისასა და უკეთუ აქუს ვისმე ჩემდამი დაბრკოლება, აღუთქუამთ მათ მიტევებასა თვისსა დანაშაულისასა და შევიწყნარებთ მათ მოქცეულთა ეგრეთ, ვითა შეყვარებულსა უძღვება ძესა და უკეთუ შემდგომად გამოცხადებისა ამის ჰქმნას ვინმე წესისა ნებით გარდამავლობა, იგი დასჯილ იქმნების იმპერატორისა ჩემისა მიერ, მეგრ სჯული ერისა კანონითა, როსიას შინაპყრობლობითა.

იონა მეუნარგია, "ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა"

ასეთი "კარგი ოჯახი", ასეთი მხიარული და უმწიკლოვანი ხალხი, ასეთი გულკეთილი გლეხი, ასეთი მორწმუნე და ქრისტიანი ერი სრულიად ბედნიერი იქნებოდა, რომ არ დაეჩაგრა ერთ გარემოებას, სახელდობრ, პოლიტიკურ სისუსტეს. კოკამ წყალი ვერ ზიდა სულმუდამ. ქართველთა ისტორიული სიმძლავრე გატყდა გაზვი-

ადებული მტრისაგან. სამოცი ომის მამაცი მეფე ერეკლე, ღრმად მოხუცებული და ღრმად დაღლილი, ვერ წინააღუდგა სპარსთა ძლიერებას; მათ აიღეს თბილისი, და თბილისთან ერთად “დაემხო მთელი ივერია”. შემდეგ საქართველოს იმედიც ირაკლიც გარდაიცვალა და მის შვილთა ურთიერთშორის უთანხმოებამ სულ ერთიანად არიგ-დარივა უიმისოდაც აშლილი ქვეყანა. მეფე გიორგის გონიერებამ ვერა გააჩყო რა, რადგანაც მას ვერ აპყვა მისი ენერგია, და სახელმწიფო მმართველობა ანარქიას დაუახლოვდა. საუკუნე თავდებოდა და მასთან ერთად ჩვენი ისტორიის მეხუთე მოქმედებაც. მოქმედნი პირნი ძალზე უჩქაროდნენ თვარდის ჩამოშვებას და თვარდაც დაეშვა საშუალ მეფის ძეთა და დიდებულთა ყურთაგლეჯისა და წელმოწყვეტილ ქვეყნის მძიმედ დაშვებისა...

ამგვარი პოლიტიკური მდგომარეობის გამოწყობას ან მეორე მძლავრი მარჯვენა სჭირდებოდა მეფის ერეკლესი, ან ძმათა მმუსრველი სამოქალაქო ომი და მისი საშინელება. პირველი არსაით ჩანდა და მეორემდის გარემოებამაც არ მიუშვა. მეფის ძეთა უთანხმოებამ დააჩქარა ისტორიული მოვლენები, რომელსაც ბოლო უნდა მოეღო იმ ანარქიისათვის, რომელიც ადრე თუ გვიან ისტორიულისავე და პოლიტიკურ საჭიროებათა გამო მოუცილებლად უნდა მომხდარიყო. მე ვამბობ საქართველოს შეერთებაზე რუსეთის იმპერიასთან. 18 დეკემბერს 1800 წელს იმპერატორმა პავლემ ხელი მოაწერა მანიფესტს, რომელმაც “საუკუნოდ და სამარადისოდ” გამოცვალა ბედი ქართლისა.

კიტა აბაშიძე, “პოლიტიკური რომანტიზმი”

რუსეთის გვირგვინოსანმა მეფეებმა წერილობით (ტრაქტატზე ხელის მოწერით) და სიტყვით – უავგუსტოესის ფიციითი აღთქმით დაარწმუნეს ჩვენი მეფეები, რომ შეთანხმების მუხლები საუკუნო-საშვილიშვილოდ იქნება დაცული. მაგრამ ერთი ხელით რომ პავლე I ამ აღთქმას და ტრაქტატს აწერდა იმპერატორობითის დიდებულების ხელს, მეორეთი “უქაზებს” წერდა საქართველოს გუბერნიად გარდაქმნის შესახებ... ეგრეთი იყო “სიტყვა” და “საქმე” რუსეთის გვირგვინოსანისა...

რადა თქმა უნდა, რომ ასეთი უეცარი დარღვევა სიტყვისა და ყინულზედ დასმა მთელის სამეფო გვარეულობისა, რომელიც სამეფოს დამოუკიდებლობის იურიდიული სიმბოლო იყო, და ქვეყ-

ნის გაბიარება გულში ლახვარივით მოხვდა ყოველ შეგნებულ ქართველს და რუსეთის მთავრობის წინააღმდეგობამ იმთავითვე დაიბუდა გულში. ძმობისა და მფარველობის მაგიერ, მათ წაართვეს ქართველებს ის, რის დასაცველადაც სწყდებოდა და თავსა სდებდა ხალხი საუკუნეების განმავლობაში. ნახევრად გასწირა თავისუფლება, ქრისტეს ჯვარი წინდად დასდვა მეგობრობისა და ეგონა, რომ ეს ჯვარი იქნებოდა საუკეთესო მოწამე და ბეჭედი საიმპერატორო პირობისა, მაგრამ მოტყუებული დარჩა: სამშობლოც დაჰკარგა და ის ჯვარი, რომელიც ნაციონალური აზრის გამომსახველი და მფარველი იყო მისთვის, დღეიდან გამაუბედურებელ საგნად შეიქმნა.

რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის მანიფესტი, 1801 წლის 12 სექტემბერი

წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ალექსანდრე პირველი, იმპერატორი და თვითმპყრობელი ყოვლისა რუსეთისა და სხვათა და სხვათა და სხვათა...

განუწყხადებთ სრულიად საქართველოს სამეფოს მცხოვრებთ. ამიერიდან მყარდება მფარველობა და უზენაესი ხელმწიფება რუსეთისა იმპერიისა ქართველთა სამეფოზე. როდესაც რუსეთის იმპერატორი გავხდის, ვიხილვე საქართველო რუსეთთან შეერთებული 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტით. ამან და ერთმორწმუნე ხალხის განსაცდელში მხარდაჭერის ვალდებულებამ გვაიძულა თქვენი მფარველობაში მიღება. ისედაც ვრცელი იმპერიის საზღვრების კიდევ უფრო გაფართოებისათვის კი არ ვიტვირთეთ საქართველოს მმართველობის სიმძიმე, – თქვენი შეჭირვებისა და მტერთაგან დასაცავად. გიწესებთ მმართველად გენერალ კნორინგს, რომელიც იზრუნებს ქვეყანაში წესრიგზე.

“ფიციითი აღთქმის” ტექსტიდან, რომელზეც გენერალმა კნორინგმა ხელი მოაწერინა ქართველ თავადაზნაურობასა და სამღვდელთა სიონში, 1802

მე, ქვემო სახელდებული აღვსთქვავე და ვფუცავე ყოვლისა შემძლებელითა ღვთითა წინაშე წმიდისა სახარებისა მისისა მას შინა, ვითარმედ მნებავეს და თანამაძს მათის იმპერატორების დიდებულებისა ალექსანდრე პავლოვიჩისა, თვითმპყრობელისა ყოვ-

ლისა რუსეთისა, ... ვმსახურო და დავემორჩილო ყოველსა შინა უმაღლესსა ნებასა მისსა, არა დავზოგო ცხოვრება თვისი ვიდრე უკანასკნელ წვეთად სისხლისა, ყოველი მოცემული და შემდგომად მოსაცემელი მათის დიდებულების დადგინებულისა ხელმწიფებისა სჯულისდება ანუ განწესება მივიღო სათანადოთა მორჩილებითა, და მათცა უკიდურესისა გულისხმისყოფისა და შემძლებელობისამებრ გავუფროთხილდე და მივაქციო; აღდგინებულისა მათის იმპერატორების დიდებულებისაგან მამულსა შინა ჩემსა განსვენება და მყუდროება უკიდურესისა შეძლებისამებრ ჩემისა დავიცვა და არავითარიმე მიწერ-მოწერა აღმრეველთაღმი ჩემისა მამულისათა სწორედ ანუ სამშუავლით, საიდუმლოდ ანუ ცხადად ართუ ოდენ საქმით, რათამე მოგონებითა, მოქმედებითა და განზრახვითა არა ვიქონიო.

ივანე ჯავახიშვილი, "დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში"

ბევრისათვის იმდენად ძნელი წარმოსადგენელი იყო, რომ "ქრისტესმოყვარე" რუსეთის ხელმწიფეებს ფიცისა და ხელშეკრულების დარღვევა შეეძლოთ და პატარა საქართველო "მფარველ" მოკავშირეს ძალმომრეობით დაეპყრათ, რომ ეს ყველაფერი საქართველოში გამოგზავნილ რუს მოხელეთა პირადი თვითნებობა და მეტიჩაობა ეგონათ. ეს ქართველები დარწმუნებულები იყვნენ, რომ საქართველოს შელახულ უფლებათა და დამოუკიდებლობის აღსადგენად საკმარისი იყო მხოლოდ რუსი ხელმწიფისათვის საქმის ნამდვილი ვითარება ეცნობებინათ. თვით პეტერბურგში მყოფი საქართველოს ელჩი გარსევან ჭავჭავაძეც თუმცა აღშფოთებული იყო იმ გარემოებით, რომ მეფე გიორგის არც ერთი მინდობილობა და სურვილი ასრულებული არ იყო, პირიქით, მეფობა მოსპეს და საქართველო საშინლად დაამცირეს, მაგრამ მასაც ეგონა, რომ ეს გენერალ კნორინგის ცრუ ცნობებით სავსე მოხსენების წყალობით მოხდა და ვითომც საკმარისი იყო ქართველ ხალხს რუსეთის ხელმწიფისათვის თავისი ნამდვილი გულისწადილი ეცნობებინა, რომ მაშინვე ყველაფერი გამოსწორებულიყო. გამოცდილებამ და რუსეთის მთავრობის პოლიტიკამ საქართველოში ნათლად დაამტკიცა ამ განუსაზღვრელი ნდობისა და გულუბრყვილობის სრული უსაფუძვლობა!..

ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი, "მძლავრ მკლავებში"

დადგა მეცხრამეტე საუკუნე. საქართველო თავისი ნებით, იოლად შეუერთდა რუსეთს, რომელთან უშუალო მეზობლობასაც ისლამური რწმენის ტომებით დასახლებული კავკასიის მთები უშლიდა ხელს. ამ მეომარი და ბრძოლისუნარიანი ტომების დასამორჩილებლად მაშინდელ ძლევამოსილ რუსულ სამხედრო ძალას, ესეცაა მოსკოვიდან პარიზამდე რომ ილაშქრა და მთელ ევროპას თავისი ნება მოახვია თავს, მანაც სამოც წელზე მეტი დასჭირდა. ჯვრისათვის, როგორც უმაღლესი სიმბოლოსათვის, ბრძოლის ჩვევა ქართველ ხალხს მსოფლიო პროგრესს, მის იდეალურ ამოცანებსა და მიზნებს აზიარებდა, მაგრამ ავიწყებდა: ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირი მას ავანგარდად ხდიდა თავისი ახალი მფარველის საბრძოლო შეტაკებებში თურქეთთან და სპარსეთთან, სულ ახლახან მის სამშობლოს რომ აოხრებდნენ.

კიტა აბაშიძე, "პოლიტიკური რომანტიზმი"

[ქართველმა მეფეებმა] გასაოცარი გამჭრიახობით იგრძნეს, რომ რუსეთი, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, საქართველოს დაიპყრობდა, დიდის გონიერებით და ცოდნით მიხვდნენ, რომ ახალი მეზობელი, რომელიც მის საზღვრებთან იზრდებოდა, ძლევამოსილი იყო და დიდის "აპეტიტი" აღვისილი, და არჩიეს მეგობრულის კავშირით დაეცვათ, ნახევრად მანაც, დამოუკიდებლობა. წინააღმდეგობა არას გამოადგებოდა ძალაგამოლეულსა და ღონეშესუსტებულ საქართველოს, რომელსაც შინაგანი გაერთიანებაც კი ვერ მოეხერხებინა. მას არ შეეძლო რამე წინააღმდეგობა გაეწია, ტყუილად სისხლი დაიღვრებოდა. საუკეთესო გზა, სწორედ ხერხიანი და გონიერი ის იყო ამ შემთხვევაში, რომ ამისთანა საშიშარ მტერთან მეგობრობა ეცადათ. ამ ცდამ თუ ტყუილად ჩაიარა, ეს მათი სისულელის ბრალი კი არ იყო, არამედ რუსეთის მთავრობის პოლიტიკის ცბიერობისა და ვერაგობისა. რუსეთის მონარქებმა, აქაოდა, ძალა აღმართსა ხნავსო, საერთაშორისო პირობაც კი დაარღვიეს. ამ ცბიერობის იმთავითვე წინათგრძნობა მეტად ძნელი იყო და წარმოუდგენელი, ხოლო ბოლოს კიდევაც შეიტყვეს, მაგრამ გვიანლა იყო. დაჭრილი, დაკოდილი და სისხლისაგან დაწრეტილი საქართველო რუსეთის ორთავიანი არჩივის ძლიერ კლანჭებში იყო ჩავარდნილი და იქ ფართხალებდა. მისი შემწე და მფარველი არავინ ჩანდა.

თავი 5

რუსული მმართველობის დამყარების პირველი წლები

რუსული მმართველობის დამყარებას, ქართული სახელმწიფოს მოშლას, ბაგრატიონთა ტახტის გაუქმებას, უცხო წესების იძულებით დამკვიდრებას, ძალადობას მოსახლეობის მიმართ დიდი უკმაყოფილება და მღელვარება მოჰყვა საქართველოში. ქვეყანაში მცხოვრებთა ყველა ფენა განაწყენებული იყო ოკუპანტთა ხელისუფლების მიმართ: ბაგრატიონები ძალაუფლების გარეშე დარჩნენ; სამეფო კარის გაუქმების შედეგად თავადაზნაურობამ დაკარგა გავლენა; იზღუდებოდა ქართველი სამღვდელოების უფლებები; რუსული ჯარის გამოსაკვებად და შესანახად გლეხობას უფრო მეტი გადასახადი დაეკისრა; რუსეთის მთავრობა ხშირად უსასყიდლოდაც იტაცებდა ქონებას; რუსი მოხელეები და სამხედრო პირები უდიერად, შეურაცხყოფლად ექცეოდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს.

ქვეყანაში რუსული მმართველობის დამკვიდრების წინააღმდეგ ქართველებმა არაერთი აჯანყება მოაწყვეს: 1802 წელს – კახეთში, 1804 წელს – მთიულეთში, 1810 წელს – იმერეთში, 1812 წელს – კახეთში, 1820 წელს – ისევ იმერეთში, 1832 წელს კი მზადდებოდა შეთქმულება აჯანყების მოსამზადებლად, რომელიც ლალატის გამო ჩაიშალა. ქართველების მხრივ წინააღმდეგობის ყველა ამ გამოვლინებას რუსეთი სასტიკი რეპრესიებით უპასუხებდა.

რუსეთის იმპერიის ხელმძღვანელობამ სახიფათოდ მიიჩნია ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელთა საქართველოში დატოვება და თანდათანობით მათი გადასახლება დაიწყო რუსეთში. სანკტპეტერბურგში გაისტუმრეს ქართლ-კახეთის ქვრივი დედოფლები და თითქმის ყველა ბატონიშვილი. რუსეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო ხელში ჩაეგდო მხოლოდ ბატონიშვილი ალექსანდრე, რომელიც სპარსეთში გადავიდა.

იგი სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა ბრძოლას ტახტის დასაბრუნებლად.

1802 წლის ივლისში კახეთის თავადაზნაურობა შეუდგა აჯანყებისათვის მზადებას და მათ გლეხებიც მიიმხრეს. სამოცლაცხრა თავადმა რუსეთის იმპერატორს გეორგიევსკის ტრაქტატის შესრულება და ქართლ-კახეთში მეფობის აღდგენა მოსთხოვა. მეფედ ისინი იულონ ბატონიშვილს ასახელებდნენ და მის ერთგულებაზე აფიცებდნენ ქვეშევრდომებს. როცა აჯანყება ღალატის შედეგად ჩაიშალა, რუსეთის სარდლობამ შეთქმულთა უმრავლესობა ციხეებში ჩაყარა.

1804 წლის მაისში იფეთქა აჯანყებამ მთიულეთში. რუსი გუშაგების დახოცვის შემდეგ აჯანყებულებმა შიკრიკები დაგზავნეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხალხს დასარაზმად, ხოლო იმერეთში მყოფ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილების ამბოხების მეთაურობა შესთავაზეს. მაგრამ მემამბოხეებს დაუპირისპირდნენ ქსნის ერისთავები, რომელთაც რუსეთის იმპერატორმა ცოცხალი ხნის წინ დაუბრუნა ერეკლე მეორის დროს ჩამორთმეული ყმა-მამულები. აგვისტოში აჯანყებულებთან შეტაკებისას რუსეთის ჯარი დამარცხდა და გაიქცა. აჯანყება ქსნის ხეობასაც მოედო. სექტემბერში მთიულეთში ჩავიდა ფარნაოზ ბატონიშვილი, რომელსაც მხარი დაუჭირა კახელი თავადაზნაურობის დიდმა ნაწილმა. ოქტომბრის დასაწყისში რუსებმა ყოველმხრივი შეტევა დაიწყეს. ამბოხების ჩახშობას გენერალი პავლე ციციანოვი ხელმძღვანელობდა. ოკუპანტები სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყებულებს: დააპატიმრეს სამასზე მეტი კაცი, შეიპყრეს და რუსეთში გადაასახლეს ფარნაოზ ბატონიშვილი.

1812 წლის იანვარში, მთავარმართებელ პაულუჩის ბრძანებით, რუსი ჯარისკაცები კახეთის სოფლებს შეესივნენ, რათა ჯარის გამოსაკვებად გლეხებისათვის სარჩო-საბადებელი წაერთმიათ. ახმეტელებმა შინ შემოჭრილი მოძალადეები ჯერ გამოყარეს, შემდეგ კი კახეთის ქალაქები დაიკავეს და თბილისისკენ აიღეს გეზი. ვზად ისინი სასტიკად უსწორდებოდნენ რუს სამხედროებს. ნელ-ნელა აჯანყება მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოედო. მემამბოხეებმა მეფედ გრიგოლ იოანეს ძე გამოაცხადეს. ბოლო არ უჩანდა შეტაკებებს რუსებთან. შემდგომში აჯანყების ხელმძღვანელობა სპარსეთიდან გადმოსულმა ალიექსანდრე ბატონიშვილმა ითავა. მაგრამ აჯანყება დამარცხდა და ბატონიშ-

ვილმა შაცილს შეათარა თავი. თითქმის მთელი კახეთის გადაწვის შემდეგ რუსებმა ცეცხლს მისცეს ხევსურეთის ოცი სოფელი. ჩამომხრჩვალ, დახვრეტილ, გაკატორღებულ, გადასახლებულ ქართველებს თვლა არ ჰქონდა...

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და იქაურ მცხოვრებთა დამორჩილების შემდეგ რუსეთმა აღვილად მოახერხა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა გაუქმება და მათი ჩართვა იმპერიის შემადგენლობაში.

რუსეთის ხელისუფლება არ ენდობოდა იმერეთის მეფეს, სოლომონ II-ს, რომელიც, ერთი მხრივ, დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ცდილობდა, ხოლო, მეორე მხრივ კი, დამოუკიდებლობას არ თმობდა და სულაც არ განიზრახავდა, უყოყმანოდ მიეღო რუსეთის მხრივ თავსმოხვეული მფარველობა.

რუსეთმა არ გაუწია ანგარიში სოლომონის მისწრაფებებს და დააკმაყოფილა გრიგოლ დადიანის თხოვნა იმპერიის შემადგენლობაში სამეგრელოს სამთავროს მიღების გამო. გამოსავლის ძიებისას იმერეთის სამეფო კარმა პეტერბურგში ელჩად მიავლინა სოლომონ ლიონიძე, მაგრამ იმპერატორმა არაფრად მიიჩნია და უარყო მეფის ყველა წინადადება, იქნებოდა ეს ერთიანი დასავლურქართული სახელმწიფოს შექმნა, იმერეთის სამეფოში სოლომონის ძალაუფლების აღიარება თუ სამეფო დინასტიის ხელუხლებლად შენარჩუნება. ასევე, არ დააკმაყოფილეს სოლომონ II-ის მოთხოვნა, რომ ის პირდაპირ იმპერატორს დაქვემდებარებოდა და არა კავკასიაში გამოგზავნილ რუს მოხელეებს.

1804 წლის 4 აპრილს მთავარმართებელმა ციციანოვმა იმერეთში ჯარი შეიყვანა. რამდენიმე დღის შემდეგ მან სოლომონ II-სთან ტრაქტატს მოაწერა ხელი. ხელშეკრულების მიხედვით, იმერეთის სამეფო – გურიის სამთავროსთან ერთად – შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის რუს მმართველს დაევალა რუსეთის იმპერიის ძალაუფლების განმტკიცება, სამეგრელოსა და გურიის მთავრების გაძლიერება და იმერეთის მეფის ხელისუფლების შეზღუდვა.

1809 წელს რუსთა ჯარი ქუთაისში შევიდა და სოლომონ II-ს სამეფოს დედაქალაქიდან გაქცევა მოუხდა. 1810 წლის 20 თებერვალს ახალმა მთავარმართებელმა ალექსანდრ ტორმასოვმა ქუთაისში საჯაროდ გამოაცხადა, რომ იმერეთის სამეფო ხელი-

სუფლება გაუქმდა. იმერეთის მეფე რუსებმა დაატყვევეს და თბილისის ციხეში გადმოიყვანეს, თუმცა სოლომონმა იქიდან გაპარვა მოახერხა და ახალციხეში გადავიდა. მეფე სათავეში ჩაუდგა რუსეთის მმართველობით უკმაყოფილო ქართველებს და აჯანყება წამოიწყო. თავდაპირველად მან წარმატებას მიაღწია და რამდენჯერმე დაამარცხა კიდეც რუსთა ჯარი. მაგრამ ამ ომში რუსეთის მხარეს ჩაერთნენ გურიელისა და დადიანის რაზმები, ხოლო რუსულ ქვედანაყოფებს დამატებითი ძალები შეემატა. სოლომონი იძულებული გახდა, ოსმალეთში გახიზნულიყო. დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში იგი ხან ოსმალეებს სთხოვდა შემწეობას, ხან კიდეც – ევროპის ქვეყნებს, თუმცა ამაოდ... ქართულ სამეფო-სამთავროთა ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. სოლომონ II 1815 წელს ტრაპიზონში, ოსმალეთში გარდაიცვალა.

გურიისა და სამეგრელოს სამთავროთა რუსეთის მთავრელობის ქვეშ შეყვანის შემდეგ დადგა აფხაზეთის სამთავროს ჯერიც. რუსულმა სამხედრო დესანტმა 1810 წლის 10 ივლისს სოხუმი აიღო, რის შემდეგაც გამოცხადდა, რომ აფხაზეთის სამთავრო რუსეთის იმპერიაში შედიოდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ყველა ქართული სამეფო-სამთავრო თანდათანობით რუსეთის "მთავრელობაში" აღმოჩნდა. რუსეთის ხელისუფლებამ თითქმის ყველგან ერთნაირად იმოქმედა: ისარგებლა ქვეყნისა და ოჯახებს შიგნით არსებული დაპირისპირებით და ყველა შესაძლებლობა გამოიყენა, რათა თავისი ძალაუფლება დაემყარებინა. შედეგად, რუსეთის ხელისუფლებამ ათ წელიწადში გააუქმა ბაგრატიონთა ორივე ქართული ტახტი და კონტროლი დაამყარა ქართულ ტერიტორიებზე, ამავე დროს, მან მკაცრად დასაჯა ყველა ის, ვინც კი იმპერიის წინააღმდეგ გამოსვლა გაბედა და წაახალისა ყველა ის, ვინც მისი ერთგულებით გამოიჩინა თავი.

დანართები

ქართლ-კახეთის მცხოვრებთა წერილი რუსეთის იმპერატორის მიმართ, 1801

უმოწყალესო ხელმწიფეო! როდესაც ერთგულებასა ზედა თქვენისა იმპერატორებისა დიდებულებისასა დაგვაფიცეს, მყის გა-

მოგვიცხადდა მანიფესტი, რომ ვითომ ჩვენ მოგვეხსენებინოს კარსა წინაშე უდიდებულესისა ხელმწიფისა თქვენისასა – მეფე აღარ გვინდა და უმეფოდ შემოსულვართ მფარველობისა ქვე-შე... ათას ორასი წელი, მეტი არის, რომ ბაგრატიონნი მემკვიდრეობენ და, აგრეთვე, მრავალი ამათაგანი, ჩვენის გულისთვის წამებულან, ქრისტესთვის და ჩვენთვის სისხლი დაუნთხევით და ჩვენც ამათ წინ ამოვწყვეტილვართ მრავალნი.

რუსი ისტორიკოსი ნიკოლაი დუბროვინი

საკმარისი იყო ერთი უბრალო ეჭვი აეღოთ მოსახლეობაზე, რომ უმალ იჭერდნენ, ზურგზე გაუკრავდნენ ხელებს, კისერზე მძიმე ტვირთს ჩამოჰკიდებდნენ, და როგორც დამნაშავეებს, 50 ვერსტს და ხშირად უფრო მეტს, ფეხით ატარებდნენ. მოხელენი და ოფიცრები სოფლებიდან ძალით ერეკებოდნენ ქალიშვილებს და აუპატიურებდნენ... შეიძლება კი ბრალად დაედოთ ქართველებს ის, რომ მათ საკუთარი ადათ-წესები ჰქონდათ? რომ მათ არ ესმოდათ ჩვენი მართვა-გამგეობა, ჩვენი სამართალწარმოება? ამ ხალხისთვის ყოვლად უცხო იყო ის აღმინისტრაციული ზომები, რაც ზედგამოჭრილი გახლდათ ველიკოროსიის გუბერნიებისათვის.

საქართველოს თავადაზნაურობის პეტიცია გენერალ ლაზარევისადმი, 1802

თურქეთმა და სპარსეთმა ჩვენში ვერ მოშალეს მეფობა, ვერ მოშალეს ეპისკოპოსობა, ვერ მოშალეს თავადობა, ვერ მოშალეს გლეხობა... ამ დიდროვან ურჯულო მტერთაგან რომ მოსვენება არ გვექონდა, ხმლითაც ბევრი მოვიძორეთ... რუსეთის ხელმწიფემ საქართველო რუსეთს შეაერთა და მანიფესტი გვიბოძა... რაც წყალობა მანიფესტებით გვიბრძანა, თქვენგან არ აღგვისრულდა. უშიშროება გვიბრძანა. რაში ჩანს? სოფლებს გლეჯენ ლეკნი და თქვენ არას ნაღვლობთ. ეკლესიებისა და ეპისკოპოსთა პატივის მომატება ბრძანა, თქვენ კი ყმა და მამული მთლად ჩამოართვით. თავად პატივის მომატება გვიბრძანა, პატივი მოგვეშალა.

ლ. ლოლოფიციკის მოხსენებითი ბარათი

1803 წლის აპრილში ციციანოვმა გიორგი XII-ის ქვრივს, მარიამ დედოფალს, მიუგზავნა გენერალი ლაზარევი. ამ უკანასკნელს სისრულეში უნდა მოეყვანა დედოფლის რუსეთში გადასახლების გადაწყვეტილება. 21 აპრილს ლაზარევმა თავისი რაზმით ალყაში მოაქცია დედოფლის სასახლე. ლაზარევის მოთხოვნას მარიამისადმი, რათა ეს უკანასკნელი დაჰყოლოდა მის ნებას, შედეგი არ მოჰყოლია. ამის შემდეგ გენერალმა დედოფალთან ოფიცერი კურაკოვი გაგზავნა და უბრძანა, რომ მარიამი ძალდატანებით გამოეყვანათ შენობიდან. კურაკოვს გენერალიც შეჰყვა და მცირე ხნის შემდეგ კვლავ თავად სცადა მარიამის გამოყვანა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ხანჯალი იშიშვლა და იქვე განგმირა გენერალი ლაზარევი.

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები, 1804

კავკასიონზე რუსის ჯარის გადმოსვლისას, გზისპირის მოსახლეობა მთიულეთში სახლებიდან გამორეკეს და აუტანელ სიცივეში სტეფანწმინდიდან ანანურამდე გზის გაწმენდა-შეკეთება დაავალეს. რუსი მოხელეები და ყაზახები უხეშად ექცეოდნენ მოსახლეობას, სცემდნენ, უწიოკებდნენ ოჯახებს, შეურაცხყოფდნენ ქალებს. საგზაო ბეგარაზე ცემით ორი კაცი მოუკლეს მთიულეებს, ხოლო სამი კაცი ზვავმა იმსხვერპლა. ორი დედაკაცი რუსმა ჯარისკაცებმა უღელში შეაბეს, მარხილი მოუბეს და მათრახით სცემდნენ. სულ მთიულეთში რუსი მოხელეებისა და ჯარისკაცების ცემისაგან 23 კაცი მოკვდა.

ელაზნაურის ტრაქტატის პირობები, 1804

1. იმერეთის მეფე სოლომონ II ხდება რუსეთის იმპერატორის სამუდამო ქვეშევრდომი.
2. სოლომონ II-ს საშვილიშვილოდ უმტკიცდებოდა იმერეთის მეფობა.
3. ტახტის მემკვიდრე, თუ სოლომონს შვილი არ ეყოლებოდა, მისი ძმისშვილი კონსტანტინე გახდებოდა.
4. იმერეთის მეფის ტახტზე ასვლა მტკიცდებოდა რუსეთის იმპერატორის სიგელით.

5. ქვეყნის მართვა-გამგეობა და სამართალი იმერეთის მეფის ხელთ რჩებოდა, სისხლის სამართლის საქმეებში კი მას რუსული კანონებით უნდა ეხელმძღვანელა.

6. იმერეთის სამეფოში რუსთა ჯარი უნდა შესულიყო, რომელიც ბინით, სითბოთი და სურსათ-სანოვაგით იმერეთის მეფეს უნდა უზრუნველყო.

მეფე სოლომონ მეორის წერილი გენერალ ტორმასოვისადმი, 1810, 5 იანვარი

მივიღე წერილი უპატივსაცემელესი მალალაღმატებულებისა თქვენისა, რომელსა შინა ცხადჰყოფთ მადლობასა მიცემისათვის ჩვენ მიერ პრავიანტა და შეწევნისათვის მგზავრობისა მხედრობათა თქვენთასა. მოწყალევე ხელმწიფეო ჩემო! მერწმუნე ვითარცა გვამსა პატიოსანსა და ვითარცა მეფესა ქრისტიანესა, რომელ დიდითა გულსმოდგინებითა მსურს, რათა ყოვლითა შეძლებითა ჩემითა და სამეფოსა ჩემისათა ვმსახურებდე მხედრობასა რუსეთისასა, და უმეტესად უკანასკნელითა ამით წერილითა თქვენითა, რომლითა მომეცა იმედოვნება, რათამცა სრულიქმნას ყოველივე კეთილდაწყობილება მტკიცე და უცვალებელი შეკრულება საუკუნო ჩვენ შორის.

სოლომონ მეორის წერილი საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონს, ახალციხე, 1810, 20 ოქტომბერი

ხელმწიფევე, განგებამ მოგავლინათ თქვენ ამ ქვეყნად, რათა გაუადვილოთ, დაეხმაროთ და მფარველობა გაუწიოთ კაცობრიობას. ყველაზე უფრო შორეულ ხალხებს იგივე უფლება აქვთ, რაც მათ, რომლებსაც აქვთ ბედნიერება იყვნენ თქვენი მემობლები, იგრძნონ თქვენი სიდიადისა და თქვენი ძლიერების ზემოქმედება. ჩემი ოჯახი ათას ორასი წელია მეფობს ხალხებზე, რომლებსაც მე ვხელმძღვანელობ. მე ჯერ კიდევ შემეძლო აქ მშვიდობიანად სიამოვნება, რუსეთის ამ ბარბაროსული სახელმწიფოს სიხარბეს რომ მასში არ გაეღვიძებინა გეგმა ჩემი სიმშვიდის დარღვევისა და გამოეწვია უცხო ომები, რათა უფრო იოლად დაუფლებოდა ჩემს სამფლობელოებს, დამუქრებოდა ჩემს არსებობასაც კი. ეს ომები დიდ სისხლისღვრას მოითხოვენ, მაგრამ ჩვენ უმალ ამ სისხლისღვრას ვარჩევთ, ვიდრე დავემორჩილოთ რუსეთს. ვბედავ, იმიდი

ვიქონია, რომ თქვენი უდიდებულესობა მიიღებს მხედველობაში ჩემს თხოვნას, არ უკუაგდებს სურვილებს ხალხისას, რომელსაც სურს თქვენი მძლავრი მთარველობის ქვეშ ყოფნა, ელოდება, შეინარჩუნოს თავისი არსებობა და თავისუფლება და მხოლოდ თქვენი უდიდებულესობის წყალობით დააღწიოს თავი მჩაგვრელ ტირანიას. ვევედრები თქვენს უდიდებულესობას, პატივი დამღოს და პასუხით მანუგეშოს, რომ მან ჩემი თხოვნა შეიწყნარა და ჩემი იმედები განხორციელდება.

ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი, "მძლავრ მკლავებში"

ყველა განაპირა მხარისათვის საერთო, სისტემური, სასტიკი და შუქქცევადი ასიმილაციის შემდგომმა შერბილებულმა პოლიტიკამ [...] ვერ შეანელა ის პირველი მთაბეჭდილება, რაც რუსულმა კანცელარიამ განაწამებ ქვეყანაზე მოახდინა: მაშინვე ცბიერი გულქცობით მიუდგა ის საქართველოს და მის საუკუნოვან სიწმიდეთაც შეეხო.

უხეში ძალადობით მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართველებს ვერ გააკვირვებდი, მაგრამ ისინი მოტყუებულები იყვნენ. ამის შესახებ თავისი აზრი მათ პირდაპირაც გამოხატეს მის უდიდებულესობა იმპერატორის სახელზე გაგზავნილ თხოვნაში გულახდილად და პირდაპირ, – ასეთი აქტისა და ქართული მეტყველების დეკლარაციისათვის შეუფერებელი მკვეთრი გამოთქმით. მას შემდეგ გავრცელდა გამოთქმა "რუსული ხრიკი", – ოინი, რაც მთლიანად გამოსახავდა ხელისუფალთა მოქმედების არსს.

საქართველო აფორიაქდა, საგონებელში ჩავარდა, დარდმა და წუხილმა მოიკვა. ალერსიანი სიტყვების შემდეგ იგი ყველაზე ნაკლებად ელოდა თავისი მხსნელისაგან ასეთ გენერალურ გაკრეჭა-შეკვეცას რუსული დაფდაფების თანხლებით. მაგრამ ლილიპუტის კონველსიური მოძრაობა უმაღვე ჩაცხრა ბრობდინიაკის მუჭაში – მეტისმეტად ძლიერი იყო ხელი და პატარა კაცის მხურვალე გული დიდხანს ელტვოდა და ეჩვეოდა გოლიათისადმი სიყვარულს; გოლიათში ხედავდა ხსნასაც ურიცხვ მტერთაგან და იმედსაც – მისი ძლიერი მხრების სიმალლიდან დაენახა მარადიული თავისუფლებისა და უმაღლესი კულტურის აღთქმული ქვეყანა.

კიკია აბაშიძე, “სამარცხვინო ომი”

მე-18 საუკუნის დამლევს ბედი ქართლისა გადაწყვეტილ იქნა ქვეყნის უმაღლეს უმაღლეს წარმომადგენელთა მიერ: საქართველომ სამუდამოდ გაწყვიტა კავშირი მაჰმადიანურ სამყაროსთან, ერთმორწმუნე რუსეთს მიმართა და მისი პროტექტორატი მიიღო. ამ გადაწყვეტილების გამო საქართველო სასტიკად დაისაჯა: საქართველოში ალა-მაჰმად-ხანის მეთაურობით სპარსთა ურდოები შეიჭრნენ და ქვეყანას ცეცხლითა და მახვილით გადაუარეს. და ეს იმიტომ, რომ საქართველოს მეფე არ დაჰყვა სპარსეთის გამგებლის შეგონებას და პირი არ უტეხა რუსეთს. “არათუ ალა-მაჰმად-ხანმა, აზიის ყველა სახელმწიფომ რომ გამოგვიცხადოს ომი, მაშინაც კი შეველევი რუსეთის ერთგულებას”, – უპასუხა საქართველოს მეფემ ალა-მაჰმად-ხანის ელჩებს.

ასეთ გრძობათა სამადლობლად და “აღსასრულებლად ტრაქტატებისა”, რომლებიც რუს მეფეთა სიტყვით იყო განმტკიცებული, რუსეთმა თავისი გაბატონების პირველსავე წლებში ყველაფერი წაართვა საქართველოს, – სკოლა, ენა და სარწმუნოება. რუსეთი მთელი თავისი ძალებითა და ხერხებით აფერხებდა საქართველოს კულტურულ და სულიერ განვითარებას და სისტემურად სპობდა იმ ეროვნულ თვითმყოფადობას, რომლის დასაცავადაც მიიღო საქართველომ რუსეთის პროტექტორატი.

თავი 6

საეკლესიო დამოუკიდებლობის გაუქმება

საქართველოს საბოლოოდ დასამორჩილებლად რუსეთის იმპერია განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკისრებდა ეკლესიას. მთავარი საყრდენი, რაც საქართველოს რუსეთთან ანათესავებდა, "ერთმორწმუნეობა" იყო. მართალია, ქვეყნის ოკუპაციის დროისათვის ქართველი სამღვდელოება უმთავრესად უკვე რუსულ წესებს მისდევდა, მაგრამ იმპერიის მმართველობამ მაინც საჭიროდ მიიჩნია, დაპყრობილი ქვეყნის საეკლესიო ცხოვრება რუსეთიდან მოვლინებულ სამღვდელოებას წარემართა, თანაც გარკვეული და ცხადი მიზანდასახულებით. დეკანოზი იოან ვოსტორგოვი დაუფარავად აცხადებდა: "საქართველოს რუს სამღვდელოებას მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ ის ვალდებულია, მთელი თავისი ენერგია მოახმაროს ქართველთა გარუსების საქმეს".

ამავე დროს, რუსეთის მთავრობისათვის მიუღებელი იყო ერთ სახელმწიფოში ერთი და იმავე აღმსარებლობის ორი ეკლესიის არსებობა, თუნდაც განსხვავებულ ადგილას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ დროს თვითმმართველობა ჩამორთმეული ჰქონდა თვით რუსულ ეკლესიასაც და, რუსეთში პატრიარქობის გაუქმების შემდეგ, მას სახელმწიფო მოხელე – სინოდის ობერპროკურორი – მართავდა.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართულ მიწებზე მოქმედებდა ორი საეკლესიო ორგანიზაცია: საქართველოს (ანუ ქართლ-კახეთის) საპატრიარქო და აფხაზეთის (ანუ იმერეთის) საკათოლიკოსო.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ, იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დაავალა, ერთი მხრივ, რუსეთის სინოდის ობერპროკურორს და, მეორე მხრივ, საქართველოს მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვს, სასწრაფოდ, მაგრამ უმტკივნეულოდ შეეცვალათ ეკლესიის მართვა-გამგებლობა საქართველოში.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების ფორმალურ საფუძვლად იქცა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი. ამ ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს რუსეთის ეკლესიის მღვდელმთავართა შორის მერვე ადგილი მიაკუთვნეს და სინოდის მუდმივი წევრის ტიტული მიანიჭეს. სინოდის წევრი კი იმპერიის დედაქალაქში უნდა ყოფილიყო. ზოგადად, ეს შეთანხმება ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა საეკლესიო სამართლის წესებს, რადგან დამოუკიდებელი ეკლესიის მეთაური შეუძლებელია ყოფილიყო სხვა ეკლესიის სამღვდელმთავრო მმართველობის წევრი. აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის მეთაურმა არა მარტო მიიღო ეს დამამცირებელი დებულება, არამედ გახარებულიც კი დარჩენილა ამგვარი "აღიარებით". ერთ პირად წერილში იგი სიამაყით აცხადებდა: "ჩემთვისა სინოდალნის ჩლენობა უბოძებიათ". ამის შემდეგ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, რუსი მიტროპოლიტების მსგავსად, თეთრი თავსაბურავით (კუნკულ-ბარცყულით) შეიმოსა.

იმ დროს, როცა რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო შეიერთა, ადგილობრივ ეკლესიას მეფე ერეკლეს ძე, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე განაგებდა. მისი გამოკვეთილად რუსული ორიენტაციისა და იმპერიის მიმართ მორჩილების მიუხედავად, არ წყდებოდა ეკლესიის მეთაურის შევიწროება. თანდათანობით რუსი მოხელეები სულ უფრო უხეშად ერეოდნენ მის სამღვდელმთავრო საქმეებში და ამჟამად მიანიშნებდნენ, რომ, თუკი იგი არ დაემორჩილებოდა რუსეთის იმპერატორის ნებას და არ გაემგზავრებოდა სანკტპეტერბურგში, გასამართლებას ვერ გადაურჩებოდა: მას ბრალად დაედებოდა საეკლესიო ქონების განიავება და იმპერიის მტრებთან საიდუმლო კავშირი.

ანტონ მეორემ გაითვალისწინა ის საფრთხე, რაც მას ემუქრებოდა და 1810 წლის 3 ნოემბერს, მცხეთის სვეტიცხოველში წირვის შემდეგ, ქართლში დარჩენილი უკანასკნელი ბატონიშვილი რუსეთში გაემგზავრა.

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა და კათოლიკოს-პატრიარქის ტახტი, ფაქტობრივად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაუქმდა. პეტერბურგში იმპერატორმა ანტონი თბილად მიიღო და უხვად დაასაჩუქრა.

აღმოსავლეთ საქართველოში ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმა მთავარმართებელმა ალექსანდრ ტორმასოვმა, ობერპროკურორმა ალექსანდრ გოლიცინმა და რუსეთში ამ საქმისთვის საგანგებოდ მომზადებულმა მთავარეპისკოპოსმა ვარლამ ერისთავმა შეიმუშავეს. საქართველოს საკათოლიკოსოს მაგივრად, შეიქმნა რუსეთის ეკლესიის საეგზარქოსო. ეპარქიების რიცხვი ორამდე შემცირდა. საკათედრო ტაძრებსა თუ მონასტრებს ჩამოერთვა ყოველგვარი ქონება და ხაზინას გადაეცა. აღმოსავლეთ საქართველოს პირველ ეგზარქოსად დაინიშნა მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი. ეს გადაწყვეტილება იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1811 წლის 30 ივნისს დაამტკიცა.

ამ დღეს ქართული ეკლესიის თვითმმართველობა უკვე იურიდიულადაც გაუქმდა. ეკლესიამ საქართველოში შეწყვიტა დამოუკიდებელი არსებობა. პირველად თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ის დამპყრობელი სახელმწიფოს ნაწილი გახდა – გადაიქცა იმპერიულ დაწესებულებად, რომელსაც შემდეგ მთელი საუკუნის განმავლობაში რუსი ეგზარქოსები განაგებდნენ.

უფრო დრამატულად გაუქმდა აფხაზეთის საკათოლიკოსო. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს აფხაზეთის საკათოლიკოსო ტახტს (რომელიც მეთექვსმეტე საუკუნის შუაწლებიდან გელათში იყო გადმოტანილი) ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზ წერეთელი და გაენათელი (გელათელი) ეპისკოპოსი ექვთიმე შარვაშიძე განაგებდნენ.

1814 წლის 17 ოქტომბრის ბრძანებით, აფხაზეთის საკათოლიკოსო გაუქმდა და მისი ეპარქიები აღმოსავლეთ საქართველოს საეგზარქოსოსთან გაერთიანდა. ამის გამო ამიერ და იმიერ საქართველოს ეკლესიას "საქართველო-იმერეთის საეგზარქოსო" ეწოდა.

მალე იფეთქა 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყებამ. მღვდელმთავრები დოსითეოზი და ექვთიმე დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მხარეზე დადგნენ, რის გამოც ისინი 1820 წლის 4 მარტს დაატყვევეს, თავზე ტომრები ჩამოაცვეს და რუსეთში გაგზავნეს. ასეთ სისასტიკეს მოხუცმა დოსითეოზმა ვერ გაუძლო და გზაში გარდაიცვალა. მისი ნეშტი ანანურის ტაძარში დაკრძალეს. დატყვევებული ექვთიმე სანკტპეტერბურგში ჩაიყვანეს და საპატიმროში ჩაამწყვდიეს.

საქართველოს საეგზარქოსომ 106 წელიწადს, 1917 წლამდე, იარსება. ამ ხნის განმავლობაში მას რიგრიგობით მეთაურობდა თვრამეტი ეგზარქოსი, რომელთაც საერო ხელისუფალი – იმპერატორი ნიშნავდა. საქართველოს ეგზარქოსები, პირველის გამოკლებით, რუსები იყვნენ. მათი უმრავლესობა ქართული კულტურის, ქართული საეკლესიო ტრადიციებისა და ქართველების მიმართ შეუწყნარებელი, მტრული დამოკიდებულებით იყო განმსჭვალული.

რუსული საეკლესიო წესების დამყარების შედეგად, ავტოკეფალიის გაუქმებასთან ერთად, გაუქმდა საქართველოს ადგილობრივი საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები; შეიცვალა საეკლესიო კალენდარი: ქართველი მეფეებისა და მოწამეების ხსენების დღეების სანაცვლოდ, შემოიღეს რუსი წმიდანების დღესასწაულები; ქართველ წმიდათა სახელობის არაერთი ტაძარი რუსი წმიდანების სახელზე აკურთხეს; შეიზღუდა ქართულენოვანი ღმრთისმსახურება და ქართული გალობა; სასულიერო სასწავლებლებში აიკრძალა ქართული ენა, ისწავლებოდა მხოლოდ რუსულად; რუსულად წარიმართებოდა ყოველგვარი საეკლესიო საქმე და საეკლესიო პრესაც უმთავრესად მხოლოდ რუსულ ენაზე გამოიცემოდა. მთლიანად შეიცვალა ეპარქიათა სტრუქტურა. მონასტრებიდან იდევნებოდნენ ქართველი მოწესეები და იქ რუსები სახლდებოდნენ. რუსულ ყაიდაზე, კირით გადაათეთრეს არაერთი ქართული ტაძარი, მათ შორის შეიღება ალავერდი და სვეტიცხოვლის შიდა კედლები, განადგურდა უამრავი ქართული ფრესკა და ხატი, მიზანმიმართულად დაიწვა ან უყურადღებობით დაიკარგა ძველი ქართული ხელნაწერები.

დანართები

კორნელი კეკელიძე, "ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი 1"

თუ წინა, ბიზანტიურ, პერიოდში ქართველები სცდილობდნენ თავისი ეკლესია ბერძენთა ეკლესიის პირად გაეხადათ, ახლა, მე-17-18 საუკუნის მოღვაწენი, მეცადინეობენ, იმას რუსული ფიზიონომია მისცენ. რუსეთში განმტკიცდა და გაიჩარხა ქართული

სტამბა: 1705 წლიდან მოყოლებული მოსკოვის, ნოვგოროდის, პეტერბურგის, ვლადიმირისა და კრემენჩუგის ქართული ტიპოგრაფიებიდან გამოდის მრავალი წიგნი, საეკლესიო და საერო შინაარსისა, რომელთაც ბეჭდავენ, რასაკვირველია, რუსული წიგნების ყაიდაზე და ამით ხელს უწყობენ რუსული გავლენის გაძლიერებას ჩვენს მწერლობაში. რუსულ სკოლებში, განსაკუთრებით მოსკოვის სლავენურ-ლათინურ აკადემიაში და პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სემინარიაში და აკადემიაში განათლებას იღებენ ქართველი სასულიერო და საერო პირნი, რომელნიც მერე გამოდიან მედგარ დამცველად და ერთგულ მატარებლად რუსული გავლენისა ქართულ ლიტერატურაში. ჩვენში ხსნიან პირველდაწყებით და საშუალო სკოლებს რუსულ სკოლათა მიხედვით, განსაკუთრებით ცნობილია ტფილისისა და თელავის სემინარია, რომლებშიც გადმოინერგა მოსკოვის აკადემიის სქოლასტიკა; სახელმძღვანელოს ამ სკოლებისთვის უმეტეს შემთხვევაში რუსულიდან თარგმნიდნენ. ერთი სიტყვით, ქართველ მოზარდ თაობას აწვდიდნენ რუსეთიდან გადმოტანილ სულიერ საზრდოს და ბეჯითად ახორციელებდნენ ეკატერინე დიდის ლოზუნგს: სხეული უნდა იყოს ქართული, ხოლო სული რუსული.

რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის წერილი კათოლიკოს ანტონ მეორეს

უგანათლებულესო მეფის ძეო, კათოლიკოსო ანტონ!
 საქართველოს სამეფოს რუსეთის სახელმწიფოსთან შემოერთების შემდეგ, საქართველოს ეკლესიაც უთუოდ უნდა შემოერთებულიყო უწმიდესისა და უმართებულესის სინოდის გამგეობასა. ახალ მართვა-გამგეობასთან შეუთავსებელი იქნებოდა საქართველოში კათოლიკოსის ყოფნა. უეჭველია, თქვენ წინათვე იგრძენით ესე და მომართვით მე თხოვნა – თქვენის მომავლის სვე-ბედის მოწყობისათვის და თქვენის დიდხნიერის ღირსების შერჩენისათვის. ზემორე აღწერილ მიზეზთა გამო პატივსა გცემთ რა, ყოვლად უმოწყალესად გთხოვთ, გადადგეთ თქვენ საქართველოს ეკლესიის საქმეების განმგებლობიდან...

ალექსანდრე

პეტერბურგი, 10 ივნისი, 1811.

მერაბ ლაღანიძე, “ძველი და ახალი საქართველოს მიჯნაზე”

აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის მომავალი საჭეთმპყრობელი ჯერ ცხრამეტი წლისაყ არ იყო, როცა მამამ გეორგიევსკში დადებული ტრაქტატის გამო, რუსეთის იმპერატორისა, ეკატერინე მეორესთან გაგზავნა, ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩობასთან ერთად. მეფის ძე და ჭაბუკი იეროდიაკონი, თეიმურაზყოფილი ანტონი მოლაპარაკებებზე, საქართველოს სამეფო ტახტსაყ წარმოადგენდა და საეკლესიო ტახტსაყ. როგორც ცნობილია, ამ ავბედითი ტრაქტატის საფუძველზე, სამეფოსაყ და ეკლესიასაყ რუსეთის იმპერიის მხრიდან დამოუკიდებლობის შენარჩუნების გარანტია ეძლეოდა, მაგრამ, რუსეთის პოლიტიკურ ტრადიციათა კვალობაზე, შეთანხმებებსა და დაპირებებს, როცა საჭიროება მოიხსნა, დიდი მნიშვნელობა აღარ მიჰნიჭებია.

ერთი წლის შემდეგ, მეფე ერეკლეს თხოვნის საფუძველზე, იმპერატრიცასა და რუსეთის უმაღლესი სამღვდელოების თანდასწრებით, სატახტო ქალაქის ახლოს, ცარსკოე სელოს სასახლის კარის ეკლესიაში, 20 წლის ჭაბუკის, ანტონის, ნინოწმინდელ ეპისკოპოსად ხელდასმა განხორციელდა. იმავე წელს, როცა პეტერბურგს მყოფი ანტონი ჯერ ისევ 20 წლისა იყო, მეფის ძეს, დაუსწრებლად, აღავერდელი მიტროპოლიტის კათედრის მმართველობა ჩაჰბარდა. ასაკიყ კათედრიდან და სამწყსოდან შორს ყოფნაყ საეკლესიო კანონების აშკარა დარღვევა იყო, მაგრამ ეკლესიის მეთაური, კათოლიკოსი ანტონ პირველი, – სურვილიყ რომ ჰქონოდა, – ვერაფერს იტყოდა, რადგან თავადაყ მიტროპოლიტის ტახტი 20 წლისამ დაიკავა, ხოლო საკათოლიკოსო კვერთხი 24 წლისამ აღიპყრო ხელთ. როცა ანტონ პირველი გარდაიცვალა, მომავალი კათოლიკოსიყ 24 წლისა იყო და, წინამორბედის მსგავსად, დაუყოვნებლივ იქნა აღყვანილი საპატრიარქო ტახტზე, – 1788 წლის 29 ოქტომბერს.

როცა ქართლსა და კახეთს თავს რუსული იმპერიული უბედურება დაატყდა და სამეფომ – სანკტპეტერბურგიდან მიღებული დეკრეტის საფუძველზე – არსებობა შეწყვიტა, კათოლიკოსმა ანტონმა იმპერატორის დიდი ერთგულება გამოიჩინა და სიონში ათასობით ხალხი რუსთა ხელმწიფის ერთგულებაზე დააფიცა. საიმპერატორო კარმა ერთგულება დაინახა და ჯილდოსაყ არ დაუხანებია. თუმცა კოლონიზატორთა მადლიერება – როგორც ისტორიის სახელმძღვანელოებიდანაა ცნობილი – ძირითადად

ბრჭყვიალა და თვალისმომჭრელი ნივთების ჩუქებაში გამოიხატებოდა.

კათოლიკოსი ანტონიუ რუსეთის სახელმწიფო ინტერესების დაცვისა და განხორციელებისთვის ალექსანდრე ნეველის ორდენითა და მარგალიტის სერაბიმიანი თეთრი სამღვდელმთავრო ბარტყულათი დაჯილდოვდა. სხვათა შორის, თეთრი თავსარქმელი – თეთრი ბარტყულა რუსულ ეკლესიაშია მიღებული და დამკვიდრებული (შემდგომში სხვა სლავურ ქვეყნებშიც გავრცელებული), თორემ უმაღლესი სამღვდელოების სიწმიდისა და სისპეტაკის ამგვარ ხაზგასმას არაფერი აქვს საერთო ბერძნულ-ბიზანტიური ტრადიციების ქრისტიანობასთან, მათ შორის, ქართულ ტრადიციებთან.

კათოლიკოს-პატრიარქი ახალი ხელისუფლების, რუსეთის მმართველობის მიმართ თავდაპირველად სრულ ლოიალობას ამჟღავნებდა, მაგრამ იმპერიასა და იმპერიულ ეკლესიას აუცილებლად მიაჩნდათ, საქართველოში დამოუკიდებლობის ყოველგვარი ნასახი ამოკვეთილიყო: შესაბამისად, სამური და საჩქარო იყო რუსეთის ეკლესიას მიერთებოდა თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული ეკლესია, – თუნდაც იმგვარი, რომლის მეთაური სამღვდელმთავრო ხელდასმას რუსეთის იმპერატორის საზავებულო რეზიდენციის კარის ეკლესიაში მიიღებდა.

მთავარმართებლები კნორინგი, ციციანოვი თუ ტორმასოვი რუს მოხელეთათვის ჩვეული მოურიდებლობითა და თავხედობთ ერეოდნენ ქართული ეკლესიის ყოველდღიურ ცხოვრებაში, კათოლიკოსი ანტონი კი, მორჩილების მიუხედავად, მაინც ვერ ახერხებდა დაევიწყებინა, რომ ძველთაძველი ეკლესიის მეთაური იყო და თან – მეფის ძე.

ეს კი, ერთი მხრივ, დამპყრობელთა ხელისუფლებას აღიზიანებდა, მეორე მხრივ კი, უკვე თავად პატრიარქს უჭირდა რუსეთის ადმინისტრაციის ცენტრალისტური ღირექტივების უსიცივო აღსრულება ეკლესიის მმართველობის რუსულ წესებზე გარდასაქმნელად. იმპერიული ეკლესიის სასარგებლოდ საკითხის მოსაგვარებლად – ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გასაუქმებლად საჭირო იყო მხოლოდ საბაბი.

წლების განმავლობაში ანტონის მოქიშვედ იყო მიჩნეული ცფილელი მიტროპოლიტი არსენი, ძე იესე მეფის უკანონო შვილის, აბდულაბეგისა, რომელსაც თანამედროვენი "თახეიდ, ამპარტავან და გულფიცხ" ადამიანად ახასიათებენ.

არსენი განუწყვეტლივ იმის მცდელობაში იყო, რუსეთის ხელი-

სუფლებისათვის კიდევ უფრო მეტი ერთგულება დაემტკიცებინა, ვიდრე ამას ეკლესიის მეთაური – კათოლიკოსი ანტონი – ახერხებდა.

კოლონიზატორებს არც რუსოფილი ტფილელი მიტროპოლიტისთვის ენანებოდათ ბრჭყვიალა თვლები – ანას პირველი ხარისხის ვარსკვლავიანი ორდენი თუ ბრილიანტის ჯვრით შემკული თეთრი ბარცყულა. მაგრამ ეს ყველაფერი იაფფასიანი საცყურა იყო, ამიტომ როცა რუსეთიდან მიღებული ინსტრუქციის საფუძველზე ტფილისის სამიტროპოლიტო კათედრა გაუქმდა და სიონის ტაძარი კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორის განმგებლობაში გადავიდა, თიცხმა არსენმა ჯერ პეტერბურგს აფრინა საჩივარი, რომელიც ანტონის დასმენა-საყვედურებით იყო აღსავსე, შემდგომ კი პირდაპირ ტაძარში ატეხა აყალმაყალი: 1809 წლის 12 დეკემბერს, იმპერატორის დაბადების საზეიმო წირვაზე მიტროპოლიტმა სიონის საკურთხეველში საჯარო შეურაცხყოფა მიაყენა მიტროპოლიტ ვარლამსა და დეკანოზ ალექსი პეტრიაშვილს. სწორედ ეს აურზაური აღმოჩნდა საბაბი ანტონის რუსეთში გასაწვევად და მის არყოფნაში ეკლესიის ავტოკეფალიისა და კათოლიკოსობის გასაუქმებლად.

იმპერატორის დაუინებითი "მიპატიუებით", ანტონი რუსეთში გასამგზავრებლად გაემზადა: 1810 წლის 3 ნოემბერს, სვეტიცხოველში წირვისა და პარაკლისის გადახდის შემდეგ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მეფის ძე ანტონი, ქვითინით გამოეთხოვა სამშობლოს. რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოში შეიქმნა საეგზარქოსო, რომლის გამგებლობა ჩაბარდა ქსნის ერისთავის ძეს, მიტროპოლიტ ვარლამს, – ეგზარქოსთა შორის პირველ და უკანასკნელ ქართველ მღვდელთმთავარს, – როგორც ეკლესიის მმართველობაში ახალი, რუსული წესების შემოღებისთვის უფრო შესაფერისსა და აღამსრულებელ პიროვნებას.

თუმცა არც კათოლიკოსოფილი დარჩა უკომპენსაციოდ: სამშობლოდან მოშორების სანაცვლოდ მას ერგო მწვანე ხავერდის მანტია, წმინდა ანდრიას ორდენი, ყოველწლიური პენსია – 54 ათასი ასიგნაციებით და ექვსცხენიანი ოქროცურვილი სარკმლიანი ეტლი, რომელიც ადრე იმპერატორიცა ელიზბავეტა პეტროვნას ეკუთვნოდა.

საქართველოდან კი გულსაკლავი ამბები მოდიოდა სისხლში ჩახშობილი მთიულეთის აჯანყების შემდეგ აღდგა კახეთი; აჯანყებებს თან სდევდა რუსის ჯარის მიერ ქართული მიწა-წყლის აწი-

ოკებისა და ქართველებით დახუნძლულ სახრჩობელაათა წყება; აღწევდა ხმები დატყვევებული და რუსი ოფიცრების მიერ გზაში ჩახოცილი ქუთათელი და გენათელი მიგროპოლიტების შესახებ; ბევრს მოეკრა ყური მთავარმართებელ ერმოლოვის სიტყვებისათვის ქართული სოფლების, ბალ-ვენახების, მინდვრების გადაწვისა და გაჩეხვის შემდეგ: "ქართველები კიდევ დიდხანს ვერ აღიდგენდნენ თავიანთ პირვანდელ მდგომარეობას, უკიდურესი სიღარიბე იქმნება მათი სასჯელი".

სიკვდილის კარიბჭეს მიახლოებული ანტონი, საქართველოს უკანასკნელი კათოლიკოს-პატრიარქი, ალბათ, სიკვდილის წინ დარწმუნდა, რომ რუსი გენერლები, საერთოდ, ცდილობენ თავიანთი მუქარის განხორციელებას და, თუკი ძალა შესწევთ, ახერხებენ კიდევ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდეს მიმართვა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ტიხონს, 1920

ას წელზე მეტი ხნის წინათ საქართველო შეუერთდა რუსეთს "ერთი საერთო საერო ძალაუფლების ქვეშ", მაგრამ მას არანაირად და ნამდვილად არაფრით არ გამოუხატავს, რომ სურდა საეკლესიო მხრივ შეერთება. ამგვარი აზრები, შესაძლოა, იბადებოდა მისი ზოგიერთი საერო მმართველის გონებაში, მაგრამ ეკლესიის კანონიერ საჭეთმპყრობელთა კრებული ამ საკითხის ცხად გადაწყვეტას ემხრობოდა: საერო ცხოვრების ახალი პირობებისას უნდა შენარჩუნებულიყო საეკლესიო დამოუკიდებლობა. თვით რუსეთის უწმინდესი სინოდიც კი არ ამულავნებდა თავდაპირველად საქართველოს ეკლესიის საქმეებში ჩარევის სურვილს: მსგავსი აზრი პირველ ხანებში მთლიანად იმ "საერო ხელისუფალთა" მხრიდან მოდის, რომლებიც მისი საიმპერატორო უდიდებულესობის სახელს აფარებდნენ თავს.

აკაკი წერეთელი, "ასის წლის ამბავი"

კათალიკოს-მღვდელმთავარი
გადააგდეს, ექსარხოსი
დააყენეს მის ადგილზე,
როგორც მწყემსი და უფროსი.

მთარველობითი დაპყრობა

ყველა ერთგულ-ორგულობის
ხელში მისცეს იმას სია
და მიანდვეს იმის ნებას
საქართველოს ეკლესია.

[...]

იმ დროს მოკლეს ქუთათელი,
სტანჯეს, გვემეს გენათელი,
წაიყვანეს ტყვედ და გზაში
დაუბნელეს დღე ნათელი.
რომ კვდებოდა, შეაჩვენა
რუსი, უბე გაიხია,
მიაბარა სული ზეცას
ანანურში... იქ მარხია.

**კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე,
“ჩემი მოგონებებიდან”**

ეგზარქოსმა პალადიმ ერთხელაც იკითხა კანტორაში: “სად ვიპოვო აქტები ქართველი წმიდანების წმიდანად შერაცხვისა?” უპასუხეს: “ასეთი აქტები არ შემონახულა, მაგრამ მარტო ის, რომ (ქართველების) სახელები საქართველოს ეკლესიაში მოიხსენიება საუკუნეების მანძილზე, მრავლისმეტყველია”. ეს საფუძველი ეგზარქოსს არადამაკმაყოფილებლად ერჩენა, ამიტომაც სინოდის კანტორის სახელით გამოსცა განკარგულება, შეეცვალათ ქართული სახელები ბერძნულ-რუსულით და დაეჯარიმებინათ ის მღვდლები, რომლებიც შემდგომში დაარქმევდნენ სახელებს ქართველი წმიდანების პატივსაცემად. ამ განკარგულებამ, რასაკვირველია, მიზანს ვერ მიაღწია. სამაგიეროდ, გადაიქცა უკანონო შემოსავლის წყაროდ: ჩინოვნიკებს არ ჰქონდათ უფლება შეეცნოთ მეტრიკა ქართველი წმინდანების სახელებით, მაგრამ განსაკუთრებული საფასურის შემწეობით, მაინც ახერხებდნენ ამას. ზოგიერთი მღვდელი კი, რომლებიც, მშობლების სურვილის თანახმად, მონათლულს ქართულ სახელს არქმევდა, წინასწარ ითხოვდა “ჯარიმის” საზღაურს.

თავი 7

ოცწლეული: 1812-1832

ისევ გრძელდებოდა რუსეთის იმპერიის დაპყრობითი ომები. ბრძოლებში ქართველებიც უშუალოდ და აქტიურად იყვნენ ჩართულნი, ხოლო ისინი, ვინც სამხედრო სამსახურში არ იმყოფებდნენ, ვალდებულნი იყვნენ, ნივთიერი შემწეობა აღმოეჩინათ იმპერიის ჯარისათვის.

1812 წლისათვის განსაკუთრებით დამძიმდა მდგომარეობა ქვეყანაში, რადგან მძიმე ყოფით პირობებს თან დაერთო შავი ჭირი, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. გახშირდა ნებით ყმობა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გლეხი საკუთარი სურვილით უარს ამბობდა თავისუფლებაზე და იმას შეეკედლებოდა, ვინც მას შეითარებდა და არჩენდა. თავი იჩინა ტყვეობის შემთხვევებმა. ადამიანები ტოვებდნენ საცხოვრებელ სახლებს და თავშესაფარს სხვაგან ეძებდნენ. მრავალი ლტოლვილი კახეთს შეეხიზნა. მაგრამ სენმა მუსრი გაავლო იქაურებსაც და გადმოსახლებულესაც.

მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა “სამხედრო გამოსაღები” – გაუთვალისწინებელი გადასახადი, რომელიც ხელისუფლებას ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ოდენობით შეეძლო დაეწესებინა. ამავე დროს, უმაღლესი ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი დახმარება ადგილობრივმა მოხელეებმა თითქმის მთლიანად მიითვისეს. უკიდურეს გაჭირვებას ქართლ-კახეთში მცხოვრებთა გულისწყრომა მოჰყვა და მათ უარი განაცხადეს, უფასოდ მიეწოდებინათ ჯარისათვის მარცვლეული. ხელისუფლებამ ხალხის დასჯა გადაწყვიტა. კაზაკთა სადამსჯელო რაზმები აწიოკებდნენ ქართულ სოფლებს და უმოწყალოდ ძარცვავდნენ მოსახლეობას.

ვითარება ისე გამწვავდა, რომ 1812 წლის იანვარში ჯერ კახეთში და შემდგომ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებშიც აჯანყებამ იფეთქა. თავიდან აჯანყებულებმა წარმატებას მიაღწიეს. მათ მიზნად დაისახეს თბილისის აღება და რუსუ-

ლი ხელისუფლების დამხობა, ხოლო ქართლ-კახეთის მეფედ ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე გამოაცხადეს.

აჯანყებულთა წინააღმდეგ ოკუპანტებმა განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს. დამსჯელ ექსპედიციას სათავეში კავკასიის მთავარმართებელი პაულუჩი ჩაუდგა, რომელმაც მალე ჩაახშო ამბოხება. თუმცა რუსულ რეპრესიებს შედეგად აჯანყების მეორე ეტაპი მოჰყვა. ნაპოლეონის გალაშქრებამ რუსეთის წინააღმდეგ ახალი იმედებით აავსო უკმაყოფილო ადამიანები და 1812 წლის შემოდგომაზე კახეთის აჯანყება ახალი ძალით გაღვივდა. მეთამბოხეებმა მეფედ ამჯერად ბატონიშვილი ალექსანდრე გამოაცხადეს, რომელსაც ათი ათასამდე ადგილობრივი მომხრეც ჰყავდა და იმიერკავკასიიდანაც ეხმარებოდნენ. თუმცა აჯანყებულები მაინც დამარცხდნენ. ბატონიშვილმა ჯერ შატილს შეაფარა თავი, ხოლო შემდეგ კი კავკასიონის ქედს იქით გადავიდა.

რუსები დაუნდობლად გაუსწორდნენ ყველას, ვისაც აჯანყებასთან ან აჯანყებულებთან რამე კავშირი ჰქონდა. სამაგალითო დასჯისათვის მათ გადაწვეს შატილი და კიდევ ოცი სოფელი ხევსურეთში. კახეთის მოსახლეობას უზარმაზარი ბეგრის გადახდა დაეკისრა. ათობით ადამიანს სამუდამო კატორღა ან საქართველოს გარეთ ჯარისკაცად სამსახური მიუსაჯეს. აჯანყების მონაწილე გლეხები ადგილზევე დახვრიტეს ან ჩამოახრჩვეს.

1812-1813 წლებში რუსეთმა დიდი უპირატესობა მოიპოვა მთელ იმიერკავკასიაში. თუმცა რუსეთმა ახალქალაქი, ფოთი და ანაპა თურქებს გადასცა. ფოთში თურქების გაბატონებამ დაამძიმა მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში.

1815 წელს ტრაპიზონში გარდაიცვალა იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ მეორე, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ იბრძოდა.

ამ დროს ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთის ბრძოლებში განსაკუთრებით აქტიურობდნენ სამეგრელოსა და გურიის მთავრები, რომელთა ღვაწლიც იმერეთის მმართველმა გენერალმა სიმონოვმა საგანგებოდ აღნიშნა სანკტპეტერბურგში გაგზავნილ ბარათში, სადაც მხედველობიდან არ გამორჩენია მათი ერთგულება რუსი იმპერატორის მიმართ.

1819 წელს იმერეთში აჯანყებამ იფეთქა, რაც გამოიწვია საეკლესიო გადასახადების უსამართლო დაწესებამ. ამბოხება

ნელ-ნელა მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო: ის ჯერ გურიაში გავრცელდა, იქიდან კი – სამეგრელოსა და რაჭაშიც. გენერლების ერთობისა და ველიამინოვის ბრძანებით, აჯანყებულებს ადგილზევე ხვრეტდნენ, ქართულ სოფლებს დაუნდობლად აწიოკებდნენ და წვაუდნენ. რუს დამსჯელთა მესადინეობით, განადგურდა გზები, მამულები, სახლ-კარი, დიდი ზარალი მიადგა ადგილობრივ მეურნეობას, დაინგრა ციხე-კოშკები, გაიჩეხა ბაღები და ვენახები.

იმერეთის ახალმა მმართველმა პუზირევსკიმ ჯერ იმერეთში დაამარცხა აჯანყებულები, შემდეგ კი ლტოლვილებს იმერეთს იქითაც გაედევნა, რის გამო იგი გურიის სამთავროშიც შეიჭრა. პუზირევსკი სოფელ შემოქმედთან 16 წლის იოთამ ბოლქვაძემ ხანჯლით განგმირა. დროებით ბრძოლის ბედი ისევ აჯანყებულთა სასიკეთოდ წარიმართა. მათ რამდენიმე მძიმე შეტაკებაში გამარჯვებას მიაღწიეს და დიდად დააზარალეს მომხდური.

ერთობა ისარგებლა, როცა დაინახა, თუ როგორ მერყეობდა გურიელი, რომელიც შიშობდა, რომ თუკი აჯანყება წარმატებით დასრულდებოდა, ტახტს მისი ბიძა ჩაიგდებდა ხელში, რის გამოც გურიელი, მცირე ყოყმანის შემდეგ, საიმპერატორო ხელისუფლებას მიემხრო: აჯანყების ჩახშობაში მან რუსებს აღმოუჩინა დახმარება.

იმერეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ რუსულმა მმართველობამ გადაწყვიტა გაეუქმებინა დასავლურქართული სამთავროები. ერთობლივი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში ადგილობრივ მთავრებს “ფეოდალური სიმახინჯის ნაშიერებს” უწოდებდა. იგი ამტკიცებდა, რომ აუსცილებელი იყო მათი სასწრაფო გადაყენება და სამთავროების იმპერიისათვის მიერთება. თუმცა რუსეთის ხელისუფლებამ იმჯერად მომავლისთვის გადადო ამგვარი გეგმები, რადგან ამგვარი ქმედება კიდევ უფრო გააუარესებდა ისედაც დაძაბულ და მერყევ მდგომარეობას.

გაურკვეველი იყო აფხაზეთის სამთავროს მომავალიც. აფხაზეთის მთავარი მხოლოდ სამეგრელოს მთავრისა და რუსეთის ჯარის დახმარებით ინარჩუნებდა ძალაუფლებას. 1818 წელს აფხაზეთში აჯანყებამ იფეთქა. ვითარება კიდევ უფრო გართულდა 1821 წელს გიორგი შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ. რამდენიმე წლის განმავლობაში აფხაზეთში გამუდმე-

ბული შიდაბრძოლები ღვიოდა ტახტის მამძიებლებსა და რუსეთისა თუ ოსმალეთის მომხრეებს შორის. მდგომარეობა მხოლოდ 1827 წელს დაწყნარდა, როცა ტახტის მთავარი პრეტენდენტი, აჯანყებული ჰასან-ბეი აფხაზეთში დაბრუნდა და რუსეთის ხელისუფლებას შეურიგდა, ხოლო აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ მომხრეთა გაძლიერება და გამრავლება შეძლო.

1826 წელს, მამია გურიელის გარდაცვალების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა გურიის სამთავროს გაუქმების საკითხი. გურიის ახალი ფაქტობრივი გამგებელი, სოფიო გურიელი, ცდილობდა, შეენარჩუნებინა სამთავროს დამოუკიდებლობა. მან ოსმალეთის სულთნისაგან ფარმანიც კი მიიღო. თუმცა 1828 წელს, ფოთისა და ახალქალაქის აღების შემდეგ, ქართლ-რუსული ჯარი გენერალ გესეს მეთაურობით გურიაში შეიჭრა. 1829 წელს გურიის სამთავრო იურიდიულად გაუქმდა და იქ "დროებითი მმართველობა" დაწესდა.

გურია პირველი აღმოჩნდა დასავლურქართულ სამთავროთა შორის, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ გააუქმა. მეოთხედი საუკუნის შემდეგ გურიის ბედი სხვა სამთავროებმაც ერთმანეთის მიყოლებით გაიზიარეს.

დანართები

ალექსანდრე მანველიშვილი, "რუსეთი და საქართველო (1801 – 1851)"

მარკიზი ფილიპო პაულუჩი (პაულიჩი, 1779-1849) იყო იტალიური წარმოშობის ფრანგი სამხედრო მოღვაწე, რომელმაც მე-19 საუკუნის დამდეგს, გამოეცხა რა ნაპოლეონ ბონაპარტეს მმართველობას, რუსეთს შეაფარა თავი. 1810 წელს ის გენერლის ხარისხში იქნა აყვანილი. მისმა წარმატებულმა კარიერამ განაპირობა 1811 წელს მარკიზის კავკასიის მთავარმართებლად დანიშვნა.

პაულუჩიმ ძალზედ ცუდად იცოდა რუსული ენა. ამიტომ, როგორც სამოხელეო აპარატთან, ისე მოსახლეობასთან ურთიერთობა უხდებოდა თარჯიმნის საშუალებით. ამასთან, ნიჭიერი სამხედრო მოღვაწე გამოდგა მეტად უნიჭო პოლიტიკოსი.

საქართველოში დისლოცირებული 30 ათასიანი რუსული არმია მთავარმართებელმა რაზმებად დაანაწილა და აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში ჩააყენა. მათ ევალებოდათ არმიის სურსათით უზრუნველყოფა. ამისთვის მათ მთლიანად მოსახლეობიდან უნდა ამოეღოთ სურსათ-სანოვაგე. ამ უფლებით აღჭურვილმა რუსმა "საღდათებმა" მოსახლეობის დაუნდობელ ძარცვას მიჰყვეს ხელი. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ 1812 წელს (31 იანვარს), ახმეტაში იფეთქა აჯანყებამ.

ფრონტიდან სასწრაფოდ დაბრუნებულმა პაულუჩიმ მოახდინა საოკუპაციო ჯარის მობილიზება. აჯანყებამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ სერიოზული საფრთხე შეუქმნა საქართველოში და კავკასიაში რუსეთის მმართველობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ აჯანყებულებმა აიღეს თელავი, სიღნაღი და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები. პაულუჩი იძულებული გახდა, დაეწყო მოლაპარაკება ამბოხებულთა ლიდერებთან. წინააღმდეგობის შეწყვეტის შემთხვევაში, მთავარმართებელმა მათ აღუთქვა სრული ამნისტია და გარკვეული რეფორმების გატარება. ამგვარი დაპირებების მიცემა სცილდებოდა მთავარმართებლის უფლებამოსილებას. ეს გახდა მთავარმართებლის გათავისუფლების და 1812 წლის შემოდგომაზე მისი რუსეთში გაწვევის მიზეზი.

იმერლების მიმართვა რაჭველებს, 1819 წლის 29 ივნისი

შორაპნის და ქუთაისის ოლქების თავადების, აზნაურების და უბრალო ხალხის წერილი პოლკოვნიკ თავად გიორგი წულუკიძეს და სხვა წულუკიძეებს, თავადებს იაშვილებს, ჯაფარიძეებს და ყიფიანებს და რაჭის ოლქის ყველა კეთილშობილს.

იმერეთში მაღალუსამღვდელოესი თეოფილაქტეს ჩამოსვლისთანავე ჩვენ ყველა, დიდიანპატარიანად, შორაპნისა და ქუთაისის ოლქების თავადები, აზნაურები და უბრალო ხალხი დიდ მწუხარებაში ვართ. ქრისტეს ნათლობასა და ჯვარცმაზე მყარად დაფუძნებული ჩვენი რწმენა ხელყვეს. ამაზე უფრო უმძიმეს საქმეებსაც ვხედავთ მის მიერ ქართლში მოწყობილს. უპირველეს ყოვლისა, ბევრი წმინდა ეკლესია დაინგრევა და პატრიოსანი და ხოტბაშენსხმული ხატები და ჯვრები ჩამოგვერთმევა. ჩვენს მიერ აღზრდილ, ჩვენთვის მლოცველ მღვდლებს წაგვართმევენ და ჩვენ მოკლებული ვიქნებით შესაძლებლობას, როგორც ქრისტეს დიდებისა, ისე მისთვის ხორციელად მსახურებისა. სრულიად მოგვაკლდება ჩვენი მღვდელმთავრების კურთხევა. თუ

ხელუხლებელია ებრაელების რწმენა, ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ გამონაკლისი? თუკი იმ დროს, როდესაც ჩვენზე აგარიანნი ბატონობდნენ, ჩვენს მტკიცე რწმენას არ ეხებოდნენ და ასეთ მწუხარებას არ გვივლენდნენ, ახლა რა დავაშავეთ, რომ უნდა წაგვართვან ჩვენი მღვდელმთავრები, ვისაც მიჩვეული ვართ, ეკლესიები და მღვდლები? სიკვდილის შემდეგ ვერ ვეღირსოთ დაკრძალვას, სიცოცხლეში წაგვართვან შესაძლებლობა იმისა, რომ ყოვლისშემძლე ღმერთს აღუვლინოთ დიდება და ლოცვა. ამიტომ გაიხსენეთ ქრისტეს სიყვარული, რომელიც ქრისტიანობის გამო ჯვარს ეცვა და გამოგვისყიდა თავისი სისხლით. ასევე თქვენც, ჩვენი ქრისტესგან დამორების გამო, მსხვერპლად გაიღეთ თქვენი სისხლი და ცრემლები. 1819 წელია, რაც ჩვენ გვაქვს ქრისტიანული წესი და რიგი. დაე, არ დაირღვეს იგი და ჩვენ ვიქნებით უერთგულესი ჩვენი ხელმწიფე-იმპერატორის ჯარებისა, როგორც ვართ ხორციელად მონობაში სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. მაგრამ სულის შეწირვა არ შეიძლება არც ხელმწიფისათვის და არც მცირეთათვის, ვინაიდან იგი მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის.

ივანე ჯავახიშვილი, "პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში"

როგორი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ამ "ბაბილონის აღრევას" ქართველებზე, რომელთაც, რუსული ენის უცოდინარობის გამო, არ ჰქონდათ საშუალება, რომ ან შეესწავლათ, ან გაეგოთ რუსული კანონები და დაწესებულებანი? და რას აკეთებდა თავად პასკევიჩი, რათა აღმოეფხვრა მმართველობის ამგვარი სისტემის ნაკლოვანებანი?! იგი სისტემატურად თავიდან იშორებდა საერობო, არჩევით ქართულ ელემენტს ყველა დაწესებულებიდან და ანაცვლებდა მათ რუსი მოხელეებით. ქართული არჩევითი პირები მიჩნეული იქნენ "სრულიად უსარგებლოდ რუსული ენის უცოდინარობისა და საქმეში გამოუცდევლობის გამო", თითქოს რუს მოხელეთა მიერ ქართულის, – მოსახლეობის ენის, – უცოდინარობას შეეძლო რამე სარგებელი მოეტანა ქვეყნისა და ხალხისათვის; თითქოს მთელი ქართული მოსახლეობა მხოლოდ იმისთვის იყო შექმნილი, რომ რუსული ენის ათვისებით ყოფილიყო დაკავებული!..

მანანა ხომერეკი, "იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები"

1820 წლის 16 თებერვლისთვის პოლკოვნიკ პუზირევსკის ყველაფერი მზად ჰქონდა ექვსი "ბუნტოვშიკის" შესაპყრობად. ესენი იყვნენ: 1. დარეჯან ბატონიშვილი; 2. გენათელი მიტროპოლიტი; 3. ქუთათელი მიტროპოლიტი; 4. თავადი ივანე აბაშიძე, რომელიც შორაპნის ოლქში სოფ. შროში ცხოვრობდა. მისი დაპატიმრება დაევალა მაიორ კაშჩენკოს, რომელსაც 12 მსროლელი მოახმარეს; 5. პოლკოვნიკი სეხნია წულუკიძე; 6. მდივან-ბეგი მიქელაძე. ველიამინოვი პუზირევსკის სწერდა, რომ ყველაზე ძნელი იქნებოდა ქუთათელისა და თავად ივანე აბაშიძის შეპყრობა. აფრთხილებდა, რომ ისინი ხელიდან არ დასხლტომოდნენ. თუ მათი ცოცხლად შეპყრობა ვერ მოხერხდებოდა, მაშინ უნდა დაეხოცათ, მაგრამ ქუთათელის გვამის დატოვება არც იმერეთში და არც აღმოსავლეთ საქართველოში არ შეიძლებოდა, ვინაიდან მიტროპოლიტის მკვლელობას ხალხში მთავრობისთვის საზიანო ზეგავლენის მოხდენა შეეძლო. ველიამინოვი იმავე აზრს გამოთქვამდა პუზირევსკისთვის 10 დღის შემდეგ მიწერილ წერილშიც, სადაც მკაფიოდ უხსნიდა, რომ თუ მიტროპოლიტების დახოცვა მოუხდებოდათ, მათი გვამები მოზლოკში უნდა მიეხარებინათ მიწისთვის. ბუნტოვშიკების თანამოაზრეები შეეცდებოდნენ ხალხისთვის ჩაეგონებინათ, რომ პატიმრები სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ ამის მტკიცებულება არ ექნებოდათ და სიმართლე ვერ გამომჟღავნდებოდა...

დაპატიმრების დღედ პუზირევსკიმ 1820 წლის 4 მარტი აირჩია, როდესაც დასაპატიმრებელ პირთა უმრავლესობა ქუთაისში შეიკრიბა გენერალ კურნატოვსკისთან გამოსამშვიდობებლად. დაპატიმრებები ერთდროულად მოხდა, განსაკუთრებული სირთულეების გარეშე. თავადმა სეხნია წულუკიძემ თუმცა ესროლა მაიორ მიხინს, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთი ჯარისკაცი დააზიანა. მდივან-ბეგი მიქელაძე ხანჯლით ცდილობდა თავის დაცვას, მაგრამ ის განაიარაღეს. ოფიციალური ვერსიის თანახმად, მიტროპოლიტი გენათელი იმდენად იყო განცვიფრებული მოულოდნელი დაპატიმრებით, რომ ძლიერი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, გული წაუვიდა; გენათელმა მიტროპოლიტმა კი მხოლოდ გაკვირვება გამოთქვა იმის გამო, თუ რატომ მიჰყავდათ ძალით. ყველაზე ბოლოს დარეჯან ბატონიშვილი და მისი 10 წლის შვილიშ-

ვილი, ივანე აბაშიძის ვაჟი აიყვანეს. შუალამისას ყველა დაპატიმრებული მაიორ მიხინს გადასცეს. ისინი დაუყოვნებლივ გაგზავნეს მოზდოკში გაძლიერებული დაცვის ქვეშ.

1820 წლის 8 მარტს პუზირევსკი ველიამინოვს აცყობინებდა, რომ თუ სიმშვიდე დაირღვეოდა, მხოლოდ ივანე აბაშიძის უმნიშვნელო მცდელობით. თავად ივანე კი, როგორც მაიორ კაშჩენკოს პატაკიდან ჩანდა, გაფრთხილებული იყო შესაძლო დაპატიმრების შესახებ და გაიქცა. პუზირევსკი ითხოვდა ნებართვას, რათა ივანე და ნიკოლოზ აბაშიძეები გამოეცხადებინა მონარქის მფარველობას მოკლებულად და კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის, ველიამინოვის პატაკის თანახმად, მათი მამულების კონფისკაცია მოეხდინათ.

ოფიციალური ვერსიის თანახმად, მიტროპოლიტი ქუთათელი 5 რიცხვში, ანუ დაპატიმრების მეორე დღეს გაცივდა და ავად გახდა ციებით, ხოლო იმავე თვის 8 რიცხვში, ამ ავადმყოფობით 5 საათზე გარდაიცვალა, სურამიდან გორში მიმავალი.

ალექსანდრე მანველიშვილი, “რუსეთი და საქართველო (1801-1851)”

საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფურცლად ჩაიწერა მოვლენა, რომელიც უკავშირდება გურიის სამთავრო ტახტის აზნაურის იოთამ (ილია) ბოლქვაძის სახელს.

1820 წლის დამდეგს გურიის გამგებლის მამია V გურულის ბიძამ, – ქაიხოსრო გურიელმა, შეიფარა იმერეთის ამბოხების მეთაური, სოლომონ I-ის შვილიშვილი ივანე აბაშიძე. ამის გამო, ხსენებული წლის 6 აპრილს გენერალმა ველიამინოვმა მამიას მიწერა, რომ ქაიხოსროს წინააღმდეგ გზავნიდა დამსჯელ რაზმს პოლკოვნიკ პუზირევსკის მეთაურობით. ამასთან, ველიამინოვი გურიის მთავრისგან მოითხოვდა პუზირევსკის მხარდაჭერას.

რამდენიმე დღეში გურიაში ჩავიდა პუზირევსკის რაზმი. მათ ალყაში მოაქციეს ქაიხოსრო გურიელი. თან ლანძღვა-გინებით მოიხსენიებდნენ ქაიხოსროს. სწორედ ამ დროს ამ უკანასკნელის მცველებს გამოეყო ახალგაზრდა აზნაური იოთამ ბოლქვაძე, რომელმაც სატყვერით ადგილობზე მოკლა პოლკოვნიკი პუზირევსკი. ეს მოხდა 1820 წლის 13 აპრილს, შემოქმედის მონასტერთან. ბოლქვაძე მაშინვე დააპატიმრეს. მცირე ხნის შემდეგ, 16 წლის

პატრიოტი სიკვდილით დასაჯეს. მის გმირობაზე შექმნილია ხალხური ბალადა-სიმღერა.

სარგის კაკაბაძე, “ქართველი ხალხის ისტორია:
1783-1921”

რუსეთის მთავრობა ცდილობდა საქართველოში უცხო ელემენტების და რუსების ჩასახლებას, რადგან ეს საჭირო იყო რუსეთის ინტერესების თვალსაზრისით უფრო საიმედო მოსახლეობის მოსაპოვებლად. 1818 წელს საქართველოში ჩამოსახლებულ იქნენ ხუთასი კომლი გერმანელი კოლონისტები (ვიტენბერგიდან). იქ მათ გადმოყვანაზე და დასახლებაზე დაიხარჯა შვიდას ათას მანეთამდის ფული და მათთვის გამოყოფილ იქნა საუკეთესო მიწები დიდი ნორმებით (რამდენიმეჯერ მეტი, ვიდრე ეს ადგილობრივ გლეხებს ჰქონდათ). საქართველოში ისინი მოთავსდნენ ხუთ სხვადასხვა ადგილას (ორ ადგილას თვით თბილისთან). [...]

ამასთან ერთად წამოჭრა საკითხი საქართველოში რუსების დასახლების შესახებ. არსებული წესით, სალდათებს ცოლის შერთვის ნება ეძლეოდათ თხუთმეტი წლის სამსახურის შემდეგ. ყოველ პოლკთან ჩამოყალიბდა ცოლშვილიანი სალდათების როტა. ასეთი სალდათებისათვის ქალებს აგზავნიდნენ რუსეთიდან. სამსახურის გათავების შემდეგ ეს სალდათები და მათი ჩამომავლობა რჩებოდა ადგილობრივ. ამგვარად თანდათან გაჩნდა საქართველოს სხვადასხვა ალაგას რუსთა სლობოდები და სლობოდკები [...]. ასეთი სლობოდები თანდათანობით ჩამოყალიბდა მანგლისში, თეთრიწყაროში, გომბორში, დედოფლისწყაროში (შირაქში), ქუთაისში (რიონის მარჯვენა ნაპირას მცირედ მოცილებით) და სხვაგან.

თავი 8

1832 წლის შეთქმულება

რუსული ოკუპაციის მეოთხედი საუკუნე საკმარისი აღმოჩნდა ქართული წინააღმდეგობის ახალი კერის გასაღვივებლად. არისტოკრატიულ და ინტელექტუალურ გარემოში თანდათანობით მომწიფდა რუსული მმართველობის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობის იდეა. შეთქმულების სულისჩამდგმელნი იყვნენ ქართული სამეფო ოჯახის გადასახლებული წევრები, რომლებიც სანკტპეტერბურგსა და მოსკოვში ცხოვრობდნენ. ოქროპირ ბატონიშვილის მეთაურობით 1825 წელს პეტერბურგში საიდუმლო წრე შეიქმნა.

ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ სწრაფვის გარდა, ამავე დროს, მათი სურვილი იყო, შეექმნათ სახელმწიფო, რომელიც რამდენადმე დემოკრატიულ პრინციპებზე იქნებოდა დაფუძნებული. საიდუმლო შეხვედრებზე შეთქმულების ერთ-ერთი მთავარ მოთავეს, დიმიტრი ბატონიშვილს, ხშირად მოჰყავდა საფრანგეთის მაგალითი.

1827 წელს, მას შემდეგ რაც, სოლომონ დოდაშვილი საქართველოში დაბრუნდა, შეთქმულთა საქმიანობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. წრის შეხვედრები უფრო ხშირი და შინაარსიანი გახდა. შეკრებებზე განიხილებოდა ყველა საკითხი, დაწყებული რუსეთის ჯარისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევით – დასრულებული მომავალი დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფო მოწყობით. შეთქმულები სარგებლობდნენ ერთგვარი საიდუმლო შიფრით, რომლითაც მათ შორის მიმოწერისას გამოიყენებოდა. ამ “ანბანის” შემქმნელი მღვდელ-მონაზონი ფილადელფოს კიკნაძე იყო, რომელიც, ამავე დროს, იყო შეთქმულთა წესდების, “აქტი გონიურის”, ავტორი.

1830 წლისათვის შეთქმულთა წრე მნიშვნელოვნად გაფართოვდა, მასში მაშინდელი ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი ჩაერთო. მალე საიდუმლო წრეს სამაზრო ქალაქებში ერთგვარი ქვეგანყოფილებები გაუჩნდა. შეთქმულები ცდი-

ლობდნენ საქმეში ჩაერთოთ არა მარტო ქართველები, არამედ საქართველოში მცხოვრები სხვა ერის წარმომადგენლებიც, ამასთანავე, მოეპოვებინათ მხარდაჭერა ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

შეთქმულთა პროგრამა მიზნად ისახავდა არა ერეკლე მეორის დროინდელი სახელმწიფო მმართველობის აღდგენას, არამედ იმგვარ სახელმწიფოებრივ მოდელს, რომელიც საშუალებას იძლეოდა, აჯანყების გამარჯვების შემდეგ ქვეყანა მოწყობილიყო იმდროინდელ ევროპულ სახელმწიფოთა გამოცდილების გათვალისწინებით. ამ პოზიციის განსაკუთრებული ქომაგები იყვნენ ბატონიშვილები. საგულისხმოა, რომ ბატონიშვილები ოქროპირიცა და დიმიტრი იულონის ძეც რესპუბლიკური მმართველობის მომხრენი იყვნენ. რესპუბლიკური მოდელის მომხრეებს მეთაურობდა სოლომონ დოდაშვილი. შეთქმულთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მონარქიის აღდგენისაკენ იხრებოდნენ, მაგრამ ისინიც გულისხმობდნენ არა იმდენად აბსოლუტურ მონარქიას, რამდენადაც კონსტიტუციურ მონარქიას. მათი აზრით, გამარჯვების შემდეგ უნდა შექმნილიყო მმართველობის ორპალატიანი სისტემა. ზედა პალატის წევრები იქნებოდნენ ქვეყნის ხელმძღვანელები, ხოლო ქვედა პალატას საქართველოს ყველა მაზრიდან წარმოდგენილი დეპუტატთა საბჭო შეადგენდა. შეთქმულნი მომავალ მეფედ ალექსანდრე ბატონიშვილს მოიაზრებდნენ. გეგმა იმდენად დეტალური იყო, რომ განაწილებული იყო მინისტრთა თანამდებობანიც.

აჯანყების შემდეგ, მეფის ხელისუფლების გამოცხადებამდე, საქართველო უნდა ემართა დროებით ორგანოს, დეპუტატთა პალატას – ეროვნულ სეიმს. ქვეყნის პრიორიტეტულ საქმედ მიჩნეული იყო რეგულარული ჯარის შექმნა. მომზადებული იყო სახელმწიფო ჰიმიცი. შეთქმულებაში ჩართულ ქალებს უკვე მოქარგული ჰქონდათ ეროვნული დროშები.

შეთქმულები არ აპირებდნენ რადიკალურად დაპირისპირებოდნენ რუსეთის იმპერიას და მიიჩნევდნენ, რომ მასთან ურთიერთობა უნდა წარმართულიყო გეორგიევსკის ტრაქტატით შეთანხმებულ საზღვრებში.

1830 წლის პოლონეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ შეთქმულების მზადება მცირე ხნით შენელდა. 1832 წლის გაბათხულზე კი ის ახალი ძალით განახლდა. დიდი მნიშვნელობა

მიენიჭა გაზეთის "ლიტერატურულნი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის" გამოცემას, რომლის რედაქტორიც შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური, სოლომონ დოდაშვილი, იყო. იგი აქტიურ პროპაგანდას უწევდა ეროვნულ იდეებს.

აჯანყების დაწყება დაიგეგმა 20 ნოემბერს – თავად-აზნაურთა წინამძღოლის არჩევნების დღეს. უკვე მიღებული იყო კონკრეტული გეგმაც – "პირველი ღამის განკარგულება". შეთქმულნი გარკვეულად ჰგავდნენ რუს დეკაბრისტებს, მაგრამ იყო მნიშვნელოვანი განსხვავებებიც. თუ რუს დეკაბრისტებს მომზადებული ჰქონდათ პროექტი იმპერიის განაპირა მხარეებიდან არარუსი ხალხების გასახლების თაობაზე, ქართველ შეთქმულთა ერთ-ერთი იდეური მეთაური ფილადელფოს კიკნაძე პირდაპირ აცხადებდა: "მამულის მოსიყვარულე არა მოვალე არს დამდაბლებად სხვისა".

შეთქმულების მონაწილეთა გეგმით, აჯანყების პირველი ნაპერწკალი "საღდათობის" წინააღმდეგ გამოსვლა უნდა გამხდარიყო. ამ მიზნით, ამბოხების წინა დღით ხმა უნდა დარხეულიყო, რომ მთავრობა აწესებდა გლეხების ჯარში გაწვევას, რაც მოსახლეობაში მღელვარებას გამოიწვევდა. ქალაქის წარჩინებულები კი არჩევნების დღეს უნდა მიეწვიათ ალექსანდრე ორბელიანის ოჯახში ნადიმზე, შემდგომ კი იქ დაემწყვდიათ და ჩაეხოცათ. შუალამით, პირველ საათზე უნდა ამტყდარიყო ზარების რეკვა და შუშხუნების სროლა, რაც აჯანყების დაწყების ნიშანი იქნებოდა.

დადგენილი იყო მეთაურთა ვინაობა და შედგენილი იყო იმ ადგილების ნუსხა, რომელიც პირველ რიგში უნდა დაეკავებინათ. დიმიტრი ორბელიანს უნდა აეღო ციხე, გიორგი ერისთავი თავს უნდა დასხმოდა რუს ჯარისკაცთა ყაზარმებს, სხვებს ხელში უნდა ჩაეგდოთ არსენალი, სასურსათო პუნქტები, ხაზინა და სხვა. ამბოხებას თბილისში უნდა მოჰყოლოდა ქართლისა და კახეთის თავადაზნაურობის მიერ ქუდზე კაცის გამოყვანა. ასევე, უკვე არჩეული იყვნენ ჯარის სარდლებიც: ალექსანდრე ჭავჭავაძე, ივანე აფხაზი, გიორგი ერისთავი.

20 ნოემბრისათვის აჯანყების ორგანიზება არ მოხერხდა, ის ჯერ 6 დეკემბრისთვის, ხოლო შემდგომ 20 დეკემბრისთვის გადაიდო. შეთქმულები ამ პერიოდში თითქმის ყოველდღიურად

იკრიბებოდნენ ალექსანდრე ორბელიანის სახლში და განიხილავდნენ აჯანყების ყოველ დეტალს.

9 დეკემბერს იასე ფალავანდიშვილმა გასცა შეთქმულება. ყველაფერი, რაც მან იცოდა, აუწყა საკუთარ ძმას, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს, ნიკო ფალავანდიშვილს. შესაძლოა, იასეს არც ჩაუდენია ღალატი და მან, უბრალოდ, ძმას გაუზიარა ცნობები მოსალოდნელი მოვლენების შესახებ.

შედეგი კი ის იყო, რომ უმაღლესი საქმის გამოძიება დააკავეს შეთქმულების მონაწილენი. შეთქმულნი არ აპირებდნენ გამოძიებისათვის ხელის შეწყობას, თუმცა ყველაფრის დაფარვა შეუძლებელი გახდა. მათ გადაწყვიტეს, შეთქმულების არსი გამოძიებელთათვის მეტად მარტივად წარმოედგინათ და დაეფარათ თავიანთი ჩანაფიქრის პოლიტიკური საფუძველი.

1834 წლის 10 თებერვალს თბილისში სამხედრო წესით გაასამართლეს მთავარ დამნაშავეებად მიჩნეული პირები. ათ მათგანს სიკვდილი მიესაჯა. თუმცა შემდგომ განაჩენი შეიცვალა და თითოეული მათგანი იმპერიის სხვადასხვა ნაწილში გადაასახლეს. დანარჩენებსაც სხვადასხვა ზომის სასჯელი ელოდა.

აღსანიშნავია, რომ საიმპერიო ხელისუფლება საკმაოდ ლმობიერად მოეპყრო თითოეულ შეთქმულს. რამდენიმე წლის შემდეგ შეთქმულთა უდიდესი ნაწილი, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, შინ უვნებლად დაბრუნდა.

დანართები

ალექსანდრე ორბელიანის ჩანაწერებიდან

საერთოს შეთქმას შეუდგნენ ქართველები 1830 წელსა, ეს შეთქმა ისე უნდა მომხდარიყო, რომ მთელი კავკასია შავი ზღვიდგან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ, სრულად მთებისა და ბარის ხალხი, უნდა გავერთებულიყავით და ერთიანი აღრეულობა მოგვეხდინა... შევუდევით საქმეს დიდის გულმოდგინებით, ისე რომ მშობლის მამულის მეტის სიყვარულით, ავად ვსაქმობდით თუ კარგად, ველარა გავიგეთ რა, ისე რომ ჩემი თავი აღარ მოვასვენე ამ საქმეში. და ისინიც, ჩემნი ამხანაგნი, დიდნი მცდელნი იყვნენ იმ საქმისა...სრულიად საქართველოს დიდნი კაცნი და მცირენი,

და ბევრი სასულიერო წოდებანი, რომლებთანაც ხნიანი დედა-კაცნი და ყმაწვილ ქალნი ერთის აზრისა იყვნენ ყველა ჩვენთან. ან უნდა გავწყვეტილიყავით სულ ერთიან, ან არადა მამული გამოგვეხსნა... ბევრმა პატიოსანმა გვარმა დედაკაცმა დაიფიცეს: კაცურად ჩავიცომთ და ჩვენს უკანასკნელს სისხლს დავღვრიოთ მამულის გამოსახსნელადო. ზოგიერთმა ყმაწვილმა დედაკაცებმა ბაირახებს კერვაც დაუწყეს და აღრეულობის ნიშნად მოამზადეს. მაგრამ ამ წმიდას და პატიოსანს საქმიდან ერთი გამცემელი გავიდა და რუსებს აცნობა ყოველი ჩვენი საქმე და განზრახვა, ესე იგი იასე ფალავანდოვმა, რაშიაც ბევრი კაცი და დედაკაცები გაებნენ... პირველი მოთავენი მიფანტ-მოფანტეს რუსეთში.

კიტა აბაშიძე, "პოლიტიკური რომანტიზმი"

ოქროპირ ბატონიშვილის რჩევა ყმაწვილკაცობის მიმართ შემდეგი იყო: ჩააგონონ ახალგაზრდობას სამშობლოსა და ბაგრატიონთა სიყვარული; მღვდლებს სთხოვონ, ილოცონ ბაგრატიონებზედ (ესე იგი იმის შესახებ, რომ ბაგრატიონნი დაუბრუნდნენ საქართველოს სამეფო ტახტს); მოაგონონ ქართველებს ჩვენი ყოფა-ცხოვრება, რა ადვილად შეეძლოთ მეფესთან მისულიყვნენ და როგორი სისწრაფით ეღირსებოდნენ ხოლმე მართლმსაჯულებას; ურჩიონ მათ, ნუ გამოიყვლიან ზნე-ჩვეულებას, რათა უფრო ადვილად ჩამოშორდნენ რუსებს; თავიანთ საიდუმლო აზრის შესახებ ორ კაცს ერთად არა უთხრან რა, თუ გინდ საკუთარი ძმები იყვნენ ეს ორნი; იძიონ მოკავშირეები იმ ახალგაზრდათა შორის, რომელთაც აქვთ ნიჭი და მოხერხება შეთქმულებისა. ასეთ ყმაწვილკაცებს ჯერ უნდა გაეცვენენ, მერე დაუშეგობრდნენ, გამოსცადონ, შეუძლიათ თუ არა საიდუმლოს შენახვა, შეიტყონ მათი აზრი მთავრობის შესახებ და მხოლოდ მერე გაუმჟღავნონ საიდუმლო შეთქმულება, მაგრამ ისე, რომ ერთის მეტის არავე იყოს მოწმედ; ჯერ სიტყვებით გაავრცელონ შეთქმულების აზრი, ხოლო საქმე დაიწყონ, როცა თვით ოქროპირი ჩამოვა საქართველოში. ეს მოქმედება იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ მოახდინონ საერო აჯანყება, თავს დაესხნენ და დაიჭირონ უმთავრესი ადგილები ქალაქში, კავკავის ხეობის გზები შეჰკრან, რეგულარული საფარი მოაწყონ და ამ საქმეს გამოწყობისთანავე დაიწყონ ბრძოლა რუსეთთან, მაგრამ პარტიზანული ბრძოლა.

მაქსიმე ბერძნიშვილი, “ქართული საზოგადოებრიობა 1833-1844 წლებში”

შეთქმულთა აქტივი თუ რესპუბლიკურს არა, კონსტიტუციურ წყობილებას მაინც ეტრფის, ე. ი. ისეთს, როგორც მაშინდელ რუსეთში, თვითმპყრობელური მონარქიის რუსეთში არ ყოფილა [...]. მართლაც, სამშობლოს თავისუფლება, ავტოკრატიზმის ნაცვლად კონსტიტუციის დაწესება, მეზობელ ხალხებთან და სახელმწიფოებთან საერთო ენის გამონახვა – აი, ყველა ეს აზრი, თუნდაც ილუზორული და უტოპისტური, რომელთაც გამოსთქვამდნენ ყაზარმელები [შეთქმულები], მაშინდელი რეალობის პირობებში რევოლუციურ განწყობილებას აღვივებდა, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების შემეცნების აღმავლობას მაინც უწყობდა ხელს. ხოლო ისეთი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის იდეები, როგორიც იყო ბერების დაკრეჭვა და მათი გამოყენება როგორც სასარგებლო მუშახელისა ან კიდევ ბიუროკრატიზმის გაკილევა, თუ მისთანა სხვა, – კრიტიციზმისა და თავისებური რადიკალიზმ-ნიჰილიზმის ნაკადს აძლიერებდნენ ჩვენი საზოგადოების აზროვნებაში. ყაზარმელთ იდეათა ნიადაგზე აღმოცენდა და გაიზარდა ბარათაშვილის თაობა, ეს იდეები ცოცხლობენ და იფურჩქნებიან ბარათაშვილის, ჭავჭავაძისა და წერეთლის პოეზიაში.

საგამოძიებო კომისია შეთქმულთა წესდების შესახებ

მისტიკური ესე ნაწარმოები, როგორც ჩანს ყველაფრიდან, მასონებისა ან სხვა საიდუმლო საზოგადოებათა წესდებებიდან არის აღებული და ნათლად ეტყობა, წარმომდგარია უფრო განათლებულ წყაროდან, ვიდრე ეს მიეწერება ფილადელფოსს. აქტივთ განზრახულია პირდაპირ საიდუმლო, მტკიცე კავშირის შედგენა, რომლის წევრნიც აღთქმითა და ფიციით უნდა იყვნენ ერთმანეთთან შეკრულნი, მაგრამ თითქმის არ იცნობდნენ ერთმანეთს. წევრნი იქნებიან დამოკიდებულნი თავიანთ უმაღლეს ხელმძღვანელთაგან, განსაკუთრებით კი იმ პირველ უცნობ ავტორისაგან, რომელსაც საკუთარი სურვილისა და მოსაზრებებისამებრ შეეძლება მათი წინამძღოლობა. კილო აქცისა სრულიად მისტიკურია, მაღალი და ბუნდოვანია, გარეგანი აზრი კი კეთილზნეობრივი და ღვთისმოყვარულია, მაგრამ არსებითად შეტად მავნე განზრახვისა და თავისებობად თავის დროზე დიდი ვნების მოტანა შეუძლია,

განსაკუთრებით იმიტომ, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ, ქართ-ველებს, დათარულობისადმი ბუნებრივი მიდრეკილება აქვთ და ყველაფერს ადვილად იჯერებენ.

ალექსანდრე ორბელიანის საგამოძიებო ჩვენებიდან

განზრახვა გვექონდა წინადადებითა თამარ ბატონიშვილისათა: მე ჩემი ცოლ-შვილით, ელიზბარ და გიორგი დავითის ძე ერისთა-ვები და ჩემი ცოლ-შვილით, ელიზბარ და გიორგი დავითის ძე ერისთავები და ჩემი ძმა ვახტანგი... უნდა წავსულიყავით იერუ-სალიმის სახელზე, ხელმწიფე იმპერატორის ნებით... ოსმალის სამძღვარში... ჩვენთაგანი ერთ-ერთი რომელიმე ალექსანდრე ბატონიშვილთან უნდა წასულიყო, ის ჩვენთან მოეყვანა და... სწორედ იერუსალიმს უნდა წავსულიყავით, იქ ქრისტეს საფ-ლავისათვის თაყვანი უნდა გვეცა და იქიდან ფრანციას, პარიზში მივსულიყავით. იქიდან გვსურდა და განზრახვა გვექონდა, რომ ანგლიაში გაგვეგზავნა ვინმე და ჩვენი მისვლა პარიზში გვეცნობე-ბინა. შემდეგ, ჯერ პარიზში უნდოდათ გვეჩვილა, რომ უსამართ-ლოდ არის არის წართმეული სამეფო ტახტი საქართველოს ბაგ-რატიონთაგან. შემდეგ ანგლიაში უნდა გადავსულიყავით და იქაც ასე უნდა გვეჩვილა, მასკვან ავსტრიაში უნდა გადმოვსულიყავით და იქაც აგრეთვე უნდა გვეჩვილა და ყველგან შემწეობა უნდა გვეთხოვა, რომ თავიანთი მამული ისევ დაპრუნებოდათ, ესე იგი საქართველო გაენთავისუფლებინათ რუსებიდან.

პავლე ინგოროყვა, "ნიკოლოზ ბარათაშვილი"

ამ დროისათვის, როდესაც შეთქმულებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა საქართველოში და შეიარაღებული გამოსვლისათვის ემზადებოდნენ, 1830 წელს პოლონეთშიაც იწყება აჯანყება. სა-ქართველოში, ცხადია, დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ პო-ლონეთის გამოსვლას. პოლონეთი, თუმცაღა ტერიტორიულად დაშორებული, ბუნებრივი მოკავშირე იყო საქართველოს განმა-თავისუფლებელი მოძრაობისა. პოლონეთის საქმის წარმატებაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ ქართველი პატრიოტები. ახალ პოლი-ტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით ქართველმა შეთქმულებმა გადაწყვიტეს საქართველოში შეიარაღებული გამოსვლის ვადა შეეფარდებინათ პოლონეთის აჯანყების მსვლელობასთან. მაგ-

რამ პოლონეთი დამარცხდა, 1831 წელს ნიკოლოზ I-ის ჯარებმა აიღეს ვარშავა. ამან, ბუნებრივია, საქართველოში აჯანყების გამარჯვების შანსები საეჭვო გახადა, და შეთქმულთა მუშაობა ერთხანად შეფერხდა. მაგრამ საბოლოოდ ქართველ შეთქმულებს ხელი არ აუღიათ. მუშაობის ხანმოკლე მინელების შემდეგ მათ ისევ განაახლეს საქმიანობა და დაიწყეს მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის.

შალვა რატიანი, "ფილადელფოს კიკნაძე"

მღვდელ-მონაზონ გენადის ნაამბობი, გადმოცემული ზაქარია ჭიჭინაძის მიერ

ერთ მშვენიერ დღეს, სისხამ დილით, შუამთის მონასტრის გალავანს გარს შემოერტყა სამოცი რუსის ყაზახი და ას ოცი სალდათი. გაოგნებული და დაფეთებული ბერები თავთავიანთ სენაკებში შეიყუჟნენ. მონასტრის ეზოში შემოვიდა იმ დროის საქართველოს ეგზარქოსი, რომელსაც თან შემოჰყვა რამდენიმე კაცი. მათ ყველა ბერი ეზოში გამოიყვანეს, მოიხმეს ფილადელფოსიცი... შემდგომ ეგზარქოსი და მისი თანმხლები პირები სკამებზე ჩამოსხდნენ და სათითაოდ დაჰკითხავდნენ ბერებს ფილადელფოსის საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ ბერები სდუმდნენ... განრისხებული ეგზარქოსის ბრძანებაზე ეზოში შემოცვივდნენ სალდათები, მათ თან მოიტანეს მსხვილი თოკები, ამ თოკებით სათითაოდ ბერები ხეებზე მიაკრეს და გამოუცხადეს: "თუ არ გვეტყვი, რა ცნობებს ავრცელებდა ფილადელფოს კიკნაძე ხალხში, ან რა ქალაქებს გაჩვენებდათ ხოლმე იგი და სად ინახავს ამ ქალაქებსო, თქვენს სახლებს გავჩხრეკო, ყველაფერს დავანგრევო, და თუ რაიმე ვიპოვეთ, გაგკრიჭავთ და რუსეთში გადაგკარგავთო"... მართალია, მომხდურებს სახლები არ დაუნგრევიათ, მაგრამ სახლის ბანები და სხვა საეჭვო ადგილები გადათხარეს და საგულდაგულოდ გასინჯეს, მაგრამ ვიდრე სალდათები ამ ბინძური საქმიანობით იყვნენ დაკავებული, ერთი ასეთი ინციდენტი მომხდარა: ეგზარქოსს ფილადელფოსისათვის რაღაც უთქვამს, იმასაც პასუხი გაუცია; როგორც ჩანს, ამ პასუხს მოთმინების ფიალა აუცსია გახელებული ეგზარქოსისათვის, მივარდნილა და ფილადელფოსისათვის ჯვარი აუწყვეტია. ფილადელფოსს ჯვარი უკანვე წაურთმევია და უთქვამს: "თქვენ უფლება არ გაქვთ, რომ ამ ჯვარს მტაცებთ, მე

ქართველი კათოლიკოსის ნაკურთხი ვარ, ჯვარიც მისგან მაქვს ბოძებული". ეგზარქოსმა აღარ აცალა, ჯვარის წართმევა კვლავ მოინდომა, მაგრამ ვერ წაართვა, ამიტომ მუშტიც იხმარა, მერე ფილადელფოსმაც დაარტყა და ერთმანეთი კარგად გლიჯეს... ჩვენ, ბერებმა, რას ვიზამდით, ხეზე მიბმულები ვიყავით... მერე კი ხმაურობაზე მოვიდნენ და გააშველეს. ამის შემდეგ ჩვენ აგვ-სხენეს და ფილადელფოს კიკნაძე კი მაგრად შეკრეს თოკით... ფილადელფოსს გაუკეთეს ბორკილი, წელზე და ყელზე გრძელი თოკი მოაბეს, ამ თოკის ერთი წვერი მისცეს ცხენზე მჯდომ ყაზახს ხელში და უკან ფეხით გამოიყვანეს ფილადელფოსი, სადაც ცხენოსანი ყაზახებიც ფეხდაფეხ მისდევდნენ და ამგვარად ჩამოიყვანეს თბილისში.

თავი 9

სამეურნეო ცხოვრება საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ

მეთვრამეტე საუკუნეში, პეტრე I-ისა და ეკატერინე II-ის მისწრაფებათა თუ მცდელობათა შედეგად, რუსეთში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, განხორციელდა შესამჩნევი რეფორმები, დაიწყო ქვეყნის მოდერნიზაცია, რის შედეგადაც იმპერია რამდენადმე დაუახლოვდა ევროპას. მაგრამ ქვეყნის გადაქცევა ევროპული ტიპის სახელმწიფოდ მაინც ვერასოდეს მოხერხდა, რადგან ხელისუფლებას მუდმივად თან სდევდა შიში, რომ სწრაფი რეფორმები მოსახლეობაში არეულობას და, შესაბამისად, ხელისუფლების შესუსტებას გამოიწვევდა. სწორედ ამგვარი განწყობის გამო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთი ისევ მყარად ავტორიტარულ სახელმწიფოდ რჩებოდა: მეფე ერთპიროვნულად აკონტროლებდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა მეტ-ნაკლებად არსებით საკითხს, მათ შორის, სამეურნეო საქმიანობასაც.

მეცხრამეტე საუკუნის რუსეთში მიწა ის არსებითი საფუძველი იყო, რომლის ნაყოფიერად გამოყენება მნიშვნელოვნად განაპირობებდა სახელმწიფოს ეკონომიკურ ძალმოსილებას.

თავისუფალი ეკონომიკური ცხოვრების პირობებში მიწა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა რესურსი, ხვდება იმ ადამიანის ხელთ, ვინც მას ყველაზე უფრო ეფექტურად იყენებს. თუკი ადამიანს აქვს მიწის ერთი ნაკვეთი და მას ისე გამოიყენებს, რომ მისგან შემოსავალს ნახავს, იგი ამით მოგებულნი დარჩება და შეძლებს მეორე ნაკვეთის შეძენასაც; ხოლო თუკი ადამიანი ვერ მოახერხებს მიწის ნაკვეთის ნაყოფიერ გამოყენებას, იგი იძულებული გახდება, გაყიდოს ის და ხელი მიჰყოს სხვა, მისთვის უფრო შემოსავლიან საქმიანობას. თავისუფალ ეკონომიკურ გარემოში ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, თავად გადაწყვიტოს, თუ სად იცხოვრებს და იმუშავეს, რა საქმიანობას მიჰყოფს ხელს, სურს თუ არა გახდეს ქონების მესაკუთრე და

ასე შემდეგ. ამგვარი სისტემა ბუნებრივად განაპირობებს ადამიანების მაქსიმალურ პროდუქტიულობას, რაც, თავის მხრივ, ყოველთვის ხელს უწყობს ეკონომიკურ წინსვლას.

მეცხრამეტე საუკუნის რუსეთში ეს ეკონომიკური პრინციპები დარღვეული იყო. იმპერატორი ერთპიროვნულად წყვეტდა, ვისთვის გადაეცა მიწა. მიწის მფლობელი ხდებოდა არა ეკონომიკური თვალსაზრისით წარმატებული ადამიანი, არამედ ის, ვისაც, ხელმწიფის აზრით, მეტი დამსახურება ჰქონდა სახელმწიფოს წინაშე. შესაბამისად, მთელ იმპერიაში მესაკუთრეთა ფენას უმეტესად ქმნიდნენ სამოქალაქო ან სამხედრო საქმიანობაში დაწინაურებული ან წარმატებული ქვეშევრდომები. სწორედ ისინი ფლობდნენ მიწას, რომელზეც ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ ყმები, ანუ ქვეშევრდომთა ის ფენა, რომელსაც არ გააჩნდა არც საკუთრება და არც არანაირი სამოქალაქო თუ პოლიტიკური უფლება. ყველა ყმა მიმაგრებული იყო ერთ კონკრეტულ მიწაზე და თავად იყო ამავე მიწის მფლობელის საკუთრება. მას უფლება არ ჰქონდა, შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი, ისევე როგორც ეკრძალებოდა, ჰქონოდა საკუთარი მიწა. მიწის მესაკუთრეს ("პომეშჩიკს") შეეძლო გაეყიდა ან გაეჩუქებინა ყმა. ყმები გადასახადს უხდიდნენ როგორც მეფეს, ისე მიწის მესაკუთრეს. ცხადია, ასეთი სისტემა ახშობდა ადამიანის სწრაფვას, დაეგროვებინა დოვლათი (სხვა თუ არაფერი, იგი შვილს მაინც ვერაფერს დაუტოვებდა), ეძებნა საქმიანობის საუკეთესო გზები, შეეძინა ახალი უნარი, შეესწავლა და დაენერგა სიახლე... ეს მიზეზები, ბუნებრივია, უარყოფითად აისახებოდა რუსეთის იმპერიის სამეურნეო ცხოვრებაზე.

შედეგად, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთი, ეკონომიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ევროპულ ქვეყნებს.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველო წარმოადგენდა აგრარულ ქვეყანას. ერთი მხრივ, ის გლეხები, რომლებიც უფრო ნაყოფიერად იყენებდნენ საკუთარ მიწებს, ყიდულობდნენ დამატებით მიწებს სხვა, ამ საქმეში წარუმატებელი გლეხებისაგან, რითაც ზრდიდნენ საკუთარ ეკონომიურ შესაძლებლობას; ხოლო, მეორე მხრივ, ის მიწათმფლობელები, რომლებიც ვერ იყენებდნენ საკუთარ მიწებს, იძულებული იყვნენ, ან მიეყიდათ მიწების ნაწილი ეკონომიკურად გაძლიერებული

გლეხებისთვის, ან დაევირავებინათ იგივე მიწები ბანკში და ეცადათ, სესხის საშუალებით მოეპოვებინათ ეკონომიკური სიმყარე. უმიწოდ დარჩენილი გლეხები ეძებდნენ დამქირავებლებს, რომლებიც მათ სამუშაოთი უზრუნველყოფდა, რის შედეგადაც ეს გლეხები თავისუფალ მშრომელებად, – მოჯამაგირეებად ან მუშებად, – იქცნენ. ქალაქებსა თუ დაბებში, სადაც ვითარდებოდა და ყალიბდებოდა მსხვილი საწარმოები, ამგვარ მშრომელებზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდებოდა.

რუსეთის ხელისუფლება მიზნად ისახავდა, რაც შეიძლება მჭიდროდ დაეკავშირებინა ქართული მიწები იმპერიისათვის, რის საუკეთესო საშუალებად მიჩნეული იყო, ერთი მხრივ, სავაჭრო ურთიერთობათა გაძლიერება რუსეთსა და საქართველოს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, ვაჭრობის შემცირება საქართველოსა და ოსმალეთს შორის. შესაბამისად, იმპერიის მმართველები ცდილობდნენ, ოსმალეთიდან საქართველოში შემოტანილი პროდუქცია ჩაენაცვლებინათ რუსეთში ნაწარმოები პროდუქციით. რუსეთი მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავდა სავაჭრო ინფრასტრუქტურის (საქარავენო გზები) გასაფართოებლადაც.

დაახლოებით 1820 წლამდე საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობები პრაქტიკულად არ არსებობდა.

1822 წელს ამიერკავკასიაში შემოიღეს შეღავათიანი ტარიფი. შეღავათიანი ტარიფი გულისხმობდა ევროპიდან შემოტანილი შიდამოხმარებისათვის განკუთვნილი საქონლის ხუთპროცენტიანი გადასახადით დაბეგვრას. საქონელი, რომელიც ევროპიდან შემოდიოდა ირანში ექსპორტის მიზნით, გათავისუფლებული იყო დაბეგვრისაგან. შეღავათიანი ტარიფი ათი წლის ვადით დაწესდა და მიზნად ისახავდა, რათა ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობის უდიდესი ნაწილი კონცენტრირებული ყოფილიყო ოდესა-ყულევი-თბილისის გზაზე. შეღავათიანმა ტარიფმა გამოაცოცხლა ვაჭრობა. 1824 წელს ქართველი ვაჭრები პირველად გამოჩნდნენ გერმანიაში, ლაიფციგის ბაზრობაზე და შეიძინეს მილიონ ექვსასი ათასი მანეთის საქონელი. 1828 წელს კი იმავე ბაზრობაზე ქართველმა გლეხებმა ოთხი მილიონ ოთხასი ათასი მანეთის საქონელი იყიდეს.

საბაჟო გადასახადის შემცირებას არ გამოუწვევია თბილისის საბაჟოს შემოსავლების შემცირება, – პირიქით, გაზრდილი

სავაჭრო ბრუნვის შედეგად, საბაჟოს შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა. სავაჭრო ბრუნვის ზრდამ ხელი შეუწყო თბილისში კომერციული სახლებისა და მალაზიების მომრავლებას.

1832 წელს ამიერკავკასიის შეღავათიანი ტარიფი გაუქმდა და იგი გაუტოლდა იმპერიის საერთო ტარიფს: ევროპიდან შემოტანილი საქონელი ოც-ოცდახუთ პროცენტიათი განაკვეთით იბეგრებოდა. რუსეთის ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ საქართველოში შეღავათიანი ტარიფის პერიოდში შესაძრწევი სიმდიდრე დაგროვდა, ხოლო ვაჭრებმა საკმარისი გამოცდილება და განათლება შეიძინეს, რის გამოც შეღავათიანი ტარიფიც საჭირო აღარ იყო.

ამ ცვლილებას მალე მოჰყვა ქვეყნისათვის უარყოფითი შედეგები. ევროპასა და ირანს შორის სავაჭრო გზამ ამიერკავკასიიდან გადაინაცვლა ტრაპიზონ-ერზურუმისაკენ, სადაც ინგლისმა დააარსა სავაჭრო კომპანია, რომლის სამუალებით ინგლისი აკონტროლებდა სავაჭრო ურთიერთობებს ირანსა და მცირე აზიას შორის. შემცირდა ქონების შემოდინება თბილისში, რის შედეგადაც კრედიტი გაძვირდა, ბევრი სავაჭრო კომპანია გაკოტრდა და, ზოგადად, ეკონომიკური ბრუნვა და საქონელზე მოთხოვნა დაეცა.

საქართველოში მოსაქმე ვაჭრების უმეტესობამ, მათ შორის, ადგილობრივმა ვაჭრებმაც, საკუთარი კაპიტალი თურქეთში გაიტანეს და სწრაფად აითვისეს ახალი, უფრო მომგებიანი სავაჭრო გზა. საბოლოოდ, მაღალი საბაჟო გადასახადის შედეგად ამიერკავკასიაში შემოვიდა დიდძალი ირანული კონტრაბანდული საქონელი, ხოლო რუსეთსა და ირანს შორის ვაჭრობა პრაქტიკულად შეწყდა.

რაკი საქართველო მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო, მას არ შეეძლო თავად განესაზღვრა გადასახადების დაწესება, ან მათ აკრეფა-ხარჯვასთან დაკავშირებული საკითხები. საქართველოს ფისკალურ-მონეტარულ პოლიტიკას რუსეთი გეგმავდა. ამ დროს საქართველოში არ არსებობდა ეროვნული ვალუტა. მიმოქცევაში იყო მხოლოდ რუსული მანეთი.

საქართველო ფულად-საკრედიტო საკითხებში მთლიანად იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე იყო

დამოკიდებული. ქვეყანას არ გააჩნდა არანაირი ბერკეტი, თავიდან აეცილებინა ან გამოესწორებინა რუსეთის ხელისუფლების შეცდომები, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, რაც გადასახადების აკრეფა დაიწყო ფულის სახით (ნატურის ნაცვლად) და გაიზარდა ფულის ბრუნვა ქვეყანაში. თუმცა, მეორე მხრივ, რაკი ქვეყანას არ ჰქონდა საკუთარი ვალუტა და იყენებდა დიდი იმპერიის ფულს, ფისკალურ-მონეტარულ სფეროში გამორიცხული იყო ადგილობრივი მმართველების შეცდომები.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში გადასახადების სიმრავლე აბრკოლებდა ვაჭრობის განვითარებას. ამ დროს ქვეყანაში არსებობდა მრავალი შიდასაბაჟო. სამეფო-სახელმწიფო გადასახადების გარდა, არსებობდა საეკლესიო და საერო ხელისუფალთა გადასახადები. 1807 წლიდან 1840-იან წლებამდე შიდაბაჟები თანდათანობით გაუქმდა. ცალკეული ბაჟების გაუქმებამ და ერთიანი საბაჟო სისტემის შემოღებამ ხელი შეუწყო ვაჭრობის შემდგომ განვითარებას.

1843-1845 წლებში შეიცვალა გადასახადის გადახდის ფორმა, რის შედეგადაც ყველა გადასახადის გადახდა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ფულის სახით. ფულადმა გადასახადმა გაზარდა ფულის მასის ბრუნვა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებას.

დანართები

ნიკოლოზ პირველის ჩანაწერიდან "ფიქრები საქართველოზე", 1826

ამიერკავკასია შეიძლება რუსეთის უმდიდრეს კოლონიად იქცეს. კოლონიას იმიტომ ვამბობთ, რომ იგი რუსეთის სხვა პროვინციების თანაბარუფლებიან და ვალდებულებიან პროვინციად ჯერ კიდევ დიდხანს ვერ გახდება. აქედან გამომდინარეობს, რომ ამ ქვეყნის მართვა საჭიროა გონივრული კოლონიური სისტემის შესაბამისად წარმოებდეს. ამიერკავკასიას შეუძლია მოგვცეს ჩვენ დიდი რაოდენობით საუკეთესო ხარისხის აბრეშუმში, ბამბა, ბრინჯი, ინდიგო, გემოსაშენებელი ხე-ტყე და სხვ. იგი უნდა იყოს ჩვენი ფაბრიკული ნაწარმის მომხმარებელი და რუსეთის სპარსეთთან ვაჭრობის შუამავალი.

სენატორ განის წლის მოხსენებიდან, 1837

ნაწარმის მრავალფეროვნება და სიმდიდრე ამიერკავკასიაში სულ მცირე შრომისა და უმნიშვნელო კაპიტალის დაბანდებით ძალიან დიდ მოგებას გვპირდება. ამიტომ უთუოდ საკმარისი იქნება, რომ მთავრობა დაკმაყოფილდეს მარტოოდენ მიწათმოქმედების ყველა დარგის წაქეზებით და მოაშენოს ის ნედლი მასალა, რაც შესატყვისება აქაურ ნიადაგსა და კლიმატს. რაც შეეხება ფაბრიკებისა და მანუფაქტურების შემოღებას, ეს წაგვართმევდა დიდ ძალ-ღონეს, რაც ესოდენ აუცილებელია მიწათმოქმედებისათვის და ადგილობრივი მხარისათვის, ეს ყოველგვარი სარგებლობის გარეშე ხელს შეუშლიდა რუსეთის მრეწველობასა და ვაჭრობას. ჩვენი ფაბრიკები, მთავრობის ბრძნული წინასწარხედვის წყალობით, ისე მომრავლდნენ და ისეთ სრულქმნილებას მიაღწიეს, რომ პროდუქტების დამუშავება ძვირი არ ჯდება. მარტო მათ შეუძლიათ მოიხმარონ აბრეშუმი, ბამბა, ბოჭკოვანი მცენარეები, საღებავი ნივთიერებანი და ამიერკავკასიის სხვა მდიდარი ნაწარმი.

მეფისნაცვალ ვორონცოვის ანგარიშიდან, 1849-1851

გვხვდებიან ისეთი გლეხებიც, რომელთა შესახებ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი თავიანთ მფლობელებზე უფრო მდიდრები არიან. მაშინ, როცა ისინი იხდიან გადასახადების სახით ღვინის მოსავლის ერთ მეათედს და სვამენ თითქმის ნახევარს თავიანთი ვენახების მომვლელ დაქირავებულ მუშებთან ერთად, მათ შეუძლიათ ბაზარზე იმდენი ღვინის გატანა და მისი გაყიდვით ისეთი მნიშვნელოვანი თანხის მიღება, რომ [...] ხშირად ბატონსაც კი ასესხებენ ფულს.

მეფისნაცვალ ვორონცოვის მოხსენებიდან იმპერატორისადმი, 1851

მინდოდა გამეხსნა თბილისში ლითონის ჩამოსასხმელი წარმოება. 1850 წელს ნება დავრთე თბილისში მცხოვრებ მექანიკოს შტიუსეს, მიეზომა მიწა და მივეცი ჩემს განკარგულებაში არსებული თანხებიდან 10 ათასი მანეთი. ამ საწარმოს შენობა დამთავრებულია და ეს თავდება სესხისა. საზღვარგარეთიდან გამოწერილია ზუსტი ნაკეთობის მანქანები. ქარხანა მიმდინარე წელს

უკვე ამოქმედდა. ამას გარდა, ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მუშაობს თუჯის ქარხანა, რომელიც ეკუთვნის არტილერიის პოლკოვნიკ ყორღანოვს.

გიორგი წერეთელი, “ამ დროის მოძრაობა”, 1873

საცა არ გაიხედავ, ყველგან ნიშნავ უცხო ამბებსა ამ ჩვენს პაწაწინა ქვეყანაში. მიხვალ სურამის სტანციაზე და იქ დაგიხვდებიან იმერლები, რომელნიც გზაზე გადასარბენ ცეცხლის ეტლს ეშმაკივით ებლაუჭებიან და როგორც უნდათ და საითაც უნდათ, იქით წაიყვანენ. იქვე გადმოხვალთ ცეცხლის ეტლითგან და შეხედავ მეკურტნივებს... “ბატონო, მიბოძეთ თქვენი ბარგი, მოვიკიდებ ზურგზე და გასტინიცისკენ გაუშვები” – ეს გურულებია. ოი, დიდება შენთვის, ღმერთო, გურული და მეკურტნი, ეს რა ამბავია. გურულს იარაღი ხელში და წინ მტერი, – აი მისი საქმე... უწინ რომ გურულისათვის კურტანი მიგეცა, თოფს გესროდა; ახლა კი თვითონ გეხვეწება, მიბოძე, მე წავიღებო, და თან კურტანსაც იკიდებს. გახვალ ბაზარში და შეხვალ ცეცხლის გემზე. იქ მატროსი ვინ არის? მეგრელი ან იმერელი... იქიდან ჩაჯდები ცეცხლის ეტლში და წამოხვალ. გზაზე ხონელი მიდის, ძარში ქათმები დაუმწყვდევია და კალათები კვერცხებით აქვს სავსე. სად მიხვალ? – ვუუბნები – ტფილისში ვიახლებით, საქმეც მაქვს და სავაჭროცო. ტფილისში მიხვალ, მიიხედავ-მოიხედავ, გაეცნობი, ყველგან ლიხის მთის იქით მცხოვრებლებს ხედავ, რკინის გზა თითქმის იმერეთის ხალხისათვის გაეკეთებინოსთო, თითქოს მხოლოდ იმათ სცენეს იმისი სარგებლობა, ეცენ და ამის საშუალებით ტფილისი თავის სავაჭრო ქალაქად გახადესო. ისინი დღითიდღე მრავლდებიან ტფილისში და ტფილისის ბაზარში ამრავლებენ საქართველოს მიწა-წყლის ნაწარმონებს და აღიდებენ აღებმიცემობას... რკინის გზამ ამ ხალხს მისცა საშუალება ტფილისში მოგზაურობისა და იქ აღებმიცემობის დაწყებისა. მართალია, ჯერ სამი წელიწადი არ გასულა, რაც რკინის გზა გაიხსნა, მაგრამ იმერლები ერთი-ორად გამრავლდენ ტფილისში.

ივანე ჯავახიშვილი, “პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში”

მთავარმართებელი, რომელმაც ბევრი არაფერი იცოდა ადგილობრივი ცხოვრების პირობების შესახებ, საქმეში თავისი უადგილო ჩარევითა და რეგლამენტირებით, ხშირად სრულიად ზღუ-

დავდა საზოგადოებრივ და ეკონომიკურ საქმიანობას. მაგალითად, ერთი ოფიციალური დოკუმენტი იუწყება, რომ "კერძო პირების მიერ ადგილ-მამულებით ვაჭრობა და დაგირავება მეტისმეტად შეზღუდულია. საქართველოს მთავარმართებელმა, გენერალმა ერმოლოვმა, ამ საკითხთან დაკავშირებული კანონების სრული დარღვევით, სამართლისა და სასჯელის ექსპედიციას უბრძანა, არ შეეღვინა ნასყიდობის აქტი, სანამ გასაყიდი და დასაგირავებელი ადგილ-მამულის კუთვნილების თაობაზე გამოძიება არ ჩატარდებოდა და მისი შედეგები საქართველოში ყველა მცხოვრებს არ ეცნობებოდა. ყიდვა-გაყიდვისა და გირაოს საკითხებთან დაკავშირებული მსგავსი ოპერაციები ხშირად თითქმის ათი წელი გრძელდებოდა ხოლმე; ხდებოდა, რომ მყიდველები და გამყიდველები უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ, ანდა, აქტების შედგენის მაგივრად, გაჩნდებოდა სადავო საქმეები. თავის მხრივ, უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოში რევიზიისათვის რომ ჩამოდიოდნენ და ადგილობრივ ვითარებასა და თავისებურებებს სულაც არ იცნობდნენ, კიდევ უფრო მეტ არევ-დარევას შეჰქონდათ საქმეში და მდგომარეობას მეტად ართულებდნენ.

დიუკრუასი, "ამიერკავკასიის მხარის საგარეო ვაჭრობის შესახებ"

შელავათიანი ტრანზიტის მოქმედების პერიოდში ამიერკავკასიის ვაჭრები კაპიტალით ჯერ კიდევ ღარიბნი იყვნენ და თანაც ევროპული ვაჭრობის პრაქტიკული ცოდნა აკლდათ... მათ არც ევროპული ენები იცოდნენ და არც საუაჭრო კავშირი ჰქონდათ ევროპასთან, მაგრამ ისინი მანაც მიემგზავრებოდნენ საქონლის შესაძენად ლაიფციგის ბაზარზე, აგრეთვე ტრიესტში, მარსელში და ევროპის სხვა ქალაქებში... თბილისის ვაჭრებმა სპარსელებს პირველებმა გააცნეს ევროპის მანუფაქტურული მრეწველობის ის საგნები, რომლებითაც ახლა გავსებულია სპარსეთის ბაზრები და რომლებიც იქ სახალხო მოთხოვნილების საგნებს წარმოადგენს.

თავი 10

მეცხრამეტე საუკუნის შუალედი

რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ქართული მიწების ოკუპაციის დაწყებისთანავე გადაწყვიტა, დაპყრობილი ტერიტორიების მართვა რუსი დიდმოხელეებისათვის მიენდო, ხოლო ადგილობრივი თავადაზნაურობა შეძლებისდაგვარად ჩამოეშორებინა ქვეყნის გამგებლობისაგან.

1840 წლის 10 აპრილის კანონით დაიწყო მთელი ამიერკავკასიის ხელახალი ადმინისტრაციული გადანაწილება. ტერიტორია თავდაპირველად დაიყო ორ ძირითად ერთეულად: საქართველო-იმერეთის გუბერნიად (რომელშიც, ისტორიული ქართული მიწების გარდა, შედიოდა ელიზავეტოპოლის, ალექსანდროპოლის, ერევნისა და ნახიჩევნის მაზრები) და კასპიის ოლქად. დაყოფა იმდენად ხელოვნური იყო, რომ მალე მიწები ხელახლა გადანაწილდა. 1846 წელს ჯერ ეს ორი ადმინისტრაციული ერთეული დაიყო ოთხად: ტფილისის, ქუთაისის, შემახისა და დარუბანდის გუბერნიებად, ხოლო 1849 წელს კიდევ ცალკე ჩამოყალიბდა ერევნის გუბერნია.

ამგვარი ეტაპობრივი ცვლილებები დაკავშირებული იყო იმ ახლებურ პოლიტიკასთან, რომელსაც 1840-იანი წლებიდან ახორციელებდა რუსეთის ხელისუფლება. 1840 წლის კანონით, ამიერკავკასიაში შეიქმნა სამსაფეხუროვანი ადმინისტრაციული სისტემა (მხარე, გუბერნია-ოლქი, მაზრა). ეს საიმპერიო ხელისუფლებას შესაძლებლობას აძლევდა, უფრო მოხერხებულად ემართა ადგილობრივი მოსახლეობა. მთელი ყურადღება გადატანილი იყო, ერთი მხრივ, მართლმსაჯულების აღსრულებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, გადასახადების სწრაფ, ეფექტურ და უდანაკარგო ამოღებაზე.

კავკასიის მთავარმართებელს გაცილებით მეტი უფლება ჰქონდა, ვიდრე ცენტრალური რუსეთის ნებისმიერ გენერალ-გუბერნატორს. მას შეეძლო, იმპერატორის უშუალო ნებართ-

ვის გარეშე, ადგილზევე მიეღო და აღესრულებინა საკუთარი გადაწყვეტილებანი.

საგანგებო დადგენილების მიხედვით, თბილისში, როგორც კავკასიის მხარის ცენტრში, შეიქმნა "საზოგადოებრივი მმართველობა", რომელიც შედგებოდა ქალაქის თავისა და ექვსი ხმოსნისაგან. ქალაქის თავს ქალაქის მთელი მოსახლეობა ირჩევდა, ხოლო ხმოსნებს – მხოლოდ უძრავი ქონების მფლობელები, ვაჭრები და ხელოსნები, რომლებიც – სწორედ ისინი – თავიანთი რიგებიდან ირჩევდნენ ოცდაათ კაცს, რათა მათ მონაწილეობა მიეღოთ და თვალყური ედევნებინათ გადასახადების აკრეფისა და მათი გადანაწილებისათვის. 1841 წლის დასაწყისში შეიქმნა სახაზინო პალატა, საგუბერნიო და სამაზრო საერობო კომიტეტები.

ამ რეფორმების შედეგად გაიზარდა სამოხელეო აპარატი. საჯარო მოხელეები არცთუ კეთილად იყვნენ განწყობილნი ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. ამას ისიც ემატებოდა, რომ საქმის წარმოება თითქმის მთლიანად რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რაც გაუგებარი იყო არა მხოლოდ უბრალო ხალხისათვის, არამედ თავადაზნაურობისათვისაც. ამის შედეგად გაიზარდა საქართველოს მოსახლეობის უკმაყოფილება, რასაც 1841 წელს გურიის, 1842 წელს – თელავის, ხოლო 1845 წელს – სამაჩაბლოს გლეხთა აჯანყებანი მოჰყვა.

დადგენილი არაა, თუ რა იყო გურიის აჯანყების ნამდვილი მიზეზი: ახალი საგადასახადო სისტემა, რუსულ ენაზე მოქმედი სასამართლო თუ გავრცელებული ხმები ხელისუფლების მიერ საყოველთაო სამხედრო სამსახურის შემოღების შესახებ.

აჯანყება 1841 წლის 12 მაისს დაიწყო და თავდაპირველად აჯანყებულებმა მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვეს. ივლისის ბოლოსათვის მათ ხელში გადავიდა გურიის ყველა სტრატეგიული ადგილი. მალე შეამბოხე გურულებმა, ბესიკა აბესაძის მეთაურობით, დაამარცხეს პოლკოვნიკ ბრუსილოვის რაზმი. აჯანყებულებმა ორჯერ სცადეს ხელში ჩაეგდოთ ოზურგეთი, მაგრამ მცდელობა ორჯერვე უშედეგოდ დამთავრდა. პირველ სექტემბერს შუალამით მათ შესამედ და უკანასკნელად შეუტყეს ოზურგეთს, თუმცა ბრძოლა მოჯანყეთა დამარცხებითა და მათი მხრიდან მძიმე დანაკლისით დამთავრდა.

ხელისუფლებამ აჯანყების ჩასახშობად დამატებითი ძალები გაგზავნა – როგორც რეგულარული ჯარის ნაწილები, ისე იმერელი, გურული და მეგრელი თავადაზნაურობის სამხედრო შენაერთები, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ დავალებას. ეს იყო პირველი მნიშვნელოვანი სამხედრო დაპირისპირება მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში, როცა ქართველი თავადაზნაურობა გლეხობას დაუპირისპირდა და იარაღით ხელში დადგა რუსეთის იმპერატორის მხარეს.

1812 წლის კახეთის აჯანყებისაგან განსხვავებით, ქართველმა თავადაზნაურობამ ამჯერად უკვე თავისი ნებით გაილაშქრა ქართველი გლეხობის წინააღმდეგ.

მართალია, გურიის აჯანყება მარცხით დამთავრდა, მაგრამ მან თავისი მნიშვნელოვანი შედეგი მაინც გამოიღო. სახელმწიფო კომისიამ, რომელიც საგანგებოდ შეისწავლა აჯანყების მიზეზები, დაადგინა, რომ ქვეყანაში სრული განუკითხაობა სუფევდა, სახელმწიფო მოხელეები ხშირად უკანონოდ და თვითნებურად მოქმედებდნენ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ სასამართლო თუ სამოქალაქო საქმეების წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, – ენაზე, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას არ ესმოდა. კომისიის რეკომენდაციით, აუცილებელი იყო ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის გაუმჯობესება, მათი ჩართვა ადგილობრივ სახელმწიფო სისტემაში, რითაც ისინი რუსეთის იმპერიის სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძნობდნენ თავს და განკერძოების თუ გამოყოფის სურვილი ნაკლებად გაუჩნდებოდათ.

ის სასტიკი განაჩენი, რომელიც აჯანყების მონაწილე ორმოცდაათ ადამიანს სასამართლომ გამოუტანა, იმპერატორმა არ დაამტკიცა.

1844 წელს კავკასიის ჯარების სარდლად და მთავარმართებლად – მეფისნაცვლად – დანიშნა მიხაილ ვორონცოვი. მის სახელს უკავშირდება ბრძოლა ჩეჩნეთისა და დაღესტნის წინააღმდეგ და მათი დაპყრობა რუსული ჯარების მიერ. მისი მმართველობის ხანა სრულიად გამორჩეული იყო საქართველოსათვის. იგი ცდილობდა, გული მოეგო მაღალი ფენის ქართველებისათვის და, წინამორბედთაგან განსხვავებით, სასტიკი რეპრესიების ნაცვლად, უპირატესობას ანიჭებდა ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ “ღათობა-დაყვავე-

ბის" პოლიტიკას. იგი განსაკუთრებული მონდომებით უწყობდა ხელს ქართველთა შორის კულტურული საქმიანობის გაღვივებას: მის დროს დაარსდა პირველი ქართული ჟურნალი "ცისკარი", ქართული თეატრი, ბიბლიოთეკა, კავკასიის მუზეუმი. მისივე ინიციატივით, ყოველწლიურად ასორმოცი ქართველი ახალგაზრდა იგზავნებოდა სასწავლებლად რუსეთში. 1853 წელს ვორონცოვი, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, გადადგა თანამდებობიდან. საქართველოში მიხაილ ვორონცოვის საქმიანობის შეფასებანი როგორც ქართველების, ისე რუსების მხრივ სრულიად განსხვავებული და საპირისპირო აღმოჩნდა. თუმცა ვორონცოვის მმართველობის შემდეგ საქართველოში ნახევარსაუკუნოვანი შიდა მშვიდობის ხანა ჩამოდგა, ანტირუსულ მოძრაობათა ძალა სრულიად დაიშრიტა და ამოიწურა.

დანართები

სარგის კაკაბაძე, "ქართველი ხალხის ისტორია:
1783-1921"

საერთოდ, განწყობილება თბილისში და საქართველოში თვით რუს მაღალ მოხელეებსა და ქართველ თავადებს შორის ურთიერთისადმი ნდობა არ იყო. ფრანგი გრაფი სიუზანე თბილისში გენერალ გოლოვინის დროს, 1840 წლის ახლოს, გადმოგვცემს თბილისის საზოგადოების შესახებ შემდეგს: "[...] თავადების ოჯახები საქართველოში, მცირერიცხოვანნი და ნაკლებ შეძლებულნი იშვიათად უშვებენ რუსებს თავიანთ შინაურ ცხოვრებაში. ისინი ხანდახან, და ისიც საკმაოდ გრძელი ხარვეზების შემდეგ, აწყობენ თავისთან მხოლოდ ზეიმებს, რომელზედაც იწვევენ მთავარმართველს. მე დავესწარი ერთ ასეთ სადილს, მონოტონურს და სერიოზულს, როგორც არის ყველა ასეთი სადილი, რომლებზეც ქართველები იძულებული არიან იქონიონ კონტაქტი რუსებთან. ამ ორი ხალხის ხასიათი იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მათ შორის იმდენად ცოტაა ურთიერთსიმშაბათიები, რომ ჩემთვის გაუგებარი იქნებოდა, თუ ისინი ეცდებოდნენ, გამოენახათ დაახლოვების საბაბები".

ხალხური ლექსი

გურია აბუნტებულა,
 აღარ მოსწონთ ძველი წესი,
 აღარც თავად-აზნაურობა,
 აღარც ბერი და ხუცესი...
 თავადზე და აზნაურზე
 სწორედ გულს კი გვაკლია,
 იძახიან, "უფროსი ვართ",
 ჩვენ არასფერს გვარგია.
 რა უჭირს, რომ იმუშაოს,
 ხელი ხომ კი აბია?!
 მის მამულში რა მოდის,
 რომ შეიტყოს, კარგია, –
 ასე უსამართლობით
 ვერ გაავსებთ ნალიას!
 თქვენზე უფრო შევეწყობით
 ჩოლოქს გაღმა ალიას!

ნიკოლოზ პირველის ბრძანება, 1841

ასეთი მოწყალება იმ პირებისადმი, რომლებიც ამ საქმეში დამ-
 ნაშავეებად გადიან, არა მარტო აღავესებს მათ გულებს მაღლი-
 ერებითა და მოწიწებით მოწყალე მონარქის მიმართ, არამედ მათ
 ყველა თანამემამულესაც შთააგონებს წმიდად შეინახონ მათ მიერ
 ჩვენთვის მოცემული ურღვევი ფიცი და ერთგულად ემსახურონ
 მეფის ტახტსა და სამშობლოს.

ეგნატე ნინოშვილი, "ჯანყი გურიაში", 1889

გურიაში ჯანყის დაცხრომიდან მეორე შემოდგომა იდგა... გურიის
 გლეხკაცები ერთგულად დასტრიალებდნენ თავიანთი ბატონის ყა-
 ნებში და რთველზე. იმათი მხიარული "ხელხევაი" და "აბა დელა"
 ზარივით გაისმოდა არემარეში. ახლა ვის რა ენაღვლებოდა, რომ
 ამ უგუნურმა აჯანყებამ, რომელიც ამ გლეხებმა იმ ერთი წლის
 წინათ მოახდინეს, იმსხვერპლა ბევრი ადამიანი. ვის რა ენაღვლე-
 ბოდა, რომ იმ ჯანყის გამო ციმბირში გაგზავნეს გურიაში შესანიშნა-
 ვი ვაჟკაცი თავადი ამბაკო შალიკაიშვილი. ვის რა ენაღვლებოდა,
 რომ საპყრობილეში ცუდი ჰაერისაგან დაღუპა და დაიხოცა რამ-

დენიმე კაცი, “ბუნტოვჩიკად” წოდებულნი. ვის რა ენაღვლებოდა, რომ ისინი, ვინც თავის დასათარავად ყაჩაღად გავარდნენ, დახოცილ იქნენ თავისივე მოძმის ღალატით და ტყვეით. ვის რა ენაღვლებოდა, რომ გურიაში გაჩნდნენ ერთგვარი დაბეზღების მოხელე ადამიანები, რომლებიც ფულის და ჯილდოს გულისთვის ღუპავდნენ მართალ, უდანაშაულო ადამიანებს. ვის რა ენაღვლებოდა, რომ დახოცილთა ნათესავები უნუგეშოდ მტირალნი დარჩნენ. ის გლეხები, რომლებიც უვნებლად მორჩნენ ჯანყს, სრულიად კმაყოფილი იყვნენ თავისი ხვედრისა, ახლა სრულიადაც საძნელოდ არა სთვლიდნენ ბატონების სამსახურს და იმ მცირეოდენ გადასახადს, რომელზედაც მათ ხელი მოაწერინეს ჯანყის დაქხრომისთანავე. გასულ წელს მათ მიერ მომხდარი აჯანყება გლეხების ხსოვნაში აჩრდილივით დარჩენილიყო მოგონებად მათ და მათ მოწინააღმდეგეთა შორის შეტაკებისა, რომელსაც ხანდახან ზღაპრავით უამბობდნენ თავიანთ ცოლ-შვილს.

აკაკი წერეთელი, “ასის წლის ამბავი”

მოსამართლებად ნიშნავდნენ
ვიღაცა ოხერ-ტიელსა,
ენის და ხალხის უმეცარს
მურვან-ყრუ გადამთიელსა.
მათ მოსპეს სამსჯავროებში
ქართულ ენაზე ბაასი
და რუსულ ენის არმცოდნეს
ჭირი დაერთო ათასი:
უნდა ეშოვნა სხვა ვინმე
მოლაპარაკე რუსულად,
რომ მისი ჭირი, ვარამი
მას გადაეცა სულ სრულად.
როგორც პირუტყვი, ერთი რამ
საბრალო ძაღლი, გოშია
იდგა უსიტყვოდ მსაჯულთან
ქართველი სამსჯავროშია.
იქ სრულდებოდა ფორმები,
სხვას რას დასდევდა მსაჯული?
სულ ერთი იყო! ჩალა-ბზგედ
მიაჩნდა ხალხი ტანჯული!

მიქელ თამარაშვილი, "ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე"

რუსეთის მთავრობა საქართველოში დაფუძნების დროიდან გამუდმებით ეძებდა გზებს მისიონერების თავიდან მოსაშორებლად. იგი ვერ იტანდა თავის იმპერიაში უცხო სასულიერო პირების ყოფნას, მათ პირდაპირ კავშირს რომთან... პეტერბურგმაც გადაწყვიტა, თავისი გეგმები სისრულეში მოეყვანა და მისიონერებს ისეთი მიუღებელი პირობები დაუწესა, რომ ველარ შეძლებოდათ საქართველოში დარჩენა. საბოლოოდ, მისიონერებს იმპერატორის მიერ ხელმოწერილი დადგენილება მოუვიდათ: ქვეყნიდან მათ უცილობელი გაძევების ბრძანება. უკიდურეს განსაცდელში ჩავარდნილებმა ყველაფერი იღონეს, რომ საქართველოში დარჩენილიყვნენ. თვით გენერალ-გუბერნატორმა ყოველნაირად სცადა, მისიონერებს დახმარებოდა, მაგრამ ამაოდ. 1845 წლის დამდეგს ისინი საქართველოდან გააძევეს.

მიხაილ ვორონცოვის საუბრიდან ღიმიტრი ყიფიანთან

– მიყვარს ის ხალხი, რომელსაც ძველად კულტურა ჰქონდა! ქართველების მწერლობა მაშინ ყოფილა ყვავილოვან მდგომარეობაში, როცა ჩვენ სლოვანები ხსენებაშიაც არ ვყოფილვართ. ქართველებს კი ჰქონდათ თავისი მდიდარი ენა, საკუთარი ეროვნული ცხოვრება, რჯულისდება, სარწმუნოება და სხვანი. მე მსურს, რომ ეს ბედნიერი წარსული აღვუდგინო და მომავლისათვის აწმყოში წავიყვანო ისინი საევროპიო სწორი გზით... დროის შესაფერისი მივსცე სწავლა-განათლება და, სხვათა შორის, დავუარსო ჟურნალ-გაზეთები და სცენა...

გრიგოლ ორბელიანის წერილი მიხაილ ვორონცოვის მიმართ, 1854

გადასწყდა ბედი საქართველოსი: აღარ უბრუნდებით, თქვენო უგანათლებულესობავ, ქვეყანას, რომელიც მუდამჟამს კურთხევით გიგონებთ და რომელიც მხოლოდ თქვენის მამობრივის მზრუნველობით აღსავსე ბრწყინვალე მართვა-გამგეობის დროს ეღირსა აყვავებასა და ადამიანურს ცხოვრებასა!

აკაკი წერეთელი, "ვორონცოვის ძეგლი"

ის იყო ადამიანი,
ნამდვილი სულით, გულითა,
მდიდარი... მისი მოსყიდვა
არვის შეეძლო ფულითა.

და აი, რისთვის უყვარდა
მამაშვილურად მას ერი
და შერჩენოდა უნდოდა
მას ძველებური ელფერი.

სწამდა, რომ ძმობა-ერთობის
კავშირი სიყვარულია
და ძალადობა ყოველგვარი
უნაყოფო და კრულია...

სული ვიბრუნვით იმის დროს,
მივენდვეთ სიხარულითა...
ვიწამეთ ძმობა-ერთობა
წრფელის სულით და გულითა...

არჩილ ჯორჯაძე, "მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის"

ვორონცოვის დანიშვნა კავკასიის ნამესტნიკად ფრიად სასარგებლო და გამოსადეგი გახდა ქართული ახალი კულტურის აღორძინებისათვის. მიძინებული ერი თითქოს გამოფხიზლდა და დებორგანიზაციაში მოყვანილი საზოგადოებრივი სხეული გამართელების და განკურნების იმედმა შეიპყრო [...]. ვორონცოვის ხანა განსაკუთრებული ხანა იყო ჩვენში. არც წინათ, არც შემდეგში მის მსგავს მოვლენას არ ვხედავთ. ვორონცოვის პოლიტიკა იყო სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ამაოდ ეძებდა რუსეთის მმართველობის წრეში ქართველთა პოლიტიკური აზროვნება. ერთგულება და მჭიდრო კავშირი რუსეთთან, ხოლო ნაცვლად ამისა ქართველების ეროვნულ-კულტურული აღორძინების უზრუნველყოფა რუსეთის მფარველობის ქვეშ. ვორონცოვის ხანამდე მხოლოდ პირველ ნაწილს

ამ პოლიტიკური ფორმულისას მიეცა რეალური ხასიათი, ხოლო მეორე ნაწილი კი ოცნება იყო და განუხორციელებელი წადილი. ვორონცოვმა პირველმა გაბედულად გამოაცოცხლა ეს დღემდე განუხორციელებელი იმედი. ქართველთა ეროვნული კულტურა რუსეთის მფარველობის ქვეშ – ეს ოცნება რეალობად იქცა და ფერმიხდილი წადილი ბრჭყვიალა ფერადებით შეიმოსა.

თამაზ ჯოლოგუა, “ქართული ჟურნალისტიკის ისტორია”

მიხაილ ვორონცოვი ხაზგასმით გამოხატავდა პატივისცემას ქართული ენის, ქართველი ხალხის ისტორიის, კულტურის, ადათ-ჩესებისა თუ ზნე-ჩვეულებების მიმართ. ამის გამო მისი “კავკასიური პოლიტიკისადმი” დამოკიდებულება არც მეფისნაცვლის სიცოცხლეში, არც მისი სიკვდილის შემდეგ რუსეთის პოლიტიკურ წრეებში არ ყოფილა ერთგვაროვანი. ასე, მაგალითად, დიდად გავლენიანი ფიგურა რუსეთის პოლიტიკურ წრეებში და არსებითად რუსული დიდმპყრობელურ-შოვინისტური იდეოლოგიის მეთაური 1860-1880 წლებში მიხაილ კატკოვი (სხვათა შორის, დედით ქართველი – თულაშვილი) ვორონცოვს უწოდებდა ლიბერალიზმის სახელით რუსეთის ნაციონალური ინტერესების უგულვებელმყოფელს, არარუსული თვითშეგნებისა კავკასიაში სეპარატიზმის წამახალისებელ მმართველს და პირდაპირ სდებდა ბრალს რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების ღალატში; ამასთანავე, ამტკიცებდა: სწორედ ვორონცოვის პოლიტიკამ აქცია კავკასიაში რუსი დამცირებულ და შეურაცხყოფილ, არსებითად მეორეხარისხოვან ადამიანად.

აკაკი წერეთელი, “სავარცხელი”

ძველი დრო სულ სხვა დრო იყო,
 არ გვახსოვს რა მაგისთანა!
 ის დრო იყო კურთხეული,
 ვორონცოვის დრო და ხანა!

ალექსანდრე ორბელიანის ჩანაწერებიდან

ერთობ ქართველებსა აგრე ეგონათ, საქართველოში სულ ეს ამბავი ასე დარჩებოდა, იმისთანა ჯილდოები, იმისთანა განცხ-

რომა-შექცევანი, იმისთანა თეატრ-ლიტერატურობა, იმისთანა თავისუფლებანი და ამიტომ ვორონცოვის სახელს აღიღებდნენ: ეს რა ღვთიური კაცი მოგვივიდაო. მაგრამ მე კი ზედმიწევნით ვიცოდი, ესეები სულ მოჩვენება იყო ვორონცოვისაგან, რომ საქართველოს ხალხი გართულები იყვნენ დროებითად ამაებში, და მთავრობაზედ ცუდი ფიქრი აღარაგის აღარ ჰქონდეს, ამისთვის რომ ვორონცოვის დროს შამილი და დაღესტანი გაძლიერებული იყვნენ; ქართველების ეშინოდა, მაგრამ ვორონცოვმა იმ თავისი ცბიერული გონებით ესეები სულ ჩაშალა, და ბოლო დროს ისევ იმ მონობაში დარჩნენ ქართველები, როგორც ადრე იყვნენ, – რუსებისა.

ვახტანგ კოტეტიშვილი, “ქართული ლიტერატურის ისტორია”

“ვორონცოვის ხანა” უნდა ჩაითვალოს იმ სისტემური რეაქციის ეპიზოდად, რომელსაც მეფის რუსეთი აწარმოებდა საქართველოს მიმართ. ვორონცოვს მხოლოდ ის “დამსახურება” მიუძღვის, რომ მან გამოიჩინა დიპლომატიური უნარი და მოქნილობა, რისი საშუალებითაც თავისი პოლიტიკის ბადეში მოაქცია ქართული არისტოკრატიის დიდი ნაწილი. ვორონცოვმა დიდი სამსახური გაუწია რუსეთს, მაგრამ რა მფარველობა გაუწია საქართველოს, – არა ჩანს. მართალია, მან ენერგიულად მოკიდა ხელი ჩვენს ქვეყანას, კულტურას თითქოს სათავეში ჩაუდგა, მაგრამ იგი თავის საქმეს აკეთებდა. და თუ ზოგჯერ ქართულ საქმესაც გადამოხედავდა, ეს იყო თვალის ახვევა და შირმა.

თავი 11

ქართული მიწების სრული ოკუპაცია

იმერეთის სამეფო უკვე გაუქმებული იყო და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, როცა სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები ისევ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. თუმცა, ამავე დროს, რუსები თანდათანობით სულ უფრო მეტად ზღუდავდნენ ამ სამთავროთა თვითმმართველობას (მაგალითად, 1840 წელს სამეგრელოს მთავარს ჩამოერთვა ზღვის სანაპირო ზოლი და სამურზაყანო). რაკი რუსეთს განუწყვეტელი პოლიტიკური თუ სამხედრო დაპირისპირებები ჰქონდა თურქეთთან, მისთვის იმუშაოდ უფრო ხელსაყრელი იყო ამ სამთავროთა თუნდაც ფორმალურად დამოუკიდებელი არსებობა და მათი გამოყენება თურქეთის წინააღმდეგ.

1853 წელს რუსეთმა თურქეთს ომი გამოუცხადა. სამხედრო შეტაკებები კავკასიაშიც გაჩაღდა. ომის დროს თურქეთის ჯარი გურიაში შეიჭრა. ქართულ-რუსულ გაერთიანებულ ჯარს გურიის დატოვება მოუხდა და ოზურგეთი თურქებმა დაიკავეს. ამასთანავე, რუსეთი იძულებული გახდა, აფხაზეთიდანაც გაეყვანა ჯარი. თურქებმა საზღვაო დესანტი გადასხეს ბათუმში, ქობულეთში, ანაკლიაში, სოხუმში. ცოტა ხნის შემდეგ თურქები სამეგრელოსაც აკონტროლებდნენ. მაგრამ რუსეთ-თურქეთის ზავის შედეგად, თურქეთმა მაინც დატოვა გურია, სამეგრელო და აფხაზეთი, თუმცა ეს მხარეები გაპარტახებული დარჩა.

სამეგრელოში, რომელიც ყველაზე მეტად გაჩანაგდა ომის დროს, ბატონებმა ზარალის ანაზღაურება გლეხების ხარჯზე მოინდომეს. ამ ჩაგვრას კი შედეგად მოჰყვა გლეხთა მღელვარება, რომელიც მთელ სამეგრელოს მოედო. ამბოხებას სათავეში ჩაუდგა მჭედელი უტუ მიქავა. 1857 წლის მაისში აჯანყებულებმა წარმატებას მიაღწიეს. მათ დაიკავეს დადიანების სასახლე ზუგდიდში. ამბოხებულ გლეხებს ქუთაისის გუ-

ბერნატორი კოლუბიაკინი შეხვდა. მიქავამ მას აჯანყებულთა სახელით მოსთხოვა, აღკვეთილიყო მოსახლეობის ძარცვა და დამცირება, ყმებით ვაჭრობა, თვითნებური გადასახადების აკრეფა. კოლუბიაკინმა პირობა დადო, რომ გლეხთა მოთხოვნები დაკმაყოფილდებოდა. აჯანყებულები დაიშალნენ, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ რუსი მოხელე დანაპირების შესრულებას არ აპირებდა. ამბოხება, რომელმაც უკვე ეროვნული წინააღმდეგობის ხასიათი შეიძინა, 1857 წლის აგვისტოში ისევ განახლდა. რუსეთის ჯარმა შეუტია აჯანყებულებს, რომელთა დამარცხების შემდეგ უტუ მიქავა და ამბოხების სხვა მეთაურები მკაცრად დასაჯეს.

1856-1857 წლების აჯანყება რუსეთის ხელისუფლებამ საბაბად გამოიყენა სამეგრელოს სამთავროს გასაუქმებლად. რუსებმა სცადეს, დაეყოლიებინათ დადიანის ქვრივი, სამეგრელოს დედოფალი, ეკატერინე ჭავჭავაძე, სამთავრო გაეუქმებინა და პეტერბურგში გადასახლებულიყო. თუმცა მას არ უნდოდა რუსეთის ხელისუფლების ნებას დაჰყოლოდა. მაშინ 1857 წლის 26 სექტემბერს რუსებმა სამეგრელოში "დროებითი მმართველობა" გამოაცხადეს. სამთავროს მმართველად კოლუბიაკინი დაინიშნა. ათი წლის შემდეგ მთავრის შემკვიდრემ, ეკატერინეს ვაჟმა ნიკოლოზ დადიანმა, "ნებაყოფლობით" უარი განაცხადა ტახტზე. სამეგრელოს სამთავრო გაუქმდა.

ჯერ კიდევ 1834 წელს გამოცხადდა, რომ სვანეთის სამთავრომ რუსეთის მფარველობა აღიარა, თუმცა, დანარჩენ ქართულ სამთავროთაგან განსხვავებით, სვანეთი თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ახერხებდა დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანწილად შენარჩუნებას. ამ მხრივ გამორჩეული იყო 1841-1857 წლები, როდესაც სვანეთს მართავდა უკანასკნელი მთავარი კონსტანტინე (მურზაყან) დადემჭელიანი. იგი არც ბატონყმობას ურიგდებოდა და არც რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას, რაც რუსეთის საიმპერატორო კარის დიდ გაღიზიანებას იწვევდა.

1855 წელს კონსტანტინემ თავის მმართველობას დაუმორჩილა თავისუფალი სვანეთის თემები და ერთგულებაზე დააფიცა ისინი. როცა 1856 წელს თურქმა სარდალმა ომერ-ფაშამ სამეგრელო დაიკავა, ამით ისარგებლეს სვანეთის მთავარმა და მისმა ძმამ – ალექსანდრემ. რუსეთის მეურვეობისაგან

სვანეთის დახსნის მიზნით, ისინი დაუკავშირდნენ ომერ-ფაშას, რომელმაც დახმარება აღუთქვა დადემქელიანებს. ძმებს მხარს უჭერდა, აგრეთვე, რუსთა მმართველობის მოწინააღმდეგე მიხეილ შარვაშიძე, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი. თუმცა ჩანათფიქრი, რომელიც დასავლეთი საქართველოს რუსეთისაგან გათავისუფლებას ისახავდა მიზნად, ვერ აღსრულდა. რუსეთ-თურქეთის ზავმა მთლიანად შეცვალა ვითარება, – ომერ-ფაშა იძულებული გახდა დაეცოვებინა დასავლეთი საქართველო.

რუსეთის ხელისუფლებასა და სვანეთის სამთავროს შორის ურთიერთობას ართულებდა ის გარემოებაც, რომ კონსტანტინე დადემქელიანმა სამთავროში არ შეუშვა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მიერ სვანეთში მივლენილი პრისტავი. იმავე ხანებში ქუთაისში ახალი გენერალ-გუბერნატორი დაინიშნა – თავადი ალექსანდრ გაგარინი, რომელსაც განსაკუთრებით სძულდა ქართველები. სწორედ მას დაევალა სვანეთის გაუტყეხელი მთავრის დამორჩილება.

რუსეთ-თურქეთის ომის დასრულების შემდეგ, 1857 წლის დამდეგს, რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა სვანეთის სამთავროს საბოლოო გაუქმება. 1857 წლის 11 სექტემბერს, მთავარმართებლის გადაწყვეტილებით, სვანეთის მთავარი, კონსტანტინე დადემქელიანი გადააყენეს. გადაწყდა მისი გასახლება ერევნის გუბერნიაში. მოტყუებით, თითქოსდა მოლაპარაკების მიზნით, იგი, ქუთაისში, გენერალ-გუბერნატორის რეზიდენციაში მიიწვიეს. კონსტანტინე დადემქელიანი კაბინეტში ეახლა გაგარინს. გენერალ-გუბერნატორმა მეფისნაცვლის გადაწყვეტილება გააცნო სვანეთის მთავარს. კონსტანტინეს აცნობეს, რომ მას უვადო გადასახლება ელოდა. მან გენერალ-გუბერნატორს მოახსენა, რომ ოჯახური მდგომარეობა არ აძლევდა ერევანს გამგზავრების საშუალებას და ითხოვა სამი თვის უნახავი ოჯახის მონახულებისა და საოჯახო საქმეების მოწესრიგების უფლება, ხოლო ამ საქმეების მოგვარების შემდეგ კი იგი ქუთაისში დაბრუნდებოდა და ეახლებოდა გაგარინს. გაგარინმა კატეგორიული უარი განუცხადა კონსტანტინეს და მთავრის განიარაღება ბრძანა. განრისხებულმა დადემქელიანმა სასიკვდილოდ დაჭრა გაგარინი, რომელიც ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა. კონსტანტინემ მახვილითვე

განგმირა გაგარინის რეზიდენციაში მყოფი სამი მოხელე. ამის შემდეგ დადემქელიანმა დატოვა გენერალ-გუბერნატორის კანცელარია. მას სურდა რიონის გადაცურვა, მაგრამ მდინარე აღიდებულ იყო. ამიტომ იქვე, ბაქრაძეების ოჯახს შეაფარა თავი. უანდარმერიის რაზმმა ალყაში მოაქცია სახლი და კონსტანტინე დაატყვევა. სვანეთის მთავარი გასასამართლებლად სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს. 31 წლის კონსტანტინე (მურზაყან) დადემქელიანი მეორე დღესვე, 1857 წლის 27 ოქტომბერს, დახვრიტეს. მისი ცოლ-შვილი რუსეთში გადაასახლეს, მამული კი ხაზინას გადაეცა.

ბოლო ქართული სამთავროს, აფხაზეთის, დამოუკიდებლობის გაუქმებასაც რუსეთი 1850-იანი წლებიდან შეუდგა. იმპერიას აშფოთებდა, რომ აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე თურქებთან თანამშრომლობდა. მაგრამ რაკი მთავარი რუსეთს ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან ბრძოლისათვის სჭირდებოდა, რუსეთ-თურქეთის ომის დასრულებამდე აფხაზეთის სამთავროს გაუქმების საკითხი არ წამოჭრილა.

1864 წლის 11 მაისს რუსეთის ჯარებმა ზეიმით აღნიშნეს კავკასიის ომის დასრულება. უმაღლვე რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გაეუქმებინა აფხაზეთის სამთავრო.

მეფისნაცვალს მიხეილს ურჩევდა, ტახტზე უარი ეთქვა. მთავარი მიხვდა, რომ მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და ნებაყოფლობით დათმო ტახტი, ოღონდ ერთი პირობით: იგი საცხოვრებლად აფხაზეთში უნდა დაეტოვებინათ. რუსეთის მმართველობა ამ პირობას დასთანხმდა. 1864 წლის ივნისში აფხაზეთის სამთავრო გაუქმდა. რამდენიმე თვის შემდეგ, დაპირების მიუხედავად, აფხაზეთის ყოფილი მთავარი რუსეთში გადაასახლეს. აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი 1865 წელს ვორონეჟში გარდაიცვალა.

დანართები

მეფისნაცვალ მიხაილ ვორონცოვის მიმართვიდან რუსეთის იმპერატორის მიმართ, 20 სექტემბერი, 1853

ამ ჩემს მოხსენებას თქვენს იმპერატორობითს უმაღლესობას ფეხქვეშ გავუგებ და გამოვითხოვ თქვენს უმოწყალებს ბრძანე-

ბას, უბოძოთ ინვესტიცურა განსვენებულის [დავით დადიანის] უფროსს ვაჟს და მის კანონიერ მემკვიდრეს, თავადის ნიკოლოზის სახელობაზე. ვკადნიერდები ამას დავსძინო თხოვნა: უკეთუ თქვენ, უმოწყალესო ხელმწიფეო, კეთილინებებთ და დაამტკიცებთ ნიკოლოზის დედას, თავად ეკატერინე დადიანს, თავისი შვილის მზრუნველად და სამეგრელოს დედოფლად, უმოწყალესად უბოძოთ წმიდა დიდმოწამის ეკატერინეს შირველი ხარისხის ორდენის კავალეროსანი დამობა. ეს უმდაბლესად მართმეული მოხსენებანი საუსებით ეთანხმებიან სიკვდილის წინათ გამოთქმულ სურვილს მთავრის დავით დადიანისას, რომელიც თავის სიცოცხლის უკანასკნელ წამამდე აღივსებოდა ცხოველის სურვილითა, განემტკიცებინა თვისნი ქვეშევრდომნი წმიდა სარწმუნოებაში, რომელიც კავშირია სამეგრელოსი მართლმადიდებელ რუსეთთან, ეს ნათესაობა უფრო გაეძლიერებინა და თავიანთ ქვეშევრდომთათვის ჩაეგონებინა იგივე გრძობანი რუსეთის ტახტისადმი უქვეშევრდომილეს ერთგულებისა, რომლითაც იგი მარადჟამ იყო განმსჭვალული.

თავად ჩერნიშევის მიმართვა მეფისნაცვალ ვორონცოვისადმი, 8 ოქტომბერი, 1853

ხელმწიფე იმპერატორმა წაიკითხა ქვეყნის ბრწყინვალეების უქვეშევრდომილესი რაპორტი სამეგრელოს მთავრის, გენერალ-მაიორის დავით დადიანის გარდაცვალების შესახებ, თანახმად თქვენი მოსაზრებისა, უმოწყალესად კეთილინება და ბრძანა: რადგან მთავრის მემკვიდრე, უფროსი შვილი მისი, თავადი ნიკოლოზი, მცირეწლოვანია, განსვენებულის ქვრივი, თავადი დადიანისა დაინიშნოს მზრუნველად შვილისა და სამეგრელოს დედოფლად, სანამ შვილი ოცი წლისა გახდებოდეს, ხოლო დამხმარეებად და მრჩეველებად მიეცეს: განსვენებულის ძმანი, რომლებიც იმყოფებიან ცალკე კავკასიის კორპუსთან: ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟუნსკის პოლკის პოლკოვნიკი თავადი გრიგოლ დადიანი და მისი იმპერატორობითი უმაღლესობის ხელმწიფის მემკვიდრის ატამანის პოლკის როტმისტრი თავადი კონსტანტინე დადიანი, აგრეთვე, ყოვლადსამღვდელო ჭყონდიდელი ზაქარია. ამასთანავე, მისმა იმპერატორობითმა უმაღლესობამ კეთილინება ებრძანებინა საინვესტიცურო გრამოტა გადაიგზავნოს თავად ნიკოლოზ დადიანის სახელობაზე. ამას-

თან ერთად, ხელმწიფე იმპერატორმა თვისის კეთილგანწყობის აღსანიშნავად კნეინა დადიანის მიმართ უმოწყალესად ინება ებოძოს მას წმიდა დიდმოწამის ეკატერინეს კავალერ ქალის პირველი ხარისხის ორდენი.

მეფისნაცვლის კანცელარიის სამეგრელოში წარგზავნილის, კ. ბოროზდინის, მოგონებიდან

29 აპრილს 1854 წელს მე ზუგდიდში მოვედი დედოფლის სასახლეში. კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში ვმსახურობდი და ამ კანცელარიის დირექტორმა გამომგზავნა დედოფლის მიწერ-მოწერის საწარმოებლად. ამასთან, აღმზრდელობა უნდა მეკისრა მისის შვილებისა ნიკოლოზისა და ანდრეასი. როცა ოთახში შემეყვანეს, სადაც ტახტზე ორი ლამაზნი, შუახნის მანდილოსანნი იხდნენ, ყოყმანი დავიწყე, – არ ვიცოდი, დედოფალი რომელი იყო. ალაღბედზე მივუბრუნდი იმას, რომლის სახე სათნოდ და გულკეთილობის გამოხატველად მეჩვენა, და შევსცდი, – ეს იყო ნინო გრიბოედოვისა; მაგრამ მან საჩქაროდ ხელით მანიშნა თავისი და, დედოფალი ეკატერინე...

სამეგრელოს მმართველად დანიშნულს დედოფალს ძალიან გაუჭირდა საქმე. იმის მაგიერად, რომ შვილები აღეზარდნა, უნდა ეზრუნა სამთავროს მართვისა და მამულის მოვლისათვის, რაიცა მისთვის სრულიად ახალი და უცნობი საქმე იყო. ქმრის სიცოცხლეში დედოფალი, ოჯახის საქმეთა გარეშე, არაფერში ერეოდა და თვით დავითიც არაფერში ურევდა, ამიტომაც იძულებული შეიქნა, ყველაფერი თავიდან ესწავლა და ისიც თავისით, რადგან მამლები ისეთ კაცებად ვერ სცნო, რომ მინდობოდა ყველაფერში და მათის რჩევა-დარიგებისათვის დაეჯერებინა.

ეკატერინე ჭავჭავაძის (დადიანის) მიმართვიდან ქუთაისის გუბერნატორის კოლუბიანიკისადმი, 1856

სამეგრელო მთლად აჯანყებულია. მე სრულებით არ შემძლია თავი გავართვა. გლეხები სულ თავს გავიდნენ. შეიარაღებული ბრბოები არ გვემორჩილებიან. თუ ღმერთი გწამთ, თქვენ თვითონაც მომეშველეთ, ნიკოლოზ პეტრეს ძევ, და თან წამოიყვანეთ სულ ცოტა 500 ყაზახი რუსი მაინც. მაშინლა შემძლეება აჯანყება

ჩავაქრო. ერთი წუთიც არ დაახანოთ. მე ქვაშხორში ვიმყოფები და ყოველი მხრიდან აჯანყებული გლეხები მარტყია. მიფარავენ ჩემი ერთგული თავადები.

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ გაგარინის მიმართვიდან
მეფისნაცვლისადმი, 1857

ყოველ დროს თავისი აუცილებელი მოთხოვნილებანი გააჩნია, რომელთა წინაშე ხელშეკრულებანი და დაპირებანი ძალას კარგავს. სამეგრელოსთვის კი, მე მგონია, ეს დრო დადგა.

იაკობ ბალახაშვილი, “გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე”

როცა სამეგრელოს სამთავროს გაუქმების საკითხი დაისვა, რუსეთის ხელისუფლებამ ეკატერინე ჭავჭავაძეზე სამოქმედოდ ნინოს მოშველება გადაწყვიტა. სამეგრელოს სამთავროს სალიკვიდაციოდ გაგზავნილი, მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, იპოლიტე ალექსანდრეს ძე დიუკრუასი სოფელ ქვაშხორიდან წერდა თავად ბარატინსკის: “თუ თქვენი ბრწყინვალეობა ინებებს და ბრძანებს, რომ მე სწორედ მაქვს წარმოდგენილი სამეგრელოს სამთავროს მომავალი ბედი, შეიძლება საჭიროდ დაინახოთ მოელაპარაკოთ ამაზე დედოფლის ნათესავეებს – ნინო ალექსანდრეს ასულ გრიბოედოვას და დავით ჭავჭავაძეს, რათა მათაც შეუერთონ თავიანთი რჩევა-დარიგება”. მეორე დღეს დიუკრუასი ატყობინებდა მთავარმართებელ ბარატინსკის, თითქოს ნინო უკვე გაემგზავრა სამეგრელოსკენ.

აკაკი წერეთელი, “მურზაყან შავსევდიანი (სვანური სიმღერა)”

მთვარე ერთია, ერთი მზე, მურზაყანც ერთადერთიო,
დალოცოს წმიდა გიორგიმ, მაღლით სწყალობდეს ღმერთიო,
დევეკაცსა ტანზე აუბამს ფოლაადის გული-მკერდიო,
აუსხამს რკინის გვერდები, რკინისვე ფიცარ-ფერდიო!
არწივს წაართვა თვალები, მუხლი მოუბამს მგლისაო,
მხარ-მკლავი ამირანისა, ამირან მძლეთამძლისაო,
შევარდენია მთა-კლდისა, ხოხობი ძვირ სოფლისაო,
დიდი მოსარჩლე პატრონი საბრალე ქვრივ-ობლისაო.

მურზაყანს წიგნი მოუდის: "მოყვრებმა დაგიბარესო!"
 მურზაყან, ფრთხილად იყავი, ნუ წახვალ უცხო მხარესო,
 ნუ დასცდი, ფეხს ნუ გადასდგამ სახლიდან ახალ მთავარესო,
 არ გილაღლატოს მარტოსა ფლიდებმა სხვისა კარესო.
 არ დაიშალა, ასე სთქვა: "სად არის ჩემი მტერიო!
 გაშიდიაცდნენ მეზობლონი, მნახონ, დაჰკარგონ ფერიო!..
 რომ მომეჯარონ, შევჰყვირო, გავფანტო როგორც მტვერიო,
 მათი მოყვრები ვატირო, იგლიჯონ თმა და წვერიო!"..
 დაიგვიანა მურზაყან, ცნობა მოვიდა ოდისო:
 "მურზაყან ბარად დაეცოვეთ, მანდ მთებში აღარ მოდისო!
 სახლი აიგო მიწისა, სახურავი აქვს ლოდისო,
 აქ ბარი "ვაის" იძახის... მთა "უის" იძახოდისო!..

სიმონ ჯანაშია, "გიორგი შარვაშიძე"

[აფხაზეთის მთავარს, მიხეილს,] განსაკუთრებული რესკრიპ-
 ტით გამოუცხადეს, რომ იმპერატორმა ინება აფხაზეთის მთავ-
 რის მის მოვალეობათაგან განთავისუფლება, და რომ მიხეილმა
 უთუოდ უნდა დატოვოს აფხაზეთის ტერიტორია... ამ სისასტი-
 კემ უკიდურესად შეურაცხყო და აღაშფოთა მიხეილი, რომელ-
 საც თავისი გრძნობები არ დაუმალავს ქუთაისის გენერალ-გუ-
 ბერნატორის მირსკისათვის, როცა ამ უკანასკნელმა ინახულა
 ტყვარჩელის სამკურნალო წყლებზე მყოფი ავადმყოფი მთავა-
 რი. მიხეილმა კიდევ ერთხელ გამოუცხადა თავისი სურვილი:
 ნება მიეცათ მისთვის, დარჩენილიყო აფხაზეთში, ან არადა –
 ეცხოვრა ზამთრობით ქუთაისში, ზაფხულობით კი – რაჭაში; თუ
 ესეც შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, მაშინ მიეცათ მისთვის პას-
 პორტი იერუსალიმში წასასვლელად, რომ იქ დაეღია თავისი
 დღენი. "წინააღმდეგ შემთხვევაში, შეგიძლიათ წამათრიოთ აქი-
 დან ძალით, და დაე, მთელმა ქვეყანამ ნახოს თქვენი უსამართ-
 ლობა და სისასტიკეო". ამავე ხანებში უნდა მიემართა მიხეილს
 ოსმალეთის მთავრობისათვის, რომ გამოეგზავნათ მისთვის
 გემი, რომელიც მას კონსტანტინოპოლში წაიყვანდა. როცა ეს
 ამბავი გამოამჟღავნა და გზადაგზა ხელოვნურად გაზვიადდა,
 მიხეილს ახალი სახელმწიფოებრივი ღალატი დაბრალდა, და
 ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მიერ ბრძანება იქნა გაცე-
 მული, ძალით გადაეყვანათ აფხაზეთიდან მთავარი. ნოემბრის
 5-ს, 1865 წელს, მოხუცებული და ავადმყოფი მთავარი აფხაზე-

თისა დაპატიმრებულ იქნა. ნოემბრის 7-ს იგი ჩასვეს სამხედრო გემში და ერთი ოფიცრის თანხლებით გაგზავნეს ნოვოროსიისკში. ყველაფერი მოახდინეს ისე სასწრაფოდ, რომ მიხეილს არ მისცეს საშუალება, მოეწესრიგებინა თავისი ქონებრივი საქმეები და გამოსთხოვებოდა შინაურებს... 1865 წლის ივნისის 25-ს ის გადაუყვანიათ ქალაქ ვორონეჟში.... ის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. იმავე წელს, დიდი ტანჯვის შემდეგ, მიხეილი გარდაიცვალა. მისი გვამი ჩამოასვენეს აფხაზეთში და დაასაფლავეს მოქვის ტაძარში.

თავი 12

რუსეთ-კავკასიის ომი და საქართველო

რუსეთის იმპერია, საქართველოს სამეფო-სამთავროების თანდათანობით მიერთებასთან ერთად, დაჟინებულ ყურადღებას მიაპყრობდა იმიერკავკასიასაც, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის მდებარეობდა. რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის მიზნად იქცა იქ მცხოვრები მთიელი ხალხების დამორჩილება. მაგრამ ჩრდილოეთკავკასიელები იარაღით ხელში წინ აღუდგნენ დამპყრობლებს. მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს მათ წამოიწყეს "საღვთო ომი" ("ჰაზავათი") "ურჯულთა", ანუ ქრისტიანების, წინააღმდეგ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა შეიხი მანსური. რუსეთის ხელისუფლებამ მხოლოდ ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ შეძლო ამ მოძრაობის ჩახშობა. მძათურმა ანტირუსულმა გამოსვლებმა იფეთქა დიდ ყაბარდოში 1794-1804 წლებში, სადაც მანამდე რუსების მიმართ ლოიალურად განწყობილი ადგილობრივი მუსლიმური ელიტა მოთმინებიდან გამოიყვანა კავკასიის გამაგრებული გზის მშენებლობამ. რუსებმა სისხლში ჩაახრჩვეს ყაბარდოელთა ეს აჯანყება, რომელშიც აგრეთვე ჩართული იყვნენ ყარაჩაელები, ბალყარელები, ინგუშები, ოსები. 1802 წელს გენერალმა კნორინგმა უმკაცრესად დასაჯა თავაშურელი ოსები და მათი სოფლები გადაწვა.

ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაუქმების შემდეგ კიდევ უფრო მკაცრდება რუსეთის მოქმედება ჩრდილოეთ კავკასიაში, რამაც უკიდურესად გაამწვავა ურთიერთობა რუსეთის ხელისუფლებასა და მთიელებს შორის.

ამ დროიდან "კავკასიის დამორჩილება" იმპერიის ოფიციალურ პოლიტიკად ცხადდება. "კავკასიის რისხვად" სახელდებული გენერალი ალექსეი ერმოლოვი (საქართველოს მთავარმართებელი 1816-1827 წლებში) ენერგიულად შეუდგა ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობას. მან უსასტიკესი ბრძოლა გამოუცხადა ჩეჩნებსა და ყაბარდოელებს. გენერალმა უარყო მთიელთა ბელადების მიმართ ყოველგვარი დათმობისა თუ

მოსყიდვის პოლიტიკა და მათი დამორჩილება იარაღის ძალით გადაწყვიტა. ერმოლოვის საქმე ერთგულად გააგრძელა გენერალმა ივან პასკევიჩმა. შექმნილი მდგომარეობის გამო ჩრდილოეთ კავკასიაში განახლდა და გაძლიერდა მთიელთა განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1834 წლიდან მას ხელმძღვანელობდა იმამი შამილი. მისი მეთავეობით ჩამოყალიბდა მუსლიმური სახელმწიფო – იმამატი, რომელმაც თავდაპირველად დაღესტანი და ჩეჩნეთი მოიცვა, მოგვიანებით კი მის საზღვრებში ჩერქეზებიც მოექცნენ. ოცდახუთი წელი გრძელდებოდა შამილის ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. ის მხოლოდ მაშინ დასრულდა, როცა 1859 წლის აგვისტოში რუსებმა შამილი დაატყვევეს. დაღესტნისა და ჩეჩნეთის დაპყრობის შემდეგ რუსებმა ურჩი მოსახლეობა, დაახლოებით ასი ათასამდე ჩეჩენი და დაღესტნელი, თავისი საცხოვრებელი ადგილიდან აყარა და ოსმალეთში გააძევა. მათ მუჰაჯირები ("განდევნილნი") ეწოდათ. მთიელთა სოფლების ადგილას მალე რუსული დასახლებები შეიქმნა.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, იმპერიამ დასავლეთ კავკასიის ჩერქეზებისა და აბაზებისთვისაც მოიცალა, რომლებიც არ ანელებდნენ ბრძოლას თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლას შამილის თანამოაზრე მუჰამედ ემინი მეთაურობდა. მაგრამ ეს ბრძოლაც რუსების წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა.

1861 წლის სექტემბერში კავკასიას ესტუმრა იმპერატორი ალექსანდრე II, რომელმაც მთიელებს ულტიმატუმი წაუყენა: ან ერთიანად გადასახლებულიყვნენ ყუბანისპირა დაბლობზე, სადაც სამუდამო მფლობელობაში მიიღებდნენ მიწებს, ან გახიზნულიყვნენ თურქეთში. მთიელებმა არ მიიღეს მონარქის შეთავაზება და ომი განაახლეს. ამასთანავე, მათ დესპანები გაგზავნეს თურქეთსა და ევროპაში მხარდაჭერის საძიებლად, თუმცა ამგვარ მცდელობებს არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. საბოლოოდ, მათ თურქეთში გადასახლება არჩიეს.

მთიელთა დამარცხების შემდეგ, 1864 წლის 21 მაისს, რუსებმა გამარჯვების აღლუმში მოაწყვეს კავკასიის ომის დასრულების აღსანიშნავად.

ამ ომში კავკასიელთა უმრავლესობა ან დაიღუპა, ან აიყარა მამა-პაპათა მიწიდან. 1858-1865 წლებში თურქეთში გადასახ-

ლდა ნახევარ მილიონამდე ადამიანი. მკვიდრი ხალხებისაგან იმიერკავკასიის დაცლის შემდეგ იმპერიამ დაკავებული ტერიტორია რუსულ ოლქებად გამოცხადდა.

კავკასიის ომი მტკივნეული აღმოჩნდა საქართველოსათვის. ზოგადად, ქართველების განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის წინააღმდეგ განსხვავდებოდა მთიელთა "საღვთო ომისაგან". ყველა ანტირუსული გამოსვლა, რომელიც მოხდა საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, მიზნად არ ისახავდა მთლიან მოწყვეტას რუსეთისაგან, თუნდაც ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისას. მნიშვნელოვანი იყო ქართველების და რუსების სარწმუნოებრივი ერთიანობის განზომილება.

კავკასიის ომში ჩართული იყო რუსულ ჯარში მომსახურე ქართველი ოფიცრობა. მთიელთა დამორჩილებაში აქტიური მონაწილეობით სახელი გაითქვა გრიგოლ ორბელიანმა. სხვადასხვა წრეებში მყარად იყო დამკვიდრებული თვალსაზრისი, რომ ამ ბრძოლებით ქართველობა შურს იძიებდა ოდინდელი კავკასიელი მარბიელების მიმართ, რომელთაც საუკუნეების მანძილზე აკლებული ჰყავდათ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობა.

ქართულ მიწათაგან უშუალოდ მხოლოდ აფხაზეთს შეეხო კავკასიის ომი. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მთავართა, შარვაშიძეთა, სახლი ძირითადად პრორუსული ორიენტაციისა იყო, აფხაზეთის მოსახლეობაში, საქართველოს სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, შესამჩნევად ძლიერი იყო ანტირუსული განწყობილებანი. ოსმალთა პოლიტიკურ თუ რელიგიურ-იდეოლოგიურ გავლენას აფხაზეთში ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა გვიანდელ ხანაში მომხდარმა ეთნიკურმა და დემოგრაფიულმა ცვლილებებმაც. კერძოდ, ჯიქ-აფხაზთა ტომების ჩამოსახლების ახალმა ტალღამ შესამჩნევად შეცვალა ერთ დროს ქრისტიანული მიწის სახე. ერთი მხრივ, გაძლიერდა წარმართობა, მაგრამ, რაც მთავარია, აფხაზური მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა მიიღო ისლამი, რითაც ის თანდათანობით მოექცა ოსმალეთის გავლენის ქვეშ. ამდენად, აფხაზთა ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ, შეიძლება ითქვას, ჩრდილოეთ კავკასიელთა "საღვთო ომის" შემადგენელი ნაწილი იყო.

კავკასიის ომის დამთავრებისთანავე რუსეთის ხელისუფლებამ უმაღლესე გააუქმა აფხაზეთის სამთავრო. დამოუკიდებლობის დაკარგვას აფხაზთა მასშტაბური ანტირუსული გამოსვლები მოჰყვა, რომელიც იმპერიამ სისხლში ჩაახრჩო, შემდეგ კი რეუმიტით უკმაყოფილო აფხაზები დედაბუდიანად აყარა მშობლიური მიწა-წყლიდან და მუჰაჯირებად აქცია. ამ დროს აფხაზეთიდან თურქეთში გადასახლდა ოცი ათასამდე ადამიანი.

მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში აფხაზეთში რუსული იმპერიული რეუიმის კოლონიური პოლიტიკის ფონზე გამოცოცხლდნენ პროთურქული ძალები, რომლებიც აფხაზურ მოსახლეობაში მუდმივად აღვივებდნენ ანტირუსულ განწყობილებას. 1877 წლის აჯანყება იყო აფხაზთა ყველაზე ფართომასშტაბიანი გამოსვლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ და, ბუნებრივია, ის არ დარჩებოდა დაუსჯელი. მთავრობას უკვე აღარათყვრი უშლიდა ხელს, აღესრულებინა აფხაზების თურქეთში გადასახლების ადრევე მომზადებული გეგმა. ოსმალეთში ამ დროს სულ გადასახლდა დაახლოებით ოცდაათი ათასამდე აფხაზი, რომელთა მცირე ნაწილი უკან მობრუნდა. ხელისუფლება უფრო შორსაც წავიდა. 1880 წლის 31 მაისს გამოქვეყნდა იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბრძანება, რომლის მიხედვითაც, დარჩენილი აფხაზობა ოფიციალურად გამოცხადდა "დამნაშავე მოსახლეობად".

პირველები, ვინც ამ მძიმე დროს მხურვალედ გამოექომაგნენ აფხაზებს, ქართველები იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, იონა მეუნარგია.

დანართები

აკაკი გაწერელია, "გრიგოლ ორბელიანის წერილები როგორც ბიოგრაფიული მასალა"

ჯერ კიდევ ერმოლოვის მთავარმართველობისას (1816-1827) დაიწყო გამოფხიზლება მთიელთა ცომებისა. ამათ ენერგიულად მოჰკიდეს ხელი იარაღს და მიმართეს ის რუსული მილიტარიზმის წინააღმდეგ. მკაცრი სარდლის სამხედრო ექსპედიციებმა ნაყოფი არ გამოიღო: რუსის ჯარის ბატალიონების მიერ დატოვებულ

პროვინციებში განადგურებული აულები ახალ ამბოხებებს აწყობდნენ, – მთა არ სთმობდა თავის დამოუკიდებლობას! ამავე ხანებში დაიწყო დაღესტანში რელიგიურ-ნაციონალური ხასიათის მოძრაობა, რომელიც მურიდიზმის სახელწოდებით არის ცნობილი. დამპყრობთა მიმართ სიძულვილს მუსულმანებით დასახლებულ მთაში აძლიერებდა რელიგიური ფანატიზმი. “ბრძოლა ურწმუნოთა წინააღმდეგ” (ჰაზაფათი) გადაიქცა დაღესტნისა და ჩეჩნეთის ხალხის საბრძოლო ლოზუნგად. ამ მიზეზებმა მოამზადეს ნიადაგი ძლიერი ნაციონალური მოძრაობისათვის დაღესტანში. უფრო გვიან კი ბრძოლისათვის გამაერთიანებელი პროგრამა მისცეს იმამებმა (სამხედრო და სამოქალაქო მეთაურები ფანატიკოსი მუსლიმანებისა): ყაზი-მოლამ (მოჰკლეს 1832 წელს), ჰამზაბეგმა (მოჰკლეს 1834 წელს) და შამილმა (გარდაიცვალა 1871 წელს მექაში). ესენი იყვნენ აჯანყებული მთიელების მეთაურნი, რომელნიც განსაკვიფრებელი სიმამაცით ებრძოდნენ მეფის რუსეთის ბატალიონებს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი გრიგოლ ორბელიანის მიმართ, 2 მაისი, 1842

საყვარელო ძმაო გრიგოლ! ილია მართლა ტყვედ არის შამილთან! [...] ილიკო რომ დაუჭვრიათ, სინაქსაროვი და ყაზიყუმუხის ხანი დაჭვრილები ყოფილან. მეორე დღეს შემოსულა ანდალალში თვითონ შამილ. ტყვეები წარუდგენიათ. ილიკოს თანაჰყოლია ოცი, სულ დაწვეპილი ყმაწვილი ბიჭები, ავარელები, ახმეტ ხანისაგან გამოტანებულები; შამილს ოცივესათვის ილიას თვალწინ თავები დაუყრევიანებია; ახტელელები კი, რომელნიც სინაქსაროვს მოჰყლიან, დაუშიშვლებია და ისე გამოუყრია. შამილ ახმეტ ხანზედ ძალიან გაბრაზებულა თურმე, და ასე უწყალოდ იმიტომ მოქცევია ავარელებს. აი, ილიკოს რა უთქვამს შამილისათვის: “შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისთანა უწყალოება! თუ გინდა მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად, ახლა მეც სიკვდილი მიჩვენია შენს ხელში ყოფნას!” ვითომც შამილს სდომნებია ილიას გამოშვება, მაგრამ ესე ყოჩაღად რომ უნახავს და ამის გვარიშვილობაც შეუტყვია, უფიქრია, რომ ეს კარგი აფიცერი უნდა იყოსო და იქნება რუსებმა ჩემს შვილში გამიცვალონო. მაშინ შამილს უთქვამს ტყვეებისათვის, ილიასა და სინაქსაროვი-

სათვის, რომ თქვენ ნურა გეფიქრებათო, მაგრამ თქვენს მამულს ვერა ნახავთ, ვიდრე ხელმწიფე ჩემს შვილს არ მამცემსო. – ახლა ილიკო დარღობია, სადაც შამილის ცოლ-შვილია და სიმაგრე, და კარგადაც თურმე ინახავს; ასე გასინჯე, გალაგინის ცოლმაც კი თქვა, რომ მე ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ქართველი მაგისტანა პასუხს მისცემდაო, ვითომც ილიას რომ უთქვამს, სიკვდილი მირჩევნია შენს ხელში ყოფნასო.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, "ომი საქართველოს თავად-აზნაურ გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-სა"

ძრწოდე, კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა!
 შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენი ქართლისა სრულისა,
 აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა,
 და აღმორთმევად უწყალოდ შენ შორის ბოროტ სულისა!
 ქართლითგან მოვალს მარადის მამულის მონა ლაშქარი,
 წინ ერისთავი მოუძღვის, მიწასა გააქვს ზანზარი!
 კავკასო, ქართლოსს საფლავზედ არიან გაფიცებულნი,
 და მათ წინ ვერლა დაუდგენ ვერც შენი პირველ რჩეულნი!
 [.....]

კავკასო, ძრწოდე! შეირყა ჩეჩენიც დასამხობელი!
 ვის არ აღეგაცების სული ამ ამბის მცნობელი?
 ჰე, ძმანო, ნუთუ არ გესმით მეფის ირაკლის ხმა მაღლით?
 გიხმობთ, "ქართველნო, ჰე, შაბაშ! კურთხევა თქვენდა ზე მაღლით!"

ძმანო, თქვენ ჰქმენით საქმენი, ღირსნი თქვენთა წინაპართა!
 მეფესა თავი შესწირეთ, ვაგლახი ეცით წარმართთა!
 აჩრდილნი ჩვენთა მამათა იშვებენ საიქიოსა,
 და გიკურთხებენ სახელსა, მომავალთ მოსალხინოსა!

გრიგოლ ორბელიანის წერილი ილია ორბელიანის მიმართ, 20 იანვარი, 1847

ამ თვის 15-ს გუმბეთის ნაიბმა აბაქარდიბირმა სამასის დაწვეპილის ცხენოსნითა გამოჩუპა მიატლისთან სულაკსა. იმავე ღამეს დაეცა ურის სოფელსა შიგ თარკოში. აიკლო, მოიტაცა ტყვეები

და წამოვიდა თალგინის ტყეზე არქაზისკენ; განთიადის მოალწია ჯუნგუთაის სიახლოეს. – დაიძახეს მდედარი, შეცდომით ეგონათ, რომ ცხვარი მოიტაცესო. მოვახტი ჩემს ვასკა ტაიჭსა და ჩემის ნოქრებით, და ჯუნგუთაელებით გავსწიე არქაზის ვიწრო გზის შესაკრავად, და ვუბრძანე ბატალიონსაცა, რომ საჩქაროდ მოგვეშველოს. მტერმა შეგვასწრო არქაზის ვიწროებში და იქვე მოვსწვდი იმის უკანა ჯარსა; ქვეით ჩვენს ჯარსა აღარ მოვუცადე, შორს იყო – ერთი ყარამანისეულად შევჰსძახე მტერსა: “სადლა წახვალ ჩემის ხელისაგან?” – და მაშინვე უკრავ-უგინებლად ხმალდანხმალ შევატყვიე შიხსაბეგსა და ჩემს გასპაროვსა, ღრატ სტარჟინსკიც აქ იყო იმ დროს ჩემთან სტუმრად, ესეც ჩაერია იმათში მარდად; დატოტხა მტერი, გაიქცა და ჩვენც დავეციით ყიჟინა და მივდიეთ უკან, ჰაი, დაიჭი, ჰაი, მოკალ, ამ ყოფით გადავარბენინეთ არყაზის დიდი, უზარმაზარი მთა, სწორედ შენშრექამდის, რომელიც არის ძალიან ახლოს არაკნიდამ. 17 დავიჭირეთ ტყვედ, 33 მკვდარი დარჩა ჩვენს ცხენოსნებსა ნიშნად გამარჯვებისა; მაგრამ თუ მე აღრე მიმესწრო არქაზის ვიწროებში, მაშინ ერთიც აღარ წამივიდოდა მტერთაგანი. – ჩვენი მხრით დაიჭრა მხოლოდ ორი, რომელთაგან ერთი არის ჭუხელი ჰაჯიომარის უფროსი ძმა, მგონია, იცნობდე, ვარშაუშაიაც იყო. ამ საქმემ ცოტად გული გაუხსნა იქაურს ხალხსა, რომელიცა იყო დიდ სირცხვილში და შიშში ნობხიქეს მოტაცებისა გამო ჰაჯიმურადისაგან.

იონა მეუნარგია, “ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა”

დალესტანი ძალიან საშიშ მდგომარეობაში იყო ამ დროს. რაკი ოსმალოსა და რუსეთს შორის ომი გაიმართა და მაჰმადიანთ ქვეყანაში გაიშალა მაჰმადის მწვანე ბაირალი, შამილმა ხმა დაჰყარა, ხონთქარმა მთელი კავკასია მიწყალობაო თბილის-ერევნით და დაიწყო დიდი მზადება. მისი ხელისკაცები ყოველგან ქადაგებდნენ შამილის ძლიერებასა და რუსების სისუსტეს. ორბელიანს კარგად ესმოდა ამ ხმების სიბრძნეც და სიცრუეც: ის ნათლად ხედავდა შამილის ძლიერებას და თავის სისუსტეს და ითხოვდა, ...გამოეგზავნათ იმისათვის კიდევ ოთხი ბატალიონი... ის ვევედრებოდა ბარიატინსკის, ნუ ღუჰავენ მხარეს, ნუ კარგავენ ორმოცდაათი წლის შრომას და ხარჯს. ლეკები რომ დაინახავდნენ მიტოვებულ რუსის ციხეებს, რას არ იტყოდნენ ჩვენს სისუსტეზე. ვინ მათგანი

არ სტაცებდა ხელს ხმალსა, ვინ არ დაედევნებოდა გარნიზონს, ვინ არ შეუერთდებოდა შამილს, რომ დაეჭირათ შურა, პეტროვსკი, დერბენტი, ყუბა და შემდეგ თვით თბილისი.

ანგარიში ჩერქეზთა მოკვეთილი თავების რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში გაგზავნის შესახებ

ამ დღის მთავარი ნადავლი იყო მთიელების რამდენიმე ჯგუფი, რომელთაც თავი მოკვეთეს, შეფუთეს და შეახვიეს ტილოში. თითოეული თავისათვის ველიამინოვი იხდიდა ათ რუბლს და თავის ქალები იგზავნებოდა მეცნიერებათა აკადემიაში. ამიტომაც ყოველი მოკლული მთიელისათვის მიმდინარეობდა შეუპოვარი ბრძოლა... ზასმა ჩვეულებისამებრ ბრძანა დაღუპულებისთვის თავის მოკვეთა და ამ ნადავლით დაბრუნდა... ერთი წლის შემდეგ სტავროპოლში შევხვდი ციგით მიმავალ გენერალ ზასს. მის უკან მოდიოდა რამდენიმე გადახურული ციგა. "საით მიემგზავრებით, თქვენო აღმატებულებავ, და რა მიგაქვთ?" – "შვებულებაში გავდივარ და ველიამინოვისთვის მიმაქვს ჩემს მიერ შესრულებული საქმეები". ამ სიტყვებით მან გადახსნა ციგას ტილო. მე, ყოველგვარი ზიზღის გარეშე, დავინახე ორმოცდაათამდე თავის ქალა. ველიამინოვმა ისინი გადააგზავნა მეცნიერებათა აკადემიაში.

გრიგოლ ორბელიანის წერილი ყათვლან ორბელიანის მიმართ, 10 სექტემბერი, 1857

თიბათვეში ამოველ ჯარითა სალათავიაში, სადაცა ვაშენ ციხესა. შამილაც იყო დიდის ჯარითა, ქურდსავით ტყეში იდგა და რამდენჯერაც გამოვიდა ტყიდამ, იმდენჯერ დამარცხებული, ცხვირპირჩამტვრეული მირბოდა; 24 ივნისს ვეება ხევი ავაესე იმათის დახოცილებითა, ორნი ნაიბნი და მრავალი მწიგნობარნი ყადიები სულ შტიკებზე ავაგებინე; იმ დღეს ოთხასზე მეტი დაიხოცა იმათი; 27-ს მკათათვესა კიდევ დამარცხდა, მრავალი დახოცეს, 44 ტყვე და ერთი ბაირალი წავართვით; ამის გარდა, 29-ს მკათათვეს კიდევ დამარცხდა, 250 მოუკლეს და 70 დავიჭირეთ, და კიდევ ამის გარდა 1-ს აგვისტოს დავამარცხეთ და 12 დავიჭირეთ და ბევრი დახოცეს. – დღევრძელობა შენა გქონდეს, რომ მე ისინი დათვსავით ვაღრიალე და კახეთის სისხლი ავიღე!

კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის მიმართვიდან რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრ დიმიტრი მილიუტინისადმი, 10 დეკემბერი, 1863

დასავლეთ კავკასიის საბოლოო დაწყნარება უნდა მოხდეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსული მოსახლეობის ჩასახლებით... კაზაკთა სტანიცებით დაკავებული ტერიტორია ყუბანის შესართავიდან ცემესის ყურემდე, სანაპირო ზოლი უკვე გაწმენდილია მდინარე ჯუბის შესართავამდე. გაზაფხულისათვის, დანარჩენ ტერიტორიაზეც, რომელზეც განსაზღვრულია კაზაკთა ჩასახლებისათვის იმპერატორის მიერ დამტკიცებული დასავლეთ კავკასიის დასახლების შესახებ დებულებით, არ უნდა დარჩეს მთიელი მოსახლეობა.

ი. დროზდოვი, "მთიელთა უკანასკნელი ბრძოლა დასავლეთ კავკასიაში", 1877

გზაზე შემადრწუნებელი სურათი გადაიშალა ჩვენს თვალწინ: ძაღლების მიერ ნახევრად შეჭმული ბავშვების, ქალების და მოხუცების ცხედრები იყო მიმოფანტული; ავადმყოფობისა და შიმშილისაგან ძალა გამოლევული გადასახლებულები, რომლებიც ძლივს დგამდნენ ნაბიჯს უღონობისგან და ჯერ კიდევ ცოცხლები მშვიერი ძაღლების ნანადირევი ხდებოდნენ. ცოცხლებსა და ჯანმრთელებს მომაკვდავებზე ფიქრის თავი არ ჰქონდათ... თურქი შვიპერები რომელთა გემებიც ჩერქეზებს ჰქონდათ დაქირავებული, რათა ასე გამგზავრებულიყვნენ მცირე აზიის სანაპიროზე, ბარგივით ტვირთავდნენ მათ გემებზე. ხოლო ავადმყოფობის ნიშნების შემჩნევისას ნაკავივით ავდებდნენ გემბანიდან. ამ უბედურების ცხედრებს ტალღები რიყავდა ანატოლიის ნაპირებზე.

თავი 13

რუსული რეფორმები საქართველოში

1861 წლის 19 თებერვალს იმპერატორის მანიფესტით, რუსეთის იმპერიაში ბატონყმობა გაუქმდა. 1861 წლის 29 მარტს თავადაზნაურობას ოფიციალურად დაევალა, დაწყებულიყო მზადება გლეხთა გათავისუფლებისათვის. ისევე, როგორც რუსეთში, საქართველოშიც რეფორმას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა.

მანიფესტის გამოქვეყნებიდან ერთი წლის თავზე საკითხის გადასაწყვეტად შეიკრიბა აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის ყრილობა. შეკრებილთა უდიდესი უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ გლეხს გათავისუფლებისას უნდა გადასცემოდა მხოლოდ შინაური საქონელი და უძრავი ქონების ნაწილი. შემუშავდა პროექტი, რომლის მიხედვითაც, ყმა უმიწოდ თავისუფლდებოდა, ხოლო მიწის მფლობელად ისევ მემამულე რჩებოდა. ქართველი თავადაზნაურობა სამართლიანად შიშობდა, რომ ბატონყმობის გაუქმება და მიწების გლეხებისათვის გადაცემა მათ უსახსროდ დატოვებდა. ვითარება იმდენად დაძაბული იყო, რომ კრების დროს თიზიკური შეხლა-შემოხლა გაჩაღდა.

1864 წლის 13 ოქტომბერს გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება აღმოსავლეთ საქართველოში ყმობიდან გლეხების გათავისუფლების შესახებ, ხოლო 8 ნოემბერს ეს ცნობა საზემოდ გამოუცხადეს გლეხობას.

მიღებული კანონის მიხედვით, გლეხებს გადაეცათ მიწის მცირე ნაკვეთი – “ნადელი”, რომლის მესაკუთრედ – მიწის გამოსყიდვამდე – კვლავ მემამულე რჩებოდა. გლეხს ჰქონდა უფლება, ერთბაშად გამოესყიდა მიწა, მაგრამ საჭირო თანხა გლეხთაგან ცოტა ვინმეს მოეპოვებოდა. ამის გამო გლეხები იქცნენ “დროებით ვალდებულებად”. რუსეთში ეს “დროებითი ნადელი” 1880-იან წლებში გაუქმდა, ხოლო საქართველოში კი – მხოლოდ 1912 წელს.

გლეხობა საქართველოში უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე რუსეთში. “ნადელის” გამოსასყიდად ქართველ

გლეხებს ხაზინიდან არანაირი დახმარება არ მიუღიათ. თანაც, საქართველოში, რუსეთთან შედარებით, მიწის გამოსყიდვა ბევრად ძვირი ჯდება. ტყითა თუ საძოვრით სარგებლობისათვის, რაც ადრე უფასო იყო, ახლა უკვე გადასახადი დაწესდა. კანონის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში გათავისუფლებულ გლეხს უნდა მიეღო 10 დესეტინა მიწა, თუმცა მხოლოდ 3,7 დესეტინა მისცეს. დასავლეთ საქართველოშიც გლეხთა გათავისუფლება მძიმედ მიმდინარეობდა. იქ მემამულეთა დიდი ნაწილი მკირემიწიანად გამოცხადდა, რაც მათ ათავისუფლებდა ვალდებულებისაგან, გლეხებისათვის მიწა "ნადელის" სახით გადაეცათ. შედეგად, ოფიციალური მონაცემებით, დაახლოებით ოცდაათი ათასი ადამიანი უმიწაწყლოდ დარჩა. საქართველო იყო იმპერიის ერთადერთი განაპირა მხარე, სადაც მემამულეებმა გლეხების გათავისუფლებისათვის ფულადი კომპენსაციაც მიიღეს: მისი რაოდენობა მამრობითი სქესის თითოეულ გლეხზე 25-50 მანეთი იყო.

საგლეხო რეფორმა ყველაზე მწვავედ შეეხო გლეხთა ერთ ჯგუფს – ხიზნებს. ამიერიდან მემამულეებს შეეძლოთ, ნებისმიერ დროს აეყარათ ისინი დასახლებული ადგილებიდან. ურთიერთობა ხიზნებსა და მემამულეებს შორის მეტად დაიძაბა, გახშირდა შეტაკებები. ამგვარი მდგომარეობა გავრძელდა 1891 წლამდე, როცა მიღებულ იქნა საგანგებო კანონი ხიზნების მდგომარეობის მოსაწესრიგებლად.

ბატონყმობის გაუქმებით ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში სახაზინო გლეხები აღმოჩნდნენ. სახაზინო გლეხები ქართულ სამეფო-სამთავროთა დამოუკიდებლად არსებობის ხანაში ან საეკლესიო, ან საუფლისწულო საკუთრება იყო. მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ ქართული მიწები მიიერთა, ისინი პირდაპირ დაექვემდებარნენ ხაზინას. სახაზინო გლეხები ქართული გლეხოების 56 პროცენტს შეადგენდა. ისინი ჩვეულებრივ იხდიდნენ გადასახადს ხაზინის სასარგებლოდ. თუმცა მთავრობა მათაც ავიწროებდა: მაგალითად, თუ ქართველ გლეხს უფლება ჰქონდა მხოლოდ 3 დესეტინა მიწა დაემუშავებინა, გერმანელ კოლონისტებს 26 დესეტინა მიწის ფლობა შეეძლოთ.

აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ, 1865 წელს ბატონყმობა გაუქმდა ქუთაისის გუბერნიაში, 1866 წელს – სამეგრელოში,

1870 წელს – აფხაზეთში, 1871 წელს – სადადეშქელიანო სვანეთში.

მას შემდეგ, რაც ბატონყმობა გაუქმდა, აუცილებელი გახდა ადგილობრივი მმართველობის დაწესებულებათა შექმნა. 1865 წლის 14 ოქტომბრის კანონის მიხედვით, მაზრებში შეიქმნა სასოფლო საზოგადოებები, რომლებიც უმთავრესად აერთიანებდა რამდენიმე პატარა სოფელს. საზოგადოების კრება ირჩევდა გადაწყვეტილებათა აღმასრულებლებს, მამასახლისს, ნაცვალს (მამასახლისის მოადგილეს) და გადასახადების ამკრებს. თუმცა ეს რეფორმა მაინც შორს იყო სასურველისაგან: მაგალითად, არჩეული პირები ფიცს დებდნენ არა ამომრჩეველი კრების, არამედ მაზრის უფროსის წინაშე, ხოლო საბოლოოდ მათ გუბერნატორი ამტკიცებდა. მასვე ჰქონდა ამ პირების გათავისუფლების უფლებაც, რასაც შედეგად მოჰყვებოდა, რომ ყველა არჩეული ანგარიშვალდებული იყო არა ამომრჩეველის, არამედ სახელმწიფო მოხელეთა წინაშე. შეზღუდულ მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფლის სასამართლოც, რომელსაც უფლება ჰქონდა, გაერჩია ას მანეთამდე ღირებულების საქმეები. რაკი სოფლის მოსამართლეთა დანიშვნა და გადაყენება მთლიანად ადგილობრივ დაწესებულებათა ხელთ იყო, თვითმართველობის ეს მნიშვნელოვანი ინსტიტუტიც პოლიციიზმზე დამოკიდებული ხდებოდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბატონყმობის გაუქმებამდე საქართველოში საერთოდ არ არსებობდა არაერთარი თვითმართველობის დაწესებულება.

სამოქალაქო თვითმმართველობა რეფორმამდე მხოლოდ თბილისს ჰქონდა, ისიც შეზღუდულად, ხოლო 1870-იანი წლებიდან თვითმმართველობის ახალი სისტემა თანდათანობით მიიღო თბილისმა, ქუთაისმა, თოთმა, გორმა და ახალციხემ, 1888 წელს – ბათუმმა, 1890-იან წლებში კი მათ რიცხვს საქართველოს სხვა ქალაქებიც შეემატა.

ქალაქის სათათბიროში მოქალაქეთა არჩევისას უპირატესობა ენიჭებოდა ქონებრივ ცენზს. ქონების რაოდენობის მიხედვით, არსებობდნენ პირველი, მეორე და მესამე თანრიგის ამომრჩეველები. პირველი და მეორე თანრიგის ამომრჩეველები ქვეყნის ყველაზე მდიდარი და გავლენიანი ადამიანები იყვნენ. რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობა.

რაც შეეხება ერობას, საქართველოში თვითმმართველობის ამ დაწესებულებების შექმნა საჭიროდ არ მიიჩნია იმპერიის ხელისუფლებამ. თუ ერობა რუსეთში 1860-იანი წლებიდან მოქმედებდა, საქართველოში ის მხოლოდ იმპერიის დამლის შემდეგ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხანაში, 1919 წელს შემოიღეს.

1860-1870-იან წლების სასამართლო რეფორმების შედეგად, გაუქმდა წოდებრივი სასამართლო და ჩამოყალიბდა ყველა წოდებისათვის საერთო სასამართლო. ამავე ხანაში შემოიღეს მონსამართლეთა არჩევითობისა და პროცესის საჯაროობის პრინციპები, პროცესში კი მონაწილეობდნენ ადვოკატები და ნათესი მსაჯულები. მაზრებში შეიქმნა მომრიგებელი სასამართლოები, ხოლო გუბერნიებში ჩამოყალიბდა საოლქო სასამართლოები, უმაღლეს სასამართლო ინსტანციად კი იქცა სასამართლო პალატა, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება მხოლოდ იმპერიის სენატში შეიძლებოდა.

საქართველოში რუსული რეფორმები დაგვიანებით და გაცილებით ნელა გატარდა, ვიდრე თვით რუსეთში. საქართველოში ამ რეფორმებმა გააუარესა გლეხებისა და ღარიბი მოსახლეობის ყოფითი პირობები. ამის გამო 1860-1880-იან წლებში ქვეყანაში რამდენიმე აჯანყებამ იფეთქა: თბილისში, აფხაზეთში, სამეგრელოში, კახეთში, სვანეთში.

დანართები

იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბრძანებულებიდან, 13 ოქტომბერი, 1864

1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით და იმავე დღეს დამტკიცებული დებულებებით ჩვენ რუსეთში საბატონო გლეხები ბატონყმობისაგან გავათავისუფლეთ და მათ სოფლის თავისუფალ მცხოვრებთა უფლებები მივანიჭეთ, დაწერილებით განვსაზღვრეთ მიწათმფლობელებთან მათი დამოკიდებულება, ვალდებულებები და საზოგადოებრივი მართვის წესები.

ვითვალისწინებდით რა იმას, რომ ამის შემდეგ ბატონყმობა მხოლოდ ამიერკავკასიაში რჩებოდა და აუცილებლად ვთვლით რა, რომ გლეხობა ბატონყმური დამოკიდებულებისაგან თანდათანობით აქაც უნდა გაგვეთავისუფლებინა, ჩვენ მაშინვე დავავალეთ

ამიერკავკასიის მთავარ ხელმძღვანელობას, შედგომოდა ამ საკითხზე თავისი მოსაზრების შემუშავებას.

ჩვენი განზრახვის გახორციელებას ვიწყებთ თბილისის გუბერნიიდან. ამ გუბერნიის კეთილშობილი თავადაზნაურობა თავის კრებებზე ერთსულოვნად დაეთანხმა გლეხობის გათავისუფლებას ბატონყმური დამოკიდებულებისაგან. ამის შემდეგ წინადადებანი საბატონო გლეხთა ყოფაცხოვრების ახლებურად მოწყობისა და თბილისის გუბერნიის მემამულეებთან მათი დამოკიდებულების შესახებ დაწვრილებით იქნა განხილული სპეციალურ ადგილობრივ კომიტეტში, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ ყველა მაზრიდან სათათბიროდ მიწვეული მემამულეები. ამგვარად შედგენილი კანონთა პროექტები წინასწარ განიხილა მისმა იმპერატორობითმა უმაღლესობამ – კავკასიის მეფისნაცვალმა და საბოლოოდ კი – კავკასიის კომიტეტისა და სოფლის მოწყობის მთავარი კომიტეტის გაერთიანებულმა საკრებულომ.

ამჟამად კი, ვამტკიცებთ რა აღნიშნული წესით შედგენილ და განხილულ კანონებს, ...ჩვენ ვუგზავნით მათ სახელმწიფო სენატს, რათა მან განკარგულება გასცეს მათი გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის შესახებ.

იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბრძანებულებიდან, 13 ოქტომბერი, 1864

გვსურს რა ავუნაზღაუროთ თბილისის გუბერნიის მემამულეებს ის დანაკლისი, რომელიც დაკავშირებულია გლეხთა იმ ვალდებულებების გაუქმებასთან, რომლებიც დამყარებულია ადგილობრივ წეს-ჩვეულებებზე და იმპერიის სხვა ნაწილებში არ არსებობს, ჩვენ ამისთვის ჯერ კიდევ 1862 წელს გამოვყავით სპეციალური თანხა. ახლა კი, როცა თბილისის გუბერნიის მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობის შესახებ განსაკუთრებული დებულებები უკვე გამოცემულია, ჩვენ თქვენს იმპერატორობით უმაღლესობას უფლებას ვაძლევთ, დებულებათა ძალაში შესვლის შემდეგ ამ თანხიდან მემამულეებს დაურიგოს ფულადი ანაზღაურება, შემდეგ საფუძველზე:

1. თბილისის გუბერნიას ყველა მემამულე, რომლებსაც უკანასკნელი კამერული აღწერით ყმა-გლეხები ჰყავდათ, მიუხედავად იმისა, ეს ყმა-გლეხები მოწყობილ იქნენ საკუთრივ ამ მემამულის,

თუ სხვა მეპატრონის მიწაზე, ანდა ქალაქად ცხოვრობენ, მამრობითი სქესის ყოველ ერთ სულზე მიიღებს ოცდახუთი მანეთის ანაზღაურებას.

2. იმ მემამულეებს, რომლებსაც უკანასკნელი კამერული აღწერით ოცდაერთზე ნაკლები მამრობითი სქესის ყმა ჰყავდათ, თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობის ნებართვით, გარდა წინა მუხლით გათვალისწინებული ოცდახუთი მანეთისა, შეუძლიათ თითოეულ სულზე მიიღონ დამატებითი ანაზღაურებათა საერთო ჯამი მამრობითი სქესის ერთ სულ ყმა გლეხზე ორმოცდაათ მანეთს არ აღემატებოდეს.

გორის მაზრის თავად-აზნაურთა ჯგუფის წერილიდან

გლეხებს რომ თავისუფლება გამოეცხადებათ, ჩვენი ოჯახები მაშინვე დაეცემიან, ჩვენ კართუკარად უნდა ვეთრიოთ და მოწყალება ვითხოვოთ, აღარ გვეყოლება მომსახურე, აღარც ვენახისა და მიწის დამმუშავებელი, აღარც საქონლისათვის მწყემსი და აღარც შვილების გამზრდელი ძიძა...

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრების დადგენილება

მებატონეთა საზოგადო კრებამ ბატონყმობის საქმის დასაბოლოებლად განაწესა საფუძვლად შემდგომნი მუხლნი:

1. ჩვენს ყმებს თავისუფლება მიეცათ. ჩვენ სამაგიეროდ ფული მოგვეცეს.

2. რაც ახლა ჩვენს მამულზედ სახლკარობა აქვთ და რაც ჩვენი ადგილ-მამულეები უჭირავთ, ან რასაც ჩვენს ტყესა თუ საბაღახოს, თუ წყალს ხმარობენ, ყოველივესავე ამას მათვე მივაჩემებთ მხოლოდ პირობითა ამით, რომ მიწის შემოსავალი გვეძლეოდეს და ბეგარას ასრულებდნენ ქვეყნის ჩვეულებისამებრ.

3. ეს ჩვეულება შეუშლელად დარჩეს ჩვენსა და მათ შორის დრომდე: რა რომ ეს დრო გავა, მაშინ შემოდგომისათვის ჩვენ ერთმანეთს მოვურიგდეთ; ჩვენ როგორც პატრონნი მიწისა და ისინი როგორც თავისუფალნი კაცნი. თუ შეთანხმება არ მოხდა, სრული ნება აქვთ მაშინ გადასახლებისა და ჩვენც მათის დათხოვნისა.

ქრისტიანული მამაცაშვილის მოგონებებიდან

ევროპის რუსეთში გლეხები რომ გაათავისუფლეს, საქართველოშიც დაარსდა თავად-აზნაურთა კომიტეტი იმისათვის, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო საქმე ჩვენში. მაშინდელმა საგუბერნიო მარშალმა დიმიტრი ყიფიანმა სთხოვა ზოგიერთ წარჩინებულ პირს, გაეგზავნათ მისთვის წყალობითი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაათავისუფლებულიყო გლეხობა – უმიწოდ თუ მიწიანად. მე ვიცი, მეკითხული პირებისაგან მარტო ორმა – იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილებმა უპასუხეს ყიფიანს, რომ გლეხები მიწიანად უნდა გაათავისუფლდნენო. კომიტეტის მუშაობის შემდეგ, რომელმაც დაადგინა, რომ გლეხები უნდა განათავისუფლდნენ უმიწოდო, მოწვეულ იქნა თავად-აზნაურთა საგანგებო კრება კომიტეტის შრომის განსახილველად. ოქმის წაკითხვის შემდეგ დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე და ხმამაღლა განაცხადა, რომ გლეხებს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმრავლესობა ამ კადნიერმა აზრმა აღაშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა, ლანძღვა-გინებით ილიასკენ გაიწია და ყვიროდა: "გამიშვიო, ახლავე უნდა მოგვკლათ!". გაგიჟებული თავადი შეაკავეს და ძლივძლივობით გაიყვანეს კრებიდან.

ხალხური ლექსი

ათას რვაას სამოცდაოთხს დიდმა ხელმწიფემა ბრძანა:
 "წმიდის სახარების სიტყვა თავის დღეში არ გამტყდარა.
 ბატონყმობა გადავსწყვიტოთ იესო ქრისტესაგანა".
 თავადები ტუტუცობენ: "ეს რად მოდის ხათაბალა,
 მამა-პაპით ჩვენდა გყყვანდა, ამა რალაში აქვს ძალა?!"
 ზოგიერთი თავადები წინ წამოდგნენ ხმალდახმალა:
 "ხელმწიფევე, გიორგი მეფემ საქართველო ჩაგაბარა,
 მამა-პაპეულ ამავგზედ შენ ჩვენთან არა გაქვს ძალა!"
 ეს დაბეჭდილი წიგნები ხელმწიფემაც გამოგზავნა:
 "თავადებო, რას ჩადიხართ, მეყურება მანდელგანა,
 ბევრსა ქვრივსა და ობოლსა სევდით გულს შემოეყარა.
 სიობლე არ ეყოფოდათ, რომ სახლში არ წაგეყვანათ?
 ჩემი ხაზინა სავსეა, სულ ქალაღდმა გაამრავლა.
 მოლით, მოგცემთ ჯამაგირსა, რაც რომ გინდათ იმდენ ხანა".

ეს პასუხი, ანგარიში ვერაფერს კი ვერა ბრძანა, ბოლოს წაართვა მამული ამ გლეხკაცებ ერთიანა, ათი დღისა ნადელია, მეოთხედი ბატონთანა. ზოგი გლეხკაცი გაკეთდა, ზოგს გული შემოეყარა.

აჯანყება თბილისში

აჯანყება თბილისში დაიწყო 1865 წელს. მთავრობამ ქალაქის ბიუჯეტის დეფიციტის დატარების მიზნით, ახალი გადასახადი დააწესა. სიღარიბისაგან ისედაც წელში გაწყვეტილმა მოსახლეობამ აღარ მოითმინა მთავრობის ეს გადაწყვეტილება. დაიწყო აჯანყება, რომელსაც “ამქართა ბუნტსაც” უწოდებენ, რადგან გამოსვლის მონაწილეთა წამყვან ძალას ხელოსნები წარმოადგენდნენ. 26 ივნისს ვაჭართა და ხელოსანთა მონაწილეობით გაიმართა თავყრილობა, სადაც გადაწყდა, დაეკეტათ ყველა მაღაზია და ღუქანი და გაფიცულიყვნენ. პოლიციებისტერი ხალხს დაემუქრა. ცოტა ხანში მის რეზიდენციასთან ათი ათასი ადამიანი შეგროვდა და გადასახადების შემცირების მოთხოვნას, პოლიციებისტერის მოხსნის მოთხოვნაც დაემატა. ხალხის დამშვიდება სცადა გრიგოლ ორბელიანმა, რომელიც მაშინ უმაღლესი ხელისუფალი იყო. მან ხალხს უთხრა, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარი ვართო და ცხენის ხარჯს მეც ვიხდიო. აჯანყებულებმა მას მიუგეს: “თქვენ ცხენს აჭმევთ, ჩვენ კი ცხენი გვაჭმევსო”. პოლიციებისტერი შეეცადა სამხედრო ძალის გამოყენებით დაემალა აჯანყებულები, მაგრამ მათ დალევნეს ქალაქის თავის სასახლე და მოკლეს გადასახადების ამკრეფი. როცა მეფის ხელისუფლება დარწმუნდა, რომ აჯანყებულებთან მოლაპარაკება შეუძლებელი იყო, ისინი 28 ივნისს ჯარის ნაწილების გამოყენებით დაშალეს. შეტაკებას მოყვა მსხვერპლი. აჯანყების მოთავეები სასტიკად დასაჯეს.

აჯანყება აფხაზეთში

აფხაზეთის სამთავროს გაუქმებიდან 2 წლის შემდეგ, 1866 წელს, სამეფო ხელისუფლებამ საგლეხო რეფორმისათვის მომზადება დაიწყო. გლეხებმა საქმის შესასწავლად მთავრობის მიერ დანიშნული მოხელეები გაყარეს და არსად აღარ შეუშვეს. სოციალური პროტესტი თან დაერთო პოლიტიკურ უკმაყოფილებას, რომელიც რუსეთ-თურქეთის ომმა და მისმა მომდევნო პერიოდმა გა-

მოიწვია მოსახლეობაში. 1866 წლის ივლისში გლეხებმა გაანადგურეს პოლკოვნიკ კონირის რაზმი, 27 ივლისს კი მათ ქალაქი სოხუმიც აიღეს. მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ ფოთიდან ზღვით დამატებითი ძალების გადმოსროლის შემდეგ მოხერხდა. სამხედრო ნაწილებმა ისევ აღადგინეს კონტროლი სოხუმზე და მომდევნო დღეების განმავლობაში რამდენიმე შეტევაც მოიგერიეს. ხელისუფლებამ აჯანყება ჩაახშო, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, რეგიონში რვა ათასამდე ჯარისკაცი დატოვა. ხელისუფლება ცდილობდა, მკაცრად მეთვალყურეობა დაეწესებინა არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ მეზობელ მთის მოსახლეობაშიც ჩაეხშო აჯანყების ყოველგვარი მცდელობა.

თავი 14

საეკლესიო რუსიფიკაცია

ქართული მიწების დაპყრობის უმაღლესი რუსეთის მთავრობამ თავის ერთ-ერთ მიზნად დაისახა საქართველოს რუსიფიკაცია, რაც იმას ნიშნავდა, რომ ადგილობრივი ეროვნული კულტურა მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო დათრგუნული, ხოლო მის ნაცვლად მაქსიმალურად უნდა დამკვიდრებულიყო რუსული ენა და კულტურა. ქართველებს შორის და, უპირველესად, კულტურულ ფენაში ფართოდ უნდა გაღვივებულიყო რუსული კულტურის განსაკუთრებულობისა თუ აღმატებულობის განცდა. ამავე დროს, აუცილებელი იყო ყველგან, საქართველოს საჯარო სივრცეში, გაბატონებული მდგომარეობა დაეკავებინა რუსულ ენას. ყოველივე ეს ხელს შეუწყობდა ქართველების ასიმილაციას, რაც მათ, საბოლოოდ, სრულ გარუსებად მიიყვანდა.

ქართული მიწების შემოერთების დასაწყისშივე იმპერიული ჩანაფიქრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, უწინარეს ყოვლისა, სასულიერო ფენის ჩაყენებას რუსული ინტერესების სამსახურში. სწორედ სამღვდელოებას უნდა გაეუღინთა ქართველი ადამიანები პრორუსული იდეოლოგიით და ჩაეგონებინა მათთვის რუსეთის მიმართ მორჩილება. ამ გეგმის განსახორციელებლად აუცილებელი გახდა, რათა საქართველოში სასულიერო საგანმანათლებლო სისტემა აწყობილიყო რუსეთის საგანმანათლებლო სისტემის კვალობაზე.

იმპერიული მიზნების აღსასრულებლად სასულიერო სასწავლებლებში უნდა აღეზარდათ რუსეთის ერთგული ქართველი სამღვდელოება. ამ სასწავლებლებში გამოზრდილი სასულიერო პირი ან თუნდაც საერო თუ სასულიერო მოხელე, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა, საეკლესიო მრევლის წევრი შეგუებული ყოფილიყო იმპერიის მორჩილებას. საბოლოოდ, ცარისტულ იმპერიას საქართველოში ეყოლებოდა იმგვარი ქვეშევრდომები, რომელთაც სრულიად დაკარგული

ეწნებოდათ ქართული თვითშეგნება და ეროვნული ღირსების გრძნობა.

1817 წელს დაწესდა, რომ სასულიერო პირთა შვილები გიმნაზიაში კი არ ისწავლიდნენ, არამედ თბილისში იმ წელს გახსნილ სასულიერო სემინარიაში. სამაზრო სასულიერო სასწავლებლები კი მხოლოდ მაშინ ამოქმედდებოდა, როცა სასულიერო სემინარია მოამზადებდა შესაბამის პედაგოგებს. აღსანიშნავია, რომ რუსიფიკაციის მიზნით გახსნილი სასწავლებლები ადგილობრივი საეკლესიო შემოსავლებიდან ფინანსდებოდა.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იმპერიული პოლიტიკა განსაკუთრებული სიმწვავეით გამოვლინდა სამრევლო სკოლებში, სადაც ასევე მკაცრად უნდა დამკვიდრებულიყო იმგვარი განათლების სისტემა, რომელიც რუსიფიკაციის ამოცანებს შეესაბამებოდა. 1884 წელს შემუშავდა სასულიერო სასწავლებლების ახალი წესდება, რომლითაც მკაცრად აიკრძალა ქართულ ენაზე სხვადასხვა საგნის სწავლება, ხოლო, 1899 წლის დებულებით, სასწავლო პროგრამაში ქართული ენა გამოცხადდა არასავალდებულო საგნად, ასევე, პედაგოგებს აღარ მოეთხოვებოდათ მისი ცოდნა.

იმპერიის ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქალთა სასულიერო განათლებასაც. მიჩნეული იყო, რომ რუსული რელიგიური იდეოლოგიით გაჟღენთილი ქალი ქართველების მომავალ თაობებს რუსეთის მიმართ ერთგულების სულიკვეთებით აღზრდიდა. გადაწყდა, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დაარსებულიყო ქალთა საეპარქიო სასწავლებლები. პირველი ასეთი დაწესებულება 1866 წელს გაიხსნა თბილისში, 1880-იანი წლების მიწურულისათვის კი საქართველოში უკვე მოქმედებდა ორმოცდაათამდე ქალთა სასულიერო სასწავლებელი.

საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო სასწავლებლების პროგრამები, რომელიც იმპერიის მოხელეთა მიერ შემუშავდა, ცხადია, არ ითვალისწინებდა ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართული კულტურის, საქართველოს საერო თუ საეკლესიო ისტორიის, ადგილობრივი სარწმუნოებრივი ტრადიციების სწავლებას. ამავე დროს, სახიფათოდ იყო მიჩნეული ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა. სასწავ-

ლებლებში, განსაკუთრებით კი სემინარიაში, დაწესებული იყო უმკაცრესი რეჟიმი და ყოველდღიურად კონტროლდებოდა, ვინ რას კითხულობდა; აკრძალული იყო საჯარო საქმიანობაში მონაწილეობა; სასტიკად იდევნებოდა თავისუფალი აზრის სულ მცირე, უმნიშვნელო გამოვლინებაც კი; ისჯებოდა ნებისმიერი პროტესტი; წესრიგის ყველა დამრღვევს საეგზარქოსო მკაცრი რეპრესიებით უპასუხებდა.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისათვის სასულიერო სასწავლებლებში შექმნილი მდგომარეობა სულ უფრო მეტ უკმაყოფილებას იწვევდა პირად თუ სამოქალაქო სიერცეში. ასე, მაგალითად, 1882 წელს თბილისის თავადაზნაურობის კრებაზე სასულიერო სასწავლებლების პროგრამების გამო მძაფრი მსჯელობა გაიმართა, რის შედეგადაც შემუშავდა საერთო პოზიცია ქართული ენის სწავლების გაძლიერებისა და ცალკეული საგნების ქართულად ათვისების აუცილებლობის შესახებ. თუმცა, საბოლოოდ, საქართველოს საეგზარქოსო მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ ნება დართვა გასცა, ქართულად დაბეჭდილიყო საეკლესიო წიგნები და მღვდლებს ქართულად ექადაგათ.

მორწმუნე ადამიანებისათვის განსაკუთრებით მოულოდნელი იყო ქართული გალობის განდევნა ტაძრებიდან. სლავურ-რუსული გალობა როგორც ტექსტებით, ისე მელოდიკით უცხო იყო ქართული ლიტურგიული ტრადიციისათვის. მაგრამ საქართველოს ეგზარქოსთა მოთხოვნით, რუსეთის ეკლესიის სინოდმა ქვეყნის სასულიერო სასწავლებლებში ჯერ შეამცირა ქართული გალობის შესწავლისათვის განკუთვნილი საათები, ხოლო შემდგომ დაწესდა მხოლოდ რუსული გალობის სწავლება.

იმპერიულმა ეკლესიამ, ქართული ენისა და ქართული გალობის დაკნინებით, ზოგადად, ქართული საღმრთისმსახურო თუ კულტურული ტრადიციის მიმართ უაღრესად დამამცირებელი დამოკიდებულებით შედეგად მიიღო ის, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, საერთოდ, გაუცხოვდა საეკლესიო ცხოვრებისა და, კიდევ უფრო ფართოდ, ქრისტიანული ცხოვრების წესის მიმართ.

რელიგიურმა რუსიფიკაციამ გამორჩეულად სახიფათო ხასიათი შეიძინა სამეგრელოში, სვანეთსა და აფხაზეთში. რუსე-

თი ქვეყნის ამ მხარეებში აღვივებდა სეპარატისტულ განწყობებს და მხარს უჭერდა, რომ ღმრთისმსახურება, რუსულთან ერთად და ქართულის სანაცვლოდ, ადგილობრივ ენებზე ჩატარებულიყო. ქართულ ენის შეზღუდვის კამპანიის გაგრძელებად იქცა 1892 წელს სამეგრელოს საეპარქიო კრება, სადაც ქართველ სასულიერო პირებს დაევალოთ, გაეგრძელებინათ მეგრულად თარგმნილი ლოცვები. ამ მოთხოვნას ქართველი სამღვდელოების უმრავლესობა უარყოფითად შეხვდა. "დაიხსომეთ, გულში ღრმად ჩაიმარხეთ, შვილებო, რომ მეგრელები ძირძველი ქართველები ვართ," – მიმართავდა ახალგაზრდებს ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი.

ოკუპაციის დაწყებისთანავე რუსეთი ძალას არ ზოგავდა, სასულიერო საგანმანათლებლო სისტემის მემკვიდრეობით ქართველებისათვის დაევიწყებინა საკუთარი ეროვნული მემკვიდრეობა და თავს მოეხვია იმპერიული რუსიფიკაციული პროექტი, თუმცა მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ათწლეულებში, როცა ქვეყანაში თანდათანობით გაძლიერდა ეროვნული თვითშეგნება, ეკლესიაშიც ხილული ხდებოდნენ პირები, რომელთაც პატრიოტული პოზიცია დაიკავეს.

ამავე დროს, მრავალრიცხოვან სასულიერო რუსიფიკატორთა გვერდით, მეტისმეტად იშვიათად, მაგრამ მაინც ჩნდებოდნენ იმგვარი კეთილგანწყობილი რუსებიც, რომლებიც მხარს უჭერდნენ და პატივს სცემდნენ ქართულ საეკლესიო და კულტურულ ტრადიციებს. ამგვარი იყო, მაგალითად, საეკლესიო მწერალი ნიკოლაი ღურნოვო, რომელიც მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას და კუთვნილი ნივთიერი ქონების მისთვის დაბრუნებას, ამავე დროს, იგი აღიარებდა ქართულად ღმრთისმსახურების ჩატარების აუცილებლობას.

დანართები

ილია ჭავჭავაძე, "ბატონ იანოვსკის წერილისა გამო"

ჩვენ მოგვყავს ეს აზრებისა მეცნიერებისა იმიტომ კი არა, რომ გვეგონოს, ვითომც ბატონმა იანოვსკიმ ყოველივე ეს ჩვენზედ უკეთ არ იცოდეს, არამედ იმიტომ, რომ ყველამ, დიდმა და პა-

ტარამ შეიტყოს და გაიგოს, რა ღონეა დედაენა სკოლაში... ჩვენ რომ ეგრე დაუინებით და უკანდაუხევლად ვთხოულობთ დედაენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, – ეგ მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა, – და განა ეს სასურველია ვისთვისმე?

ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, წერილი იანოვსკის მიმართ

ნუთუ ბატონმა მზრუნველმა არ იცის, რომ ქრისტიანთა მოძღვრად უნდა იყოს აუცილებლად ადგილობრივი მკვიდრნი, მცოდნენი სამწყსოს ენისა და ჩვეულებისა? ეს ქრისტიანული ეკლესიის მართვა-გამგეობის ძირითადი კანონია. სული წმინდა იმიტომ გადმოვიდა მოციქულებზე და ასწავლა ენანი მრავალნი, რათა ყოველ ერსა და ტომს ყურად ელო სამშობლო ენაზე სახარება ქრისტესი. როგორი უნდა იყოს მოძღვარი, რომელსაც არ გაეგება ენა, წესი და ადათი თავისი სამწყსოსი?!

ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, წერილი გიორგი მუხრანბატონის მიმართ

მომეტებული ცენტრალიზაცია როგორც ყოველგან მავნებელია, ისე ენებშიაც მომეტებული დეცენტრალიზაციაც არ არის კარგი; მაგრამ ისევ ეს სჯობია პირველს, ესე იგი ცენტრალიზაციას. ამისათვის მე ვგონებ, მავნებელი იქნება ისიც, რომ ენები მცირე ხალხების სულ განქარდეს, და დიდი ხალხების დარჩეს... მცირე ხალხში ყოველნი დაწინავებულნი პირნი, თავად-აზნაურნი, სამღვდელთონი ხშირად ივიწყებენ თავის ენას და დიდი ხალხის ენას მიიღებენ, და არა მთელი ხალხი მასით. ან რა სახით შეიძლება ეს? ავიღოთ ერთი სოფელი, მაგალითებრ, დილომი, ან კულაში იმერეთში. აქ გლეხი კაცი და ქალი დაიბადება, სიცოცხლეს ატარებს თავის ოჯახში თავის ენით, ათასში ერთხელ ვერ გაიგონებს სხვა ენას; რა სახით დაივიწყებს ის მის ენას? შკოლები მოაშლევინებენ მათ ენას? შკოლა სოფლისა ვერასოდეს იმოქმედებს ისე, რომ თავისი ენა დაივიწყოს. სხვა არის, როდესაც

ლიმნაზიაში, აკადემიაში, უნივერსიტეტში ისწავლის კაცი, მაშინ ხშირად დაივიწყებენ თავის ენას; მაგრამ ამისთანა მალალი სასწავლებელი არაოდეს არ ყოფილა მთელი ხალხისათვის გახსნილი, არამედ ათასში ერთისათვის...

ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა. მაშასადამე, ისიც საჭირო არის ხალხის ბედნიერებისათვის. თუ ეს ასე არის, მაშინ ენის გამოცვლა არც მცირე ხალხს არგებს, არც დიდი ხალხისათვის, რომლის ენას მცირე ხალხი მიიღებს, არის სასურველი. მცირე ხალხი რომ შეერთდება დიდ ხალხთან, რაიმე მცირე მანძილზე თავისი საკუთარი კარგი ელემენტი უნდა შეიტანოს და დაუმატოს დიდ ხალხს, წინააღმდეგ შემთხვევაში დიდ ხალხს უსარგებლო ტვირთი დაედება კისერზე... მცირე ხალხი, მოკლებული თავის ენასა, იქნება მოკლებული ყოველი ინდივიდუალური ხასიათითა და თვისებითა და უსარგებლო იქნება თავისთვისაც და სხვისთვისაცა, როგორც კერძო პირი, არა მექონი პირადი თვითმდგომარეობისა, ვერაფერს კეთილს და სასარგებლო საქმეს ვერ იქმს.

ენისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი
(შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II)

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ სამშობლო ენის შესწავლა და ცოდნა დიდი განძია ყველა ერისთვის. ყველა შეგნებული ელემენტის ვალაია მეცადინეობა იმისთვის, რომ ჯეროვანი ადგილი მოვუპოვოთ დედაენას სკოლებში.

სერგეი მესხი, "თბილისის გუბერნიის სამღვდელოებას"

მთელმა ქვეყანამ იცის, რომ, მაგალითად, კუკიის სასულიერო სასწავლებელში სწავლავ ურიგოდ მიდის, არც უვლიან შეგირდებს, არც ხეირიან საჭმელ-სასმელს აძლევენ, ხშირად ავადაც ხდებიან და იხოცებიან ცუდად შენახვის გამო შეგირდები. ყველა ეს რამდენჯერმე საქვეყნოდ გამოცხადდა, ყველა ეს აშკარაა, მაგრამ სამღვდელოებას დღემდის თითოც არ გაუნძრევია იმისთვის, რომ გააუმჯობესოს მდგომარეობა იმ სასწავლებლისა, რომელშიც ორასი იმის შვილები იზრდებიან ან, უკეთ ვთქვათ, იტანჯებიან.

სერგეი მესხი, “სამღვდელოების კრება თბილისში”

სამღვდელოება არის მოვალე, რომ მუდმივ თვალყური ეჭიროს თავისი შვილების აღზრდაზე. იმის მოვალეობა არის იზრუნოს, რომ კარგი კაცებისა და მწყემსების მაგიერ, ამ სასწავლებლიდან არ გამოდიოდნენ გამორეციანებული, უზნეო და მეზვერეობას შეჩვეული მხეცები; იმის მოვალეობაა, ყურადღება მიაქციოს, რომ იმის შვილებს, კაცობრიული და ქრისტიანული სწავლის მაგიერად, ჯანსაყ არ უკლავდნენ და ტვინსაც არ უჩლუნგავდნენ. ერთი სიტყვით, სემინარიის ყოველ ავი და კარგი ამ სამღვდელოებაზე არის დამოკიდებული.

სერგეი მესხი, “ქუთაისის სემინარია”

ახლანდელი ჩვენი მღვდლები, საზოგადოდ ვიცყვით, არ არიან ღირსნი თავიანთი მდგომარეობისა. წირვა-ლოცვა ძლივს ასრულებენ და იმასაც ისე, რომ უმეტესმა არც იცის, თუ რას ამბობს მღვდელი; სახარების რიგიანად გაგებით და გარკვევით წაკითხვა არ შეუძლიათ უმეტეს ჩვენს მღვდლებს. მთელი წელიწადი ისე გაივლის, რომ მთელ იმერეთში ორი მღვდელიც არ უქადაგებს ხალხს, არ აუხსნის ქრისტიანობის წმიდა ჭეშმარიტებას, არ აუხსნის, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს კეთილი ზნეობა, სინდისიანობა, მოყვასის სიყვარული, მოვალეობა ცოლ-შვილის, საზოგადოებისა და მშობლების წინაშე. უცხო ქვეყნებში ისე კვირა არ გაივლის, რომ მღვდელმა სიტყვა არ წარმოთქვა, არ უქადაგოს და არ გაუღვიძოს თავის მრევლს კეთილი, მაღალი გრძნობა. რალა ლაპარაკი უნდა, ჩვენში უფრო საჭიროა ხალხის წინამძღომლობა, ვიდრე გარეშე, განათლებულ ქვეყნებში. “წინამძღომლობას” ვამბობთ იმისათვის, რომ ახლანდელ მდგომარეობაში მხოლოდ მღვდლებს შუძლიათ ხალხის წინამძღომელნი გახდნენ, დაუნერგონ უმცარ საზოგადოებას ადამიანის ბუნების აღმამაღლებელნი გრძნობანი. თუ აწმდგომარე საუკუნეში ამ ბედნიერებას ვიყავით მოკლებული, იმედია, შემდგომში მოგვენიჭება ისეთი განათლებულნი პირნი სასულიერო წოდებისაგან, რომლებიც როგორც სარწმუნოებისათვის, აგრეთვე მამულისათვისაც ღვაწლს მოიტანებენ.

აკაკი წერეთელი, "ტ. ბაგრატიონის ალბომში"

ნინოს, თამარს და ქეთევანს
 არ სცოდნიათ სკვითის¹ ენა,
 მაგრამ მითი არ ჰკლებიათ
 ღირსება და ნიჭი ზენა.
 და ჩვენ დედებს, მათ მიმდევრებს,
 წუნს ვერ სდებდა ვერა მტერი!..
 მათით იყო საქართველო
 ძლიერი და ბედნიერი.
 დღეს მსგავსებით ძვირად სჩანან
 სანუგეშოდ და იმედად:
 ცოლს ცოლობას ვერვინ ატყობს
 და ვერცვინ სცნობს დედას დედად.
 რად დამცირდა? ვინ დაჩაგრა
 დღევანდელი ქართველის ქალი?
 მხოლოდ მან, რომ სხვაგვარია
 დღეს იმისი იდეალი.
 სკვითის ენა, სკვითის ქცევა,
 მეგობრადაც ვინმე სკვითი...
 ვისურვებ, რომ აკცდენოდეს
 შენ ეგ სხვისი მაგალითი.

კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის
 მოგონებებიდან

მეუფეს [საქართველოს ეგზარქოსს, მთავარეპისკოპოს ვლადი-
 მირ ბოგოიავლენსკის] სამრევლო სკოლებში მისვლა უყვარდა.
 ერთხელ დიდუბის სკოლასაც ეწვია. იქ ქართული ენის გაკვეთი-
 ლი მიმდინარეობდა. მეუფემ მასწავლებელს ჰკითხა: რას ასწავ-
 ლითო? მასწავლებელმა მოახსენა, საქართველოს გეოგრაფი-
 ასო. რომელი საქართველოსას, თუ გნებავთ, თქვათ, თბილისისა
 და ქუთაისის გუბერნიებისასო? მასწავლებელი აირია, ეგზარქოს-
 მა კი მე შემომხედა, გამოხედვაში საყვედური თუ კითხვა უკრ-
 თოდა. – მეუფეო, – მივუგე მე, – არა თბილისისა და ქუთაისი-
 სას, არამედ იმ საქართველოს გეოგრაფიას, რომლის ეგზარქოსი
 თქვენ ბრძანდებით! მეუფეს გაეღიმა, მაგრამ ეს ის ღიმილი არ

1 სკვითი აქ ნიშნავს რუსს.

იყო, სახეს სილამაზეს რომ ანიჭებს, არამედ სხვა ღიმილი, რომე-
ლიც სახის ლამაზ ნაკვეთებსაც კი ამახინჯებს.

ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი (შემდგომში
კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II), "ივერიის კულტურული
როლი რუსეთის ისტორიაში", 1910

რა უცნაურიც უნდა იყოს, რუსები აწინდელ დროში თითქმის ნა-
ხევრადველურ ვოგულებსა და საამებს უკეთ იცნობენ, ვიდრე
ერთმორწმუნე ქართველებსა და მათ ისტორიას, არადა, ქართ-
ველები ქრისტიანობის წინაშე თავიანთი მნიშვნელოვანი ღვაწლი-
თა და დიდი ეროვნული კულტურით იმსახურებენ უცილობლად
მეტს, ამავე დროს – სერიოზულ ყურადღებასა და გულმოდგინე
შესწავლას. მწუხარებით გვიხდება კიდევ რუსულ ენაზე, საერ-
თოდ, ქართული ისტორიის კეთილსინდისიერი და რიგიანი ნაშ-
რომის უქონლობის საეალალო ფაქტის აღნიშვნა და იმისაც, რომ
საქართველოს ისტორია ამგვარი შეუწყნარებელი უყურადღებო-
ბისა და უგულებელყოფის გამო რუსებისათვის terra incognita-დ
რჩება. ჯერ კიდევ ალექსანდრ გრიბოედოვი თავის თანამემამუ-
ლეთ უსაყვედურებდა, რომ საქართველოს სრულებით არ იც-
ნობდნენ.

თავი 15

თერგდალეულები

აკაკი ბაქრაძე

ცნება – “თერგდალეული” – ორი მნიშვნელობით იხმარებოდა; ერთი, როგორც მეცსახელი (თიკუნი) იმ ახალგაზრდებისა, რომელნიც მე-19 საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში რუსეთში ჩავიდნენ განათლების მისაღებად. რაკი მათ დარი-ალის ხეობაში საქართველოს საზღვარი და მდინარე თერგი გადალახეს, ხუმრობით, “თერგდალეული” შეარქვეს. მეორე, რაც უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია, “თერგდალეული” სახელია გარკვეული საზოგადოებრივი მოძრაობის წევრისა. ეს საზოგადოებრივი მოძრაობა არსებობდა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში.

“თერგდალეულები” იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი, ვახტანგ თულაშვილი, სამსონ აბაშიძე, პეტრე ნაკაშიძე... [...]

“თერგდალეულთა” საერთო მიზანი საქართველოს საზოგადოებრივი ყოფის შეცვლა და განახლება იყო. ამ მიზნის მისაღწევად მათ ერთიანი, საერთო თვალთახედვა ჰქონდათ. [...]

“თერგდალეულთა” დაჟინებული ყურადღების საგანი იყო ეროვნული პრობლემა. საქართველო კოლონიური ქვეყანა იყო. იგი იურიდიულად აღარ არსებობდა. იურიდიულად საქართველო იყო ორი გუბერნია – თბილისისა და ქუთაისის და სამი ოლქი – სოხუმის, ბათუმისა და ზაქათალის. ამ ვითარებას, რა თქმა უნდა, ვერც ერთი საღად მოაზროვნე ქართველი ვერ შეეგუებოდა. ამიტომ “თერგდალეულთა” ყურადღების ცენტრში მუდამ იდგა საქართველოს ბედ-იღბალი, მასზე ფიქრი და ზრუნვა. მოღვაწეობის დასაწყისშივე, ილია ჭავჭავაძის პირით, წამოაყენეს მათ მოღვაწეობის ძირითადი მიზანი – ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდესო.

“თერგდალეულთა” პოლიტიკური იდეალი იყო საქართველოს ავტონომია რუსეთის იმპერიის ფარგლებში. ავტონომიის საფეხურის გავლა მათ აუცილებლად მიაჩნდათ. მათი აზრით, ქვეყანა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში კოლონიას წარმოადგენდა, ცხოვრობდა უაღრესად ჩამორჩენილ ფეოდალურ წეს-წყობილებაში, ეკონომიკურად ღარიბ-ღატაკი იყო, განათლებით კუდში მისჩანჩალებდა იმდროინდელ მოწინავე ქვეყნებს, ერთბაშად ვერ მოიპოვებდა დამოუკიდებლობას. თუ შემთხვევით მოიპოვებდა დამოუკიდებლობას, ვერ გამოიყენებდა მას. დამოუკიდებლობისათვის ხანგრძლივი მომზადება იყო საჭირო. ამ მომზადებისათვის კარგ პირობებს შექმნიდა ავტონომია. რუსეთის იმპერიის ფარგლებში ავტონომიური საქართველო ყველა თვალსაზრისით – ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სოციალურად, კულტურულად, განათლებით, სამხედრო კუთხით – კარგად მოემზადებოდა. როცა ყველა თვალსაზრისით მომზადებული საქართველო სრულ დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, მერე მას ამ დამოუკიდებლობას ვეღარავინ წაართმევდა. თავდაცვაც შეეძლებოდა და მტრისათვის საკადრისი პასუხის გაცემაც. მაგრამ “თერგდალეულთა” ამ მისწრაფებას განხორციელება არ ეწერა, ქართველ სოციალ-დემოკრატთა, ანუ სოციალისტ-კომუნისტთა საქმიანობამ მათი ოცნება მოკლა. ამ ერთიანი და საერთო შეხედულებათა მიუხედავად, “თერგდალეულობას” მყარად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სახე არ ჰქონია. მოგვიანებით ამას თავად იაკობ გოგებაშვილიც აღნიშნავდა:

“მართალია, ვერ შევექმენით მესამოცეებმა ორგანიზაცია და ეს იყო სუსტი მხარე ჩვენი მოქმედებისა, მაგრამ ვერც ჩვენმა უღმობელმა კრიტიკოსებმა ისახელეს ამ მხრივ თავი. მათაც არავითარი რეალური მოქმედი ორგანიზაცია არ შეუქმნიათ. მხოლოდ სოციალ-დემოკრატებმა დააარსეს და გაჩარხეს ძლიერი ორგანიზაცია და აკი კიდევაც გაჰყავდათ და გაჰყავთ თავისი”.

აღბათ, ამისი ბრალია, რომ “თერგდალეულობამ”, როგორც საზოგადოებრივმა მოძრაობამ, ცოტა ხანს იარსება და 70-იანი წლების დასაწყისში მოქმედება შეწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ “თერგდალეულები”, როგორც პიროვნებანი, დიდხანს და აქტიურად მოღვაწეობდნენ მწერლობაშიც და საზოგადოებრივ

ასპარეზზეც. მათ საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებას დიდი და წარუშლელი კვალი დაამჩნიეს. [...]

60-იანი წლების ბოლოს ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში გაემგზავრნენ. თერგდალეულთა მოძრაობისათვის ესეც ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა. ევროპული სამყაროს გაცნობამ ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობაზე ძლიერი გავლენა მოახდინა. ისინი დარწმუნდნენ, რომ, თუ საქართველოს უნდოდა მარადიული ჩამორჩენისათვის თავი დაეღწია, იგი განვითარების ევროპულ გზას უნდა დადგომოდა. მართალია, ტერიტორიულად რუსეთი ევროპას ეკუთვნოდა, მაგრამ არც რუსულ კულტურას, არც რუსეთის საჯარო-სამოქალაქო ცხოვრებას ევროპული ხასიათი და თვისება არ ჰქონდა. ფუჭად ჩაიარა პეტრე პირველისა და ეკატერინე მეორის თავგამეტებულმა მცდელობამ, ევროპულ სახელმწიფოდ ექციათ რუსეთი. ევროპული პოლიტიკური ცხოვრება და ევროპული კულტურა ჩამოყალიბდა ბერძნულ-რომაულ ანტიკურობასა და კათოლიკურ-პროტესტანტული ქრისტიანობის საფუძველზე. რუსული პოლიტიკური და ყოფითი ცხოვრება კი შეიქმნა ბიზანტიურ-მონღოლური შუა საუკუნეებისა და მართლმადიდებლური ქრისტიანობის საძირკველზე. მათი მორიგება უაღრესად ძნელი იყო. საქართველოს არჩევანიც მომავლისათვის ამ ორ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ სისტემათა შორის უნდა მომხდარიყო. ეს პრობლემა ცხარე კამათს იწვევდა თერგდალეულთა შორისაც.

1871 წელს კავკასიას იმპერატორი ალექსანდრე მეორე ეწვია. იგი საქართველოშიც გულლიად და ხელგაშლილი მიიღეს, თუმცა დიდი კამათი ატყდა – რა შევევედროთ ხელმწიფეს, რა წყალობა გამოვთხოვოთო. ამ პაექრობამ ქართული საჯარო გარემო ორად გაჰყო.

ერთი ნაწილი ფიქრობდა, ყველაზე მეტად უმაღლესი სასწავლებელია საჭირო და იმპერატორს მისი დაარსება უნდა ეთხოვოსო. ეს აზრი პირველად გიორგი წერეთელმა გამოთქვა. ილია ჭავჭავაძემაც მას დაუჭირა მხარი.

მეორე წყება სამხედრო სასწავლებლის დაარსებას ამჯობინებდა. საერთოდ, კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (არისტოკრატიული წარმომავ-

ლობისაც კი) ღარიბ-ღატაკი იყო. უნივერსიტეტში სწავლის ქირის გადახდა უჭირდა. სამხედრო სასწავლებელში სწავლა უფასო იყო, ხელისუფლების ხარჯზე მიმდინარეობდა. ამიტომ უმრავლესობას უნივერსიტეტს სამხედრო სასწავლებელი ერჩია.

ნიკო ნიკოლაძე არც პირველს მიემხრო და არც მეორეს. მან მესამე აზრი გამოთქვა: ხელმწიფეს კავკასიაში ერობის შემოღება ვთხოვოთო. ერობა თვითმმართველობის ფორმა იყო. იგი საკუთრივ რუსეთში არსებობდა. კოლონიებში ერობის შემოღება ხელისუფლებას მიზანშეწონილად არ მიაჩნდა. ნიკოლაძეს მხარი მხოლოდ ერთმა კაცმა დაუჭრა – სომეხმა მოღვაწემ ნაპოლეონ ამატუნიმ. ნიკოლაძეს ერობის შემოღება კავკასიაში იმიტომ უნდოდა, რომ ფიქრობდა: ერობის მეშვეობით ხალხი სახელმწიფო მართვას ისწავლის; როცა საქართველო და დანარჩენი კავკასია დამოუკიდებელი გახდება, ხალხს ახალი სახელმწიფოს აშენება არ გაუჭირდებაო. ეს შორსგაჭვრეტილი წინადადება იყო, მაგრამ მაშინ ამას ვერავინ მიხვდა. 70-იანი წლების დასაწყისში სამხედრო სასწავლებლის დაარსების იდეამ გაიმარჯვა. დაარსდა კიდევ.

[...] სხვადასხვა საკითხზე ამგვარმა იდეურმა დავამ თერგდალელულთა მოძრაობა შიგნიდან დაშალა.

დანართები

აკაკი ბაქრაძე, “მეცხრამეტე საუკუნე”

თუ ალექსანდრე ორბელიანი გაუბედავად მაინც ფიქრობდა – “მე რუსები საქართველოში არ მიყვარან, მინდა აქედან ისე გადარიკარგნენ, რომ საქართველოს სუნიც იმათ ველარ მიედინოს და რუსეთში კი ბედნიერად იყვნენ”, – დიმიტრი ყიფიანი გულახდილად აღიარებდა, – “მე რუსი ვარ ჩემის სამსახურით, ლუკმა პურიით, რომელსაც ვჭამ, და ჩემის აზრის მიმართულებით. მე ქართველი ვარ გვარტომობით და მოძმეთა ენით”. ასე დაკავშირდა ერთმანეთთან ქონებრივი და სულიერი ვითარება: რუსი ვარ, რაკი რუსის ხელფასით ვიკვებები, ქართველი ვარ, რაკი ქართულად ვმეტყველებ. ჩამოყალიბდა ახალი ტიპი; რომლის არსი რუსთა პატივში მყოფმა გლახა ჭილაშვილმა (სხვა სახელითაც არის ცნო-

ბილი – გაბრიელ ჭილაძე) ასე გამოხატა: “რუსიცა ვარ და ქართველიც”. გაჩნდა ორბუნებიანი ქართველი, რომლის არსებობა დღესაც გრძელდება.

ილია ჭავჭავაძე, “კატკოვის პასუხად”

იგი ამბობს, რომ “სამშობლოს” წარმოდგენაზედ დიდი ხარჯი მოუვიდათ ქართველებსაო, და ქართული დროშები რომ გოდფურუას ცირკს მიჰყიდონ, კარგს იზმენო.

გაცვეთილის კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმჩიკველელად დაცვისათვის – არამტოუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედამიწის ზურგზედ სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია, – იმის ეგრეთ უკადრისად ხსენებას, არ ვიციოთ, რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებში შევირცხოთ.

ქართული დროშა ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმჩიკველელად და უჩირქოდ გადაუცია; გაჭირების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არაერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მისი წინამძღვარობით და სახელით ქართველობას არაერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად.

ეგ დროშა, რომელიც ეგეთის სასოებით და პატივით უტარებია იმოდენა ხანს უწინდელს ქართველს, ეგ დროშა, რომელიც წინ დახვედრია მოზღვავებულს თათრობას და მუსულმანობას და ქრისტეს ჯვარი თამამად წინ წაუძღვარებია, ძლევამოსილობით ომიდამ გამოუტანია და დაუმკვიდრებია კავკასიაში, ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობით და თავგამომეტებით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უთხევია მამულისათვის, – დღეს ეგ დროშა საციკოდ გაგვიხადა ერთმა ვილაყამ კორესპონდენტმა და ბატონმა კატკოვმა ბანი მისცა.

თუ ჩვეულებრივმა გრძობამ მართებულობისამ არ შეაყენა ბატონი კატკოვი, იმას მაინც უნდა მოჰრიდებოდა, რომ უპატიურად ხდის მთელ ერს, რომელიც შეჰფარებია რუსებს მარტო თავის პატიოსნების და ღირსების დასაცველად. თვით ბარბაროსიც კი არ

იკადრებდა ეგრეთ გაუპატიურებას მთელის ერისას! მამ, ბარაქა-
ლა კატკოვს და მის მომხრეებსა, რომ იკადრეს ის, რასაც თვით
ბარბაროსიც კი ითაკილებდა.

აკაკი წერეთელი, “ნაძალადებ საქმროს”

დამეხსენი, ჩრდილოელო!..
რა მაქვს შენთან საზიარო?
თვით ოხერო, მოუვლელი,
როგორ გინდა მომიარო?
ბუნებისგან დაჩაგრული
განა შესძლებ მეგობრობას?!
მოშხამული, ცივი გული
სხვას რას გასწევს, თუ არ მტრობას?!
წლიდან წლამდე უცნაურად
გეყინება ტვინი თავში!..
უნდა ძალაუნებურად
ეხვეოდე დათვის ტყავში!..
არათურად ჰგავს შენს ხმელ სოროს
მხარე ჩემი ეს მდიდარი!..
არა, ღმერთმა ამამოროს
შენისთანა ბრანძი ქმარი!..
ვერ მომხიბლავ, ცრუ მოყვარევ,
ვერც ენით, ვერც თვალადობით...
შეგიპყრივარ, როგორც მთვარე
გველემაჰსა, ძალადობით...
შენი ტყვე ვარ, მაგრამ ჩემს გულს
ანუგემებს ის იმედი,
რომ ოდესმე შენს ცხრაკლიტულს
მთლად დაღეწავს ჩემი ბედი!
დამხსნის შენსა მონებასა,
ცბიერებას გაგიწბილებს,
გამიმტკიცებს გონებასა,
თავისუფლად მაქორწილებს!..
დამეხსენი, ჩრდილოელო!
რა მაქვს შენთან საზიარო?
ნუ, ნუ ჰთვიქრობ, ჩემო მწველო,
რომ მთლობელად აღგიარო!..

კიტა აბაშიძე, "ილიას ძეგლი"

დღემიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე – სამი დიდი ეპოქის გამოსახულებაა. დღემიტრი ყიფიანის კეთილსინდისიერი "ლოიალიზმი" საოცარი ბარბაროსული მკვლელობით დამთავრდა. "ერთგულება" მისი დასჯილი იქნა, ვინაიდან იგი ყოველივე "სერვილიზმს" იყო მოკლებული. ილია ჭავჭავაძე "ერთგულების" მაგიერ განაცხადებს: "ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეკუთვნოდესო", და ამ პრინციპს ტრაგიზმით აღსავსე მსხვერპლად ეწირება. არჩილ ჯორჯაძემ ეს ფორმულა ხორცმესხმულ პოლიტიკურ მოთხოვნილებად აქცია. ილიამ და არჩილმა ერთმანეთს უკანასკნელად ხელი მისცეს, როცა მარად სახსოვარი "პეტიციების" დროს ილიამ პირველმა წამოაყენა "საქართველოს ავტონომია", როგორც პოლიტიკური მოთხოვნილება... ილიას ღვაწლი ფასდაუდებელი და სამარადისო სახსოვარია ქართველი ერისათვის. მისი ტრაგიკული სიკვდილი, უკანასკნელი თავზარდამცემი შურისძიება იყო, ნაყოფი გარყვნილი რეჟიმის გავლენისა. ეს რეჟიმი არათუ ილიას "ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო" ვერ ითმენდა, დღემიტრი ყიფიანის ლოიალიზმსაც კი სისხლით გაუსწორდა. ილიას ცხოვრება და სიცოცხლე განაწამები სახეა ქართველი ერის ცხოვრებისა, – როგორც არჩილი ამბობდა.

გერონტი ქიქოძე, "ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე"

თერგდალეულთა ბელადი ილია ჭავჭავაძე იყო ნამდვილი ჩრდილო-დასავლეთელი თავისი კულტურული ორიენტაციით. მას მოსწონდა არა სლავიანოფილებისა და მილიტარისტების რუსეთი, არამედ პროგრესის გზით მიმავალი, დემოკრატიული და რევოლუციური რუსეთი, რომლის საუკეთესო გამომხატველად ის რუსულ მწერლობასა და მეცნიერებას თვლიდა. ის სავსებით ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ "თერგდალეული აღიზარდა რუსულ მწერლობასა და მეცნიერებაზე და შეითვისა, შეიხორცა ნათელი აზრები რუსეთის განათლებულის საზოგადოებისა და ხელსავსე მოვიდა სამშობლო ქვეყანაში". ამ ახალი რუსეთის მასწავლებელი კი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, "დაწინაურებული ევროპა იყო, საიდანაც რუსეთმა გადმონერგა საკუთარ ნიადაგზე სწავლა-მეცნიერება და საიდანაც დღესაც ეზიდება წყალსა და ჯავარს განათ-

ლებისას" ("თერგდალეულნი და ახალი თაობა"). ამრიგად, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ქართული აზროვნება ხელახლად დაუკავშირდა კლასიკური კულტურის საფუძველზე დაყრდნობილ ევროპის მოწინავე კაცობრიობას, რომელთან ის ახლო იდგა როგორც თავისი ნორჩობისა, ისე ვაჟკაცური სიმწიფის ასაკში და რომელსაც წინააზიური კულტურის ჩამაყვების გამო ის მოწყვეტილი იყო ექვსი საუკუნის მანძილზე.

კონსტანტინე გამსახურდია, "ილია ჭავჭავაძე"

მე არ ვიცი, ჩვენ წინ წავედით თუ უკან ილიას შემდეგ. ამაზე სხვებმა თქვეან, ის კი ვიცი, რომ მისი ერთადერთი თქიერი და ზრახვა ჩვენს მარად სათაყვანოს დასტრიალებდა თავზე დღენიადგ. და მაგონდება დარიალის ხეობაში გაბურძგვნილ, ტყაპუჭიან მოხევესთან მოლაპარაკე ილია ჭავჭავაძე. მან ყველაზე უკულტურო ეგზემპლარს ქართველთა შორის ათქმევინა ის ღიღი სიტყვა, რომელშიაც ოცდაათი წლის უამათის შემდეგ ძლივს გაერკვა ქართველი ინტელიგენცია და რამდენი მაგიაა მართლაც ამ სიტყვებში! არიან სიტყვები, რომელნიც ველის ყაყაჩოსავით სულ მალე, მეორეჯერ-მესამეჯერ ხმარებაზე ჯკნებიან და ცვდებიან, სამაგიეროდ, არიან სიტყვები, რომელნიც ზეცის ვარსკვლავებივით არასოდეს დაბერდებიან. ასეთი დაუძველებელი სიტყვებით შემოვიდა ილია ჭავჭავაძე საქართველოში: "ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუნოდესო!".

გალაკტიონ ტაბიძე, პოემიდან "საუბარი ლირიკის შესახებ"

ცხარე ბრძოლის ხმა ეპოქასთან გადაზრდილია,
 ხმა სიყვარულის, ხმა მონობის წინააღმდეგი,
 ცუცხლი – აკაკი, გმირი – ვაჟა, ბრძენი – ილია,
 რამდენი გმირი და რამდენი კიდეც ყაზბეგი!
 მათი ხმით ზარი გაღვიძების კვლავ დაირეკა,
 ხალხის ზრახვებს და წინათგრძნობებს მათ მისცეს მხარი.
 აი, რა მიზნებს ისახავდა ჩვენი ლირიკა,
 რად ეწოდება საქართველოს მგოსანთა მხარე!

თავი 16

აჭარის შემოერთება.

იმპერიული პოლიტიკის გამკაცრება

რუსეთ-თურქეთის ომი 1856 წელს პარიზის ხელშეკრულებით დასრულდა, რასაც შედეგად მოჰყვა, რომ თურქებმა უარი თქვეს გურიაზე, სამეგრელოზე, აფხაზეთზე, თუმცა აჭარა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიები კვლავ მათს მფლობელობაში რჩებოდა.

1877 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის ისევ დაიწყო ომი. რუსეთს ბალკანეთზე და შავი ზღვის ირგვლივ საკუთარი გავლენის გაძლიერება სურდა. ამავ დროს, რუსეთის გამარჯვება იძლეოდა შესაძლებლობას, საქართველოს დაპყრობა თურქეთის მიერ დაპყრობილი ქართული მიწები. ქართველებმა რუსეთის ჯარს აქტიურად დაუჭირეს მხარი, – საქართველოდან ამ ომში ოცდაათი ათასამდე მოლაშქრე და მილიციელი მონაწილეობდა. ბრძოლები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. თავიდან რუსებმა დაიკავეს თურქეთის მიწები, მაგრამ თურქთა კონტრშეტევისას რუსებმა არამარტო დაკავებული ტერიტორიები დაკარგეს, არამედ სოხუმსა და მთელ აფხაზეთში თურქული გარნიზონები ჩადგა. თუმცა გადამწყვეტი ბრძოლები ბალკანეთის ფრონტზე მიმდინარეობდა. 1877 წლის დეკემბერში რუსები შევიდნენ ხერთვისსა და არტანუჯში და ბათუმის მიმართულებით გაიჭრნენ, მაგრამ აჭარელი ბეგების პოზიციის გარკვევამდე ისინი თავს არიდებდნენ ბრძოლის დაწყებას. ამ დროს შერიფ ხიმშიაშვილმა რუსებს აჭარაში შესვლა სთხოვა, მათაც აღარ დააყოვნეს და ახალციხის მხრიდან რუსეთის ჯარი აჭარისკენ დაიძრა. ამ დროს თურქეთმა ზავი ითხოვა. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ თავი შეიკავა ევროპასთან ურთიერთობის დაძაბვისაგან, რომლებიც თურქებს უჭერდნენ მხარს და, ევროპელთა შუამავლობით, რუსეთსა და თურქეთს შორის ზავი დაიდო. საბოლოოდ, 1878 წელს, ბერლინის კონგრესზე,

– ბალკანეთის ქვეყნების მომავლის გარდა, – გადაწყდა, რომ ყარსი და არდაგანი რუსეთს დარჩებოდა. ამავე დროს, აჭარას ბათუმთან ერთად იერთებდა რუსეთის იმპერია. თავად ბათუმს განსაკუთრებული მდგომარეობა განესაზღვრა, – მას ღია ნავსადგურის სტატუსი მიენიჭა.

ვითარების საბოლოო გარკვევამდე გაჩნდა საფრთხე, რომ აჭარის მუსლიმ და ქრისტიან ქართველებს შორის შუღლი გაღვივებულიყო. 1878 წლის 25 აგვისტოს რუსეთის ჯარი და ქართველთა სახალხო ლაშქარი ბათუმში შევიდა. რუსეთის სამხედრო ფლოტის გემებმა ბათუმის ნავსადგური დაიკავეს.

აჭარის შემოერთებას დიდი აღტაცება მოჰყვა ქართველთა შორის. თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლებული ქართული მიწების მოსახლეობისათვის გროვდებოდა შემოწირულობანი. 1878 წლის ნოემბერში თბილისს ესტუმრნენ აჭარის წარმომადგენლები. შეხვედრები გულმხურვალე იყო.

თუმცა ქართველი მოსახლეობის გაერთიანების პროცესი ადვილად არ მიმდინარეობდა. დაძაბულობაში თავის უარყოფით როლს თამაშობდა რუსეთის ხელისუფლებაც. იმპერიის ხელმძღვანელობა ისევ აგრძელებდა თავის ანტიქართულ, რუსიფიკატორულ პოლიტიკას, – ამჯერად უკვე აჭარაშიც. ის ცდილობდა, ერთი მხრივ, ქრისტიანი ქართველები, ხოლო, მეორე მხრივ, მუსლიმი ქართველები რელიგიური ნიშნით განესხვავებინა ერთმანეთისაგან.

ამავე დროს, რუსეთი ისევ მიმართავდა არასასურველი მოსახლეობის იმპერიიდან გასახლების პოლიტიკას. ჩრდილოკავკასიელ მთიელთა თუ აფხაზთა მიმართ ადრე განხორციელებული ზომები ამჯერად აჭარელთა მიმართ გამოიყენეს. აჭარის შემოერთების შემდეგ დაიწყო “მუჰაჯირობა” – მუსლიმი აჭარელების ოსმალეთში გადასახლება, რასაც აქტიურად უწყობდა ხელს რუსეთის ხელისუფლება. რუსეთის სურვილი იყო, რაც შეიძლება მეტი მუსლიმი ქართველისაგან დაცლილიყო თურქეთთან მოსაზღვრე მიწები. მუჰაჯირობის პერიოდში აჭარიდან ოცდაათი ათასი მუსლიმი ქართველი გადაიხვეწა. ბათუმის რუსული პრესა განუწყვეტლად ქადაგებდა დიდმპყრობელურ იდეებს და ყველანაირად ცდილობდა, დაძაბულობა დაეთესა აჭარის მუსლიმ და ქრისტიან მოსახლეობას შორის, – ისინი ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა.

ამასთანავე, მალე მკვეთრად შეიცვალა პოლიტიკური და იდეოლოგიური მდგომარეობა რუსეთში. მას შემდეგ, რაც 1881 წლის 1 მარტს "ხალხოსანთა" ("ნაროდნიკების") მოძრაობის წარმომადგენლებმა მოკლეს იმპერატორი ალექსანდრე მეორე, იმპერიაში მწვავედ წამოიჭრა ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემა. თუ ალექსანდრე მეორის დროს რუსეთი ლიბერალური რეფორმების განხორციელების გზას ადგა, მისი მკვლელობის შემდეგ გამკაცრდა პოლიტიკური სისტემა და გაძლიერდა რეპრესიები. რუსეთის ახალი იმპერატორი ალექსანდრე მესამე ქვეყანაში რეფორმების შეწყვეტასა და უღმობელი რეჟიმის დამყარებას ემხრობოდა.

1881 წელს გაუქმდა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა. იმპერიის ამ რეგიონის ხელმძღვანელად კვლავ მთავარმართებელი დაინიშნა. ამავე დროს, კავკასიას ჩამოერთვა ადმინისტრაციული ავტონომია. ამჯერად მთავარმართებელი იმპერატორს კი აღარ ემორჩილებოდა, არამედ შინაგან საქმეთა მინისტრს. კავკასიის საიმპერიო ჯარებს მთავარმართებელი ხელმძღვანელობდა, მაგრამ მას არ ექვემდებარებოდა განათლების, საფინანსო და საგზაო უწყებები. მეფისნაცვლის თანამდებობის გაუქმებასთან ერთად აღდგა გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაც. საქართველოს გუბერნიები სანკტპეტერბურგს დაექვემდებარა. თუმცა გუბერნატორებს სრული თავისუფლება მიეცათ, თავისი შეხედულებისამებრ გამოეყენებინათ სამხედრო ძალები, წარემართათ სამხედრო მოქმედებანი. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები მაზრებად დანაწილდა. 1885 წელს მაზრები კიდევ უფრო მცირე ადმინისტრაციულ ერთეულებად – ნაწილებად (უჩასტკებად) დაიყო, რომელთაც ბოქაულები (პრისტავები) მართავდნენ. მაზრებში დამყარდა საპოლიციო რეჟიმი.

1882 წელს კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობაზე დაინიშნა გენერალი ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი. მის რუსიფიკატორულ გეგმებს მხარს უჭერდა საქართველოს ეგზარქოსი, მთავარეპისკოპოსი პავლე ლეხედვი და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილ იანოვსკი.

დაიწყო სკოლებში ქართული ენის დევნა. 1881 წლიდან ქართული ენის სწავლება სკოლებში სავალდებულო აღარ იყო, ხოლო რუსული ენის ათვისება ყველა სახის სკოლაში დაწყებითი კლასებიდანვე უნდა დაწყებულიყო. 1884 წელს გამოიცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ქართულის სწავლება საერ-

თოდ აიკრძალა საქართველოს სკოლებში. ამიერიდან ქართველ ბავშვებს სკოლაში შესვლამდე უნდა შეესწავლათ რუსული ენა, ხოლო რუსულის არმცოდნე ქართველი მასწავლებელი სამსახურს კარგავდა.

ამავე დროს, იმპერიის მოხელეები ხელს უწყობდნენ სკოლებში მეგრული და სვანური ენების დამკვიდრებას და მათ გამოიჭინათ ქართული ენისაგან. 1883 წელს სამეგრელოს იმ სკოლებში, რომლებიც რუსეთის განათლების სამინისტროს ექვემდებარებოდა, ნება არ დართეს, ქართული ენა თუნდაც დამატებით ენად ესწავლებინათ. მიმდინარეობდა მუშაობა მეგრული ენის რუსულენოვანი სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნაზე. 1889 წელს რუსულის საფუძველზე შედგა მეგრული ანბანი. მეგრულად ითარგმნებოდა საეკლესიო წიგნები, რათა ღმრთისმსახურება ეკლესიაში მეგრულ ენაზე აღსრულებულიყო.

ამასთანავე, რუსები ცდილობდნენ, ერთმანეთისაგან გაემიჯნათ ქართველები და აფხაზები. 1898 წლის 17 მარტს აფხაზეთის სკოლებში აიკრძალა ქართული ენის სწავლება. 1898 წლის 3 სექტემბერს გამოიყა ბრძანება, რომლის მიხედვით, ყველა იმ ეკლესიაში, რომელთა მრევლს აფხაზები შეადგენდნენ, ღმრთისმსახურების ენად სლავური უნდა დაწესებულიყო. ქართველებს აღარ შეეძლოთ სოხუმის ოკრუგის სასოფლო თემის მუდმივი მცხოვრებლები გამხდარიყვნენ. თემის მცხოვრებლად ამიერიდან მიიჩნეოდა მხოლოდ იგი, ვინც 1865 წლამდე სარგებლობდა ამ უფლებით. ამის სანაცვლოდ, რუსეთის ხელისუფლება მხარს უჭერდა აფხაზეთის მიწაზე უცხოტომელთა ჩამოსახლებას. აფხაზთა ნაწილი ვერ შეეგუა რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას და ოსმალეთში გადასახლდა. ამდენად, ისევ გრძელდებოდა მუჰაჯირობა, ადგილობრივთა გადასახლება, რაც რუსეთის პოლიტიკის გამარჯვებას ნიშნავდა.

დანართები

ილია ჭავჭავაძე, "ოსმალის საქართველო"

ეგრეთ, – მძლავრობამ, მუხთლობამ, ლალატმა, შავით მოსიღმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები – ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და

ერთად მოლხინენი... სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდისმე სხვისა სარწმუნოებისა დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრიან. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი, აქ, ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობისმყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა.

არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ძმებს, ოსმალს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ღმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს, თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი. და თუ ამისთვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთან დიდებულთა მამა-პაპათა...

იაკობ გოგებაშვილი აჭარის შემოერთების გამო

ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად "მებრძოლი შავი ბედისა", ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა.

გრიგოლ ორბელიანის სიტყვა აჭარის დეპუტაციის
პატივსაცემად, 20 ნოემბერი, 1878

ბატონებო! რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარია? რასა ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოადგენს სასიხარულოსა მას სანახავსა, როდესაც ერთი დედისა შვილნი, შავი ბედისა გამო განშორებულნი, დიდხანს ერთმანეთისათვის

დაკარგულნი, ანაზღუეულად, მოულოდნელად, შეხედნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადის სიყვარულითა. ჩვენცა, ეგრეთვე საქართველოს შვილნი, ვიყავით დაკარგულნი ერთმანეთისათვის საუკუნეების განმავლობაში, ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი აოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც კი არ დაგვიწყებია დაშორებულნი ჩვენნი ძმები. თვალი გვეჭირა თქვენკენ, ბატონებო, და ვნატრობდით, როდის ამოვაო მზე შეერთებისა და, აი, გვისმინა ღმერთმაც: დღეს ჩვენს შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმათა და მოხარულნი ვმადლობთ ღმერთსა და ვევედრებით, რომ შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნისამდე შეურყევლად.

სერგეი მესხი, “ახალი მოვალეობა”

ბათუმისა და აჭარის მოერთება ჩვენს ქვეყანასთან დიდ და მძიმე მოვალეობას სდებს ჩვენს ეგრეთ წოდებულ განათლებულ საზოგადოებას... ორი რომელიმე ხალხის შეერთების დროს ყველაზე უფრო ძნელი საქმე არის, რომ ამ ორ ხალხს შუა ერთმანეთის ნდობა იყოს; თავიდანვე უნდა იყვნენ ესენი დარწმუნებულნი, რომ ერთიმეორის გასაძარცვავად და შესაჭმელად როდი შეერთებულან, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ რომ ერთმანეთს ხელი ხელში ჩააეღონ და ამნაირად უფრო ადვილად გაიარონ ცხოვრების მძიმე გზაზე...

აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ არ შევეხოთ ახლადშეძენილი ქართველების სარწმუნოებას. ჩვენი აზრი ეს არის, რომ არათუ ძალდატანებით, ქადაგებითაც, ტკბილი სიტყვებითაც კი არ უნდა ვეცადოთ ჩვენ, განსაკუთრებით ამ თავით, მაჰმადიანი ქართველების გაქრისტიანებას, გამართლმადიდებლებას; წინააღმდეგ შემთხვევაში, უეჭველია, რომ ჩვენ თავიდანვე შევაძულებთ იმათ ჩვენს თავს, თავიდანვე განზე დაგვიწყებენ ყურებას. სარწმუნოება სინდისის საქმეა, ერთობ ფრთხილად უნდა შეეხოს იმას კაცი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წინ მაჰმადიანის სარწმუნოების კაცი ვიდგია. არც ქადაგობა, არც რჩევა არ არის საჭირო ამ შემთხვევაში. თვითონ, თავის თავად თუ გაიგებენ და დარწმუნდებიან ქრისტიანთ სარწმუნოების უმჯობესობაში და მიიღებენ ამ სარწმუნოებას, ხომ კარგი, თუ არადა, იყვნენ, დარჩნენ ისე, როგორც არიან. სარწმუნოების განსხვავება არ დააბრკოლებს, არ დაუშლის ჩვენსა და იმათ ძმობას და ერთობას.

გაზეთი "ივერია", 1889

ეხლა სამეგრელომ აღმოაჩინა წმინდა მამებიც, რომლებსაც, სრული იმედია, წმინდანებად არ შერაცხავენ. ამათ უკისრნიათ საღვთო წერილის თარგმნა მეგრულ ენაზედ... ამ მამათ, ოღონდ თავიანთი ფარული აზრი საქმედ აქციონ და ამას კი არ დაეძებენ, რომ ერის რელიგიურ გრძნობას შელახავენ და შებღალავენ... ამ ოციოდე წლის წინად მთარგმნელთა გუნდმა კიდევ გადაიღო მეგრულზე წირვა-ლოცვა, მაგრამ როდესაც ეკლესიაში გაისმა, ჭკვიანურო – გეწიმოღირთიო, ხალხმა იგრიალა და ლანძღვა-გინებით გამოვარდა ეკლესიიდან.

ღიმიტრი ყიფიანის მოხსენებითი ბარათი ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვის მიმართ, 1886

შემძლია მოგახსენოთ ერთი შეურყეველი და ახალი ფაქტი, რომელიც იმას გვეუბნება, რომ არსებობს შიდრეკილება ქართული ენის დევნისა. მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და საკულტო ენა სამეგრელოში და იქ ეს ენა ყველას ესმის. ამჟამად კი ახალ კულტურას ნერგავენ, მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ენის საშუალებით. ასე რომ გავყვეთ, შეიძლება შეიქმნას ახალი კულტურები აჭარლებისა, ფშავ-ხევსურებისა, ინგილოებისა, მთიულებისა და სხვათათვის. სასარგებლო იქნება ყოველივე ეს იმ მთავრობისთვის, რომელმაც თავის მფარველობის ქვეშ მიიღო მრავალტანჯული საქართველო, რისთვისაც უსაზღვრო მადლობაც დაიმსახურა?

ვიკტორ ნოზაძე, "საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო"

პირველად 1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად რუსეთის იმპერიის ფარგლებში შევიდა და საქართველოს "შეუერთდა" ძველი მესხეთის ნაწილები: ქობლიანი, ოძრხე (აბასთუმანი), ახალციხე, აწყვერი, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჯარაქი, ფოცხოვი და აბოცი (ჩილდირი): ანუ ძველი სამცხე, ჯავახეთი, პალაკაციო (აბოცი) და ერუშეთი. შემდეგ, 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, პარიზის ზავით, შემოერთებულ იქმნა მესხეთის მეორე ნაწილიც: აჭარა-ქობულე-

თი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი – ოლთისი...

შემოერთებულ მესხეთში, ომის გამო, მოსახლეობის მოძრაობა მოხდა, გადასვლა-გადმოსვლა დაიწყო. მაჰმადიანი ქართველები არ შეურიგდნენ ქრისტიანული რუსეთის მოსვლას, ათასობით აიყარნენ მესხეთიდან და ოსმალეთს მიაშურეს. პირველი ასეთი დიდი აყრა მოხდა 1828 წელს, განსაკუთრებით ჯავახეთიდან (ახალქალაქის მაზრა), ხოლო 1878 წელს მარტო არდაგანის რაიონიდან ოსმალეთში გადასახლდა 22 743 ქართველი მაჰმადიანი. სამაგიეროდ, ამ მხარეებს მოაწყდნენ სომხები, რომელნიც ქრისტიანულ რუსეთში თავშესაფარს ეძებდნენ. რუსეთის მთავრობაც მათ დახმარებას უწევდა და ქართულ მიწა-წყალზე ასახლებდა. ახალციხის ალების შემდეგ მაშინდელი კავკასიის მთავარმართებელს ქართველი თავად-აზნაურები წარუდგნენ და მას ქართველ მეფეთა წყალობის წიგნები მიართვეს, რომლითაც მტკიცდებოდა ქართველთა უფლება ახლადშემოერთებულ სამცხე-ჯავახეთზე, მაგრამ მთხოვნელებს პასკევიჩმა ცივი უარი სტკიცა და გაურისხდა, ხოლო გადმოსახლებულ თითოეულ სომეხს მანეთი დახმარება მისცა და ექვსი წლის განმავლობაში გადასახადებიდან გაათავისუფლა. მარტო ახალციხე-ახალქალაქის (სამცხე – ჯავახეთში) მაზრებში ჩასახლებული იქნა 30 000-მდე სომეხი. აი, ამ გზით გაჩნდნენ სომხები მესხეთში და ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა მიეცა, როცა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების მოხაზვის საკითხი წამოიჭრა.

რუსეთის ბატონობის დროს საზღვრების საკითხი საიმპერიო იყო, რასაკვირველია, და თუ ქართველობას პირდაპირ ეხებოდა იგი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ოსმალეთთან ომი ხდებოდა. ამ ომში ქართველობას შეჰქონდა თავისი განსაკუთრებული აღტკინება და თავგანწირულობასაც იჩენდა. ამისი მთავარი მიზეზი იყო დროთა განმავლობაში ოსმალეთის მიერ საქართველოსადმი მუდმივი მტრობა და ქართული საკუთარი მიწა-წყლის წაგლეჯა და ამ ნიადაგზეც შურისძიების სურვილიც.

ოსმალეთმა ქართველ ერს უდიდესი და აღურიცხველი ზიანი და ზარალი მიაყენა და მით წარუშლელი დაღი დააჭდო ქართულ შეგნებას და სულის. ამიტომაც ოსმალეთთან ომის დროს ფიცხლავ და ზეიმით ირამზებოდა ქართველობა და, რეგულარული ჯარის გარდა, მილიციაც დგებოდა ხოლმე. ყოველი გამარჯვება რუსის იარაღისა ქართველობას სიხარულს ჰფენდა და თითოეული ნაჭერი მიწა, უკან მიღებული, ახლა უკვე გამაჰმადიანებული

არქივიდან

სამკვიდრებელისა, დაკარგული ძმისა და მამულის დაბრუნებას უდრიდა. ამიგომ დღესასწაულობდა და ზეიმობდა ქართველობა და გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის პირით ამ ზეიმს მთელს საქართველოს ამცნობდა. საზეიმოც იყო: თუმცა რუსეთის ფარგლებში, მაგრამ მაინც საქართველოს უბრუნდებოდა ძველი მესხეთი, მრავალი ნაჭირნახულევი და საკუთარ კერას მოწყვეტილ ძმთა სამკვიდრებელი და ქართული კულტურის სავანე, და ქართველობა, რუსული ადმინისტრაციის ხელისშეშლისა და დატუქსვის მიუხედავად, მესხეთზე შეძლებისდაგვარად ზრუნვას შეუდგა. რუსული ადმინისტრაცია, თავის მხრივ, მესხეთში გამარუსებელ პოლიტიკას მისდევდა და სკოლებში შემოიღო რუსული და თურქული. დიახ, თურქული ენა. ქართული განდევნილი იყო! და ამის გამო ქართული ენა, გუშინ კიდევ მოსახლეობის მიერ ხმარებული, რუსულმა და თურქულმა შეცვალა; ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსული ენა ეჯავრებოდათ და მას ადგილობრივი გარემოცვაყ არა ჰქონდა, ცხადია, თურქულმა იწყო ბატონობა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ქართული ელემენტი მესხეთში მაინც სჭარბობდა და 1917 წლისათვის მესხეთის მცხოვრებთა საერთო რიცხვში – 419 000 – ქართველთა რიცხვი უდრიდა 268 000, ანუ 64 %-ს.

და ეს გასაკვირია, რადგან რუსეთის მთავრობა ხელოვნურ ზომებს მიმართავდა მესხეთში დარჩენილ ქართველ მაჰმადიანთა გადასაგვარებლად. ქართულ ენას ხომ უსპობდა მათ, მაგრამ ამასთანავე იქ სხვადასხვა ეროვნებებს ასახლებდა (სომხებს, თურქებს, ქურთებს, ბერძნებს და რუსებს).

თავი 17

ოცწლეული: 1885-1905

1885 წელს კავკასიის რუსული ხელისუფლება გასცემს ნებართვას, გამოიყენოს ყოველდღიური ქართული გაზეთი "ივერია", რომლისაც ურედაქტორებს ილია ჭავჭავაძე. იმავე წელს ილია ჭავჭავაძეს აირჩივენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარედ და სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ. აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის წინამძღოლი ხდება გენერალი ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი, ხოლო დიმიტრი ყიფიანი სათავეში ჩაუდგება დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობას. საქართველოში კიდევ უფრო ძლიერდება ეროვნული, პატრიოტული ძალები.

1885 წელს დასავლეთ საქართველო მოიარა კავკასიის ყოფილი მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ. ქუთაისში მას თავადაზნაურობამ ბანკეტი გაუმართა, რომელზეც სიტყვით გამოვიდა დიმიტრი ყიფიანი. მან არ მოიწონა კავკასიის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებანი, ხოლო ცოტა მოგვიანებით კი, ბორჯომში გამართული აუდიენციისას, დიდ მთავარს წერილობითი ბარათი გადასცა, სადაც ჩამოყალიბებული იყო ქართველი ადამიანების მწვავედ უარყოფითი დამოკიდებულება კავკასიის მთავარმართებლის, ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვის ანტიქართული პოლიტიკის მიმართ.

ერთი წლის შემდეგ, როცა ეგზარქოსმა პავლე ლეებდევმა ქართველი ერი დასწყევლა სემინარიის სტუდენტის მიერ სემინარიის რექტორის მოკვლის გამო, დიმიტრი ყიფიანმა რუს მღვდელმთავარს ერის წინაშე ბოდიშის მოხდა მოსთხოვა. საპასუხოდ ყიფიანი რუსეთში, სტავროპოლში, გადაასახლეს და სულ ცოტა ხანში იგი მიგზავნილმა ჯალათმა ძილში გამოასალმა სიცოცხლეს. დიმიტრი ყიფიანის (რომელსაც ახალი დიმიტრი თავდადებული ეწოდა) მკვლელობამ და დასაფლავებამ ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლება მოიტანა...

ყიფიანის შემდგომი თაობა, თერგდალეულები, მალე დაშალა დაპირისპირებამ. თუ ილია ჭავჭავაძეს მკვეთრად გამოკვეთილი ეროვნული პოზიცია ჰქონდა და თანამოქალაქეთა ყველა ფენის ჩართვას მოითხოვდა საერთოქართული იდეალების ხორცშესასხმელად, ნიკო ნიკოლაძე და მისი თანამოაზრეები მიზნად ისახავდნენ სოციალური პრობლემების მოგვარებასა და ქვეყნის განვითარებას სოციალიზმის გზით. თუმცა თერგდალეულთა ერთი ნაწილი, გიორგი წერეთლისა და სერგეი მესხის მეთაურობით, ეროვნული კუთხითაც აკრიტიკებდა ილია ჭავჭავაძის მიერ არჩეულ გზას. ისინი მას არაკონკრეტულობას უწუნებდნენ და თავიანთი ბრძოლის შედეგად კავკასიის ხალხთა ფედერაციული გაერთიანება მიაჩნდათ. თუ ილიას მომხრენი, "პირველდასელები", გაზეთ "ივერიის" გარშემო იყვნენ შემოკრებილნი, მისი მოწინააღმდეგეები, ანუ "მეორედასელები", გაზეთ "დროების" ირგვლივ გაერთიანდნენ. თუმცა "მეორედასელთა" შორის იდეური ერთობა არ ყოფილა და 1883 წლის შემდეგ, როცა სერგეი მესხი გარდაიცვალა (მალე "დროებამაც" შეწყვიტა არსებობა), მის ირგვლივ შემოკრებილი ადამიანების დიდმა ნაწილმა ისევ ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს დაუჭირა მხარი.

1892 წლის მიწურულს ეგნატე ნინოშვილმა ერთად შეკრიბა ჯგუფი სოციალისტურად განწყობილი ახალგაზრდებისა, რომელთა შეხედულებანი მეტად ჰგავდა მარქსისტ გეორგი პლესხანოვის მიერ 1883 წელს რუსეთში დაარსებული "შრომის განთავისუფლების" ჯგუფის იდეებს. მათ "მესამედასელები" ეწოდათ. მათი მეურვეობა და პოპულარიზაცია გიორგი წერეთელმა ითავა, რომელმაც 1893 წელს დააარსა ახალი გაზეთი, "კვალი". ამ გამოცემას იგი 1898 წლამდე ხელმძღვანელობდა, მაგრამ მალე გაზეთი მთლიანად "მესამედასელთა" ხელში გადავიდა.

ამ დროს სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებს შორისაც გამოიკვეთა წინააღმდეგობანი. მათი ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ახალი სოციალისტური სახელმწიფოს შესაქმნელად და ძველის, უკვე არსებულის დასამხოზად, აუცილებელი იყო არალეგალური, რევოლუციური ძალადობა. ამ ფრთის წარმომადგენლები იყვნენ: მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, ლადო კეცხოველი, იოსებ ჯულაშვილი (სტალინი) და სხვები.

რაც შეეხება მეორე ნაწილს, რომელსაც ნოე უორდანი, ირაკ-ლი წერეთელი, ნოე რამიშვილი ედგნენ, საქმიანობის მთავარ ფორმად ლეგალურ მუშაობას მიიჩნევდა, რაც გულისხმობდა როგორც ხალხში სოციალისტური იდეების გავრცელებას, ისე საპარლამენტო მოღვაწეობას.

ჯერ კიდევ 70-იან წლებში წარმომადგენელი დაპირისპირება, ერთი მხრივ, ილია ჭავჭავაძესა და, მეორე მხრივ, ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი წერეთლის მომხრეებს შორის, ამჯერად კიდევ უფრო გამძაფრდა. 1899-1900 წლებში ნოე უორდანიამ გამოაქვეყნა სტატიების ციკლი, სადაც იგი ილია ჭავჭავაძეს თავადაზნაურობის ყველაზე უფრო სახიფათო და რეაქციულ წარმომადგენლად მიიჩნევდა.

ის, რაც სოციალ-დემოკრატიკა ორივე ფრთას აერთიანებდა, იყო სრული გულგრილობა ეროვნული საკითხის მიმართ და საქართველოს მომავლის ხედვა მხოლოდ რუსეთის რევოლუციური განვითარების ჭრილში. შესაბამისად, ისინი მკვეთრად დაუპირისპირდნენ საქართველოს ავტონომიის იდეას.

საქართველოში ქალაქების განვითარებასთან ერთად, გაიზარდა მუშათა ფენაც. ამ პროცესს, ცხადია, ხელი შეუწყო ქვეყანაში ბატონყმობის გაუქმებამაც. თუმცა მუშათა პირობები სოციალური თუ ეკონომიკური მიზეზების გამო მეტად მძიმე იყო. შედეგად დაიწყო მუშათა საპროტესტო გამოსვლები. პირველი მასშტაბური გაფიცვა 1887 წელს გაიმართა: გაიფიცნენ ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოთა მუშები. რუსეთის ხელისუფლებამ მათ სამხედრო ძალა დაუპირისპირა. პროტესტის ჩახშობის შემდეგ ჯარმა დაარბია "მუშათა კომიტეტი" – ამ სახის პირველი ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობდა გამოსვლებს.

1890-იან წლებში მუშათა პროტესტი უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამ მხრივ მოქმედებდნენ არა მხოლოდ თბილისის, არამედ საქართველოს სხვა ქალაქების – ბათუმის, ჭიათურისა, ტყიბულისა და ფოთის – მუშებიც. გამოსვლებს ხშირად სისხლისღვრა და ხელისუფლების მხრივ რეპრესიები მოჰყვებოდა.

სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა ქართველი მესამედასეკლესიის პოლიტიკური გააქტიურება. სოციალურმა და პოლიტიკურმა დაძაბულობამ, ხალხში ყოველდღიურმა პროპაგანდამ

შედგვი გამოიღო და უკვე 1896 წელს საქართველოში არსებობდა რამდენიმე არალეგალური მარქსისტული დაჯგუფება. ამ დროისათვის ქართულად ითარგმნა კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის ნაწერები. თბილისსა და ბათუმში შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული წრეები. მალე მათი უკიდურესად მემარცხენე ფრთა ტერორისტულ საქმიანობას შეუდგა.

1903 წელს ქართველ სოციალ-დემოკრატთა ორგანიზაცია "მესამე დასი" რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას შეუერთდა და მისი ნაწილი გახდა. იმავე წელს ამავე პარტიის ყრილობაზე რუსეთის სოციალ-დემოკრატები ორ ნაწილად – ბოლშევიკებად (უმრავლესობად) და მენშევიკებად (უმცირესობად) – გაიყვნენ, თუმცა ქართველებს შორის ძალთა გადანაწილება სხვაგვარი აღმოჩნდა.

ამავე ხანებში, სოციალისტური პარტიების გარდა, საქართველოში იქმნებოდა ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული პარტიებიც. მათ შორის იყო საქართველოს სოციალ-ფედერალისტების პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ არჩილ ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე, გიორგი ლასხიშვილი. მალე გამოჩნდნენ ეროვნული დემოკრატებიც (სპირიდონ კედია, შალვა ამირეჯიბი და სხვები). იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი ანარქისტებიც (ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, შალვა გოგელია), რომელთაც პარტიად ჩამოყალიბება ვერ მოახერხეს. ამ დროს საქართველოში ოცამდე პოლიტიკური დაჯგუფება და მიმდინარეობა მოქმედებდა.

1904 წელს დაწყებულმა რუსეთ-იაპონიის ომმა და რუსეთის დამარცხებამ ამ ომში დაძაბა მდგომარეობა იმპერიაში. 1905 წლის დამდეგს რუსეთში გამოსვლების საპასუხოდ თბილისის ქუჩებშიც გაიმართა მანიფესტაციები ლოზუნგებით: "ძირს თვითმპყრობლობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!"

დანართები

აკაკი ბაქრაძე, "რაინდი მიამიტი და თავდადებული"

[დიმიტრი ყიფიანი] მთელი ცხოვრება მოუსვენარ საქმიანობაში გაატარა. ხშირად ატყუებდნენ, მაგრამ კეთილისა და სამართლიანობის რწმენას მაინც არ კარგავდა. ერის სამსახურის ჭაპანს ქედმოუხრებლად მიათრევდა. უთვალავი დავიდარაბის მიუხედავად, თითქოს მშვიდობიანად მოხუცდა და ხიფათი არსაიდან ელოდა, უცბად 1886 წლის 24 მაისს უბედურება დატრიალდა: ეროვნული შეურაცხყოფისა და დამცირების დაგროვილმა ბოღმამ ჯებირი გაარღვია და სემინარისტმა იოსებ ლალიაშვილმა სატყვერით მოჰკლა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცკი. ამ ამბით გაბოროტებულმა ეგზარქოსმა პავლემ დასწყევლა და შეაჩვენა იოსებ ლალიაშვილი და, მასთან ერთად, მთელი ქართველი ხალხი. იმ დროს დიმიტრი ყიფიანი თავის მამულში, ქვიშხეთში, ისვენებდა. იქ შეიტყო შემაძრწუნებელი ამბავი ქართველი ხალხის შეჩვენების და წყევლისა. დიმიტრი ყიფიანი რის დიმიტრი ყიფიანი იქნებოდა, ეს რომ მოეთმინა და მ ივნისს ხაშურიდან დეპეშა გამოუგზავნა ეგზარქოსს პავლეს. იგი იწერებოდა:

"თქვენო მაღალსამღვდელოებავ! მიიღეთ მწყემსმთავრული მოწყალეობა და შემინდეთ ჩემი დიდი შეცოდება, თუ მე აყოლილი დაუჭერებელ ხმებს, ვცოდავ თქვენს წინაშე. მაგრამ ეს ხმები მოგაწერენ თქვენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც მოწოდებული ხართ სამწყსოდ და რომელიც ამის გამო მოელოდა თქვენგან, როგორც ქრისტეს პირველმსახურისა და წარმომადგენლისა, მარტოოდენ სიყვარულსა და სათნოებას. იგივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ტახტის შეურაცხყოფით და მოგაწერენ აგრეთვე განზრახვას: მოიხადოთ ბოდიში სამწყსოს წინაშე თქვენგან წარმოთქმული სიტყვების უზომო ცოდვიანობის გამო. თუ ეს ყველაფერი მართალია, მეუფეო, თქვენი ღირსების გადარჩენა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ შერცხვენილი დაუყოვნებლივ განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან. კეთილი გულით და გულწრფელი სურვილით – თავიდან აიცილინოს ახალი უზომო შეცოდება, – ამას თქვენ გეუბნებათ ერთ-ერთი წევრი თქვენი სამწყსოსი. თუ ეს ყოველივე ტყუილია, შემინდეთ და მაკურთხეთ თქვენი მწყემსმთავრული

მარჯვენით. თქვენი მაღალსამღვდელოების უმორჩილესი მონა დიმიტრი ყიფიანი”.

ამის პატიებას ყიფიანისათვის არც ეგზარქოსი პავლე აპირებდა და არც კავკასიის მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი. კავკასიის ხელისუფლება პეტერბურგს ევედრებოდა, დიმიტრი ყიფიანის სამაგალითო დასჯის უფლება მოგვეცითო. პეტერბურგი ერთხანს თავს იკავებდა. ითვალისწინებდა, რომ დიმიტრი ყიფიანი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, სამი ორდენით დაჯილდოებული, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი იყო. ბოლოს, სახელმწიფოს უშიშროებისათვის, მაინც გაიმეტეს იგი. ჯერ თანამდებობიდან გადააყენეს და შემდგომ სტავროპოლში გადაასახლეს.

გადასახლების წინ აკაკი წერეთელს უნახავს ქვიშხეთში: “მისმა მხიარულმა სახემ გამაოცა. ერთი იმ თავითო და მეორე ამ თავითო! – მომაცვირა სიცილით, – პატიმრობით დავიწყე ცხოვრება და პატიმრობითვე ვათავებო. დაღრეჯილობა რომ შემატყვო, სიცილით მითხრა: “ნუ გშურს ჩემთვის ეს ღვთის წყალობაო! უკეთეს ჯილდოს მე ვერც კი მოვიფიქრებდიო!.. ეს ერთი საუკუნეა, რაც ქართველები ცუდკაცობისთვის იგზავნებიან ციმბირში და ჯერ იდეურად არავენ დასჯილად და დეე, პირველი მერცხალიც მე ვიყო!.. მართალია, პირველ მერცხალს ხანდახან სუსხი დაჰკრავს და გაზაფხულს ვეღარ ესწრება, მაგრამ მაინც პირველი მახარობელია და გაზაფხული მაინც მოვაო!” – თქვა და ჩათუქრდა...”

სტავროპოლში ყოფნა დიდხანს არ მოსწევია დიმიტრი ყიფიანს. 1887 წლის 24 ოქტომბერს ღამით, მის საცხოვრებელში ჯალათი შეიპარა, თავში ურო ჩაარტყა და ქურდულად მოჰკლა. “ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ჰფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს... იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს” (აკაკი წერეთელი).

თბილისში მთაწმინდისაკენ უკანასკნელ გზაზე მას მთელი საქართველო მიაცილებდა. ზღვა ხალხის ცრემლიანი თვალები დიმიტრი ყიფიანის სიტყვებით ეკითხებოდა უზენაესს: “განურჩევლად ყველას ეპყრობიან ასეთნაირად თუ მხოლოდ ჩვენ, ქართველებსა? მართალი კია, ჩვენ უფრო მომთმენნი ვართ და ბევრ სხვაზე უფრო მორჩილნი...”

აკაკი წერეთელი, "განთიადი"

მთაწმინდა ჩათუქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,
მნათობი სხივებს მალლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.
დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა,
მდინარე ნანას უმღერის,
რაინდსა, ურჩსა მგრისასა...
მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს,
აბარებს ქვეყნის მოყვარეს. [...]
"დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!"

კიტა აბაშიძე, "გმირი-პროტესტანტი"

დღეს, როცა საქართველოს ასე ესაჭიროება განწირული სიტყვა და ღრმა აზრი, დღეს, როდესაც ყოველი ჩვენთაგანი გრძნობს სიცარიელეს და უდიდეს სულიერ კარჩაკეტილობას განიცდის, აუცილებელივ საჭიროა მოგონება და პატივისცემა ადამიანისა, რომელიც თავგაჩეხილი სწორედ ამ გაბედული სიტყვისათვის მსხვერპლად შეეწირა ჩვენი ერის უფლებების და თავმოყვარეობის დაცვის საქმეს. დიდება პირველ ქართველ პროტესტანტს!

კონსტანტინე გამსახურდია, "ტრაგედიის გმირი"

ჩვენს თაობას არ აკლია არც პათოსი, არც პატრიოტიზმი, არც სიმჭევრე და არც ინტუიცია. ის, რაც ჩვენ დიმიტრი ყიფიანისაგან უნდა ვისწავლოთ, ეს არის აქტიურობა... მივაგებოთ მკერდი და შუბლი საქართველოზე მოღერებულ მახვილს და ტყვიას, ისე როგორც დიმიტრიმ ჰქმნა ეს 35 წლის წინათ. მარტვილი და გმირი სჭირია დღეს ქართველ ერს, რადგან უდიდესი მოვალეობაა საქართველოსათვის სიცოცხლე და მუშაობა. ხოლო უდიდესი გამარჯვება – მისთვის სიკვდილი!

ლეო ქიაჩელი, “დემიტრი ყიფიანი”

ახალი საქართველოს იმედებისა და რწმენის სათავე, ჭეშმარიტად, დემიტრი ყიფიანია, ვინაიდან ახალი საქართველო უნდა ჰმვას არა თეორიებმა, არამედ ნებისყოფამ და ხასიათმა.

ტიციან ტაბიძე, “დემიტრი ყიფიანი”

დემიტრი ყიფიანში იფეთქა ეროვნულმა სიამაყემ და თავმოყვარეობამ. მონობისა და პოლიტიკური სილაჩრის ატმოსფეროში აღზრდილ საზოგადოებაში გაისმა ხმა ადამიანისა, რომელსაც უკვე შეუძლებლად მიაჩნია ქედი მოიხაროს იქ, სადაც საქმე ნაციონალური ღირსების დაცვას შეეხება.... დემიტრი ყიფიანში გამოხატულება ჰპოვა იმდროინდელი ქართველი საზოგადოების გულის სიდრმეში მიმალულმა, ჩაფერფლილმა ნაციონალურმა გრძობამ. დემიტრი ყიფიანმა თითქოს შავი სუდარა ჩამოჰგლიჯა ქართველის დასნეულებულ გულს და გადაუშალა წარმტაცი სურათი ბრძოლის შესაძლობლობისა საქართველოს ეროვნული ღირსების დასაცავად... მთაწმინდიდან ამ რაინდი მამულიშვილის ქანდაკება ამაყად გადმოსცქერის სამშობლოს დედაქალაქს და გვასწავლის, როგორ უნდა დაიცვას თითოეულმა ჩვენთაგანმა საქართველოს შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა.

ფილიპე მახარაძე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის (ბოლშევიკების) წევრი

დღევანდელ პირობებში, მშრომელი ხალხის ინტერესები სრულებით იმას არ თხოულობს, რომ საქართველოს ავტონომია მიენიჭოს, პირიქით, დღეს ისეთი დროა, როცა მთელი მშრომელი ხალხი უნდა შეერთდეს და საერთო მტრების წინააღმდეგ შეერთებული ძალით მიიტანოს იერიში. ერთი სიტყვით, დღევანდელ პირობებში ავტონომიის მოთხოვნა არა მარტო უაზრობაა, მავნებელიც იქნება მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის.

ალექსანდრე წულუკიძე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის (ბოლშევიკების) წევრი

თავი და თავი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ რუსეთის სახელმწიფო დემოკრატიულ საფუძველზე აშენდეს და ყველაფერი ის,

რაც ამის განხორციელებას ხელს უშლის დღეს, უარყოფილ იქნას... ავტონომიის თხოვნა დღეს ამას ხელს უშლის და ამიტომ ჩვენ მისი წინააღმდეგი ვართ... ქართველების ავტონომია, ქართველებისათვის საკუთარი კანონები, ქართველების განსაკუთრებული ინტერესები?! დადგა სასიხარულო დრო, როცა კავკასიაში ეროვნებათა შორის შური და შულღი მოისპო, მივაღწიეთ ისეთ ჟამს, როცა ქართველი და სომეხი, რუსი და ებრაელი, თათარი და პოლონელი ძმურად, ამხანაგურად, ხელიხელჩაკიდებულნი, ერთი ინტერესით გამსჭვალულნი, საერთო იარაღით აღჭურვილნი კავკასიის ყოველ კუთხეში პროლეტარიატის იდეალისაკენ ესწრაფებიან და მათ შორის უნდობლობისა და უთანხმოების პირობები დღითი დღე ისპობა... აი, ამ დროს მოაქვთ ავტონომია და ეს ცეცხლი ისევ ღვივდება... დღევანდელ პირობებში ეს პროლეტარიატისათვის საზიანო და სახიფათოა.

თავი 18

1905-1907 წლების რევოლუცია

1905 წლის იანვარში რუსეთის იმპერიაში რევოლუცია დაიწყო. რევოლუცია სოციალური თანასწორობის ლოზუნგით მიმდინარეობდა და მისი ძირითადი მოთხოვნები იყო სიტყვის, პრესის, შეკრების, სარწმუნოების თავისუფლება. თუმცა რევოლუციონერთა ნაწილს რადიკალური მიზნებიც ამოძრავებდა – მონარქიის გაუქმება და რესპუბლიკის დამყარება.

საქართველოში რევოლუციის საერთო მოთხოვნებს ემატებოდა ეროვნული საკითხის მოგვარების მცდელობაც. ნელ-ნელა ძალას იკრებდა საქართველოს ავტონომიის იდეა, რომელსაც, ძირითადად, "თერგდალეულთა" ძველი თაობა იცავდა.

1906 წელს ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა და ეროვნული მოძრაობის სხვა წარმომადგენლებმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის შემუშავება სცადეს, თუმცა მაშინ ამ მიმდინარეობის დამოუკიდებელ პარტიად ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა. პროგრამის მიხედვით, საქართველოს უნდა მიეღო ავტონომია რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში; უნდა აერჩია დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე ეროვნული პარლამენტი, რომელიც ქვეყნის საშინაო საქმეებს დამოუკიდებლად გადაწყვეტდა; უნდა აღდგენილიყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალია.

ამავე დროს, აქტიურდებიან ქართველი ფედერალისტები, ანუ ქართველ სოციალ-ფედერალისტთა რევოლუციური პარტია, რომელიც ჯერ კიდევ 1904 წელს შეიქმნა უნეწავში. მათი მიზანი იყო საქართველოს გაერთიანება რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ფედერალური ერთეულის სახით და მთელ ქვეყანაში სოციალისტური წყობილებების დამყარება. ამ მიზნის შესრულება, ამ პარტიის თვალსაზრისით, შესაძლებელი გახდებოდა მას შემდეგ, რაც თავად რუსეთი სოციალისტურ-ფედერალურ სახელმწიფოდ გარდაიქმნებოდა.

თუმცა მოსახლეობის დიდ ნაწილში უფრო გავრცელებული იყო სოციალ-დემოკრატიების რევოლუციური ლოზუნგები. ისინი სოციალურ თანასწორობას და მთავრობის რევოლუციური გზით დამხობას ემხრობოდნენ. სოციალ-დემოკრატები ხალხს მოუწოდებდნენ, იარაღი წარემართათ ქართველი თავადაზნაურობისა და მრეწველ-მეწარმეთა წინააღმდეგ. აკაკი წერეთელი, რომელიც რევოლუციას თავიდან აღფრთოვანებით შეხვდა და ქართულად რევოლუციური სიმღერის "ინტერნაციონალის" ტექსტიც კი თარგმნა, მოგვიანებით ამბობდა: "ჯერ გარეშე მტრის მოგერიება უნდა შეერთებული შრომით და მერე შინაური ბრძოლა".

1905 წლის იანვარში, რუსეთში რევოლუციის დაწყებისთანავე, საგაფიცვო მოძრაობა დაიწყო საქართველოშიც. სხვადასხვა ქალაქის მუშებს შეუერთდნენ ხელოსნები, გიმნაზიებისა და სემინარიების უფროსკლასელები. რევოლუციაში აქტიურად ჩაებნენ გლეხებიც. სოფლებში იქმნებოდა "ერთობები". იმას, ვინც არ უერთდებოდა "ერთობას", გლეხები სდევნიდნენ. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ "ერთობები" გურიაში, სადაც მრავალ სოფელში ხელისუფლების ადგილობრივი დაწესებულებები გააუქმეს და რევოლუციური კომიტეტები შექმნეს. ხალხის მიერ არჩეულ ასისტანტებს და ათასისტანტებს გადაეცათ სასამართლოს ფუნქციები. "ერთობის" საჭიროებებისათვის თავადვე კრეფდნენ გადასახადებს, ქმნიდნენ შეიარაღებულ ჯგუფებს – "წითელ რაზმებს". "ერთობის" მოძრაობამ თანდათანობით რადიკალური, ძალადობრივი ხასიათი მიიღო. "ერთობის" წევრი ტერორისტები ნებისმიერ ადამიანს უბრალო ეჭვის საფუძველზეც კი ანადგურებდნენ. პოლიტიკური პარტიები და, მათ შორის, სოციალ-დემოკრატიკული ორივე ფრთა ამგვარ ქმედებებს სახალხოდ გმობდა და ემიჯნებოდა, მაგრამ ფარულად ხშირად სწორედ სოციალ-დემოკრატები იყვნენ ძალადობის წამქეზებლები. მათი აქტივისტები რევოლუციის საჭიროებათათვის ძარცვავდნენ ბანკებს, ფოსტას, მატარებლებს, რასაც ისინი "ექსპროპრიაციას" უწოდებდნენ. "ექსპროპრიატორთა" შორის განსაკუთრებით გამორჩეოდა ახალგაზრდა იოსებ სტალინი.

მოსახლეობის ძალადობას ძალადობითვე უპასუხებდა სახელმწიფოც. გლეხთა აჯანყებები სისხლში ჩაახშეს. გენერალ

ალიხანოვის სამხედრო ნაწილებმა დაუნდობელი სისასტიკით ცეცხლს მისცეს ქართული სოფლები და ქალაქები.

რევოლუციურ მოვლენათა პარალელურად ქართველ პატრიოტთა ჯგუფები ცდილობდნენ, გარკვეული დათმობებზე დაეყოლიებინათ იმპერიის მთავრობა. ქართველი თავადაზნაურობის კრებამ 1905 წლის მარტში საქართველოს ავტონომიის იდეა წამოაყენა და ეს გადაწყვეტილება ოფიციალურად აცნობა იმპერატორს. თუმცა ამ მცდელობებმა არაავითარი შედეგი არ გამოიღო.

მთელ იმპერიაში აფეთქებულ სოციალური პროტესტის მოძრაობას შედეგად პოლიტიკური რეფორმები მოჰყვა. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ აღიარა დემოკრატიული თავისუფლებები: სიღყვის, პრესის, კავშირების, სარწმუნოების თავისუფლება. მანიფესტის მიხედვით, რუსეთში აირჩევდნენ წარმომადგენლობით ორგანოს – სახელმწიფო სათათბიროს, რომელსაც საკანონმდებლო ფუნქციები ექნებოდა.

სათათბიროს არჩევნების დებულებით, კავკასიას ცალკე წარმომადგენელი არ უნდა ჰყოლოდა, მაგრამ, ქართველების მოთხოვნით და მეფისნაცვლის თანხმობით, პეტერბურგში გაემგზავრა დელეგაცია, რომელსაც კავკასიისთვის სადეპუტატო კვოტა უნდა გამოეთხოვა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და გიორგი ყურული. საკითხი განიხილეს იმპერიის ხელმძღვანელობაში. ილიამ რუსეთის ხელისუფალთ ღიად განუცხადა: “თუ ასე არ მოხდა, ახალ შეურაცხყოფას ვერ მოითმენს ჩვენი ხალხი და თქვენ იძულებული გახდებით, ზღვა სისხლი დაღვაროთ თქვენი სალდათებისა აღმფოთებული კავკასიის მოსახლეობასთან ბრძოლაში”. დელეგაციამ საწადელს მიაღწია და კავკასიამ მიიღო დეპუტატების არჩევნის უფლება. I სახელმწიფო სათათბიროში, რომლის არჩევნები ჩატარდა 1906 წლის აპრილ-მაისში, საქართველოდან აირჩიეს რვა დეპუტატი, რომელთაგან ხუთი მენშევიკი იყო. ამ სათათბირომ დიდხანს ვერ იმუშავა, რადგან წამოყენებული რადიკალური მოთხოვნების გამო, ნიკოლოზ II-მ იგი მალე დაითხოვა და ახალი არჩევნები დანიშნა. II სათათბიროში საქართველოდან არჩეული ყველა დეპუტატი მენშევიკების წარმომადგენელი იყო. 1907 წლის 20 თებერვალს

მუშაობას შეუდგა მეორე სახელმწიფო სათათბირო. სათათბიროს სხდომებზე სოციალ-დემოკრატი დეპუტატების ყოველი გამოსვლა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ განცხადებას წარმოადგენდა. 1907 წლის 1 ივნისს სათათბიროს სოციალ-დემოკრატი დეპუტატებს სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების ბრალდება წაუყენეს და უმაღლვე დააპატიმრეს. სათათბირო დათხოვნილად გამოცხადდა. იმპერიაში პოლიტიკური რეაქციის ხანა დადგა: რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისთვის რამდენიმე ათასი კაცი გაასამართლეს და ბევრ მათგანს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, თუბრიკებიდან და ქარხნებიდან დაითხოვეს რევოლუციურად განწყობილი მუშები, ბევრი უურნალ-გაზეთი დახურეს, ცენზურა გაამკაცრეს. რევოლუცია დამარცხდა...

ახალი არჩევნების შედეგად, 1906 წლის აპრილში III სახელმწიფო სათათბიროს წევრად აირჩიეს ილია ჭავჭავაძე. იგი აპირებდა, გამოსულიყო საქართველოს ფართო თვითმმართველობისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნით და ამ საკითხებზე მოხსენებებს ამზადებდა.

1907 წლის 30 აგვისტოს წინამურის ტყეში ილია ჭავჭავაძე მოკლეს. ამ ტერორისტულ აქტს დიდი მითქმა-მოთქმა და ქვეყნაში საერთო დაძაბულობა მოჰყვა. გახმაურებულ მკვლევობას ზოგი იმპერიის მიგზავნილ ჯალათებს მიაწერდა, ზოგი – მებატონეთა წინააღმდეგ ამბოხებულ გლეხებს, თუმცა უმეტესობა დარწმუნებული იყო, რომ მკვლევლობის ორგანიზატორები სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკურ ფრთას განეკუთვნებოდნენ.

დანართები

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის
კავკასიის კავშირის თბილისის ბოლშევიკური კომიტეტის
პროკლამაციიდან, 19 ოქტომბერი, 1905

ყველა მუშას! რევოლუცია გრგვინავს! რუსეთის რევოლუციური ხალხი ყალყზე შედგა და საიერიშოდ შემოერტყა მეფის მთავრობას! ფრიალებს წითელი დროშები, შენდება ბარიკადები, იარაღს ისხამს ხალხი და იერიშით მიდის სახელმწიფო დაწესებულებებზე. კვლავ

გაისმა მამაცთა ყიჟინა, კვლავ ამღერდა მიყურებული ცხოვრება. რევოლუციის გემმა იალქანი აუშვა და თავისუფლებსაკენ გაეშურა. ამ გემს რუსეთის პროლეტარიატი ხელმძღვანელობს. მეფე არ მოგვეცემს სახალხო დამფუძნებელ კრებას, მეფე ვერ მოსპობს თავისსავე თვითმპყრობელობას. – ის არ იზამს ამას! “კუდშეკვეცილი კონსტიტუცია”, რომელსაც ის “გვაძლევს”, დროებითი დათმობაა, მეფის ფარისევლური დაპირებაა და მეტი არაფერი. ხალხი ვერ ენდობა მეფის დაპირებას, – ის მხოლოდ თავის თავს უნდა ენდოს, ის მხოლოდ საკუთარ ძალას უნდა დაეყრდნოს. ხალხის გათავისუფლება ხალხისავე ხელით უნდა მოხდეს... მხოლოდ მაშინ, იარაღასხმული ხალხი პროლეტარიატს გაიმძღვარებს და საყოველთაო აჯანყების დროშას ააფრიალებს, – მხოლოდ მაშინ შეიძლება დაემხოს ხიშტებზე გამაგრებული მეფის მთავრობა. ცარიელი ფრაზები კი არა, უაზრო “თვითშეიარაღება” კი არა, ნამდვილი შეიარაღება და შეიარაღებული აჯანყება – აი, საით მიდიან დღეს მთელი რუსეთის პროლეტარები... ძირს სახელმწიფო სათათბირო! გაუმარჯოს შეიარაღებული აჯანყებას! გაუმარჯოს რევოლუციურ არმიას!

ხალხური ლექსი

გაუმარჯოს ერთობას,
 ძმობა-ამხანაგობას,
 რვა საათის მუშაობას,
 მერე – თავისუფლებას!
 ნიკოლოზი ძირს,
 ორ შაურად ღირს,
 გადვიყვანოთ ტყეში,
 კირკა მივცეთ ხელში,
 თუ კარგად არ იმუშავენს,
 დანა მივცეთ ყელში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამიდან, 1906

გაუქმება იმ კანონების, ბრძანებების, ცირკულარების და ერთობ ცხადლივ და ფარულ განკარგულებების, რომელნიც შეეხებიან საქართველოს მართვა-გამგეობას და რომელნიც მიმართულნი არიან აქაურ მკვიდრთა უფლებათა შესაზღუდავად. ქართული ენის ცოდნა სავალდებულოდ იქნას დაწესებული ყველა კაცისთვის, ვინც კი მსახურობს საქართველოს საზღვ-

რებს შორის იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამმართველოებში, რომელთაც მათი სამსახურის საჭიროებისამებრ პირდაპირ აქაურ მკვიდრთანა აქვთ საქმე. ხელშეუხებლობა ადამიანის ბინა-სადგურისა, თავისუფლება სარწმუნოებისა, სიკცყვისა, ბეჭდურ მწერლობისა, შეკრებისა, ამხანაგობისა, კავშირისა და გაფიცვისა.

ქონებრივი, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური თანასწორობა დედა და მამაკაცისა. მიღებულ იქნას საქართველოს საზღვრებს შორის, სახელმწიფო რუსულ ენასთან, ქართული ენა ენად სკოლისა, სასამართლო-სამსჯავროსი, ადმინისტრაციის, პოლიციის და სახელმწიფო და საზოგადოებათა დაწესებულებისა...

დაწესება საყოველთაო სავალდებულო სწავლებისა პირველდაწყებით სკოლებში უსასყიდლოდ. დაფუძნება საქართველოში უნივერსიტეტისა და უმაღლესი სპეციალურ სასწავლებლისა.

გაუქმება წოდებრივის ყოველ უპირატესობისა და მოსპობა და აღმოფხვრა ბატონყმობის ყოველგვარი ნაშთისა.

განახლება ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიის უფლებისა და აღდგენა მცხეთა-ივერიის კათალიკოსობისა.

ივანე ჯავახიშვილი, "პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში"

ხალხმა დაკარგა ყოველგვარი პატივისცემა ადმინისტრაციის მიმართ; მთავრობა და სასამართლო, რომლებიც უკვე კარგა ხანია აღარ სარგებლობდა ქართველი ერის განსაკუთრებული ნდობით, ახლა, პოლიტიკური პროცესების ზეგავლენით, მოსახლეობის თვალში მთლიანად დაეცა. მან გადაიტანა თავისი ბოიკოტი ადმინისტრაციასა და სასამართლოზეც და ჩამოაყალიბა თავისი საკუთარი არჩევითი ადმინისტრაცია, თავისი არჩევითი სახალხო სასამართლო. ეს დაწესებულებანი, რა თქმა უნდა, უხინჯონი არ იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, ისინი იყო სრულიად დემოკრატიული და გასაგები, რადგან ყველაფერი მიმდინარეობდა ქართულად და ექვემდებარებოდა კონტროლს; ამაში გამომჟღავნდა ქართველი ერის ორგანიზაციული უნარი და მრავალსაუკუნოვანი კულტურა. ერთნაირი ვითარება მთელ საქართველოში უზრუნველყოფდა მოძრაობის სწრაფ გავრცელებას ქართველი ხალხის განსახლების მთელ ტერიტორიაზე და რაც უფრო მეტად ვრცელდებოდა, ეს მოძრაობა სულ უფრო გადა-

დიოდა აგრარულიდან პოლიტიკურში. უმაღლესი ადმინისტრაცია უკვე უძღური იყო, ეპოვა რამე გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, რომელიც მოძრაობამ ჩამოაყალიბა: ვერც მმართველი თანამდებობრივი პირები, ვერც სასამართლო უკვე ვეღარსად მოქმედებდა; ყველგან იყო საკუთარი ადმინისტრაცია, საკუთარი სასამართლო. ქართველი ერის საუკუნოვანი ჩაგვრა და მისი ყველა ელემენტარული უფლების დათრგუნვა, ქართველი ერის სიღრმისეული ინტერესების სისტემური უგულებელყოფა და შევიწროება მეფის მთავრობის მხრიდან, გახდა საწინდარი, რომ ეს უკანასკნელი ზნეობრივად სრულიად გაკოტრდა და დაკარგა ყოველგვარი ნდობა და პრესტიჟი!..

კიტა აბაშიძე, “სამარცხვინო ომი (მიმართვა რუს ადამიანებს)”, 1906

არასოდეს არავითარ მაჰმადიანურ ურდოებს არ ჩაუდენიათ არაფერი მსგავსი იმისა, რაც ჩაიდინა რუსულმა “ქრისტესმოყვარულმა მხედრობამ”, რომელმაც იაპონიის ომში თავისი მარცხის მთელი ჯავრი ჩვენზე ამოიყარა... თითქოსდა ჩვენი შიამიტური მიმნდობლობისა და რუსეთის სახელმწიფოსადმი ჩვენი რწმენის დასაცინად, თვითმპყრობელური რუსული ბიუროკრატია დასაველეთ საქართველოში მუსლიმ ალი-ხანს აგზავნის... და მას “კარტლანშს” აძლევს მისი ველური სისხლისმსმელური ინსტიტუტების დასაკმაყოფილებლად. ალი-ხანიც თბილისიდან ქუთაისამდე “ძღვევამოსილ მარშს” ახორციელებს და გზად ყოველივეს ცეცხლითა და მახვილით ანადგურებს; “სახელოვანი” ლაშქარი ხოცავს და ხერეცს მშვიდობიან მოსახლეობას, ამაზრზენ ძალმომრეობას ხმარობს ქალებსა და ბავშვებზე (ამ ძალმომრეობის მსხვერპლნი – 11-12 წლის გოგონები ქუთაისის საავადმყოფოში წვანან) და მთელს ქვეყანას აჩანაგებს... ცეცხლმა შთანთქა – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით – მთელი ქალაქები და დაბები, ზოგიერთისა კი – საუკეთესო ნაწილი. ასეთებია ბელაგორი, ყვირილა, სვირი, ბაღდათი, ახალსენაკი, სამტრედია, საჩხერე, ჭიათურა, ოზურგეთი, ნაგომარი, ონი, ცაგერი, ხოლო გადაბუგული სოფლები ვერც კი დაითვლება; დამწვარია ქალაქ ქუთაისის საუკეთესო ცენტრალური ნაწილიც. არა, არასოდეს მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს, განსაკუთრებით კი – დასავლეთ საქართველოს, არაფერი ამის მსგავსი არ ახსოვს...

ამიერიდან ჩვენ თქვენი მონები ვართ, შეურაცხყოფილნი ყველა ჩვენს წმიდა გრძნობებში, მოტყუებულნი, გაუბედურებულნი, გაძარცვულნი და დარბეულნი, მონები, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ შიშის გამო გემორჩილებით. თქვენ, თქვენმა ჩინოვნიკებმა, თქვენმა გენერლებმა და ჯარისკაცებმა მრავალი წლით ამოძირკვეთ ჩვენი გულებიდან ყოველგვარი კეთილი გრძნობები თქვენს მიმართ...

რუსულმა ბიუროკრაციამ მიზანს მიაღწია: რუსეთისადმი ძმურად განწყობილი ხალხის ნაცვლად, ამიერიდან ჩვენი სახით თქვენ მორჩილი მონები გყავთ, რომელთაც მთელი ძალით თავიანთი ტანჯული სულისა, სძულთ თავისი მჩაგვრელები, ეს ვითომდა "მთარველები" ჩვენი...

რა გვიშველის ჩვენ, რა უშველის ჩვენს ტანჯულ სამშობლოს, ჩვენს განაწამებ სულს, რომ შეგვიხორცოს თქვენს მიერ მოყენებული სასიკვდილო ჭრილობები? მარტოდენ შურისძიებას ძალუძს დააკმაყოფილოს ჩვენი შეურაცხყოფილი გრძნობები სიყვარულისა და ნდობისა, რომლითაც მუდამ ვიყავით განმსჭვალულნი რუსი ხალხის მიმართ, – მარტოდენ შეუბრალებელ შურისძიებას მათზე, რომელთაც თავიანთი ქმედებით ჩირქი მოსცხეს რუსულ კულტურას საქართველოში, ჩირქი მოსცხეს რუსულ არმიას, რუს ხალხს, მათზე, ვინც საძულველად გვიქცია რუსის ძმური სახელი!.. გემინოდეთ დამონებული ხალხისა, გემინოდეთ ცხოვრების ლოგიკისა, გემინოდეთ, რომ სამართლიანობისა და ადამიანურობის გაქვლევისათვის დაგიდგებათ დღენი, ოდეს სამაგიერო მოგებლვევათ, – უარესნი დღენი, ვიდრე მანჯურიის ველებსა და წყნარი ოკეანის ტალღებს უნახავთ.

თედო სახოკია, "ილია ჭავჭავაძე"

წინადადება მივეცი პოლიტიკურ პატიმრებს, ყველას სამძიმრის დეპეშა გაგვეგზავნა გაზეთის რედაქციაში. აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ ილიას სიკვდილი ერთნაირად საგლოვი არ იქნებოდა ყველა ქართველისათვის! სოციალ-დემოკრატებმა, თუმცა ბოდიშით, მაგრამ მაინც უარი გვითხრეს: პარტიული მოსაზრებით ვერ შემოგვიერთდებითო!.. იძულებული ვიყავით, დეპეშა პოლიტიკური პატიმრების ერთი ჯგუფის (იგულისხმეთ: სოციალ-ფედერალისტების) სახელით გაგვეგზავნა.

აკაკი წერეთელი, "სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე"

თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ჰსურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინ წაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ველარ ნახავ!

ვაჟა-ფშაველა, "ვერ მოჰკლეს!"

სამინელი აზრის პატრონნი უნდა იყვნენ ამ მკვლელობის ჩამდენნი. აშკარაა და აშკარად ვიტყვი: ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ.

ვაჟა-ფშაველა, "ილია ჭავჭავაძის სახსოვრად"

საძირკვლად აზრი ჩააგდე,
ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი,
მან გააბრწყინა სხივებით
ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი.
გვყარაულობდი თვალფხიზლად,
შენ იყავ ჩვენი საფარი,
მოგკალით ჩვენისვე ხელით,
მოდმეთთვის ნაჭირმაგარი. [...]
ვერაფერს ვიტყვი. ენა სდუმს.
თავზე დაგვჩხავის ყორანი;
გაღმა გასვლისა მსურველთა
უკულმა მიგვყავს ბორანი;
გაგვიბატონდა, მგოსანო,
სირეგვნი შეუწონარი.

თავი 19

ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის

როგორც კი რუსეთის იმპერია ქართული მიწების დაპყრობასა და იმპერიასთან მათს თანდათანობით მიერთებას შეუდგა, უმაღლვე რუსეთის ხელისუფლებამ მიზნად დაისახა, ეკლესია ექცია საქართველოსა თუ საქართველოში მცხოვრებთა რუსიფიკაციის, ანუ “გარუსების” ერთ-ერთ მთავარ ძალად. იმპერიის საერო თუ სასულიერო ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ სასულიერო სემინარიებში აღზრდილი მართლმადიდებელი სამღვდელოება ერთგულად მოემსახურებოდა რუსეთის ხანგრძლივ სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ჩათუქრებული იყო, სასულიერო პირებს დაერწმუნებინათ ქართველები, რომ მათი ერთადერთი საყრდენი და მფარველი “ერთმორწმუნე” რუსი იყო. მყარად ინერგებოდა წარმოდგენა, რომ ყველა ქართველი მხოლოდ იმ აღმსარებლობის მიმდევარი იყო, რომელსაც რუსული ეკლესია აღიარებდა, ხოლო ნებისმიერი სხვა აღმსარებლობის ქართველი არ ეკუთვნოდა ქართველ ერს.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ძალადობრივი და არაკანონიკური გაუქმების შემდეგ, იმპერიის გეგმების ასრულება დაევალა რუსეთის იმპერიული ეკლესიის ადგილობრივ დაწესებულებას – საქართველოს საეგზარქოსოს, რომელიც ყოველთვის რუსი ეგზარქოსების მიერ იმართებოდა (პირველი ეგზარქოსის, ვარლამ ერისთავის, გამოკლებით). ეგზარქოსთა უდიდესი ნაწილი მძაფრად ანტიქართული განწყობილებებით გამოირჩეოდა.

თუ საქართველოს ოკუპაციის პირველ ხანებში, წინააღმდეგობის ყოველგვარი გამოვლინების სასტიკი დათრგუნვის შემდეგ, ქართველი სამღვდელოების უმრავლესობა შეგნებულად თუ შეუგნებლად, გულით თუ უგულოდ, მაგრამ მაინც ემსახურებოდა იმპერიას, იმპერიის ინტერესებს, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მდგომარეობა ამ მხრივ თანდათანობით შეიც-

ვალა: ქართველი სასულიერო პირების მნიშვნელოვანი ნაწილი ეროვნული საქმის სამსახურში ჩადგა.

საუკუნის განმავლობაში გამორჩეული იყო ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის სამოძღვრო-სალმრთისმეტყველო, სამეცნიერო თუ პედაგოგიური საქმიანობა. ფართოდ გახდა ცნობილი მისი ქადაგებები, რომლებიც მისსავე სიცოცხლეში რუსულ და ინგლისურ ენებზე ითარგმნა და გამოიცა. მანვე აღზარდა არაერთი სასულიერო და საერო პირი, რომელთაც დროთა განმავლობაში წარმოაჩინეს ეროვნული სამღვდელთა შესაძლებლობები.

მომდევნო თაობის წარმომადგენლებმა, რუსეთის სასულიერო აკადემიებში აღზრდილმა ქართველმა მღვდლებმა თუ მღვდელმთავრებმა, შესამჩნევად გაშალეს კვლევითი საქმიანობა, რასაც უმთავრესად ისტორიულ-ფილოლოგიური განზომილება მიანიჭეს. აღსანიშნავია, რომ მათ ხელმისაწვდომი გახადეს ის დოკუმენტები, რომლებიც, მათი თვალსაზრისით, უეჭველად ადასტურებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკურ საფუძვლებს. ბუნებრივად ჩანდა, რომ ამ ძიებებს მოჰყვებოდა ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნაც.

პირველი ნაშრომი, რომელიც მიზნად ისახავდა, დაედასტურებინა წარსულში საქართველოს ეკლესიის ფაქტობრივი და იურიდიული ავტოკეფალია, 1894 წელს გამოქვეყნდა: ეს იყო მღვდელ (შემდგომში – კათოლიკოს-პატრიარქ) კალისტრატე ცინცაძის გამოკვლევა “საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია”.

1905 წლიდან დაიწყო ცოცხალი და მგზნებარე კამპანია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით: გამოქვეყნდა მრავალი უცნობი მასალა, გაჩაღდა დისკუსიები, ტარდებოდა კრებები თუ მანიფესტაციები. ჩანათუქრის გულშემამტკივარმა და გამარჯვების მოწადინე ქართველების ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა, ილია ჭავჭავაძის შუამავლობით, თხოვნით მიემართა კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვისათვის, რათა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა უმაღლეს საერო და საეკლესიო დონეზე აღძრულიყო.

1905 წლის 29 მაისს შეიკრიბა ქართველი სამღვდელთა ყრილობა, რომელმაც მუშაობა თბილისის სასულიერო სემი-

ნარიის შენობაში დაიწყო. ეგზარქოსმა, მთავარეპისკოპოსმა ალექსიმ უხიმო კაზაკებს და, მათი დახმარებით, დელეგატები – სასულიერო პირები – დარბაზიდან გამოყარა. ქართველი სამღვდელთა წარმომადგენლები იქვე მათრახებით სცემეს და ძალით გამოდევნეს სემინარიიდან. ამ ფაქტმა მეტად გაამწვავა მდგომარეობა და ახალი მუხტი მისცა საპროტესტო მოძრაობას. მომხდარის გამო პროტესტი გამოთქვა და ქართველ სამღვდელთა გამოეყომაგა არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის, სომხეთის და სხვა ქვეყნების ცნობილი პირები. დაშავებულთა ბევრი მხარდამჭერი აუცილებლად მოითხოვდა დამნაშავეთა დასჯას.

1905 წლის შემოდგომაზე ვერის წმიდა გიორგის ეკლესიაში შეიკრიბა ოთხასზე მეტი სასულიერო პირი, რომელთაც ხელი მოაწერეს ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნას. ეს წერილი იმპერატორ ნიკოლოზ II-ს გაეგზავნა. მთავრობა იძულებული გახდა, პასუხი მოეძებნა წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით. სწორედ ამ დროს დაიწყო მზადება სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებისათვის, რომელსაც თავისი საბოლოო სიტყვა უნდა ეთქვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის გამო. 1906-1907 წლებში, რუსეთის უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილებითა და ხელმძღვანელობით, ტარდებოდა კრების მოსამზადებელი სხდომები. მოისმინეს ეპისკოპოსების, ლეონიდე ოქროპირიძისა და ექვთიმე ელიაშვილის, აგრეთვე, პროფესორების ალექსანდრე ცაგარლის, ალექსანდრე ხახანაშვილისა და ნიკო მარის მოხსენებები. ავტოკეფალიის ხელახლა გამოცხადების აუცილებელ მიზეზად დასახელდა ის უეჭველი ფაქტები, რომ რუსული საეკლესიო მმართველობის პირობებში კავკასიაში მართლმადიდებლობის დანერგვისა და განმტკიცების მისიამ მიზანს ვერ მიაღწია, ხალხი თანდათანობით ჩამომორდა ქრისტიანობას და წარმართობისა თუ ურწმუნოების გარემოში აღმოჩნდა, საქართველოდან გაიტანეს ისტორიული ნივთები, არაპროფესიულად და ეროვნული კულტურის ტრადიციათა უგულვებლყოფის ფონზე წარიმართა სიძველეთა შენახვისა და რესტავრაციის საქმე (იგულისხმებოდა სვეტიცხოვლისა და არაერთი სხვა ძველი ტაძრის ძველი ფრესკების გადაღება). სხდომებზე, რუსების მხრივ, ავტოკეფალიის წინააღმდეგ გამოდიოდა არაერთი სასულიერო თუ საერო პირი, თუმცა აღ-

მოჩნდნენ ისეთი რუსებიც (მაგალითად, ნიკოლაი დურნოვო), რომლებიც ქართველთა ინტერესებს უჭერდნენ მხარს. კამათი მეტ-ნაკლებად ნაყოფიერად მიმდინარეობდა, მაგრამ მალე სინოდმა მათი გაგრძელება საჭიროდ აღარ მიიჩნია და სხდომები შეწყვიტა. ავტოკეფალიის მომხრეებს აღუთქვეს, რომ საეკლესიო კრებაზე საკითხი მალე გადაწყდებოდა. ამავე დროს, ავტოკეფალიის მომხრეთა მიმართ – სხვადასხვა საბაბით – რეპრესიები გაჩაღდა.

იმავე ხანებში ჩამოყალიბდა ქართველ საერო და სასულიერო პირთა მოძრაობა, რომელიც საქართველოს ეკლესიის რომის საყდართან შეერთებისათვის იღვწოდა. მათ მიაჩნდათ, რომ ქართული წესის კათოლიკური ეკლესიის ჩამოყალიბება მყარი გზა იქნებოდა რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებისა და მის მიმართ მორჩილებისაგან გასათავისუფლებლად. ამ საქმიანობაში ჩართული იყვნენ გელათის მონასტრის მოწესეები, ქუთაისის თავადაზნაურობა, აკაკი წერეთელი, ვარლამ ჩერქეზიშვილი და სხვანი, მაგრამ ამ თვალსაზრისმა ვერ მოიპოვა ფართო გავრცელება და მხარდაჭერა. გავრცელდა შეხედულება, რომ თუკი საქართველოს ეკლესია შეუერთდებოდა კათოლიკე ეკლესიას, რუსეთის სინოდი მას აღარასოდეს დაუბრუნებდა წართმეულ საეკლესიო ქონებას. ამავე დროს, ქართველ კათოლიკეთა უურნალი “ჯვარი ვაზისა” უხვად ბეჭდავდა არა მარტო ქართველ მართლმადიდებელ სასულიერო პირთა (მათ შორის, ეპისკოპოს ლეონიდე ოქროპირიძის) ნაწერებს, არამედ, ასევე, აქვეყნებდა დოკუმენტებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მხარდასაჭერად.

როცა, 1910-იან წლებში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდა და უფრო მეტი მხარდამჭერიც მოიპოვა, საპასუხოდ, რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერპროკურორმა შეიმუშავა პროექტი, რომელიც საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმებას და მის ნაცვლად კავკასიის სამიტროპოლიტოს შექმნას ისახავდა მიზნად. ამ ჩანაფიქრის გამჟღავნებამ საქართველოში დიდი მღელვარება გამოიწვია. გეგმას მხარი არ დაუჭირა და თავისი პროტესტი გამოთქვა მაშინდელმა ეგზარქოსმა პლატონმაც, რის გამოც სინოდის გეგმის განხორციელება იმჯერად შეჩერდა.

დანართები

აკაკი წერეთელი, "ასის წლის ამბავი"

კათალიკოზის სანაცვლოდ
დაგვისვეს ეგზარხოსები,
ისინიც ისე გვდევნიდნენ
ვით "ბაყათრობას" ოსები.
[...]
"არ სჯობს, რომ გასლავიანდეს
ქართული ეკლესიაო?
და ვინც კი დაგვეხმარება,
ავნუსხოთ მათი სიაო!"
და ამ აზრითვე გამართეს
მაშინვე სემინარია.
იმისმა მიმართულებამ
ხალხი სულ არივ-დარია.
გარდა ქართული ენისა,
იქ ასწავლიდნენ ყოლიფერს
და ამზადებდნენ სამღვდელოდ
ქვეყნის ორგულსა!... ქვეყნის მტერს!..
მღვდლად აკურთხევდნენ მისთანას,
ვინც არ იცოდა ქართული
და მხოლოდ შტრუს-რენანის
კითხვაში იყო გართული.
ეგვეც რომ აღარ აკმარეს,
ჭირი დაურთეს ჭირზედა
და ვისაც თქმა რამ შეეძლო,
ხელს ატყუებდნენ პირზედა.

კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე, "საქართველოს
ეკლესიის ავტოკეფალიისათვის (მცირე შენიშვნა)"

1894 წელს დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ დასტამბა თავის ორ-
ვირეულ "მწყემსში" ახალგაზრდული კადნიერებით გატაცებული
მღვდლის კ. ცინცაძის მეცნიერულად დამუშავებული წერილი "სა-
ქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია". ჯერ წერილი ნახევრადაც
არ იყო დაბეჭდილი, რომ ვლადიმერ ექსარხოსმა დაიბარა მამა და-

ვითი და დაემუქრა: თუ წერილი არ დამთავრებულა იმით, რომ საქართველოს ეკლესია არასოდეს არ ყოფილა დამოუკიდებელიო, უურნალსაც დაგიხურავ და შენც საქართველოდან გაგასახლებო. შეძრწუნებული მოხუცი მოვიდა ჩემთან და შემომჩვილა თავისი მდგომარეობა.

ექვთიმე თაყაიშვილი, "მოგონებანი".

როდესაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის, ე. ი. თვითმმართველობის, დამოუკიდებლობის საკითხი დაისვა, ეს საკითხი დიდხანს იყო მსჯელობის საგანი, ბევრი წიგნი და წერილი დაიბეჭდა ქართულსა თუ რუსულ უურნალ-გაზეთებში. წარმოიდგინეთ, ამ საქმეში მედგრად გვეხმარებოდნენ რუსის სლავიანოფილებიც! ისინი არ სცნობდნენ სინოდს, რაკი ძველად რუსეთში პატრიარქის მმართველობა იყო, და მოითხოვდნენ პატრიარქობის აღდგენას როგორც რუსეთში, ისე საქართველოში. მათი მეთაური (გვარი არ მახსენდება, დიდად მიღებული და გავლენიანი პირი კი იყო!) სულ ერთიანად იმის პროპაგანდას ეწეოდა, რომ სინოდი უხემად იქცევა და რომ რუსეთშიცა და საქართველოშიც კვლავ თავ-თავისი საპატრიარქოები უნდა აღდგესო. "საქართველო უძველესი ქრისტიანული სახელმწიფო იყო, მან ქრისტიანობა მაშინ მიიღო, როდესაც რუსეთის სახელმწიფო ჯერ არ არსებობდა და რუსები არ იყვნენ ქრისტიანებიო; მათი ეპისკოპოსი, ყოველად სამღვდელთა კირიონი, რომელიც საქართველოში პატრიარქად უნდა იყოს, ჩვენ მთავრობას სამშობლოდან გამოადევნილი ჰყავს და ემიგრანტობაში იტანჯებაო". პირდაპირ ასე აცხადებდა ის სლავიანოფილების თავკაცი... სლავიანოფილების ასეთმა პროპაგანდამ და ჩვენმა მოთხოვნამ იმდენად იმოქმედა ნიკოლოზ მეორეზე, რომ მან დანიშნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა განეხილა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, ვინაიდან რუსის ჩინოვნიკური სამღვდელთა სინოდისა ამტკიცებდა, რომ საქართველოს ეკლესიას არასოდეს ავტოკეფალია არაა ჰქონია... ჩვენ გვინდოდა, რომ საქართველოსათვის ამ საკითხში მხარი დაეჭირა მეფისნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვსაც. ვაწყობდით კრებებს, ილია ჭავჭავაძის თანდასწრებით, ვავროვებდით ცნობებს და ილიას ვაკისრებდით, პირადად მოლაპარაკებოდა ამ საკითხზე ვორონცოვ-დაშკოვს. ილია უარზე იდგა და გვეუბნებოდა, მაგ თქვენი "კეფალიისა" (ასე უწოდებდა ირონიულად ავტოკეფალიას)

არა გამეგება რა და ვინმე სხვა მიგზავნეთო. მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია, არ მოვეშვით და ბოლოს ვაიძულებით იღოთ, დათანხმებულნიყო. თან, რაც შეგვეძლო, ვუსხნიდით და ვუმარტავდით საქმის არსს. ბოლოს იღოთ წავიდა მეფისნაცვალთან. დიდხანს ესაუბრნა მასთან. ვორონცოვ-დაშკოვს ეთქვა, დამარწმუნეთ, რომ ეგ ავტოკეფალია სასარგებლო იქნება საქართველოსთვისაც და რუსეთისთვისაც და მაშინ დაგიჭერთ მხარსო. ილიას ეპასუხნა, მე კი დამარწმუნეს, რომ საჭიროც არის და სასარგებლოცაო. მერმე შექმნოდათ მსჯელობა. ბოლოს ილიამ მოგვიტანა ამბავი: “ამ ვორონცოვმა ყველა გარემოება ჩვენზე უკეთ იცის და პირში ბურთი ჩაგვჩარაო; მითხრა, ეკლესია ღმერთს ეხვეწება ყველა ქრისტიანული ეკლესიის შეერთებას და თქვენ კი არსებული ერთობის დაშლა გსურთო; განა გაგონილა, ერთ მართმადიდებელ სახელმწიფოში ორი სხვადასხვა საკათალიკოსო არსებობდესო?” ეს რომ მოვისმინე, შევეკითხე: “ბატონო ილია, განა არ უთხარით, რომ ბიზანტია ერთი სამართლმადიდებლო სახელმწიფო იყო, მაგრამ მასში ოთხი ავტოკეფალური საპატრიარქო არსებობდა: კონსტანტინოპოლისა, იერუსალიმისა, ანტიოქიისა და ალექსანდრიისა მეთქი?” ამაზე ილია ცოტა შეჩერდა, შემომხედა თვალებში და მიპასუხა: “აკი გითხარით, მაგ თქვენი კეფალიისა არაფერი მესმის და მე ნუ გამგზავნით მეთქიო?!“... რა თქმა უნდა, ილიამ იცოდა ეს ყოველივე, მაგრამ მეფისნაცვალთან საუბრისას აღარ მოაგონდა...

ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტეთ, დიდი დემონსტრაცია მოგვეწყო და ავტოკეფალია მოგვეთხოვა. თან უნდა წაგველო ბაირადები და პლაკატები, წარწერებით “აღგვიდგინეთ ავტოკეფალიაო” და სხვ. წამოიჭრა საკითხი: ვინ უნდა გასძლოლოდა წინ ამ არაჩვეულებრივ დემონსტრაციას? ილიამ გვითხრა, “თუ საჭიროა, მე წაგიძღვებითო!”. ამ მსჯელობაში მონაწილეობდნენ: ქართველი სამღვდელელების წარმომადგენლები, ქართველი მასწავლებლები, მრევლთა წარმომადგენლები, ცალკეული მორწმუნენი. ილიას ბინაზე ვიკრიბებოდით ხოლმე.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ლეონიდეს მიმართვა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის
პატრიარქ ციხონს, 1920**

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი საეკლესიო კრებას განსახილველად გადაეცა არა უწმიდესი სინოდის გადაწ-

ყვეტილებით, არამედ იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ნებით, პასუხად ქართველი ეპისკოპოსების ვედრებისა, რომ საქართველოს ეკლესია აღდგენილიყო თავისი ავტოკეფალური უფლებით. წმინდა სინოდს კი უბრალო განჩინებაც კი არ გამოუტანია, რომ ეს უზენაესი ნება გამოქვეყნებულიყო მის ოფიციალურ ორგანოში "საეკლესიო უწყებანი" და ეს ნება ქართველ ეპისკოპოსებს გამოუცხადა მეფისნაცვალმა კავკასიაში. არსებითად კი 1906 წლის ეს დადგენილება თუ ნებართვა საქართველოს ეკლესიას კიდევ უფრო უარეს მდგომარეობას უმზადებდა. საქმე ისაა, რომ მომავალი კრება ვერ შეძლებდა მისთვის განსახილველად გადაცემული საკითხის მართებულ გადაწყვეტას — ამას ამტკიცებენ მისი სრულუფლებიანი წევრობისათვის განწესებულ საეპარქიო მღვდელმთავართა "გამოხმაურებები": ყოვლადუსამღვდელოესი მეუფენი ამ "გამოხმაურებებში" ან სრულიად არ ეხებოდნენ ამ საკითხს, ან უარყოფითად წყვეტდნენ მას, ზოგმა კი ჩვენი დასასჯელად გადაცემა მოითხოვა.

კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე, "ჩემი მოგონებებიდან"

[სამღვდელოების ყრილობაზე] ხანგრძლივი კამათის შემდეგ გადაწყდა, დეპეშა გაეგზავნათ სახელმწიფო საბჭოს წევრისთვის ილია ჭავჭავაძისათვის და ეთხოვათ, მთავარეპისკოპოსი ნიკონი გაეფრთხილებინა, არ ჩამოსულიყო საქართველოში, ვინაიდან "ჩვენ მტკიცედ ვიცავთ ავტოკეფალიას". თანაც, დეპეშის შინაარსი ეუწყებინა სინოდის თავმჯდომარისთვის, მიტროპოლიტ ანტონისთვის. იმავე დროს, განაჩინეს, პროტესტი გაეგზავნათ თვით მთავარეპისკოპოს ნიკონისთვის და წინადადება მიეცათ, არ დათანხმებულიყო იმ საეკლესიო ოლქში დანიშვნას, რომელიც კანონით არ ექვემდებარებოდა რუსეთის უწმიდეს სინოდს...

1905 წლის 16 ნოემბერს ეპისკოპოსებმა კირიონმა, ლეონიდემ, პეტრემ, გიორგიმ და ექვთიმემ ეგზარქოს ნიკოლოზის მეშვეობით დანიშნულებისამებრ გაგზავნეს პეტიცია ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე. პეტიცია მიართვეს ხელმწიფეს, რომელმაც სასურველად მიიჩნია, იგი რუსეთის ეკლესიის მომავალი კრებისთვის გადაეცა "განსახილველად". ბევრმა მღვდელმთავარმა, მათ შორის, ახალმა ეგზარქოსმა ხელმწიფის რეზოლუცია ისე გაიგო, თითქოს პეტიცია ავტოკეფალიის აღდგენის თაობაზე კრებას "გადასაწყვე-

ტად" გადაეცა. ხოლო როგორ შეეძლო ამ საკითხის გადაწყვეტა კრებას, ამაზე არ შეიძლებოდა ორი აზრი ყოფილიყო: ეპარქიების მღვდელმთავრების "შეთასებებიდან", რომ ზოგი სრულებით არ ეხებოდა ავტოკეფალიის საკითხს, ხოლო ვინც ეხებოდა, უარყოფითად წყვეტდა. ერთმა ფრიად განსწავლულმა (აკადემიის ყოფილმა რექტორმა) და უხუცესმა მღვდელმთავარმა ტულელმა ყოვლადსამღვდელო ლავრენტიმ ავტოკეფალიის აღდგენის თხოვნა ისე გაიგო, თითქოს სათავეში ედგა რევოლუციურ მოძრაობას საქართველოში. ამ პატივცემულმა მღვდელმთავარმა პირდაპირ განაცხადა: "თავი მოიდრიკოს უმაღლურმა საქართველომ! ამბობენ, ქართველი სამღვდელოება აჯანყებას უდგას სათავეში. მერედა, მისი წრიდან უნდა დაინიშნოს კათალიკოსი? ამისთვის ხარისხს ართმევენ, აჯანყებაში მონაწილეობისათვის სიკვდილით სჯიან და არა აჯილდოებენ". ასეთი განწყობილებების შემდეგ განა შეიძლებოდა დადებითად გადაწყვეტილიყო ავტოკეფალიის საკითხი?

საქართველოს ეგზარქოსის, მთავარეპისკოპოს ნიკონის მიმართვა უწმიდესი სინოდის უპირატეს მღვდელმთავარს, მიტროპოლიტი ანტონის, 20 იანვარი, 1908

ქართველმა სამღვდელოებამ დაადგინა, რომ სემინარიებსა და სასულიერო სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნების სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდეს, მაგრამ ეს უპირობოდ დაუშვებელია... თუ მათ ღვთისმეტყველების ქართულად ათვისების უფლება მიეცემა, მაშინ ჩვენ უფრო შორს უნდა წავიდეთ, რათა არ დავშორდეთ სახელმწიფოებრიობის საფუძვლებს. ამგვარი შემთხვევისას შესაძლებელი გახდებოდა, – როგორც ამას ვწერ უწმიდესი სინოდის მიმართ ჩემს მოხსენებაში, – რომ სემინარიას, სადაც სწავლება ეროვნულ ენაზე წარიმართება, ჩამოერთვას სახელმწიფო ხაზინის დახმარება და ის უფლებები, რომლებსაც ის აძლევდა თავის მოწაფეებს მანამ, სანამ ის სრულიად რუსული იყო. მაშინ ჩადენილის სინანულითა და შეწყალების ცრემლიანი ვედრებით ქართველები უარყოფენ თავიანთ ეროვნულ მისწრაფებებს და შეგვეხვეწებიან იმის დაბრუნებას, რაც ადრე ჰქონდათ. რა საჭიროა მათთან ლოლილობა?

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ლეონიდეს მიმართვა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის
პატრიარქ ტიხონს, 1920**

მთავარეპისკოპოს ნიკონის მემკვიდრემ, მაღალყოვლადუსამღ-
ვდელოესმა ინოკენტიმ, როცა იმერეთის სამღვდელოების ყრი-
ლობამ მიულოცა ეგზარქოსად დანიშვნა და გამოთქვა იმედი,
რომ იბერიის ეკლესიის საკითხი კეთილად გადაწყდებოდა, განაც-
ხადა, რომ იგი მხოლოდ რუსეთის ეკლესიას სცნობს და არ აღი-
არებს საქართველოს ეკლესიას. ასევე ეგზარქოს ინოკენტის მემ-
კვიდრემ, მთავარეპისკოპოსი ალექსი მეორე, იმპერატორისადმი
თავის მიმართვაში 1913 წლის 7 დეკემბერს ამბობს, რომ ქარ-
თველთა სურვილი, აღადგინონ საეკლესიო დამოუკიდებლობა,
არის “ქართველ ავტოკეფალისტ ინტელიგენტთა ფანტასტიკური
ბოდვა” (უწმინდესი სინოდის განჩინება, 1914 წლის 11 აპრილი).
ხოლო მთავარეპისკოპოსმა პლატონმა ჩამოართვა საქართვე-
ლოს სამღვდელოების ყრილობას შუამდგომლობა დიდი მთავ-
რის, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის, წინაშე ავტოკეფალიის აღდგე-
ნისათვის, დაჰპირდა დეპუტატებს, რომ მიაწოდებდა ამ საბუთს
საიმპერატორო ნაცვალს, მაგრამ წერილი, თაქტობრივად, თვი-
თონ დაიტოვა და დაარწმუნა სამღვდელოება, რომ ის უკვე და-
ნიშნულების მიხედვითაა გადაცემული.

თავი 20

პირველი მსოფლიო ომი. თებერვლის რევოლუცია

1914 წლის აგვისტოში პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, ერთი მხრივ, გერმანია და ავსტრია-უნგრეთი, რომელთაც შეუერთდა თურქეთი, ბულგარეთი და იტალია, ხოლო, მეორე მხრივ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და რუსეთი. ბრძოლების დამთავრებას თავიდან ყველა 2-3 თვეში ელოდა, თუმცა ომმა ოთხ წელზე მეტ ხანს გასტანა.

1914 წლის ნოემბერში ბრძოლები გაჩაღდა რუსეთსა და თურქეთს შორის. ორივე სახელმწიფო საკუთარი მიწების გაფართოებას გეგმავდა. თუ რუსეთი სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის დაპყრობას აპირებდა, თურქეთის ხელმძღვანელობას ჩათუქრებული ჰქონდა, თავისი ძალაუფლების ქვეშ მოექცია ამიერკავკასია, ყირიმი, ჩრდილოეთ კავკასია, ვოლგისპირეთი და შუა აზია.

საქართველო, როგორც რუსეთის იმპერიის ნაწილი, უშუალოდ აღმოჩნდა ჩართული პირველ მსოფლიო ომში. რუსეთსა და თურქეთს შორის საბრძოლო მოქმედებები ძირითადად კავკასიის ფრონტზე მიმდინარეობდა. საქართველოდან რუსეთის ჯარში ორასი ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაიწვიეს. ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ საომარ ქმედებებში. ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალმა ვასილ გაბაშვილმა, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა და სხვებმა.

ომის მიმართ ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა და დაჯგუფებებმა განსხვავებული დამოკიდებულება გამოამჟღავნეს, თუმცა ყველა თანხმდებოდა, რომ მდგომარეობა რუსეთის იმპერიაში – ომის დროს თუ ომის შემდეგ – აუცილებლად უნდა შეცვლილიყო.

სოციალ-დემოკრატების ბოლშევიკური ფრთის ჩანათუქრი იყო ომის სიძნელეთა გამოყენება და ხელისუფლების დამხობა, მენშევიკები კი მთავრობის ძალადობრივ დამხობას არ ემხრობოდნენ, მაგრამ განწყობილი იყვნენ რადიკალური რეფორ-

მებისათვის. სოციალისტ-ფედერალისტები მიიჩნევდნენ, რომ მსოფლიო ომის შემდეგ იმპერიები დაიშლებოდა, რაც იმედს ბადებდა, რომ საქართველო ავტონომიას მოიპოვებდა. ეროვნულ-დემოკრატიებს ორმაგი სტრატეგია ჰქონდათ შემუშავებული: თუ რუსეთი და ანტანტის ქვეყნები გაიმარჯვებდნენ, საქართველოს ავტონომიისთვის უნდა მიეღწია, ხოლო თუ გერმანია და მისი ბანაკი გაიმარჯვებდა, საჭირო იყო მოლაპარაკებების წარმართვა, რათა ომის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობა აღედგინა.

გერმანიის მომხრე ქართველებმა 1914 წელს უენევაში განთავისუფლების კომიტეტი შექმნეს და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან გააფორმეს ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, თუ ომში გერმანია გაიმარჯვებდა, საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდებოდა. თუკი ასე მოხდებოდა, ივარაუდებოდა მონარქიის აღდგენა. საქართველოს მეფე გერმანიის იმპერატორის ერთ-ერთი მემკვიდრე უნდა გამხდარიყო, რომელიც ქართველ ქალზე დაქორწინდებოდა. კომიტეტმა ხელშეკრულებები გააფორმა ავსტრია-უნგრეთთანაც და თურქეთთანაც. თურქებთან ხელშეკრულება ითვალისწინებდა თურქეთთან საქართველოს საზღვრის იმ მდგომარეობაში დატოვებას, როგორც ის 1914 წელს, ომის დაწყებამდე იყო.

კომიტეტმა გერმანული წყალქვეშა ნავით, ფარულად, იარაღიც კი შემოიტანა საქართველოში, რათა აქ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყება დაწყებულიყო. მაგრამ აჯანყებას მხარი არ დაუჭირა 1915 წელს ქუთაისში საგანგებოდ მოწვეულმა კრებამ, რომლის მონაწილენიც იყვნენ მენშევიკები, სოციალისტ-ფედერალისტები და ეროვნული დემოკრატები. სამაგიეროდ, მათ მხარი დაუჭირეს კომიტეტის საქმიანობას და მოიწონეს დადებული ხელშეკრულებები.

რუსეთის საიღუმლო პოლიციამ მოიპოვა ინფორმაცია კომიტეტის საქმიანობის შესახებ, რის შემდეგაც მოეწყო დამსჯელი ოპერაცია აჭარაში და სახელმწიფოს ღალატის ბრალდებით ოთხასზე მეტი ადამიანი დააპატიმრეს.

1916 წელს კავკასიის მეფისნაცვლად დაინიშნა იმპერატორის ბიძა, დიდი მთავარი ნიკოლოზი, რომელიც ქართველების მიმართ კეთილგანწყობით გამოირჩეოდა. მისი ხელშეწყობით,

ღალატის მუხლით გასამართლებულ ქართველებს გამამართლებელი განაჩენი გამოუტანეს.

პირველი მსოფლიო ომის გაჭიანურებამ რუსეთის სუსტი ეკონომიკა კიდევ უფრო დაასუსტა. ქვეყანაში უკიდურესმა გაჭირვებამ დაისადგურა, რაც საქართველოშიც იგრძნობოდა. დაიხურა ფაბრიკები, ადამიანები უმუშევრად დარჩნენ, განუწყვეტლივ იზრდებოდა სურსათის ფასები.

1917 წლის თებერვალში რუსეთში მოხდა რევოლუცია. იმპერატორი გადადგა და სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა დროებითი მთავრობა. კავკასიის მეფისნაცვალმა, მთავარმა ნიკოლოზმა დატოვა საქართველო. მთავრობამ ამიერკავკასიის მართვა სამხარეო ხელისუფლების ორგანოს – ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს (ოზაკომს) დაავალა. კომიტეტს თავმჯდომარეობდა რუსეთის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მონარქისტი ვასილი ხარლამოვი. კომიტეტის შემადგენლობაში ქართველთაგან წარმოდგენილი იყვნენ მენშევიკი აკაკი ჩხენკელი და სოციალისტ-ფედერალისტი კიკია აბაშიძე.

აპრილში საქართველოში მოქმედმა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებმა და დაჯგუფებებმა შექმნეს ინტერპარტიული საბჭო, რომელშიც შედიოდნენ სოციალ-დემოკრატები, სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი "ალიონი", ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები. საბჭოს თავმჯდომარედ აკაკი ჩხენკელი აირჩიეს.

ინტერპარტიული საბჭო საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს არ განიხილავდა. მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატებს მიაჩნდათ, რომ, თუკი რუსეთი ფედერაციულ სახელმწიფოდ გადაიქცეოდა, საქართველოს უნდა მოეთხოვა ეროვნული ავტონომია, ხოლო იმ შემთხვევისას, თუკი რუსეთი უნიტარულ რესპუბლიკად გადაიქცეოდა, რუსეთთან მომავალი ურთიერთობა გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე უნდა წარმართულიყო.

რუსეთში დასასრული არ უჩანდა საყოველთაო არეულობას, ძალადობასა და გაჭირვებას. ჯარი, ფაქტობრივად, დაიშალა. 1917 წლის ოქტომბერში, სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, ძალაუფლება ხელთ აიღო რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა (ბოლშევიკების) პარტიამ. ბოლშევიკებმა

გამოაცხადეს, რომ სახელმწიფო მმართველობა მუშათა და გლეხთა საბჭოებს უნდა გადასცემოდა.

გადატრიალების შემდეგ ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა არსებობა შეწყვიტა. ინტერპარტიულ საბჭოში შემავალმა არცერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, – ბოლშევიკების გარდა, – არ ცნო რუსეთის ახალი საბჭოთა ხელისუფლება. ამიერკავკასიის ხელმძღვანელობა გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს.

1917 წლის 15 ნოემბერს თბილისში შეიქმნა სამხარეო ხელისუფლების ახალი დაწესებულება – ამიერკავკასიის კომისარიატი. მას მენშევიკი ევგენი გეგეჭკორი თავმჯდომარეობდა. კომისარიატმა განაცხადა, რომ ამიერკავკასია წყვეტს ყოველგვარ კავშირს რუსეთთან მისი კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე, ხოლო როგორც კი საბჭოთა ხელისუფლება დაემხო, დაუყოვნებლივ განახლდება ურთიერთობა რუსეთთან.

1917 წლის 19 ნოემბერს გაიმართა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელმაც განსაზღვრა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ამოცანები და გეგმები. ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარე გახდა ნოე ჟორდანიას. ეროვნულმა ყრილობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა გადაწყვეტილება ბოლშევიკურ რუსეთთან კავშირის შეწყვეტის გამო; ამასთანავე, განაცხადეს, რომ სამომავლოდ დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში საქართველო ცალკე ავტონომიურ ერთეულად შევიდოდა, ხოლო თუკი რუსეთში უახლოეს ხანში არ აღდგებოდა დემოკრატიული წყობილება, მაშინ მოიწვევდნენ დამფუძნებელ კრებას, რომელიც გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

დანართები

ვაჟა-ფშაველა, "ფშაველი ჯარისკაცის წერილი", 1914

გულ-მკერდიც აგიყოფდება,
დედაო, ია-ვარდითა,
თვალებს ნუ ითხრი ცრემლითა,
გულს ნუ ისერავ დარდითა!
ვინც დავიჭრენით, გამოვრჩით,
კიდევ ცოცხლები დავრჩითა,

ხვალ ისევ ომში გვიწვევენ
გაკვირვებულნი გარჯითა,
თამარ დედოფლის ბარტყების
გულოვანობით, მაჯითა,
ვცდილობთ, რომ საქართველოსა
ვუშველოთ ჩვენი ხარჯითა.
სამშობლოს ბედნიერება
არ გვსურს ვიყიდოთ ვალითა,
ნაღდს ვაძლევთ ჯანს და სიცოცხლეს,
ნამუსი დავიცავითა.
რუსეთში მყოფი ვნატრულობ,
სამშობლო ვნახო თვალითა. [...]
მშვიდობით! დაჰკრეს საყვირსა,
კვლავ მეძახიან ბრძოლაზე:
საჩხუბრად, სისხლის საღვრელად,
თოფის, ზარბაზნის სროლაზე.
ნეტავ, თუ არ გვატირებენ
ბოლოს ვაჟკაცურ შრომაზე?!
ნეტავ, თუ დაგვიფასდება
ქართველთა შვილებს ამაგი, –
არ იქცა საყოფ-ყოფნიდა
ჩვენი ლამაზი ალაგი...

გერონტი ქიქოძე, “ომი და უზენაესი მორალი”

ეჭვი არ არის, რომ ომი თავისთავად საშინელებაა! მაგრამ გასამართლებელია, როგორც საშუალება ცხოვრების შინაარსის გასაღრმავებლად და ახალი არსებობის მისაღწევად. განსაკუთრებით გასამართლებელია ის იმ ერისათვის, რომელიც ქართველობასავით მოღუნებულია ფსიქიკურად, დაქანცულია ფიზიკურად. ჩვენ თითქოს განვვლეთ ჩვენი ისტორიის საგმირო ხანა და დღეს ვთვლეთ მწუხრის ბინდ-ბუნდში გახვეულნი. ნახევრად ჩრდილი გვფარავს და ერთმანეთის სახეებს ველარ ვხედავთ. აღარ გვესმის საერთო გულისცემა. თვით ჩვენს აჩრდილს ვემსგავსებით, უსისხლოს და უკუნთებოს... გამოსათუხიზლებლად ძლიერი სენსაციები გვესაჭიროება. აი, მსოფლიო ომს უხვად მოაქვს ძლიერი შთაბეჭდილებანი. მისი ჭექა-ქუხილი ყურთასმენას გვიმახვილებს, მისი ცეცხლის ალი – მხედველობას. მეომარ გმირთა მიერ დან-

თხეული სისხლი ჩვენს ძარღვებში ჩადის და ჩვენს მოღუნებულ სხეულს ცხოველმყოფელ ძალას მაგებს. საერთო განსაცდელს ვგრძნობთ და ამ განსაცდელის წინაშე ადამიანი ადამიანისათვის უფრო ახლობელი, უფრო ძვირფასი ხდება. სიყვარული იღვიძებს. ხელს ხელისკენ ვიწვდით და ვიხსენებთ, რომ ერთ დროს ერთად დავდიოდით, ვიხსენებთ, რომ ჩვენს მკერდში შამქორის, ასპინძის და კრწანისის გმირების სული ფეთქს, ხოლო ძარღვებში მათი სისხლი ჩქეფს. და ეს სული და სისხლი კიდევ უფრო მჭიდროდ გვაერთებს, ვიდრე სილა და კირი ჩვენს ტაძრებს. მაგრამ განსაცდელის წინაშე კიდევ უფრო ძვირფასი ხდებიან არა მარტო თანამემამულეები, არამედ თვით მამული და განძები. სამშობლოს სიყვარული სპონტანურია და არა კონვენციური, ინსტინქტით განცდილი და არა გონებით განათებული. ესაა სიყვარული მოღუშული ტყეების და მომღიმარე მღვლელებისა, მქუხარე ჩანჩქერებისა და მოღუდუნე მდინარეებისა, შავი უძირო ნაპრალებისა და მწვანედ აბიზინებული ველ-მინდვრებისა. ესაა იმ მხიარული და სევდიანი სიმღერების გახსენება, რომლებიც ბავშვობაში გავვიგონია დათვისა და წყავის ბურქებს შუა, ან იმ ჭალარა ზღაპრებისა, რომლებიც ცეცხლის პირას მოგვისმენია. და ბოლოს, ესაა იმ უცნაური მისტიკური საგნის სიყვარული, რომელსაც საკუთარი კერა ეწოდება. ამ მფოთიან და მოუსვენარ სოფელში სამშობლოს კერა ერთადერთი ადგილია, სადაც შეიძლება თავის მოხრა და დასვენება. იქ მიმოდინ უწყინარნი სულნი წინაპრებისა. ნაზ სმენას იქ სწვდება წარსულ დროთა ქვითინი და ღიმილი, იქ ციმციმებს სულთა ნათესაობის დაუქრობელი ლამპარი. როცა ამ საკურთხეველს საფრთხე მოელის, თვით ლაჩარიც კი გმირად იქცევა. პატარა, სუსტი ადამიანი იზრდება და ზეკაცს ემსგავსება.

ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი, “მძლავრ მკლავებში”

ომისა და რევოლუციის დროს რუსეთი და საქართველო იქნებ უფრო მაგრადაც კი გადაეხლართნენ ერთმანეთს, ვიდრე მშვიდობის უამს, – როცა ორი ურთიერთგადახვეული ორგანიზმიდან [...] ფიზიკურ ძალთა არათანაფარდობა უფრო სუსტს ნამდვილად აფიქსიას უქადდა...

არაერთხელ გამიგონია საქართველოს თავად-აზნაურთა და გლეხთა, რა თქმა უნდა, უფრო გულუბრყვილო წარმომადგენლისაგან, რომ ქართველთა ერთგულებისა და ლოიალობის სა-

პასუხოდ თავად რუსეთი ამა თუ იმ ფორმით საქართველოს ნაციონალურ დამოუკიდებლობას მიანიჭებს და, ამავე დროს, ჩვენს შორის არსებულ მჭიდრო სახელმწიფოებრივ კავშირს არ დაარღვევს.

აკაკი წერეთელი, გაზეთი "თემი", 27 ოქტომბერი, 1914

ორასი ათასი მეომარი გამოიყვანა ჯერჯერობით ამ პატარა საქართველომ და იძულებით არა ყოფილა რა! ყველა თაობის სურვილ-ნებითა და სიხარულით მოისწრაფოდა რუსის ჯარებთან ერთად თავდასადებად შორეულ ქვეყნებში. დიდი ხნის გულისნადებმა გრძნობამ სიმღერად ამოიხეთქა და ტკბილი გუგუნი გადაეცა საქართველოს მთასა და ბარს. ერთი საუკუნეა, რაც ამისთანას არას მოსწრებია რა საქართველო. დღევანდელ ქართველში გამოიღვიძა წინაპარმა! გმირული სიკვდილი აღარაფრად მიაჩნია და თავის განწირვით უნდა, რომ სხვების სიკვდილი დასთრგუნოს და მომავალ დგმას ცხოვრება მიანიჭოს!.. რამ გამოუღვიძა მთელი საუკუნის განმავლობაში მიყუჩებული გრძნობა? – იმ აღთქმამ, რომელიც გამოიხატება სარდლის სიტყვებში: "რუსეთი გამოდის მოსარჩლედ პატარა ქვეყნების, რომელნიც ძალმომრეობით დაჩაგრულნი არიან! დეე, ამიერიდან ნულა იქნება პატარა ერის გაქელვა და ქვეყნად დამყარდეს თანასწორობა, ძმობა, ერთობა და სიყვარული!"... აი, სწორედ ამ აზრით იყვენ ჩვენი წინაპრები გამსჭვალული, როდესაც რუსები მოიწვიეს! თუ დღემდის არ ხორციელდებოდა ეს დიადი აღთქმა, ეს სულ ზოგიერთების ბრალი იყო და დღეს განახლებული რუსეთის აზრი და სურვილი გამოითქვა უმაღლესის პირით. იმედია, ასრულდება ჩვენი წინაპრების განზრახვა... სწორედ ამან ააფრთოვანა დღეს საქართველო და მოაგონა მამა-პაპის ანდერძი: "სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო!"

სამსონ ფირცხალავა, "მოგონებათა ფურცლები"

აკაკი პირველი ომის დაწყებას დიდი ინტერესით შეეგება. ფიქრობდა, ომი უთუოდ გატეხს რუსეთის თვითმპყრობელობას, რევოლუცია მოხდება და საქართველოსაც ეშველება.

**სარგის კაკაბაძე, "ქართველი ხალხის ისტორია:
1783-1921"**

იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე მენშევიკების ნაწილი ნოე უორდანიასთან სათავეში ადგა თავდაცვით პოზიციას. ქართველი ნაციონალისტები კი იყვნენ გერმანული ორიენტაციის მომხრენი. მენშევიკების უმრავლესობა იდგა ეგრეთ წოდებული ცენტრიზმის პოზიციაზე. [...] ომის საკითხში ცენტრიზმი იდგა თავდამცველების ანუ სოციალისტ-შოვინისტებისა და მემარცხენე რევოლუციონერთა შუა, მაშინ როდესაც რევოლუციური მიმართულება იცავდა ლოზუნგს იმპერიალისტური ომის გადაქცევისას სამოქალაქო ომად. ცენტრისტები ცდილობდნენ შეერიგებინათ თავდაცვის ლოზუნგი ინტერნაციონალიზმთან. შემდეგ მენშევიკებში გაძლიერდა ნოე უორდანიას ხაზი თავდაცვისა. ამიტომაც მენშევიკები ომის დროს მონაწილეობას ღებულობდნენ თავდაცვის სხვადასხვა ორგანოებში.

**თბილისის პოლიცმაისტერ ზდანეცკის მოხსენებიდან,
დეკემბერი, 1915**

ცხოვრება ქალაქში შეუჩერებლივ ძვირდება. მოვაჭრეთა მტაცებლურმა სიხარბემ და უპატრონო მომხმარებლების ტანჯვამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია. ამის შესახებ ყოველდღიურად, მრავალგზის ჩივიან და გვთხოვენ დახმარებას საარსებო მინიმუმის მოპოვების საქმეში. ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენები დიდ გაჭირვებას განიცდის და მზად არის გაყიდოს ყველაფერი, ოღონდ შეიძინოს პური. მათი მდგომარეობა მძიმე და გამოუვალია.

მიხეილ წერეთელი, "საქართველო და მსოფლიო ომი"

ომი ოსმალეთსა და რუსეთს შორის ქართველ ხალხს აძლევს საშუალებას, კვლავ მოითხოვოს პოლიტიკური თავისუფლება, რომელიც მან ერთი საუკუნის წინათ დაკარგა. სწორედ ამ მიზნით გადაწყვიტა საქართველომ, ოსმალეთისა და მისი დიდი მოკავშირეების, გერმანიისა და ავსტრიის მიერ შემოთავაზებული დახმარებით ესარგებლა და მათთან ერთად ჩაბმულიყო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმ საშინელი ძალის წინააღმდეგ,

რომელიც არა მარტო ძალით დამორჩილებული ერის დამონებისათვის იბრძვის, არამედ თვით რუსი ხალხის მონობაში შესაბარჩუნებლადაც.

რევამ გაბაშვილი, "რაც მახსოვს"

რუსეთის დროებითმა მთავრობამ, ყველა და მეტადრე "სათრანგეთის რევოლუციის" მაიმუნობა-მიბაძვით (მერე ხომ "ჩვენებიც" ხშირად ამასვე ცდილობდნენ) – თავისი იმპერიის სხვადასხვა "პროვინციაში" გაგზავნა კომისრები [...]. ეს იყო, ასე ვსთქვათ, რუსეთისაგან დასმული ნახევრად კანონიერი მთავრობა კავკასიისა და რომ სრული სურათი წარმოგვიდგეს, აქვე უნდა გავიხსენოთ მეორე ამბავიც: [...] კავკასიის "ნამესტნიკმა" (ე. ი. მეფის მოადგილემ) დაიბარა ბატონი ნოე ჟორდანიას (ამბობენ, სხვა მენშევიკებიცაო) და ალექსანდრე ხატისოვი და გამოუცხადა: "რუსეთში რევოლუციას, ქვეყანა არეულია, მე მივდივარ წესიერების აღსადგენად, და, ვიდრე ჩამოვალ, კავკასიას თქვენ გაბარებთ და უნდა მოუაროთო".

გაზეთი "კავკაზკი რაბოჩი", 29 მარტი, 1917

არა მგონია, რომ თბილისში სხვა დროს როდისმე ადგილი ჰქონოდა ამის მსგავს რამეს... ყველა ფაბრიკა-ქარხანა და სახელოსნო, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულება, ყველა სავაჭრო დაიკეტა და გაჩერდა. ყველა, ვინც კი სინათლისა და პროგრესისაკენ მიისწრაფვის, ყველა, ვისაც კი მოძრაობა შეეძლო, ქუჩაში გამოვიდა... 12 საათისათვის ქალაქის ერთ-ერთ განაპირა უბანში, ვაკეში, რამდენიმე კილომეტრის რადიუსით შემოზღუდული ადგილი ხალხით გაიჭედა და ერთიან ზღვას დაემსგავსა... რა დიდებული, რა გრანდიოზული სურათი იყო... ადამიანთა თავების ზღვის ზედაპირზე ირგვლივ ყველგან ფრიალებენ წითელი დროშები. მათ რაოდენობას არა ათეულობით, არამედ ასეულობით ითვლიან. დროშებზე მოჩანს წარწერები: "სამარადისო დიდება დალუპულ მებრძოლებს!", "გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!", "გაუმარჯოს მუშათა ინტერნაციონალს!", "გაუმარჯოს ხალხთა სოლიდარობას!", "გაუმარჯოს ახალ მთავრობას!" და სხვ. ყოველი მხრიდან გაისმის "ვაშა", რომელიც ირგვლივ ქუხილით ვრცელდება... 13 ადგილას დგას ავტომობილები

და ტრიბუნები, რომელთა გარშემო გამართულია 13 უზარმაზარი მიტინგი, ავტომობილებზე დგანან ორატორები, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს წარმოადგენენ. მათ გარს არტყია მუსიკოსები და მომღერალთა გუნდები... ორატორთა ყოველი სიტყვა მეფის რეჟიმს ნაცტორცნი ყუმბარასავით ხვდება და იქ ყველაფერს ანგრევს, ქვას ქვაზე არ ტოვებს. ორატორები განუმარტავენ ხალხს, რომ მეფის მთავრობა საუკუნეების მანძილზე ჩაგრავედა ხალხს, არ აძლევდა მას თავისუფალი განვითარების საშუალებას... ყოველი ორატორის გამოსვლა მთავრდება დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის მოთხოვნით... ზეიმი დღის 4 საათზე დასრულდა, მოქალაქენი სრული წესრიგით, მუსიკითა და რევოლუციური სიმღერებით დაიშალნენ.

თავი 21

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციას, მეფის გადადგომას იმპერიის შერყევა და იმპერიული ძალაუფლების შესუსტება მოჰყვა. რუსეთის ახალი მთავრობა შეუდგა ლიბერალური რეფორმებისათვის მზადებას. გამოცხადდა დეკრეტები სინდისის თავისუფლებისა და ერთა თვითგამორკვევის შესახებ. იმპერიამ დაიწყო რღვევა...

შექმნილი მდგომარეობა დროულად გამოიყენა ქართველმა სამღვდელელოებამ და უკვე 9 მარტს შეიკრიბა დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძის სახლში, რათა სასწრაფოდ გამოცხადებულიყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. შეკრებას ესწრებოდა ნოე ჟორდანიაც, რომელმაც მოუწოდა სამღვდელეობას, დროულად ეზრუნათ საეკლესიო დამოუკიდებლობის მისაღწევად.

1917 წელს 12 მარტს (ახალი სტილით 25 მარტს) მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში თავი მოიყარა ათი ათასმა სამღვდელელო და საერო პირმა. შეკრებაზე გამოცხადდა, რომ ამ დღიდან საქართველოს ეკლესია აღიდგენდა თავის დამოუკიდებლობას, ანუ ავტოკეფალიას. შესაბამისად, ქართველი სამღვდელეობა აღარ ექვემდებარებოდა რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდს და მის წარმომადგენელს – საქართველოს ეგზარქოსს. გადაწყდა, რომ საქართველოს ეკლესიას – საკათოლიკოსოს სათავეში ჩაუდგებოდა კათოლიკოს-პატრიარქი, მაგრამ მის არჩევამდე ეკლესიის დროებით ხელმძღვანელად დაინიშნა ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე; ეკლესიის საერთო მმართველობა საქართველოში დაევალა აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის წევრები იყვნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირები.

რუსეთში, ქალაქ ვიტებსკში მყოფი ეპისკოპოსი კირიონი მისალმა მცხეთის შეკრების გადაწყვეტილებას: "გილოცავთ ავტოკეფალიას, ხუნდები აეხსნა ივერიის ეკლესიას, რადგან დამონებული იყო ჩვენი ეროვნული სიწმიდე, მდაბიო ვრად იყო ქცეული ქართველი ხალხი. იგი ტანჯვის ცრემლს ჰღვრიდა,

ახლა კი სიხარულის ცრემლს ვაფრქვევთ. გაუმარჯოს თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ ეკლესიას!”.

მეორე დღეს, 13 მარტს ეპისკოპოსი ლეონიდე მივიდა ყოფილი მეფისნაცვლის სასახლეში, სადაც იმუამად იმყოფოდა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (“ოზაკომი”) და წარადგინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი. კომიტეტის წარმომადგენელმა თავი შეიკავა, გამოეხატა ხელისუფლების დამოკიდებულება მომხდარის მიმართ.

14 მარტს ქართველი მღვდელმთავრები ესტუმრნენ საქართველოს ეგზარქოსს, პლატონ როჟდესტვენსკის. მისულებმა მას გამოუცხადეს, რომ იგი გადაყენებულია თანამდებობიდან და მოსთხოვეს ეგზარქოსის სასახლის დაცლა. ეგზარქოსმა ურჩია მღვდელმთავრებს, არ გადაედგათ მკვეთრი ნაბიჯები, დალოდებოდნენ რუსეთის საეკლესიო მმართველობის გადაწყვეტილებას და თანაც შეახსენა მათ, მთლად უმწეო არ გვეგონოთ, ხომ იყით, ქალაქში დაბანაკებული რუსი სამხედროები მე მიჭერენ მხარსო.

ამ დროს თავად რუსეთშიც განახლებას იწყებდა თავად რუსეთის ეკლესია. ის ცდილობდა გამოეყენებინა რევოლუციის შედეგად შექმნილი ვითარება და სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. მთელ რუსეთში დაიწყო მზადება ადგილობრივი საეკლესიო კრებისათვის, რომელსაც უნდა აღედგინა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის კათედრა. ივარაუდებოდა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხიც სწორედ ამ კრებას უნდა გადაეწყვიტა. ამიტომ რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდი ქართველი სამღვდელოებისაგან მოითხოვდა, რომ საკითხი არ დაძრულიყო მანამ, სანამ საეკლესიო კრება არ ჩატარდებოდა.

ამ დროს რუსეთის დროებითმა მთავრობამ საკითხის ადგილობრივ შესასწავლად თბილისს მოავლინა თავისი საგანგებო წარმომადგენელი – პროფესორი ვლადიმირ ბენეშევიჩი. იმუამინდელი რუსული ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ საქართველოში საეკლესიო ორგანიზაცია უნდა გაყოფილიყო ეროვნული – და არა ტერიტორიული – პრინციპის საფუძველზე: ქართველი მრევლისათვის აღდგენილიყო საქართველოს საკათოლიკოსო (ცენტრით მცხეთაში), ხოლო კავკასიაში მცხოვრები რუსეთის ეკლესიის მრევლისათვის, – რუსებისა თუ სხვა ეროვნების მარ-

თლმადიდებელთათვის, – საეგზარქოსოს საფუძველზე, შექმნილიყო თბილისის სამიტროპოლიტო (ცენტრით თბილისში). ბოლოს, რუსეთის დროებითი მთავრობა აღარ დაელოდა რუსეთის ეკლესიის უწმიდესმა სინოდის გადაწყვეტილებას და 27 მარტს აღიარა ქართული ეკლესიის – საქართველოს საკათალიკოსოს – ავტოკეფალია (ანუ ეს უნდა ყოფილიყო ეკლესია მხოლოდ მართლმადიდებელ ქართველთათვის).

ამის შემდეგ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი დაადასტურა ადგილობრივმა საეკლესიო კრებამ, რომელიც მცხეთაში, 1917 წლის სექტემბერში ჩატარდა. კრებამ გააუქმა ქართლ-კახეთის მთავარეპისკოპოსისა და საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობა და განაახლა მცხეთის მთავარეპისკოპოსისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კათედრა. კრებაზე, ასევე, ჩატარდა ეკლესიის მეთაურის არჩევნები, რომლის შედეგად, მამამთავრად აირჩიეს ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიძევილი. მას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე ეწოდა. იგი ახალი დაბრუნებული იყო რუსეთიდან, სადაც ხანგრძლივ გადასახლებაში იმყოფებოდა. ეს არჩევანი მოულოდნელი აღმოჩნდა კრების მონაწილეთა დიდი ნაწილისათვის, რომელთა ვარაუდითაც, პატრიარქობა უნდა რეგებოდა საკათალიკოსო ტახტის მოსაყდრეს, მიტროპოლიტ ლეონიდე ოქროპირიძეს, რამაც მაშინვე და განსაკუთრებით შემდგომ დიდი დაძაბულობა წარმოშვა ეკლესიის შიგნით.

ჯერ რუსეთის ეკლესიის უწმიდესმა სინოდმა და, შემდეგ, სრულიად რუსეთის ახალარჩეულმა პატრიარქმა ტიხონმა საქართველოს ეკლესიის იერარქია მადლმოკლებულად გამოაცხადეს, ხოლო საქართველოში მცხოვრებ ყველა მართლმადიდებელს მოუწოდეს, არ მიეწვიათ "ავტოკეფალისტის მღვდლები" მღვდელმსახურების აღსასრულებლად, არ მიეღოთ მათგან ლოცვა-კურთხევა, არ შესულიყვნენ "ქართველების ეკლესიაში", თორემ "ჯოჯოხეთში მოხვედრა არ ასცდებოდათ". ყოფილმა ეგზარქოსმა პლატონმა, რომელსაც მანამდე ქართველების გულშემატკივარ მღვდელმთავრად იცნობდნენ, რუსეთის საეკლესიო კრებაზე განაცხადა, რომ ქართველები მართლმადიდებლობას გადაუდგნენ. ამ კრებას აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელი პატრიარქებიც ესწ-

რებოდნენ. მათ გაიზიარეს რუსეთის ეკლესიის ამგვარი პოზიცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მიმართ. რუსი სამღვდელთა ჩაგონებით, ისინი მიიჩნევდნენ, რომ ქართველებმა ისარგებლეს რუსეთის იმპერიის "ავადმყოფობით" (ესე იგი რევოლუციით) და "უმაღურ შვილთა მსგავსად, ხელი აღმართეს დედაეკლესიაზე".

ამ დროს მეტად დაიძაბა მდგომარეობა თავად საქართველოს ეკლესიაშიც. კათოლიკოს-პატრიარქ კირიონსა და მის თანამოსაყდრეს, მიტროპოლიტ ლეონიდეს შორის დიდი უთანხმოება ჩამოვარდა. ქართველ სამღვდელოებაში ღია დაპირისპირებამ იჩინა თავი. პატრიარქი თანდათანობით კარგავდა ძალაუფლებას. ამავე დროს, ღრმავდებოდა წინააღმდეგობა ეკლესიის მაშინდელ მმართველ დაწესებულებას – საკათოლიკოსო საბჭოსა და მთავრობას შორის, რაც ეკლესიის მამამთავრის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა.

1918 წლის 27 ივნისს, დილით, საზაფხულო რეზიდენციაში, მარტყოფში, კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი მოკლული იპოვეს. ტრაგედია დღემდე ამოუხსნელია.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს მთავრობამ ეკლესიისაგან (და, ზოგადად, ყოველგვარი რელიგიური ორგანიზაციებისაგან) გამიჯვნის გზა აირჩია. 1918 წლის 26 ნოემბერს სკოლა გამოეყო ეკლესიას, 1920 წლის 19 ნოემბერს – ეკლესია სახელმწიფოს, რაც დაადასტურა 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციამ. ქვეყნის მთავრობამ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ჩამოართვა მიწები და ბევრი სხვა ქონება, გააუქმა სასულიერო სემინარია.

დანართები

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი,
12 მარტი, 1917

1917-სა წელსა, მარტის 12-სა დღესა, მცხეთის წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო ტაძარსა შინა, დღესა კვირიაკესა, შემოვკრბით ჩვენ, სრულიად საქართველოს ეკლესიის მწყემსთმთავარნი, სამღვდელთა კრებულნი და ერისაგანთა წარმომადგენელნი და, შემდგომად ლი-

ტურღისა და კეთილდღეობისათვის ახლისა მთავრობისა სავედრებელის შარაკლისის შესრულებისა, გულისხმა ვყავთ სახელმწიფოსა შინა რუსეთისასა მომხდარნი ძირითადნი ცვლილებანი და ახლისა მთავრობისა დაფუძნებაი, ეგრეთვე სახელმძღვანელონი დებულებანი ამა მთავრობისანი, საკუთრივ მის მიერ სინოდისა და სარწმუნოების თავისუფლების აღსარებაი (მუხ. 3). ამასთანავე განვბჭეთ, ვითარმედ: ა) ეკლესიასა ქართველთასა აქუნდა, თანახმად მსოფლიო კრებათა კანონებისა, ავტოკეფალური არსებობაი, რომლისა მოსპობაი ანუ გაუქმებაი არავის ძალედვა, თვინიერ მსოფლიო კრებისა, გარნა მას შინა სრულიად არაკანონიერად შეწყვეტილ იქმნა ავტოკეფალური მართვა-გამგეობაი; ბ) რუსეთსა შინა დამყარდა ახალი სახე სახელმწიფოსი მართვა-გამგეობისაი და მას აღარ შეესაბამების ქართველთა ეკლესიისა უფლებამეჩერებულად ყოფნაი.

ამისათვის უცილობელად ვსცანით და ერთხმად და ერთსულად განვაჩინეთ: ა) ამიერთგან აღდგენილად ჩაითვალოს საქართველოსა შინა ავტოკეფალური საეკლესიო მართველობაი; ხოლო, ვიდრე კანონიურად აღიარდეს კათალიკოსი საქართველოსი ეკლესიისაი, მოსაყდრედ მისა დაინიშნოს ყოვლადსამღვდელო ლეონიდე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, და მასთან, განსაგებელად ეკლესიისა, დაწესდეს დროებითი მართველობაი საქართველოსი ეკლესიისაი, სასულიეროთა და საეროთა პირთაგან შემდგარი; ბ) ვინაითგან საქართველო ქვაკუთხედად თვისისა არსებობისა აღიარებს სრულსა სოლიდარობასა რუსეთისა ახალსა მთავრობასა თანა, განჩინებაი ესე ეცნობოს მთავრობის თავმჯდომარეს უფალს რომაინკოს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თავადს ლვოვს, სინოდის ობერპროკურორს უფალს ლვოვს და კავკასიის კომისარიატს – ტფილისში.

თბილისის რუსი სამღვდელოებისა და ერისკაცთა კომიტეტის მიმართვა რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდს, 27 მარტი, 1917

ვალღარებთ რა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას უკვე აღსრულებულ ფაქტად და არ მივიჩნევთ ჩვენთვის შესაძლებელად საქართველოს საკათოლიკოსოს შემადგენლობაში შესვლას, ვთხოვთ უწმიდეს სინოდს, შექმნას უწმიდეს სინოდს დაქვემდებარებული ამიერკავკასიის საეგზარქოსო, რომლის შე-

მადგენლობაში შევა ყველა რუსული სამრევლო და სხვა ეროვნების მართლმადიდებლებიც, თუ მოისურვებენ.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ლევონიდეს მიმართვა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის
პატრიარქ ციხონს, 1920**

რაკი უწმიდესი სინოდი XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეკლესიის საქმეებში ჩაერია არა თავისი ინიციატივით, არამედ ზემოდან წამოსული იძულების შედეგად, საქართველოს ეკლესიას ჰქონდა საფუძველი, ეფიქრა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მისი უწმიდესი სინოდის სახით 1917 წელს სიხარულით შეხვდებოდა გათავისუფლებას მისთვის თავსმოხვეული ზრუნვისაგან საქართველოს ეკლესიაზე და გამოასწორებდა დროებითი მთავრობის მიერ დაშვებულ შეცდომას. მაგრამ ეს არ მომხდარა: უწმიდესი სინოდის წევრი, მთავარეპისკოპოსი პლატონი, მას შემდეგ, რაც მან მიიღო ჩვენი ოფიციალური უწყება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და მისთვის ქართლ-კახეთის ეპისკოპოსისა და საქართველოს ეგზარქოსის წოდების ბუნებრივად გამომდინარე ჩამორთმევის შესახებ, იმის მაგიერ, რომ ძმურად მოელოცა ჩვენთვის, რუსი ჯარისკაცების ხიშტებით დაგვემუქრა. უწმიდესი სინოდი კი სასწრაფოდ შეუერთდა ბულგარელთა თვალსაზრისს (რომელსაც შენი უწმინდესობა სამართლიანად უწოდებს სქიზმატურს), 1917 წლის 14 ივლისს გამოსცა "კავკასიაში რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მოწყობის დროებითი წესები" და დააწესა რუსი მიტროპოლიტის კათედრა იქ, სადაც უკვე V საუკუნიდან არსებობს ქართველი ტფილელი მიტროპოლიტის კათედრა, რითაც დაარღვია I მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონი: "ნუ იქნება ორი ეპისკოპოსი ერთ ქალაქში".

**მიტროპოლიტ ანტონ გიორგაძის სიტყვა რუსეთის
უწმიდესი სინოდის სხდომაზე, 1 აგვისტო, 1917**

თქვენო უწმიდესობავ, ღვთივგაბრძნობილნო მღვდელმთავარნო და მამანო! მართლმადიდებელი ივერიის შვილებმა, რომლებიც ჯერ კიდევ წმინდა და მოციქულთა სწორი ნინოს დროს დაეუფლნენ ფასდაუდებელ მარგალიტს — მართლმადიდებელ სარწმუნო-

ნოებას და მისი შენარჩუნებისათვის სისხლს ათხევდნენ მრავალი საუკუნის განმავლობაში, XVIII საუკუნის ბოლოს გადაწყვიტეს დაეცვათ უმანკო მტრელი რუსული სახელმწიფოს სათარველოს ქვეშ. ერთმორჩმუნე რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ჩვენი თავისუფალი და თვითმმართველი დედა, ივერიის ეკლესია იშუშებდა ჭრილობებს და ვითარცა კრუხი თრთების ქვეშ იკრებდა თავის სულთღვრულ შვილებს, მაგრამ, საქართველოში თვითმპყრობელი ხელისუფლების წარმომადგენელთა დაჟინებით, მას თავი მოჰკვეთეს და ძალმომრეობით დაუმორჩილეს უმცროს დას, სრულიად რუსეთის ეკლესიას, ხოლო უდანაშაულო ტყვის ვედრება გათავისუფლებისა ჩაახშეს და აღკვეთეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამა წლის 3 მარტიდან რუსეთში სამოქალაქო თავისუფლება გამოცხადდა, საქართველოს საეკლესიო ერმა ისურვა და 12 მარტს აღადგინა თავისი მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალური უფლებები. ეს თვითგამორკვევის აქტი კი დამტკიცებულია ჩვენი დროებითი მთავრობის მიერ 27 მარტს და 25 ივლისს აღიარებულია როგორც დიადი. ამას აუწყებს ივერიის მართლმადიდებელი კათოლიკე ეკლესია თავის ქრისტეს მიერ საყვარელ დას, რუსეთის მართლმადიდებელ კათოლიკე ეკლესიას თქვენი უწმიდესობის სახით და უგზავნის გულწრფელსა და მხურვალე ამბორს მთელ ძმურ რუს ხალხს, რომელიც თავისი მართლმადიდებელი ეკლესიის ფარგლებში იმყოფება. ქრისტესმოყვარე სიყვარულის ამ ცოცხალი გრძნობით იხსენებს საქართველოს ჯვრისმტვირთველი მართლმადიდებელი ეკლესია, რომ საუკუნეთა განმავლობაში თანხმობით ვიცავდით მართლმადიდებელი სარწმუნოების წმინდა დოგმატებს და გამოხატავს მტკიცე რწმენას, რომ დღეიდან სარწმუნოებითა და სულისკვეთებით მონათესავე ორი ეკლესია კეთილი თანხმობით, მჭიდრო ერთობითა და ურთიერთსიყვარულით იცხოვრებს, რათა ერთი გულით, თუმც კი სხვადასხვა ენაზე, ადიდონ მამის, ძისა და სულისა წმიდისა უპატიოსნესი და უმშვენიერესი სახელი. ქრისტე იყოს ჩვენ შორის!

**რუსეთის უწმიდესი სინოდის თავმჯდომარის,
მთავარეპისკოპოს სერგის მიმართვა ქართველი
სამღვდელოების დელეგაციის მიმართ, 1 აგვისტო, 1917**

წმინდა სინოდი ევედრება ღმერთს (და ამის მტკიცე სასოებაც აქვს), რათა ჩვენმა ერთმორჩმუნე ქართველმა ერმა მისი რელიგიურ-პოლიტიკური არსებობის ახალ პირობებში იპოვოს თავისი

სულიერი ძალების ზრდისა და ქრისტესმიერი ჭეშმარიტების უცვლელი შენარჩუნების ახალი წყარო. თქვენ არ გჭირდებათ იმის გახსენება, რომ რუსული საეკლესიო ცნობიერებისათვის არასოდეს ყოფილა უცხო აზრი, რომ საქართველოს ეკლესიას მისი ძველი მოწყობა უნდა დაბრუნებოდა. და თუ ეს აზრი ჯერ არ ხორციელდებოდა, ამას განსაკუთრებული და ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზები აქვს. საერთო გამათავისუფლებელი გაზაფხულის დღეებში მით უფრო დიდი სიხარულით ესალმება რუსული საეკლესიო ცნობიერება თქვენი დიდი ხნის ოცნების აღსრულებას. და უწმიდესი სინოდიც მთელი სულითა და გულით შეუერთდებოდა ამ მისალმებას. სამწუხაროდ, ყველაფერი ძალიან უცნაურად და სინოდის გვერდის ავლით ჩატარდა.. მაგრამ ჩვენ ვესავთ, რომ ღმერთი ყველაფერს სასიკეთოდ მოაწყობს და ამ საქმეში არსებული მახვილი კუთხეები დაბლაგვედება, რომ მომავალ ადგილობრივ საეკლესიო კრებაზე ჩვენ ერთმანეთს ძმურად შევხვდებით და შევძლებთ ურთიერთგაგების გზის გაკვლევას, რათა მომავალში ჩვენმა ერთმორწმუნე ერებმა, ქრისტესმიერმა სიყვარულისა და ერთობის სულისკვეთებით გამსჭვალულთა და საეკლესიო განჩინებათა ერთგულთა, იცხოვრონ მშვიდობით და გვერდიგვევად და ყოველმა მათგანმა შეასრულოს თავისი მოწოდება ჩვენი საერთო ცხოვნებისათვის ღვთის სადიდებლად.

კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის წერილი რომის პაპ ბენედიქტე XV-ს, 2 ნოემბერი, 1917

უძველესსა საყდარსა საქართველოისა საკათოლიკოსოისასა, რომელსა 1811 წლითგან ვიდრე მოაქამომდე განაგებდეს ექსარხოსნი რუსეთის ეკლესიისანი, ათჰვიდმეტსა სექტემბერსა მიმდინარის წლისასა, აღრჩევითა მორწმუნისა ერისა და სამღვდელოისა დასისაითა, აღყვანილ იქმნა უღირსებაი ჩემი. აღსრული საყდარსა ამას ზედა "მოვიხსენიებ დღეთა პირველთა და ვიწურთი ყოველთა მიმართ საქმეთა" უნეტარესთა მწყემსმთავართა ჰრომისათა... დღესა ამას აღდგენისა ქართველთა ეკლესიისა და სიხარულისა მათისასა, გულისხმისყოფელი წარსულისა ჩვენისა, მოწყალედ მოვიკითხავ უნეტარესობასა შენსა და აღთქმასა ვდებ, ვითარმედ მიმდგომნი შენისა საყდრისანი "არა შეიწრებულ იქმნებიან გულსა შინა" ჩემსა და ქართველთა ერისასა.

მერაბ ლაღანიძე, "კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი"

როცა კირიონი აიძულეს, სამშობლო დაეტოვებინა, საქართველოს ეკლესია და მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი სიმბოლო იყო, – როგორც ქართული სკოლა, ქართული პრესა თუ ქართული თეატრი. თუკი ეკლესია დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, რისი შესაძლებლობაც თითქოს ამჟამად ილანდებოდა საუკუნის დასაწყისში, მაშინ ეს სიმბოლო კიდევ უფრო ფართო აზრსა და მნიშვნელობას შეიძენდა და იმედის იმ ცისარტყელას დაემსგავსებოდა, რომელსაც მომავალი ეროვნული დამოუკიდებლობის ოცნება უნდა გაეღვივებინა... საკათოლიკოსო კათედრაზე აღსაყდრებული კირიონი ამჟამად ხედავდა, რომ ეკლესიაში მხოლოდ "მარილი სოფლისა" რჩებოდა, მაგრამ ამით ეკლესია, ამასთანავე, საკუთარ არსს უბრუნდებოდა, – ეს ის ხანმოკლე პერიოდი იყო, როცა მართლმადიდებელმა ეკლესიამ თავიდან მოიშორა იმპერიის ერთ-ერთი სამინისტროს არცთუ საპატიო ფუნქცია (სხვათა შორის, რუსეთის საეკლესიო-ჩინოვნიკური პოლიტიკის შედეგი იყო ქართველობის გაგულგრილება რელიგიის მიმართ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში). საქართველოს ეკლესია თავის ისტორიას, თავის გრადიციას უნდა დაჰბრუნებოდა: კირიონსა და მის თანამოაზრეებს კარგად მოეხსენებოდათ, რომ ქართულმა ეკლესიამ მხოლოდ ფორმალურად დაკარგა ავტოკეფალია 1811 წელს, – როცა რუსეთის უწმიდესმა სინოდმა კათოლიკოს-პატრიარქი ანტონი II, ერეკლეს ძე, რუსეთს გაიწვია და ქართლ-კახეთის მწყემსთამთავრის საყდარი პეტერბურგიდან დანიშნულ ეგზარქოსს, მიტროპოლიტ ვარლამ ერისთავს, ჩააბარა (სხვათა შორის, მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ეგზარქოსთაგან ერთადერთ ქართველს), მაგრამ ეს მხოლოდ ლოგიკური დასასრული იყო იმ მიმართულებისა, ქართული ეკლესიის იმ პრორუსული არჩევანისა, რომელიც ბევრად ადრე დაიწყო, – დაიწყო მაშინ, როცა მეჩვიდმეტე საუკუნიდან ქართული საღმრთისმსახურო წიგნები რუსულის მიხედვით სწორდებოდა, როცა ქართველი მღვდელმთავრები და მეფე-დიდებულები რუსეთიდან ჩამოსულ საეკლესიო "რევიზორებს" არწმუნებდნენ, რომ ქართველები უეჭველად მართლმადიდებლები იყვნენ, როცა 1769 წელს კათოლიკოსი ანტონი I რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებას სთხოვდა ნაკურთხი მირონის გამოგზავნას, როცა რუსეთის უწმიდესი სინოდის წევრი, საქართველოს ეკლესიის მეთაური, ანტონი II სერა-

ფიგურით შემკულ რუსულ თეთრ კუნკულს ატარებდა ბიზანტიურ-ქართული მკაცრი, მარტივი, შავი სამღვდელმთავრო თავსაბურავის ნაცვლად. ავტოკეფალიის აღდგენა მხოლოდ იურიდიული აქტი არ უნდა ყოფილიყო, ამ დროს საქართველოს ეკლესიის ორიენტაციის საკითხი წყდებოდა, მისი მომავალი სახე იძენდა გარკვეულობას... ეპისკოპოსი კირიონი პირველი იყო ავტოკეფალიისათვის მებრძოლთა გუნდში; პირველი იყო, რომელიც აღდგენილ საპატრიარქო ტახტზე ავიდა; იგი საქართველოს ეკლესიის ტრაგედიის მსხვერპლთა შორისაც პირველი აღმოჩნდა...

ნიკიტა თალაქვაძე, “მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან”

გადავეჩვიეთ აქტიობას, თაოსნობას, ჩვენს საქმეზე და მოვალეობის ასრულებაზე მიზანშეწონილად და უანგაროდ ზრუნვას საქვეყნოდ – ეკლესიურ დამოუკიდებლობის აღდგენაზე არა ერთხელ მოვითხოვეთ კიდევაც ეს, მაგრამ, როგორც ესლა ირკვევა, ეს არ ყოფილა ნამდვილად განცდილი და მოფიქრებული საქმე, არავის არ უფიქრია, როგორ და რა სახით შევძლებთ ეკლესიურ გემის მესაჭეობას ამ მშფოთვარე ცხოვრების ზღვაში, არავინ არ ემზადებოდა თურმე საამისოდ, ყოველივე დაწერილი თუ ნათქვამი ამ თაობაზე ყოფილა ლამაზი სიტყვები, მოსართავ-მოსაკაზმავი და სხვა არაფერი. მართლაც, ყველანი დიდის აღფრთოვანებით და იმედებით მივეგებებით ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენას 1917 წლის 12 მარტის აქტით, სულ ყველანი წუმ-წუმასავით ავენთენით, ავპილპილდით, ხოლო როდესაც საქმე საქმეზედ მიდგა, როდესაც დარღვეულ ეკლესიურ ცხოვრებაში საალმშენებლო მოქმედებას უნდა შევსდგომოდით, აი, მაშინ აღმოჩნდა, თუ რა უენერგო, უილაჯო და ურწმუნო ხალხს გვიკისრია ეს დიდი და მძიმე საშვილიშვილო ისტორიული საქმე. არც ერთი წრე ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა არ ყოფილა იმ ზომად განადგურებული და დაბეჩავებული სინოდალურ-ცეზარო-პაპიზმისაგან, როგორც ქართველი სამღვდელეობა.

თავი 22

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ცხადი გახდა, რომ საქართველოს განვითარება ახალ კალაპოტში გადადიოდა.

ქართველი სოციალ-დემოკრატების მენშევიკური ფრთა გულგრილად ეკიდებოდა ერთა თვითგამორკვევას, რადგან პარტიის მთავარი მიზანი იყო რუსეთში რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნება. ისინი მიიჩნევდნენ, რომ სეპარატისტული მოძრაობის გაღვივება კიდევ უფრო დაასუსტებდა, საფუძველს შეურყევდა ახალგაზრდა რუსულ დემოკრატიულ სახელმწიფოს. ამგვარი შემთხვევისას ჩნდებოდა საფრთხე, მმართველობა ისევ მონარქისტულ ძალებს დაებრუნებინათ.

ეროვნულ საკითხში კიდევ უფრო გარკვეული პოზიცია ეჭირათ ბოლშევიკებს: პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელმა, ფილიპე მახარაძემ, 1917 წელს აპრილის ბოლშევიკურ კონფერენციაზე პირდაპირ გაილაშქრა ერთა თვითგამორკვევის წინააღმდეგ. ამგვარი პოზიციის პროპაგანდისათვის ბოლშევიკებმა ბევრი იმუშავეს, ხოლო სიტყვა “ნაციონალისტი” იმგვარ სალანძღავ ზედწოდებად აქციეს, რომელსაც საკუთარ გამოსვლებსა თუ საგაზეთო სტატიებში არასოდეს იშურებდნენ სახელის გასატყუად პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისათვის.

დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით გარკვეული პოზიცია იმუამად ვერც სხვა ქართულმა პოლიტიკურმა ძალებმა დაიკავეს.

1917 წლის ივნისში ჩამოყალიბდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის პროგრამაც ემყარებოდა სამ პრინციპს: ეროვნული სუვერენობა; სოციალური ცხოვრების კერძო საკუთრების ნიადაგზე დაფუძნება; სახელმწიფო ცხოვრების წარმართვა ეროვნული მთლიანობისა და დემოკრატიულობის პრინციპებზე.

ამ ხანებში მეტად დაიძაბა მდგომარეობა რუსეთშიც. ბოლშევიკების ლიდერმა, ვლადიმირ ულიანოვმა (ლენინმა) ჯერ კი-

დევ გაზათხულობე, აპრილში გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც პირდაპირ წამოაყენა მოთხოვნა თებერვლის რევოლუციის გაგრძელებისა და მისი ახალ რევოლუციაში გადაზრდის შესახებ. ბევრი ბოლშევიკიც კი არ ეთანხმებოდა ამ თვალსაზრისს, თუმცა 1917 წლის აგვისტოში ჩატარებულმა ბოლშევიკთა ყრილობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ლიდერის ეს პოზიცია. მალე, 25 ოქტომბერს ბოლშევიკებმა სამხედრო გადატრიალება განახორციელეს და მათმა რაზმებმა ძალადობრივად დაიკავეს მთავრობის რეზიდენცია პეტროგრადში – ზამთრის სასახლე.

გადატრიალების შემდეგ ამიერკავკასიის ადგილობრივი მმართველობა მთლიანად გაემიჯნა და ჩამოშორდა ბოლშევიკურ რუსეთს. 1918 წლის 18 იანვარს რუსეთში გაიხსნა დამთუძნებელი კრება, რომელიც მეორე დღესვე ბოლშევიკებმა ძალით გარეკეს (ისე, რომ ამიერკავკასიის წარმომადგენლებმა, გარდა ირაკლი წერეთლისა, მასზე დასწრებაც კი ვერ შეძლეს). მაშინ ამიერკავკასიის კომისარიატში გაიმარჯვა აზრმა, დამთუძნებელი კრების დეპუტატთაგან შემდგარიყო ადგილობრივი საკანონმდებლო დაწესებულება – ამიერკავკასიის სეიმი, რომლის პირველი სხდომა თბილისში, 26 იანვარს გაიმართა.

ქართველი ბოლშევიკები მკვეთრად დაუპირისპირდნენ ამიერკავკასიის სეიმს და ბრძოლა გამოუცხადეს მას. ვითარება იმდენად გამწვავდა, რომ ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად გამოეყენებინათ ფრონტიდან მოხსნილი რუსული ჯარის ნაწილები. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სამხედრო ემელონები თბილისის გავლით არ გაატარა, რასაც შეტაკებები მოჰყვა. თუმცა სადგურ შამქორთან ქართულმა სამხედრო შენაერთებმა დაამარცხეს ისინი. გარდა ამისა, მოხერხდა თბილისის არსენალის ხელში ჩაგდება, რომელსაც მანამდე ბოლშევიკების მხარდამჭერი რუსული სამხედრო ნაწილი იცავდა. 1917 წლის ბოლოს საქართველო გადაურჩა ხელახალი რუსული ოკუპაციის მცდელობას, რომელშიც ქართველი ბოლშევიკებიც მონაწილეობდნენ.

1918 წლის მარტში ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასა და საბჭოთა რუსეთს შორის დაიდო ზავი, რომლის პირობებიც მძიმე აღ-

მოჩნდა რუსეთისათვის. შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა თურქეთმა და ტერიტორიული პრეტენზიები წამოაყენა ამიერკავკასიის ზოგიერთი რეგიონის მიმართ (მათ შორის იყო ბათუმის ოლქიც). თურქეთი არ ეთანხმებოდა 1878 წლის ბერლინის ტრაქტატს და რუსეთისაგან უკან მოითხოვდა ისტორიულად საკუთრად მიჩნეულ მიწებს. ბრესტ-ლიტოვსკის ზავით რუსეთმა დათმო არა მხოლოდ ამიერკავკასიის ოლქები, რომლებიც თურქეთს მიენიჭა, არამედ, აგრეთვე, პოლონეთი, ბელორუსია, ბალტიის ქვეყნები, ფინეთი...

ამიერკავკასიის სეიმი რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები უკვე 2 მარტს, მის გაფორმებამდე ერთი დღით ადრე, გახდა ცნობილი. სეიმმა ოფიციალურად აცნობა ყველა სახელმწიფოს, რომ ისინი არ ეთანხმებოდნენ ამ ხელშეკრულებას და არ აღიარებდნენ მის კანონიერებას. 10 მარტს თურქეთმა დაიწყო ჯარების შემოყვანა ზავით მისთვის მიკუთვნიებულ ტერიტორიაზე. დაიწყო ამიერკავკასიისა და თურქეთს შორის მოლაპარაკება, რომელიც ტრაპიზონში მიმდინარეობდა, თუმცა ხელშეკრულების დადება ვერ მოხერხდა. თურქეთი შეთანხმებათა აუცილებელ პირობად მოითხოვდა, რომ ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იურიდიულად ყოფილიყო აღიარებული.

1918 წლის 15 აპრილს თურქებმა აიღეს ბათუმი. 22 აპრილს სეიმმა დაადასტურა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. გადაწყდა ახალ მოლაპარაკებათა დაწყება. მოლაპარაკების ადგილი ამჯერად ბათუმი უნდა ყოფილიყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში თურქეთი აქტიურად მუშაობდა არა მხოლოდ სამხედრო ძალის გამოყენებით, არამედ თავისი პროპაგანდითაც. მუსლიმი ქართველებით დასახლებული ტერიტორიების (მესხეთის) ავტონომიისა და შემდგომ მათი თურქეთთან შეერთების მოთხოვნით განცხადებით გამოვიდა ადგილობრივი მოსახლეობიდან არჩეული ორმოცკაციანი დეპუტაცია.

ამ დროს საბჭოთა რუსეთიც აქტიურობდა და მოითხოვდა, რომ კონფერენცია, ბათუმის ნაცვლად, სადმე რუსეთში გამართულიყო, გარდა ამისა, რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა ადანაშაულებდა ამიერკავკასიის ხელმძღვანელობას, რომ ის ხელს უშლიდა აფხაზეთის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

ამიერკავკასიის სეიმში მძიმე ვითარება შეიქმნა. სხვადასხვა პოლიტიკური, რელიგიური და ეროვნული ინტერესების გამომხატველი პარტიები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. საქართველოს ინტერესების დაცვა იტვირთა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, აკაკი ჩხენკელის მეთაურობით. მან ოფიციალურად სთხოვა გერმანიის წარმომადგენელს ფონ ლოსოვს, განემუხტა მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ საქართველო-გერმანიის ურთიერთობას მხოლოდ მაშინ ექნებოდა მყარი საფუძველი, თუ ამიერკავკასიის სეიმი დაიშლებოდა და საქართველო დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა.

26 მაისს თურქეთმა ამიერკავკასიის ხელმძღვანელობას მოსთხოვა, სამოცდათორმეტი საათის განმავლობაში მიეღო გადაწყვეტილება ახალი საზღვრების, თურქეთის ჯარის საქართველოს ტერიტორიაზე გატარებისა და რეფერენდუმის შესახებ.

გერმანიის აქტიურმა ჩარევამ 1918 წლის მაისში შეაჩერა თურქეთის მზარდი ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ. ბათუმის მოლაპარაკებათა დროს გერმანიამ საკუთარ თავზე აიღო, გამხდარიყო გარანტი საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად.

26 მაისს დილით, აზერბაიჯანელთა მუსავატური პარტიის წინააღმდეგობის მიუხედავად, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა და სომეხმა დამნაევებმა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა გაუქმებულად გამოაცხადეს. დამოუკიდებლობის აქტის პროექტი ბათუმშივე შედგა.

26 მაისს, ნაშუადღევს 5 საათზე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობის დეკლარაციის ტექსტი გამოაცხადეს თბილისში, ყოფილი მეფისნაცვლის სასახლესთან, სადაც ქალაქის მოსახლეობა შეკრებილიყო.

დანართები

კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის მიმართვიდან საქართველოს პირველი ეროვნული კრების მიმართ, 19 ნოემბერი, 1917

ხელთა შინა თქვენთა არს მომავალი ერისა ჩვენისა, თქვენ ხართ სასო და ხელისამწყრობელი მისი. ღელავს და მძვინვარებს ზღვა ჩრდილოეთისა, სანაპიროსა თვისთავან გადმოხეთქილი და

წარღვნასა ექადის მრავალტანჯულსა ჩვენსა მხარესა და თქვენ, რჩეულნო ივერიისანო, თქვენ უნდა იხსნათ სამშობლო განსაცდელისაგან, თქვენ უნდა განუსვენოთ მას, მიიყვანოთ ნავთსაყუდელსა მყუდროსა და დაამყაროთ მასში ძმობა, მშვიდობა, წესიერება და ბედნიერება. თქვენი ერთობა, ერთსულოვნება და დღისა ვარამის განმსჭვრეტელობა წინდი არს იმისა, ვითარმედ "აღდგებიან მკვდარნი", საქართველო გაცხოველდება და ქართველი ერი კვლავ აღბეჭდავს მატყენესა შინა კაცობრიობისასა საქმეთა თვისთა საგმიროთა. იყავნ, იყავნ!

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის
ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის და ამიერკავკასიის
სეიმის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციის მიმართვა,
14 აპრილი, 1918

ეფუძნებოდნენ რა ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმებას, თურქეთის იმპერიალისტებმა წამოგვიყენეს მოთხოვნები, რომელთა მიზანი იყო ამიერკავკასიის დაყმევება. ჩვენ არ შეგვეძლო დავთანხმებოდით ამ მოთხოვნებს, რადგან ეს გამოიწვევდა მთელი კავკასიის მოწყვეტას რუსეთისაგან და იქნებოდა რევოლუციის ლალატი... ახლა ჩვენი რაზმები, რომლებიც გზას უკეტავენ თურქეთის სულთნის ლაშქარს, იცავენ რა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, იმავდროულად იცავენ რუსული რევოლუციის დროშას. ჩვენი დამარცხება იქნება დარტყმა მთელი რუსეთისათვის, ჩვენი გამარჯვება კი ახალ ძალებს შესძენს რუსეთის რევოლუციას.

ზურაბ ავალიშვილი, "საქართველოს დამოუკიდებლობა
1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში"

22 მაისი, 1918. რადგან ამიერკავკასიას მოელის დაშლა, გადამწყვეტი თათბირია დანიშნული საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ... საქართველოს დამოუკიდებლობა და მიწა-წყლის მთლიანობა უზრუნველყოფილია გერმანიის მიერ. ამიერკავკასიის აღმოსავლეთს ეძლევა მოქმედების თავისუფლება და ეწყობა ოსმალების დახმარებით; სომხებმავე უნდა გამოაცხადონ თავიანთი დამოუკიდებლობა.

აკაკი ჩხენკელის დეპეშა გენერალ გიორგი კვინიტაძეს, 24 მაისი, 1918

გადაცით საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს შემდეგი: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების კიდევ დაგვიანება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგებს. გერმანელების შუამავლობის ცდა არ მოხერხდება. დაგვრჩენია ერთადერთი: ოსმალოების შემოსევას წინ დაუწყენოთ დამოუკიდებელი საქართველო, რომელსაც მხარდამჭერად ეყოლება გერმანია. მის წარმომადგენლად საქართველოს მთავრობასთან იქნება გრაფი შულენბურგი, რომელიც საჭიროა დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე იქნეს ცნობილი... გამზადებულია ხელმოსაწერად რამდენიმე დროებითი შეთანხმება გერმანიასთან... ვუცდი ამ აქტის შესახებ უსწრაფეს ცნობას.

ამიერკავკასიის სეიმის სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) ფრაქციის წარმომადგენლის, ლიდერის ირაკლი წერეთლის გამოსვლიდან სეიმის უკანასკნელ სხდომაზე, 26 მაისი, 1918

რევოლუციის დასაწყისიდანვე სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც მოქმედებდა ამიერკავკასიაში, ყოველ ღონეს ხმარობდა დემოკრატიის გასაერთიანებლად ყველა შესაძლო საზღვრებში. ჩვენ მუდამ ვიბრძოდით ყველა იმ ხალხის ერთობისათვის, რომლებიც სახლობდნენ რუსეთში. ჩვენ გვესმოდა, რომ მსოფლიო მოვლენათა იმ ქაოსში, იმ სისხლისმღვრელ მსოფლიო ომში, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა მის მონაწილეთა ყოფნა-არყოფნა, მხოლოდ რუსეთის ყველა ხალხის ერთიანი ძალისხმევა, მისი დემოკრატიის ერთობა შექმნიდა საუკეთესო პირობებს ამ ხალხთა დაცვისათვის. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ძალისხმევა მიმართული იყო ამ ხალხთა დემოკრატიული მერმისისა და საერთო ბრძოლაში ამ ერთობის შექმნისათვის. მოვლენებმა დაგვაყენეს რევოლუციური რუსეთის რღვევის ფაქტის წინაშე და ამ მოვლენათა შედეგი ამიერკავკასიისათვის გახლდათ ის, რომ ძალა, რომელიც იცავდა ამიერკავკასიის ხალხებს გარეგან ძალთა მიერ დაყმევებისაგან, განადგურდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 26 მაისი, 1918

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო მტრისაგან დაეცვა. რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმა დატოვა ამიერკავკასია. დარჩნენ რა თავისი ძალ-ღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იღვეს თავს საკუთარი საქმეების გაძლოლა და პატრონობა და შესაფერისი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა. ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს. ამისდა თანახმად, საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

- 1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.
- 2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაა.
- 3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.
- 4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით-კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.
- 5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.
- 6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების

თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

ვასილ კირვალიძე, "სამშობლო"

გავსწყვიტეთ ჯაჭვი მონური,
ნაღველი უკუ ჰყარეო;
გილოცავ თავისუფლებას,
ჩემო სამშობლო მხარეო!
ისიც გეყოფა რუსებმა
რაც დღე განახვეს მწარეო;
დღეს აღდგა შენი გმირები,
დასტკბი და გაიხარეო!

კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II-ის სიტყვა, წარმოთქმული 1918 წლის 26 მაისს

"ეს არს დღე, რომელ ჰქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამასა შინა".

დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა!
დიდი ისტორიული დღე გავვითენდა. 26 მაისი სამუდამოდ და საშვილიშვილოდ დარჩება ფრიად მნიშვნელოვან დღედ. აღსრულდა ჩვენი უდიდესი ნატვრა, ჩვენ ნეტარხსენებულთა წინაპართა მუდმივი ლტოლვილება. ღმერთმა განუსვენოს იმ თავდადებულ მამულიშვილებს, რომელთაც თავი შესწირეს სამშობლოს კეთილდღეობისათვის და თავგანწირულად იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისათვის. დიდი წვალების შემდეგ იშვა ჩვენი თავისუფლება და ობლის კვერივით გვიან გამოცხვია. მადლობა ღმერთს, ასი წლის მონობის ბორკილი აეხსნა მრავალტანჯულ ხალხს. ესე უდიდესი აქტი ერთხმად მიიღო ყველა წოდების ქართველმა, მიუხედავად პარტიებისა და რწმენისა. აღსრულდა მუდმივი ნატვრა საქართველოსი. 26 მაისს 5 საათზე გაისმა პირველი თავისუფალი სიტყვა თავისუფალ საქართველოში. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა

მთარველობითი დაპყრობა

გვაკისრებს დიდ ზრუნვას და დიდ მოქალაქეობრივ სიბრძნე-სიფხიზლეს თხოულობს ჩვენგან.

ერთობაში არის ძალაო, ამბობენ, და თუ ეს ესეა, ახლანდელი მომენტი მით უმეტეს მოითხოვს ყველასაგან ძმურ შეერთებასა და შრომას.

თავისუფლება ის წმინდა და ტკბილი დედის ძუძუა, რომელმაც გამოგვზარდა ჩვენ და კაცად გვაქცია – როდესაც კაცს უბედურება დაატყდება, ველური კაცის ხარისხზედ ჩამოდის იგი. მონობისთანა მწარე ხვედრი დედამიწამ არ იცის. თავისუფლებას ბინა აქვს თავისუფალი კაცის გულში. იგი დამავკირგვინებელია ჩვენი ცხოვრებისა. თავისუფლება ღვთიური ნიჭია.

ჭეშმარიტი მამულიშვილი მოვალეა თუ პოლიტიკური გარემოება მოითხოვს, იარაღით ხელში დაიყვას მამაცმა მამულიშვილმა მოპოვებული თავისუფლება. "კაცი ჯაბანი რითა სჯობს", – ამბობს უკვდავი შოთა, "დიაცსა ქსლისა მბეჭველსა" და "სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა".

მაშ გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! გაუმარჯოს თავისუფალ ქართველ ხალხს! გაუმარჯოს ყველა ამ ერებს, რომელნიც ჩვენთან ერთად იცხოვრებენ თავისუფალ საქართველოში!

ლოცვა კურთხევა და მადლი უფლისა ჩვენისა გიძლოდეთ, მარად შთარვიდეს ქართველ ერსა. ამინ.

გერონტი ქიქოძე, "საზავო კონფერენციისათვის", 1918

რამდენი პატარა სახელმწიფო წარმოიშვა ყოფილი რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიაზე?.. მსოფლიო ომმა გამოიწვია თვარული ძალები, რომელნიც აღარ თავსდებიან ძველ საერთაშორისო, იურიდიული ურთიერთობის თვარგლებში, ან რაღა მნიშვნელობა აქვს განყენებულ უფლებრივ ნორმას, თუ მისი აღმასრულებელი ძალა მოშლილი და დასუსტებულია?... ასეთ პირობებში დიდად საეჭვოა, რომ ახლო მომავალში მოწვეულ იქნეს ნამდვილი საერთაშორისო კონფერენცია და მან რეალურ რეზულტატებს მიაღწიოს. ჯერ კიდევ ბრძოლა გრძელდება არა მარტო საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე, არამედ სხვაგანაც დედამიწის ზურგზე. ხოლო როცა იმპერიალისტური და რევოლუციური ომები მართლაც დამთავრდება, შეიძლება საჭიროც აღარ იქნეს ტრადიციული ევროპული კონფერენცია. დღეს

ჩვენმა რესპუბლიკამ ანგარიში უნდა გაუწიოს და შეძლებისამებრ გამოიყენოს კიდევ საგარეო ძალები, მაგრამ, ამასთან ერთად, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთავარი ფაქტორი, რომელიც ჩვენს ბედისწერას საზღვრავს, არის არა საერთაშორისო ნებისყოფა, არამედ ჩვენი საკუთარი ეროვნული ენერჯია.

იოსებ გრიშაშვილი, “ბათუმისთვის”

დღეს აზვავდა, დღეს ცეცხლს ისვრის, დღეს ყინული დნება... ქრება... და ყველაფერს, რაც ხელს უშლის, გადარეკავს, ემუქრება! – ჩვენც აგრე ვართ! ჩვენს ზღვა გულში ჩუმი ცეცხლი ბუდობს ჯერე, მაგრამ თუკი გაგახელეს? მაშინ, მტრებო, დაგვიჯერეთ, რომ დაუანთებთ ცეცხლის კოცონს, გაეაჩალებთ ცეცხლის რკალებს და შიგ ჩავწვავთ ყველა ერის პოლიტიკურ მაჭანკალებს. დე, იცოდნენ სხვის სამშობლოს ჩვენ არასდროს შევეხებით და ჩვენსასაც არ დაუთმობთ, რომ გაჰქელონ ტლანქ თევხებით!

თავი 23

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: სამინაო პოლიტიკა

მას შემდეგ, რაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოცხადდა, იმავე წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ერთმანეთს გაემიჯნა ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. ეროვნული საბჭოს საფუძველზე, რომელიც შეივსო ახალი წევრებით, შეიქმნა საქართველოს პარლამენტი. ქართველებთან ერთად, მასში შედიოდნენ საქართველოში მოსახლე თითქმის ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. აღმასრულებელი ხელისუფლება მთლიანად გადაეცა მთავრობას, რომლის მეთაურად 1918 წლის 24 ივნისს აირჩიეს ნოე ჟორდანია.

სახელმწიფოს დასაცავად აუცილებელი გახდა არმიის შექმნა. ჯერ კიდევ 1917 წლის მიწურულს ჩამოყალიბდა სახალხო გვარდია. მენშევიკებს დაქვემდებარებულმა გვარდიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ყველა იმ შეიარაღებულ კონფლიქტში, რომლებიც დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არსებობის სამი წლის განმავლობაში გაჩაღდა. თუმცა ქვეყნის უსათრთხოება აუცილებლად მოითხოვდა რეგულარული ჯარის შექმნას. ის თანდათანობით ჩამოყალიბდა იმ სამხედრო პირთაგან, რომლებიც ადრე რუსეთის არმიაში მსახურობდნენ, ხოლო იმპერიის დაშლის შემდეგ კი სამშობლოს დაუბრუნდნენ. 1918 წლის დასაწყისისათვის უკვე არსებობდა ორი ქართული პოლკი, რომლებიც მოგვიანებით, 1919 წელს (როცა საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი შეიარაღებული ძალების შესახებ) ქართული არმიის ძირითად ბირთვად იქცა. მალე ქართული ჯარის შემადგენლობამ თითქმის ორმოცდაათი ათას კაცს მიაღწია.

1919 წლის თებერვალში საქართველოში ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც ბევრმა პოლიტიკურმა პარტიამ მიიღო მონაწილეობა, თუმცა წარმატებას მხოლოდ

ოთხმა მიაღწია, განსაკუთრებით კი, სოციალ-დემოკრატი-
მა, რომლებმაც ას ოცდაათი მანდატიდან ას ცხრა მოიპოვეს,
რვა დეპუტატი ჰყავდათ ეროვნულ დემოკრატიებს, ამდენივე
სოციალ-ფედერალისტებს, ხოლო ხუთი – სოციალისტ-რევო-
ლუციონერებს. იმავე წლის 12 მარტს დამფუძნებელმა კრება
შეუდგა მუშაობას და აირჩია მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთა-
ურობით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწი-
ფოებრივი მშენებლობა დასრულდა კონსტიტუციის მიღებით,
რომელიც დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს
დაამტკიცა. ის უზრუნველყოფდა მოქალაქისა და პიროვნების
ყველა ძირითად უფლებას; საქართველოს მთელ ტერიტორი-
აზე გაუქმდა წოდებრივი თუ მემკვიდრეობითი პრივილეგიები.
ქვეყნის პოლიტიკური წყობილების უცვლელ ფორმად დემოკ-
რატიული რესპუბლიკა გამოცხადდა, სახელმწიფო ენად კი –
ქართული.

ბოლშევიკებისაგან განსხვავებით, რომლებიც სოციალის-
ტური სისტემის შესაქმნელად საკმარისად მიიჩნევდნენ ეგრეთ
წოდებული “პროლეტარიატის დიქტატურის” დამყარებას, ქარ-
თველი მენშევიკები სახელმწიფოს მშენებლობისა და სოცი-
ალიზმის ჩამოყალიბების საკითხს განსხვავებულად მიუდგნენ.
მათი შეხედულებით, საქართველოში, ქვეყნის ეკონომიკური და
სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლებელი
იქნებოდა პირდაპირ სოციალიზმზე გადასვლა. მათი თვალსაზ-
რისით, სახელმწიფოსა და საზოგადოებას განვითარების ჯერ
სხვა, კერძოდ, კაპიტალისტური, საფეხური უნდა გაევილო და
მხოლოდ შემდეგ შეიძლებოდა დაწყებულიყო რესპუბლიკაში
სოციალიზმის დამკვიდრება. ქართველი სოციალ-დემოკრატები
იმ ეტაპზე ქვეყნის განვითარების საქმეში გადაწყვეტ მნიშვნე-
ლობას ეროვნულ მეწარმეებსა და მრეწველებს ანიჭებდნენ, ანუ
იმ კლასს, რომელიც ბოლშევიკებს სოციალიზმისაკენ სვლის
მთავარ შემათერებელ ძალად და, ზოგადად, “კლასობრივ”
მტრად მიაჩნდათ. ბოლშევიკების განცხადებით, სოციალიზმის
აშენება სწორედ ამ კლასის განადგურებით იყო შესაძლებელი.

რაც შეეხება მიწის განკარგვის საკითხს, აგრარული რეფორ-
მა ჯერ კიდევ 1917 წელს ჩატარდა საქართველოში, ამიერკავ-
კასიის კომისარიატის თაოსნობით. რეფორმის შედეგად მთავ-

რობას გადაეცა 640 000 ჰექტარი მიწა, ტყეები და საძოვრები. დამტკიცდა კანონი საფონდო მიწების შესყიდვის შესახებ, ხოლო თანხის დათვარვა შესაძლებელი იყო განვაღებოდაც.

მთავრობამ მოახერხა საბანკო-საფინანსო საქმის გამოსწორებაც და შექმნა საკუთარი, ეროვნული ფული, რომლის სიმტკიცე ბევრად აღემატებოდა მეზობელი ქვეყნების ვალუტის სიმტკიცეს. ხელისუფლებამ ისე მოახერხა სახელმწიფო ბიუჯეტის ნორმალიზაცია, რომ არცერთი ქვეყნისაგან ვალი არ აუღია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც სახელმწიფოს, დამოუკიდებლობა უფრო საგარეო პოლიტიკური მოვლენებით იყო განპირობებული, ვიდრე ქვეყნის საჯარო და სამოქალაქო ცხოვრების შინაგანი მზადყოფნით. ფაქტობრივად, დამოუკიდებლობა ქვეყანაში გარედან, იძულებით მოვიდა და სოციალ-დემოკრატიული მმართველი პარტია არც კი აპირებდა ამ მიმართულებით სვლას. ამიტომ მათ წინასწარ, ხელისუფლების მოსვლამდე, არც ეკონომიკური პროგრამა ჰქონდათ ჩამოყალიბებული.

ყველა სხვა პრობლემასთან ერთად, მთავრობას დიდ ტვირთად დააწვა ფრონტიდან დაბრუნებული სამხედროებისა და იმპერიული სამსახურიდან გათავისუფლებული მოხელეების შენახვა, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა მდგომარეობას, ხაზინაში კი დამოუკიდებლობის გამოცხადებისას არ იყო არანაირი ოქროს მარაგი. მალე ქვეყანაში სასურსათო კრიზისმა იჩინა თავი, ძნელი მოსაპოვებელი გახდა საკვები და პირველადი მოხმარების საგნები. ამ მხრივ, განსაკუთრებით მძიმე გამოდგა დამოუკიდებლობის პირველი, 1918 წელი. თუმცა მთავრობამ სწორად განსაზღვრა თავისი შესაძლებლობები და გეგმები, რის გამოც მომდევნო წლისათვის ვითარება ბევრად გაუმჯობესდა.

ნოე ჟორდანიას 1918 წლის 26 მაისს თავის გამოსვლაში აღნიშნავდა, რომ ახალი ქართული სახელმწიფო არ იყო მიმართული არცერთი ხალხის, არცერთი ეთნიკური ჯგუფის წინააღმდეგ. მართლაც, ეროვნულ უმცირესობების მიმართ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა შემწყნარებლურ პოლიტიკას ატარებდა. მაგალითად, ამ დროს საქართველოში მუშაობდა 81 სომხური, 60 რუსული და 31 თათრული სკოლა.

მანც, ქვეყანაში არ იგრძნობდა მყარი სიმშვიდე. არ ქრებოდა მღელვარების სხვადასხვა კერა. ამ დროს საქართველოში თითქმის ყველა დაძაბულობას მოსკოვიდან მართული ქართველი ბოლშევიკები აქეზებდნენ ან კიდევ, ქართულ სახელმწიფოს უშუალოდ რუსული სამხედრო შენაერთები ემუქრებოდა.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს გატევვას, მისი ხელისუფლების დამხობას ბოლშევიკებიცა და რუსებიც ორი მიმართულებით ცდილობდნენ: ერთი მხრივ, ეთნიკური საკითხის გამწვავებით, მაგალითად, აფხაზებისა და ოსების წაქეზებით, რათა მათ საქართველოსაგან გამოყოფა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა მოეთხოვათ, ანდა სოციალურ მღელვარებათა გზით, რომელსაც გლეხთა და მუშათა გამოსვლების, აჯანყებების თუ შეტაკებების ხასიათი ჰქონდა. საქართველოს შეიარაღებულ ძალებს იმჯერად აღმოაჩნდა ძალა, რუსული ჯარების შემოტევებიც მოეგერიებინა და შიდა ამბოხებანიც ჩაეხშო (თავისი სისასტიკით გამოირჩეოდა 1920 წელს შიდა ქართლის ოსების აჯანყება, რომლის მოთხოვნა რუსეთთან მათი შეერთება იყო).

ამ დროს მეზობელ რუსეთში არ ცხრებოდა მძვინვარე სამოქალაქო ომი "წითელ" და "თეთრ" რუსებს შორის, მაგრამ საქართველოს ბრძოლა უწყვედა ორივე ამ ძალასთან: საქართველოს დამოუკიდებლობას არა მარტო მოღალატე ქართველი აგენტურის გზით, არამედ პირდაპირი სამხედრო ძალითაც ემუქრებოდა როგორც ბოლშევიკური რუსეთი ლენინისა და ტროცკის მეთაურობით, ასევე ის ანტიბოლშევიკური რუსეთიც, რომელთანაც, მაგალითად, თეთრგვარდიელთა დენიკინის არმიის სახით, არაერთი შეტაკება მოუწია საქართველოს ჯარს.

დანართები

საქართველოს პარლამენტის კანონი საღვთო სჯულის სწავლების გაუქმების შესახებ, 26 ნოემბერი, 1918

1. ყოველი ტიპისა და საფეხურის სახაზინო და კერძო უფლებიან სკოლაში გაუქმდეს საღვთო სჯულის სწავლება და საღვთო სჯულის მასწავლებლის თანამდებობა.
2. ხსენებულ სკოლებში დაიხუროს კრედიტი, რომელიც გახსნილი იყო საღვთო სჯულის მასწავლებელთა ჯამაგირისთვის.

3. შტატგარეშე დატოვებულ საღვთო სჯულის მასწავლებელთ მიეცეს ჯილდო, რომელიც დაწესებულია 1918 წლის 5 ივლისის კანონით.

4. იმ მშობლებს, რომლებიც მოისურვებენ თავის შვილებს თავის ხარჯზე ასწავლონ საღვთო სჯული, დაეთმოს სკოლის შენობა იმ საათებში, როდესაც ეს ხელს არ შეუშლის სხვა საცნების სწავლებას.

საქართველოს პარლამენტის კანონი სამეფო გვარეულობის წევრთა ქონების კონფისკაციის შესახებ, 3 ივნისი, 1919

საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მდებარე ყოველი ადგილ-მამული, რომელიც ეკუთვნოდა სამეფო გვარეულობის წევრთ, როგორც დაბა ქალაქებში, აგრეთვე მათ გარეშე, ყოველგვარი შენობა და სამეფო გვარეულობის წევრთა ყოველი მოძრავი ქონება გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონებად.

საქართველოს დამფუძნებელი კრების კანონიდან მოქალაქეობის შესახებ, 27 მაისი, 1920

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქედ ჩაითვლება ყოველი მკვიდრი, რომელიც მიწერილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიის რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-მდე.

2. ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, მაგრამ 1914 წლის 1 იანვრიდან განუწყვეტლივ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე და სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის ამოქმედებისა განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა, მიღებული იქმნება საქართველოს მოქალაქედ მე-4 მუხლში აღნიშნული წესით.

3. მე-4 მუხლში აღნიშნული წესით მიღებულ იქნება საქართველოს მოქალაქედ ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ სამ პირობას:

ა) აქვს რამე უძრავი ქონება საქართველოს რესპუბლიკაში ან თავის საქირაო შრომით ირჩენს თავს;

ბ) არანაკლებ სამი წლისა ცხოვრობს განუწყვეტლივ საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) სამი თვის განმავლობაში, დღიდან ამ კანონის მიღებისა, განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა.

4. მე-2 და მე-3 მუხლებში აღნიშნული განცხადება წარედგინება ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეს, რომელიც მისცემს მთხოვნელებს მოქალაქეობის მოწმობას, უკეთუ იგი სათანადო პირობებს აკმაყოფილებს...

5. ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი ქართველი ჩარიცხული იქნება საქართველოს მოქალაქედ ზემოაღნიშნული (1,2,3 მუხლების) პირობის გარეშე...

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციიდან,
21 თებერვალი, 1921

მუხლი 109

ხელოვნება, მეცნიერება და მათი სწავლება თავისუფალია; სახელმწიფოს მოვალეობაა მფარველობა გაუწიოს და ხელი შეუწყოს მათ განვითარებას.

მუხლი 110

პირველდაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა. საზოგადო სკოლების სისტემა ერთს ორგანიულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც პირველდაწყებითი სკოლა საფუძველია სამეალო და უმაღლესი სკოლისა. სწავლა – განათლება ყველა საფეხურის სკოლებში საეროა.

მუხლი 111

სახელმწიფო მიზნად ისახავს: პირველდაწყებით სკოლაში უღარიბეს ბავშვებს საზრდო, ჩასაცმელ-დასახური და სასწავლო ნივთები უფასოდ მისცეს, ამ მიზნის განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობანი თავისი შემოსავლის ერთ ნაწილს გადასდებენ ყოველწლიურად.

მუხლი 112

კერძო თაოსნობით დაარსებული სკოლა ემორჩილება საერთო სასკოლო კანონს.

გერონტი ქიქოძე, "თანამედროვის ჩანაწერები"

ნოე ჟორდანიას მობრუნება ნაციონალური პოზიციებისაკენ თანდათან მოხდა: მის რყევას ოქტომბრის რევოლუციამ მოუღო ბოლო. ძნელი წარმოსადგენია, რომ მას ცენტრალიზმის იდეისთვის ეღალატა, თუ რუსეთში კერენსკის და წერეთლის მთავრობა არ დამხობილიყო. ოქტომბრის რევოლუცია მან ხანგრძლივი ანარქიის დასაწყისად მიიღო. მან წარმოიდგინა, რომ საბჭოთა ხელისუფლება და წითელი არმია ბოლოს ვერ მოუღებდნენ კონტრრევოლუციური ჯარების, შიმშილისა და მკვებარების შეტევას და რუსეთი დიდხანს თავს ვერ დააღწევდა არეულობას. ამიტომ ნოე ჟორდანია ძალაუნებურად ჯერ ამიერკავკასიის გამოყოფის იდეას მიემხრო, ხოლო შემდეგ – საქართველოს დამოუკიდებლობას. [...]

მთელი რესპუბლიკა 1919-1920 წლებში ხანძრის კვამლში იყო გახვეული: ქართველი ბოლშევიკები ხან ერთ პროვინციაში ახდენდნენ ამბოხებას, ხან – მეორეში. მათი გამოსვლები განსაკუთრებით ძლიერი იყო აფხაზეთსა, სამხრეთ ოსეთსა, დუშეთის მაზრასა, ლეჩხუმსა და ნაწილობრივ სამეგრელოში. კახეთმა, ქართლმა, იმერეთმა, რაჭამ, გურიამ, საერთოდ, უფრო მეტი ერთგულება გამოიჩინა ნოე ჟორდანიას მთავრობისადმი, მაგრამ ბოლშევიკების ძლიერი ჯგუფები ყველგან არსებობდა. ბოლშევიკების ზოგიერთი გამოსვლა გასაოცრად თამამი იყო. ალექსანდრე გეგეჭკორმა სამასიოდღე შეიარაღებული კაცითა გადალახა ზუგდიდის მაზრა, ლეჩხუმი, რაჭა, მამისონის უღელტეხილი და თერგის ოლქში გადავიდა, რათა იქაური ამხანაგებისთვის დახმარება გაეწია თეთრგვარდიელების წინააღმდეგ. თბილისში შუადღისას რამდენიმე ახალგაზრდა ბოლშევიკმა იუნკრების სასწავლებელი დაიკავე, ეს სასწავლებელი კი მთავრობის სანდო დასაყრდენად ითვლებოდა. სახალხო სახლში გამართულ მიტინგზე ანასტას მიქოიანმა ხალხს მოუწოდა, დემოკრატიული მთავრობა დაემხო და საბჭოთა წყობილება დაემყარებინა. მეტეხის ციხიდან ბოლშევიკების მეთაურები გაიქცნენ. მათ შორის იყო ფილიპე მახარაძე. ამბობდნენ, თვით ნოე ჟორდანიამ შეუწყო ხელი თავისი ყოფილი ამხანაგის გაქცევასო. პურისა და სურსათის ნაკლებობა, წარმოების და აღებმიცემობის მოშლა, უმუშევრობა ნიადაგს ქმნიდა უკმაყოფილების გაძლიერებისათვის და გვარდიელებს უჭირდათ მშვიერი მასების დაშოშმინება.

რეგულარული ჯარი კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა პარადებზე

და არც ბრძოლის ველზე აღმოჩნდა სუსტი. ცხენოსანი მხედარი ქართველი სოციალ-დემოკრატების წარმოდგენაში ფეოდალიზმის ეპოქასთან იყო დაკავშირებული. მათ ეგონათ, რომ კავალერია დემოკრატიულ რესპუბლიკაში ზედმეტი იყო და სახიფათოც, როგორც უაღრესად არისტოკრატიული ნაწილი. დამფუძნებელი კრება ულუფას იძლეოდა ორმოცდაათი ათასი ჯარისკაცისათვის, მაგრამ წითელი არმიის წინააღმდეგ 1921 წელს ამის ნახევარიც ვერ გამოიყვანა. როდესაც თბილისში წითელი არმია შემოვიდა, აღმოჩნდა, რომ საწყობები სავსე იყო ამუნიციით და სანოვაგით, ქართველ ჯარს კი ბრძოლის ველზე ბევრი რამ აკლდა.

ქართველი ოფიცრობა სახელგანთქმული იყო ძველი რეჟიმის დროს: მან რუსეთის არმიას რევოლუციამდე ბევრი გამოჩენილი სარდალი, ბევრი კარგი არტილერიისტი და კავალერისტი მისცა. სამეფო არმიის დაშლის შემდეგ ქართველი ოფიცრობის დიდმა ნაწილმა სამშობლოში მოიყარა თავი. ის მეტისმეტად მრავალრიცხოვანი იყო პატარა ქართველი ჯარისათვის. ქართველ ოფიცრებს განათლება რუსულ სამხედრო სკოლებში ჰქონდათ მიღებული, სუსტად იყვნენ დაკავშირებული ქართული კულტურის ტრადიციებთან და ვერ ერკვეოდნენ თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაში. ზოგიერთი მათგანი კალაპოტიდან ამოვარდა, შეუდგა აღვირახსნილ დროსტარებას, სპეკულაციას, სახელმწიფო ქონების განიავებას. მაგრამ ქართველი ოფიცრობის დიდმა ნაწილმა მაინც გამოიჩინა პატრიოტული შეგნება და ბოლომდე პირნათლად და ვაჟკაცურად შეასრულა თავისი სამხედრო და სამოქალაქო ვალდებულება.

მემედ აბაშიძე, "26 მაისი"

ამ ორი წლის განმავლობაში კულტურულად მომზადებულმა ქართველმა ერმა შესძლო დაემტკიცებინა მთელი ქვეყნისათვის, თუ რას ნიშნავს ერთსულოვნება, თუ რა დიდი ძალის გამოჩენა შეუძლია პატარა ერს, თუ მას კარგად ესმის მოვალეობა, თუ მას გათვალისწინებული აქვს თავის სავლელი გზა, თუ მას სწორი გზა აქვს აღებული. დღიდან დღეზე, კვირიდან კვირამდე, თვიდან თვემდე მედგრად და შეუპოვრად საქართველო განაგრძობდა თავისი სწორი გზით სვლას, მას ერთხელაც არ უღალატნია ამ გზისათვის და ამით მან ბევრ რამეს მიაღწია. მან განამტკიცა რუსეთის დიდი რევოლუციის მონაპოვარნი, დაამყარა საუცხოო

წესრიგი, გაკათა გზა უკეთესი მერმისისათვის, აღმართა დროშა ძმობისა და ერთობის განმამტკიცებელი. და ეს მოიმოქმედა მან საერთო ნგრევისა და რღვევის ხანაში. ეს მოიმოქმედა მან მაშინ, როცა ყოველი მხრით მას აწვებოდა გარეშე მტერი და შიგნითაც მზად იყვნენ ბოლშევიზმის ბაცილით მოწამლულები საქართველოს თავისუფლებისათვის მახვილის ჩასაცემად. ამ ორი წლის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი დღე, როცა საქართველოს თავისი დამოუკიდებლობის დასაცველად ხმალი არ სჭეროდა ხელში. მაგრამ არ ყოფილა არც ერთი დღე ისეთი, რომ აღმშენებლობითი მუშაობისათვის მას თავი მიენებებინოს...

საქართველოს გამარჯვება არის გამარჯვება იმ პრინციპისა, რომელსაც დემოკრატიზმის გზით შრომის სუფევისაკენ მივყავართ. ეს არის გამარჯვება არა მარტო საქართველოსი, არამედ მთელი დემოკრატიისა. პატარა საქართველო იქცა ევროპისათვის მაგალითის მაჩვენებელ ქვეყანად. ამრიგად, საქართველო აკეთებს არა მხოლოდ საკუთარ საქმეს, არამედ მთელი ქვეყნის დემოკრატიის საქმეს.

ეს უდიდესი გამარჯვებაა და ამ გამარჯვებას დღესასწაულობს დღეს ჩვენი ქვეყანა.

თავი 24

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: საგარეო პოლიტიკა

საქართველოს მთავრობამ ცხადად ჩამოაყალიბა თავისი საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპი: "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში" აღნიშნული იყო, რომ საქართველო ნებისმიერ საერთაშორისო ომში აცხადებდა მუდმივ ნეიტრალიტეტს.

მაგრამ ახლადჩამოყალიბებულ სახელმწიფოს დაძაბული ურთიერთობანი შეექმნა მეზობელ ქვეყნებთან. თავდაპირველად საქართველოს მთავრობამ წამოაყენა წინადადება, საზღვრების დასადგენად ჩატარებულყო საგანგებო კონფერენცია, თუმცა ეს შეთავაზება არ განხორციელდა სომხეთის მმართველი პარტიის, "დაშნაკების", წინააღმდეგობის გამო. სომხები არათუ ბორჩალოსა და ახალქალაქის, არამედ გორისა და თბილისის მაზრებსაც ისტორიული სომხეთის ნაწილებად მიიჩნევდნენ.

1918 წლის 7 დეკემბერს სომხეთის ჯარი ომის გამოუცხადებლად შემოიჭრა საქართველოში და მთავრობას მოსთხოვა ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების დაცლა. მშვიდობიანი მოლაპარაკების მცდელობის ჩაშლის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, სამხედრო ძალა გამოეყენებინა მომხდურის წინააღმდეგ. ქართული გვარდიის ნაწილებმა 19 დეკემბერს დაამარცხეს მოწინააღმდეგე. შედეგად, მათ არამარტო განდევნეს სომხეთის ჯარები ქვეყნის ტერიტორიიდან, არამედ დაიბრუნეს შულავერი და სადახლო. ამ დროს კონფლიქტში ჩაერია დიდი ბრიტანეთის ამიერკავკასიის სარდლობა, რომელმაც მოსთხოვა ქართველებს, დაეცალათ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრები. თუმცა ქართული მხარის დაჟინებით, გაფორმდა შეთანხმება, რომ ახალქალაქის მაზრაში კვლავ რჩებოდა ქართული ადმინისტრაცია, ხოლო ბორჩალოს მაზრა გამოცხადდა ნეიტრალურ ზონად.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისას საქართველოს თავისი საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია, ძირითადად, გერმანიაზე ჰქონდა აღებული. 1918 წლის აგვისტოში ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიხედვით, გერმანიამ საბჭოთა რუსეთისაგან მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის პირობა. თუმცა მალე გერმანიაში დაწყებულმა რევოლუციამ დაამხო მონარქია, გაუქმდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავიც და გერმანიის ჯარებმა დატოვეს ამიერკავკასია. იმავე წლის 30 ოქტომბერს კი ინგლისსა და თურქეთს შორის დადებული ზავით, თურქეთი იძულებული გახდა, გაეყვანა ჯარები ამიერკავკასიიდან. ეს მიწები დროებით დიდი ბრიტანეთის სამხედრო შენაერთებს უნდა დაეკავებინათ, რომლებიც 1919 წლის იანვარში ბათუმში შევიდნენ.

ბრიტანეთის წარმომადგენლებთან ურთიერთობა რთული აღმოჩნდა: ისინი ხშირად და თამამად ერეოდნენ ქვეყნის საშინაო თუ საგარეო საქმეებში, სულაც არ უწყობდნენ ხელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას და ხშირად აქეზებდნენ კიდევ როგორც შინაურ, ისე საგარეო მტრებს რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამავე დროს, ისინი მოითხოვდნენ საქართველოსა და სომხეთის სასაზღვრო რეგიონების ჩამოცილებას ორივე ქვეყნისათვის და იქ ცალკე დამოუკიდებელი ტერიტორიის შექმნას. ბრიტანელები აიძულებდნენ ქართულ ჯარს, გამოსულიყო სამხრეთ საქართველოს დაკავებული ტერიტორიებიდან. თუმცა 1919 წლის აგვისტოში ჩატარებულმა ბათუმის ოლქის მუსლიმ ქართველთა ყრილობამ დაჟინებით მოითხოვა, აჭარა განუყოფლად დაკავშირებოდა თავის „ბუნებრივ სამშობლოს“. ქართველების ურთიერთობა ინგლისელებთან კიდევ უფრო დაძაბა აფხაზეთის საკითხმა. ბრიტანული ჯარის სარდლობამ მოითხოვა, ქართულ სამხედრო ნაწილებს მდინარე ბზიფამდე დაეხიათ, მესადირსა და ბზიფს შორის კი ნეიტრალური ზონა გამოცხადდა.

მალე რუსეთის ჯარებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვარი და აფხაზეთში შემოიჭრნენ. ქართულმა ჯარმა ადვილად შეძლო მათი დამარცხება და ისინი არა მხოლოდ განდევნა აფხაზეთიდან. იმ დროს ქართულმა სამხედრო შენაერთებმა ხანმოკლე დროით სოჭი და ტუაფსე დაიკავეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებას ევროპაში დიდი დაბრკოლება შეხვდა,

რისი ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი რუსეთის განწყობილება იყო: არაუარესი სურდა რუსების გაღიზიანება საქართველოს გამო. ერთი მხრივ, ბოლშევიკური რუსეთის ხელმძღვანელები, ხოლო, მეორე მხრივ, თეთრგვარდიელთა მეთაურები საქართველოს საკითხს რუსეთის შინაურ საქმედ მიიჩნევდნენ. პარიზის საზავო კონფერენციის მონაწილეთა ყოყმანს კიდევ უფრო აძლიერებდა ისიც, რომ თავად ამიერკავკასიის ქვეყნებს შორისაც დაძაბული იყო ურთიერთობები, მოუგვარებელი იყო საზღვრების საკითხი.

1919 წლის მაისში ბრიტანეთის მთავრობამ გაიყვანა ჯარები ამიერკავკასიიდან. მათი ადგილი იტალიელებს უნდა დაეკავებინათ, რომელთაც დაიწყეს კიდევ საქართველოში გამოსაგზავნი შენაერთების ჩამოყალიბება, თუმცა მალე იტალიის ახალმა ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა საბჭოთა რუსეთის პრეტენზია, მოერიდა მასთან კონფლიქტს და უარი თქვა საქართველოს მხარდაჭერაზე.

საქართველოს დამოუკიდებლობა სახელმწიფოთა შორის პირველმა აღიარა არგენტინამ, – 1919 წლის 15 სექტემბერს. 1920 წელს საქართველო დე ფაქტოდ ცნეს ინგლისმა, იტალიამ, საფრანგეთმა და იაპონიამ, ოდნავ მოგვიანებით – რუსეთის ანტიბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ დენიკინის მეთაურობით.

1920 წლის აპრილში სან რემოს კონფერენციაზე ისევ იდგა ამიერკავკასიის საკითხი. სომხურმა მხარემ ამჯერად, თბილისისა და გორის გარდა, მდინარე ჭოროხის მხარე და ბათუმის ნავსადგური მოითხოვა, რათა სომხებს გასასვლელი ჰქონოდათ ზღვაზე. ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ ინგლისმა უარი თქვა შუამდგომლობაზე, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ვერ გადაწყდა ბათუმის საქართველოსთვის მიკუთვნების საკითხი. ის აღიარეს თავისუფალ ქალაქად ერთა ლიგაში შემავალი ყველა სახელმწიფოსათვის.

ქვეყნის დამოუკიდებელი არსებობის განმავლობაში საქართველოსა და რუსეთს მეტად რთული და დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა გადაამწყვეტ უპირატესობას მიაღწია დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო 1920 წლის აპრილში საბჭოთა ჯარი ბაქოში შეიჭრა. ამ დროს რუსეთს უკვე გადაწყვეტილად მიაჩნდა სომხეთისა და საქართველს

ველოს ბედი. ამან განაპირობა რუსების ის მოჩვენებითი კეთილგანწყობა, რაც იმავე წლის აპრილის ბოლოს მოსკოვში ჩასულ ქართულ დელეგაციას დახვდა. რუსებმა ქართველებს ხელშეკრულების დაუყოვნებლივ ხელმოწერა შესთავაზეს. 1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და რუსეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერისთანავე შევიდა ძალაში. რუსეთი ცნობდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ყველა სადავო ტერიტორიის ჩათვლით, აღიარებდა მის დამოუკიდებლობას და უარს ამბობდა მის საშინაო საქმეებში ჩარევაზე. ორივე მხარე დებდა პირობას, თავის ტერიტორიაზე აღეკვეთა მეორე სახელმწიფოს საწინააღმდეგო ნებისმიერი ქმედება.

ერთა ლიგა, რომელიც 1920 წელს ჩამოყალიბდა, ვალდებულებას იღებდა, ერთიანი ძალით მოეგერიებინათ ის საფრთხე, რომელიც მის რომელიმე წევრს დაემუქრებოდა. ამგვარი ორგანიზაციის წევრობა უაღრესად საჭირო და სასურველი იქნებოდა საქართველოსათვის. ქართულმა დიპლომატიამ მიზნად დაისახა, ქვეყანა ერთა ლიგის წევრი გამხდარიყო. 1920 წლის დეკემბერში საქართველოს გაწევრიანების საკითხი დადგა ერთა ლიგის ყრილობაზე, თუმცა ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა ერთობლივი გადაწყვეტილება ვერ მიიღეს. კენჭისყრის შედეგად საქართველოს წევრობას მხარი 14 სახელმწიფომ არ დაუჭირა (მათ შორის ევროპის დიდმა ქვეყნებმა), თუმცა საქართველოს უფლება მიეცა, მიეღო მონაწილეობა მიეღო ერთა ლიგის საერთო ხასიათის ტექნიკურ ორგანიზაციებში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავ მარტო დარჩა რუსეთის პირისპირ.

დანართები

**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოხსენებიდან პარიზის საზავო კონფერენციისადმი,
21 ნოემბერი, 1918**

1918 წლის 26 მაისს, როცა საქართველომ მთელ მსოფლიოს გამოუცხადა თავისი დამოუკიდებლობა, მან ყველა სახელმწიფოს

მიმართა თხოვნით, ეცნოთ ის და დაედოთ მასთან საერთაშორისო შეთანხმებები. საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციას პატივი აქვს ამ დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ იშუამდგომლოს საზავო კონფერენციაზე შეკრებილი დიდი სახელმწიფოების წინაშე... საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე რეალობაა, რომელიც სახელმწიფოების მიერ მის აღიარებას ელის.

საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიული დასაბუთება ნათელია. საქართველოს თავისუფალი დემოკრატია XX საუკუნეში კვლავ დაადგა ეროვნული განვითარების გზას, რომლის დასაწყისი შორეულ წარსულში იკარგება და თვით XIX საუკუნის დასაწყისამდე არ შეწყვეტილა, მაშინაც კი, როდესაც აყვავებისა და სიძლიერის ხანგრძლივი ეპოქის შემდეგ, დაცემისა და დაშლის გზას დაადგა. ეს გზა XIX საუკუნეში შეწყდა რუსეთის ძალაუფლების ქვეშ. მაგრამ დღეს საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ აღადგინა...

საქართველოს დელეგაცია, რომელიც ჩამოვიდა საზავო კონფერენციაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შუამდგომლობისათვის, ვალდებულია მიიჩნევს, განსაზღვროს სახელმწიფოების წინაშე თავისი სახელმწიფოს ტერიტორიული შემადგენლობა. განსაზღვრავს რა თავის საზღვრებს, საქართველოს მთავრობა მოითხოვს მხოლოდ იმ ტერიტორიებს, რომლებიც ყოველთვის ეკუთვნოდა ქართველ ხალხსა და რომლებსაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამავე დროს სხვა ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს ეხება.

საქართველო არ მოითხოვს იმ საზღვრების აღდგენას, რომლებიც მას აყვავების ეპოქაში ჰქონდა, უარს ამბობს იმ ტერიტორიაზეც, რომლებიც მას 1801 წელს, რუსეთთან შეერთების დროს ეკუთვნოდა და რომლებიც მემობელი ხალხების ცხოვრების განუყოფელი ნაწილის გახდა (იგულისხმება ერევნისა და განჯის ყოფილის სახანოების ტერიტორია, რომლებიც სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ტერიტორიაში შევიდა). მეორე მხრივ, რუსეთმა ივალდებულია 1783 წლის ხელშეკრულებით საქართველოსათვის თურქეთის მიერ უკანასკნელ მეფეთა მეფობის ხანაში დაპყრობილი ზოგიერთი ტერიტორია დაებრუნებინა. თურქეთმა ეს ტერიტორიები დაუბრუნა რუსეთს ადრიანოპოლში (1829) და ბერლინში (1878) დადებული ხელშეკრულებების თანახმად და დღეს საქართველოს თავისი სამშობლოს ამ ნაწილებზე უფლება აქვს.

გარდა ამისა, როდესაც სომხეთის საზღვარი თურქეთის ძველ ტერიტორიაზე გაივლის, საქართველო დაჟინებით მოითხოვს, დაუბ-

რუნდეს მას ამჟამად თურქეთის კუთვნილი ლაზეთის ტერიტორია. ასევე მოითხოვს იგი საზღვრების რეგულირებას ზემო ჭოროხის რაიონში, რადგან არავის არა აქვს უფლება ოდითგანვე ქართულ მიწებს ფლობდნენ.

გერონტი ქიქოძე, "თანამედროვის ჩანაწერები"

რადგან ყველას არ შეეძლო ოფიციალურ ბანკეტებს დასწრებოდა, დაიწყო გაუთავებელი ღრეობა ოჯახებსა, ყავახანებსა, სასადილოებში. ეს იყო ნამდვილი ლხინი ჟამიანობის დროს. დიდძალი ღვინო ისმებოდა ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს – 26 მაისს. დიდძალი ღვინო დაიღვარა იმის გამო, რომ ჯერ გერმანიამ, ხოლო შემდეგ ანტანტის სახელმწიფოებმა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა სცნეს. დიდი სიხარული გამოიწვია, აგრეთვე, საქართველოს რესპუბლიკის ცნობამ შვეიცისა, ნორვეგიისა და შვეიცარიის მიერ. ეს აღტაცება ადვილი გასაგები იყო: ფრთხილი ნაბიჯით საქართველო პირველად თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების დიდ კონცერტში შედიოდა. ამრიგად, თითქო ბოლო ეღებოდა მის ტრაგიკულ განმარტოებას, რომელიც თითქმის ხუთასი წელიწადი გაგრძელდა. ნახევრად დამშეული ხალხის დიდი ნაწილი მზად იყო, უდრტვინველად აეტანა ყოველივე გაჭირვება, ოღონდ კი ეროვნული სახელმწიფოს საძირკველი განმტკიცებულიყო.

საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებიდან, 7 მაისი, 1920

მუხლი I

გამოდის რა სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ყველა ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლების აღიარებიდან სრული გამოყოფის უფლებამდე იმ სახელმწიფოებიდან, რომლის შემადგენლობაშიც ეს ერები შედიან, რუსეთი ყოველი პირობის გარეშე ცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას და თავისი ნებით იღებს ხელს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხისა და ქვეყნის მიმართ.

მუხლი II

გამოდის რა ხსენებულ ხელშეკრულების მუხლში აღიარებული პრინციპებიდან, რუსეთი ვალდებულია ხდის თავს ხელი აიღოს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე ...

მუხლი IV

რუსეთი ვალდებულია აღიაროს საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნაწილებად, გარდა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა, რომელნიც გადადის საქართველოს საზღვრებში ხსენებულ ხელშეკრულების პირველი და მესამე მუხლების ძალით, აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი გუბერნიები და რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი ოლქები, თბილისის, ქუთაისის და ბათუმის ყველა მაზრებითა და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალის და სოხუმის ოლქებს ...

მუხლი X

საქართველო ვალდებულია, გაათავისუფლოს სასაქელისაგან და აგრეთვე შემდეგში სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით დევნისაგან ყველა პირები, რომლებიც იდევნებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლო მოქმედებისათვის.

საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების საიდუმლო დამატება, 7 მაისი, 1920

საქართველო ვალდებულია კისრულობს, აღიაროს მის ტერიტორიაზე კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობისა და მოღვაწეობის უფლება, კერძოდ, კრებების თავისუფლად მოწყობისა და თავისუფალი გამომცემლობების (მათ შორის ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების) შექმნის უფლება.

ზურაბ ავალიშვილი, "საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში"

1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატია, რომელიც სოციალ-დემოკრატიის დიქტატურის, ე.ი. მემარჯვენე ფრთის მარქსიზმის, ფორმა იყო, წარმოადგენდა საქართველოში საბჭოთა დიქტატურის გამარჯვების მოსამზადებელ პერიოდს. სოციალური პოლიტიკის მთელი შინაარსითა და თავისი სულისკვეთებით ეს

დემოკრატია, თუმცა მის წიაღში აშკარად ილუვიებდა ხალხის შეგნება, ნამდვილად მოსკოვისკენ იყო მიმართული და არა ევროპისკენ. და ამით იქმნებოდა ის ძირეული წინააღმდეგობა მისსავე საგარეო პოლიტიკის იმ ევროპულ ორიენტაციასთან, რომელსაც საქართველო დაბეჭივით მიჰყვებოდა 1920 წლის გაზაფხულამდე.

ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი, “მძლავრ მკლავებში”

საქართველო უფლებამოსილია, ივარაუდოს, რომ ბოლო ბრძოლაში თავისი მონაწილეობისათვის (რამაც მისი საუკეთესო ძალები შეიწირა) და თავისი მრავალსაუკუნოვანი და ერთგული “საგუშავო სამსახურისათვის” მასზე გავრცელდება რუსეთის მოკავშირეთა და თავად მის მიერაც ომის დასაწყისში საჯაროდ გამოცხადებული მცირერიცხოვან ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი, მით უმეტეს, – აზიის მრისხანე სიღრმეებს ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი საბოლოო სიტყვა, საქართველო კი ძვეს გზაჯვარედინზე ყვითელ და თეთრ რასებს შორის, ქრისტიანობასა და აღმოსავლურ რელიგიებს შორის. თუ ეს სიღრმეები დაიძრა, უფრო მძიმე ხვედრი ჩამოწვება მრავალტანჯული რუსეთის თავზე. მთელი წარსული კი იმის თავდები იქნება, რომ რომ საქართველო იბრძოლებს რუსეთთან ერთად ძმურ კავშირში, ყველაფერს გაიღებს მისთვის, რისი გაღებაც ამ პატარა ქვეყანას შეუძლია, და ევროპის დასაცავ ციტანურ ბრძოლაში ღირსეულ ადვილს დაიჭერს. მაგრამ, დაე, ამ ბრძოლაში ჩაებას არა საუკეთესო გრძობებშელახული და შეურაცხყოფილი, არამედ პოლიტიკურად უკვე თავისუფალი ქართველობა, არა როგორც გუბერნიათა, სატაშოთა ანდა ამა თუ იმ მეტროპოლიის რომელიმე სხვა ადმინისტრაციულ დანაყოფთა დამცველი, არამედ ვითარცა დამცველი თავისი სამშობლოსი, საქართველოსი – ევროპის კარიბჭისა, ევროპის ჭიშკრისა.

გერონტი ქიქოძე, “თანამედროვის ჩანაწერები”

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ თავის დიპლომატიურ წარმომადგენლად თბილისში გამოგზავნა საქართველოს ძველი მეგობარი, “ვისრამიანისა” და “სიბრძნე სიცრუისას” მთარგმნელი ოლივერ უორდროპი... პირველი კითხვა, რომელიც მას ნოე უორდანიასათვის დაესვა, შემდეგი იყო: შეძლებს თუ არა საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკა თავის დაცვას რუსეთის ჯარის შემოტევისგანო. საქართველოს პრეზიდენტს გულდამშვიდებით უპასუხია: ჩვენ სხვების დაუხმარებლად, ჩვენი საკუთარი სამხედრო ძალებით შეგვიძლია არათუ თავი დავიცვათ, არამედ მთელი კავკასიის ტერიტორია დავიკავოთ როსტოვამდე, მაგრამ ეს საჭიროდ არ მიგვაჩნიაო. ეს პასუხი, პირველი შეხედვით, თითქოს სავსებით ღონკიხოტური არ იყო. ჩრდილოეთ კავკასიაში იმჟამად წითელ არმიასა და კონტრრევოლუციურ ჯარებს შორის გაათუთრებული ბრძოლები წარმოებდა და სასწორი ხან ერთი მხრით იხრებოდა და ხან მეორეთი; ამიტომ მესამე ძალას, თუნდაც მცირერიცხოვანს, შეეძლო დროებით მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა, მაგრამ დიდი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა საჭირო არ უნდა ყოფილიყო იმის დასანახავად, რომ სამოქალაქო ომი რუსეთში დაუსრულებლად არ გაგრძელდებოდა და ბოლოს საქართველოს საზღვრებთან ან ძლევამოსილი წითელი დროშა აიმართებოდა, ან თეთრი.

თავი 25

1921 წლის ოკუპაცია

1917-1918 წლებში რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ყოფილი იმპერიის ნამსხვრევებზე ახალი სახელმწიფოები აღმოცენდა. ამ დროს ამიერკავკასიაში სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკა ჩამოყალიბდა: საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი.

მაგრამ ტერიტორიულად შემცირებული საბჭოთა რუსეთი – იმპერიის მემკვიდრე – მიზნად ისევ ისახავდა ძველი, იმპერიული სახელმწიფოებრივი საზღვრების აღდგენასაც და გაფართოებასაც. ზოგჯერ ეს სწრაფვა იმჯერად უშედეგოდ დამთავრდა (მაგალითად, ჩაიშალა პოლონეთის ხელახალი დაპყრობის მცდელობა 1920 წელს), მაგრამ 1921 წლის დასაწყისისათვის ამიერკავკასიის რესპუბლიკათაგან მხოლოდ საქართველო ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, რადგან აზერბაიჯანისა და სომხეთიც ამ დროისათვის ისევ რუსეთმა – ამჯერად საბჭოთა რუსეთმა – დაიპყრო.

კავკასიაზე რუსეთის მხრივ სრული კონტროლის დასაწესებლად საჭირო იყო საქართველოს იმუამინდელი კონსტიტუციური ხელისუფლების დამხობა და ქვეყანაში რუსული მმართველობის დამკვიდრება. სწორედ ამ დროისათვის ოკუპირებულ აზერბაიჯანში დაბანაკებული იყო რუსეთის მე-11 არმია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სერგეი კიროვი და სერგო ორჯონიკიძე და რომელსაც მიზნად ჰქონდა დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა.

საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას იმხანად სათავეში ედგნენ კომუნისტური პარტიის ლიდერები ვლადიმირ ლენინი (ულიანოვი), ლევ ტროცკი (ბრონშტეინი), ფელიქს ძერჟინსკი, იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი) და სხვები, რომლებიც საკუთარ თავს “ბოლშევიკებს” უწოდებდნენ და რომელთაც მიაჩნდათ, რომ მსოფლიოში უნდა გაემარჯვა კომუნისტურ რევოლუციას. ერთი მხრივ, ეს იყო მცდელობა რუსეთის განუყოფელი

ბატონობა დამყარებულიყო მთელ პლანეტაზე, მეორე მხრივ კი, მთელ დედამიწაზე დამკვიდრებულიყო მათი იდეოლოგია – კომუნიზმი ანუ ბოლშევიზმი, რომელიც აცხადებდა, რომ მიზნად ისახავდა გაუქმებულიყო ყოველგვარი განსხვავებანი ადამიანებს შორის (პირველ ყოვლისა, ქონებრივი) და, ამავე დროს, წაშლილიყო საზღვრები სახელმწიფოებს შორის, რათა მომავალში შექმნილიყო ერთიანი კომუნისტური საზოგადოება ("commune" ლათინური სიტყვაა და "თემსაც" აღნიშნავს და "საერთო ქონებასაც").

1921 წლის 2 იანვარს ბოლშევიკები კიროვი და ორჯონიკიძე აცხობინებდნენ მოსკოველ ხელმძღვანელებს, რომ მზად იყვნენ სამხედრო ძალით დაეწყათ გალაშქრება საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დასამხობად და მთელი ქვეყნის ტერიტორიის დასაკავებლად, რადგან დამოუკიდებელი საქართველო და მისი მთავრობა (რომელიც ქვეყნის მოსახლეობის მიერ იყო არჩეული და რომელიც უკვე ევროპის სახელმწიფოთა მიერ იყო აღიარებული) თავისთავად დაბრკოლებას წარმოადგენდა რუსეთის კომუნისტური ხელმძღვანელობის მიზნისათვის, საკუთარი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა მთელი კავკასია.

დაიწყო მზადება საქართველოს ოკუპაციისათვის და ამ სამზადისს მოსკოვის კრემლიდან წარმართავდა რუსეთის მთავრობის ეროვნებათა სახალხო კომისარი იოსებ სტალინი.

ქართველი ბოლშევიკები ერთგულად ასრულებდნენ მოსკოვის მითითებებს. ისინი შეთქმულებებისა თუ ქვეყნის ტერიტორიაზე აქა-იქ გაღვივებულ აჯანყებათა და საპროტესტო გამოსვლების გზით ძირს უთხრიდნენ საქართველოს სახელმწიფოს. სწორედ მათ შექმნეს სოფელ შულავერში (სომხეთის საზღვრიდან დაახლოებით 25 კილომეტრზე) ეგრეთ წოდებული "საქართველოს რევოლუციური კომიტეტი" ("რევკომი"), რომელმაც საკუთარი თავი ქვეყნის ერთადერთ კანონიერ მთავრობად გამოაცხადა. მათ მოუწოდეს რუსეთის ხელისუფლებას, შემოეყვანათ რუსეთის ჯარი – "წითელი არმია" – თითქოსდა მთავრობისაგან "დაჩაგრული" მშრომელების მხარდასაჭერად.

საქმე ისაა, რომ 1921 წლის 11 თებერვალს ტერიტორიაზე, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდა,

ლორეს ოლქში, დაიწყო რუსეთის მიერ ადგილობრივი აგენტების ხელით ინსპირირებული გამოსვლები საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც მხარი დაუჭირა სწორედ ამ ეგრეთ წოდებულმა "შულავერის კომიტეტმა".

რუსეთმაც არ დაახანა, უმალ დაარღვია 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება და გადმოლახა დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრები. იმ დროს ოკუპანტთა ჯარში არაერთი ქართველი მსახურობდა.

1921 წლის 16 თებერვალს, გამთენიისას, მე-11 არმიის ნაწილები შემოიჭრნენ საქართველოს მიწაზე და იერიშით აიღეს წითელი ხიდი. მე-11 არმიის ხელმძღვანელმა ანატოლი გეკერმა პირდაპირი ბრძანება მიიღო მოსკოვიდან, არ დაყოვნებულყო და საქართველოს დედაქალაქი 19 თებერვლისთვის მაინც დაეკავებინა. რუსეთის ჯარი კიდევ ორი მხრიდან უტევდა საქართველოს: სოჭის მხრიდან აფხაზეთის დასაკავებლად, ხოლო მამისონის უღელტეხილიდან შიდა ქართლის დასაკავებლად და ქუთაისის ასაღებად.

საქართველოს რესპუბლიკის ჯარი, რომელსაც სარდლობდა გენერალი გიორგი კვინიტაძე, შემოჭრილ მტერს ერთი კვირის მანძილზე მძაფრ წინააღმდეგობას უწევდა თბილისის მისადგომებთან, მაგრამ რუსეთის მე-11 არმია რიხობრივადაც და ტექნიკურადაც სჯობნიდა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს.

გაათვრებული ბრძოლების შემდეგ სამშობლოს დამცველებმა უკან დახევა დაიწყეს. 18 თებერვალს წითელი არმია იერიშით წამოვიდა თბილისისაკენ, თუმცა 20 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის ჯარმა, სახალხო გვარდიამ და მოხალისეებმა მომხდური უკუაგდეს. გმირულ ბრძოლაში თავი გამოიჩინეს სამხედრო სასწავლებლის კურსანტებმა – იუნკერებმა, რომელთაგან ბევრმა თავი გასწირა მამულის დასაცავად. 22 თებერვალს რუსებმა ისევ სცადეს თბილისის აღება, მაგრამ ბრძოლა იმხანად მათთვის ისევ უშედეგოდ დასრულდა.

23 თებერვალს დიდი პატივით დაკრძალეს სამშობლოსათვის დაღუპულები.

24 თებერვალს მდგომარეობა ისევ საგანგაშო შეიქმნა. ცხადი იყო საფრთხე, რომ დედაქალაქი და მისი დამცველები ალყაში მოექცეოდნენ, რის გამოც საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, ქვეყნის პარლამენტს, მთავრობასა და ჯარს დაეტოვებინა თბილისი და გადანაცვლებულიყო მცხეთისაკენ.

ქვეყნის კანონიერი მთავრობა მარტო აღმოჩნდა დამპყრობლის პირისპირ: არცერთმა დასავლურმა ქვეყანამ დახმარება არ აღმოუჩინა საფრთხეში ჩავარდნილ დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს.

1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის მე-11 არმია უბრძოლველად შემოვიდა თბილისში. არმიის მეთაურმა, სერგო ორჯონიკიძემ ლენინსა და სტალინს მოსკოვში შეატყობინა, რომ თბილისის თავზე წითელი ღროშა ფრიალებდა.

"რევკომი" თბილისში გადმოვიდა და ეგრეთ წოდებული "საბჭოთა ხელისუფლების" დამყარება გამოაცხადა.

ხელისუფლების მიერ დედაქალაქის დატოვებამ უიმედო განწყობა გამოიწვია სამხედროთა და სამოქალაქო პირთა შორისაც. საქართველოს კანონიერი მთავრობა ნელ-ნელა უკან იხევდა დასავლეთი საქართველოსაკენ, ხოლო 1921 წლის 17 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, წასულიყო ემიგრაციაში.

ქართველი ლტოლვილები ბათუმის ნავსადგურთან მიმდგარ ფრანგულმა კრეისერზე – "ერნსტ რენანზე" – ავიდნენ და სამშობლო დატოვეს.

საქართველოს მთელი ტერიტორია ოკუპირებული აღმოჩნდა. ოკუპაციის პირველი დღეებიდანვე დაიწყო ქვეყნის რბევა, აწიოკება, ადამიანების უკანონო დაპატიმრებანი და დახვრეტები.

დანართები

რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის გეორგი ჩიჩერინის წერილიდან ვლადიმერ ულიანოვის (ლენინის) მიმართ, 20 იანვარი, 1921

საქართველო იმდენად გათავხედდა, რომ შესაძლოა, აუცილებელი გახდეს, გავასაბჭოოთ ის.

იოსებ სტალინის წერილიდან რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის წევრების მიმართ, იანვარი, 1921

წინადადებას გაძლევთ, მოიწონეთ ამხანაგ ჩიჩერინის ხაზი საქართველოს საკითხზე და მისცეთ რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს დირექტივა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას კავკასიაში იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ რა წესით განხორციელდეს სამხედრო ჩარევა. ამავე დროს უნდა მისცეთ დირექტივა ამხანაგ ორჯონიკიძეს, რომ საჭიროა აჯანყებულთა გამოსვლების მომზადება საქართველოს გარევეულ რაიონებში.

იოსებ სტალინის დეპეშა სერგო ორჯონიკიძეს, 28 იანვარი, 1921

ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, გასწიოს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა საჭირო შეიქმნას სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია. გადაწყდა, აგრეთვე კავკასიის ფრონტს გაეგზავნოს შეკითხვა ჩვენი სამხედრო ძალების მდგომარეობაზე, მაზე, თუ კიდევ რა ძალები დაგვჭირდება იმისათვის, რათა საქართველო უეჭველად დავამარცხოთ... ჩემს სახელზე აუცილებლად გადმოგზავნე ცნობა, შეგვიძლია თუ არა ვიქონიოთ სრული გამარჯვების იმედი ძალთა არსებული რაოდენობით.

იოსებ სტალინის დეპეშა სერგო ორჯონიკიძეს, 16 თებერვალი, 1921

ახლავე შეუტეე, დასტურია, აიღე ქალაქი.

რევაზ გაბაშვილი, "რაც მახსოვს"

შემდეგ გამიყარა ხელი მაზნიაშვილმა და წამიყვანა იმ ადგილების საჩვენებლად, სადაც წინა დღეებში ქართველმა მებრძოლებმა სასტიკი მარცხი მიაყენეს რუსებს. აი, ამ სანგარში შემოიჭრა მტერი, მაგრამ დახოცეს, დასჭრეს, გაჰყარეს და ტყვეები ჩავიგდეთ ხელში. ორიოდვე ცხენოსანი ესკადრონი რომ გვეყოლოდა, გაქცეული

მტრების სადევნელად, სულ გავანადგურებდით და ათასობით კიდევ მეტს ტყვეებს ჩავიგდებდით ხელშიო... შემდეგ მითხრა: გადაეცით თბილისში, რომ არაფერი საშიშო არ არის, ფრონტი მთლიანად გვიჭირავს, და თუ დაპირებულ ბატალიონს დააჩქარებენ, კიდევ დიდხანს ვერას დაგვაკლებენ ეს უნიფხვო ბოლშევიკებიო. ისე დამშვიდებული წამოვედი, რომ ნასადილევეს, დაქანცულს, დამეძინა და მარტო სალამოს 9-საათზე მივედი "ფრასკატი"-ში, ახალი ამბების გასაგებად. ვლაპარაკობდით ომიანობაზე, რომ შემოვარდა ვეშაპელი და გამოგვიცხადა: "ბრძანებაა გაცემული, 12-საათზე ღამე იხსნება ფრონტი და თბილისსა ვტოვებთ!"-ო. – როგორ, რათა, ვისი ბრძანებაა? დილას ფრონტზე მაზნიაშვილი მარწმუნებდა, არაფერი საშიშროება არ არისო და რა მოხდა ამის შემდეგ? – მთავრობის დადგენილებაა... და, ხეირიანადაც აღარ აგვიხსნა, ისევ გავარდა. ისეთი თავზარ-დამცემი ამბავი იყო მორალურად, რომ არა გვჭეროდა, მაგრამ ჩაბნელებული, უკვე მიძინებული – მიწყნარებული თბილისი, საიდანაც მთავრობა და სამხედრო ძალა იპარებოდა ხალხის გაუფრთხილებლად, – მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებდა.

გერონტი ქიქოძე, "თანამედროვის ჩანაწერები"

1921 წლის 15 თებერვალს შულავერში საქართველოს რევოლუციური კომიტეტი შედგა. თავის მანიფესტში მან ქართველ ხალხს აუწყა, რომ წითელი არმია მის გასათავისუფლებლად მოდიოდა. დამფუძნებელმა კრებამ კანონს გარეშე გამოაცხადა რევოლუციური კომიტეტის წევრები. ქართველი ჯარის მთავარსარდალმა გენერალმა კვინიტაძემ ისევე, როგორც ასოცდახუთი წლის წინათ ერეკლე მეფემ, გადაწყვიტა, მთავარი ბრძოლა მოწინააღმდეგისათვის თბილისის კარიბჭესთან მიეცა. 19 თებერვალს ახლად გაღვიძებულ მოქალაქეებს უკვე შემოესმათ მეთერთმეტე არმიის ქვემეხების გრიალი. ქართულმა არტილერიამ, რომელსაც სახელგანთქმული ქართველი ოფიცრები მეთაურობდნენ, მტერს ენერგიული პასუხი გასცა... მეორე თუ მესამე დღეს ქართველი ჯარი და გვარდია შეტევაზე გადავიდა და 1500-ზე მეტი კაცი დაატყვევა. თბილისის მოსახლეობას არც რამე ექსცესები ჩაუდენია, არც პანიკა გამოუმუღავნებია. ყველაზე მეტი დაბნეულობა თვით მთავრობის წევრებს ემჩნეოდა; მინისტრები თავიანთ ადგილებზე არ ისხდნენ, ზოგიერთ მათგანს სამხედრო ფარაჯა ჩაეცვა, მხარ-

ზე თოფი გადაეკიდა და სასახლის წინ დადიოდა. რუს ტყვეებს შორის მძიმედ დაჭრილები ერივნენ. ერთი მათგანი რატომღაც ერთი სახლის აივანზე დაეწვინათ სოლოლაკში. ერთი ფეხი დაჩეჩქვილი ჰქონდა და სისხლისაგან იცლებოდა. გათვითრებული ტურებით პაპიროსი ითხოვა. ბენია ჩხიკვიძვილმა, რომლის ვაჟ-კაცურ გარეგნობასა და ხასიათს მაღალი ცილინდრი და თეთრი ხელთათმანი ნაკლებ შეეფერებოდა, პორტსიგარი მიაწოდა. ვილაცამ უთხრა, პაპიროსით თბილისის გენერალ-გუბერნატორი გიმასპინძლდებაო. მომაკვდავმა ეს ცნობა გულგრილად მიიღო, მხოლოდ თამბაქო ხარბად მოსწია. ეტყობოდა, ყურს უგდებდა არტილერიის ბათქს და ცდილობდა გაეგო, უახლოვდებოდნენ თუ შორდებოდნენ თბილისს მისი ამხანაგები. კავალერიის უყოლობის გამო ქართველმა ჯარმა ვერ შეძლო პირველი გამარჯვების გამოყენება და წითელ არმიას დრო მიეცა დაშოშინებულიყო და თავისი რაზმები გადაეჯგუფებინა. ის მოქმედებდა არა მარტო სოლანლუდის და კოჯრის მიმართულებით, არამედ მტკვრის მარცხენა ნაპირზეც, ვაზიანის მიმართულებით. საქართველოს მთავრობამ ცნობა მიიღო, წითელი ჯვრის ნაწილებმა კავკასიონის მთავარი ქედი გადმოლახეს მამისონის უღელტეხილითო. მაგრამ ეს ნაწილები იმდენად მკირერიცხოვანნი იყვნენ, რომ მათ არ შეეძლოთ გადამწყვეტი გავლენა მოეხდინათ მთავარი ფრონტის ოპერაციებზე. ამიტომ თბილისის მოსახლეობისათვის მოულოდნელი იყო ცნობა, რომ მთავრობამ და მთავარმა შტაბმა გადაწყვიტეს დედაქალაქის დატოვება. როგორც შემდგომ გამოირკვა, ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი და საბედისწერო იყო ფრონტისათვის, სადაც მან დემორალიზაცია შეიგანა... 24 თებერვალს ერთს ჩემს მეგობართან ერთად უძილო ღამე გავატარე. ქალაქის ქუჩებში საოცარი სიჩუმე იდგა. თოვლის ფანტელები უხმოდ ეცემოდნენ ქვაფენილებს. უკან ჩამორჩენილი ჯარისკაცები ჩრდილებივით მოძრაობდნენ, ზოგი მათგანი კედელზე აყუდებდა ან მიწაზე აგდებდა თავის თოფსა და სავაზნეს. ქალაქი ჩაბნელებული იყო... როდესაც 25 თებერვალს დილით წითელი ჯვრის მეთაურობით მზვერავები ფრთხილად ქართული ჯარის სანგრებს მიახლოებოდნენ, სახტად დარჩენილიყვნენ, რადგან იქ აღარავინ დახვედროდათ. თავის პოსტზე მხოლოდ ერთი პატარა ნაწილი დარჩენილიყო, უმთავრესად იუნკრებისაგან შემდგარი. მათ, ალბათ, ქართველი ჯარის უკან დახვევა უნდა დაეთარა. იუნკრებმა უკანასკნელ წუთებამდე თავგანწირულად იბრძოლეს და თავიანთი ჯარებით ამოავსეს კოჯრის მაღლობებისა და ქოროღლის

სანგრები... თბილისის დაკავებისთანავე წითელი ჯარის ნაწილებმა პარადი გამართეს ქალაქის მთავარ მოედანზე. მეორე დღეს თბილისის მოსახლეობამ დიდი სამგლოვიარო პროცესია მოაწყო რუსთაველის პროსპექტზე. წინ მოჰქონდათ შავი კუბოები, რომლებშიც სანგრებიდან ჩამოტანილი ქართველ ჯაბუკთა გვამები ესვენენ, ხოლო უკან, ნელი ნაბიჯით მდუმარე და თავჩაქინდრული ხალხი მოაბიჯებდა. ეს სანახაობა იმდენად ტრაგიკული იყო, რომ გაოცებასთან შეერთებული მოკრძალების გრძნობას იწვევდა კომუნისტებისა და წითელარმიელთა რიგებში. და ახალ აღმინისტრაციას აზრადაც არ მოსვლია ამ პროცესიისათვის ხელი შეეშალა. დახოცილი ქართველი მეომრები დასაფლავებულ იქნენ დიდი საკრებულო ტაძრის ეზოში, სადაც ამჟამად მთავრობის ახალი სასახლის შენობაა ამართული. ამ დროს მემობლად, ძველი სასახლის სახურავზე, უკვე წითელი დროშა ფრიალებდა, რაიცა სერგო ორჯონიკიძემ დეპუტით აუწყა ლენინს.

კოტე მაყაშვილი, “მარო მაყაშვილი”

მარო მაყაშვილი დაიბადა 1901 წლის 25 მარიაშობისთვის. მისი მშობლები არიან თამარ (ეკატერინე გაბაშვილის ასული) და კონსტანტინე მაყაშვილები. სწავლობდა ქალთა ქართულ გიმნაზიაში. შემდეგ შევიდა ქართულ უნივერსიტეტში სიბრძნისმეცყველების ფაკულტეტზე. ბუნებით უხვად დაჯილდოებული, ცოცხალი და გამჭრიახი მარო, ამასთანავე, იყო მეტად მორცხვი, კდემამოსილი და გულკეთილი... 1921 წლის თებერვალში თბილისის გარშემო ახმაურდნენ ზარბაზნები. ვერავითარმა მუდარამ ვერ გასჭრა მაროზე. მე იქ უნდა ვიყვე, სადაც იღვრება სისხლი და ცრემლი თანამემამულეთაო. 17 თებერვალს იგი ჩაეწერა წითელ ჯვარში მოწყალების დად. იმავე დღეს სანიტარულ რაზმთან ერთად წავიდა კოჯრისკენ. 19 თებერვალს საღამოს მის გვერდით გამსკდარმა ყუმბარამ არც კი დააცალა უკანასკნელი საღამო ეთქვა სამშობლოსა და მშობლებისათვის.

კოტე მაყაშვილი, “მაროს”

არც სიცოცხლის, არც სიკვდილის, აღარა მაქვს ხალისი...
თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი!..

მფარველობითი დაპყრობა

დავიღალე... დავიჩაგრე... მე შენი ვარ მშობელი.
ჩემო გმირო და წმიდანო, გამამხნევე მშობელი!
სამშობლო და შენ, რომელი, ახ, ვიტირო რომელი?..
დავდნი ცრემლად ორივესთვის, სხვათა ცრემლთა მშრობელი.

ზურაბ ავალიშვილი, "საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში"

იმავე დღეს, 25 თებერვალს, 1921 წელს, საბჭოთა ჯარები შემო-
დიოდნენ ტფილისში; წინ მოუძლოდა წითელი ბაირალით ხელ-
ში, თეთრ ცხენზე მჯდომი ერთი ქართველ კომისართაგანი. მას
გვერდით უხილაუად მოჰყვებოდა, გაძვალტყავებულ ჯახრაკზე,
ძონძებში გახვეული ჩონჩხი, და გასისხლიანებულ თითებში ეჭირა
ნგრევის ცელი.

იოსებ გრიშაშვილი, "ახალ ხელისუფლებას"

თქვენ ამბობდით: "საქართველომ
რაგინდ ბევრი გაიბრძოლოს,
დიდ რუსეთის პროვინციად
გადიქცევა მაინც ბოლოს!"
ჰა, აღსრულდა! თქვენ მოხვედით,
ჩვენ მიგიღეთ ცრემლით ცხელით,
მაგრამ ხალხი არ შეგინდობთ,
რომ სხვის ხიმტით შემოხვედით!

[...]

ო, ჩვენ ისე შევეჩვიეთ
ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ფერს, ჩვენს ხმას,
რომ ვერასდროს ვერ ავიტანთ
გამარჯვებულ რუსის ჩექმას!

2012-2013

ბიბლიოგრაფიული მითითებანი

თეოფილე ხუცეს-მონაზვნისეული "მეტაფრასის" შესავალი და ანდერძი: ტექსტების სტრუქტურა და თეოლოგიურ-სულიერი შინაარსი (გვ. 9-21)

წაკითხული მოხსენებად თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საერთაშორისო კონფერენციაზე: "უცხოეთის ქართული მემკვიდრეობა", 2011 წლის სექტემბერში; გამოქვეყნდა პირველად: *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი*, 6/2013, გვ. 508-521.

რუსთველის კვლევები "ვეფხისტყაოსნის" ავტორის რელიგიური აღმსარებლობის შესახებ მეოცე საუკუნის საჯარო-სამოქალაქო და კულტურულ კონტექსტში (გვ. 22-29)

წაკითხული მოხსენებად თბილისში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, საერთაშორისო კონფერენციაზე: „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ადგილი მსოფლიო მწერლობაში: თანამედროვე ინტერპრეტაციები“, 2016 წლის ნოემბერში; გამოქვეყნდა პირველად: *„ვეფხისტყაოსანი“ და მისი ადგილი მსოფლიო მწერლობაში: თანამედროვე ინტერპრეტაციები: საერთაშორისო კონფერენცია (კონფერენცია ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ შექმნიდან 850-ე საიუბილეო წლისთავს) (მასალები)*, თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2016, გვ. 152-159; პირველნაბეჭდში გამოქვეყნებულია სათაურით: „რუსთველის კვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის რელიგიური აღმსარებლობის შესახებ მე-20 საუკუნის საზოგადოებრივ-კულტურულ კონტექსტში“.

პიროვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი და "რუსთველის სამყარო" (გვ. 30-43)

წაკითხული მოხსენებად ბათუმში, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ლექსიკოლოგიის პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე, 2010 წლის ივნისში; მოხსენების თეზისები, – სათაურით "პიროვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი:

სიტყვანის შედგენისა და სალექსიკონო სტატიის აგების მეთოდოლოგია", – გამოქვეყნდა პირველად: *1 საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში (მოხსენებათა თეზისები)*, ბათუმი, 2010, გვ. 134-135; სრული სახით ქვეყნდება პირველად.

სერგეი მესხის პუბლიცისტიკა და სეკულარიზაციის სათავეები მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში (გვ. 44-54)

წაკითხული მოხსენებად თბილისში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, საერთაშორისო კონფერენციაზე: "კლასიკური რეალიზმის ეპოქა: მე-19 საუკუნის კულტურული და ლიტერატურული ტენდენციები", 2010 წლის სექტემბერში; გამოქვეყნდა პირველად: *ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები: IV საერთაშორისო სიმპოზიუმი (მასალები)*, თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011, გვ. 442-450; პირველნაბეჭდში გამოქვეყნებულია სათაურით: "სერგეი მესხის პუბლიცისტიკა და სეკულარიზაციის სათავეები ქართველ საზოგადოებაში".

პეტრე ხარისჭირაშვილის ცხოვრება და ღვაწლი (გვ. 55-63)

წაკითხული მოხსენებად რომში, პაპის აღმოსავლეთის ინსტიტუტში, პეტრე ხარისჭირაშვილის გარდაცვალების ასოცდახუთი წლის-თავისაღმდეგ მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, 2015 წლის ნოემბერში; გამოქვეყნდა პირველად: *ლიტერატურული ძიებანი, XXXVII*, 2016, გვ. 238-243.

კირიონ მეორის მიმართვა ბენედიქტე მეთუთმეტეს: წყაროები და უწყება (გვ. 64-77)

წაკითხული მოხსენებად თბილისში, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში, მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმზე: "კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში", 2018 წლის ივნისში; გამოქვეყნდა პირველად: *კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში*, 2, თბ.: სულხან-საბა ორბელიანის უნი-ის გამ-ბა, 2019, გვ. 165-177.

სერგი ბულგაკოვი სამშობლოსა და ლტოლვილობის ზღვარზე: მზერა რომისაკენ "ქერსონესის კედლებთან" (გვ. 78-100)

წაკითხული მოხსენებად თბილისში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, მეშვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმზე: "ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები: ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება)", 2013 წლის სექტემბერში; მოხსენების თეზისები გამოქვეყნდა პირველად: *ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები: VII საერთაშორისო სიმპოზიუმი – ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება) (თეზისები)*, თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013, გვ. 86-88; სრული სახით ქვეყნდება პირველად.

"ადამიანისა და ხელოვანის უზარმაზარი ტაქტი": ანდრეი პლატონოვი აკაკი წერეთლის "ჩემი თავგადასავლის" გამო (გვ. 101-114)

წაკითხული მოხსენებად თბილისში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, შედარებითი ლიტერატურის მეექვსე საერთაშორისო კონფერენციაზე: "ლიტერატურა მონოკულტურულ/მულტიკულტურულ საზოგადოებაში", 2015 წლის ოქტომბერში; გამოქვეყნდა პირველად: *კადმოსი: ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი*, 7, 2015, გვ. 243-254.

ტოტალიტარულობა, კარნავალი, კარნავალიზაცია (გვ. 115-125)

წაკითხული მოხსენებად თბილისში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე: "ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი (მე-20 საუკუნის გამოცდილება)", 2009 წლის ოქტომბერში; გამოქვეყნდა პირველად: *ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი: მე-20 საუკუნის გამოცდილება (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)*, თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010, გვ. 248-253; გამოქვეყნდა, ასევე, ინგლისურად: Merab Ghaghanidze, "Totalitarianism, Carnival, and Carnivalisation", წგ-ში: *Totalitarianism and literary Discourse: 20th Century Experience*, Cambridge: Cambridge Scholars Publishing, 2012, p. 276-282.

ადამიანის ღირსება სქოლასტიკასა და ეკლესიის თანამედროვე მოძღვრებაში და ადამიანის უფლებები (გვ. 126-150)

წაკითხული მოხსენებად თბილისში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, საერთაშორისო სიმპოზიუმზე ადამიანის უფლებათა ფილოსოფიის შესახებ, 2011 წლის აპრილში; ქვეყნდება პირველად.

“წინამძღუარი” – პირველი ქართული დოგმატიკური კომპენდიუმი (გვ. 153-161)

გამოქვეყნდა პირველად: *ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი*, 3/2010, გვ. 788-797.

ათონის ქართული მონასტრის აღაპების დაგვიანებული გამოცემა (გვ. 162-172)

გამოქვეყნდა პირველად: *წახნაგი: ფილოლოგიურ კვლევათა წელიწადიური*, 3. 2011, თბ.: მემკვიდრეობა, 2011, გვ. 335-344.

აკაკის ოცტომეულის პირველი ტომი (გვ. 173-182)

გამოქვეყნდა პირველად: *კადმოსი: ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი*, 2, 2010, გვ. 234-242.

ქრისტიანობის ლექსიკონის გამო (გვ. 185-188)

გამოქვეყნდა პირველად: *პიერო პეტროზილო, ქრისტიანობის ლექსიკონი*, თბ.: სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის გამოცემა, 2011, გვ. 7-9.

კათოლიკური მემკვიდრეობის გამო საქართველოში (გვ. 189-195)

გამოქვეყნდა პირველად: *კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში*, 1, თბ.: სულხან-საბა ორბელიანის უნ-ის გამ-ბა, 2018, გვ. 9-14.

ლიტერატურის შეფასებისა და ინტერპრეტაციის პარადოქსები (გვ. 199-206)

გამოქვეყნდა პირველად: *ლიტერატურული გაზეთი*, 17 (149), 20 სექტემბერი-3 ოქტომბერი, 2019, გვ. 12-13; პირველნაბეჭდში გამოქვეყნებულია სათაურით: “კითხვა შეხვედრის აქტია”.

მეოთხედი საუკუნე კათოლიკე ეკლესიის წიაღში (გვ. 207-229)

გამოქვეყნდა პირველად შემოკლებით: საბა, 8, 2019, გვ. 11-12; საბა, 9, 2019, გვ. 13-14; საბა, 10, 2019, გვ. 12-13; საბა, 11, 2019, გვ. 16-17; საბა, 12, 2019, გვ. 15-16; სრული სახით ქვეყნდება პირველად.

მთარველობითი დაპყრობა (გვ. 233-473)

ქვეყნდება პირველად.

პირთა სახელების საძიებელი

- აბაქარდობირი 350
აბაშელი, ალექსანდრე 176
აბაშიძე, ივანე 306, 307
აბაშიძე, კიტა 313, 277, 280, 289,
313, 378, 392, 395, 404, 419
აბაშიძე, ლევან 254
აბაშიძე, მემედ 454
აბაშიძე, ნიკოლოზ 307
აბაშიძე, სამსონ 372
აბესაძე, ბესიკა 327
აბზიანიძე, გიორგი 111, 176
აბულასანი 245
აბულაძე, ილია 155, 157, 168
აბულაძე, იუსტინე 23, 41
ავალიშვილი, ზურაბ 441, 462,
473
ავგუსტინე 138
ავერინცევი, სერგეი 115, 117
ალადაშვილი, გიორგი 414
ალექსანდრე მეორე (1) 243,
246, 247
ალექსანდრე მეორე (2) 346,
348, 357, 358, 374, 380, 382
ალექსანდრე მესამე 382
ალექსანდრე ნეველი 294, 296
ალექსანდრე პირველი 242,
243, 272, 278, 290, 292, 294
ალექსანდრე, ბატონიშვილი
263, 281-283, 301, 310, 315
ალექსიძე, ზაზა 69
ალი სულთანი 264
ალიხანოვი (ალი-ხანი), მაქსუდ
400, 404
ამატუნი, ნაპოლეონ 375
ამირეჯიბი, შალვა 392
ანასტასი სინელი 157
ანდრია, მოციქული 65, 67, 68
ანტონ ჭყონდიდელი 250
ანტონი მეორე 291, 294-298,
435
ანტონი პირველი 191, 260, 295,
435
ანტონიონი, მიქელანჯელო 205
არენდტი, ჰანა 134, 136, 138 *იხ.*
Arendt, Hannah
არისტოტელე 224
არსენ იყალთოელი 153
არსენი ტფილელი 296
ასათიანი, ლევან 104, 176
ასოლიკი 241, 244 *იხ.* სტეფანე
ტარონელი
აფხაზი, ივანე 311
ალა-მაჰმად-ხანი 263, 264, 268,
269, 289
ახმეტ ხანი 349
ახობაძე, ლიანა 9
ბაგრატიონი, ტასო 370
ბაგრატიონ-მუხრანელი, ივანე
389
ბალახაშვილი, იაკობ 342
ბარათაშვილი, ნიკოლოზ 180,
204, 314, 315, 349, 350
ბარამიძე, ალექსანდრე 28, 37,
41
ბარატინსკი 342

- ბარკალაია, ბენედიქტე 53
 ბარნოვი, ვასილ 25, 41
 ბარტი, როლან 203
 ბაქრაძე, აკაკი 372, 375, 393
 ბახტინი, მიხაილ 115-121, 123-125
 ბებელი, ავგუსტ 81
 ბელაჟინი, ტიხონ 298, 413, 416, 429, 432
 ბელიაევი, ინოკენტი 416
 ბენედიქტე მეთექვსმეტე 126
 ბენედიქტე მეთხუთმეტე 64, 76, 434
 ბენედიქტე ნურსიელი 227
 ბენეშევიჩი, ვლადიმირ 428
 ბერგმანი, ინგმარ 205
 ბერდიაევი, ნიკოლაი 82
 ბერიძე, ვუკოლ 41
 ბერნარდე კლერვოელი 129
 ბერძენიშვილი, ნიკო 162-167, 171, 172, 243
 ბერძნიშვილი, მამისა 163
 ბერძნიშვილი, მაქსიმე 314
 ბიძინა 247
 ბოგოიავლენსკი, ვლადიმირ 370, 411
 ბოგოლიუბსკი, ანდრია 242, 245
 ბოგოლიუბსკი, იური (გიორგი) 242, 245
 ბოლქვაძე, იოთამ 302, 307
 ბონაპარტი, ნაპოლეონ 287, 301, 303
 ბონესკაია, ნატალია 118
 ბორომდინი, კ. 341
 ბრეუნევი, ლეონიდ 123
 ბრიტენი, ბენჯამინ 205
 ბროხი, ჰერმან 200
 ბრუსილოვი 327
 ბუბერი, მარტინ 115
 ბულგაკოვი, სერგი 78-83, 85-86, 88-90, 93, 96-100
 გაბაშვილი (მაყაშვილისა), თამარ 472
 გაბაშვილი, ეკატერინე 472
 გაბაშვილი, ვასილ 417
 გაბაშვილი, რევაზ 425, 469
 გაბაშვილი, ტიმოთე 24
 გაბოძე, ჯულიეტა 174, 175
 გაბრიელი, ოჩოპინტრეს ძე 245
 გაგარა, ვასილ 248
 გაგარინი, ალექსანდრ 338, 342
 გაგარინი, ივან 97
 გამსახურდია, ზვიად 23, 29, 41
 გამსახურდია, კონსტანტინე 25, 379, 395
 განი 323
 გასპაროვი 351
 გასპაროვი, მიხაილ 115, 117
 გაწერელია, აკაკი 24, 28, 348
 გეგეჭკორი, ალექსანდრე 453
 გეგეჭკორი, ევგენი 420
 გეკერი, ანტოლი 467
 გენადი 316
 გესე, კარლ 303
 გიგინეიშვილი, მანანა 23, 29
 გიორგაძე, ანტონ 432
 გიორგი ათონელი (მთაწმიდელი) 19, 170, 189, 190, 250
 გიორგი მეთერთმეტე 191, 251
 გიორგი მეთორმეტე 271, 272-277, 279, 286, 360
 გიორგი მერჩულე 157
 გიორგი შირველი 242
 გიორგი რუსი 245, 246 *იხ.* ბოგოლიუბსკი, იური (გიორგი)

- გიუნაშვილი, ელგუჯა 157
 გოგებაშვილი, იაკობ 48, 348, 372, 373, 384, 398
 გოგელია, შალვა 392
 გოგობერიძე, მოსე 23
 გოდფრუა 376
 გოლიციანი, ალექსანდრ 292
 გოლოვინი, ევგენი 329, 350
 გოლცევი, ვიკტორ 104, 106
 გრიბოედოვი, ალექსანდრ 342, 371
 გრიგოლ პირველი (დიდი) 65, 69, 70
 გრიგოლ ხანცთელი 157
 გრიგოლი, ბატონიშვილი 282, 301
 გრიშაშვილი, იოსებ 176, 177, 446, 473
 გროისი, ბორის 118, 120
 გუგუშვილი, მერი 26
 გულაბერისძე, ნიკოლოზ 164, 166, 170
 გულაბერისძე, სვიმეონ 164
 გურამიშვილი, დავით 41, 202
 გურევიჩი, არონ 118
 გურიელი, კაცია 263
 გურიელი, მამია 254, 303, 307
 გურიელი, სვიმეონ 268
 გურიელი, სოფიო 303
 გურიელი, ქაიხოსრო 307
 დ'არნუ, პიერ 255
 დადეშქელიანი, ალექსანდრე 337
 დადეშქელიანი, კონსტანტინე (მურზაყან) 337, 338, 342
 დადიანი, ანდრია 341
 დადიანი, გრიგოლ (1) 263, 268, 283
 დადიანი, გრიგოლ (2) 340
 დადიანი, გრიგოლ (3) 368
 დადიანი, დავით 340
 დადიანი, კაცია 254
 დადიანი, კაცია 263
 დადიანი, კონსტანტინე 340
 დადიანი, ნიკოლოზ 337, 340, 341
 დავით კურაპალატი 244
 დავითი, ბატონიშვილი 263 *იხ.*
 სოლომონ მეორე
 დავითი, ბატონიშვილი 272, 274-276
 დანელია, კორნელი 157
 დარეჯანი 271, 306
 დეკარტე, რენე 224
 დემეტრე პირველი 242
 დენიკინი, ანტონ 450, 458
 დიმიტრი, ბატონიშვილი 309, 310
 დიუკრუასი, იპოლიტ 325, 342
 დოდაშვილი, სოლომონ 309-311
 დომენტი მეოთხე 251
 დომინიკე დე გუსმანი 226
 დონდუკოვ-კორსაკოვი, ალექსანდრ 382, 386, 389, 394
 დორეული, ლექსო 199
 დოსტოევსკი, ფიოდორ 81, 120
 დროზდოვი, ი. 353
 დუბროვინი, ნიკოლაი 285
 დურნოვო, ნიკოლაი 366, 410
 ევგენიძე, იუზა 110, 174, 175
 ეზოპე 58
 ეკატერინე მეორე 262, 266, 294, 295, 318, 374

- ეკო, უმბერტო 201
 ელენე, ბატონიშვილი 263
 ელიაშვილი, ექვთიმე 409, 414
 ელიზავეტა 297
 ელიოტი, თომას სტერნს 203, 205
 ემიმი, მუჰამედ 346
 ენგელსი, ფრიდრიხ 392
 ერეკლე მეორე 253, 254, 259, 261-266, 268, 270, 271, 273, 276, 277, 282, 291, 310, 435, 470
 ერეკლე პირველი 259 *იხ. ნაზარალიხანი*
 ერისთავი, ბაინდურ 259
 ერისთავი, გიორგი 311, 315
 ერისთავი, ელიზბარ 315
 ერისთავი, ვარლამ 292, 297, 407, 435
 ერმოლოვი, ალექსეი 298, 302, 325, 345, 346, 348
 ეფთვიმე ათონელი (მთაწმიდელი) 19, 153-156, 158-161, 170, 250
 ეფრემ მცირე 153, 154, 250
 ვადკოვსკი, ანტონი 414, 415
 ვაჟა-ფშაველა 41, 379, 406, 420
 ვარდიძე, ემანუელ 61
 ვარდოსანიძე, სერგო 64, 66
 ვაშაყმაძე, ზაზა 163
 ვახტანგ მეექვსე 22, 24, 33, 41, 191, 251-253, 255-260
 ვახუშტი, ბატონიშვილი 33, 70, 191
 ველიამინოვი, ალექსეი 302, 306, 307, 352
 ვეშაპელი, გრიგოლ 470
 ვიტორია, ფრანცისკე დე 130
 ვორონცოვ-დაშკოვი, ილარიონ 408, 412, 413
 ვორონცოვი, მიხაილ 323, 328, 329, 332-335, 339, 340
 ვოსტორგოვი, იოან 290
 ზანქან ზორაბაბელი 245
 ზარდიაშვილი, ელისაბედ 174, 175
 ზასი, გრიგორი 352
 ზაქარია 247
 ზაქარია ჭყონდიდელი 340
 ზდანეცკი 425
 თალაქვაძე, ნიკიტა 77, 427, 436
 თამარაშვილი, მიქელ 61, 70, 72, 74-76, 332
 თამარი 159, 164, 242, 245, 246, 370, 421
 თამარი, ბატონიშვილი (1) 259
 თამარი, ბატონიშვილი (2) 315
 თარხნიშვილი, მიქელ 61
 თაყაიშვილი, ექვთიმე 412
 თევდორე იოანეს ძე 243, 246
 თეიმურაზ მეორე 41, 253, 254, 259, 260, 270
 თეიმურაზ პირველი 41, 243, 246-248
 თეოპოლიტე კონსტანტინოპოლელი 248
 თეოფანე იერუსალემელი 248
 თეოფილე ხუცეს-მონაზონი 9, 11-21
 თომა აკვინელი 129-132, 139, 188, 224-226 *იხ. Thomas Aquinas*

პირთა სახელების საძიებელი

- თულაშვილი 334
 თულაშვილი, ვახტანგ 372
- იაკობ ხუცესი 157
 იანოვსკი, კირილ 366, 367, 382
 იგნეტიეფი, მაიკლ 133 *იხ.*
 Ignatieff, Michael
- იეველიევი, ალექსი 247
 იესე 258
 ივანე მრისხანე 250, 266
 ივანოვი, ვიჩესლავ 82
 იზიასლავი 242
 ილარიონ ქართველი 65, 70, 71,
 164, 189, 190
 იმედაშვილი, გაიოზ 37, 41
 ინგოროყვა, შავლე 23, 27, 41,
 62, 176, 177, 315
 იოანე ათონელი (მთაწმიდელი)
 15, 155, 156, 170
 იოანე დამასკელი 24, 153, 156,
 157
 იოანე მწიგნობართუხუცესი 166-
 170
 იოანე ოცდამესამე 140
 იოანე შავლე მეორე 140, 209,
 220
 იოანე, მოციქული 171, 220
 იოანე, ოჩოპინტრეს ძე 245
 იოსებ 248
 იოსელიანი, პლატონ 273
 ისიდორე სევილიელი 227
 იულიუს კეისარი 12
 იულონი, ბატონიშვილი 282
- კაკაბაძე, სარგის 41, 308, 329,
 424
 კალაძე, ცირა 176
 კატკოვი, მიხაილ 334, 376, 377
- კაუცკი, კარლ 81
 კაშჩენკო 306, 307
 კედი, სპირიდონ 392
 კეკელიძე, კორნელი 23, 27, 41,
 154, 156, 159, 293
 კერენსკი, ალექსანდრ 453
 კეცხოველი, ლადო 390
 კვინიტაძე, გიორგი 442, 467, 470
 კიკნაძე, ფილადელფოს 309,
 311, 314, 316, 317
 კირვალიძე, ვასილ 444
 კირიონ პირველი 65, 69, 70,
 189
 კიროვი, სერგეი 465, 466
 კლიმენტოვი, ანდრეი 102 *იხ.* პლა-
 ტონოვი, ანდრეი, Климентов,
 Андрей
- კნორინგი, კარლ 271, 272, 275,
 278, 279, 296, 345
 კოვალენსკი, პეტრ 273, 274
 კოლუბიაკინი, ნიკოლაი 337,
 341
 კომნენოსი ანდრონიკე 165
 კომნენოსი, ალექსი 165
 კონირი 362
 კონსტანტინე მეორე 253, 259
 კონსტანტინე, ბატონიშვილი 286
 კონჭოშვილი, პეტრე 163, 414
 კორცასარი, ხულიო 205
 კოტეტიშვილი, ვახტანგ 335
 კოჭლამაზაშვილი, ექვთიმე 154
 კურაკოვი 286
 კურეიში, შანიფ 200
 კურნატოვსკი 306
- ლაზარევი, ივან 271, 285, 286
 ლასხიშვილი, გიორგი 392
 ლალიაშვილი, იოსებ 393

- ლე ფორტი, გერტრუდ ფონ 222
 ლე ფური, ლუი 267
 ლეხედევი, ჰავლე 382, 389, 393, 394
 ლენინი (ულიანოვი), ვლადიმირ 86, 123, 437, 450, 465, 468, 472
 ლეონ მეცამეტე 225
 ლეონტიევი, კონსტანტინ 90
 ლეოვი, გეორგი 431
 ლეოვი, ვლადიმირ 431
 ლიონიძე, სოლომონ 283
 ლოიოლა, ეგნატე 210, 218, 226
 ლოლაშვილი, ივანე 9, 24, 28, 155, 156
 ლოლოფიცი, ლ. 286
 ლორთქიფანიძე, კირილე 372
 ლოსევი, ალექსეი 118
 ლოსკი, ნიკოლაი 97
 ლოსოვი, ოტო ფონ 440
 ლუდოვიკე 210
 ლუი მეთოთხმეტე 255
 ლუკა, მოციქული 220
 მაზნიაშვილი, გიორგი 469, 470
 მათე, მოციქული 217, 220, 229
 მაკედონიოს კონსტანტინოპოლელი 161
 მამაცაშვილი, იოსებ 360
 მამაცაშვილი, კონსტანტინე 360
 მამაცაშვილი, ქრისტეფორე 360
 მანველიშვილი, ალექსანდრე 273, 303, 307
 მანი, თომას 202
 მანსური 345
 მარი, ნიკო 23, 27, 41, 409
 მარიამი 18, 19, 59, 60, 211, 217
 მარიამი, დედოფალი 286
 მარიტენი, უაკ 205
 მარკოზ ეფესელი 95
 მარქსი, კარლ 81, 392
 მარშადიე, ბერნარ 99 *იხ. Маршадье, Бернар*
 მაქსიმე აღმსარებელი 159
 მაყაშვილი, კოტე 472
 მაყაშვილი, მარო 472
 მახარაშვილი, სოსო 9
 მახარაძე, ფილიპე 390, 396, 437, 453
 მეგრულაძე, დარეჯან 163
 მენაბდე, ლევან 39
 მესხი, სერგეი 44-54, 348, 368, 369, 372, 385, 390
 მეტრეველი, ელენე 9, 28, 155, 163, 164, 166
 მეუნარგია, იონა 276, 351
 მილიუტინი, დმიტრი 353
 მიმინოშვილი, რომან 153
 მირიანი 65, 68, 69, 189
 მირსკი 343
 მიქაელ სენკელოსი 157-159
 მიქავა, უტუ 336, 337
 მიქელ დაღალისონელი 171
 მიქელაძე 306
 მიქოიანი, ანასტას 453
 მიხეილ თევდორეს ძე 243
 მიხინი 306, 307
 მოლჩანოვი, ალექსი 416
 მუხრანბატონი, გიორგი 367
 მუხრანბატონი, იოანე 262
 ნადირ-შაჰი 259
 ნაზარალიხანი 257 *იხ. ერეკლე პირველი*
 ნათაძე, ნოდარ 225
 ნაკაშიძე, პეტრე 372

პირთა სახელების საძიებელი

- ნალიმოვი, ნიკოლოზ 414
 ნანა 189
 ნეკრასოვი, ლავრენტი 415
 ნეოფიტე ანტიოქიელი 248
 ნესტორი 65
 ნიზამი განჯელი 28
 ნიკოლაძე, ნიკო 372, 374, 375, 388, 390, 391, 400
 ნიკოლოზ მეორე 400, 409, 412, 414
 ნიკოლოზ პირველი 316, 330
 ნიკონი 248, 250
 ნილუსი, სერგეი 84
 ნინო 65, 68, 69, 189, 370, 432
 ნინოშვილი, ეგნატე 330, 390
 ნობელი, ალფრედ 199
 ნობაძე, ვიკტორ 24, 27, 41, 386
 ნუცუბიძე, შალვა 23, 27, 29, 41
- ომერ-ფაშა 337, 338
 ონიანი, შერმადინ 26
 ოპოცკი, ალექსი 409
 ორბელიანი, ალექსანდრე 311, 312, 315, 375
 ორბელიანი, გრიგოლ 276, 332, 347-352, 361, 384, 388
 ორბელიანი, დიმიტრი 311
 ორბელიანი, ვახტანგი 315
 ორბელიანი, ილია 349, 350
 ორბელიანი, სულხან-საბა 33, 34, 191, 252, 255, 258
 ორბელიანი, ყაფლან 352
 ორჯონიკიძე, სერგო 465, 466, 468, 469, 472
 ოსმანოვი, ზაზა 201
 ოქროპირი, ბატონიშვილი 309, 310, 313
- ოქროპირიძე, ლეონიდე 77, 296, 298, 409, 410, 413, 414, 416, 427-432
 ოჩოპინტრე 245
- პავლე პირველი 271, 272, 274, 275, 277
 პავლე, მოციქული 209, 211
 პაპუაშვილი, ნუგზარ 64, 66
 პასკევიჩი, ივან 305, 346, 387
 პატრიკი 245
 პაულიჩი (პაულუჩი), ფილიპ 282, 301, 303, 304
 პეტრე პირველი 374, 252, 253, 256, 258, 318, 374
 პეტრე, მოციქული 65, 67-69, 77, 79, 86, 93, 189-191, 207, 209-211, 218, 220, 222, 223, 229
 პეტრიაშვილი, ალექსი 297
 პეტროზილო, პიერო 185 *იხ.* Petrosillo, Piero
 პეჩორინი, ივან 97
 პიკასო, პაბლო 205
 პიუს მეთორმეტე 61, 140
 პლატონი 137, 138, 224
 პლატონოვი, ანდრეი 101-107, 109-114 *იხ.* Платонов, Андрей
 პლენხანოვი, გეორგი 81, 390
 პოტიომკინი, პავლე 262, 266, 267
 პოტო, ვასილ 266
 პრუსტი, მარსელ 202
 პუზირევსკი, ივან 302, 306, 307
- ყორდანიან, თედო 153
 ყორდანიან, ნოე 391, 420, 424, 425, 427, 447-449, 453, 463
 ყურული, გიორგი 400

- რაბლე, ფრანსუა 115-117, 120
 რამიშვილი, ნოე 391
 რატიანი, ირმა 174
 რატიანი, პროკოფი 23, 25, 29
 რატიანი, შალვა 316
 რაფაეა, მაია 24, 28, 153, 155
 რენანი, ერნესტ 411, 468
 რიკლინი, მიხაილ 118
 რობაქიძე, გრიგოლ 25
 რომანოვი, მიხაილ 353, 389
 რომანოვი, მიხეილ 248
 რომანოვი, ნიკოლოზ 416, 418, 419
 როუდესტვენსკი, ნიკონ 84
 როუდესტვენსკი, პლატონ 410, 416, 428, 429, 432
 როძიანკო, მიხაილ 431
 რუსანოვი, თეოფილაქტე 304
 რუსთველი, შოთა 22-30, 36-43, 101, 104, 445
- საბინინი, მიხაილ (გობრონ) 70
 სავალათი 245
 სანიკიძე, თენგიზ 178
 სარჯველაძე, ზურაბ 157
 საფარიშვილი, კონსტანტინე 61
 საძაგლიშვილი, კირიონ მეორე (მესამე) 64-77, 368, 371, 412, 414, 427, 429, 430, 434-436, 440, 444
 სახოკია, თედო 405
 სევინჯი 245
 სერვანტესი, მიგელ დე 120
 სვიმეონ ლოლოთეტი 15
 სილიბისტრო პირველი 65, 68-70
 სილინი ე. 101
 სიმონოვი 301
 სინაქსაროვი 349
- სიუზანე 329
 სნეჟინსკი, იან 209
 სოლოვიოვი, ვლადიმირ 81, 84, 97
 სოლოვიოვი, სერგეი 84, 97
 სოლომონ მეორე 263, 268, 283, 284, 286, 287, 301
 სოლომონ პირველი 254, 255, 261-263, 265, 307
 სოფიისკი, ნიკონ 414-416
 სტალინი, იოსებ 28, 86, 101, 103, 115, 116, 118, 121, 123, 124, 125, 178, 390, 399, 465, 466, 468, 469 *იხ.* ჯულაშვილი, იოსებ
 სტარჟისკი 351
 სტეფანე ტარონელი 241, 244 *იხ.* ასოლიკი
 სტრაგოროდსკი, სერგი 433
 სუარესი, ფრანცისკე 130
 სულაეა, ნესტან 166
 სუმბათაშვილ-იუჟინი, ალექსანდრე 280, 288, 422, 463
 სუხანოვი, არსენ 248
- ტაბიძე, გალაკტიონ 41, 379
 ტაბიძე, ტიცვიან 396
 ტერეზა ლიზიელი 227
 ტოლსტოი, ლეე 81, 200
 ტორმასოვი, ალექსანდრ 283, 287, 290, 292, 296
 ტოტლებენი, გოტლიბ 261, 262
 ტრედიაკოვსკი, ვასილი 97
 ტროცკი (ბრონშტეინი), ლეე 86, 123, 450, 465
 ტურნიე, მიშელ 200
- უორდროპი, ოლივერ 463

- ფალაგანდიშვილი, იასე 312, 313
 ფალაგანდიშვილი, ნიკო 312
 ფარნაოზი, ბატონიშვილი 282
 ფეშანგი 247
 ფირცხალავა, სამსონ 423
 ფლორენსკი, პაველ 82, 97
 ფოლკენერი, უილიამ 205
 ფრანგიშვილი, დავით 201
 ფრანკი, სემიონ 97 *იხ. Франк, Семен*
 ფრანცისკე ასიშელი 227
 ფრუიძე, ნანა 175
 ფუკო, მიშელ 203
- ქეთევანი 370
 ქიაჩელი, ლეო 396
 ქიქოძე, გაბრიელ 52, 367, 408
 ქიქოძე, გერონტი 249, 378, 421, 445, 453, 461, 463, 470
 ქურდიანი, მიხეილ 108
- ღამბაშიძე, დავით 411
 ღალანიძე, მერაბ 34, 39, 48, 53, 64, 67, 70, 75, 76, 249, 257, 259, 295, 435
 ღოღობერიძე, ელენე 101
- ყაზბეგი, ალექსანდრე 180, 379
 ყაზი-მოლა 349
 ყიფიანი, დიმიტრი 332, 360, 375, 378, 386, 389, 390, 393-396
 ყორღანოვი 324
 ყრუაშვილი, ნატო 75
 ყუბანეიშვილი, სოლომონ 180
- შაგალი, მარკ 205
 შალიკაიშვილი, ამბაკო 330
 შამილი 178, 335, 346, 349-352
- შანიძე, აკაკი 41
 შარვაშიძე, გიორგი 302, 343
 შარვაშიძე, ექვთიმე 292, 306
 შარვაშიძე, მიხეილ 303, 338, 339, 343
 შექსპირი, უილიამ 120
 შიხსაბეგი 351
 შკლოვსკი, ვიკტორ 117
 შოთა კუპარი (კუპრი) 23
 შოსტაკოვიჩი, დმიტრი 205
 შტრაუსი, დავიდ ფრიდრიხ 411
 შულენბურგი, ფრიდრიხ ფონ 442
 შუშანიკი 157
- ჩაადაევი, პიოტრ 97
 ჩერნიშევი 340
 ჩერნიშევსკი, ნიკოლაი 109
 ჩერქეზიშვილი, ვარლამ 392, 410
 ჩესტერტონი, გილბერტ კით 209
 ჩიკვატია, ნანა 153, 155
 ჩიჩერინი, გეორგი 468, 469
 ჩოლოყაშვილი, ანა 259
 ჩოლოყაშვილი, ქაქუცა 417
 ჩორღვანელი, აბუხარაბა 245
 ჩუდეცკი, პაველ 393
 ჩხენკელი, აკაკი 419, 440, 442
 ჩხიკვიშვილი, ბენია 471
- ცაგარელი, ალექსანდრე 409
 ცაიშვილი, სარგის 41
 ცელანი, პაულ 205
 ცინცაძე, იასე 244, 248
 ცინცაძე, კალისტრატე 23, 24, 27, 299, 370, 408, 411, 414
 ციციანოვი, პაველ 282, 283, 286, 296
 ცხაკაია, მიხა 390
 ძერუინსკი, ფელიქს 465

- წერეთელი, აკაკი 41, 44, 45, 47, 74, 101, 102, 104-114, 173-182, 238, 298, 314, 331, 333, 334, 342, 348, 370, 372, 377, 379, 388, 394, 395, 399, 406, 410, 411, 423 *იხ.* Церетели, Акакий
- წერეთელი, გიორგი (აღმოსავლეთმცოდნე) 41
- წერეთელი, გიორგი (მწერალი) 324, 372, 374, 390, 391
- წერეთელი, დოსითეოზ 292, 306, 307
- წერეთელი, ირაკლი 391, 438, 442, 453
- წერეთელი, მიხეილ (მიხაკო) 62, 392, 424
- წულუკიძე, ალექსანდრე 396
- წულუკიძე, გიორგი 304
- წულუკიძე, სეხნია 306
- ჭავჭავაძე (გრიბოედოვისა), ნინო 341, 342
- ჭავჭავაძე (დადიანისა), ეკატერინე 337, 340-342
- ჭავჭავაძე, ალექსანდრე 311
- ჭავჭავაძე, გარსევან 262, 276, 279
- ჭავჭავაძე, დავით 342
- ჭავჭავაძე, ილია 41, 48, 101, 181, 269, 314, 348, 360, 366, 372, 374, 376, 378, 379, 383, 388-391, 398, 400, 401, 405, 406, 408, 412-414
- ჭელიძე, ედიშერ 153, 157
- ჭილაშვილი, გლახა 375 *იხ.* ჭილაძე, გაბრიელ
- ჭილაძე, გაბრიელ 376 *იხ.* ჭილაშვილი, გლახა
- ჭილიმუზაშვილ-შაყულაშვილი (შაყულაიანი), შავლე 55, 56
- ჭიჭინაძე, ზაქარია
- ჭიჭინაძე, კონსტანტინე 41
- ჭონქაძე, დანიელ 106
- ჭუმბურიძე, ზურაბ 174
- ჭყონია, თორნიკე 153-155, 157
- ხარისჭირაშვილი, იოსებ 55, 75
- ხარისჭირაშვილი, პეტრე (ლუკა) 55-63, 75
- ხარლამოვი, ვასილი 419
- ხატისოვი, ალექსანდრე 425
- ხახანაშვილი, ალექსანდრე 409
- ხელაია, ამბროსი 77
- ხითარიშვილი, ციციხო 207
- ხიმშიაშვილი, შერიფ 380
- ხინთიბიძე, ელგუჯა 23
- ხომერიკი, მანანა 306
- ხრუშჩოვი, ნიკიტა 123
- ხუციშვილი, სოლომონ 173, 176
- ჯავახიშვილი, ივანე 23, 246, 270, 279, 305, 324, 403
- ჯალალბეგოვი, ესაია შასან 256
- ჯანაშია, სიმონ 343
- ჯოლოგუა, თამაზ 334
- ჯორჯაძე, არჩილ 333, 378, 392
- ჯულაშვილი, იოსებ 390, 465 *იხ.* სტალინი, იოსებ
- ჰაიდგერი, მარტინ 205
- ჰამზა-ბეგი 349
- ჰასან-ბეგი 303
- ჰაჯიმურადი 351
- ჰაჯიომარი 351
- ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ 224
- ჰრბატი, ედუარდ 211

პირთა სახელების საძიებელი

Arendt, Hannah 134, 138	Гогоберидзе, Елена 101 <i>იხ.</i> ლო- ლობერიძე, ელენე
Becchi, Paolo 129	Голованов, Сергей 85
Birmingham, Hannah 138	
Blacker, Stuart 126	Зарайская, В. 102
Braarvig, Jens 129	
Brownsword, Roger 129	Климентов, Андрей 102 <i>იხ.</i> კლი- მენტოვი, ანდრეი, Платонов, Андрей
Campbell St John, Eilidh 126	Корниенко, Наталья 103, 104
Debes, Remy 129	
Düwell, Marcus 129	Левин, Юрий 105
Egonsson, Dan 129	Леонтьев, Константин 90 <i>იხ.</i> ლეონტიევი, კონსტანტინ
Gregorius Magnus <i>იხ.</i> გრიგოლ პირველი (დიდი)	Маршадье, Бернар 99 <i>იხ.</i> მარ- შადიე, ბერნარ
Ignatieff, Michael 133 <i>იხ.</i> იგნეტი- ეფი, მაიკლ	Нилус, Сергей 84 <i>იხ.</i> ნილუსი, სერგეი
Lickiss, Norelle 126, 129	Платонов, Андрей 102-105 <i>იხ.</i> პლატონოვი, ანდრეი
Malpas, Jeff 126, 129	Половинкин, Сергей 84
Mathis, Klauss 129	
Mieth, Dietmar 129	Смирнов, Марк 84
Petrosillo, Piero 185 <i>იხ.</i> პეტრო- ზილო, პიერო	Соловьев, Сергей 84 <i>იხ.</i> სო- ლოვიოვი, სერგეი
Pinckaers, Servais 129, 132	
Rosen, Michael 129	Франк, Семен 97 <i>იხ.</i> ფრანკი, სემიონ
Thomas Aquinas 129 <i>იხ.</i> თომა აკვინელი	Церетели, Акакий 101, 102 <i>იხ.</i> წერეთელი, აკაკი
Варламов, А. 103	Шубин, Лев 103

ადგილთა სახელების საძიებელი

- აბასთუმანი 386 *იხ. ოძრხე*
 აბოცი 386 *იხ. ჩილდირი*
 აღრიანოპოლი 460
 ავსტრია 315, 417, 418, 424, 445
 ავსტრია-უნგრეთი *იხ. ავსტრია-უნგრეთი*
 ავღანეთი 273
 აზერბაიჯანი 460, 465
 აზია 289, 320, 321, 353, 417, 463
 ათონი 9, 10, 46, 53, 54, 70, 162-172, 248
 ალავერდი 295
 ალექსანდრია 413
 ალექსანდროპოლი 326
 ამიერკავკასია 209, 244, 301, 320-323, 325, 326, 357, 358, 391, 417, 419, 420, 428, 431, 438, 439-443, 448, 453, 456-458, 465
 ანაკლია 336
 ანანური 261, 286, 299
 ანაპა 301
 ანატოლია 353
 ანგლია *იხ. ინგლისი*
 ანტიოქია 413
 არგენტინა 458
 არდაგანი 381, 387
 არტაანი 387
 არტანუჯი 380
 არქაზი 351
 ასპინძა 261, 386
 ასტრახანი 242, 253, 257, 259, 260
 ატროპატაკანი 256
 აფხაზეთი 263, 284, 290, 292, 336, 338, 339, 343, 344, 347, 348, 356, 357, 361, 362, 365, 380, 383, 439, 453, 457, 467
 აწყური 261, 386
 აჭარა 380, 381, 384-386, 418, 457
 ახალსენაკი 404
 ახალქალაქი 301, 303, 386, 387, 456
 ახალციხე 55-57, 261, 271, 284, 287, 356, 380, 386, 387
 ახმეტა 304
 ახტალა 263, 274
 ბაზელი 94
 ბათუმი 193, 263, 336, 356, 372, 380, 381, 385, 391, 392, 439, 440, 446, 457, 458, 462, 468
 ბალკანეთი 380, 381
 ბარალეთი 55
 ბაქო 458
 ბაღდათი 262, 404
 ბელაგორი 404
 ბელორუსია 439
 ბერლინი 380, 384, 439, 460
 ბიზანტია 68, 85, 87, 90-92, 94, 190, 193, 243, 413

ადგილთა სახელების საძიებელი

- ბილინა 211
 ბორჩალო 456
 ბორჯომი 389
 ბოქოსუდოვი 211
 ბრესტ-ლიტოვსკი 438, 439, 441, 457
 ბრიტანეთი 417, 456-458, 463
 ბულგარეთი 417
- განჯა 253, 254, 256, 258, 273, 460
 გელათი 292, 410
 გეორგიევსკი 262-264, 266, 267, 282, 291, 295, 310, 419
 გერმანია 79, 320, 417, 418, 424, 438, 440-442, 457, 461
 გილანი 256
 გომბორი 308
 გორი 193, 266, 307, 356, 359, 456, 458
 გურია 254, 255, 263, 268, 283, 284, 301-303, 307, 327, 328, 330, 331, 336, 380, 399, 431, 453
- დარუბანდი 253, 257, 326, 352
 დარლო 350
 დალესტანი 328, 335, 346, 349-351
 დედოფლისწყარო 308
 დილომი 367
 დუშეთი 453
- ევროპა 44, 48, 57, 58, 61, 80, 82, 118, 211, 215, 252, 258, 280, 284, 318, 320, 321, 325, 346, 360, 374, 378-380, 455, 457, 459, 461, 463, 466
- ელაზნაური 286
 ელიზავეტოპოლი 326
 ერევანი 253, 254, 273, 284, 326, 338, 351, 460
 ერზრუმი 321
 ერუშეთი 386
- ვაზიანი 471
 ვალე 56
 ვარშავა 316
 ვატიკანი 58, 98, 127, 142, 143, 220, 225
 ვენეცია 58
 ვიტებსკი 427
 ვიტენბერგი 308
 ვლადიკავკაზი 267
 ვლადიმირი 242, 294
 ვოლგისპირეთი 417
 ვორონეჟი 339, 344
- ზაქათალა 372, 462
 ზუგდიდი 336, 341, 453
- თარკო 350
 თბილისი (ტფილისი, თფილისი) 38, 48-50, 64, 66, 72, 190, 193, 207-209, 217, 245, 252, 253, 257, 259, 261, 263, 264, 267, 268, 275, 277, 282, 284, 294, 297, 300, 308, 311, 312, 317, 320, 321, 323-327, 329, 351, 352, 356-359, 361, 364, 365, 368, 369, 370, 372, 381, 382, 391-394, 401, 404, 408, 411, 424, 425, 428, 429, 431, 432, 438, 440, 453, 454, 456, 458, 462, 463, 467, 468, 470-473

ადგილთა სახელების საძიებელი

- თეზაიდა 204
 თეთრიწყარო 308
 თეირანი 266
 თელავი 294, 304, 327
 თერგი 453
 თურქეთი 249, 252, 262, 265, 280, 285, 321, 336, 338, 339, 346, 348, 361, 380, 381, 417, 418, 439-441, 457, 460, 461
იხ. ოსმალეთი
- იაპონია 392, 404, 458
 იერუსალემი 23, 28, 54, 163, 166, 248, 315, 343, 413
 ივერია 58, 70, 77, 171, 243, 266, 268, 277, 371, 403, 427, 432, 433, 441
 იმერეთი 52, 192, 247, 251, 254, 255, 261-263, 268, 281-284, 286, 287, 290, 292, 301, 302, 304, 306, 307, 324, 326, 336, 345, 367, 369, 416, 453
 ინგლისი 315, 321, 457, 458
 ირანი 253, 258, 259, 262-265, 269, 271, 273, 320, 321
იხ. სპარსეთი
 ისპაჰანი 252, 255
 იტალია 417, 458
- კავკასი 313
 კავკასია 57, 252, 262, 266, 269, 272, 280, 283, 286, 301, 303, 304, 312, 326-329, 333, 334, 336, 339, 340, 341, 345-348, 350, 351, 353, 358, 374-376, 382, 387, 389, 390, 394, 397, 400, 401, 408-410, 414, 417-419, 425, 428, 431, 432, 464-
- 466, 469 *იხ. ამიერკავკასია*
 კავკასიონი 259, 267, 286, 301
 კახეთი 241-243, 246, 248, 251, 253, 254, 257, 259, 261-265, 268, 271, 272, 281, 282-284, 290, 291, 295, 297, 300, 301, 311, 328, 345, 352, 357, 429, 432, 435, 453
 კიევი 81, 242
 კლარჯეთი 387
 კოლა 387
 კონსტანტინოპოლი 9, 56, 57, 59, 61-63, 67, 72, 75, 82, 92, 94, 159, 160, 190, 192, 193, 210, 243, 248, 249, 256, 343, 413, 417
 კოჯორი 471, 472
 კრემენჩუგი 294
 კრწანისი 264
 კუკია 48, 368
 კულაში 367
- ლაიფცივი 320, 325
 ლატერანი 98
 ლეჩხუმი 453
 ლიენო 80
 ლორე 467
- მანგლისი 308
 მანჯურია 405
 მარიაშაინი 211
 მარსელი 325
 მესხეთი 386-388, 439
 მექა 349
 მთიულეთი 281, 282, 286, 297
 მისხანა 274
 მოვაკანი 259
 მოზდოკი 267, 306, 307

ადგილთა სახელების საძიებელი

მონტობანი 63	პოლონეთი 310, 315, 439, 465
მოსკოვი 80, 82, 85, 86, 88-90, 99, 101, 210, 242-244, 249, 256, 266, 280, 294, 298, 309, 413, 416, 428, 432, 450, 459, 463, 466-468	პრაჰა 82, 213 უენევა 398, 418 უინვალი 264
მოქვი 344	რაბათი 55
მცხეთა 64, 66, 67, 70, 72, 189, 291, 403, 427-430, 468	რანი 259 რაჭა 254, 258, 302, 453 რომი 12-14, 57-60, 63-79, 84- 86, 91-99, 126, 155, 189- 191, 207, 209-211, 218-223, 225, 243, 249, 255, 332, 410, 434
ნავომარი 404	როსტოვი 464
ნახიჩევანი 254, 326	რუსეთი passim
ნერედისა 242	რუსთავი 23, 25
ნიკეა 159	რუხი 263
ნოვგოროდი 250, 294	
ნოვოროსიისკი 344	
ნორვეგია 461	
ოღიში 368	
ობურგეთი 327, 336, 404	საბერძნეთი 72
ოლთისი 387	სადახლო 456
ონი 404	სალათავი 352
ორიოლი 80	სამაჩაბლო 327
ოსეთი 453	სამეგრელო 254, 255, 263, 283, 284, 301, 302, 336, 337, 340- 342, 355, 357, 365, 380, 383, 386, 431, 453 <i>იხ. ოღიში</i>
ოსმალეთი 55-57, 59, 62, 192, 252, 261, 262, 264, 269, 284, 301, 303, 320, 343, 346-348, 351, 381, 383, 384, 386, 387, 424	სამტრედია 404
ოდრხე 386 <i>იხ. აბასთუმანი</i>	სამურზაყანო 336
პალაკაციო 386	სამცხე 56, 61, 386, 387
პარიზი 24, 80, 82, 83, 99, 249, 280, 315, 380, 386, 458, 459	სამცხე-ჯავახეთი <i>იხ. სამცხე, ჯა- ვახეთი</i>
პეტროგრადი 96, 438 <i>იხ. სანკტ- პეტერბურგი</i>	სან რემო 458
პეტროვსკი 352	სანკტპეტერბურგი (პეტერბურ- გი) 66, 70, 90, 266, 279, 281, 283, 291, 292, 294, 295, 297, 301, 309, 332, 337, 382, 394 400, 435 <i>იხ. პეტროგრადი</i>

ადგილთა სახელების საძიებელი

- საფრანგეთი 63, 134-136, 255, 287, 309, 315, 417, 425, 458
 საქართველო *passim*
 საჩხერე 404
 სვანეთი 336-339, 356, 357, 365
 სვირი 404
 სიმფეროპოლი 82
 სიღნაღი 304
 სომხეთი 77, 409, 445, 456-458, 460, 465, 466
 სოლანლუდი 471
 სოჭი 457, 467
 სოხუმი 284, 336, 362, 372, 380, 383, 462
 სპარსეთი 251-254, 256, 257, 262, 264, 266, 269, 274, 280-282, 285, 289, 322, 325 *იხ.* ირანი
 სტავროპოლი 352, 389, 394
 სტამბოლი 56, 61, 63, 75, 82, 192, 254 *იხ.* კონსტანტინოპოლი
 სტეფანწმინდა 286
 სურამი 307, 324
- ტაო 241, 245, 387
 ტრაპიზონი 284, 301, 321, 439
 ტრიესტი 325
 ტუაფსე 457
 ტყვარჩელი 343
 ტყიბული 391
- უღე 56
 უკრაინა 91
 უნგრეთი 210, 417, 418, 445
- ფერარა 94
 ფერიქოი 59
- ფლორენცია 94, 95
 ფოთი 262, 301, 303, 362, 391
 ფორცხოვი 386
 ფრანცია *იხ.* საფრანგეთი
- ქართლი 65, 68-70, 155, 189, 241, 243, 251-254, 257-259, 261-265, 268, 271, 272, 277, 281-284, 289, 290, 291, 295, 300, 301, 304, 311, 345, 350, 429, 432, 435, 450, 453, 467
 ქართლ-კახეთი *იხ.* კახეთი, ქართლი
 ქერსონესი 78, 83, 87, 88, 96, 97, 99, 100
 ქვაშხორი 342
 ქვიშხეთი 393
 ქობლიანი 386
 ქობულეთი 262, 336, 386
 ქოროღლი 471
 ქუთაისი 48, 52, 56, 193, 242, 262, 283, 304, 306, 308, 326, 336, 338, 341-343, 355, 356, 369, 370, 372, 382, 389, 394, 404, 410, 418, 462, 467
- ყაბარდო 267, 345
 ყაზანი 242
 ყარაბაღი 273
 ყარსი 381
 ყვირილა 404
 ყირიმი 78, 82, 85, 88, 417
 ყუბა 352
- შავშეთი 387
 შამქორი 438
 შამშადილი 264
 შატილი 283, 301

ადგილთა სახელების საძიებელი

შემახია 256, 326	ცარსკოე სელო 295
შემოქმედი 307	ციშბირი 91, 330, 394
შვეიცარია 461	ციხისძირი 263
შვეცია 461	
შირაქი 308	ჭიათურა 391, 404
შორაპანი 304, 304	
შრო 306	ხაშური 393
შუამთა 316	ხევსურეთი 301
შულავერი 456, 466, 467, 470	ხერთვისი 380, 386
შურა 352	ხიზაბაურა 56
	ხრესილი 254
ჩეჩნეთი 328, 346, 349	
ჩეხეთი 210-212	ჯაფახეთი 55, 56, 61, 386, 387
ჩილდირი 386	ჯარაქი 386
ცაგერი 404	პრომი იხ. რომი